ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

ნინო ვასაძე

სხვა სივრცის მაძიებელი



კრიტიკა
სილუეტები
ნარკვევები

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2018

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

კორექტურა
თეკლე ჯანელიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თენგიზ როგიტაშვილი

ISBN 978-9941-8-0370-3
© ნინო ვახანია 2018



„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...“

(მარსელ პრუსტის ანკეტა)

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა შენს სახლამდე ორი ნაბიჯია, მაგრამ იქამდე არ გიშვებენ და სხვაგან არავის უნდიხარ.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ომამდელ სოხუმში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— საკუთარი ოთახი (ვირჯინია ვულფის ასოციაცია).

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?

— ავთანდილი, თორნიკე ერისთავი, ჯოყოლა, სოფიო, ლუარსაბი...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— ცოტნე დადიანი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მრავალთაგან ამჟამად ნანა გერასიმოვას ვახსენებ.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ზაქარია ფალიაშვილი, გია ყანჩელი...

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— პასუხისმგებლობის გრძნობას, პირმტკიცობას.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ზომიერი კეკლუცობის უნარს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლველი?

— სხვის სულში წვდომისა და ფარულად თანადგომის უნარი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— უსაქმოდ ყოფნა (მაგრამ ეს საქმიანობა არ არის, ჰო?)

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?

— მაკა ჯოხაძე და როსტომ ჩხეიძე ერთად.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ჩემს თავს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მე მგონი მაინც ეს — იოლად მოწყვლადი ვარ.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— შეუმჩნევლად ნუგეშინის ცემის უნარს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მეუბნებიან, რომ ჯიუტი ვარ, მე ჩემი თავი ზედმეტად დამთმობი მგონია.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,... ბედნიერი ვიყავი ბავშვობაში, როცა ჩემს ქალაქში, ჩემს ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— შვილებმა რომ გამიმტყუნონ იმედები.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— თამამი, უკომპლექსო, ცოტა ქერქეტა.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ხოხბის ლაპისფერი, თავთუხისფერი... (მგონი, უფრო სიტყვები მომწონს, ვიდრე ფერი)

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია, ბნელ ხევში მოსული.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ჩხიკვნი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემძვრალები, ბოლოცეცხლები, ჭივჭავნი, კოდალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— გოგებაშვილი, ყაზბეგი, ბარნოვი, ბალზაკი.

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ...—გრიგოლ ორბელიანი, ემილი დიკინსონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?

— სოფიო, აღაზა, მაიკო ბარათაშვილი...

— საყვარელი გმირი რეალურ ცხოვრებაში?

— ალექსანდრე ორბელიანი, ცოტნე დადიანი...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თეკლე ბატონიშვილი.

— საყვარელი სახელი?

— თეკლე, თამარი, ვახტანგი...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— თავაღერილ უვიცობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— იასე ფალავანდიშვილი (თუმცა ისიც მებრალება, ეტყობა, ზიზღი საერთოდ არ ვიცი).

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

— ასპინძის ომი.

— რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ქართული ენის გამოცხადება სახელმწიფო ენად („და არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა"...)

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ნათელხილვის და წერის (მწერლის).

— როგორი გინდოდათ მომკვდარიყავით?

— უცებ, ტკივილის გარეშე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ზომიერად აფორიაქებული.

— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?

— გულუბრყვილობითა და გულწრფელობით გამოწვეულნი.

— თქვენი დევიზი?

— მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მიპატიებია.

მოამზადა ნატა ვარადამ

„ჩვენი მწერლობა", №4, 2011 წ.

სხვა სავანის მაძიებელი

(ედგარ კერეთის ორი ნოველა ქართულად)

„მე მარტოობით დავიღალე, შემდეგ კი, როცა მივხვდი, რომ მარტო ვიყავი, დავიწყე წერა“, – ასე უპასუხნია ქართველი მსმენელისთვის ისრაელელ მწერალს ედგარ კერეთის კითხვაზე, თუ როგორ დაიწყო წერა. კერეთის ორი შესანიშნავი ნოველა („მილები“ და „კეთილი მიზნები“) გამოქვეყნდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2007 წლის 12 ოქტომბრის ნომერში (თარგმნა მამუკა ბუცხრიკიძემ).

მარტოობა, გაუცხოება, საზოგადოებასთან ვერშეგუება, ჩვეულებრივი, ნორმალური არსებობის მიუღებლობა. მოაზროვნე, მეოცნებე, შემოქმედი ადამიანების თვისებაა. ასეთებს ბავშვობაში „აღქმისა და აზროვნების დიდი პრობლემის“ მქონედ მიიჩნევენ ხოლმე. „მილების“ პერსონაჟიც (ავტორის ალტერ ეგო) ერთი იმათგანია, ვინც ვერ ახერხებს ჩვეულებრივ, ნორმალურ ადამიანად ყოფნას და გულის სიღრმეში, ფარულად ეხარბება კიდეც მათი, ვინც უყურო ბავშვის სურათის დანახვისას მაშინვე აღმოაჩენს სურათის ნაკლს (მაგალითად, მილების ქარხნის დირექტორის, „ჩინებული ყმაწვილისა“, როგორადაც მას მწერალი მოიხსენიებს).

ამ უდაბნოში თავშესაფარი, სულის მოსათქმელი ადგილი არსებობს სადმე? თუ არა, იგი ვინმემ უნდა გამოიგონოს. ვინ უნდა შექმნას ცხოვრებიდან გასაქცევი ურთულესი კონსტრუქციის მილი? რა თქმა უნდა იმან, ვისაც ყველაზე მეტად უნდა გაქრობა და არა რომელიმე გენიოსმა. იმიტომ, რომ სოციოლოგიის მასწავლებლის თქმით, „პირველი ადამიანი“, რომელმაც ჯოხი გამოიყენა, სულაც არ ყოფილა ტომში ყველაზე ძლიერი, ან ყველაზე გონიერი, მათ არ სჭირდებოდათ ჯოხი. ჯოხი ყველაზე მეტად სწორედ სუსტს სჭირდებოდა, რათა თავი გადაერჩინა და თავისი სისუსტე დაეფარა“.

გაქრობა, ოღონდ არა სიკვდილი, ფიზიკური გარდაცვალება – აი, რა სურს ნოველის პერსონაჟს. აი მარადიული, საოცნებო და მიუღწეველი სწრაფვა უჩვეულო ადამიანებისა.

ყოველდღიური, ხორციელი საჭიროებათაგან სული ეხუთება გრძნეულ მინდიას.

მატერიალური, ფიზიკური არსებობისგან გათავისუფლებული შემოქმედებითი სული მიაჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ადამიანური ყოფის საუკეთესო, სრულყოფილ გამოვლინებად („გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება").

„არც სიცოცხლე, არც სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა", – ოცნებობდა ტერენტი გრანელი და ეძებდა „მესამე გზას". ამ გზას ეძებს მარტოსული ედგარ კერეთიც და საუკეთესო გამოსავალს პოულობს – წერას იწყებს.

მივხვდი, რომ მარტო ვიყავი და წერა დავიწყეო, ე.ი. ჩემი სამყარო, ჩემი ქვეყანა გამოვიგონე, ადამიანებს ზურგი ვაქციე (სიყვარულით და არა რისხვით) და ჩემ მიერ შექმნილ ცხოვრებას (მილებს) შევაფარე თავიო. სამოთხეც ეს ყოფილა. ისინი, ვინც ნამდვილად არ შეეფერებიან დედამიწას, გზას იქით, სამოთხისკენ იკვლევენ და ჩვენც გვეპატიჟებიან.

რა სიამოვნებით გავქრებოდი მათთან ერთად, მაგრამ ყოველდღიურობის ორომტრიალში ყელამდე ჩაფლული, სულდამძიმებული, ერთი ჩვეულებრივი, ცოდვილი მიწიერი. მივაგნებ კი მათ, თუნდაც წუთით, თუნდაც იმისთვის, რომ ნარდის თამაშით თავგაბეზრებულებს კარტი მივუტანო?

მაინც რა არის ეს უცნაური, ასე სასურველი და მიმზიდველი „მილები"?!

* * *

არანაკლებ უცნაური და უჩვეულოა „კეთილი მიზნები". მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობას უცნაური ქვეტექსტი გასდევს, ის ძალიან ჰუმანურია, როგორ პირობებშიც უნდა იმყოფებოდეს ადამიანი, საბოლოოდ მაინც ინარჩუნებს სულიერებას, – სხვა მოთხრობის გამო შენიშნა ავტორმა. იგივეს გამეორება თამამად შეიძლება „კეთილი მიზნების" შესახებაც.

„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?“ – ყველას გვახსოვს პოეტის რიტორიკული შეკითხვა. მაგრამ სიკეთის ქმნისგან დაღლილი ადამიანი თუ გინახავთ ან რამე გსმენიათ მასზე?

„მეფე ხარ და ხამს, მეფე ხარ და გევალება“... რამდენი მეფისთვის გაუმწარებია ყოფა მოვალეობის შეგნებას, რამდენს უნატრია უბრალო კაცობა, სხვათა თვალისა და ყურისაგან დაფარული, მყუდრო ცხოვრება. ვინ შედარებით მსუბუქად განიცდის ან სულაც ვერ გრძნობს ამგვარი ცხოვრების სიმძიმეს, ვინ კიდევ – უკიდურესად გამძაფრებულად, ზოგი სულაც სიკვდილს ნატრობს („ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“). და განა მარტო ხელმწიფეებს, ქვეყნის მმართველებს არგუნა ღმერთმა ასეთი ბედი. ყველა ცნობილი, გამოჩენილი ადამიანი მეტად თუ ნაკლებად ბედისწერის ბრჭყალებშია მოქცეული და თავსა მისსა ვერ თავისუფალ არს, რადგან ვალდებულია, გაამართლოს საზოგადოების მოლოდინი. დიდი ქველმოქმედი „იძულებულია“, მუდამ სხვათა სიკეთეზე ზრუნავდეს, სულიერი მოძღვარი ყოველ წუთს, ყოველ წამს ზნეობის მცველია, არც მწერალსა თუ პედაგოგსა აქვს უფლება, ხანდახან იყოს მესიტყვე ან მასწავლებელი... არადა, ვინ ცნობიერად, ვინ გაუცნობიერებლად გრძნობს იმ „კაბალას“, რომლის ქვეშაც მოქცეულა და ცდილობს „გათავისუფლებას“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ადამიანი შეიძლება გამუდმებით სიკეთის კეთებამაც დაღალოს. ეს ის მდგომარეობაა, როცა „ნაცვლად სატანისა შენს სხეულზე ანგელოზი ბატონობს“ და განა სულ ერთი არ არის, ვინ იქნება ბატონი, მოძალადე, ზედამდგომელი?

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო პერსონაჟია პატრიკ გრაისი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. პროფესიონალი მკვლელი მას ასე იგონებს: „კეთილი ადამიანი. ყველაზე კეთილი, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი, და, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე კარგი კაცი“. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვისი სიკეთეც ემართა უსულგულობის, განუკითხაობისა და ბოროტების სამყაროში (საუფლოში) გაზრდილ მკვლელს, პროფესიონალ მკვლელს, ვისაც არასოდეს აინტერესებდა ის ადამიანები, ვისაც კლავდა.

ატლანტაში, ბავშვთა სახლში სტუმრობის დროს პატრიკ გრაისმა საჩუქრები დაურიგა პატარებს. თითქოს საბედისწეროდ,

მოთხრობის გმირ ბიჭს სათამაშო იარაღი შეხვდა. სროლა მის პროფესიად იქცა, ოღონდ ნამდვილი ტყვიის სროლა ნამდვილი იარაღიდან. იგი განურჩევლად, განუკითხავად უმიზნებს და კლავს ბოროტსა და კეთილს, უდანაშაულოსა და დამნაშავეს, ფიცის გამტეხსა და ღვთის მოშიშს... ადამიანებს უსპობს სიცოცხლეს მხოლოდ ფულისთვის, საზღაურისთვის... ანგარების მონაა, ეშმაკის მსხვერპლი. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ვერ შეისრულა დავალება, სიცოცხლეში ერთხელ მოუდუნდა მარჯვენა, ერთხელ უღალატა გამბედაობამ, ერთხელ ვერ გამოჰკრა სასხლეტს თითი. ბოროტს აქაც სძლია კეთილმა. და ნოველა ამით რომ მთავრდებოდეს, იქნებოდა ერთი კარგი, მაგრამ არა გამორჩეული ნაწარმოები. მაგრამ ედგარ კერეთი არ გვეველინება მორალისტად, მასწავლებლად, არ მიგვითითებს, რა არის კარგი და რა – ავი. არ გვიჩვენებს სავალ გზას. საგულისხმოა, რომ „კეთილ მიზნებში" გამარჯვებული სიკეთე საბოლოოდ ვერ იკავებს ადგილს ჩამოყალიბებული მკვლელის გულში, მისი გამოსწორება, სხვად ქცევა შეუძლებელია. აქ თვით გრასიც, ხორცშესხმული სიკეთე, უძლურია. ვისმენთ პატრიკ გრასის გულწრფელ აღსარებას და გაოცებასთან ერთად სიბრალულიც გვიპყრობს. აბა, წარმოიდგინეთ: „უკვე აღარ შემიძლია ლუკმა ისე გადავყლაპო, თუ ვინმე უფრო მშიერი არ მოვძებნე, რომ საჭმელი დაამთავროს. ღამღამობით თვალს ძილი არ მეკარება. როგორ შეიძლება საერთოდ იფიქრო ძილზე, როდესაც ცხოვრობ ნიუ-იორკში და შენი სახლიდან ოცი მეტრის მოშორებით ადამიანები ქუჩაში ძელსკამზე იყინებიან". სწორედ ამ აღსარების შემდეგ, ცხოვრებით დაღლილი და სიკვდილის მონატრული კეთილი კაცი მოეჩვენა მკვლელს იესოდ, ჯვარცმულ იესოდ. და მაინც, რაც უნდა აღზევებული იყოს ბოროტება, რაც უნდა დაიმორჩილოს და დაიმონოს ადამიანის სული, მას არსი არ გააჩნია. სიკეთე უკვდავია...

და მაინც, მაინც სიკეთის კეთებისგანაც შეიძლება დაღლა. „ჭირვეული გულკეთილობა" ისეთივე ავადმყოფობაა, როგორიც ნებისმიერი სხვა უზნეობა. და დასვენება, ამოსუნთქვა ყველას სჭირდება, ხანდახან მაინც.

ასეთია კერეთის მომხიბვლელი პარადოქსები.

„კარგ საქმეზედა მიბაძვა“

(კიდევ ერთი ბიოგრაფოსი — ზვიად კვარაცხელია)

სხვისი ნიჭის აღმოჩენისა და დაფასების უნარი იშვიათი თვისებაა თვით გამორჩეულ კაცთა შორისაც კი. ილია ჭავჭავაძე ფლობდა ამ უნარსაც. ქართველი ხალხის წინაშე სხვა უამრავ დამსახურებას ესეც ემატება –ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველასთვის მწერლობაში გზის დალოცვა, უკვე გარდაცვლილი ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიის შეცნობა, არჩილ ჯორჯაძის მობრუნება ეროვნული ფესვებისკენ... ვინ იცის, კიდევ რამდენი ნიჭის ხელის შეწყობა და დახმარება. ჩვენს გულცივ დროში ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი, რომ ვინმეს სხვაზე ზრუნვა და დაფასება, თუნდაც უბრალოდ აღიარება შეუძლია. წამხდარა და შეცვლილა ადამიანებს შორის ურთიერთობა. არადა, რაღაც ორი საუკუნის წინათ ალექსანდრე ორბელიანიც მამაშვილურად ეალერსებოდა, ამხნევებდა და საიმედოდ დაიგულებდა ყველას, ვისაც ნიჭს და ქვეყნის სიყვარულს შეატყობდა. თუმცა, როგორც ჩანს, მაშინაც, ძველ საქართველოშიც იშვიათი უნარი უნდა ყოფილიყო სხვისი წარმატებით გახარება, და თუ იყო, საფუძვლად უთუოდ საერთო მიზანი — ერის განახლება და გაძლიერება ედო.

ერის წყლულის წყლულად მიჩნევა, ერის სიხარულის პირად სიხარულად განცდა, ერის მომავალზე ზრუნვა მძიმე ტვირთია და მხოლოდ რჩეულთა ხვედრი.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენს დროშიც არიან ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად უხარიათ ნიჭიერი ახალგაზრდის გამოჩენა, კი არ ეშინიათ, კი არ ჩქმალავენ, კი არ ჩაკლავენ

ახალფეხადგმულ სურვილებსა და მისწრაფებებს, სწორედ პირიქით, ხელს უწყობენ, პატივს მიაგებენ, იმედის თვალით შეჰყურებენ და ზრდიან, წვრთნიან, აგულიანებენ მომავლის სახელით, კვლავ ერის განახლებისა და გაძლიერების მიზნით.

ზვიად კვარაცხელიას, შეიძლება ითქვას, გაუმართლა. მას შეხვდნენ სწორედ ის იშვიათი, გამონაკლისი ადამიანები, გულანთებულნი რომ შეჰხარიან ნიჭიერ და ქვეყნის მოყვარულ ახალგაზრდებს.

ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ ფართოდ გაუღო კარი ასაკით მრწემ, მაგრამ გონებით სრულ კაცს და მკითხველი მომსწრე ხდება როგორ იზრდება ზვიადი ნომრიდან ნომრამდე, სტატიიდან სტატიამდე, წიგნიდან წიგნამდე. მისი კალამი უფრო მტკიცე ხდება, სიტყვა – უფრო მოქნილი. აზრის სინათლესა და გრძნობის სიწრფელეს, რაც პირველივე პუბლიკაციებიდან ახასიათებდა, ახლა დახვეწილი მწერლური სტილიც ამშვენებს. ამას მათქმევინებს „ჩვენი მწერლობის“ 2009 წლის 26 ნოემბერის ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა „უშველეთ ბეთანიას!“ რომელიც, როგორც სქოლიოდან შევიტყეთ ერთი თავი ყოფილა ზვიად კვარაცხელიას მხატვრულ-დოკუმენტური რომანიდან „ჩემი ფსიხატორიუმი (ცხოვრება და ღვაწლი იონა მეუნარგიასი)“.

ბიოგრაფიული რომანებისადმი საზოგადოების ინტერესი ამ ბოლო დროს აშკარაა. კარგად ვერ გამირკვევია, მწერლები ასრულებენ საზოგადოებრივ დაკვეთას თუ პირიქით, კარგმა რომანებმა გაზარდა მკითხველის ინტერესი. თუმცა, ვფიქრობ, ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. „კარგ საქმეზედა მიბაძვა არარა დასაძრახია“. ზვიადიც იმათ „ჯოგიდანაა“, ვისაც მხატვრულობა და დოკუმენტურობა ერთმანეთთან საამოდ შეუზავებია მკითხველის გულის გასახარად. ამ ტიპის (მხატვრულ-დოკუმენტური) ნაწარმოებებს არა მარტო შემეცნებითი ფუნქცია აქვთ, უდიდესი ემოციური მუხტიც ახასიათებთ, ადამიანს ძალდაუტანებლად ეხმარებიან ზნეობრივი ორიენტირების შერჩევაში და იმ ერთი რამის სიყვარულს აღვივებენ, დაფარვა რომ სჭირდება.

ჩვენი ევროპელობით თავმომწონე ქართველებმა მთლიანად თუ არ უარვყავით, დიდი ხნით მაინც მივივიწყეთ ნამდვილად ევროპული ტიპის მოღვაწე. მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ბიოგრაფიების შემდგენი, ყოველივე ქართულის მეტრფე და ქომაგი იონა მეუნარგია.

* * *

„— საიდანა ხართ, რუსეთიდან?
— არა, საქართველოდან.
— ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდან?
— არა მარტო ლამაზი ქალებით...“

რამოდენა თავმოწონება იგრძნობა ვიქტორ ჰიუგოსთან საუბარში. საქართველოს არარსებული სახელმწიფოს შვილს ქართველობით მოაქვს თავი. რუსეთის ხსენებაზე იქნებ სიცილის გუნებაზე დამდგარიყო დიდი „ფრანსიელი“, მაგრამ ქართველის ამ სიამაყესა და თავმოყვარეობას სიცილს რას შებედავს; რუსთაველით ინტერესდება: გამიგონია, თუმცა არ ვიცნობო, — გამოტყდება.

ქართველთა წარსული ისტორიის, მწერლობის, ზნის, ადათის, სულიერი სიმდიდრის, შემოქმედების სხვებისთვის, ევროპელთათვის გაცნობა ერთ უპირველეს მიზნად დაუსახავთ მე-19 საუკუნის მოღვაწეებს. მათ შორისაა იონა მეუნარგიაც, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი ჟიულ მურიესა და ცოლ-ქმარ ზუტნერებთან ერთად.

* * *

„ბევრ შესანიშნავ ქართველ მწერალს შევხვედრივარ, ბევრის თუ არ მეგობარი, ახლო ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელდადებით შემიძლია ვთქვა: გრიგოლ ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ“, — წერდა გენერლის „ადიუტანტად“ სახელდებული, ქართველი პოეტის მეხოტბე იონა მეუნარგია. თამარის ეპოქის მაღმერთებელი, კვლავ მის აღდგენაზე მეოცნებე გრიგოლ ორბელიანი ეჭვით აღვსილიყო: „ვაჰ, თუ რაც წახდეს...“

უშველეთ ბეთანიას,— ხელოვნების სახელით ივედრებოდა ჟიულ მურიე, — ხის ჭერი მაინც დაახურეთ თქვენს სათაყვანებელ მეფესო.

ვინ, თუ არა გრიგოლ ორბელიანმა იცოდა, თამარის ეპოქამდე მისასვლელი გზა რომ არ ჩანდა, „გზაშეუვალსა, უდაბურ ტყეში“ ჭვრეტდა დარღვეულ ტაძარს — დარღვეული, გაჩანაგებული ქვეყნის სიმბოლოს. ქართული იერი, ქართველისთვის დამახასიათებელი შავი თვალები შეუმჩნევია ფრესკაზე ჟიულ მურიეს, ცივი და მახვილგონიერი თვალები. მხოლოდ გრიგოლისთვის არ უღირსებია შეხედვა თამარს — ვერ უცვნია ხმამიღებული, დამცირებული, თავმოდრეკილი, მონობას შეგუებული ქართველი. რა გასაკვირია — მას ხომ ოდენ ლაღი, ამაყი, თავმომწონე, საკუთარი თავმოყვარეობის დამცველი ქართველი ახსოვს. „ცად თვალნი გაქვს მიქცეული“... — ფრესკაზე შემორჩენილა სახე მეფისა — ქართველთა ისტორიული მეხსიერების სიმბოლო, მაგრამ იმ ეპოქამდე მისასვლელი გზა უნუგეშოდ ჩაკეტილა და ნუთუ ხსოვნაც უნდა წაიშალოს?

ფიცრის უბრალო ჭერი დაახურეთ თქვენს დედოფალს, უშველეთ ბეთანიას, — ხელოვნების სახელით ივედრებოდა ჟიულ მურიე.

„თუმცა გზა საძაგელია, მაგრამ ჰლირს, რომ კაცი, მეტადრე ქართველი, წავიდეს ამ მონასტრის სანახავად არაერთხელ“, — წერდა გრიგოლ ორბელიანი არა მარტო ხელოვნების სახელით.

ვკითხულობ ფრაგმენტს რომანიდან და არ მასვენებს ბედისწერად ქცეული კითხვა:

და ქართველობა სიქადულად როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა?

დანაშაული — სულიერი თავისუფლება

(ლალი ჩხეიძის მთარგმნელობითი დებიუტი)

დეტექტივმა, როგორც ჟანრმა, დიდი ხანია მოიპოვა ლიტერატურაში თავისი განსაკუთრებული ადგილი და როგორი განსხვავებული შეფასებებიც უნდა მოვისმინოთ მის შესახებ, მკითხველის სიყვარული, როგორც ჩანს, ურყევია. ალბათ, სწორია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, მდარე ან ამაღლებული და პრესტიჟული ჟანრი არ არსებობს, ასეთი (ერთი ან მეორე) მხოლოდ ნაწარმოები შეიძლება იყოს.

ჯილბერტ კით ჩესტერტონის დეტექტივი „ჯონ ბულნუას უცნაური დანაშაული" ამ ჟანრის ერთი საუკეთესო ნოველაა. მისი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" 2010 წლის პირველ ნომერში (ინგლისურიდან შესანიშნავად თარგმნა ლალი ჩხეიძემ).

ავტორი პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტის ხატვის ოსტატია. პირველივე წინადადებით შექმნილი მხატვრული სახე ბატონი კიდისა მისი შინაგანი ბუნების გახსნას ემსახურება, აინტერესებს მკითხველს და იმთავითვე „ითრევს" თხრობაში. მისი გაზეთისთვის ხუმრობით შერქმეული სახელი „ამომავალი დასი" კი თავისი კონტრასტით ხიბლავს გემოვნებიან ადამიანს, ვისაც, უნდა ვიფიქროთ, არც ამერიკული ჟურნალისტიკის ირონიული დახასიათება გამორჩება მხედველობიდან.

მთავარ მოქმედ პირზე — ჯონ ბულნუაზე — თხრობაში გამოჩენისთანავე გვექმნება წარმოდგენა და დასრულების შემდეგ შეგვიძლია შევაფასოთ, რომ სწორი წარმოდგენა შეგვექმნია.

ეს, რა თქმა უნდა, მწერლისა და მთარგმნელის დამსახურებაა. ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია ის ჩუმი, იდუმალი, არამყვირალა ირონია, რაც უთუოდ არის დედანშიც. ჯონ ბულნუას მსგავსი ფსიქოლოგიური ტიპი, ერთი შეხედვით, სრულიად უსაფრთხოა საზოგადოებისთვის. მას არც გაზეთებში ატეხილი (მისივე თეორიით გამოწვეული) აჟიოტაჟი აწუხებს ან სულაც არ აინტერესებს, არც, როგორც ჩანს, მთელი საზოგადოება თავისი სიჭრელით, მომხრე-მოწინააღმდეგეებით, დამფასებელ-შემფასებლებით. მორიდებული, საერთო ხმაურისა და ჟრიამულისაგან შორს მყოფი ბულნუა ბედნიერად ცხოვრობდაო, გვეუბნება მწერალი და ეს არ არის ირონია. ყოველგვარ შურზე, მტრობაზე, მეტოქეობაზე, სამაგიეროს გადახდის სურვილზე მაღლა თუ შორს მდგომი ადამიანი მართლაც ბედნიერი უნდა იყოს.

მაგრამ ფსიქოლოგებს აღწერილი და შესწავლილი აქვთ შემთხვევები, როცა სწორედ ასეთ მორიდებულ, ხშირ შემთხვევაში უჩინარ, ყველა შემთხვევაში კი უწყინარ ადამიანებს ჰყავთ მტერი. მტერი, როგორც წესი, მათზე აღმატებულია, მათზე ძლიერია, მათზე ცნობილი და წარმატებული. ასეთ ადამიანებს თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან არც საერთო და არც გასაყოფი, მაგრამ ერთს მეორის თვით არსებობა აღიზიანებს, აღელვებს, არ ასვენებს. ჩუმნი, წყნარნი და უჩინარნი ხშირად თავისდაუნებურად იმარჯვებენ „შეჯიბრებაში".

„ჯონ ბულნუას უცნაურ დანაშაულშიც" სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

სერ კლოდ ჩემპიონი — ინგლისის მოწინავე ათეულში შემავალი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და საზრიანი კაცი ისე ცოცხლად, სახიერადაა დახატული, რომ სრული შთაბეჭდილება გვრჩება, ის ჩვენც გვინახავს, არაერთხელ შევხვედრივართ, კარის მეზობელი და მეგობარი თუ არა, ჩვენი კარგი ნაცნობი მაინც არის.

რა უნდა ჰქონოდათ საკამათო ან გასაყოფი ბავშვობის მეგობრებს — ჯონ ბულნუასა და სერ კლოდს? რა უნდა შეხარბებოდა წარმატებულ სპორტსმენს, პოლიტიკოსს, მხატვარს, მუსიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს ერთი მორიდებული და ბოლო დრომდე ყველასთვის უცნობი ფილოსოფოსისა?

სერ კლოდი ტყავიდან ძვრება, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბულნუას თავისი უპირატესობა დაანახოს, დაუმტკიცოს. მისი გულგრილობა თუ სიმშვიდე აცოფებს, სურს, ენატრება, დამცირებული, მუხლზე დაჩოქილი ან სამტროდ შემართული იხილოს. ბულნუას გამოწვევა თითქმის შეუძლებელია. მას თავისი სამყარო აქვს, თავისი წიგნები, თავისი ინტერესები... და არა და არ აინტერესებს ე.წ. საზოგადოებრივი აზრი.

რა გულქვა ან რეგვენი უნდა იყოს ადამიანი, სიმშვიდე შეინარჩუნოს მაშინაც, როცა მის ცოლს სხვა მამაკაცი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ცოლსაც ამ ამბით გამოწვეული აშკარა სიამოვნება ეტყობა? მაგრამ ბულნუა არც გულქვაა და არც რეგვენი, მოთმინებიდან კი არა და არ გამოდის, წონასწორობას არ კარგავს... „კატასტროფიზმის" თეორიას ამუშავებს. და არავითარ ყურადღებას არ აქცევს მეგობრის წარმატებებს.

არაჩვეულებრივად შთამბეჭდავადაა აღწერილი, როგორ მიდის ამერიკელი ჟურნალისტი პენდრაგონ პარკისკენ. წინათგრძნობა თუ რაღაც უხილავი ძალა გამოუსწორებელი შეცდომის, გაუსაძლისად სამწუხაროს, ტრაგიკულის, მოჩვენებითის, არარეალურის გარემოცვაში ამყოფებს. როცა მწერალი მთლიანად მოგვაქცევს უჩვეულოს მოლოდინში, თხრობას მხოლოდ მერე აგრძელებს და ჩვენც „კატასტროფიზმის" დადასტურების მოწმე ვხდებით. სიცოცხლით სავსე, წარმატების პიკზე მყოფი, უზადოდ ჩაცმული ბატონი ჩემპიონი სისხლით მოსვრილი, ხმლით განგმირული გდია ჩვენ წინ.

სულის ამოსვლამდე მხოლოდ მკვლელის დასახელებას ასწრებს — ბულნუა! მისი მკვლელი ბულნუაა!

ბულნუაზე შურისძიების სურვილმა ასეთი არაბუნებრივი, წარმოუდგენელი რამ გააკეთებინა ჩემპიონს. თავი მოიკლა, ყველანაირი მომავალი მოისპო, ოღონდ მკვლელობა ბულნუას დაბრალებოდა...

„მებრალებიან მე ჩემი მტრები—არ ვიცი მტრობა!" ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნითაა დაწერილი გალაკტიონის ეს სიტყვები.

ბულნუამ მტრობა არ იცის.

მღვდლისა და ქალბატონი ბულნუას საუბარში ორივე „მეტოქის" ხასიათი გადაიშლება. შეუძლებელია, ეს მკვლელობა ჯონ ბულნუას ჩაედინა. ეს მის ხასიათს არ შეესაბამება, „რომანტიკული მკვლელობა" მისი ცხოვრების სტილს ეწინააღმდეგება.

აღმოჩნდა, რომ არც ჩემპიონია შეყვარებული ქალბატონ ბულნუაზე, ასე რომ, სიყვარულისთვის თავის მოკვლა ამ შემთხვევაში გამორიცხულია. მაშ რა? ბატონმა ჩემპიონმა ასე იძია შური ბულნუაზე.

ნოველის ბოლოს ვხედავთ მამა ბრაუნის წინაშე ძლიერ დარცხვენილ ფილოსოფოსს, რომელსაც თავისი ნათქვამი ტყუილის აღიარება უჭირს. არადა, ამერიკელ ჟურნალისტს თვითონ გაუღო კარი და თავად უთხრა, ჯონ ბულნუა პენდრაგონ პარკში წავიდაო. მისი დანაშაულიც ეს არის — ჟურნალისტის მოტყუება.

ამ მცირე დანაშაულმა ის უდიდეს სასჯელს — ჩამოხრჩობას ააცდინა — ჭეშმარიტი მწერლური ხელოვნებით მთავრდება დეტექტიური ნოველა.

მაგრამ ბულნუას დანაშაული განა მართლა ის უწყინარი ტყუილია? მისი „დანაშაული" მისი შინაგანი თავისუფლება, დამოუკიდებლობაა, მისი „დანაშაული" ისაა, რომ „ამერიკას საერთოდ ქვეყნად" არ მიიჩნევს და, რაც მთავარია, არ იცის შური, არ იცის მტრობა...

* * *

უცხოურიდან ქართულად თარგმნის ისეთი დიდი და ხანგრძლივი ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კარგი თარგმანი არ გვიკვირს, უბრალოდ — მოგვწონს. მთარგმნელობითი თეორიების ერთმანეთისგან განსხვავების მიუხედავად, ყველა თეორიტიკოსი აღიარებს, მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ის ენაც, რომლიდანაც თარგმნის, და ის ენაც, რომელზედაც თარგმნის. და კიდევ, მთარგმნელის განათლება, გემოვნება და იქნებ ხასიათიც კი ჩანს სათარგმნელი ტექსტის შერჩევაში.

ამ ნოველის ახალგაზრდა მთარგმნელი ყველა ძირითად მოთხოვნას ბრწყინვალედ ართმევს თავს. შერჩეულია ე. წ. ინტე-

ლექტუალური დეტექტივის ნიმუში, ინგლისურიდან თარგმნის დროს შენარჩუნებულია დედნისეული განწყობა, შეფარული იუმორი თუ იდუმალების განცდა, რაც ცხადად ამტკიცებს, რომ მთარგმნელმა შესანიშნავად იცის ინგლისური, ხოლო ქართული ცოდნა გასაოცარიც კია (ვიცი, რომ არც ეს უნდა გავიოცო), იმიტომ, რომ მისი ტოლი გოგო-ბიჭების უმრავლესობამ არც კი იცის ზოგი იმ ქართული სიტყვის მნიშვნელობა, რომლებსაც ლალი ჩხეიძე მოხდენილად და ძალდაუტანებლად იყენებს თარგმანში.

დიდი მადლობა ჟურნალ „ჩვენს მწერლობას" იმისთვის, რომ ერთგულად იცავს პრინციპს: მიეცით ნიჭსა გზა ფართო...

„პოეტს სიკვდილისა არ ეშინია“

(თამაზ ბაძაღუა)

იყო პოეტი, რომელმაც შექმნა თავისი, ორიგინალური სამყარო, არ აირია ბრბოში თავისი წუხილით და საიდუმლოთი.

იყო პოეტი, რომელიც ოცნებობდა: „რომ ჩემი სულიც არ გაირღვეს, არ დაიშალოს“, რომ ელეგიაც ჰიმნად ექცია და შეძლებოდა უცხო ზმანებების დანახვა. ცხოვრობდა ბიჭი და სიკვდილის წინ ნატრობდა: „მზით დამთვრალი და მზეში დანთქმული წყაროდ მაინც ამოვჩუხჩუხდე“. და გაფრინდა იგი „იმ გამჭვირვალე სამეფოსკენ, იმ ცისკენ, სადაც ბნელი სიცოცხლე ეთერივით ადნება სადაფს“. შორი სინათლით მოცახცახე პოეტის სულს ყველგან, ყველა ქვეყანაში და ყველა დროში ერთი ხმა აქვს. ამიტომ იტალიელი პოეტის ლოცვა მეტად ქართულად ისმის, ან იქნებ ქართველი პოეტის ლოცვა იტალიურიდან თარგმანს შეფარებული:

ავე მარია! დედაო დამიცავ
წმინდა და ურყვნელი სული
ამ სოფლის სიცრუე-სიბილწის გვერდით
და თუკი შევცოდე ჟამიჟამ
შემინდე! შემინდე! მხურვალედ გვედრი.

პოეზია მეტაფორების ენაა. თამაზ ბაძაღუას მეტაფორები რთული, ღრმაშინაარსიანი, ასოციაციური და რაც მთავარია, ლამაზი და მოხდენილია. ზოგჯერ – პარადოქსებით მომხიბლავი. მაგ: თოვლი – სიყვარული, ზამთარი – გული, რომელიც ჯერ არ დანებებია უიმედობას.

გალაკტიონისეული „– ილაპარაკე!“ თამაზ ბაძაღუას ლექსში სხვა ელფერს იძენს და საოცარი პოეტური ხატით მთავრდება: „შენი ტუჩები გადაირბენენ გაქრობის და დავიწყების მწარე მინდორზე“.

პოეტის ცივ სასოწარკვეთას, სკეპსისს დილის მოლოდინი ათბობს, იმედი უხსნის გულს:

რადგან ათასი კაცი ვარ თვითონ,
და ათასივე მარტო კვნესის,
სანამ პატარა ჩიტი შობს დილას.

იმ პერიოდში, როცა ღმერთი აკრძალული იყო, პოეტი ღვთის გაუცნობიერებელ რწმენასა და იმედს კი არ ებღაუჭება, არამედ იცის, შესწავლილი აქვს ბიბლია, ესმის ღვთის სიტყვა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). ამ განცდით (ზეციერის ესვით) აღბეჭდილია არა მარტო „ფსალმუნი", არამედ სხვა ლექსებიც, სადაც ხილულად თუ უხილავად, აშკარად თუ შეფარვით ღვთის ხელი ტრიალებს. ღვთისკენ, შეუცნობლისკენ, დაკარგული სიხარულისკენ ამაღლება ხდება წყნარად, მშვიდად, გარდაუვალის გაცნობიერებით... „ბებერო ცაცხვო, გაზაფხულზე მეც ვყვავილობ შენს ხმელ ტოტებთან" – კოსმიური მთლიანობის გამცნობიერებელი პოეტის უკვდავების წინასწარმეტყველებაცაა, სიცოცხლის მარადიულობის განცდაც, სიკეთის, სილამაზის, გაზაფხულის უბერებლობის დასტურიც.

„სად არის წყარო, გეკითხები, სად არის წყარო..." ასე მთავრდება ერთი უსათაურო ლექსი. წმინდა წყაროს, უკვდავების წყაროს, ღმერთს ეძებს ავტორი. ლექსის დასაწყისში ვიწრო აღმართით და დიადზე ფიქრით კი მიგვანიშნებს რაღაც არამიწიერზე, მაგრამ მომდევნო კონტრასტი (ძეხვის ნაჭერი, ბოთლები და გაქონილი „სოფლის ცხოვრება") ულმობლად გვაბრუნებს მიწაზე და კონკრეტულ დროში და ამას მოსდევს: „ჩვენ არ ვიცით, რატომ მივდივართ...", სინანული ცოდვილისა, ვაება „მოწუწუნე თაობისა", „ვინ გამოგვიყვანს ეგვიპტიდან, ვინ გვაშიმშილებს ორმოც დღე-ღამეს", და სრულიად გულცივ, უღმერთო, „უცრემლო საუკუნეში" (მაკა ჯოხაძე) პოეტის სასოწარკვეთა: „უკვე მუხლები მეკვეთება, სად არის წყარო..."

სრულიად სხვა მოტივი იჭრება პოეტის ლირიკაში შვილისადმი მიძღვნილი ლექსით „მე ვარ მგელი...", რომელიც განსაკუთრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგრძნებითაა აღბეჭდილი.

როგორც საერთოდ ჭეშმარიტი პოეზიის, ისე ამ ლექსის შინაარსიც ბოლომდე გაუხსნელია და ზუსტ ანალიზს არ ექვემდებარება.

თვალშისაცემად მრავლადაა ამ კრებულში წინასწარმეტყველური ლექსები. ცნობილია, რომ შემოქმედებითი იმპულსი ავტორის არაცნობიერიდან მომდინარეობს, ზოგჯერ იგი ისეთ რამეს წერს, რისი თქმაც ჩაფიქრებული არა ჰქონია. ნათელხილვის უნარით დაჯილდოებული პოეტი გრძნობს, ხედავს, შეიცნობს მომავალ კატასტროფას თუ თვითონ იახლოვებს ტრაგიკულ აღსასრულს. „პოეტს სიკვდილისა არ ეშინია... სიკვდილი მისი ფიქრების მუდმივი სტუმარია“ (სალვატორე კუაზიმოდო). ის იმავე დროს იმასაც ხედავს, რომ მარადიული მზე არასოდეს ჩაქრება, პოეზიის ცაზე სამუდამოდ აღიბეჭდება მისი სახელი, როგორც ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავის. „ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიშის სურნელი“ ხელშესახებად გამოხატავს ავტორის განწყობას, მკითხველიც თითქოს თანამონაწილე ხდება სიცოცხლის არსის კიდევ ერთხელ აღმოჩენისა („სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. იმედი მძიმე“).

იქნებ ვცდები, მაგრამ ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვკითხულობ თამაზ ბაძაღუას ლექსებს, ასე მგონია, სამშობლოს ბედსაც (თუ უბედობას) წინასწარ ხედავდა. სხვა რა დავარქვა იტალიურიდან თარგმნილი ლექსის „დუმილი“ ამ სტრიქონებს („თეთრად გალაქულ ხომალდიდან ვხედავდი როგორ იძირებოდა ჩემი ქალაქი როგორ ვტოვებდი მიმქრალ ჰაერში დაკიდებულს ხანძარჩახვეულს“).

და ისევ ნათარგმნ ლექსში („სანაპირონი“) სწრაფვა სულის ამაღლებისკენ, მზადყოფნა თავშეწირვისთვის, სხვათა ბედნიერების, საყოველთაო სიკეთის დამკვიდრებისთვის. წასვლის დაჩქარება, რათა „მზიან დღეს კვლავ აყვავდეს სანაპირონი“.

...დაბოლოს, დიდი მადლობა ამ მშვენიერი კრებულის გამოცემის მესვეურებს, პროექტის ავტორს (მალხაზ ბაძაღუას), რედაქტორს (როსტომ ჩხეიძეს), შემდგენელს (უჩა შერაზადიშვილს), მხატვარს (კარლო ფაჩულიას), შესანიშნავი წინასიტყვაობისა და ბოლოთქმის ავტორებს (ანდრო ბუაჩიძესა და ივანე ამირხანაშვილს). მათ ხომ პოეტი გაგვიცოცხლეს და დაგვიბრუნეს. ასეთი რამ კი მხოლოდ ზღაპრებში თუ ხდება.

სახელდახელო ჩანაწერები

ირლანდიური აღდგომის ექო

ირლანდიური აღდგომა — იუწყება „ჩვენი მწერლობის“ 2010 წლის 5 თებერვლის გარეკანი. რა თქმა უნდა, რაღაც უაღრესად საინტერესო, უჩვეულო და ამაღელვებელი იგულისხმება ამ სათაურის მიღმა. ინგლისელთაგან დაპყრობილი ირლანდიის ბედი არაერთხელ შეუდარებიათ პატარა საქართველოს ხვედრსა და ბედისწერასთან. საფუძვლიანადაც. ირლანდიური აღორძინების ერთ-ერთი მეთაურის უილიამ ბატლერ იეიტსის პიესა „კეთლინ ნი ჰოულიჰენის“ მედეა ზაალიშვილისეულმა თარგმანმა კი აი, რა ფიქრები წამოშალა.

ეს მოცულობით პატარა პიესა უდიდეს გრძნობას და ტკივილს იტევს. დასაწყისში დახატული ყოფითი სცენა თითქოს არც მიგვანიშნებს რაღაც უფრო ღრმა და საკრალურისკენ. საგანგებოდ ამკვეთრებს მწერალი ერთ-ერთი პერსონაჟის, პიტერ გილეინის აღფრთოვანებას ვაჟის საქორწილო ტანსაცმლით, სარძლოს მზითვით, საერთოდ, მატერიალური კეთილდღეობით. პიტერს ვერც კი წარმოედგინა, თუ მის ქოხში ოდესმე ასეთი სიმდიდრე იქნებოდა. გახარებული, აღტაცებულ-აფოფინებული ცოლსაც კი შეახსენებს, რომ მას თავის დროზე ასეთი მზითევი არ მოჰყოლია (ამას უნებურად აკეთებს , ისე, რომ სულაც არ სურს ცოლის წყენინება). გულწრფელად უხარია შვილის ბედნიერება, შეჰხარის მის მომავალს, ეს მომავალი სავსებით უზრუნველყოფილი ეჩვენება, იმიტომ, რომ ბედნიერების საფუძველი — ფული, ქონება საკმაოდაა აქვს. დამპყრობელმა მოჩვენებითი მატერიალური კეთილდღეობა მოუტანა დაპყრობილ ხალხს. სწორედ ასეთი ვითარების გამო ამბობდა აკაკი წერეთელი: „კუჭმა გულს სძლია, ხორცმა სულს დაუთმოო“.

ერთი ჩვენი უკეთეს პოეტთაგანი გრიგოლ ორბელიანი ხომ დარწმუნებული იყო, რომ „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას". ის, რაც ერთის შეფასებით „ოქროს ჯაჭვი" იყო, სხვა თვალით დანახული, ილია ჭავჭავაძის დაუბინდავი მზერით აღქმული, მხოლოდ „დაჟანგებულ ბორკილად" მოჩანდა...

იეიტსის პიესაში ეს აფოფინება რაღაც განგაშმა, გაურკვევლის მოლოდინმა უნდა შეცვალოს. გილეინებთან სტუმრად მოსული მოხუცი ქალი დასაწყისშივე გაკრთება მკითხველის წინაშე. ეს ის ქალია, რომლის გამოჩენას ომები და ათასი უბედურება მოსდევს ხოლმე. ეს ის ქალია, რომელიც უკითხავად და დაუპატიჟებლად ესტუმრება ადამიანებს. ეს ის ქალია... მოკლედ, ეს ქალი ბებერი ირლანდიაა (ზოგადად სამშობლოა) თავისი წარსულით, ისტორიით, ენით, ზნით, ჩვეულებით, ცით და მიწით, აწმყოთი და მომავლით. მის წყნარ, ჩუმ, უშფოთველ არსებობას ვერც კი ვამჩნევთ მანამ, სანამ საფრთხე არ დაემუქრება. როგორც ვერ ვამჩნევთ ჰაერის, წყლის, ათასი აუცილებელი წვრილმანისა თუ მსხვილმანის არსებობას მანამ, სანამ ის არ მოგვაკლდება. თუ სამშობლო სვიანი და ბედნიერია, ვის მოაფიქრდება მისთვის პირადი კეთილდღეობის არა თუ გაწირვა, არამედ ოდნავ დათმობაც კი? საერთოდ, როცა ადამიანი საკუთარ თავზე ზრუნვაშია ყელამდე ჩაფლული, შეიძლება მას იმავე დროს სამშობლოც ახსოვდეს?..

„საბრალო დედაბრის სახე იეიტსმა მოიხმო ფოლკლორიდან, საბრალო დედაბერი — სიმბოლო ირლანდიისა, მოიხმო და გააზვიადა, რათა მძაფრად ეჩვენებინა თანადროული სურათი ქვეყნისა", — წერს როსტომ ჩხეიძე თავის შესანიშნავ ესეიში „ჩემი იეიტსი".

...„მზითვი დროებითია, ქალი კი მუდმივი თანამგზავრია", — ამბობს ახალგაზრდა მაიკლი. დროებითისა და მუდმივის, წარმავალისა და წარუვალის, მატერიალურისა და სულიერის, მდაბალისა და ამაღლებულის დაპირისპირება, მათ შორის არჩევანია ადამიანური ფიქრისა და განსჯის, მაშასადამე ლიტერატურის, მხატვრული სიტყვის საგანი და მიზანი ყოფილა იმთავითვე.

ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან და აქამომდე გაჯერებულია იმის მტკიცებით, იმ აზრის ჭეშმარიტების დადასტურებით, რომ ადამიანმა სულისთვის უნდა იცხოვროს, როცა საჭიროება მოითხოვს, „ხორცი დათმოს სულისათვის, უკვდავება არ დაკარგოს წუთისოფლის გულისათვის“. ეს საჭიროება კი ქართველისთვის უპირველესად სამშობლოა. და არა მარტო ქართველისთვის.

ვისთვისაც სამშობლო უფალთანაა გაიგივებული, ვისთვისაც სამშობლო რწმენაა, რელიგიაა, აღმსარებლობაა, მისთვის არასოდეს წამოიჭრება საკითხი, რა დგას სამშობლოზე მაღლა. როგორც უფლის გამოცხადება ურწმუნოსაც უცებ მოაქცევს, დაათმობინებს ამქვეყნიურ ყველა სიამეს, მარადიულს შეაგრძნობინებს, ასევე სამშობლოს ძახილი ადამიანს ყველაფერს დაავიწყებინებს, საკუთარს, პირადს განზე გადაადებინებს და იმ, უფალივით ერთადერთისთვის გააწირვინებს თავს.

აკი ორიოდე წუთის წინათ ცოლი მიაჩნდა მაიკლს მარადიულად. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და წმინდა კაცის ცხოვრებაში, ვიდრე ოჯახის შექმნაა, მაგრამ თუ იმავე დროს მოხუცი სტუმარი — შენი ქვეყანაც გეძახის?!

სატრფო-სამშობლოს ალეგორიას ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პოეტმა გარსევან ჩოლოყაშვილმა მიაგნო და შესანიშნავად გამოიყენა თავის „ნარგიზოვანში“. მერე და მერე ეს ხერხი უკვე დამკვიდრდა ჩვენში, ხოლო აკაკისთან სისტემადაც იქცა. ქალი—სატრფო—სამშობლო... იეიტსის პიესაში ქალი მოხუცია, ოლონდ... მრავალთა სატრფო. „ბევრი კაცი შეეწირა ჩემს სიყვარულს... თუ ვინმეს ჩემი დახმარება უნდა, მაშინ საკუთარი თავი უნდა შემომთავაზოს და ყველაფერი დათმოს“. მინიშნება გამჭვირვალეა. სამშობლოს მარტო სიტყვით სიყვარული არ სჭირდება, მას მსხვერპლად უნდა შეეწიროს მამულიშვილი. რაც საბრალო მოხუც ქალს უნდა, არც საჭმელია, არც სასმელი, არც ვერცხლი...

არ არიან მაიკლის მშობლები ის ადამიანები, ვინც შვილს იმ შეგნებით ზრდის, რომ სიცოცხლე მისი მამულის არის. ამ ახალგაზრდა კაცის დედ-მამას ამქვეყნიური კეთილდღეობა ბევრად

უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე მარადიული ღირებულებები. მაგრამ მაიკლი მონუსხა სტუმარი ქალის სიტყვებმა. ის სნებაშეყრილს, გაოგნებულს, შეპყრობილს ჰგავს და არის კიდეც.

არაფერი ამ პიესაში, არც ერთი პერსონაჟი, არც ერთი ფრაზა თუ მოქმედება არაა „ზედმეტი", ყველაფერი უაღრესად დატვირთული, ტევადი და გამიზნულია. გარეგნულად დაწურულ, მოკლე დიალოგებში შინაგანი ღელვა ქარიშხალს ედარება. მაიკლის შეგნებაში მომხდარი მძიმე, მტკივნეული, მტანჯველი გარდატეხა თავისი ძალით ალუდას სულიერ ფერისცვალებას შეიძლება შევადაროთ. ხვალინდელი ქორწილისთვის ოჯახის დიდი ხნის სამზადისი, მთელი მიწყდომ-მოწყდომა ერთბაშად აზრს კარგავს. სისხლის, გულის, გონების, ცნობიერის და არაცნობიერის კარნახით მაიკლის მზერა და სმენა განიწმინდება, ამქვეყნიური ცხოვრების ნისლი გადაეცლება მანამდე დაფარულს და მის წინაშე მთელი ბრწყინვალებით გამოჩნდება ის ერთადერთი, რომლის წინაშე სხვა ყველა სიამე ფერმკრთალდება... და ამაოა მშობლების ყოველგვარი შეგონება...

„სახლში მეტისმეტად ბევრი უცხო ხალხია", — ჩივის სახლიდან გამოგდებული დედაბერი, „ხალხმა არ იცის, რომ მტერი უკვე ოჯახში უზით" (გივი გეგეჭკორი), ამოდენა ქვეყანა აქვს რუსეთს და სხვისი ცოტა რად უნდა? — წუხს ალექსანდრე ორბელიანი...

„მაინცდამაინც ნუ დაიტირებთ, როცა საფლავებს გათხრიან ხვალ" (მოხუცი კეთლინი), „არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია"(ილია)... მამულისთვის თავგანწირულნი ხომ მარადიულად ცოცხლობენ სიმღერებში, ლეგენდებში, ხალხის ხსოვნაში. როგორც იეიტსის პიესაშია:

ისინი ეხსომებათ მარადიულად,
ისინი იცოცხლებენ მარადიულად,
ისინი ილაპარაკებენ მარადიულად,
მათ ხალხი მოუსმენს მარადიულად.

არ არის იოლი ყოველივე შეჩვეულზე ერთბაშად ხელის აღება და სამშობლოსთვის თავის გაწირვა. ყველას არ ძალუძს მზის ნათლის ჭვრეტა. ადამიანის სულში მუდმივად მჟოლავ ნაპერწკალს ანთება სჭირდება, საბაბად კი შეიძლება სხვადასხვა რამ გამოდგეს, თუნდაც მოხუცი ქალის მოწოდება.

„ჩემი დახმარება მძიმე სამსახურია. მრავალნი, რომელთაც ახლა ვარდისფერი ღაწვები აქვთ, ფერს დაკარგავენ... ბევრი კარგი ჩანაფიქრი ჩაიშლება; მრავალნი, რომელთაც ფული დააგროვეს, ვერ მოესწრებიან მათ დახარჯვას. მრავალი ბავშვი დაიბადება და მათ არ ეყოლებათ მამები, რომ ნათლობისას სახელი შეარქვან. ისინი, ვისაც წითელი ღაწვები აქვთ, ჩემს გამო გაფითრდებიან და იფიქრებენ, რომ ეს მათთვის კარგი საზღაური იყო.“

თითქოს ხევისბერ გოჩას ვუსმენდეთ,

ან დავით აღმაშენებელს დიდგორის ომის წინ,

ერეკლე მეორეს კრწანისის ომის დაწყებამდე...

იქნებ ვინმეს წმინდანთა სახე წამოაგონდეს და მათი თვალების ნელი სიხარულიც ცხადად დაინახოს, ნათლის ღია კარს რომ შეჰხარიან... დიდია ჯილდო მოწამეთათვის. სამშობლოსათვის თავგანწირულებს იქ უფალი გადასწერს ჯვარს, ერეკლე ხელს მოჰხვევს და გვერდით დაისვამს, თვით თამარი გამოეგებება ფეხშიშველი.

ნიშანდობლივია, რომ ნაწარმოების ბოლოს თორმეტი წლის პატრიკს სტუმარი ქალი ახალგაზრდა, ლამაზ, ყმაწვილ ქალად ევლინება, რომელიც „დედოფალივით მოდიოდა“. ამ დეტალით მთავრდება იეიტსის პიესა. თამარ მეფესავით მოდიოდა, — ალბათ, ასე დაამთავრებდა ნაწარმოებს ვინმე ქართველი მწერალი და სანუკვარ მომავალს თამარის შუქით გაასხივოსნებდა.

რა ფერისაა სამყარო?

რა ფერისაა ირაკლი ფაჩულიას ულამაზესი პეპელა, „ჩვენი მწერლობის“ 9 ივლისის ჩანართიდან რომ შემოგვანათა უეცრად (ნეტა მწერალი ვიყო, რომ შევძლო პეპლის ფერის ზუსტად გან-

საზღვრა)? თავდაპირველად თეთრად ან ღია ნაცრისფრად, იქნებ მტრედისფრად მოგეჩვენოთ იგი; მერე კი, როცა წარწერას წაიკითხავთ, რომელიც გვამცნობს, რომ ნახატს „ცხოვრება როგორც სიზმარი“ ჰქვია, ფერის განსასაზღვრად, ალბათ, ნისლისფერს უფრო მოიმარჯვებთ და დაიბეჯითებთ. რადგან ცხოვრება ნისლისფერია, წარმავალია, ბჭალით ვერ დაიჭირვის, მისი ლხინიც და ჭირიც წუთია (ზოგმა წამადაც რომ გაზომა და შეაფასა). თავად ნისლი — პეპელა — ცხად-სიზმარი, ერთდროულად ხილული და უხილავი, არსებულიც და არარსებულიც — ბინდისფერ ფონზეა გამოსახული და ნისლისფერ ჩარჩოში მოქცეული. ეს ნისლის ჩარჩო ბედის საზღვარია, კაცთა მოდგმისთვის ღვთისგან დაწესებული? ვერც შემოუვლი, ვერც გადალახავ, ვერც ცხადში, ვერც სიზმარში.

მაგრამ ნეტა ეს ცხადი რაღაა? ეს ის პეპელაა, რომელსაც ესიზმრება, რომ ადამიანია, თუ ის ადამიანია, რომელსაც ესიზმრება, რომ პეპელაა?

მქრქალად, ძლივს შესამჩნევად ნაირგვარადაა მოხატული პეპლის ფრთები,რომელიც სიმბოლურად ჩვენს ცხოვრებას, ოცნებებს, წარმოსახვებს უნდა აღნიშნავდეს. ოღონდ ეს მრავალფეროვნება ხელს არამც და არამც არ უშლის პეპლის ერთფეროვნებას (ფერფლის, ავლის ფერი ხომ არ არის იგი?). ერთიანიც და დაშლილ-დანაწილებულიც. რამდენი აჩრდილი, ცხოველი, ფრინველი, ზღაპრული არსებანი — ცალ-ცალკე არცერთი, მაგრამ ყველა ერთად — ცხოვრება, სასწაული.

ერთი დღით მცხოვრები პეპელა სწორედ რომ შესაბამისი სიმბოლოა წუთისოფლისა, კიდევ უფრო მეტად — იმ ამოუცნობი ფენომენის, სიზმარს რომ ვუწოდებთ.

მისი დანახვისას ადამიანს შეუძლებელია პირზე ღიმილი არ მოუვიდეს, სიამოვნება არ იგრძნოს, გული არ გაუნათდეს, თუმცა წუთისოფლის ამაოებასაც უმალ შეიგრძნობს და ალბათ მსოფლიო სევდაც შემოაწვება.

რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გამოქვეყნებულა ჟურნალის ამავე ნომერში ხორხე ლუის ბორხესის „საშინელი სიზმარი“, რომელიც ესპანურიდან ჩვეული პროფესიონალიზმით თარგმნა ბა-

ჩანა ბრეგვაძემ. ბორხესი იმოწმებს გრუსაკის წიგნს „სიზმართა შორის“. წიგნის ფინალში თურმე ავტორი ამბობს, რომ ყოველ დილით ის საღი გონებით იღვიძებს ან, ასე ვთქვათ, ერთგვარად საღი გონებით, მას შემდეგ, რაც მოინახულა აჩრდილთა სამყარო, ზმანებათა ლაბირინთები, — ნამდვილი სასწაული.

თავად ბორხესი დარწმუნებულია, რომ სიზმარი ბელეტრისტიკაა, ამიტომ ჩვენ, ალბათ, გამოღვიძების შემდეგ ვაგრძელებთ სიზმრის თხზვას მისი მოყოლისას. მაგრამ ხომ არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც — სიზმრის ბრწყინვალე რეალობასთან შედარებით მეხსიერებაში ჩარჩენილი სიზმრის ხატება უბადრუკობაა. რა მომხიბვლელია სიზმარში მარადისობის თუნდაც წამიერად ფლობა! სიზმრად ჯოჯოხეთის ან სამოთხის მოხილვა! მხოლოდ სიზმრად შეიძლება იყო მთელი სამყაროს პატრონი (ღმერთი) ან ყველაზე უმნიშვნელო ჭია, არარაობა...

ბორხესის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განაზრებანი მრავალგვარი ფიქრისთვის განაწყობს მკითხველს. მე, ცხადია, მისი ლექციის შინაარსის გადმოცემას არ ვაპირებ, განხილვას და მის შესახებ ჭკვიანურ საუბარს ხომ — არა და არა. მხოლოდ ერთ ციტატას მოვიხმობ თქვენი ნებართვით: „ველურისა და ბავშვისთვის სიზმარი ცხადის ეპიზოდია; პოეტებისა და მეტაფიზიკოსებისთვის კი მთელი სიცხადე შეიძლება სიზმარი იყოს. მის შესახებ მშრალად და ლაკონიურად ამბობს კალდერონი: „ცხოვრება სიზმარია“; შექსპირი კი ხატოვნად გამოთქვამს: „ჩვენ იმავე მასალისაგან ვართ ნაგები, რომლითაც ითხზვიან ზმანებები“. შესანიშნავად ამბობს ავსტრიელი პოეტი ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე... „ან ჩემი სიცოცხლე სიზმრად მეჩვენებოდა ანდა ეს იყო ცხადი?“... გრუსაკი შექსპირის იმავე ფრაზას იმეორებს...“ უკეთ ვერ იტყვი. ყველაფერი გასაგებია. ან, პირიქით, ყველაფერი გაუგებარია. თავი რომ დავანებოთ პლატონს, ვერგილიუსს, სხვა მოაზროვნეებს (ან რატომ უნდა დავანებოთ თავი), მაინც ვერაფრით გაგვირკვევია: აჩრდილია ნამდვილი რეალობა თუ რეალობაა მოჩვენება და აჩრდილი?

თუ ჩვენი უფერული ყოველდღიურობა ცხადი და რეალობაა, ჩვენი ფერადი წარმოსახვები, სიზმრები რატომღა არაა რეალობა?

სიზმრის თემას ლოგიკურად აგრძელებს ამავე ნომერში დაბეჭდილი ანდრე მორუას მისტიკური ნოველა „სახლი“ (ფრანგულიდან ჩინებულად თარგმნილი ლია დარაშვილის მიერ). „სახლის“ მთავარი პერსონაჟი ქალბატონი დიდი ხნის განმავლობაში ყოველ ღამე ერთსა და იმავე სიზმარს ხედავს — სახლს, რომლის ეზოს, ბილიკს, ალვის ხეებსა და თვით სახლის იერს, სახურავის ფერს და სხვას კარგად არჩევს (გამოღვიძებული დეტალურად იხსენებს ყველაფერს). ოღონდ შიგ ვერ შედის, კარს არ უღებენ. ფსიქოლოგიურად სავსებით დამაჯერებელია ქალის სურვილი, ნახოს ის სახლი სინამდვილეში. იქნებ ბავშვობაში უნახავს, იქნებ უხილავი ძალა აკავშირებს, იქნებ წინა ცხოვრებაში... ა, ვინ იცის?

კარგა ხნის ძებნის შემდეგ მიაგნო. ის აღელვება და აღფრთოვანება, შიში, რომ კარს არ გაუღებენ და ნახვის, აღმოჩენის სიხარული პერსონაჟთან ერთად მკითხველსაც ეუფლება და რა? სრულიად გამაოგნებელ ამბავს ვიგებთ მოხუცი მსახურისგან. სახლში სულს დაუსადგურებია, პატრონები მას გაქცევიან, ხოლო სული... თვით ეს ქალბატონია!

კი, ადამიანი ხორცი და სულია, კი, „სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყრალია“(დავით გურამიშვილი), კი, „სხეული ნივთიერებაა და სული ხელოვნების იდეა, რომელიც განხორციელებულია მკვდარ მასალაში“ (დიმიტრი უზნაძე)... და ათასგზის კიდევ კი, მაგრამ ასე შიშვლად? ასე თვალსაჩინოდ? ასე ხელშესახებად? სული ტოვებდა სხეულს, მოგზაურობდა და იმ სახლს, იმ ბაღს, იმ ეზოს სტუმრობდა. მას, სულს, აჩრდილს, მოჩვენებას ყველა ცხადად ხედავდა, იმდენად აშკარად, რომ მოხუც მსახურს არ გაჭირვებია სულის პატრონი ქალბატონის ცნობა. „ის აჩრდილი ხომ თქვენ იყავით“, — მიმართავს იგი ქალს.

...რა სეირი იქნება, თუ ჩემს სულს მართლა ხედავენ ჩემი ბავშვობის სახლში, ძალიან ხშირად, თითქმის მუდმივად რომ მესიზმრება! მაგრამ ვაითუ, სასეიროდ კი არა, საბოდიშოდ მაქვს საქმე. ათასგზის ბოდიში იმათ, ვისაც ჩემი სული მოსენებას არ აძლევს და მშვიდად ცხოვრებაში ხელს უშლის! ჩემდა უნებუ-

რად, უკითხავად, ღამღამობით ტოვებს სხეულს, შეჩვეულ და საყვარელ სახლს მოინახულებს, უთავბოლოდ დაბორიალობს სამ ოთახში, გამოსასვლელ კარს ვერ აგნებს ან ვერ აღებს ხოლმე... ჩემი სული იმ სახლიდან თავს დაიხსნის?— აროდესო, თითქოს პოს ყორანი მეპასუხება.. ნეტა, მწერალი ვიყო, რომ დაახლოებით მაინც შევძლო იმის გადმოცემა, თუ რას ვგრძნობ რას განვიცდი ასეთ წუთებში...

ვინ, ვინ გამარკვევს, ცხოვრება სიზმარია თუ სიზმარია ცხოვრება?

სიცოცხლის ვნება

კარგია, როცა თებერვალშიც თაკარა მზე აცხუნებს, როცა ქუჩებში ნაირგვარ სამოსში გამოწყობილი ადამიანები დასეირნობენ, ავტობუსები გზებზე მოძრაობენ, დახურულსარკმლიანი შენობები კი გარემოს სიმშვიდეს ჰმატებენ.

სიცოცხლის ხალისი და სიხარული, გაზაფხულის სუნი და ფერი, სიწყნარის, უშფოთველობის გემო და სიტკბო იღვრება ირვინ შოუს ნოველის „გოგონები საზაფხულო კაბებში“ დასაწყისიდანვე (დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ 2010 წლის მე-7 ნომერში. ინგლისურიდან არაჩვეულებრივად თარგმნა სოფიკო დაუშვილმა). ყოველდღიურობის ორომტრიალში სამყაროს ჰარმონიის, მშვენიერების, სილამაზის შემჩნევა და მისით ტკბობა ყველას როდი შეუძლია. პირქუში და გულქვა გარემო ადამიანებს სისხლს უყინავს, ათასგვარი წვრილმანი საზრუნავი ბავშვურ გულუბრყვილობას კლავს და ახალგაზრდულ ხალისს ადუნებს. მაგრამ თუ თებერვალია და მაინც თაკარა მზე აცხუნებს? ვინც ასე აღიქვამს სამყაროს, მისთვის ყველაფერი სხვაგვარადაა. შუახნისა და მოსუქებულიც ისევ ახალგაზრდაა, ისევ ძველებურად შეჰხარის მზეს, გაზაფხულს, სითბოს და საზაფხულო კაბებში ჩაცმული გოგონების ეშხს.

არ არის შოუს ნოველის პერსონაჟი — მაიკლი — მექალთანე, როგორადაც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს. მა-

იკლს სიამოვნებს ქალების ყურება. ნიუ-იორკი იმიტომ მოსწონს, რომ იქ აურაცხელი ქალბატონია. ცოლთან ერთად სეირნობის დროსაც მაიკლი თვალს ვერ სწყვეტს ქალებს.

„კისერი არ მოიტეხო", — ეჭვიანობის ხუმრობით გადაფარვას ცდილობს ფრენსისი.

ირვინ შოუ უბრალო, ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ ამბავს მხატვრულ ნაწარმოებად აქცევს. მწერალი ღრმად წვდება სამყაროს საიდუმლოებებს და წვეთში ზღვას ამიტომაც ამჩნევს.

ფრენსისი ქმრის გულის მოგებას ცდილობს — ცდილობს, იყოს კარგი მეუღლე, დიასახლისი, ერთგული მეგობარი და კვირა დღესაც მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში წასვლას იმიტომ სთავაზობს, რომ იცის, მაიკლს დიდი ხანია ეს უნდა. მაიკლი ნამდვილი დამფასებელია სილამაზის. დარწმუნებულია და ამ ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ ეპარება, რომ ღმერთმა თვალები იმისთვის მისცა, უყუროს მანდილოსნებს, მამაკაცებსაც, უცქიროს მეტროსადგურებს, ფეხით მოსიარულეთ, პატარა ყვავილებს მინდვრად, დატკბეს სამყაროს მშვენიერებით.

ასე უბიწოდ, სიხარულით, ამაღლებული განწყობით ცხოვრების შეგრძნება მხოლოდ სუფთა სულის, უმანკო, შეურყვნელ, დიდ ბავშვს შეუძლია.

მაიკლი არ ეშმაკობს, ცხვრის ქურქში არ ეხვევა, თავის ფიქრებსა და განცდებს ცოლს არ უმალავს. უშუალოდ და ალალად პასუხობს ფრენსისის შფოთიან შეკითხვებს. როცა მანდილოსნებს ხარბად უყურებს, მათთან სურს ყოფნა? — კი, ალბათ, ასეა. სურს მაიკლს ფრენსისისგან გათავისუფლება? — ხანდახან მართლაც სურს. გამოდის, რომ ერთხელაც იქნება, ცოლს მიატოვებს? — ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდეს...

ამ კაცის მთელი ხიბლი ისაა, რომ ის საგანგებოდ არ ეძებს, არ ქმნის სიტუაციებს. ხოლო ნებისმიერ ვითარებაში თვალი ჭამს, გონება თითქოს მისგან დამოუკიდებლად აღნუსხავს და იმახსოვრებს ლამაზ ქუდებს, ძვირფას ბეწვეულს, საუკეთესო სამოსს, მომხიბვლელ ქალებს... საქმე მარტო სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი კი არ არის, არამედ მათი პატრონებია — მათი მშვენიერი თვალები, ლამაზი მკერდი, ჩამოქნილი ტანი, საამო ხმა...

მაინც როგორი ქალები მოსწონს? ყველანაირი. გიჟდება ოფისის გოგონებზე, სადად ჩაცმულ, საქმიან ქალბატონებზე, უყვარს გოგონები ვახშმობისას, მოსწონს ათასგვარ სამოსში გამოწყობილი მსახიობები, მაღაზიის გამყიდველი გოგონებიც; მოსწონს თეატრში ქალების გვერდით ჯდომა და საქვეყნოდ ცნობილ ქალბატონთა ყურება; ახალგაზრდა, ლოყებაწითლებული გოგონების ცქერა ფეხბურთის მატჩზე და აგიჟებენ გოგონები საზაფხულო კაბებში.

ნეტა ყველა მამაკაცი ასეა? არავინ იცის, რა ხდება ადამიანის სულში. არ არსებობს სულში მიმდინარე ფარული პროცესების შემსწავლელი ლაბორატორია. ვინ იტყვის ზუსტად, ვისი შინაგანი არსება როგორ ეხმაურება ერთსა და იმავე მოვლენას ან რატომ განვიცდით და შევიგრძნობთ სამყაროს სხვადასხვანაირად.

არ მიაჩნია მაიკლს დანაშაულად დასვენების დღეს ცოლთან ერთად სეირნობისას გვერდით ჩავლილი ლამაზმანის თვალიერება. პირიქით, თუ არ შეხედავს, თავს დამნაშავედ მაშინ იგრძნობს. ყველგან, სადაც უნდა იყოს — მუზეუმში, ქუჩაში, კაფეში, სტივენსონების აგარაკზე, ყველგან და ყოველთვის ქალებს უყურებს და ეს ყურება ისეთი რომანტიკულია, თავისუფალი ყოველგვარი უხამსობისა და უტიფრობისგან!

იქნებ ეს „საშინელი" თვისება ცოლის ბრალია, იქნებ მობეზრდა მაიკლს ფრენსისი? „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების", იქნებ ფრენსისის სილამაზეც დრომ ან შემთხვევამ დააჭკნო ან უბრალოდ, ყავლი გაუვიდა მაიკლის თვალში? რა მარტივი და ერთმნიშვნელოვანი ახსნა მოეძებნებოდა მაშინ ქმრის საქციელს და მკითხველიც ყოველგვარ ინტერესს დაკარგავდა მის მიმართ.

მაიკლი კი ტელეფონის ჯიხურისკენ მიმავალ ცოლს უყურებდა და ფიქრობდა: „რა მომხიბვლელი ქალია, რა ვნებიანი ფეხები აქვს"; და ამ კონტექსტში ეს სიტყვები („ვნებიანი ფეხები") მოკლებული ყოველგვარ ვულგარულობას, სიწმინდით, სინათლით, სიცოცხლის ვნებით და სამყაროს შემოქმედისადმი მადლიერებით სუნთქავს.

ქართველ მკითხველს გულმა როგორ უნდა გაუძლოს, რომ სინაზის და მოკრძალების ჩვენებური გამოხატულება არ გაიხსენოს: „ამ დროს ნიავმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა/ და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,/ რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა..."

მაიკლი კი თავისას ფიქრობს: „როდესაც გვერდით ჩავუვლი, თუ არ შევხედე, თითქოს დანაშაულს ჩავდივარ"...

მაინც რა ფერავს საფერავს?

(მეცნიერის პოეტური დებიუტი)

კოტე კაკიტაძის ლექსები პირველად ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ გააცნო მკითხველს. მას მაშინვე მოჰყვა გულთბილი გამოხმაურება. ახლა კი ხელთ გვაქვს პოეტური კრებული — „ნახევარსაუკუნოვანი სევდის პატარა ჩამონაღვენთი“, როგორც წიგნის რედაქტორმა მარინე ბერიძემ უწოდა მას.

საკუთარი თავის ძიება, მარად ახალი და ძველთუძველესი კითხვები: ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რისთვის მოვდივართ ან მივდივართ? ძალიან უბრალოდ და სადად დასმული შეკითხვა:

ამ საფერავს რა ფერავს?

და პასუხი კი არა — ფიქრის გაგრძელება:

შავ საფერავს თლილი ჭიქა
ფიქრებს — ბნელი ღამე ნთქავს.

სევდითა და სინაზითაა სავსე პირობითად სატრფიალო ლექსები. პირობითად იმიტომ, რომ არსად პირდაპირ ქალის ხსენება, მხოლოდ ასოციაციები, წარმოსახვა, უჩინარი კავშირები. ლექსის მუსიკა სულს ათრთოლებს, გულს აძგერებს და გვირგვინად ადგას ცინცხალი განცდის გამომხატველი სტრიქონები:

სხვას უხმობდა ზარი!
და ცოფშეყრილს,
შენს ყვრიმალთან
ძარღვის ნელი ფეთქვა

ხაზარივით
ყივჩაღივით
მაფეთქებდა
დედფალ.

ამ ლექსების ავტორი განსწავლული კაცია, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ქართული ძირების, ფესვების მცოდნე და მუდმივად მაძიებელი. მის ლექსებში გიორგი ლეონიძის, გალაკტიონის, ანა კალანდაძის და სხვათა ხმა ყურისმომჭრელად კი არ ისმის, შიგადაშიგ, შორეულად შეგახსენებს თავს, გამშვიდებს და გაღელვებს ერთდროულად.

რა სევდიანი და საამოა „მონყენილი, უმძივებო კისერი", „გამტყდარი დოქი", „გამშრალი ყანწი" და „ბროწლიანში ნახვა შეთქმულთა" — უკანასკნელი სიყვარულივით ჩუმი, წყნარი, მწუხარე...

ეს ლექსები მოხდენილი ალიტერაციებითაც გვამახსოვრებს თავს. მითუმეტეს, რომ ფორმა და შინაარსი ცალ-ცალკე კი არ არის, არამედ ერთ მთლიანობას ქმნის და გრძნობათა გამოხატვას ემსახურება. მხოლოდ ორიოდე ნიმუშს მოვიხმობ: „ჩამიჩუმობს ჩრჩილი ჩრჩილად რჩენილი" ან „მეხი მუხას თუ არ მოხვდა, რა მეხია, მახარია! (შესიტყვება — მუხა-მეხი, ახალია?)"

ვაჟკაცური დარდი სერავს პოეტის გულს იმის გამო, უმაღლესს რომ ვერ მიწვდა, მწვერვალზე რომ ვერ ავიდა, მომავალს მოვლილ-ნაპატრონები ქვეყანა რომ ვერ დაუტოვა, „თამარ დედოფლის ციხე-დარბაზივით გაშლილი და მოხატული", სული რომ ვერ განიწმინდა და უზენაესს უშფოთველად ვერ მიეახლა... ვინ, ვინ უნდა მოუფონოს სულს, ვინ ჩამორეცხოს სირცხვილი? „ამ მთაზე ასვლას ახლა ლამობს ნაგრამი ჩემი. მთას ვერ ავცდებით!" — იმედი, სიამაყე, მობოდიშება, მადლიერება, შეუძლებლის შესაძლებლობა — მე მივაწერე თუ მართლა გამოთქვა პოეტმა?

„ცოდვის უძირობაში" ჩაძირულთ ეს ზამთარი სხვა ზამთრებზე სუსხიანი გვგონია. ღვთის სასჯელად განა ის არ ეყოფოდა ადამიანს, რომ მზე არ ჩანს, ღმერთი არ ჩანს, სულის სიმშვიდე

არსად არის, ახლა კიდევ ეს „ურითმო ლექსიც“ დაერთო და ლამის გასკდეს გული დარდისგან. არის საშველი? იქნებ უშველოს დარდის სხვა ქუჩაზე გადატანამ. გაგიგონია? „დღეს ორ ქუჩაზე გაჭიმულა ტკივილი გულქვა“. მართლაც და რა ქნან „სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მპოვნელთა“?

სამშობლოს, მისი წარსულის, მისი მომავლის, ენის, კულტურის ინტიმურ სიყვარულს ინახავს ოშკის ტაძარი. მხოლოდ ძალზე ახლობელს, უძვირფასესს თუ მიმართავს კაცი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობით გაჯერებული ასეთი სტრიქონებით:

შენს ბებერ კედელს,
შენს ჩუქურთმას,
ჩემგან უნახავს,
რამე სათქმელი ჩემთვის
ხომ არ გადაუნახავს?

ძველს, ქართულს, ტრადიციულს, უკვე გარდასულს თუ უნუგეშოდ მიმავალს ცრემლით და ტკივილით მისტირის გული. ბატონები რაა, ქართული ისიც სანატრელი გამხდარა. წითელა და ქუნთრუშა აღარ, ამ გამალებული გლობალიზაციის დროს მხოლოდ ყვავილი შეიძლება შეეყაროს ადამიანს. „ერდოზე მათრახით შემომჯდარი დრო“ გვაიძულებს დავივიწყოთ ძველი, შევეგუოთ ერთფეროვნებას.

სამყაროს იდუმალების ახსნას ცდილობს მარტოსული პოეტი: წვიმის ნათქვამის გაგონებას, ღრუბელთა ნაფიქრის მიხვედრას, ეს არც წვიმად ყოფნის სურვილია („რამ შემქმნა ადამიანად?”), არც „ნისლი ფიქრია მთებისას” — ვარიაცია, მაგრამ რა ქნას პოეტმა, როცა ესმის წვიმის მოყოლილი ჭორები და „ამბები უსირცხვილო ღრუბელთა”. სწორედ ასეთ დროს „ფიქრებს ღრუბელთ ნაფიქრალიც ედება” და წერს, დარდობს, ამოთქვამს კაცი კი არა, ცით მოვლენილი წვიმა. „მე არ ვწერ ლექსებს”, ამ სიტყვების გამეორება შეუძლია „წვიმის შემოქმედების” ავტორსაც.

კოტე კაკიტაძემ იცის სიტყვის გემო. მისი ცალკეული სიტყვები უკვე პოეზიაა — ბროწლიანი, აყელყელება, ხორგო და საწბერავი, ფლასი და შიშით გაჩხიბვა, ღალღა და ლეხიდარი და მრავალი კიდევ სხვა.

იგი სრულიად არაპოეტური სიტყვებით და ამბებითაც კი ქმნის პოეზიას (მაგ: „ოხრავს ყურმილი. ყურმოკრული ამბებით მთვრალი").

სულ პაწია შესავალში ავტორმა გაგვიმხილა — მისი ლექსების გამოქვეყნება როსტომ ჩხეიძის ბრალი ყოფილა. ბრალი კი არა, ბატონი როსტომის კიდევ ერთი დამსახურება სხვა დამსახურებათა შორის — ახალი პოეტის აღმოჩენა.

ეს თეთრი ძაფი ყველას გვჭირდება

(ქარდა ქარდუხის პირველი რომანი)

ქარდა ქარდუხი – ფსევდონიმი თვითვე გაუწყებს, რომ მასში წვეთი სისხლისა არ არის არაქართული. ქარდუ, კარდუ, ქალდეა... უძველესი კი არა, მითიური ფესვები ქართველებისა აგერ ფსევდონიმში ასე მოკლედ და ასე ტევადად გამჟღავნებულა. თუმცა მარტო ფსევდონიმი, თუნდაც მარჯვედ შერჩეული, რაღა თქმა უნდა, ვერ განაპირობებს ნაწარმოების ღირსებას. ქარდა ქარდუხის „ძაფზე მოფარფატე სულმა" კი მოულოდნელად ღრმა და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს თხზულება (რომანი) გაგრძელებებით იბეჭდებოდა „ჩვენი მწერლობის" სამ ნომერში.

თავიდანვე მისტიკურ სამყაროში შევყავართ ავტორს, უკან, წარსულისკენ მიგვახედებს, მაგრამ ისეთი შორეული წარსულისკენ, რომელსაც მზერა ვერ სწვდება. საუკუნეების სიღრმეში ჩაფლული თუ ჩამარხული იქნებ არც უნდა შეგვეწუხებინა ამ ყოვლად პრაგმატულ საუკუნეში მცხოვრებ ადამიანებს. მაგრამ რა არის აწმყო? რა არის მომავალი? ან წარსული რაღაა? ვინ იცის, ვის შეუძლია დაამტკიცოს ათასობით წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული, განმტკიცებული, უბრალოდ, შეთვისებული ტრადიციის, ჩვევის გონიერება. დღევანდელი გადასახედიდან ხომ სრულ უაზრობად მოჩანს სხვაგან გარდაცვლილის სულის ძაფით წამოყვანა, დაბრუნება შინ. ეს ეჭვი ტანჯავს, ღრღნის რომანის გმირს. ისინი რომ არ გააბრაზოს, მ ა თ რომ არ აწყენინოს, ყოველგვარი წესების დაცვით უნდა შეასრულოს რიტუალი. არადა, გულის სიღრმეში არ სჯერა, არ სწამს. და მერე თანდათანობით, ურთიერთსაპირისპირო გრძნობათა ჭიდილში თვითონაც ვერ გრძნობს, როგორ ხდება მისთვის გარდასული და ზღაპრული უფრო ნამდვილი, ვიდრე რეალობა.

რომანში ორი ძირითადი სიუჟეტია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. გარდაცვლილი დის – ნათიას სულის მოყვანა აუცილებლად მოიყოლებს ბავშვობის და საერთოდ, ნათიას ცხოვრების ეპიზოდების გახსენებას. ავტორი ხასიათების შესანიშნავი მხატვარია. თითქოს მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც თავიანთი განუმეორებლობით ამახსოვრებენ თავს მკითხველს. შიგადაშიგ კი სხვაც ბევრი პლასტი თუ შრეა.

საგანგებოდ ვცდილობ თავი ავარიდო მამლის, წითელი ღვინის, ბავშვის, სიმღერის... სიმბოლურ მნიშვნელობებზე საუბარს. მათი დაწვრილებითი ახსნა ვერ მოგვცემს რომანის სათქმელის გასაღებს. აქ თვით ადათი კი არ მოითხოვს რაიმენაირად ახსნა-განმარტებას, არამედ ჩვენი სულის მდგომარეობაა საჩხრეკ-საკვლევი. წინაპართაგან შეთვისებული გაუგებარი და უცნაური ტრადიცია მოწინების, მოკრძალების განცდას აღუძრავს არა მარტო მის მატარებელ, შემსრულებელ ხალხს, არამედ იმათაც, ვისაც ჯერ არაფერი სმენია, არ უნახავს, არ გაუგია მსგავსი რამ. საავადმყოფოში მისულ ოდის სულ ჰგონია, რომ ან ახლა გაიცინებენ საავადმყოფოს თანამშრომლები, ან –ახლა. ისინი კი საოცარი სერიოზულობით, მეტიც, შინაგანი შიშითა თუ რიდით შეჰყურებენ მისტიკურ რიტუალს. არავინ იცის, როგორ მიჰყვება სული თეთრ ძაფს. მიჰყვება კი საერთოდ? სად მიდის სული, როცა ძაფი იბურდება, წყდება, იკარგება? ხომ არ ვაწამებთ საყვარელი ადამიანის სულს? ნუთუ სხეულისგან გათავისუფლებული სული ისევ ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენ კი საავადმყოფოდან სახლში, ერთი პატიმრობიდან მეორეში მოგვყავს? ამდაგვარი ეჭვების მიუხედავად, საკულტო რიტუალივით ასრულებს ვაჟი მითაჟამინდელ წესს. საგვარტომო სჯულს აბა როგორ ეღალატება? ამასობაში კი თავად მაღლდება, თავად განიწმინდება. გრძნობს რაღაც საერთოს მარტო დის კი არა, იმ უშორეულესი წინაპრების სულებთან. სწორედ ეს ბუნდოვანებაში გახვეული გარემო წარმოუსახავს შუმერებსაც, წარმართობასაც და ეჰა, ვერა, თვალი და გონება ვერა სწვდება სიშორეს, თუმცა რა სიშორე, ეს ხომ აწმყოცაა და მომავალიც. ეს ხომ ის ძველია, რომელიც მარადიული ამაღლების საფუძვლად იქცევა ხოლმე.

სიუჟეტი რომანისა რთულია, იმავე დროს მომხიბლავი და წარმტაცი. მღელვარეა თავად ნათიას ცხოვრება. საზოგადოებრივი

მორალის, ცნობიერების წინააღმდეგ წასვლა არც თვითონ სურს. როგორ ებრძვის საკუთარ თავს, როგორ ამბობს უარს ღვთიურ, ჭეშმარიტ სიყვარულზე, მაგრამ არც უსიყვარულოდ არსებობა შეუძლია. ვიდრე ცოცხალი იყო, არავინ შეიბრალა, ვერავინ გაუგო. დარჩა მარტო, სულ მარტო ქვეყნიერების წინააღმდეგ. ის ისეთი სუფთა, წმინდა, მთრთოლვარე სულის პატრონია, რომ მკითხველს მაშინვე შეუყვარდება. ტრაგიკულად იღუპება სატრფო, რასაც მოჰყვა კიდეც ნათიას სულიერი აშლილობა და საბოლოოდ სულის სხეულისგან გათავისუფლება. ავტორმა თითქოს საგანგებოდ ააცილა ახალგაზრდა ქალს უზნეობა, ამორალური საქციელი და მკითხველი იმაზეც დააფიქრა, ვიცით კი ზუსტად რა არის უზნეობა? სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ ხომ ყველაფერი წმინდაა და ხელშეუხებელი. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების დარად აქაც ტრაგიკულად მთავრდება სიყვარული, მაგრამ დამნაშავე, ცხადია, ეს გრძნობა კი არ არის, არამედ მისთვის ხელისშემშლელი უსულგულო საზოგადოება. შემთხვევითი არ არის, რომ ძმა დამნაშავედ გრძნობს თავს უკვე გარდაცვლილი დის წინაშე. ერთადერთი ადამიანი, ვისაც არაფერი დაუშავებია, არაფერი ცოდვა არ მიუძღვის ნათიას წინაშე, ვისთანაც მეგობრობდა, ვისაც საიდუმლოს ანდობდა, ვისთანაც რაღაც უხილავი ძაფებით იყო მიბმული და დაკავშირებული ნათია, ეს ოდია, მისი ძმა. მაგრამ რატომ გრძნობს დანაშაულს, რატომ ქენჯნის სინდისი, იმიტომ განა, რომ ისიც წევრია ამ ჩვეულებრივი და ათადან და ბაბადან უცვლელი საზოგადოებისა? ვინ იცის.

ნეტა საიდან მოჰყავდათ ჩვენს წინაპრებს სული—სხვა ქვეყნებიდან, ზღვიდან, მთიდან, ბარიდან... თუ იმათაც სამკურნალოებიდან? სხვათა ომებში დაღუპულთა თუ სამშობლოს დასაცავად დაცემულთა სულები მოჰყავდათ? ხშირად რომ ჰყავდათ მოსაყვანი, ცხადია. ხომ არ არის ასახული, გამჟღავნებული ამ ჩვეულებაში ხალხის, ერის ტრაგედია? საკუთარი, ეროვნული სულის შესანარჩუნებლად, ოჯახის და სახელმწიფოს განსამტკიცებლად და გასაერთიანებლად სხვაგან არ ტოვებდნენ, სახლში მოჰყავდათ და საოცარ ერთიანობას გრძნობდნენ ცოცხლები გარდაცვლილებთან და უზენაესთან.

ყველაფერს გონებით ვერც ახსნი. ეს ის ერთიანობაა, ჭკვიანნი რომ ვერ მიხვდებიან და მხოლოდ ტრანსცენდენტური წვდომით მიიღწევა. ტყუილად კი არ მოგვესმის ნაზია მამიდას ლოცვაში პრეისტორიული ხანის ქურუმთა ხმა, ღაღადისს რომ აღუვლენდნენ ღმერთებს. მთავარი კი, ალბათ, ისაა, რომ „მითაჟამიდან მოაქწამამდე იოტის ოდენადაც კი არ შეცვლილა რამე ადამიანის სულისკნელში, ოდნავადაც არ გაზრდილა კაცის სული, თუკი არ დაკნინდა კიდეც! მაშ ჩვენც ხომ იგივე პრიმიტივები ვართ, განა მათზე მეტი გაგვეგება სულისა?“ დროის სვლა ხომ უთუოდ განვითარებას არც გულისხმობს და შემდეგ მცხოვრებს არავითარი უპირატესობა არა აქვს ადრე მოსულთან შედარებით. სული უკვდავია და რაც ყოფილა, ის არის და ის იქნება. საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობას ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე. აბა, ვინც მეტი იცის, იმან დასცინოს, იმან შეხედოს ირონიულად მიღმურ სამყაროსთან დამაკავშირებელ, იდუმალ, სიმბოლურ, საკრალურ, გზაზე გაჭიმულ თეთრად მოქანავე ძაფს... აბა, დაამტკიცოს ვინმემ ტყაშმაფებისა და ოჩოკოჩების ზღაპრულობა, არანამდვილობა. ამ მითებისა და ლეგენდების სამყაროში გაზრდილ კაცს განუსჯელად, ბრმად სწამს მათი არსებობა, და ვისაც არ სწამს, მათზეც მაგიურად მოქმედებს, ისინიც მაგიურ თრთოლას თუ ჟრჟოლას განიცდიან გამოუცნობი ლანდებისა და ქიმერების წინაშე.

სიკვდილის შიშის დათრგუნვა, სიკვდილის მოთვინიერება, მოშინაურება ხომ არ ენება პირველად სულის მომყვანს? ჩვენი ცხოვრების უაზრობის, აბსურდულობის გამართლება ხომ არ არის სულზე ზრუნვა და მისი პატრონობა. ისწავლა კი ადამიანმა ღირსეულად სიცოცხლე და ღირსეულად სიკვდილი, თუ ასეთნი, სოკრატეს მსგავსნი, განსაკუთრებულობის ნიშნით აღბეჭდილნი თავიდანვე განსხვავებულნი იბადებიან? ისწავლეს და წვართეს სული თუ ზეციდან მიეცათ საკუთარი ძალისხმევის გარეშე? ზებუნებრივ და უცხო ძალებთან რა გვაკავშირებს ან ეს მირიადი ვარსკვლავით მოჭედილი ცა რა არის? ცით მოწყვეტილი ვარსკვლავია ადამიანი თუ პირიქით, სხეულისგან გათავისუფლებული სული იქცა ვარსკვლავად, თუ მარადიული

წრებრუნვაა და ჩვენი თვალისთვის უხილავი თეთრი ძაფებია გაბმული ციდან დედამიწამდე, დედამიწიდან ცამდე...

ურთულეს, ყოფიერების კარდინალურ საკითხებზე გვესაუბრება ავტორი მეტად წარმტაცად, უბრალოდ, მაგრამ არა პრიმიტიულად. ადამიანის სულის სიღრმეთა ჩხრეკა, ფსიქოლოგიური ხასიათების შექმნა, ფილოსოფიური პრობლემების ანალიზი დაუსახავს მიზნად, სათქმელისთვის მიმზიდველი ფორმა, ქარგა მიუცია და ამიტომაც იოლად ვერ გამოეხსნება მკითხველი.

ვერც არქეოლოგიური გათხრები, ვერც უძველესი პალიმფსესტები თუ ეპიგრაფიკული წარწერები ბევრს ვერაფერს შესძენს ჩვენს წარმოდგენას სულზე, თუ ცოტა ფანტაზია, წარმოსახვა არ მოეხმარა. მზის დედად და მთვარის მამად აღმქმელ ხალხს სამყაროსთან სიახლოვე არ უნდა უკვირდეს, ეუცხოებოდეს და უძნელდებოდეს. თუ მთელის ნაწილად ვიგრძნობთ თავს, თუ ცა მყარია, თავისი პლანეტებით ჩვენი სულის ნაწილია ან ჩვენ ვართ მათი ნაწილი, მაშინ იქნებ მითებსაც უფრო რეალური, ხელშესახები საფუძველი ჰქონდეთ, იქნებ ვარსკვლავთა შორის ქროლვა მთლად ფანტაზიაც არ იყოს, და თუ სხეულით ვერ, სულით ქროლვა მაინც რატომ ვერ უნდა მივიღოთ რეალობად?

მითებისა და ლეგენდების სამყარო რაღაც შორეულისა და ძალიან ახლობელის მონატრებას იწვევს, სევდა, ნოსტალგია ეუფლება გულს, გაურკვეველი, მაგრამ შენეული, თითქოს შენი სულის ნაწილი გეძახის და გიხმობს. ბევრი რამ წაშალა და მოსპო დრომ, მაგრამ იმათთვის, თავდახსნილთათვის არც არაფერი ადრეა და არც არაფერი გვიან. სულთა საუფლოში „ნიშანი და საგანი ერთია". ეს ჩვენ გვჭირდება მათ მოსაახლოებლად თუ მათთან მისაახლოებლად სიმბოლური, სარიტუალო ნივთები, ეს ჩვენს სულებს სჭირდება დახმარება და გათავისუფლება, დროჟამის ტყვეობაში მყოფთ ეს ჩვენ გვესაჭიროება სწორი გზის დანახვა... მართალთა თანა მისასვლელად. საავადმყოფოდან სახლამდე გაბმული თეთრი ძაფი ცვლის, ასხვაფერებს ოდის სულს. უნათდება სული თითქოს აღარსადაა მტანჯავი სიმძიმე. ეუფლება რწმენა უკვდავებისა, მარადიული სიცოცხლისა.

რომანში მთავარი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ არის ერთი ჩვენთვის, ქართველებისთვის მტკივნეული თემა. ეს აფხაზეთია. რომანის პერსონაჟები აფხაზეთიდან არიან, ჩვეულებაც — ძაფით სულის წამოყვანა — იქაურია. ერთი შეხედვით, ნაწარმოებს არაფერი არ დააკლდებოდა ომისა და მისი შედეგების, უღელტეხილისა და სანატორიუმის აღწერის გარეშეც. მაგრამ ის მცირე მონაკვეთებიც, რომლებიც დევნილთა თუ გადმოხვეწილთა შესახებ გვიყვება, გვაგრძნობინებს, როგორ ღრმად, გულისგულში აქვს გამოტარებული ავტორს საქართველოს ცხოვრების ეს ტრაგიკული ეპიზოდი. აფხაზეთის თემაზე დაწერილ სხვა მრავალ თხზულებას ჰგავს და არცა ჰგავს ქარდა ქარდუხის რომანი. აქ დიდი ტაქტით არის აღწერილი პერიპეტიები იმ ავადსახსენებელ უღელტეხილზე - ვაჟკაცობისა და ლაჩრობის, სიმამაცისა და სიმდაბლის, დიდსულოვნებისა და გულნამცეცობის, გულჩვილობისა და სისასტიკის, გამძლეობისა და სასოწარკვეთის მაგალითები. და ყველა მართალია, რეალისტური, დამაჯერებელი. მხოლოდ ერთგან, თითქოს სასხვათაშორისოდ შენიშნავს მწერალი, რომ გარდაცვლილის სული სახლში კი არა, სანატორიუმში მიჰყავთ, სადაც ამჟამად ცხოვრობს ნათიას ოჯახი. ეს დეტალი საკმარისია იმისთვის , რომ მკითხველს თვალწინ წარმოუდგეს სანატორიუმებში მცხოვრები ხალხით მოფენილი საქართველო.

და კიდევ ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო რომანიდან. ძაფის სათხოვნელად მანქანიდან გადმოსული ბიჭი ერთ მოხუცს ხვდება, რომელმაც იცის ეს წესი. ახსოვს. მართალია, დიდი ხანია თავის ქვეყანაში არ ცხოვრობს, მაგრამ არ დავიწყებია. თავისი ქვეყანა კი ჩვენი საერთო სამშობლოა. მუჰაჯირობის დროს აფხაზეთიდან თურქეთში მოხვედრილი აფხაზის შთამომავალია მოხუცი. „შორსმჭვრეტელია რუსი. ჭკვიანია რუსი. ჯერ აფხაზები აგვყარა დედაწულიანა და თურქეთში გვიკრა თავი. ახლა ქართველები გამოგრეკათ“, — ასე აფასებს გამოცდილი და დაკვირვებული კაცი შექმნილ ვითარებას. და უკვე აღარ გიკვირს, რომ მისი ქალიშვილი საოცრად ჰგავს ნათიას, ხოლო სამშობლოსთან, სახლთან, კერასთან დამაკავშირებელი თეთრი ძაფი ყველას ერთნაირად სჭირდება.

ირლანდიური სამყაროს ანარეკლი

(„კელტური მიმწუხრის“ ქართული ვერსია)

იეიტსი ჩვენი უდიდესი პოეტიაო, — უთქვამს საქართველოში სტუმრად მყოფ ჯონ სტაინბეკს კოლაუ ნადირაძისთვის.

იეიტსი ჩვენი, ქართველების უდიდესი პოეტიც არის და არა მარტო იმიტომ, რომ მსოფლიო გენიოსნი ყველა ქვეყანას, ყველა ერს, მთელ კაცობრიობას თანაბრად ეკუთვნიან. ეს თავისთავად. იმიტომაც, რომ მისი საწუხარ-სადარდებელი ასე დამსგავსებია ჩვენს ყოფას და მე-19 საუკუნეშიც და ახლაც, 21-ეშიც.

მწარეა ტკივილი, სამშობლოს დამხობით გამოწვეული. რამ შეიძლება გადაარჩინოს თავქვე დაქანებული ცხოვრება? ყველაზე მკვიდრი, ხელჩასაჭიდი, საიმედო საძირკველი ერისა, რა თქმა უნდა, ენაა (ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით). ენამ გააერთიანა ქვეყანა ფარნავაზის დროსაც („და არღა იზრახებოდ სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“), ჩვ.წ. VIII-IX საუკუნეებშიც („ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“) და ენამ გადაარჩინა და მომავალს შემოუნახა XIX საუკუნეში არარსებული საქართველოს სახელმწიფო. „ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა, თავისი მამულიცა. თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ როგორ უნდა იცოდეს, ვინ იყვნენ იმის მამა-პაპები, როგორ სცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რასა სწუხდნენ?“ (გრიგოლ ორბელიანი). „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული ლალი ეზუგბაიას წერილიც მრავალმხრივ არის დამაფიქრებელი. „მსოფლიოს საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ატლასში“ ძალი-

ან შემაშფოთებელი სტატისტიკაა მოცემული თურმე. ულმობლად და უმოწყალოდ ქრებიან ენები და ამის ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა „საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება საკუთარი ენისადმი“... გარეშე ფაქტორები ჰო და ჰო და ესეც. დაახლოებით ისეთი დამოკიდებულება, როგორიც მე-19 საუკუნეში გიორგი მუხრანბატონმა გამოამჟღავნა ქართული ენისადმი, ან ისეთი, გრიგოლ ორბელიანი ერთ კერძო წერილში რომ აღბეჭდავს: „საქართველოში კი ქართველი დედები უარს ყოფენ ქართულ ენას და შეურაცხებით, ტუჩებ-აშვერით ამბობენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა“. ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენს აწინდელის საზოგადოების სამწუხარო მდგომარეობასა, მის უმეცრებას, გზის დაკარგვასა“. ორიოდე მაგალითი კიდევ და საკმარისია. ნიკოლოზ ბარათაშვილის „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა“, აკაკის „მაშენკა“, რომელიც რუსულად აუჟღურტულდა მგოსანს, რაკიღა ეზარებოდა ქართული.

მიყვარს კალინა-მალინა, მძულს ვარდები და იაო,
სამშობლო რასა მიქვიან, მეწყერსაც წაუღიაო.

არადა ენის გაქრობა თურმე ეკოსისტემის გაქრობა-დამახინჯებასაც იწვევს (და პირუკუ). სამყაროს ჰარმონიას და ერთიანობას სულ უმნიშვნელო მწერის რომელიმე სახეობის გაქრობაც კი არღვევს და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ენა და ეკოსისტემა ასე პირდაპირაა ერთმანეთთან დაკავშირებული. რა გამოდის? ეს უთვალავფერიანი სამყარო ჯერ თანდათან ერთფეროვანი გახდება და მერე...

მაგრამ ჩვენ უილიამ ბატლერ იეიტსზე გვინდოდა საუბარი, ირლანდიური აღორძინების ერთ-ერთ ბელადზე, სტაინბეკი თავიანთ უდიდეს პოეტად რომ მიიჩნევდა იმის გამო, რომ იეიტსი ინგლისურად წერდა. გაქრა ენა, ინგლისური მძიმე კაბალის ქვეშ მყოფმა ერმა ვერ შეინარჩუნა მშობლიური ენა, ვერ დაიცვა, ვერ მოუარა და ზედმეტია გარეშე თუ შიდა ფაქტორების ძიება, იმდენად შემზარავია რეალობა — აღარ არის, გაქრა ენა. და რა

სულიერი ძალა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში მოახერხოს უძველესი ფესვების მოხილვა. დიდი კულტურის, მრავალსაუკუნოვანი შემოქმედების, მითებში, ზღაპრებსა და ლეგენდებში გაბნეული წარსულის აღდგენა, ამოზიდვა, გაცოცხლება და ყველასთვის დანახვება.

მრავლისმთქმელია იეიტსის ლექსების, პიესების და პროზაული ჩანაწერების კრებულის „კელტური მიმწუხრი". ბოლოს დართული ბიოგრაფიული ცნობები: იეიტსმა სხვადასხვა დროს დააარსა ირლანდიის ლიტერატურული საზოგადოება, ირლანდიის ეროვნული საზოგადოება, ირლანდიის ეროვნული თეატრი, ირლანდიის ლიტერატურის აკადემია. ამ ფაქტებს როსტომ ჩხეიძე მიაქცევს ყურადღებას თავის შესანიშნავ ესეში „ჩემი იეიტსი", რომელიც გამომცემლებმა („ინტელექტი") წაუმძღვარეს იეიტსის თხზულებათა კრებულს. ამ წერილში ისე ზუსტადაა შეფასებული იეიტსის მოღვაწეობის მნიშვნელობა, თანაც ისე მიმზიდველადაა დაწერილი, რომ წიგნზე მსჯელობისას ამ წერილის გავლენას, ბუნებრივია, ვერ ავცდებით და სწორედ გავლენის გამო თავს აღარ შევიკავებ და მეც ვიკითხავ დიდებულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეზე: ამდენი რამის მომქმედი მაინც არ მოუკლავთ?

დამპყრობლისა და დაპყრობილის ურთიერთობა ყველგან და ყოველთვის ჰგავს ერთმანეთს. აქაც და იქაც დამპყრობელი შთააგონებდა დაპყრობილს, რომ მან შეიტანა ქვეყანაში ცივილიზაცია, მან შექმნა სახელმწიფო, მან მისცა განათლება, მისით იწყება ისტორია... ამ სიყალბეს აღუდგნენ წინ იქ იეიტსი, აქ — ალექსანდრე ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე...

როცა თმაჭაღარა სიმართლე ჭრელ ტიკინას დაემსგავსა, ღირებული მხოლოდ სიტყვა დარჩა — უფლის სიტყვა. დაიკარგა, მოკვდა კაცთა სიმართლე, აღარავის აინტერესებდა ძველი ცხოვრება, ის დრო, როცა სიყმაწვილის ჟამი ედგა ამ ბებერ მიწას. რაღა დარჩენოდა ადამიანს, ვინც ცხადად თუ სიზმრად ერთსა და იმავეს, სამშობლოს მწვანე კორდებს ხედავდა, მის ცვარ-ნამს, მის შუბლზე ყაყაჩოს წნულს მზერდა? თავშესაფარი მისთვის ოცნებაა. შენც იოცნებე — ოცნებაა სიმართლე შენი. ოცნებას უნდა გადაერჩინა დაკარგული სამშობლო. ოცნებას,

ლოცვას. ტაძრის ქურუმი ქალი ლოცულობს თავისი მიწისთვის და რადგან უფლის მიერ შექმნილი ჰარმონიული მთლიანობა არ უნდა დაირღვეს, ლოცულობს ამ მიწაზე არსებული ყოველი სულიერის სიმშვიდეზე — ო, ბრაჰმა, ძილი დაიფარე მხიარულ კრავთა და უწყინარ ძროხების ჯოგთა, / ფოთლების ჩრდილქვეშ შემძვრალ მწერთა და წრუწუნათა, / ხის ფესვებში რომ დაუდევთ სორო და ყოველ წმინდა / ცხვრების ფარათა, / და წითელფრთიან ფლამინგოთა, და ვიჯაიაც დაიფარე, / ტრფიალი ჩემი.

იეიტსის ლექსთა განწყობა, ხან თემატიკაც ქართველ პოეტთა ასოციაციებს იწვევს. ეს გენიოსთა შეხმიანება, სულიერი შეხვედრებია. მაგალითად, მინავლებული სიყვარულის სიმღერა გალაკტიონის უკანასკნელი სიყვარულის გალობას მოგვაგონებს, დროჟამისაგან გამოცდილი ძველი წიფელი ვაჟას ხმელ წიფელს ჰგავს, ათას ცოცხალს რომ სჯობს ბევრჯერ, ჩვენი რომანტიკოსებივით „მსოფლიო სევდასაც“ შეუპყრია ირლანდიელი პოეტი და სამყაროს მთლიანობისთვისაც აღუვლენია ხოტბა.

თავისი მწერლური დანიშნულება მკაფიოდ განსაზღვრა და ასე ჩამოაყალიბა: „მეც მსურდა... შემექმნა პატარა სამყარო და ჩემი ხალხისთვის თვალნათლივ მეჩვენებინა ირლანდიის სახე, — მეჩვენებინა ის, რის ასახვასაც კი შევძლებდი“. სწორედ ირლანდიის ნამდვილი სახის ჩვენებაა „კელტური მიმწუხრი“, ასე შესანიშნავად გადმოღებული ქართულად მედეა ზაალიშვილის მიერ.

„სხვა რაა ლიტერატურა, თუ არა სიმბოლოებისა და მოვლენების საშუალებით განწყობის გამოხატვა?“ — კითხულობს მწერალი და მედიტაციის მეოხებით გადასახლდება ზღაპრულ სამყაროში, იმ დროში, როცა ჯერ კიდევ განუყოფლად თანაარსებობდნენ ადამიანები და ჯადოსნური არსებები. ფერიების, გრძნეული ქაჯების, დევების... სამყარო ხომ ჩვენი ლიტერატურისთვისაც არ არის უცხო — ვაჟასთან ხომ თვალნათლივ, ხელისგულზე დევს (გინდ უფსკრულს მოარული დევები გავიხსენოთ, გინდ გველის მჭამელი ქაჯები თუ ზღაპრებში დახატული სხვა არსებანი).

არ არის მართალი? არ არის რეალისტური? ამაზე იეიტსს თავისი პასუხი აქვს: „უმჯობესია დაუეჭვებლად დაიჯერო ბევრი უგუნური რამ და ცოტაოდენი სიმართლე, ვიდრე უარყო სიმართ-

ლეც და დაუჯერებელიც“. საკუთარი უბედურების ვერდამნახავ, თვალაკრულ და სმენადახშულ თანამემამულეებს მიმართავდა მწერალი. სიმართლის სულში გამოტარებისა და მამულის სიყვარულის მცირე ცეცხლის შენარჩუნების აუცილებლობას მოაგონებდა, იმ ნაპერწკლისა, რომელიც, ქართველი მწერლის აზრით, არ შეიძლება, თითოეული ქართველის გულში არ ჟოლავდეს...

რასაც ჩვენ არარეალურს ვუწოდებთ, სულის თვალით მზირალისთვის სავსებით რეალურია. ირლანდიელი პოეტი დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ საფუძვლად ძველ ირლანდიურ თქმულებას მიიჩნევს სამი სამყაროს შესახებ. აბა, თუ ზღაპარია, არარაობა და უბადრუკი რამ? „წყალმა, ზღვის ტალღებმა, ტბებმა, ნისლმა და წვიმამ თავისი სახე მიანიჭა ირლანდიელებს“ და მათი „ამბები“ იმდენია, რომ სხვების „ამბებს“ ბევრად სჭარბობს. მათ სიზმრებსა და ფანტაზიებში დიდი სიმართლე დავანებულა. ხოლო კაცები და ქალები, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ „მიწიერ სამოთხეში“, ახლაც თან სდევენ ძველი ქალაქის ნანგრევებიდან. ზებუნებრივ, არამიწიერ, ბუნდოვან, მისტიკურ სამეფოში უფრო მეტი სილამაზეა, ცეკვაა, ოცნებაა, ოღონდ პატარა ძაფი გვინდა, რომ ეს სამყარო იმ სამყაროს დაუკავშირდეს. ეს ძაფი კი პოეტის ხელშია. პოეტისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ „მთელი ბუნება სავსეა იმ ხალხით, რომელთა დანახვაც არ ძალგვიძს“ და ისინი, უშნონი და გროტესკულნი, ბოროტნი და უგუნურნი, კეთილნი და ლამაზნი არასოდეს არიან ჩვენგან შორს.

იეიტსი ის მწერალია, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ მართლა არიან ღვთაებრივი ადამიანები, თავის დაღწევა იმ ბადიდან, რომელშიც დაბადებიდან ვართ გამომწყვდეულნი, მხოლოდ სილამაზეს შეუძლია და თუ ამას ვერ შეძლებს, ის სილამაზე არც ყოფილა. სილამაზე კი მისთვის ყველაფერია, რაც მშობლიურია, თუნდაც „ირლანდიურის მსგავსი ხორხისმიერი ხმები“... პოეტის გულისტკივილს კი ის იწვევს, რომ „ჩვენში ლამაზი არ არის გონიერი და გონიერი არ არის ლამაზი“.

არადა, როგორი გასამეტებელია დავიწყებისთვის ძველი ირლანდიური ლეგენდები: ანგელოსთა მბრწყინავი ფეხები, სურათიდან გადმოსული ღვთისმშობელი, ელფები, ფუძის ანგელოსები თუ

მასხარები, ბოლოს და ბოლოს ანგური, რომელიც სიყვარულის, პოეზიისა და აღტყინების ძველი ირლანდიური ღმერთია, თავისი ოთხი კოცნით ოთხი ადამიანი ჩიტად რომ აქცია? ეს არ არის მარტო სიზმრები ან მეოცნებე კაცის მიერ მოგონილი სამყარო, რადგან ბრმა თვალები ხშირად უფრო მეტს ხედავენ, ვიდრე ახელილნი. და მათებური ჯეკი, ჩვენებურ ნაცარქექიას რომ ჰგავს, ირლანდიელი ხალხის ეროვნულ თავისებურებასაც განასახიერებს უთუოდ.

ერთი მცირე, უმნიშვნელო ცხოველის ან მცენარის სახეობის მოსპობაც კი აღარიბებს მრავალფეროვან სამყაროს და საფრთხეს უქმნის ეკოლოგიას, ენას, კულტურას... რა გასაკვირია, რომ „ის ირლანდიელნი, რომელნიც უცხოური გზის გავრცელებას ცდილობენ, სულიერად გაღატაკებულნი არიან". იეიტსზე უკეთ ვერ იტყვი: ისინი იმ ებრაელებს ჰგვანან, რომლებიც გაჰყვიროდნენ: „თუ ამ კაცს გაუშვებთ, მაშინ თქვენ კეისრის მეგობრები არ ყოფილხართო".

სახელმწიფოს აღდგენის აუცილებლობის იდეას შთააგონებდა თანამოძმეთ და ნათელხილვისა და დაფარულის ჭვრეტის უნარსაც იმისთვის იყენებდა, რომ მომავლის რწმენა განემტკიცებინა და ბრძოლის შესაძლებლობაში დაერწმუნებინა მტერიც და მოყვარეც. ჩვენში ეს მისია თავს იდო და ბრწყინვალედ აღასრულა ილია ჭავჭავაძემ. მაშინ, როცა ძალით მოსული უწარსულობას, უფესვობას შთააგონებდა, მამულის უკეთესნი შვილნი თავისი ქვეყნისა და ერის უშორეს ძირებს ეძებდნენ და ამოჰქონდათ დღის სინათლეზე.

არ არის ეს, რა თქმა უნდა, იოლი ტვირთი. ირლანდიური აღორძინების ერთ-ერთ ბელადზე, უილიამ ბატლერ იეიტსზე თამამად შეიძლება განმეორება მისივე სიტყვებისა, რომლებიც მან ასევე დიდი ირლანდიელის სვიფტის შესახებ თქვა „სვიფტის ეპიტაფიაში":

სვიფტმა შეცურა სიმშვიდეში...
აბა, გაბედე და მიბაძე, ელტვოდა ოდეს
მოგზაურობას, ამ მიწისთვის უძგერდა გული,
თავისუფლების და კაცთა ხსნის მარად მსახური.

ნეტა ყველა ინსტიტუტს თითო მემატიანე

(ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“)

„აქ არაფერია სხვაგან ნათქვამი, გამოგონილიც არაფერია“, — ფრანსის ბეკონის ეს სიტყვები წაუმძღვარებია ეპიგრაფად ოთარ ჩხეიძეს მხატვრულ-დოკუმენტური რომანისთვის „ჩემი სავანე“. გამოგონილი, შეთხზული, ფანტაზიით დაწერილი მართლაც არაფერია ამ რომანში, მაგრამ ყოველი შემთხვევა, ყოველი დეტალი ისე ცოცხლად, მხატვრულად, ექსპრესიით არის აღწერილი, როგორც მხოლოდ დიდ ხელოვანს ძალუძს. ყველაფრის („რაც თვალს უნახავს ან სმენას სხვისაგან გაუგონია“) ზუსტად, სარკისებურად ასახვა არც არავის ხელეწიფება, არც არის ლიტერატურის საგანი და ვერ იქნება მკითხველისთვის საინტერესო. ზღვა მოვლენებში გასარკვევად დაკვირვებული, ფხიზელი და მართალი თვალია საჭირო, მწერლის თვალი. მკითხველს სურს „დაინახოს ის ფარული ნაკადები და ათასგვარი ნიუანსები, რაც მწერლის გარეშე ძნელი შესამჩნევია და ამაოდ დაშვრებიან ისტორიკოსებიც, ფსიქოლოგებიც, სოციოლოგებიც“, — წერს წიგნის ბოლოსიტყვაობაში როსტომ ჩხეიძე. „ჭკუით გაზომილ-აწონილი“ განზოგადებული, დამახასიათებელი ეპიზოდები მოუქცევია ავტორს თხრობის ქარგაში.

ერთი მთავარი და გამორჩეული პერსონაჟი რომანისა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გიორგი ხარაულია, ასე რომ დამსგავსებია ყველა სხვა რექტორს თუ ისინი დამსგავსებიან მას. ილიასი არ იყოს, მისი ჭუჭყი რომ იმათ სცხიათ და იმათი მას. ეს რექტორი ზოგადი სახეა საბჭოური ეპოქის რექტორისა. თანამშრომელთა, ხელქვეითთა დასჯა, რისხვა, ბრძანება, მუქა-

რა, ძალის დემონსტრირება ითვლებოდა საუკეთესო მართვად. ასეთი აზროვნებისგან ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი და ხშირ შემთხვევაში მოწმენი ვართ, თანამდებობის პირთ სხვათა მსახურად კი არ ჩაუთვლიათ თავი (სიტყვითაც კი), არამედ სწორედ ბატონად, მბრძანებლად. ბევრ ჩვენგანს ახსოვს ან იქნებ ახლაც მუხლს ჭრის შიში უფროსთან გამოძახების გამო. იმიტომაც, რომ „არავის იხმობდა მისაფერებლადა თუ სამადლობლადა, არა, არავისა, არც რო მიფერება სჩვეოდა თუ არც იცოდა“. ეს იმ რექტორმა, ცხადია. და ასე იყო არა მარტო გორში, ყველგან, ყველა ინსტიტუტში. მყარდებოდა წესრიგი, შიშზე, ძალადობაზე დამყარებული დისციპლინა. „გამოცდილიყვნენ, გამობრძმედილიყვნენ, მოწესრიგებულიყვნენ“, — ირონიულად შენიშნავს მწერალი ინსტიტუტის თანამშრომელთა შესახებ.

„ჩემი სავანე“ ცოტა ირონიულია. ირონია ნაშანდობლივია ჩემი სტილისათვისა, ოღონდ აქ ეს ჩემს იმედგაცრუებასაც უნდა გამოჰხატავდეს, თვითირონიასაც უნდა გამოჰხატავდეს“, — წერს ავტორი მოკლე წინათქმაში. საერთოდ, ეს წინათქმა გასაღებია მთელი რომანისა. ზუსტი, ტევადი მინიშნებები ნათლად წარმოაჩენს მწერლის მიზანს, გვეხმარება ნაწარმოების ჟანრის განსაზღვრასა და ავტორის სტილის შეცნობაშიც.

მწერალი პირდაპირ ამბის თხრობით იწყებს რომანს (ესეც დამახასიათებელია მისი სტილისთვის) და ისეთი ხალისით, მოზომილი იუმორით გადმოსცემს პირველი ხელფასის ვერაღების ამბავს, რომ მკითხველი უკვე ღრმად არის ჩართული ინსტიტუტის ცხოვრებაში და რომანის გასრულებამდე არც სურს იქიდან თავდაღწევა. კითხვის დამთავრების შემდეგაც არ იშლება მეხსიერებიდან უკვე ახლო ნაცნობები — წიგნის პერსონაჟები, სახელგანთქმული მეცნიერები თუ ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ან უცნობი ადამიანები.

სალაროდან ხელცარიელი გამომაბრუნეს, თუმცა არც ისეო, — ვკითხულობთ. ნეტა, ეს „არც ისე“ რას უნდა ნიშნავდეს? თურმე ფულის მაგიერ რჩევა მიუცია მოლარეს, ბუღალტერიას მიაკითხეო. რჩევა იმედია, ნუგეშია, რწმენაა და რჩევით გამოშვება ხომ ხელცარიელად გამოშვებას არ ნიშნავს? საკუთარ თავ-

საც აშარჟებს, მოლარესაც, გაბატონებულ წესრიგსაც (ქაღალდომანიას) და დღევანდელობასაც. ექვსი დღის ხელფასის მაგიერ რჩევა! იმის გამო, რომ გამოცხადებისთანავე არ მოაწერა ხელი რაღაც რვეულში. იდეალური წესრიგია, ვერაფერს იტყვი, ოღონდ „ერთი რამ მაინც თავიდანვე მიკვირდა: ვერა და ვერ დადგინდა ჩემი ცხრილი, სხვებისაც ვერა, რა თქმა უნდა“, ამის წაკითხვა სავსებით საკმარისია, რომ მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს იმ გარეგნულ ბრწყინვალე წესრიგში რა შინაგანი უწესრიგობა, უპასუხისმგებლობა, არეულობა იყო.

ინსტიტუტი კი ერთი ადამიანისა გახლდათ — რექტორის. განა ყველა მაღალ თანამდებობაზე პატარა ბელადები არ ისხდნენ? გამონაკლისი ის რექტორი რატომ უნდა ყოფილიყო? „თვითონ ეკიდა ხელი ყველაფერზედა, ყველაფერზედა მისაღები გამოცდები იყო თუ კადრების შერჩევა იყო, ზარის დარეკვა იყო თუ „მასტიკის“ განაწილება იყო დამლაგებელთა შორისა, თვითონ ეკიდა ხელი...“ სხვები კი მადლიერებით, მოკრძალებით, სასოებით შეჰყურებდნენ თავიანთ პატრონს, მწყალობელს, მამასა და მარჩენალს. ის კი მართავდა. მწერალი შთამბეჭდავად აღწერს საბჭოური მმართველობის სურათებს: „არც არას აკითხებდა და არც მათრახებს გამოულევდა... ოღონდ ისე, ისე რბილადა, მოხვდეთ და არ ეტკინოთ, მოისუსხონ და არ ემწვავოთო“. მორჩილი თანამშრომლები თვალ-წარბში შეჰყურებდნენ მბრძანებელს, ის მართავდა ძველი, ნაცადი, გამოცდილი ხერხით — ყველას ერთად კიცხავდა, უსაყვედურებდა, ემუქრებოდა, ცალკე არავის არ გამოჰყოფდა, არ გააღიზიანებდა. პიროვნების დაპირისპირებას ერიდებოდა, ბუნტს, არეულობას, ვინმეს მტრად მოკიდებას არ დაუშვებდა.

მწერალმა მოგვცა განზოგადებული სახე ხელმძღვანელისა და ამით დახატა დრო, ეპოქა ზნეობრივი ღირებულებანი, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

მაგრამ განსაკუთრებული ღირსება რომანისა ისაა, რომ ავტორი ხატავს პერსონაჟთა ინდივიდუალურ, სხვათაგან გამორჩეულ თვისებებს. გორის ინსტიტუტის რექტორი ზოგადად ხელმძღვანელიც არის და ამავე დროს კერძო კაციც თავისი ხასიათით.

მოლხენის, ხალისის, ხუმრობის ნიჭი რომ არ ებოძებინა მისთვის ღმერთს. ზემდგომთა დავალებას რომ ვერსად გაექცეოდა, სტუმრები უნდა მიეღო და გამასპინძლებოდა, მაგრამ პურადობის და ხელგაშლილობისა არაფერი ეცხო... სახალისო, დასამახსოვრებელი ეპიზოდები კალეიდოსკოპურად ცვლის ერთმანეთს.

რექტორის ის ცნობილი, ყდაშემოცვეთილი, ლამის პერსონაჟად ქცეული ბლოკნოტი თავიდან ბოლომდე გასდევს თხზულებას, როგორც სიმბოლო ერთად თავმოყრილი ავისაც და კარგისაც, სიახლის საბურველში გახვეული ძველი აზრებისა.

პორტრეტებისა და ხასიათების ხატვასთან ერთად საერთოსაქვეყნო საფიქრალ-სატკივარი ძალდაუტანებლადაა ჩართული თხრობაში, სულაც ფონს ქმნის სიუჟეტის განვითარებისათვის. ნიმუშად მრავალთაგან ერთს მოვიყვან. პურობის, ლხინის, სუფრის აღწერისას ასეთი პასაჟი: „ესეც რო უცნაური გახლდა, სახელები რო წაართვეს ქართულ ღვინოებსა და ნომრები დაადეს, სათარეშოდაც ადვილი გახლდა, გასაქარწყლებლადაც ადვილი, ცხადია".

დიდი მწერლის მხატვრული სიტყვის სიძლიერე და სტილური მიგნებები არც უნდა აკვირვებდეს მკითხველს, მაგრამ როგორ გინდა, გაოცება დამალო, როცა ერთი ფრაზით, მეტიც, ერთი სიტყვით მთელი ეპოქაა დახასიათებული და თვალწინ გვეშლება ამბის დაფარული შრეები, ქვეტექსტი, იოლად ამოსაცნობი სათქმელი...

„ჟღენტს თუ იცნობო, ერთხელაც რო მკითხეს ლენტეხშია.

მე ცოტა მოვიქუშე, – რომელ ჟღენტსამეთქი.

ვახტანგ ჟღენტსაო.

გულსაც მომეშვა და გამეხსნა შუბლიცა". — თხრობა ვახტანგ ჟღენტის შესახებ გრძელდება. ხელშესახებადაა გამოკვეთილი სახე და საქმეები იმ, ნაგულისხმევი ჟღენტისა.

ძირითადი ამბავი, სიუჟეტი რომანისა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვითარდება. მეორე სიუჟეტური ხაზი კი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, არის ლიტერატურული ცხოვრება, თბილისში გამომავალი ჟურნალები, მათი რედაქტორები, გორში დაარსებული სალიტერატურო ჟურნალები, მასთან დაკავშირებული წინა-

აღმდეგობანი, ინსტიტუტში გამართული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ მწერლებთან, მეცნიერებთან... ყველაფერი, ერთი მხრივ, თითქოს არც სცილდება გორის ინსტიტუტს, ამავე დროს კი მთელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს წარმოაჩენს.

ივანე ამირხანაშვილი: „ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებში ფიზიკური დროის სვლა ხშირად უგულვებელყოფილია. დრო დროში, — ასე შეიძლება გავიაზროთ მწერლის სტილის ეს ნიშანი. სიუჟეტური ქარგის განვითარების პარალელურად კალეიდოსკოპურად მოძრაობს დრო, ერთ პლანს მეორე პლანი ენაცვლება, პრობლემას პრობლემა... (რომანისათვის „ამაღლება“ დართული ესეი „ისტორიის ღია კომპოზიცია“).

ოთარ ჩხეიძის სტილის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ასეთი მანერაც. მწერალი ვითომ შემთხვევით, გაკვრით, სხვათაშორის ახსენებს პერსონაჟის გვარ-სახელს, თითქოს უფერულუსახურობისთვის არის განწირული ასეთი პერსონაჟი, რამდენიმე გვერდის შემდეგ კი ისე მოხდენილად, „თავის ადგილას” შემოიყვანს და ისეთ სასწაულებს ახდენს, ისეთ ფეიერვერკს ქმნის, სერიოზული და ირონიული კილოს მონაცვლეობით ისე ცოცხლად ხატავს ადამიანს, რომ მისი დავიწყება შეუძლებელია. ასე, ამ პრინციპითაა დახატული, მაგალითად, პორტრეტები ნიკოლოზ ჯულაბიშვილისა და მისი ვაჟის, ლეონარდ ჯულაბიშვილისა.

სერგი მაკალათია, სოლომონ ხუციშვილი, იპოლიტე ვართაგავა, სიმონ გაჩეჩილაძე... რომელ ერთს ჩამოთვლი. თავიანთი ღვაწლით ცნობილი პიროვნებები გააცოცხლა, ყოველდღიურ ყოფაში გაგვაცნო, გარეგნობის, ხასიათის, საუბრის მანერის, სხვა თვისებების გამოკვეთით დაგვამახსოვრა და ახლო ნაცნობებად გვიქცია ისინი მწერალმა.

„ნაღვაწი აცოცხლებს სახელსა, უღვაწლო სახელი ფუჭია ცხადია, არა ჰღირს არცა რო ჭირიან კაკლადა”. და კიდევ მწერლის მადლიანი კალამი აცოცხლებს ადამიანს.

„მთხრობელი აქ უფრო მოწმეა, მოწმეი სხვათა...”, – წერს რომანის ბოლოს ავტორი. მკითხველიც უყოყმანოდ ეთანხმება, რომ ეს ნაწარმოები არ არის ჩვეულებრივი მოგონება, არამედ მხატვრული თხზულებაა, რომანია. იაკობ ხუცესიც მოწმეა „შუშანიკის

წამებაში" გადმოცემული ამბებისა. მოწმეა, მართალი მთხრობელი და პერსონაჟიც. სასახლიდან წასული შუშანიკის პირველივე მონახულებისთანავე ჩაეთქვა ავტორს მისი ღვაწლის აღწერა. „ხუაშიადად-რე" ეკითხებოდა, რა ჰქონდა განზრახული. რას აპირებდა შემდგომში. თითქოს ეშინოდა, ფრთხილობდა, არაფერი გამორჩენოდა, არაფერი მოჰფარვოდა თვალს და რეალურად მომხდარ მოვლენებზე უფრო მეტად შუშანიკის სულის ყოველი მოძრაობა, თრთოლვა, სიმის შერხევა აინტერესებდა, მისი გამოსახვა სურდა მწერალს.

რას ეყრდნობა ოთარ ჩხეიძე „ჩემი სავანის" წერისას? საკუთარ მოგონებებს, სხვათა ნაამბობს თუ რამე დოკუმენტურ წყაროს? საკვლევი და საძებარიც არაფერია.

ნაწარმოებში მწერალი რამდენიმეგზის გვთავაზობს დღიურის ჩანაწერებს შეუცვლელად, ჩასწორება-ჩამატების გარეშე. უშუალო შთაბეჭდილებაზე დაყრდნობილი ჩანაწერები უდევს საფუძვლად შემდეგი დროის მოგონებებსაც.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მთხრობელის, მწერლის კეთილგანწყობა პერსონაჟების მიმართ. არსად დაცინვა, არსად მათრახი, დაუნდობლობა. თვით ნაკლის მხილების დროსაც კი მხოლოდ სითბო და სიყვარული გამოსჭვივის ყოველი სიტყვიდან თუ ფრაზიდან. მაშინ კი, როცა შეგუება, შერიგება, თანაგრძნობა შეუძლებელია, მწერალი აზოგადებს პერსონაჟის („დარჩენოდა ასპარეზი ყალიჩავასა") თვისებებს, ქმნის ტიპს, ხედავს და ხატავს ტენდენციას, როგორ მრავლდება ყველგან და ფეხს იკიდებს „ყალიჩავობა". ეს განგაშის ზარის შემოკვრაა.

„დოკუმენტური პროზა თავისი არსით თამამია... სათქმელს რეალური (და არა გამოგონილი გვარ-სახელის) პერსონაჟების კონტექსტში გაცილებით მეტი სიმძაფრეც ენიჭება... ჩნდება თუ არა ე. წ. „მოქალაქეობრივი უხერხულობის განცდა?" — ეკითხება რუსუდან ნიშნიანიძე ბატონ ოთარს ლიტერატურულ დიალოგში.

პასუხი ჩვეული პირდაპირობითა და გულწრფელობითაა აღბეჭდილი: „უხერხულობა უთუოდ შეიქმნება, სინამდვილეს თუ ასცდება, სიმართლეს თუ ასცდება ავტორი...საჩხუბარი არ უნდა ჰქონდეს ავტორსა ცოცხალ პერსონაჟთანა, სადაოც არა, სა-

ალერსოც არა, ასე არც უნდა გამოიჩინოს თავი — დაჰხატოს ისე, როგორიც არის, როგორც რო მოსჩანს იმწუთში.“

გაჩერებული საათი კი ისევ იმავე დროს უჩვენებს ყველგან და ყველასთვის. არაფერი შეცვლილა. ნეტა ყველა ინსტიტუტს თითო მწერალი, თითო მემატიანე მაინც გამოსჩენოდა. თუმცა ისიც საკითხავია, კერძო შემთხვევებისა და დეტალების გარდა, რამე განსხვავებულს ვნახავდით? და მაინც არ გვტოვებს სინანულის განცდა— ნეტა ყველა ინსტიტუტს თითო ჟამთააღმწერელი მაინც ჰყავდეს, ოღონდ უსათუოდ მართალი და სანდო. „უმწერლოდ (ხომ) ცხოვრება დაიკარგებოდა, ცხოვრების ისტორია არავის ეცოდინებოდა, კაცთა ვნებას ვერავინ ჩასწვდებოდა, სიცოცხლის აზრს ვერავინ გაიგებდა“ (ოთარ ჩხეიძე).

გაჩერებულ საათს კი, თუ გულით მოიწადინებთ, ახლაც ნახავთ უმაღლესი განათლების დაწესებულებათა შესასვლელებში, შორს წასვლა არ დაგჭირდებათ, აქვე, ყურის ძირში...



გაწირვა — გედნიერების სახელით

(შირლი ჯეკსონის „ლატარია“ ქართულად)

ოცდაშვიდი ივნისის ნათელი და მზიანი დილა ავს არაფერს უნდა მოასწავებდეს. როცა ჰაერში შუაზაფხულის დღის საამო სითბო ტრიალებს, ყვავილები უხვად ყვავიან და ბალახიც მუქმწვანედ ბიბინებს, ადამიანს შეიძლება საერთოდ დაავიწყდეს, რომ ამქვეყნად ბოროტება, ძალადობა, დაუნდობლობა და გულგრილობაც არსებობს და მხოლოდ სიკეთის, სიხარულის, ჰარმონიის შესაცნობად და განსაცდელად განეწყოს. ყოველ შემთხვევაში ბუნება თავისი სიმშვიდითა და ფერადოვნებით სწორედ საუკეთესო ადამიანურ გრძნობა-ვნებათა გამოვლენას უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ ეს განცდა თურმე მოჩვენებითია. ამ სინათლეში, ამ მზის ქვეშ საშინელი ტრაგედია უნდა დატრიალდეს. კონტრასტი ბუნებასა და ადამიანთა ცხოვრებას შორის კიდევ უფრო ამძაფრებს განცდებს.

შირლი ჯეკსონის „ლატარიაზე“ მოგახსენებთ, „ჩვენი მწერლობის“ 22 ივლისის ნომერში რომ დაიბეჭდა.

„ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, როცა იესო გააკრეს ჯვარზე, როცა ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიეს და კაცობრიობის გადასარჩენად მოვლენილი მაცხოვარი წამებით მოკლეს? მის მკვლელებს, ადამიანთა უზარმაზარ ბრბოს, ალბათ, გული უცნაური სიხარულით უთრთოდათ, მოვალეობა აიძულებდათ, მძიმე მისია აღესრულებინათ და მერე ვალმოხდილი კაცის სიმშვიდე და სიამაყე დაეუფლებოდათ უთუოდ.

როგორც სოფლის მეუფროსე ციციკორე ბოლომდეა დარწმუნებული თავის სამართლიანობაში, მარიტას სიკვდილიც კი ვერ შეურყევს ამ რწმენას. მართალია, ადამიანის ამქვეყნიდან

წასვლა ენანება, მაგრამ თუ ზნეობის დასაცავად ასეთი მსხვერპლი საჭიროა? და დგას გაძაგრული ციციკორე და სჯერა, სხვანაირად არ შეიძლებოდა.

შირლი ჯეკსონის მოთხრობაში ადამიანური სისასტიკე ერთ პატარა სოფელში უნდა გამოვლინდეს, სადაც მხოლოდ სამასი ადამიანი ცხოვრობს, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველა ერთმანეთის მეზობელია... ლატარიამ უნდა გამოარკვიოს, ვინ ჩაქოლონ. ჩაქოლვა კი აუცილებელია. რისთვის? მისტერ უორენის, მოხუცი სოფლელის თქმით, იმისთვის, რომ კარგი მოსავალი მოვიდეს, რომ ხალხი შიმშილით არ დაიხოცოს, რომ სოფელმა მთელი წელი ბედნიერად გაატაროს მომავალ ოცდაშვიდ ივნისამდე, მომავალ ლატარიამდე. ერთი ადამიანის გაწირვა ხდება სხვათა ბედნიერების სახელით.

დიდი მწერლური ოსტატობითაა დახატული დაძაბული, სულის შემხუთველი, უკიდურესობამდე დაჭიმული ატმოსფერო. გარეგნულად ღელვას არავინ იმჩნევს, ბეჯითად ასრულებენ გარდაუვალ, ფატალურ რიტუალს. ნებისმიერი მათგანი შეიძლება გაიწიროს. ოღონდ შეხვედრისას უმნიშვნელო, ყოველდღიურ, წვრილმან, ყოფით ამბებზე საუბრობენ, ერთმანეთს უღიმიან, ხანდახან თანაგრძნობასაც გამოიჩენენ, ვინმესთვის ქებასაც გაიმეტებენ და ამ ჩვეულებრივ, გარეგნულად უშფოთველ, აუღელვებელ ქმედებაში ძალდაუტანებლად ჩანს, როგორი შიშით, მოუთმენლად, შინაგანად აფორიაქებულნი ელიან სოფლელები განაჩენს. პატარა ბიჭები ლატარიის დაწყებამდე აგროვებენ ბრტყელ, მრგვალ, ჩასაქოლად მარჯვე, მოხერხებულ ქვებს. თითქოს იციან, რომ ქვების შეგროვების ჟამის შემდეგ დადგება ჟამი ქვების სროლისა. და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულმა შეიძლება ამოიღოს შავი ყუთიდან ის საბედისწერონიშნიანი ფურცელი, მაინც გულგრილად, რაღაცნაირი ჟინით ემზადებიან სხვათა გასაწირად. ის ამაზრზენი შავი ყუთი კი, ხმარებისგან გაცვეთილი, გვერდჩამოტეხილი, ფერშეცვლილი კვლავ ისე ემსახურება ამ ხალხს, როგორც მათ წინაპრებს, ახლოსაც, უფრო შორეულსაც.

საზოგადოებაშივე ჩნდება სურვილი ამ საშინელი ლატარიის მოსპობისა. ხმამაღლა და კატეგორიულად ამის მოთხოვნას ვერა-

ვინ ბედავს, მაგრამ აი, გაისმის ხმები, რომ მეზობელ სოფლებში უკვე კიდეც აუკრძალავთ, ალბათ, მომავალში ყველგან გააუქმებენ. თუმცა უმრავლესობისთვის ასეთი რამ წარმოუდგენელია და მორჩილად აღასრულებენ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესს.

მწერლის ენა მეტად სადაა. ავტორი თითქოს საგანგებოდ ცდილობს, რომ მკითხველის გული გარეგნული სამკაულებით და სტილური ეფექტებით არ შეძრას, არამედ თვით ამბავმა შექმნას შესაფერისი განწყობა, სტრიქონებს შორის ნაგულისხმევმა შეაშფოთოს გული და გონება. ასეთი, განწყობილებაზე აგებული ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნა, ემოციის ზუსტად გადატანა, ალბათ, ძალიან ძნელია. ქართველი მთარგმნელის, მედეა ზაალიშვილის მაღალ ოსტატობას კიდევ ერთხელ ადასტურებს ის სიფაქიზე, დეტალების ნიუანსობრივად წვდომა, ორიგინალის უზუსტესი შესატყვისის გადმოცემა, რაც ამ თარგმანს ახასიათებს.

ქართული ლიტერატურისთვის ნაწარმოებში აღწერილი გარემო სულაც არაა უცხო და უჩვეულო, ძალიან კარგადაცაა ნაცნობი და არაერთგზის დამუშავებული. მედეა ზაალიშვილმა კი უცხოელი მწერალი ქალის ნაფიქრ-ნააზრევი ქართულ, ეროვნულ სიტყვიერ სამოსელში მოაქცია და რომ არა უცხოელი პერსონაჟები უცხოური გვარ-სახელებით, „ლატარია“ კაცს ქართველი მწერლის მოთხრობა ეგონებოდა.

კითხულობ ამერიკულ ნოველას და თვალწინ გეხატება ზვიადაურის დაკვლა დარლას საფლავზე (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლიდან“), მარიტას დასჯა (გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხიდან“), ბეჟანის ჩამოხრჩობა („ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“), დათას ჩაქვავება (მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვიდან“) და სხვა.

არავის ახსოვს იესოს შეგონება, ვინც თვითონ უცოდველია, პირველი ქვა იმან ესროლოსო.

ხალხის განწყობა უდანაშაულო მსხვერპლის დასჯის შემდეგ სხვადასხვა მოთხრობაში სხვადასხვანაირია. ხან მათი გული და გონება სასინანულოდ მიჰქრის, ხან წუთის წინ სულგანაბული, მერე მხიარულად ყაყანებს... საერთო კი ისაა, რომ თვით დას-

ჯის დროს ყველა ერთსულოვანია, გაუცნობიერებელ თუ გაცნობიერებულ სიხარულს განიცდიან, ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე მართლები, ვალს იხდიან, წმინდა, უზენაეს რიტუალს აღასრულებენ.

შირლი ჯეკსონის ნოველაშიც არის ხალხის განწყობის ამსახველი ეპიზოდები. ჯერ ის გავიხსენოთ, ნაწარმოების დასაწყისში ნათქვამი, რომ ყველაფერი მალე, ორ საათში უნდა დასრულდეს, რათა ხალხს შუადღის სადილზე არ დააგვიანდეს. მერე თვით განწირულის ოჯახის წევრთა რეაგირება — ქმარი, ბილ ჰატჩინსონი არ აძლევს უფლებას ცოლს უკმაყოფილების გამოთქმისა. მისის ჰატჩინსონის სუსტი პროტესტი ერთ მუშტად შეკრულ, მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილ თანამემამულეთა ბრბოში იკარგება. ვიღაცამ პატარა ჰატჩინსონზეც იზრუნა, მასაც რამდენიმე კენჭი ჩაუდო ხელში. არადა, ის დაღდასმული ქაღალდი პატარა დეივის რომ შეხვედროდა, ალბათ, ასეთივე გულგრილობით ჩაქოლავდა მას საკუთარი დედ-მამაც მომავალი კეთილდღეობის სახელით. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ საზოგადოება მათგან ამას მოითხოვდა. „ეს უსამართლობაა“, — ახლაც ყურში ჩაგვესმის განწირული ქალის უკანასკნელი სასოწარკვეთილი ამოკივლება.

სავსებით სწორად შენიშნავს მთარგმნელი საგულისხმო წინასიტყვაობაში: „განა ის ენითაუწერელი სისასტიკე და მოძმისადმი დაუნდობლობა, რაც ოცდამეერთე საუკუნეში მომხდარა და ხდება, ქვით ჩაქოლვაზე ნაკლებია? რა განსხვავებაა, რითი მოკლავ უდანაშაულო და ღირსეულ ადამიანს — ცილისწამებით, დევნით, თუ ჩუმად, მიპარვითა და ტყვიის დახლით?“

ამ მოთხრობის მიხედვით რამდენიმე ფილმი გადაუღიათ. ეს ბუნებრივიცაა. ყველას ხომ თავისი „ლატარია“ აქვს წარმოდგენილი, ადამიანთა გაკეთილშობილების კიდევ ერთი, დაუვიწყარი მცდელობა. ხომ უნდა დადგეს ის დღე, უფალმა რომ გამოუცხადა ესაია წინასწარმეტყველს (11,6; 9): „დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად... არავინ იბოროტებს და არავინ იბილწებს მთელ ჩემ წმინდა მთაზე, რადგან აივსება მიწა უფლის ცოდნით, როგორც ზღვა არის წყლებით დაფარული“.

ამიტომ ელოლიავები წარსულს

(კონსერვატიზმის ისტორია: ერთი თვალთახედვა, სამი ავტორი)

პიტერ ვიერეკი — ქართველი საზოგადოებისათვის თითქმის სრულიად უცნობი ავტორი. წინათქმიდან ვიგებთ: ამერიკელ პოეტსა და ისტორიკოსს ორჯერ მიუღია პულიცერის პრემია.

კიდევ რამდენიმე უაღრესად საყურადღებო ცნობა ისევ წინასიტყვაობიდან: ახალგაზრდობიდანვე იკვლევდა ვაგნერის, ნიცშეს, შტეფან გეორგეს შემოქმედებას; ეძებდა ნაციზმის საწყისებს. როგორც პოლიტიკოსი, თურმე არცერთ „იზმს“ არ მიაკუთვნებდა თავს, თუმცა ოცდასამი წლის ასაკში გამოქვეყნებული ესეი — „მაგრამ მე კონსერვატორი ვარ“ — საუკეთესოდ ამჟღავნებს კრედოს, რომელსაც მთელი ცხოვრება ერთგულებდა.

ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის კლაეს რინის შეფასებით, „კონსერვატიზმი: ჯონ ადამსიდან უინსტონ ჩერჩილამდე“ ვიერეკის ყველაზე შთამბეჭდავი წიგნია, რომელიც ძირითადად კოლეჯის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ მათ მასწავლებლებსაც დიდად შეეწევა. წიგნის გაცნობის შემდეგ შეუძლებელია მკითხველი არ დაეთანხმოს ამერიკელ პროფესორს და არ ინატროს: ნეტა ჩვენშიც ყველა საუნივერსიტეტო საგანში(კურსში) მოგვცა ასეთი წიგნები, სადაც მოკლედ, მოწესრიგებულად, მარტივად, ნათლად და გასაგებად იქნება მოწოდებული მთავარი დებულებანიო.

სიკვდილის წინ ვაჟიშვილისთვის უთქვამს, მშვიდად ვარო. მის სიმშვიდეს, ალბათ, იმის ღრმა რწმენა განაპირობებდა, რომელსაც ქართველი ავტორები ასე გამოთქვამენ: „კონსერვატიზმი ისევე არ ჩარჩება წარსულში, როგორც ეროვნული იდეალიც

ყოველთვის დაიხსნის თავს გაქრობა-გადაგვარების საფრთხისგან... იმიტომ, რომ ბუნებრიობაზეა ამოზრდილი“.

და ვინც და როგორც უნდა ამტკიცოს ლიბერალური დემოკრატიზმის უპირატესობა კონსერვატიზმთან შედარებით, ერთი ცხადია — კონსერვატიზმი აღარასოდეს იქნება მოძველებულისა და დრომოჭმულის სინონიმი.

როსტომ და პაატა ჩხეიძეებმა, სავსებით სამართლიანად, თავი ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის მიმდევრებად გამოაცხადეს. აქ არ შემიძლია ეფრემ მცირეს არ დავესესხო და თანამედროვე ქართველ ავტორთა მიმართაც არ გავიმეორო: „მადლითა სულისა წმიდისაითა ხელეწიფებოდა(ხელეწიფებათ) შემატებაიცა და კლებაიცა“.

არ ვიცი, რა არის ამ წიგნში (ქართულ ვერსიაში) ამოკლებული ორიგინალიდან, შემატებით კი ბევრი რამაა შემატებული. ცალკე, დამოუკიდებლადაა დაწერილი ქართული კონსერვატიზმის ისტორია, ისიც ვიერეკის თარგზე, ოღონდ თარგი ამ შემთხვევაში მხოლოდ გარეგნულ ფორმას გულისხმობს — არსებითის, ძირითადის გადმოცემა მოკლე, კონსპექტური ჩანაწერებით. ამ „შემატების“, კერძოდ, ქართულ სინამდვილესთან დაკავშირების გარეშე, ვიერეკის ნაშრომს, რა თქმა უნდა, სიღრმე, ძალა და მნიშვნელობა არ მოაკლდებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ქართველი მკითხველის ინტერესს სრულად მაინც ვერ დააკმაყოფილებდა და მხოლოდ სპეციალისტთა, პოლიტიკოსთა ვიწრო წრისათვის იქნებოდა საინტერესო და საგულისხმო. ახლა კი წიგნი მიმზიდველია მკითხველთა ფართო წრისათვის, იმათთვისაც კი, ვისაც იქნებ ადამსი და ბერკი თავისთავად, ქართული სინამდვილის გარეშე არც აინტერესებდეს. ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, პაატა და როსტომ ჩხეიძეები ვიერეკს მისდევენ და მიჰყვებიან „ცოტაოდენი განდაგანათი“.

ვინ არიან კონსერვატორები? ისინი ტრადიციული წესრიგისა და ღირებულებათა შენახვის მომხრენი არიან და ყველა სხვა წყობასთან შედარებით მონარქისტული ხელისუფლების უპირატესობას აღიარებენ. აი ასე მოკლედ და ყველასათვის გასაგებად არის გახსნილი კონსერვატიზმის არსი. და ისინი ვიღა

არიან, ვისაც ამ ყველაფრის შენახვა არ სურთ? მათ ლიბერალები ან რადიკალები ეწოდათ XIX საუკუნის დასაწყისში. ასეთი, არა მარტო ნათელი, არამედ ერთგვარად ხალისიანი და იოლად დასამახსოვრებელი განმარტებაა მოწოდებული უაღრესად რთულ და ჩახლართულ საკითხებზე. ის, რაც ლიბერალებს ადამიანისთვის ბორკილად მიაჩნიათ (ტრადიცია, წარსული...), კონსერვატორთათვის ნამდვილი თავისუფლების საყრდენი და საფუძველია. ერთი შეხედვით ძალზე მომხიბვლელია ლიბერალთა შეხედულება ადამიანზე — ადამიანი ბუნებით კეთილია და თავისუფალი! მაგრამ თუ რეალობას(სიმართლეს) გავუსწორებთ თვალს, ადამიანი გაჩენისთანავე ცოდვილია და მხოლოდ ტრადიციას შეუძლია მისი გაკეთილშობილება. თუ ქრისტიანულ დოქტრინას არ მოვიხმობთ პირველცოდვის შესახებ (რასაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ყველა კონსერვატორი მიმართავს და ვიერეკი შეგვახსენებს), ისე, იქნებ შეურაცხმყოფელიც კი იყოს უნდობლობა კაცობრიობისადმი და ემოციურად ლიბერალთა შეფასება უფრო საამაყო და კმაყოფილების მომგვრელი ჩანდეს... მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ყოველგვარ გარეგნულ ეფექტურობასა თუ მიმზიდველობაზე მნიშვნელოვანია. უნდა შევინახოთ კერძო საკუთრება, არისტოკრატია, მონარქია, ეკლესია... (ამ ჩამონათვალის შევსება კიდევ შეიძლება), რათა ადამიანურ ბუნებას შევუნარჩუნოთ ზნეობა და თავისუფლებაო, — მიიჩნევენ კონსერვატორები. აქვე ვიგებთ, რას ნიშნავს არაპოლიტიკური კონსერვატიზმი, ვეცნობით კონსერვატიზმის კულტურულ ასპექტებს. შეიძლება ისიც აღმოვაჩინოთ, რომ გაუცნობიერებლად ჩვენც კონსერვატორები ვყოფილვართ. წიგნში საგანგებოდაა ახსნილი ტერმინები, რაც ამ ტიპის სახელმძღვანელოსთვის სრულიად აუცილებელია იმიტომ, რომ საქმის არსში ჩაუხედავი მკითხველისთვის შეიძლება გაუგებარი დარჩეს არა განსხვავება თავისუფლებასა და თანასწორობას შორის, არამედ მათი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა. ხოლო ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე აღზრდილი ქართველისთვის სასაცილო თუ არა, ზედმეტი მაინცაა გამოწვლილვით, დაწვრილებით მსჯელობა ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ, მათი მსგავსი

და განსხვავებული ბუნების კვლევა, ჩვენთვის ანბანურ ჭეშმარიტებად ქცეულ დებულებათა მტკიცება.

ცალ-ცალკე თავები ეძღვნება ბრიტანულ, ლათინური ევროპის, რაინის აღმოსავლეთის, გერმანულ, რუსულ და ამერიკულ კონსერვატიზმს.

წიგნის ამერიკელი ავტორის და ქართველ მთარგმნელთა მიზანი, როგორც ჩანს, ისიცაა, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, საკუთარი გუნება-განწყობა დამალონ, მკითხველს შესთავაზონ აკადემიური მსჯელობა, განსჯა, მიაწოდონ მეცნიერულად შესწავლილი და დასაბუთებული დასკვნები მშრალად და უემოციოდ, რათა ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, თვითონ აირჩიოს — მოიწონოს ან დაიწუნოს, მიჰყვეს ან უარყოს ესა თუ ის აზრი. მაგრამ, ვფიქრობ, შეუძლებელია ვინმე გულგრილი დარჩეს არისტოკრატიის ბერკისეული განმარტების მიმართ. მიუხედავად იმისა, ვართ თუ არა შთამომავლობითი არისტოკრატიის მმართველობის მომხრე, აბა, როგორ არ მოგვეწონოს კაცი, რომელიც „აღზრდილი უნდა იყოს ღირსეულ წრეში, ყრმობიდანვე დაცული იყოს სიმდაბლისა და სიბინძურისაგან; იცოდეს საკუთარი თავის ფასი; შეჩვეული იყოს საზოგადოებრივი თვალისაგან ზედამხედველობას; ადრეული წლებიდანვე ანგარიშს უწევდეს საზოგადოებრივ აზრს; იდგეს ამაღლებულ ადგილზე, რათა ხედავდეს ფართოდ გაშლილსა და უსაზღვროდ მრავალფეროვან სივრცეს, ადამიანთა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომბინაციებს; ჰქონდეს თავისუფალი დრო საკითხავად, საფიქრელად და სასაუბროდ; შეეძლოს მიიპყროს ყურადღება ბრძენთა და სწავლულთა, სადაც უნდა შეხვდეს; ჩვეულებად ჰქონდეს ღირსების დაცვა და მოვალეობის შესრულებისაკენ სწრაფვა...“

სწორედ ასე იზრდებოდნენ ყრმები ქართველ თავადთა ოჯახებში. ალექსანდრე ორბელიანის, აკაკი წერეთლის, სხვათა მოგონებანი ამას ადასტურებს.

ბერკივით მემკვიდრეობით, ტიტულოვან არისტოკრატიაზე ვისაუბრებთ თუ ადამსივით — „ბუნებრივ“, უტიტულო არისტოკრატიაზე, ორივე შემთხვევაში ვგულისხმობთ, რომ მათ თა-

ვიანთი, ერთნაირი იდეალები აქვთ — ღირსება, ტრადიცია, თვითდისციპლინა და სხვ.

აქვს თუ არა არისტოკრატიას პრივილეგია სხვა ფენებთან შედარებით? რა თქმა უნდა აქვს, — გვიპასუხებენ კონსერვატორები და იგულისხმებენ მეტ პასუხისმგებლობას, მეტ მოვალეობას ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

როდესაც რუსეთმა დაიპყრო საქართველო და ადგილობრივი მოსახლეობის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, დამპყრობელი შეეცადა გაეთიშა ერთმანეთისაგან არისტოკრატია და სხვა ფენები და დაეპირისპირებინა ისინი ერთმანეთისათვის, ხალხი დაეტოვებინა თავადების (თავის) გარეშე. სწორედ ამ მიზნით ალაპარაკდა რუსეთის ხელისუფლება ქართველი არისტოკრატიის მიერ დაკარგულ პრივილეგიებზე და მათი დაბრუნების სურვილსა და მცდელობებზე, თუმცა აქამდეც სავსებით ნათელი იყო და ახლა ვიერეკი და სხვა უცხოელი კონსერვატორებიც ადასტურებენ, რომ უფლისწულთა და სხვა არისტოკრატთა ერთადერთი პრივილეგია მშობელი ქვეყნის სამსახური, მისთვის სიცოცხლე და მისთვის სიკვდილია.

რა არის და რა ურთიერთობაა პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის? თითქოს ვაჟას ცნობილი წერილით უსარგებლიათო, თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ევროპელ და ამერიკელ კონსერვატორთა მსჯელობა გენიოსი ქართველის ნაფიქრ-ნააზრევს.

უაღრესად საინტერესოა რუსეთის ისტორიული უნიკალურობისა და რუს მოაზროვნეთა ვიერეკისეული დახასიათება. პობედონოსცევის, დოსტოევსკის, ტოლსტოის რელიგიური, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი შეხედულებანი ძალიან ფხიზელი, ყოვლისგანმჭვრეტი თვალით არის დანახული და გაზომილი. არ ვიცი, ამერიკელი ავტორისაა თუ ქართველი მთარგმნელების ეს დაკვირვება ტოლსტოის შესახებ, კარგი კია: „...ვეღარ წაიკითხავდა აუღელვებლად ბიბლიური წინასწარმეტყველის სიტყვებს: ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკისო. უთუოდ ამ განცდამ, მტანჯველ თვითგვემაში გადაზრდილმა, აუფორიაქა ისე სული, რომ ბერიკაცი გარეთ გამოიყვანა და სადღაც გააქცია უგზოუკვლოდ, რო-

გორც საზოგადოებას ეგონა, თორემ თვითონ უთუოდ უფალთან შესახვედრად მიისწრაფოდა სააღსარებოდ და მოსანანიებლად, ქრისტიანულ მოძღვრებას მისი სექტანტური განშტოება რომ დაუპირისპირა.

და ლევ ტოლსტოის ეს საქციელი მხოლოდ ასე შეიძლება გავიაზროთ და შევაფასოთ, როგორც ფრიდრიხ ნიცშეს ფსიქოლოგიურ პორტრეტზე დაკვირვება მიგვახვედრებს მისი სულის დაფარულ შრეს, ივლიანე განდგომილის სიკვდილისწინა წამოძახილის თავისებურ განმეორებად რომ ჩაგვესმის: — შენ გაიმარჯვე, გალილეველო!..“

აკი საბოლოოდ ზურგი აქცია ტოლსტოველობას არჩილ ჯორჯაძემაც და ილიას გზაზე მტკიცედ შემდგარმა „საერთო ნიადაგის“ თეორია ჩამოაყალიბა, ერის გადარჩენა დასახა კაცობრიობის ხსნის, ჭეშმარიტების შეცნობის, უფლის ნების აღსრულების ერთადერთ გზად.

საერთოდ, ამ ჭკვიანი წიგნიდან ცალკე შეიძლება ბრძნული გამონათქვამების, აფორიზმების ამოწერა. მაგალითად, ლორდ ექტონი: „ყველანაირი ძალაუფლება რყვნის“; ჯონ ჯეის „ფედერალისტმა“ იხსნა კანონის მთავრობა ბრბოს მთავრობისაგან; „ბრბოს“ დღევანდელივით თავისუფლების მცველად კი არა, „დიდ მხეცად“(ჰამილტონი) მიიჩნევდნენ ; ადამსი: „მასა ისეთივე ტირანია, როგორიც მეფე“. ამიტომ „ვინც უნდა დააფუძნოს სახელმწიფო, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ ადამიანები უკეთურნი არიან ბუნებით“; „თავისუფლება და სიტყვის უფლება არისტოკრატიის დროს უკეთაა შესაძლებელი, ვიდრე დემოკრატიის ჟამს“; ინტელექტუალური თავისუფლება უფრო ადრე და იოლად მოდის, ვიდრე სრულყოფილი სულიერი თავისუფლება და სხვა.

წიგნის მეორე ნაწილია „ქართული კოსერვატიზმი“ — ორიგინალური, ფრიად საინტერესო და საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი. ეს, თუ არ ვცდები, პირველი ცდაა ჩვენში კონსერვატიზმის ისტორიის შესწავლისა და თანმიმდევრულად გადმოცემისა. მოკლე, მოცულობით მცირე თავები შესაფერისადაა დასათაურებული, რომლებსაც თავისი, განუმეორებელი დანიშნულება აქვს. თითოეული სათაური გზაა, კარიბჭეა დიდ სამყაროში შესასვლე-

ლად. ასეთი აგებულება წიგნისა მკითხველს უადვილებს რთული საკითხების გაგებას.

პირველი თავია — „ქართული კონსერვატიზმის საწყისები ალექსანდრე ორბელიანისაგან (1802-1869) მოდის". ეს თავი საძირკველია, ლიბოა, სათავეა მთელი შემდგომი კვლევისა.

უნდა ვაღიარო, რომ წლების წინათ ალექსანდრე ორბელიანს ლიბერალი მოღვაწე ვუწოდე. გამოგიტყდებით, მაშინ ხეირიანად არც მესმოდა განსხვავება ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს შორის. ამ ტერმინს — „კონსერვატორი" — როგორც წესი, ალექსანდრე ორბელიანის განსაქიქებლად იყენებდნენ ხოლმე. საწინააღმდეგო ცნების მოშველიება ამ მოღვაწის დასახასიათებლად ჩემი მხრიდან იყო გულწრფელი სურვილი მისი „დაცვისა" ვიეთთაგან. ლიბერალიზმში კი, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობდი პოლიტიკურ მიმდინარეობას, არამედ ამით ხაზს ვუსვამდი ალექსანდრე ორბელიანის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განსხვავებული აზრის მიმართ, მის დინჯ, აუჩქარებელ ბუნებას, ნებისმიერ საკითხზე განრისხების გარეშე მსჯელობის უნარსა და სხვ.

როსტომ და პაატა ჩხეიძეების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულმა წერილებმა, თარგმნილმა თუ ორიგინალურმა კონსერვატიზმის არსის სრულად წარმოჩენამ მთლიანად ჩამოაშორეს „კონსერვატორს" ჩამორჩენილის, უგუნურის, გაუნათლებლის, გონებაჩლუნგისა და ყოველგვარი სიახლის მოწინააღმდეგის მნიშვნელობა. წინამდებარე გამოკვლევის ავტორთა მიზანმიმართული მცდელობის შედეგად სავსებით მოეფინა ნათელი კონსერვატიზმის ნამდვილ ხასიათს და, ბუნებრივია, ჩამოცილდა შეურაცხმყოფელი ელფერი. დიახ, როგორც ბატონმა პაატამ „ჩვენს მწერლობაში" გამოქვეყნებულ ერთ წერილში თქვა, ალექსანდრე ორბელიანი კონსერვატორი იყო, სულაც კონსერვატიზმის ფუძემდებელი საქართველოში. მისი კონსერვატიზმი კი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთგულებდა ყველაფერს ქართულს — წესს, ჩვეულებას, ტრადიციას, ოჯახს, სოციალურ წყობასა თუ სხვ. მიაჩნდა, რომ ძველისგან, ჩვენი ფესვებისგან უნდა მივიღოთ და შევიწოვოთ ყველაფერი, რაც

ქართველისთვისაა დამახასიათებელი, ნიშნეული, რაც ჩვენს ქართველობას განაპირობებს. მომავალი სახელმწიფოს აშენება სხვანაირად ვერ წარმოედგინა. ამიტომ ელოლიავებოდა წარსულს, ნაჩვევს, საუკუნოებით განმტკიცებულს. მისი ეს დაჟინებული ხედვა წინაპრებისკენ და იქ მოძიება მომავალი დამოუკიდებლობის საფუძვლებისა ბევრს ახირებად ეჩვენებოდა. ძველი ყოფის დახატვისას ოდნავი რომანტიკული გადაჭარბება მის ნაწერებში მართლაც შეინიშნება. ამავე დროს აშკარად ჩანს სინანული იმის გამო, რომ რაღაც მშობლიური, სისხლხორცეული ქრება, კვდება, იკარგება, სხვა რამით, უცხოთი იცვლება. საუკეთესოდ დააახასიათა მისი მემუარული ჩანაწერები იონა მეუნარგიამ. წიგნის ავტორები, ბუნებრივია, საგანგებოდ იმოწმებენ ქართველი ბიოგრაფოსის შეფასებას: მხატვარს ცოტა მეტი ფერი დაუდვია სურათისთვის, მეტი სხივი დაუკრავს... მაგრამ ვინ იტყვის, რომ დედააზრი მისი სიტყვისა ტყუილი იყოსო?

ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტური ჩანაწერები თავისი სიზუსტითა და შთამბეჭდაობით ახალი ხანის „ქართლის ცხოვრებად" მოიხსენიეს ავტორებმა და ამით ზუსტად შეაფასეს ქართული კონსერვატიზმის მამის გულწრფელობა, ნიჭი, გემოვნება, მიზანი და დანიშნულება.

როგორც ოპიზელი ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ძვირფასი მასალისგან თვალშეუდგამ სილამაზეს, გაუხუნარ შედევრებს ქმნიდნენ, ისე ბატონები როსტომი და პაატა მდიდარი, ღრმაშინაარსიანი მასალის წიაღს წვდებიან, იქიდან ამოაქვთ მარგალიტები და ყველასათვის საცნაურად და ხელმისაწვდომად ხდიან მას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო მათი სტილის ერთი დამახასიათებელი შტრიხი. ცალ-ცალკე თუ ერთად მუშაობის დროს მათ შეუძლიათ ახალი აზრი, სხვა ჭრილში დანახული, სხვანაირად გააზრებული ნაცნობი თემა თუ ნაწარმოები, მეცნიერული აღმოჩენა, ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა ძალიან „უბრალოდ" და „მარტივად" მიაწოდონ მკითხველს.

ხშირად ჩვენ გულუბრყვილოდ ისიც კი გვგონია, ეს ხომ ისედაც ცხადია, ამას რად უნდა მისანიო. თითქოს რა დიდი მიხვედ-

რა უნდა, ილია ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანის?!“ ერთ ეპიზოდში შეფარვით ალექსანდრე ორბელიანს რომ ეკამათება და მის „მამაშვილობის“ თეორიას განაქიქებს? ნათელი და საკამათო არაა, რომ ირონია, რომლითაც განმსჭვალულია მოურავისა და მისი ბატონის დიალოგი („-დიაღ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ, თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, — ეგ რა? სულ ჩვენი სიკეთისთვის არის ხოლმე“ და ა. შ.) ირიბად მიმართულია „მამაშვილობის“ თეორიის ყველა მომხრისა და დამცველის გასაბიაბრუებლად. მაგრამ ეს ახლაა უტყუარი და გამჭვირვალე, როცა მკვლევარებმა დასაბუთებულად გამოთქვეს ეს აზრი, თორემ მანამდე...

ან თუნდაც ეს. „მგზავრის წერილებიდან“ ყველას ახსოვს ილიას შეხედულება გოეთესა და ბაირონზე, მაგრამ ვიცით გვიანდელი ილიას შეხედულება იმავე მწერლებზე? ცალკე არაფერი დაუწერია არც ერთისა და არც მეორის შესახებ. მკვლევარების მიერ ილიას მთელი შემოქმედების ღრმად წვდომა და ანალიზი ხელისგულზე გადაგვიშლის, რომ მოგვიანოდ ილია „იდეალად დასახავდა სწორედაც მყინვარსა და გოეთეს, და სინანულით გაიხსენებდა „მგზავრის წერილების“ იმ პასაჟსაც და გაბროს, კაკოსა და ზაქროს სახეების შექმნასაც...“ იმის შესაცნობად, რა გზა გაიარა ერის მამად აღიარებულმა ილია ჭავჭავაძემ ლიბერალიზმიდან კონსერვატიზმამდე, საუკეთესო მეგზურობას გვიწევენ ამ წიგნის ავტორები. მათი ნაშრომი სწორედაც რომ მაშველი რგოლია, ძაფის წვეროა, რომელსაც სწორ გზაზე გავყავართ.

ვინ არ აღვფრთოვანებულვართ ორი ქართველი მანდილოსნის — კრავაი ჯაყელისა და ხვაშაქ ცოქალის დიპლომატიური ნიჭითა და უნარით. მაგრამ სწორედ ყუთლუ არსლანის კარავი მოჩანს პარლამენტური მონარქიის სათავეში. არადა, მოვლენათა როგორი ზედმიწევნითი ცოდნა, სწორი ანალიზის უნარი და ერთგვარი გაბედულებაცაა საჭირო იმისთვის, ყუთლუ არსლანი, რომელსაც მემატიანე დამამცირებელი ეპითეტებით იხსენიებს(„ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელი“, „მზაკვარი“ და სხვა) სოლომონ დოდაშვილის, ქართველთა ეროვნული გმირის სულიერ წინამორბედად რომ გამოაცხადო. მაგრამ თუკი ერთი-

ცა და მეორეც პარლამენტური მონარქიზმის მომხრე იყო, მაშინ დასკვნა სავსებით ლოგიკური და კანონზომიერია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — იმ ორი მშვენიერი მანდილოსნის ნიჭს, უნარს, მოხერხებას საუკუნეობით შეუფერხებია ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო პოლიტიკური წყობის დამკვიდრება.

ზნეობის მოშლის, სხვისი მოკვლით აღფრთოვანების გამოხატვის გამო წუხდა გაბრიელ ქიქოძე. ზნეობრივი საფუძვლების გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს. „ზნე ამაღლებით“ სურდა, სხვანაირად ვერ წარმოედგინა ქართველი ერის მიერ მომავალი სახელმწიფოს მშენებლობა გრიგოლ ორბელიანსაც. ალექსანდრე II-ის მოკვლამ თუ აკაკი წერეთლის აღფრთოვანება გამოიწვია, გაბრიელ ქიქოძემ მხოლოდ გულისტკივილით შეხედა ამ ამბავს...

ვეცნობით რა ქართული კონსერვატიზმის ისტორიას, მწყობრად, სისტემად ჩამოყალიბებულს, თითქოს თვალნათლივ ვხედავთ, ვკითხულობთ დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუციას — „სიბრძნით განსაზღვრებულსა და მეცნიერებით გაბრწყინვებულს“. დაწერილი, შედგენილია ეს კონსტიტუცია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოღვაწის მიერ და ერთმანეთს ავსებს, უნისონში ჟღერს ყველა ქართველი კონსერვატორის ნააზრევი.

ზემოჩამოთვლილთა გარდა, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე, ზურაბ ავალიშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, პავლე ინგოროყვა, ვასილ ბარნოვი, ერეკლე ტატიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ოთარ ჩხეიძე, ზვიად გამსახურდია — აი, ძირითადად ის მოღვაწენი, რომელთა კონსერვატული ნააზრევია განხილული წიგნში. საინტერესოა, რომ ავტორები ყურადღებას აქცევენ არაკონსერვატორთა კონსერვატულ შეხედულებებსაც. მაგალითად, საგანგებოდაა აღნიშნული ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილის ეროვნული კონცეფცია და ამ თვალსაზრისით პრაქტიკული საქმიანობა და სხვ.

თანამედროვე სამყაროში უამრავ თავშისაცემ კითხვათაგან ერთ-ერთი ურთულესია განსხვავებულ ერთა, ენათა, კულტუ-

რათა, ტრადიციათა და ა.შ. თანაარსებობის პრობლემა. როგორც ჩანს, მსოფლიოს უკეთესნი მეცნიერნი თანდათან მიდიან იმ დასკვნამდე, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა „საერთო ნიადაგის“ თეორიად. უფრო ადრინდელი მოღვაწეების — ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ორბელიანის ნააზრევზე დაყრდნობით შემუშავებული ეს კონცეფცია კიდევ უფრო ადრე, მეთორმეტე საუკუნეში პოეტურად ასე გამოთქვა ჩვენმა გენიოსმა მწერალმა: „შიგან მათსა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“.

* * *

როგორც ავტორები ვარაუდობენ, ეს წიგნი უთუოდ მისცემს კვლევის სტიმულს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, ალბათ, ქართველ კონსერვატორთა სიაც შეივსება. მანამდე კი წავიკითხოთ, შევისწავლოთ, გავითვალისწინოთ, უბრალოდ, ვისიამოვნოთ პაატა და როსტომ ჩხეიძეების „კონსერვატიზმის ისტორიით“.

ეპოქის საფიქრალი

(ნიკოლოზ ჩუბინიძის მოთხრობების პირველი წიგნი)

ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული პირველივე პუბლიკაციებით ცხადი გახდა, რომ ნიკოლოზ ჩუბინიძე მწერალია — თავისი სათქმელით, გამოხატვის თავისებური ფორმით, საკუთარი სტილით, ხელწერით. წიგნში „უგემური საკითხავი“ თავმოყრილმა რამდენიმე მოთხრობამ ეს შთაბეჭდილება სავსებით დაადასტურა და კიდევ უფრო განამტკიცა.

თემა მოთხრობებისა ჩვენი თანამედროვეობაა, ჩვენი ყოფა. ამავე დროს ეს ნაწარმოებები, ცხადია, აირეკლავს ზოგადადამიანურ სატკივარსაც.

ზუსტი, თავის ადგილას გამოყენებული ირონია, რომელიც ნიკოლოზ ჩუბინიძის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, სასიამოვნო და საინტერესოს ხდის მის თუნდაც უგემურ საკითხავებს. ნაწარმოებები ყურადღებას იქცევს ფორმითაც — ჩართული ნოველები მოთხრობის სიუჟეტთან არის დაკავშირებული (თავდაპირველად მკითხველს ასე შეიძლება სულაც არ მოეჩვენოს). საბოლოოდ ყველა პატარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შენაკადი მთლიანდება, კომპოზიცია შეიკვრება, მოთხრობა მთავრდება, თხრობით აღძრული განცდა კი დიდხანს რჩება.

სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემა გარეგნულად ლამაზი ფორმით, სახალისოდაა მოწოდებული. ირონია აქ თვითმიზანი კი არა, სათქმელის გამოხატვის საშუალებაა. ამქვეყნიურ ამაოებაში ჩართულთ ხომ თითქმის სრულიად არ გვახსოვს იქითა ნაპირი, სამუდამო ცხოვრება. ადამიანის არსის, რაობის, ამქვეყნიური დანიშნულების შესახებ ფიქრისთვისაც არც დრო გვაქვს და არც სურვილი.

საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალისთვის ერთადერთ ნუგეშად ქალიშვილი რჩებოდა, რომელიც, როგორც მოთხრობიდან ვიგებთ, საზღვარგარეთ სწავლობდა. თითქოს გზა ნაპოვნია. შეიძლება სულიერი სიმშვიდის მიღწევა მას შემდეგაც, რაც სიკვდილმა ასე ახლოს ჩაუარა ქალს და უამრავი ფსიქოლოგიური პრობლემა შეუქმნა. მკითხველიც იმის მოლოდინშია, რომ ქალიშვილი შეუმსუბუქებს დედას ცხოვრებას, გაუგებს, ყოველ შემთხვევაში, შეეცდება მაინც მისი გრძნობების გაგებასა და დაფასებას, მაგრამ... სრულიად მოულოდნელი ფინალი — შვილი არალეგალური პროსტიტუციისთვის ყოფილა ორიოდე თვის წინათ დაკავებული...

მოდი და ამის შემდეგ შეცდომად ჩაუთვალე აბიტურიენტს პასუხი: ადამიანი მდაბალი, პირველყოფილი ინსტინქტების ტყვეა, მის ცხოვრებას სექსი და გაუტანლობა წარმართავს...

არადა, არ მოგვწონს, ეს რომ ასეა. ვცდილობთ, ოღონდ გამოსწორებას კი არა, სხვის თვალში უკეთ გამოჩენას. მთელი ქვეყანა, როგორც ავტორი ამბობს, მაინცდამაინც ამ აფორიზმზეა გაგიჟებული: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, თუმცა სინამდვილეში ყოველი სხვა, ანუ მატერიალური მოსახვეჭელი სახელზე ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და ვცდილობთ ჩვენი უკეთურება აფორიზმით გადავფაროთ. რად გინდა, საშველი მაინც არ არის...

ორიგინალური ფორმის მოთხრობაა „ჯვარს ეცვი“ თავისი უცნაური თუ გაურკვეველი თუ იდუმალი პერსონაჟებით. კაცი და ქალი ჰო დიდ თავსატეხს არ გვიჩენენ, მაგრამ ეს სხვა კაცი და სხვა ქალი ვინ არიან? რაში დასჭირდა ავტორს? ან ჩვენ რად გვინდა? რა თქმა უნდა, როგორც ყველა ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟები, ისინიც ჩვენა ვართ, ისინიც ხალხშია და ხალხის ნაწილია. ეს „ჯოს“ რატომღა უნდა შეიცვალოს „ჯოისით“? მარტო ირონიაა თუ... სასიამოვნო და საინტერესოა, რომ ავტორის ყველა სტილური ხერხი, ამ თვალსაზრისით ყველა ძიება შინაარსისგან განზე კი არ დგას და თვითმიზნად კი არ არის ქცეული, არამედ სათქმელის უკეთ გამოხატვას ემსახურება, ეპოქის ხასიათს ირეკლავს და ეპოქისავე ნიშნითაა აღბეჭდილი.

ერთი ფიქრით კინაღამ ქალთმოძულეობა დავაბრალე მწერალს (ევრიპიდესავით), განსაკუთრებით „ნინია და ქეთუსიას" წაკითხვის შემდეგ. მაგრამ მალევე ვიგრძენი, რომ თხრობა სიძულვილით კი არა, სიყვარულითაა გამსჭვალული. სიყვარულითა და შიშით. შიშით, რომ ყველაფერი არ დაინგრეს და თავზე არ ჩამოგვემხოს; რომ არ გვშთანთქას გლობალიზაციამ თუ ათასნაირმა ევრო-ამერიკულ-აფრო-ავსტრალიურმა ჭირმა. იმის სურვილითაა დაწერილი, რომ შვილებსა და მშობლებს კვლავ უყვარდეთ ერთმანეთი, პატივს სცემდნენ, თანაუგრძნობდნენ ერთიმეორეს; რომ ჰარმონია არ დაირღვეს, და თუ მაინცდამაინც დაირღვევა, საბედისწერო არ აღმოჩნდეს ცალკეული ადამიანებისთვის, ოჯახებისა და მთელი ქვეყნისთვისაც.

ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, თავზარდამცემი იყო „ნინია და ქეთუსიას" და „უგემური საკითხავის" ფინალი. მე არ ვფიქრობ, რომ ამ მოთხრობების პერსონაჟთა ხასიათები ტიპურია და მთელი საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი (ღმერთო, გვიხსენი!), მაგრამ ასეთ პერსონაჟთა შექმნა არც მარტო ავტორის ეპატაჟურობით აიხსნება. აქ, ალბათ, უფრო ცალკეული ცხოვრებისეული შემთხვევების გამძაფრებულად აღქმაა, რაც არათუ ბუნებრივი და სასურველი, მე ვიტყოდი, აუცილებელიცაა.

ამ პატარა გამოხმაურებაში რამდენჯერმე გავიმეორე, ეპოქის საფიქრალს წარმოსახავს, ეპოქის სულს აირეკლავს-მეთქი. უნდა მაპატიოთ ტავტოლოგია იმიტომ, რომ „ხორცის ფასი" სწორედ ეპოქის, ჩვენი ყოფის ამსახველია.

პერსონაჟთა და ზოგჯერ ავტორის მეტყველებაც გაჯერებულია ჟარგონით, ქუჩური მეტყველებით, ე. წ. სლენგით. ამ მხატვრულმა ხერხმა თითქმის წალეკა თანამედროვე მწერლობა. ნიკოლოზ ჩუბინიძის ნაწარმოებებში ყურს არ ჭრის თვით უცენზურო სიტყვებიც კი, თხრობის კონტექსტში შემოდის იმის ახსნა-განმარტებაც, რატომ არ დაიბეჭდა სრულად ესა თუ ის სიტყვა და რატომ არის გამოტოვებული მასში ორი ასო. ერთი სიტყვით, ფორმა და შინაარსი ერთმანეთს განაპირობებს, ერთი მთლიანობაა და ნაძალადევი და თავსმოხვეული არაფერია. „ხორცის ფასის" ფინალი სტილურად სრულიად განსხვავდება

მოთხრობის დანარჩენი ნაწილისგან (და სხვა მოთხრობებისგან). ამაღლებულია, დახვეწილი, ოდნავ არქაიზებულიც კი. ამ სტილური აღრევით კიდევ უფრო გამოიკვეთა არამარტო 21-ე საუკუნის ქართველის, არამედ საერთოდ, ადამიანური ყოფის ტრაგიზმი, ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული პროცესიც, მომავლის შიშიც და იმის იმედიც, რომ ეს შიში ფუჭი, ამაო აღმოჩნდება.

კრიტიკული წერილების მიხედვით ნიკოლოზ ჩუბინიძე ჩვენ წინაშე წარმოჩნდება, როგორც უაღრესად განათლებული, ღრმად მოაზროვნე, შესანიშნავი ანალიტიკური უნარის მქონე, გემოვნებიანი ავტორი. ხოლო ის ერთადერთი ესეი, რომელიც ამ წიგნშია დაბეჭდილი (უფრო ადრე ჟურნალში გამოქვეყნდა და კიდეც მოიყოლა შესაფერისი გამოხმაურებანი), გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამ ჟანრის შედევრია. წერო ოთარ ჩხეიძეზე ისე, რომ არ გადააჭარბო და არც არაფერი დააკლო, დიდი პიროვნების პორტრეტს შეჰმატო კიდევ ერთი, საინტერესო შტრიხი, თან ისეთ ენობრივ ყალიბში მოაქციო, ისეთი ექსპრესიით დაწერო, რომ მკითხველის გულისყური და ინტერესი ერთი წუთითაც არ გაანელო, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია და დიდ ოსტატობას მოითხოვს. ეს ესეი დაამშვენებდა მსოფლიოს საუკეთესო ესეების ნებისმიერ კრებულს, რომელიც კი შესაძლოა გამოიცეს. რა გითხრათ, გულწრფელად მეხარბება ნიკოლოზ ჩუბინიძისა, რომელსაც აქვს რამდენიმე წიგნი, უწვრილესი ასოებით რომ აწერია „ნიკას! ოთარ ჩხეიძე". და... მეტი არაფერი.

მიუსაფარი სულის ღაღადი

(ირაკლი ქასრაშვილის მოთხრობების პირველი კრებული)

გადის დრო, იცვლება ეპოქები, მასთან ერთად იცვლება ადამიანი, მაგრამ ხდება კი უკეთესი, ვიდრე გუშინ (საუკუნეების წინათ) იყო? ტექნიკური პროგრესი, ცივილიზაცია, რევოლუციური გარდაქმნები თუ სხვა როგორ მოქმედებს ადამიანის შინაარსზე, მის ბუნებაზე, ღვთისგან ბოძებულ სულზე? — ეს მარადიული და საჭირბოროტო კითხვები აწუხებს ირაკლი ქასრაშვილსაც, რომელიც თავის განცდილს, ნაფიქრ-ნააზრევს, წარმოსახულს მომხიბლავი, მიმზიდველი ფორმით უზიარებს მკითხველს წიგნში „რეპეტიცია“ („პეგასი“, რედაქტორი — ლია მესხია). ამ კრებულში ხუთი მოთხრობა და ერთი პიესაა დაბეჭდილი. სხვადასხვა ამბავს, სიუჟეტს, განსხვავებულ პერსონაჟებს, სიტუაციებს, ხასიათებს ერთი ძარღვი, ერთი სათქმელი კრავს და აერთიანებს. მათი მთავარი თემა (როგორც ყველა მხატვრული ნაწარმოებისა) ადამიანია, მისი რაობა, მიზანი და დანიშნულება.

პერსონაჟები უმეტესად ჩვენი თანამედროვენი, ჩვენი ნაცნობები არიან. მათი მეტყველება რეალურობის, ნამდვილობის განცდას ბადებს. მწერალი ერიდება, ერთი მხრივ, ჟარგონისა და ბილწსიტყვაობის გამოყენებას (რაც ერთგვარ მოდადაც კი იქცა თანამედროვე ლიტერატურაში) და, მეორე მხრივ, არც არქაული მეტყველებით ან სხვა მანერულობით ტვირთავს ტექსტს. კარგად ჩანს ავტორის ფართო განსწავლულობა და სასიამოვნოა, რომ ეს არ ამძიმებს მხატვრული ნაწარმოების აღქმას. ამ მოთხრობებში ყველაფერი ბუნებრივია, ლოგიკური, სიუჟეტის განვითარებას ემსახურება და არა მკითხველის დაბნევას თუ

მის წინაშე ნაკითხობით თავის მოწონებას. მაგალითად, როცა ირაკლი ქასრაშვილი ჩვენებურ „ბირჟას" აღწერს, დაასკვნის: „ბირჟის ფენომენი ჯერ კიდევ ელის თავის ჟამთააღმწერელს, რომელიმე გრიშაშვილს, გილიაროვსკის ან ვაშინგტონ ირვინგს. შესაძლოა დიკენსსაც კი, რომელიც ლიტერატურულ გასაღებს მოარგებს აქ გათამაშებულ დრამებსა და ბობოქარ ვნებებს". შეფარულ ირონიას გადასწონის რამდენიმე მწერლის ერთად ხსენება, რაც მკითხველზე დამთრგუნველად არ მოქმედებს იმიტომ, რომ ეს ჩამონათვალი თვითმიზანი კი არ არის, არამედ ამბავმა, კონტექსტმა, კერძოდ, „ბირჟამ" მოიყოლა. ასეთი ადგილები წიგნში ბევრია და ყველგან „თავის ადგილას ზის".

კრებულის პირველი მოთხრობა „აუტოდაფე" დიალოგით იწყება. მეზობლების საუბარი თითქოს ჩვეულებრივი, ყოველდღიურია, ამავე დროს –საინტერესოც და ჯერ არ ვიცით, მაგრამ ვგრძნობთ, რომ — სიუჟეტისთვის მნიშვნელოვანი. მწერლური ოსტატობა ვლინდება იმით, რომ მკითხველს ინტერესი თავიდანვე აღეძვრის და ნაწარმოების გასრულებამდე ერთგვარად დაძაბულია, მოთხრობის სამყაროსაა მიჯაჭვული. ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ შეფარული სიამაყით ნათქვამი — მე მარტო ქართული წიგნები მაქვსო, — ჩვენი თანამედროვე ყოფისთვის ნიშნეული ფრაზაა და ცრუპატრიოტიზმის სახიერი გამოვლენა. კი, შეიძლება ადამიანს მარტო ქართული წიგნები ჰქონდეს (ან სულ არ ჰქონდეს წიგნები), მაგრამ ეს მხოლოდ სინანულს უნდა იწვევდეს. ხოლო ამით თავმოწონება, თუ თავის ნამდვილ სახელს დავარქმევთ, უბრალოდ, გაუნათლებლობა, უკულტურობა, სნობიზმია. პერსონაჟის შესახებ წარმოდგენა უკვე შეგვექმნა და ჩვენს შეხედულებას კიდევ უფრო ამყარებს მთხრობელის ფრაზა: „როცა გელაპარაკება, პირდაპირ კი არა, გვერდულად გიყურებს და თან ზემოდან ". პორტრეტი დასრულებულია, ხოლო შემდეგი ინფორმაცია: „ახლახან გავიგე, მერიის რომელიღაც სამსახურში დაუწყია მუშაობა ", — არ ვიცი, ირონიაა თუ ნატურალიზმი.

შეინარჩუნა თუ არა წიგნმა ჩვენს დროში თავისი ფუნქცია, კითხულობენ თუ არა დღეს წიგნებს, ხომ არ შეცვალა წიგნი კომპიუტერმა — დაახლოებით ასე ისმის საკითხი და განიხილე-

ბა ყველასათვის ნაცნობი თემა ბირჟაზე შემდგარ იმპროვიზებულ „თოქ-შოუში“. განხილვის მონაწილეთა მიერ დასახელებული ბოლოს წაკითხული ორიოდე წიგნი ეპოქის ნიშნითაა აღბეჭდილი და საზოგადოების ინტერესს, საერთო ტენდენციებს გამოხატავს: ქართულ-ინგლისური სასაუბრო და წიგნი სტალინზე — ან ძველის განუზომელი და გაუაზრებელი ნოსტალგია, ან ასევე გაუაზრებელი სწრაფვა ახლისკენ, თითქოს მათ შორის არაფერი არ არსებობდეს.

ხალხის სახელით მოლაპარაკე დემაგოგებმა, არ ჩანს, კონკრეტულად ვინ, ვიღაცამ — საზოგადოდ „ჩვენ“ — გადაწყვიტა, ზედმეტი წიგნებისაგან იხსნას ტანჯული მოსახლეობა — დაწვას, გაანადგუროს უვარგისი და როგორც ჩანს, მათი აზრით, მავნე წიგნებიც. მაგრამ, მაინც, რომელი? გაინტერესებთ, რა პრინციპით არჩევენ დასაწვავ წიგნებს? — უმარტივესად. „დიდი პატრიოტები“ მხოლოდ ქართულ წიგნებს არ იმეტებენ, მარტო უცხოელი ავტორების წიგნებისგან ათავისუფლებენ მოსახლეობას, რა თქმა უნდა, მათზე ზრუნვის საბაბით. აბსურდია? გარკვეული აზრით, კი, მაგრამ თუ გავიხსენებთ ზოგიერთი თანამედროვე ჩინოვნიკის წიგნიერებას და დამოკიდებულებას, განსაკუთრებით, რუსული ლიტერატურის მიმართ, მაშინ მოთხრობაში აღწერილი სიტუაცია რეალისტურად მოგვეჩვენება.

საერთოდ, ეს მოთხრობა მარტო თანამედროვე ყოფის სარკისებური ასახვა როდია. საზოგადოება, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც პიროვნებისგან სრულ მორჩილებას მოითხოვს. ხროვაში არავინ სცემს პატივს ინდივიდუალურ, გამორჩეულ აზრს, ადამიანის თავის თავთან დარჩენას, ადამიანის მარტოობას.

ჩვენი საზოგადოების (არა მარტო ქართულის) მოუწყობლობა, ზოგ შემთხვევაში აბსურდულობაც კარგად ჩანს მოთხრობაში „ემიგრანტი“. ირაკლი ქასრაშვილის ნაწარმოებებმა აკაკი წერეთლის „მესარკე“ გამახსენა. მწერალი მიუკერძოებლად, მართლად ასახავს, რასაც ხედავს და როგორც განიცდის ისე, რომ არავის კიცხავს, არ ადანაშაულებს, არც ვინმეს აქებს თუ ნიმუშად გვისახავს. საერთოდ, ეს მოთხრობები არ არის დიდაქტიკური ხასიათის, აქ ვერსად ნახავთ შიშველ მოწოდებას და

სწავლებას. მკითხველს საშუალება აქვს, მწერლის მიერ მოტანილ სარკეში ჩაიხედოს, ის დაინახოს, რაც იქნებ არც კი შეუმჩნევია ან უდროობის გამო თუ სხვა რამ მიზეზით სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. წიგნში თავმოყრილი ყველა ნაწარმოები ფიქრისთვის, მსჯელობისთვის, ანალიზისთვის, მრავალი რამის აწონ-დაწონისთვის განაწყობს ადამიანს.

არავინ იცის, რატომ ხდება (არადა, ხდება), რომ თუ კანონით, ოფიციალურად, გაუყალბებელი საბუთებით გინდა რამის გაკეთება (თუნდაც საზღვარგარეთ წასვლა), გაწვალებენ, ათას დამატებით საბუთს გთხოვენ და ბოლოს შეიძლება მაინც უარი გითხრან, არალეგალურად, ყალბი საბუთებით კი გაცილებით იოლად და უმტკივნეულოდ შეიძლება საქმის მოგვარება. „ემიგრანტში" განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა ის ყალბი ბიოგრაფია, მოთხრობის პერსონაჟმა რომ შეუქმნა საზღვარგარეთ მყოფ ბიძაშვილს. ეს ბიოგრაფია იკითხება, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ნოველა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ნოველა ნოველაში. წარმოსახული თავგადასავალი აფხაზეთში მცხოვრები ქურთისა, რომელიც ომის დროს აფხაზების მხარეს იბრძოდა, მაგრამ გული ქართველებისკენაც მიუწევდა, მართლად, შეუცდომლად, რეალისტურად აირეკლავს მრავალი რუსის, ბერძნის, ესტონელის, თვით აფხაზისა და ქართველის გაორებულ, გამოურკვეველ ყოფას ომის დროს. ბევრი დღემდე განიცდის სულიერ რყევას და იტანჯება. თუ ავტორი ინებებს ამ მშვენიერი ქარგის ოდნავ მაინც გაშლას, ჩვენს ლიტერატურას კიდევ ერთი კარგი მოთხრობა შეემატება.

ნაწარმოების მიხედვით ჩვენს ქვეყანასა და ევროპას შორის განსხვავებაც კარგად ჩანს, მაგრამ ის, რომ ზელი ამოევი ევროპის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა, მიგვანიშნებს, რომ გლობალური, მასშტაბური, ზოგადადამიანური სატკივარი აქაც და იქაც ერთნაირია.

ქართულ ლიტერატურაში არაერთხელ დამუშავებულა მინდიას მითი. კლასიკოსებმა(ვაჟა-ფშაველამ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ რობაქიძემ) საფუძვლად დაუდეს ეს უძველესი თქმულება თავიანთ ნაწარმოებებს და ერთმანეთისაგან განსხ-

ვავებული (ფორმით, სტილით, იდეით...) თხზულებანი შექმნეს. მწერალთა ფანტაზიას დღესაც კვებავს უკვდავი მითი. აგერ სულ ახლახან ზურაბ ლავრელაშვილმა თავისებურად, ორიგინალურად გაიაზრა იგი შესანიშნავ რომანში „განკვართული". იმავე თემას უტრიალებს ირაკლი ქასრაშვილი „გველისმჭამელის ამბავში". თავიდან თითქოს ზუსტად თქმულებას იმეორებს, ყვება ამბავს და სიუჟეტი ყველაზე მეტად, ალბათ, ვაჟას პოემას ენათესავება, მაგრამ ეს ახალი ამბავია, ახალი რეალობა. სულ მალე ყველაფერი იცვლება მწერლის შეთხზულ-წარმოსახულით. საკუთარი სტილი, გადმოცემის მანერა მოთხრობას იმთავითვე განასხვავებს ამ თემაზე დაწერილი ყველა სხვა ნაწარმოებისაგან. ფინალში მხატვრული თხრობა ერთგვარად პუბლიცისტიკით იცვლება. ავტორი თვითონ გვიხსნის მინდიას ტრაგედიის მიზეზს. „ის შეეცადა ანგელოზის ყოფით ეცხოვრა დედამიწაზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ადამიანად იქცაო", — გვეუბნება და ისევ ადამიანურ ბუნებაზე დაგვაფიქრებს. მინდია იღუპება. „გაურკვეველია — თავი მოიკლა თუ მტრის მახვილმა განგმირა იგი". ბოლო ფრაზით კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ამის გარკვევას, კაცმა რომ თქვას, მნიშვნელობა არცა აქვს, იმიტომ, რომ სხვა სამყაროს, სხვა მსოფლიოს ნაზიარები სული ყოველდღიურ, ჩვეულებრივ, დედამიწურ ცხოვრებას მაინც ვერ ეგუება...

სრულიად განსხვავებულია მოთხრობა „მეომრები". გასული საუკუნის 90-იანი წლების სახელმწიფო გადატრიალება უკვე რამდენჯერმე აისახა მხატვრულ ლიტერატურაში, თუმცა თემა ამოწურული, ცხადია, არ არის. ე. წ. თბილისის ომს, უფრო ზუსტად სახელმწიფო გადატრიალებას არტისტული გადატრიალება უწოდა ოთარ ჩხეიძემ. ეს განსაზღვრება —„არტისტული" — ისე მოუხდა, ისე მიესადაგა შუა რუსთაველზე გამართულ ხოცვა-ჟლეტას, ისე ზუსტად გამოხატა მაშინდელი ბრძოლის ჟინი (სული), რომ თითქოს თავიდანვე ასე იყო განსაზღვრულ-ჩაფიქრებული, გადატრიალება, ხელისუფლების შეცვლა უნდა მომხდარიყო სწორედაც არტისტულად.

91 წლის დეკემბრის ტრაგიკულ დღეებს ასე აღწერს ირაკლი ქასრაშვილი: „შეტაკებები ძირითადად ცენტრალურ ქუჩაზე

ხდებოდა და ხალხი, რომელსაც საოცარი უნარი ჰქონდა, სულ მცირე მოვლენაც კი წარმოდგენად ექცია, მთელი ქალაქიდან მოდიოდა იმის სანახავად, თუ როგორი იყო ნამდვილი ომი... მხოლოდ განსაკუთრებული საფრთხე აიძულებდათ, მიეტოვებინათ უფასო წარმოდგენა და ახლომახლო სადარბაზოებისთვის შეეფარებინათ თავი". ეს პასაჟი, რეალობის ზუსტი, მწერლის დაკვირვებული თვალით დანახული და გააზრებული გადმოცემაა.

მთელი საზოგადოება გახლიჩა და შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად აქცია პოლიტიკამ. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, გულწრფელად თუ პირფერულად ყველა ან პრეზიდენტს ემხრობოდა ან მთავრობის დამხობის მოსურნეთ. მაგრამ ბევრი იყო ისეთი, ვინც ომს, ძალადობას, სისხლისღვრას ეწინააღმდეგებოდა თავისი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად. „ხოცავენ და ხოცონ ერთმანეთი, მე ეს არ მეხება. არ ჩავერევი და ვერც ჩავერევი. რაც უნდათ, ის უქნიათ", — ფიქრობს ნაწარმოების ერთი პერსონაჟი. მკითხველისთვის, ალბათ, ნაცნობი განცდაა. რეალისტურია ისიც, რომ ზვიადისტი გიას მეგობარი, ზურა, აჯანყებულთა მომხრეა. ფაქტობრივად, ძმები დგანან სხვადასხვა პოზიციაზე (ლიტერატურისთვის კარგად ნაცნობი თემაა). ისინი კამათში ერთმანეთს არ ინდობენ, პრინციპულად ეწინააღმდეგებიან, თავიანთი სიმართლის დამტკიცებას ცდილობენ, იარაღი კი არ აუღიათ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ვერ მოუსწრიათ და ასე ჩანს, არც აპირებენ ბრძოლას. მწერალი შესანიშნავად ხატავს მოქმედ პირთა ხასიათებს. გიაც, ზურაც, მათთან ბინაში მოულოდნელად შეჭრილი მეომრებიც მეთაურიან-ხელქვეითებიანად დასამახსოვრებელი, თავიანთი ინდივიდუალური ნიშნების მქონე და ამავე დროს განზოგადებული მხატვრული სახეებია.

არ უნდა გიას ომში ჩარევა. მაგრამ ომმა თვითონ ჩაითრია იგი. შინ გამოკეტილს შეუვარდა და ოთახში იმის ანალოგიური ტრაგედია დაატრიალა, რაც ქუჩაში ხდებოდა (არც მინდიას უნდოდა ადამიანის სისხლით ხელების შეღებვა – მოთხრობიდან „გველისმჭამელის ამბავი"). თვითონ ცოცხალი კი გადარჩა, მაგრამ „გრძნობდა, რომ სრულიად მარტო იყო ამ ქვეყნაზე, ეული

და უმწეო, სახლში ჩაკეტილი, ყველასაგან მიტოვებული და მიწყებული ბავშვივით", — თითქოს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ბედი გასიმბოლოებულიყოს პერსონაჟში.

საერთო ფონიდან, საერთო თემიდან ერთი შეხედვით ამოვარდნილი ჩანს მოთხრობა „რეპეტიცია". რუსეთის აგენტების ცხოვრების წესი, ტროცკის გასანადგურებლად ოპერაციის დაგეგმვა და მომზადება, „დიდ საქმეებს" შეწირული გულუბრყვილო მეომრები, ადამიანის სისასტიკით დაგეშვა-გამოწვრთნა და სხვა თანამედროვე ცხოვრებისაგანაც და ჩვენი ქვეყნისგანაც დაშორებული მოვლენებია. ძალზე მიმზიდველი მანერით, სურათების ხატვით და არა განყენებული მსჯელობით ავტორი მკითხველს დასაწყისიდანვე ითრევს თხრობის მდინარებაში და აქაც კვლავ მთავარ თემას — ადამიანის არსის წარმოჩენას — უტრიალებს. რევოლუციას (სხვა ეპოქებსაც?) „არ ესაჭიროება რასკოლნიკოვები, რომლებიც ერთ ბებრუხანას მოკლავენ და მერე ამის გამო მთელი ცხოვრება ცრემლებს ღვრიან, ინანიებენ". იქნებ არც დოსტოევსკი ესაჭიროება რევოლუციას, საერთოდ, „ახალ დროს"? არც რუსთაველი, შექსპირი... სხვა მსოფლიო გენიოსები? „აუტოდაფეში" წიგნების განადგურებაა მიჩნეული მომავალი დემოკრატიის და საამური ცხოვრების საათავედ, „რეპეტიციაში"— ისევ ხალხისთვის და ხალხის სახელით — ადამიანების მოკვლა. არსებითად ეს ორი ერთი და იგივე რამეა. მთავარი დამნაშავის, ტროცკის მოსაკლავად მავანთა მიერ შერჩეული სპეციალური აგენტიც მზადაა, მაგრამ მას მანამდე უდანაშაულო ადამიანის მოკვლას ავალებენ, გამოცდას უწყობენ და იწყება რამონის (აგენტის) სულში ფორიაქი. ადამიანური, ღვთიური საწყისი ჩასძახის და არ ეშვება. ეცოდება მიმნდობი, წრფელი, უეშმაკო სული, ლამის დაუმეგობრდეს კიდეც მას. საქმეში აგენტი დედა, მისი დარიგება ერევა. და რას ასწავლის, რისკენ მოუწოდებს შვილს დედა? „გამოცდილი აგენტისთვის" უცხოა ის სულიერი ღელვა, რომელსაც მისი შვილი ჯერ ვერ გამკლავებია. დედისთვის სხვა ადამიანი არაფერს ნიშნავს, მისი სიცოცხლე არაფერს წარმოადგენს. მთავარია, შენ მოიპოვო სხვაზე ძალაუფლება, შენ მოკლა, შენ იმძლავრო, შენ

იყო მაგარი...რისთვის, რომ ჰკითხო, ალბათ, გიპასუხებთ, რომ ისევ იმისთვის, მოკლულისთვის სჯობს ასე, მისთვის ზრუნავს და ხალხის ნათელი მომავლისთვის.

როგორც ჩანს, კასრში გამოყვანილი ვირთხების პრინციპი ყოველი (ნებისმიერი) რევოლუციის (არა მარტო რევოლუციის) დროს მოქმედებს. რომელი მხარეა ადამიანში უფრო ძლიერი — კაენური თუ აბელური? სინდისი, ეს პატარა ღმერთი მომავალში უსარგებლო იქნება თუ უკვე იქცა ასეთად (შდრ. ვაჟა-ფშაველას „სინდისი")? თუკი პარტიისთვის ერთგულების დასამტკიცებლად, ჯერ მოყვარე უნდა მოკლას, დაე აღსრულდეს, რადგანაც მიზნით საშუალების გამართლება გამხდარა ცხოვრების წესი, ასე შებღალულა და დაცემულა ზნეობა. დასაფიქრებელი და სავალალო ისაა, რომ ეს მხოლოდ რეპეტიციაა — ახალი ჯიშის ადამიანი გამოყვანილია, ხოლო წარმატებული რეპეტიციის შემდეგ რატომ ერთი ტროცკის და რატომ ათასობით და მილიონობით ხალხის განადგურებას ვერ შეძლებს? ხომ ირწმუნებოდნენ (ნუთუ გულწრფელად?) პოეტები, დედას მოვკლავ, მამას მოვკლავო... ბედნიერი მომავლის სახელით. ნიშანდობლივია ნაწარმოებში გახმოვანებული ფრაზა. როცა ერთ-ერთი პერსონაჟი გაიხსენებს საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამს — „ღმერთი მოკვდა", მეორე უსწორებს: „ღმერთი არ მომკვდარა... ის უბრალოდ, არც არასოდეს არსებობდა".

შიშის, სიცივის, სასოწარკვეთილების შემზარავი გრძნობა ეუფლება ამ მოთხრობის წამკითხველს და ეს უთუოდ მწერლის გამარჯვებაა. მან ძალდაუტანებლად შეძლო ჩვენი ემოციების გამოწვევა.

ირაკლი ქასრაშვილი კარგი პროზაიკოსია, კარგი ესეისტი (ამას წინათ „ჩვენს მწერლობაში" გამოქვეყნებული სტატიაც ამის დასტურია) და ამავე დროს — მშვენიერი დრამატურგი. კრებულში დაბეჭდილი ერთადერთი პიესა თავისუფლად გვაძლევს ამის თქმის უფლებას.

პიესაში მოქმედების დრო და ადგილი მეტისმეტად დაკონკრეტებულია. სწორედ კონკრეტიკა განაპირობებს მის ზოგადობასაც. „თბილისი, 1994" — გვამცნობს სათაური და მართლაც თვალწინ

წარმოგვიდგება იმდროინდელი ყოფა გარეგნულადაც (უშუქობა, უპურობა და სხვა) და არსობრივადაც (სასწრაფოდ დასაბრუნებელი ვალი, იარაღი, თავდასხმა, ძარცვა, ქურდობა...). მთავარი მოქმედი პირი ნაწარმოებისა მამაკაცია, მის ყოველ მოქმედებას კი შეფარულად, ერთი შეხედვით უჩინრად, ქალი წარმართავს. „ამხელა კაცს ოჯახი ვერ შეგინახია. შიმშილით დავიხოცებოდით მამაჩემი რომ არ გვეხმარებოდეს... ბარემ გადავალ ჩემს მშობლებთან, მაინც იმათ კისერზე ვართ“, — განათლებული, წესიერი, ხასიათმომშვიდებული კაცისთვის საყვედურზე, მუნათზე მეტია. გოგოთურის ცოლივით ავკაცობისკენ წამქეზებელი ამ შემთხვევაშიც ქალია. კი უკვირს კაცს, მე სხვა ქალი მოვიყვანე ცოლად თორმეტი წლის წინათ, თუმცა, ეტყობა, მაშინ ვერ ამოიცნო ქალის ბუნება. მატერიალურმა შეჭირვებამ მხოლოდ გამოავლინა მისი ნამდვილი სახე. მამაკაცი კი, რა, განა ყოველთვის ქალის სიამოვნებას, მის თვალში ღირსების მოპოვებას არ ცდილობს? ამ მიზნით ხან სამშობლოს სწირავს თავს, ხან ძარცვა-გლეჯით არჩენს ოჯახს... იმის მიხედვით, ქალის (სატრფოს, ცოლის, დედის ...) თვალში რა აამაღლებს... ღირებულებების სკალის შემქმნელი ქალია და უბედურება, ტრაგედიაა, როცა მის უმაღლეს მისწრაფებას ფული წარმოადგენს. „ფული თუ ვერსად იშოვე, ეს მარტო შენი ბრალია“,— ვინ იცის, რამდენის ცხოვრების გზა განუსაზღვრავს ამ განაჩენს. ამის შემდეგ კი სულ ერთი ნაბიჯია დარჩენილი, რომ „სულგამოცლილმა არსებებმა“ გამოგონილიდან რეალურ სამყაროში გადმოინაცვლონ. იმედად ისღა გვრჩება, რომ ყოველთვის იარსებებს ხალხი, რომელიც მაინც დაწერს წიგნებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, „ალბათ, არასოდეს დაიბეჭდება და რომც დაიბეჭდოს, არავინ წაიკითხავს“.

დაბოლოს: წიგნის გარეკანზე გამოსახული ბნელი, უნათლო ოთახიდან დანახული ფერადოვანი, მზიანი ველი თუ ნათელი სამყაროდან აღქმული ჩაშავებული ოთახი (მიუსაფარი სული) კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ამქვეყნად ავისა და კარგის, ბოროტისა და კეთილის, ბნელისა და ნათლის თანაარსებობას. წიგნის კითხვის დროს კი ერთი წუთითაც არ გვტოვებს განცდა, რომ ბოროტს აუცილებლად სძლევს კეთილი.

ხეტიალი საკუთარ სულში

(„ზეგზებიდან“ „რონინამდე“)

ამას წინათ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ გამოქვეყნდა ნახევრად სახუმარო განცხადება. განმცხადებელი თხოვდა ყველას, ვისაც კი ბოლო დროს დაწერილ ნაწარმოებებში შეხვედრია, ან თვითონ გამოუყენებია სიტყვა „რონინი“, გამოხმაურებოდნენ. თხოვნას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია („ჩვენს მწერლობაში“ ამის შესახებ არანაირი ცნობა არ დაბეჭდილა), რაც, სავარაუდოდ, იმას ნიშნავს, რომ სიტყვა „რონინი“ ბოლო ხანებში არავის გამოუყენებია და არც სხვის ნაწერში წაუკითხავს, ყოველ შემთხვევაში — ჩვენი ჟურნალის მკითხველთაგან. ამ ტესტმა, რომელიც ჯანო ჯიქიძემ შემოგვთავაზა და რომელსაც რედაქციამ სიამოვნებით აუბა მხარი, თავის დროზე კიდეც გამამხიარულა და კიდეც დამაფიქრა, მაგრამ, ალბათ, იოლად მიმავიწყდებოდა, რომ არა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ წიგნად გამოცემული ჯანო ჯიქიძის „რონინი, ტრიპპელნ და იგავი მარტისა“. მოთხრობა ეძღვნება „ტრაგიკულად დაღუპული თბილისელი უსინათლო მუსიკოსის, კომპოზიტორ ვიკტორ ტოკარევის ხსოვნას“, რომელსაც ავტორი თურმე ხშირად არონინებდა ხოლმე, — გვამცნობს წინათქმა (სხვათა შორის ჯანო ჯიქიძე არაიშვიათად უძღვნის მოთხრობებს მეგობართა ხსოვნას — პიროვნების დამახასიათებელი შტრიხი).

ყველამ ვიცით, რომ სიტყვით შექმნა უფალმა სამყარო და ისიც ვიცით, რომ ეს სიტყვა არ ყოფილა არც „დაწკაპვა“, არც „დალაიქება“ ან „დაესემესება“. ხილული სამყარო ღვთის სიტყვაა და ადამიანთა სიტყვას აქვს (უნდა ჰქონდეს) ღვთიური ძალა და მადლი. სიტყვის გაფრთხილება ენისა და ერის გაფრთხილებაცაა,

სიტყვის (სიტყვათა) გამეტება ენისა და ერის გამეტება გამოდის. რამდენი კარგი სიტყვა დავივიწყეთ, რამდენია მხოლოდ სულხანსაბას „სიტყვის კონას“ თავშეფარებული — ზოგი დროებით, ზოგი, ვინ იცის, სამუდამოდაც. ცოცხალი სიტყვა თუ უნახავს ვინმეს? ხორცშესხმული სიტყვა თუ გამოცხადებია ვინმეს? ლამაზ ქალად ქცეული სიტყვა თუ სტუმრებია? იქნებ პოეტებს სწორედ ასე (ამ სახით) ეხსნებათ ზეციური საუნჯე.

ჯანო ჯიქიძე გვიყვება „რონინის“ გამოჩენისა და მისი გადარჩენისთვის ბრძოლის ამბავს. „დავიწყების არ გეშინია?“ — ყველას გვეკითხება ჩვენგან მოძულებული ზმნა. ცხადად თუ ფარულად მის გვერდით დგანან არსებითი და ზედსართავი სახელებიც. კდემამოსილებას ასხივებს „ლეჩაქი“, წმინდაა, როგორც ცის ნამი „ბინული“... ისინიც გვთხოვენ, გვამუნათებენ, გვეჳდრებიან... „დავიწყების არ გეშინიათ?“ ნუთუ ყველა ქართული სიტყვა „მაგარია“ და „პრობლემამ“ უნდა ჩაანაცვლოს? ეს ამ საყოველთაო გლობალიზაციის ჟამს ავტორის მიერ გამოთქმული შიშია, შიში, რომელსაც საფუძვლად საკუთარის, მშობლიურის ტრფიალი უდევს.

კეთილხმოვან, ნაზ და ნარნარ „რონინთან“ ერთად საშიშია სხვისთვის სიკეთის ქმნა, სხვისი „გარონინება“, უბრალოდ, სხვა (და სიყვარული) არ დაგვავიწყდეს, თორემ დარჩება ეს ქვეყანა უხეშობასა და ძალადობას...

მოთხრობაში ჩართულია „მარტის არაკი“, რომელსაც არაჩვეულებრივად კითხულობს ავტორი (აუდიოდისკზე ჩაწერილი ოთხი ნაწარმოებიდან ორს მსახიობი ნინო კასრაძე ახმოვანებს, ორს — თვითონ ავტორი. და მსმენელმა არ იცის, რომელი რომელს ამჯობინოს, იმიტომ, რომ მსახიობის სწორ, სათანადოდ აქცენტირებულ, კარგ მეტყველებას მხარს უსწორებს და თავისებურ ხიბლს სძენს ავტორის ოდნავ აჩქარებული ტემპი, სასიამოვნო ხმა. ასევე დასამახსოვრებლად და სახიერად კითხულობს იგი ნაწყვეტს მოთხრობიდან „სხუაი“). „მარტის არაკი“ ყველა დავიწყებული ავტორის ხსოვნად, ყველა ხალხური არაკისა და ლექსის, ზღაპრისა და პოემის სადღეგრძელოდ ითქმის და გულისხმობს (მოიცავს) დავიწყებული გმირების, დავიწყებული სიტყვების, დავიწყებული

ტერიტორიების, დავიწყებული წეს-ჩვეულებების, დავიწყებული ასოების სადღეგრძელოსაც კი.

„იქნებ, ამ სადღეგრძელომ მაინც გვიშველოს ცოტა, ჩვენც რომ არ მივეცეთ დავიწყებას!“ — ავტორთან ერთად მკითხველსაც აქვს ამის გაფიქრების უფლება.

ჯანო ჯიქიძე უზღვავი ფანტაზიის მწერალია. მას შეუძლია დახატოს სრულიად წარმოუდგენელი სიტუაციები, პერსონაჟები ამოქმედოს, ამყოფოს ნარმოსახვით შექმნილ, ხაზგასმით არარეალისტურ სამყაროში ისე, რომ იმავე დროს ყველაფერი იყოს სავსებით რეალისტური. საგანგებოდ შექმნილი ფანტასტიკური გარემოს მიღმა დახატულია, ასახულია თანამედროვე ყოფა, ჩვენი ყოველდღიურობა.

ჯანო ჯიქიძე თხრობისას თვითონაც ლაღობს და მკითხველსაც ალაღებს. სილაღეს განაპირობებს მწერლის მიერ ენის ფლობა, წერის ტექნიკის სრულყოფილად ცოდნა, მკითხველის აყოლიების უნარი. შეიძლება ითქვას, იგი სახელების დარქმევის დიდოსტატია. შეუძლებელია დავივიწყოთ ვირომადლი, მეზმანა, ედუ, სხვა პერსონაჟთა სახელებიც. ლადო ასათიანი წერდა: „რამდენი ნოდარი, რევაზი, თამაზი, ვახტანგი... და სხვა გმირებია თანამედროვე მწერლების ნაწერებში. როგორი სახე აქვთ? რა აცვიათ?.. აბა, დაიძახე ლუარსაბ თათქარიძე! ოთარაანთ ქვრივი!“ ახლა მე მინდა ვიკითხო, ვისაც წაკითხული აქვს მისი მოთხრობების კრებული „ზეგზებზე“ (გამოცემული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ), აბა, დაიძახე: რუსტიკო, ბა (ბათილი)!.. მაშინვე თვალწინ წარმოგიდგებათ ცოცხალი პერსონაჟი და სულაც არ დაგჭირდებათ ფიქრი მათ გასახსენებლად (მითუმეტეს — დიდხანს ფიქრი). ეს, რა თქმა უნდა, ავტორის ოსტატობაზე მეტყველებს.

სხვათა შორის, მწერალი ცოცხლად, ნათლად, სისხლსავსედ ხატავს არა მარტო ადამიანებს, არამედ — ცხოველ-ფრინველებსაც და ასე გასინჯეთ — უსულო საგნებსაც. ვთქვათ, მოთხრობაში „საფულე“ ეს საგანი — საფულე — მართლაც ხორცშესხმულ პერსონაჟად წარმოგვიდგება. თავისი მონოლოგით საფულე გვაცნობს პატრონს, სერ გრილს, მის მეგობარს, მეზობელ ქალს,

მაღაზიის გამყიდველ მისტერ ცენტნერს, ჯიბგირსა და სხვებს, ერთი სიტყვით, საზოგადოებას, დამახასიათებელი ავ-კარგით. როგორც მწერალს შეეფერება, ჯანო ჯიქიძეს გამახვილებული აქვს უნარი ადამიანთა ქცევებში, ურთიერთობებში დეტალების, წვრილმანების შემჩნევისა. სწორედ ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტები ხსნიან ხოლმე ადამიანის სულს, მის შინაგან ბუნებას, და გვეხმარებიან სინამდვილის სწორად აღქმაში. მთხრობელის (საფულის) შეხედულებანი მუსიკის, კერძოდ, ჯაზის, სხვადასხვანაირი მსმენელის, ადამიანის ტვინში არსებული დისკომფორტის, სიყვარულისა და სხვა საინტერესო საკითხთა შესახებ ააშკარავებს ამ სრულიად არარომანტიკულ ეპოქაში სასწაულებრივად გადარჩენილ რომანტიკოსთა და, პირველ რიგში, ავტორის რომანტიკულ განწყობასა და ხედვას.

სხვათა შორის, ამ მოთხრობის (სხვა მოთხრობებისაც) წაკითხვა და გაგება სხვადასხვანაირად შეიძლება: რომანტიკული თვალი მასში სიყვარულისა და ერთგულების მარადიულობას დაინახავს, პრაქტიკულმა თვალმა, შესაძლოა, საფულისა და მისი დანიშნულების მარადიულობა დაინახოს. როგორც ავტორი წერს, ნახატს, რომელსაც „ტყე" ჰქვია, განსხვავებულად აღიქვამენ მონადირე, ბიოლოგი, კრიმინალისტი და „ბუნების მეგობარი". „მონადირე ფიქრობს, რომ ამ ტყეში ნადირს შეიძლება წააწყდეს, ბიოლოგი აღმოაჩენს, რომ მხატვარს დაურღვევია პრინციპი „ბრძოლა არსებობისათვის", კრიმინალისტის აზრით, აქ მკვლელებმა მსხვერპლი თუ გადამალეს, ან მიაგნებს, ან ვერა. „ბუნების მეგობარს" მშვენიერი ჰერბარიუმი გამოუვიდა. მორჩა".

ამ დებულებას გარკვეულწილად ემორჩილება კრებულში შესული სხვა ნაწარმოებებიც. მათი კითხვისას მწერალს უნდა აჰყვე. ვფიქრობ, შეუძლებელია ამ წიგნის კრიტიკული თვალით წაკითხვა. თუ თავიდანვე გაიზიარებ იმ პირობითობას, რომელსაც მწერალი გთავაზობს და აჰყვები თამაშში, მაშინ ყველაფერი გხიბლავს, მოგწონს და უნებურად წიგნისა და ავტორის სასიამოვნო ტყვეობაში აღმოჩნდები; ხოლო თუ ერთხელაც გაუჯიუტდი ტექსტს და განზე გაიწიე, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არც წიგნი მიგიღებს და მიგიკარებს.

პატარა მინიატურა „წერტილი“ არაჩვეულებრივად ხატავს სატრფოსგან გაწბილებული ქალის ფსიქოლოგიას. სულ ორიოდე გვერდზე ზუსტად არის აღწერილი, როგორ ჩადგა ქალის სულში ატეხილი ქარიშხალი, როგორ თანდათან შეიცვალა თავდაპირველი მრისხანება და სამაგიეროს გადახდის სურვილი სიმშვიდითა და ფუჭი ოცნებით, იმედით, რომ ტელეფონით საუბრისას ვერ გაუბედავენ იმის გამეორებას, რაც წერილის ბოლო აბზაცში ეწერა. „დაძინებამდე ნახავს სიზმარს...“ ამ მოქნეული ფრაზით მთავრდება მინიატურა, რომელსაც შესანიშნავად კითხულობს ნინო კასრაძე (ჩანაწერი აუდიო დისკზე). სხვათა შორის, ასევე ზუსტი მახვილებით, ნაწარმოების განწყობის შესაბამისად კითხულობს მსახიობი „მონოფონსაც“ — მარტოობაში მცხოვრები, ცალად მყოფი ქალის სულის ამოძახილს. ბავშვის, მოზარდის ფაქიზი სულია ნაჩვენები მოთხრობაში „ორუცნობიანი“, მაშინ როცა სკოლაში ორუცნობიანი განტოლების ამოხსნას ასწავლიან, პატარა ადამიანები მრავალუცნობიანი ცხოვრების შეცნობას იწყებენ. ო, როგორ სჭირდებათ ამ დროს გამოცდილი ხელის ზომიერად შეშველება...

რაზე უნდა წერდეს ჯანო ჯიქიძე, როგორი ფანტასტიკური, ზღაპრული სიუჟეტიც უნდა ჰქონდეს მის თხზულებებს, ყველა ნაწერი ეროვნული მუხტითაა გაჯერებული, ქვეყნის სიყვარულით, საკუთარის, ძველის, ფესვების მონატრებით აღბეჭდილი. „ზღაპრის“ (მოთხრობის სათაურია!) პერსონაჟია მეზმანა. ბუნების ლაღი შვილი გარემოსთან სიმღერით ურთიერთობს. თითქოს პირველქმნილი ადამიანი ის-ისაა იწყებს მეტყველებას, იწყებს სიმღერით, ახალშობილ ხმას შეუერთებს ღვთის მიერ გაჩენილ საოცრებას — სამყაროს, და შემოქმედს სამადლობელს ისეთი სიმღერით უკმევს, რომელსაც „მოუსმენდი და მოგინდებოდა, ზეცისათვის შეგეხედა და ღრუბლებისთვის ნაგეტანებინა ხელი“...

მამაპაპური დანგრევა ენანება მეზმანას, თუ ძველთან კავშირი წყდება, მაშინ დედა-ბოძს უჭირს, კედლები იბზარება, სული გაუცხოვდება. ავტორს ეოცნებება ისეთი ადამიანების არსებობა, რომელთა საქმიანობაც საიმედოდ დაიცავს სულში

ღრმად ჩაკირულ ეროვნულ ფასეულობებს. ღვიძილში ნანახი სიზმარია, სხვა რა? „კოჭები გასწორდნენ, ქვებმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და კედლები ფეხზე წამოდგნენ, ჭერი ჭრიალ-ღრჭიალით გაიმართა; სახურავზე კი ისეთი რამ ხდებოდა, სიზმარშიც რომ არავის უნახავს — მანამდე არეულ-დარეული კრამიტები მეზმანას სიმღერაზე დამჯერი ჯარისკაცებივით სწორ მწკრივებად განლაგდნენ; იმ ღამის სიმღერას კი ბოლო არ უჩანდა...“

თვითონ მწერალი ემსახურება ასე ერთგულად თავის ქვეყანას (კალმით, რასაკვირველია), ხოლო მეზმანა, ვგონებ, შემოქმედის განზოგადებული სახეა, საერთოდ, ჯანო ჯიქიძის ნაწერებში ეროვნული ტკივილები გაცილებით უფრო მძაფრადაა აღბეჭდილი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. „რუსტიკო და მისი ჯანი“ ახლახან გადახდილი ომითაა შთაგონებული და თავისებურად, სხვა ჭრილში, სხვა რაკურსით აირეკლავს ადამიანთა, სწორედ ადამიანთა ყოფას (მიუხედავად იმისა, რომ თვით რუსტიკო მერცხალია).

ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულია არეკლილი და ჯანო ჯიქიძისებურად გარდასახული მოთხრობაში „ორლესული“. გამჭვირვალეა მინიშნება ჯერ მარტო პერსონაჟის სახელით — ედუ. ის ეპოქა დღეს უკვე აქტუალური აღარაა, მაგრამ „დიქტატურის ანატომია“, სამწუხაროდ, კვლავ სადღეისო თემაა. ქვეყნისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია, როცა ერთ დიქტატორს მეორე, უფრო ახალგაზრდა ცვლის. ღირსებააყრილ ხალხს აღარაფერი შეუძლია, მაგრამ ხსოვნით ყველაფერი ახსოვს. რომელ ჭრილშიც (ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ, დიაგონალურ, ბოლოსწინა თუ ბოლო) უნდა დაინახო დიქტატურა, ყველგან და ყოველთვის ერთმანეთს ჰგავს, ერთნაირი მახასიათებლები აქვს და, თუკი თვითონ მმართველთ აღარ ახსოვთ ზოგი რამ, ავტორის თქმისა არ იყოს, „ჩვენ ხომ გვახსოვს!..“

ანგელოზსაც გაუჭირდება ანგელოზური ცხოვრება ცოდვილ მიწაზე. ის, რაც კაცს ამაღლებს, ფრთებს ასხამს თუ ზეცამდე ასასვლელ კიბეს მიუყუდებს, სხვისთვის, მოყვასისთვის ზრუნვა და ლოცვაა. თანაც ისე, რომ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ „სხვის“ ეროვნებას, სარწმუნოებას, მითუმეტეს, სოციალურ

მდგომარეობასა თუ სხვა „სტატუსს". ქართულ-ლეკურ-სპარსულად ლოცვა არა მარტო შესაძლებელი, არამედ ღვთის სათნოცაა, როცა შეყვარებულთა და მათი მეგობრის გადარჩენას ითხოვს. „ვეფხისტყაოსნის" ალუზია აქ არაფერ შუაშია. ეს იდეალები ისე ღრმადაა ჩაქსოვილი ავტორის (და ყოველი ჩვენგანის) არსებაში, რომ საგანგებო გამოხმობა, ინსპირირება საჭირო არაა. „წინანდლის ანგელოზი" თავისთან დაუმსახურებლად არავის წაიყვანს („იშმადაგური") ადამიანს სულ უნდა ახსოვდეს, რომ საბოლოოდ ყველას ერთი გზა აქვს — არყოფნისკენ, „საცა არა არს თუალღებაი" და უმაღლესი მსაჯულის წინაშე ყველა თანასწორია.

„კვირის ბოლოს ბოლოში" კარგად ჩანს, რა დიდი მენტალური განსხვავებაა თვით მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორისაც. მართლაც, „დიდი ძეს კაცით კაცამდე". კაცის მოკვლა ხომ იარაღითაც შეიძლება და ტყეში მარტო მიტოვებითაც და ვისაც ხილული იარაღი არ გამოუყენებია, სულაც არ ნიშნავს, რომ კაციც არ მოუკლავს.

როგორც ავტორის სხვა არაერთი ნაწარმოები, „ვაფლი მდოგვით ანუ ტკბილ-მწარე სიზმრებიც" სავსებით რეალისტური მოთხრობაა. მასში ჩვენი ყოფა აირეკლება მსუბუქი იუმორით, დიდი წარმოსახვით, წარმოუდგენლად ფანტასტიკურ გარემოში, ირეალური პერსონაჟებით, მაგრამ — მართლად, ზუსტად, უტყუარად. ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე მყოფი ადამიანის ჩვენებანი ან იქნებ ჯანმრთელი კაცის სიზმრები. სხვა სამყაროში, უცნაურ გარემოში შემთხვევით აღმოჩენილი პერსონაჟი თავის თავგადასავალს გვიყვება, საკუთარ განცდებზე გვესაუბრება. მკითხველი ხვდება, რომ მთხრობელთან ერთად ჯოჯოხეთში მოხვდა. ოღონდ ჯერ იქ საბოლოოდ დამკვიდრებული არ გახლავთ და, საბედნიეროდ, კიდევ აქვს საშუალება გათავისუფლდეს, თავი დააღწიოს იქაურობას (ჯოჯოხეთის, განსაწმენდელის ხსენება მხატვრულ ნაწარმოებში მაშინვე დანტეს სახებას წამოატივტივებს ხსოვნაში, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯანო ჯიქიძის „სიზმრებს" ამ შემთხვევაში დანტესთან არაფერი აქვთ საერთო).

მდოგვიანი ვაფლის გარემო, ჯოჯოხეთის ყოფა თითქმის არაფრით განსხვავდება ამქვეყნიური („ინსოლატების“) ცხოვრებისგან (ძალიან მომწონს მწერლის მიერ შექმნილი სიტყვები). იქაც ყველანი (დაპატიმრებულები) ერთნაირები არიან და ფეხაწყობილები დადიან. იქაც მთავარი მოვლენა არჩევნებია. არჩევნებში მონაწილეობას იქაც უიოლებენ ამომრჩეველს იმით, რომ ფიქრს არ ავალებენ, წინასწარ უსაზღვრავენ, ვის უნდა მისცეს ხმა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება იქაც ყველასა აქვს (უნიფხოებსაც) და იქაც მილიონ სამუშაო ადგილს ჰპირდებიან ხალხს გამარჯვების შემდეგ. „კონდენსატებს“ (იმქვეყნიურ ბინადრებს) ჯოჯოხეთის მოდერნიზაციით შეიქცევენ და ნამდვილის ნაცვლად სთავაზობენ „ვითომ“, „თითქოს“, „ალბათს“. შეფს იქაც ურჩევნია, რომ ხელქვეითი საკუთარ ფეხებზე არ იდგეს, რაც უნდა ხმამაღლა ლაპარაკობდეს, ხალხის ხმა იქაც კოღოს წუილზე მეტად არ ისმის. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი იქაც აქტუალურია და ყველანი, ბაჯეიქოჰანები, საბოლოოდ კი ბათილები არიან — ოღონდ თვითონ არაფერი დაუშავდეთ და ყველაფერზე აწერენ ხელს. მოკლედ, ზედამდგომელნი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ადამიანი მიწასთან გაასწორონ.

მივხვდებით კი ჩვენ, რომ „მიწასთან გასწორებას მიწაში ჯობია?“ დავიბრუნებთ საკუთარი თავის პატივისცემას, ღირსებას, სიამაყეს ან შეგვაწუხებს მაინც მათი დაკარგვა? ამ და მსგავს კითხვათა პირდაპირ დასმით არ ტვირთავს მწერალი თხრობას, ზედმეტად არ გვაწუხებს ცხოვრებისეული ფილოსოფიით. მოთხრობაში ყველაფერი ბედნიერად კი მთავრდება, მაგრამ ეს მაინც არ არის ამერიკული „ჰეფი ენდი“. საფიქრალად, სხვა რომ არა იყოს, ადამიანის თანდაყოლილი თვისებები — გაუმაძღრობა, უგუნურება, უმადურობაც... — გვეყოფა. მსუბუქ სტილს შეაფარა მწერალმა მძიმე საფიქრალი.

მოთხრობის ერთი პერსონაჟი, დეიდა თლასპი, თიმსალ მაკოსა („ბაში-აჩუკი) და ასინეთას („დათა თუთაშხია“) ჩამოჰგავს ერთგვარად. ან იქნებ არც ჰგავს (ვერ დავამტკიცებ), მაგრამ ასეთი ასოციაცია კი აღმიძრა...

ქართული ზღაპარი მკაფიო გამოხატულებაა ქართველი ხალხის სულიერი მშვენიერებისა. ხანდახან გვეჩვენება, რომ იგი კარგავს პირდაპირ დანიშნულებას, აღარ გვეძლევა ცოცხალ განცდაში და მხოლოდ მეცნიერთა და მკვლევართა ინტერესთა საგანი ხდება. როცა უფროსები ბავშვებს ძილის წინ ზღაპარს უყვებიან, იქ, ზღაპარში თბილა, ხოლო როცა ზღაპარს მეცნიერი-ფილოსოფოსი კითხულობს, ზღაპრის გმირებს სცივათ, როგორც ზამთარში, — ასე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ავტორი ეროვნული კულტურის ამ სფეროსადმი. უმოწყალოდ იკვეცება ზღაპრები, მოუცლელ, დაღლილ, თავგაბეზრებულ დიდებს ეჩქარებათ თხრობის დამთავრება, ცალკეულ ეპიზოდებს დაუნანებლად იმეტებენ გამოსატოვებლად და საბოლოოდ — დასაკარგად. და აი, მწერალი თვითონ იჭრება ზღაპარში („ხუთკუნჭულა") და იქ მნეს, მცველს, გულშემატკივარს მიავლენს. ზღაპრის მნე უფრთხილდება, ელოლიავება, ეფერება, აგროვებს და ამთლიანებს დაკარგულს, დასაკარგად განწირულსა თუ გადაკეთებულს. არ შეიძლება, რომ დევმა ხუთკუნჭულას შეაგინოს, იმიტომ, რომ „თუ ზღაპარი აირ-დაირია, არც ამ ქვეყანას დაადგება უკეთესი დღე". სადაც მამა-პაპათა მიერ დატოვებულ სიმდიდრეს, საგანძურს არ იცავენ, იქ არც ქვეყანას (მის ტერიტორიებს) უფრთხილდებიან. ტრადიციების, ზღაპრების უცვლელად შენარჩუნება, „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლაი" ხომ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

ცვლილების წინააღმდეგი, ავტორთან ერთად, არც ჩვენა ვართ, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს ცვლილება ღირსებისა და თავმოყვარეობის დაცვაში დაგვეხმარება; თუ მტკიცედ და თამამად გვათქმევინებს: უცხოს მოჯამაგირედ არ დავუდგები; ბოლოს და ბოლოს, თუ იმის ძალას მოგვცემს, რომ დაკარგული (წართმეული) ბლოც (სოხუმიც) დავიბრუნოთ. „ბლოს დაბრუნება სულაც არაა ზღაპარი..." — ასე იმედიანად მთავრდება „რეპორტაჟი ფქვილის უდაბნოდან" და რა კარგია, რომ ეს იმედი გადამდებია.

„მგზავრის წერილები" ყველა ქართველისათვის ნაცნობი და ახალგაზრდობიდანვე შესისხლხორცებული ნაწარმოების ალუ-

ზიას, ცხადია, შემთხვევით არ იწვევს. ილიას თხზულების სათაურის ზუსტად გამეორება, გადმოტანა მწერლური ხერხია, რომელიც თავიდანვე ამზადებს მკითხველს მწერლის ჩანაფიქრის შესაცნობად, თორემ ილია და მისი „მგზავრის წერილები" მხოლოდ ნაწარმოების ბოლოსაა ნახსენები და მანამდე იქნებ არც გაგვახსენდეს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე „მგზავრის წერილებში" მოგზაურობა ვირტუალურ სამყაროში ხდება, კომპიუტერში „დაწკაპვით", „რიფიით" თუ „რევერსით" ვიკვლევთ გზას, ავტორი გვაფრთხილებს, რომ ადამიანს მხოლოდ ერთი სიცოცხლე აქვს (და არა რამდენიმე, როგორც კომპიუტერის ეკრანზე). ვინც თავის სავალ გზაზე ილიას გეზს მოჰკრავს თვალს, ბედნიერია. იარეთ ილიას გზით და არ დაივიწყოთ წიწამური, რადგან წიწამური ჯერ არ დასრულებულა — მწერლის მთავარი სათქმელიც, ალბათ, ესაა.

„თორნიკე თავისთავის" პერსონაჟი არაფრით ჰგავს სახელოვან თორნიკე ერისთავს. ჩვენი თანამედროვე თორნიკე თავისი მოსახელე წინაპრის მხოლოდ პაროდიაა. თხრობის მანერით ეს მოთხრობა მაია ჯალიაშვილმა თავის შესანიშნავ ბოლოთქმაში ჯეიმზ ჯოისის „ულისეს" შეადარა. ფუნქციადაკარგული პერსონაჟები, რომლებმაც არ იციან, „დაჩნდნენ რისადა", ერთგვარად დავით კლდიაშვილის სამყაროსთანაც გასდებენ ხიდს.

მთელი წიგნის სათაურად ერთ მოთხრობის სახელწოდებაა გატანილი — „ზეგზებზე". პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ ხერხს — სხვის ტექსტში შესვლასა და უკვე აღწერილის სხვა ჭრილში და სხვა თვალით აღქმას — წარმატებით იყენებს მწერალი. პირველი თვალის მოვლებისას, ტექსტში გრაფიკულ გამოსახულებათა, ნახატების დანახვისას, ეგზიუპერის „პატარა უფლისწული" მოაგონდება კაცს. მერე ვიგებთ, რომ ეს ნახაზები ავტორს შესავლის, ე.წ. „ფსევდომეცნიერული პროლოგისთვის" დასჭირდა. მთავარი მიზანი შესავალშივე გაცხადდა — მე ვეძებ მამას. ღმერთს ეძებს მწერალი. ყველა ადამიანმა თვითონ, დამოუკიდებლად, საკუთარი სულიერი ენერგიით უნდა „აღმოაჩინოს ზეციერი მამა, ხელახლა უნდა გაიაროს კაცობრიობის მიერ არაერთხელ განვლილი გზა და ისე მიეახლოს უფალს. ჯანო ჯი-

ქიძემ ამ გზაზე თავი ოთხთავს შეაფარა, კი არ შეაფარა, შიგ შევიდა და შეუმჩნევლად შიგვე დასახლდა. მკის დროს პურის ყანაში, მწიფე თავთავებს შორის მოქცეული ფიქრობს, რომ იესო მოწაფეებთან ერთად სწორედ დღეს, შაბათს ჩამოივლის და რაიმეს შეცვლა შეუძლებელია (როგორც არ შეიძლება, ვთქვათ, გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანში“ ქართველი მოყმისა და ყივჩაღის შებრძოლება სხვანაირად დამთავრდეს, ვიდრე ამას ხალხური „შემომეყარა ყივჩაღი“ გადმოგვცემს). თავისი პიროვნული დამოკიდებულება აქვს ამბის მთხრობელს იესოსადმი. უყვარს მაცხოვარი რბილი, მოწყალე, ჩვეულებრივი სასწაულების შესახებ მოუბარი: „შეხედეთ ლელვს, როცა მისი ტოტები რბილია, ახლოა გაზაფხული“. ვერ უყვარს მოძღვარი მკაცრი, განმსჯელი, პასუხის მომთხოვნი.

ზოგი სიმბოლო თუ მინიშნება ტექსტში გამჭვირვალეა, ზოგი — ოდნავ ბუნდოვანი. თუმცა ეს ხომ მოთხრობაა და არა ოთხთავის კომენტარი. ამიტომ გონებისთვის გაუგებარიც კი გრძნობისთვის სავსებით მისაღებია. ერთმანეთს ენაცვლება სერიოზული და ხალისიანი, თვითირონიით შეზავებული სტილი თხრობისა. ალბათ, ამის გამოისობითაც ნაწარმოები მძიმედ არ იკითხება. სიმსუბუქის განცდას ტოვებს ტკივილიანი ფრაზები: „მე არ ვიცი. ყანის მარგვლა არ ვიცი. მოსავლის შენახვა არ ვიცი. მარტო პურის ყიდვა და ჭამა ვიცი“, ან: „ვაზის გასხვლა არ ვიცი, ღვინის დაყენება არ ვიცი. მარტო დალევა ვიცი“. არის კი ღმერთთან მომხმარებლური დამოკიდებულება რწმენა? სიცოცხლეშიც იესოსგან სასწაულებს ითხოვდნენ. სხვანაირად ვერ იჯერებდნენ მის მეფობას.

„თქვენი სლოკინი, ხელთა ფოტინი ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნიაო“, — მიმართავდა ილია ჭავჭავაძე საზოგადოების ნაწილს. ჩვენი ლოცვა კი არ არის სლოკინი ან პირჯვრის წერა — ხელთა ფოტინი? შეგვიძლია სახარებისეული სიბრძნის შეთვისება, რაც მთავარია, რწმენა უკომენტაროდ? ცოდნა ხელს ხომ არ გვიშლის გულით შემეცნებაში? ადამიანთა უმრავლესობა ხომ „გაბნეულია და სულ სხვა რამეზე ფიქრობს იმის მაგივრად, რომ გეზის გასწორებას ეცადოს?“

ამ მოკლე მიმოხილვაში მეტად ვერ მომიხერხდა. „ზეგ ზებზე“ მეტ ყურადღებას იმსახურებს, ალბათ, დაიწერება კრიტიკული წერილები ცალკე ამ მოთხრობის შესახებ, რადგან იგი იძლევა საშუალებას, სხვადასხვა რაკურსით წაკითხვისა. მწერლისეული ძიება კი გრძელდება. ის დიდი ხნის დაწყებულია — პრეისტორიულ ხანაში, და მარადიულად გაგრძელდება — სამყაროს დასასრულამდე.

თუ გამომივა, ჯანო ჯიქიძისებურად მინდა დავამთავრო: მწერლის ზეგ ზებზე სიარულს, საკუთარ სულში ხეტიალს, მამის ძებნასა და საერთოდ, ყოველგვარ ძიებას გაუმარ-ჯოს!

უფალი — უხილავ მესამედ

(კობა ცხაკაიას პიესა)

პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, ლექტორი — ასე გვაცნობს მოკლე წინათქმა კობა ცხაკაიას, ავტორს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მე-14-15 ნომრებში დაბეჭდილი პიესისა „3=2+1". ეს „არითმეტიკული" სათაური ოდნავ კი შეაცბუნებს და დააბნევს პოეტურ სათაურებს მიჩვეულ მკითხველს, თუმცა ინტერესსაც უფრო გაუღვიძებს. რას უნდა ნიშნავდეს და რაში დასჭირდა ავტორს 3=. პიესა სამი ნაწილისგან, სამი სცენისგან შედგება. თითოეულ სურათში (სცენაში) სამი პერსონაჟი მონაწილეობს; მეორე და მესამე გამოსვლებში (ე.ი. ყოველ მომდევნოში) ჩვენთვის უკვე ნაცნობ ორ პერსონაჟს მესამე, ჯერაც უცნობი ემატება ხოლმე. მიმიხვდებით — ამ გამოთვლა-ანგარიშისკენ სათაურმა მიბიძგა; ჩაგეღიმებათ კიდეც — რა გულუბრყვილო გაგებაა მწერლის ჩანაფიქრისა. მაგრამ ეს ხომ არც არის საერთოდ რაიმეს ახსნის მცდელობაც კი. შემოქმედების იდუმალებასთან ან რა მოსატანია მათემატიკური სიცხადე და სიზუსტე? აბა მაშ იქნებ სამებაზე მიგვანიშნებს ავტორი, ერთარსებაზე, იქნებ მისტიკური ან რელიგიური შეფერილობისაა ეს 2+1. აკი უფალმა ბრძანა, სადაც ორია ჩემი სახელით, მეც მათთან ვარო... ვნახოთ.

მოქმედება ყოფითი, ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბით იწყება. თხუთმეტი წლის გოგონა კარაქიან პურს ჭამს, როცა ოთახში დედამისი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი შემოვა თავის ახალ მამაკაცთან ერთად (მამაკაცი რა, 16-18 წლის ბიჭია). ეს შინდაბრუნება, მაცაცოს (გოგონას) დამალვა და წყვილის საუბარი ეგებ მთლად ჩვეულებრივი მოვლენა, ჩვენი ყოფის მახასი-

ათებელი დეტალი და სიმბოლო არც იყოს, მაგრამ დრამატიზმისა და მითუმეტეს ტრაგიზმისაგან ძალიან შორსაა. აი შემდეგ კი ძაბავს ავტორი სიტუაციას და მისი ნებით კინაღამ ინცესტის შემსწრენი ვხდებით. კიდევ კარგი — კინაღამ. მხარზე ხალით იცნო დედამ შვილი, რომელიც დაბადების მერე არ ენახა. ცნობილია, XX საუკუნის ჩვენს მწერლობაში ინცესტის ჩვენება საბჭოთა წყობილების ამაზრზენ ბოროტებაზე მინიშნებას ისახავდა მიზნად. ის სისტემა, საბედნიეროდ, კარგა ხანია აღარ არსებობს, მაგრამ დაუბრუნდა კი გაუკუღმართებულ, ღმერთსმოკლებულ საზოგადოებას იმედი, რწმენა, სასოება, სიყვარული? აჭრილი, არეული, აბსურდული ყოფიერების ანარეკლია ეს პასაჟი კობა ცხაკაიას დრამატურგიულ ნაწარმოებში. თუმცა, რაკი შემზარავ ტრაგედიას გადავრჩით, იქვე სინათლის, სიწმინდის, ღვთის იმედიც ჩნდება. შემთხვევით არ არის ნახსენები სიტყვა „სასო“. ვიგებთ, რომ წლების წინათ ამ სიტყვამ დიდი როლი ითამაშა ქალის ცხოვრებაში. როცა იგი და ბიჭის მამა ეძებდნენ პასუხს შეკითხვაზე: „რა გვესაჭიროება ბედნიერებისათვის?“ მოულოდნელად, მარჩიელობისას, ნეიმანის ლექსიკონში, 361-ე გვერდზე გადაეწყდნენ სიტყვას „სასო — რწმენა“. ასეთი შემთხვევითობებით გვესაუბრება ხოლმე სამყარო, მოსალოდნელი მოულოდნელობებით მიგვანიშნებს უზენაესი შემოქმედი სავალ გზაზე. მხოლოდ ჩვენ, მის ენას გადაჩვეულებმა, შეიძლება ვერ გავიგოთ, ვერ მივხვდეთ, ვერ დავინახოთ ცხადი მინიშნებანი.

ვინ გვეტყვის, ვინ აგვიხსნის, ვინ გაგვაგებინებს, რა არის კეთილი და რა — ბოროტი, რა არის სიმართლე და რა — სიცრუე, რა არის კარგი და რა – ცუდი. ერთისთვის სასარგებლო და სასიკეთო მეორისთვის შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ამიტომ უწევს ადამიანს მუდამ ფხიზლად ყოფნა („ასე არ დამჭირდებოდა სულ მუდამ ყოფნა ფხიზლადაო“, — ოცნებობდა ვაჟა). ამ მრავალგვარ, მრავალწახნაგა სამყაროში არაფერია ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, განსაზღვრული და შეუცვლელი. სიმართლემ შეიძლება დაარღვიოს სიცრუის სიმშვიდე და მღელვარება რაა, ტრაგედიაც დაატრიალოს. რთული, არა მარტო ფილოსოფიური, არამედ ცხოვრებისეული საკითხების (ცხოვრების დეტალების,

როგორც პიესაშია) შემეცნებას იწყებს ახალგაზრდა თორნიკე. იგი ყველა შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს მოელის, მაგრამ მამას, სასულიერო პირს, მამა დოდოს, თავადაც ეჭვითა და გაურკვევლობით აღვსილს, ერთადერთი პასუხი აქვს: „ღმერთი უნდა ირწმუნო და ზიდო ჯვარივით“. შეუძლებელია, რომ ყველაფერზე გარკვეული, ზუსტი, უცდომელი პასუხი ჰქონდეს ვინმეს, მაგრამ ისიც შეუძლებელია, რომ ქვეყნად არ არსებობდეს ნამდვილი, ჭეშმარიტი, უცვლელი ფასეულობანი და საყოველთაო ფარდობითობასა და მოძრაობაში, სამყაროს ღელვა-ტორტმანში რაიმე მყარი საყრდენი, ხელჩასაჭიდი არ არსებობდეს.

ამბის ლოგიკური განვითარება მოითხოვს, ისევ აღმოჩნდეს თორნიკე განსაცდელის წინაშე. დედასთან სარეცლის გაზიარებას გადარჩენილი ახლა მამას სთხოვს პასუხს და მოსაკლავადაც იმეტებს (ანტიკური ტრაგედიების მიხედვით მამის მოკვლას უნდა მოჰყვეს დედის ცოლად შერთვა). ვახსენოთ ახლა აქ ფროიდი და გავყვეთ ფსიქოანალიზის გზას? მე მაინც მგონია, რომ ავტორის სურვილია, სატირულად წარმოსახოს ჩვენი დრო, მოდერნისტული ნიშნებით აღბეჭდოს ნაწარმოები და მკითხველთან ერთად ეძებოს ხსნა ანუ ღმერთი. ან იქნებ არც ჰქონია ასეთი სურვილი?

პიესაში დამაჯერებლადაა დახატული ხასიათები, პერსონაჟები, სიტუაციები., რაც კარგი ნაწარმოებისთვის სრულიად საკმარისია. მე ვიზიარებ აზრს, რომ მხატვრული ნაწარმოები მანამ არის მშვენიერი, სანამ იდუმალებითაა სავსე და ახსნა-გაანალიზება მას რაღაც ხიბლს აუცილებლად აკლებს. მაგრამ თუ მოკიდებ ამ საქმეს ხელს, ახსნა, სასურველია, იყოს ნათელი და გასაგები და არა ბუნდოვანი და მხოლოდ მინიშნებათა შემცველი. და ახლა მაშინებს ჩემეული აღქმა პიესისა — ვაითუ ცალსახად ვხედავ და სტრიქონებს შორის ნაგულისხმევ მრავალშრიან სათქმელს ვერ ვამჩნევ... მაგრამ მამშვიდებს ფიქრი, რომ ქვეყნად სრულყოფილი არაფერია და მითუმეტეს ამ პატარა გამოხმაურებას ვერ დავაკისრებთ ამხელა მისიას. ამიტომ განვაგრძობ.

თორნიკეს დედა, ოლიკო, მეძავია და საარსებო ფულს სწორედ ამით, სხეულის გაყიდვით შოულობს. ამ საქმიანობას აშკა-

რად, უსირცხვილოდ, თვით საკუთარი, წამოზრდილი გოგონასგან დაუფარავადაც ეწევა. ზედმეტ სახელად კლეოპატრას ეძახიან და თორნიკე მისთვის ორმოცდამეერთე მამაკაცი უნდა გახდეს (ცინიკურად კიდეც ითვლის კაცების რაოდენობას). ასეთი ქალისგან რა ზნეობას, რის სულიერ სიფაქიზეს, რომელ სინაზესა და სიყვარულს უნდა ელოდეს ადამიანი? თავით ფეხებამდე წუმპეშია ჩაფლული და ეს არც აწუხებს. ისე ჩანს, თითქოს სიამოვნებს კიდეც... მაგრამ სწორედ მან, უზნეო ქალმა უნდა გაგვახსენოს, რომ არსებობს ხელშეუხებელი სიწმინდეები: დედაშვილობა და სიყვარული. წლების წინათ შეუყვარდა მამაკაცი, რომელთანაც მხოლოდ გარიგება, ხელშეკრულება აკავშირებდა — გაუჩინა თორნიკე, სამაგიერდ მიიღო დაპირებული თანხა და ამის შემდეგ სამუდამოდ უნდა დაეივიწყებინა ერთიც და მეორეც. თორნიკეს სხვა დედა ზრდიდა, რომელსაც არ მოუკლია მისთვის სითბო და ალერსი. შვილმაც სიყვარულით გადაუხადა სამაგიერო. სხვათა შორის, სულისშემძვრელად განიცადა დედის გარდაცვალება. ოლიკომ კი თურმე ვერც თავისი პირველი სიყვარული დაივიწყა და ვერც უფროსი შვილი. ძნელბედობის ჟამს ის კოდირებული სიტყვა „სასო“ ახსენდებოდა, მან და თორნიკეს მამამ ერთად რომ მონახეს ლექსიკონში. ამ გაუცნობიერებელმა რწმენამ იხსნა, ღმერთმა არ გაწირა და შვილი აპოვნინა. მიუხედავად უხეში, ვულგარული ქცევისა და მეტყველებისა, იგი მაინც ახერხებს დედური სინაზისა და ზრუნვის გამოვლენას (ფატმანიც ხომ „ედედა“ თავისგან შეყვარებულ ავთანდილს), ეპიზოდურად, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც. ოღონდ ეს ისეთი ფრაგმენტია, მომავლის წარმოსადგენად და დროის გასამთლიანებლად რომ გიბიძგებს, განგაწყობს ადამიანს და იმედის საფუძველსაც გიქმნის. მკითხველს თავიდან აძრწუნებს ოლიკოს აღვირახსნილობა, მერე კი, თანდათან, როცა მის სახეზე ხან სიხარული, ხან აღტაცება, ხან სიყვარული და ხანაც ბავშვური გულუბრყვილობა გამოისახება, სიმპათიითა და თანაგრძნობით იმსჭვალება ამ პერსონაჟის მიმართ.

პიესის მთავარი მოქმედი პირი მამა დოდოა — სუფთა, ბრძენი, კეთილი, სათნო, ლამის სიცოცხლეშივე წმინდანად აღიარე-

ბული მღვდელი. არადა, ისიც ადამიანია, მასაც მრავალთა მსგავსად, ზიგზაგებით უვლია, საბოლოოდ კი იქამდე მისულა, რომ განწმენდილა და ამაღლებულა. მაინცდამაინც მას უნდა დაუპირისპირდეს შვილი, აუჯანყდეს, იარაღიც შემართოს მის წინააღმდეგ („უძღები შვილის" პარადიგმა). გაუძლებს მამა? მონახავს შვილთან ურთიერთობაში ოქროს შუალედს? ილიას პეტრესი არ იყოს („სარჩობელაზედ"), მასაც შეეძლო ეკითხა, მე რა შუაში ვარო. ერთი მხრივ, მამის შეგონებანი გაღიზიანებული თორნიკესთვის მხოლოდ ლაქლაქია, მეორე მხრივ, ძალით, უხეშად შვილის დამორჩილების მცდელობა შესაძლოა საბედისწეროდ დამთავრდეს ორივესთვის. მამა დოდო სასულიერო პირიც რომ არ იყოს, ბუნებით მოძღვარია, მასწავლებელი, დიდი ფსიქოლოგი. შვილთან კამათისას თავი ღირსეულად უჭირავს, შესაშურ ტაქტს ამჟღავნებს, ზუსტად თავის დროზე არც მოზომილად დამოძღვრას აკლებს და ისევ ზუსტად საჭირო დროს — არც სილის გაწვნას ერიდება. არ არის ეს მღვდელი ცხოვრებას მოწყვეტილი, საზოგადოებისაგან განზე გამდგარი, ოდენ ლოცვებში ჩაფლული და მუდამ სამოთხის მომლოდინე. მას მიწაზე მყარად უდგას ფეხი — ყველანაირი ხერხითა და მეთოდით ცდილობს ადამიანთა სულების გადარჩენას. არაფერზე იტყვის, რომ მისი საქმე არ არის, მას არ ეხება. ამ თვისებებით ერთგვარად ილიას „გლახის ნაამბობის" მღვდელსაც გვაგონებს (მიუხედავად მათ შორის დიდი განსხვავებისა).

სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი ბოლო, მესამე სცენაშია აღწერილი. მამა დოდო დიდი ძალისხმევით მოახერხებს თვითმკვლელობაზე ხელი ააღებინოს ორმოციოდე წლის ქალს. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს ქალი ლტოლვილია, სექტანტი და იმედი აქვს, სექტა დაეხმარება უდედოდ დარჩენილ ბავშვებს... მთავარი ისაა, რომ მასთან სახურავზე ასულ მღვდელს უწევს თამაში, გარდაქმნა, იმის ლაპარაკი, რისიც არ სჯერა, თავის იმად მოჩვენება, რაც არ არის. ისევ ბეწვის ხიდზე გადის მამა დოდო, როგორც შვილთან საუბრის დროს. ერთი ნაბიჯის გადაცდომა ან იქით, ან აქეთ და წყალში ჩაეყრება ყველა ცდა.

ამაღლებული და ღვთის სათნო საუბარი ვერ შეაცვლევინებს სექტანტ ქალბატონს გადაწყვეტილებას, რაიმეს მოთხოვნა და ბრძანება ხომ სრულიად უსარგებლოა ასეთ დროს და მამა დოდოც იძულებულია, გულგრილ, ეგოისტ, მატყუარა, გაიძვერა კაცად მოაჩვენოს თავი. ოჯახის, შვილის შეურაცხყოფით დაემუქროს, იარაღიც გამოიყენოს (როგორც გაირკვევა, სათამაშო), ოღონდ თუ გამჟღავნდა მისი სიყალბე, ქალს ვეღარაფერი იხსნის. ღვთის ნებითა და შეწევნით შეძლო მამა დოდომ შეუძლებელი. ფსიქოლოგის სიზუსტით, მოძღვრის მადლითაა აღბეჭდილი მისი ყოველი სიტყვა. ადამიანის სიყვარულმა მოახერხა ბოროტების სიკეთედ, სიცრუის სიმართლედ, ავის კარგად ქცევა. გადარჩა ნინოს დედა — ფიზიკურადაც და სულიერადაც. ასე გაიცნო თორნიკემ „ცხოვრების დეტალები“, რომელთა მსვლელობაში თვითონაც მიიღო მცირეოდენი მონაწილეობა.

ჰაგიოგრაფიულ და საერთოდ, ღვთისმაძიებლობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთაგან ეს პიესა მკვეთრად განსხვავდება თავისი სტილით, თუმცა მიზანი შემოქმედებისა ხომ მუდამ ერთი და იგივე ყოფილა. ოთარ ჩხეიძე ბრძანებდა: „რო უნდა შეგძრას ხელოვნებამა, ესაა უძველესი და მარადიული, რახან რო ესაა საფუძველი სულიერი განწმენდისა და ამაღლებისა“, — და ხელოვნების იდეალსაც ამაღლებასა და ამაღლებულისადმი სწრაფვაში ხედავდა.

მამა დოდოს ლოცვა ანათებს პიესის ფინალს. და თუ მკითხველს თანაზიარობის განცდა გაუჩნდება, უფლის სიტყვებიც ცხადად ჩაესმის — სადაც ორია ჩემი სახელით, მეც მათ შორის ვარ.



ფერისცვალება

(„შეკვეთილი წირვის“ ექო)

რაც მეტია სიყვარული, მით უფრო მიმზიდველია სამყარო, — ქრისტესმიერი ეს შეგონება კაცობრიობის დიდმა ნაწილმა იცის, უმრავლესობა იზიარებს, მაგრამ, აი, ცხოვრებისეულ კრედოდ, ყოველდღიურ დევიზად თუ ორიენტირად ქცევა მრავალთაგან მრავალს ვერა და ვერ მოუხერხებია. ადამიანთა მოდგმის მთელი ისტორია გაჯერებულია ურთიერთმტრობით, შუღლით, ომებით. ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ხომ, ერთი საუკუნე რაა, სულ რაღაც ასიოდე წელიც კი არასოდეს გაუძლია უომრად. რა თქმა უნდა, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას კაცნი თავიანთ სამართლიანობას ან რაიმე სხვა მიზეზს უძებნიან სარჩულად და საყრდენად.

ვიცი, რა მნიშვნელობაც აქვს (არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის) წარმატებულ თავდაცვით ომებს, მაგრამ კაცთმოყვარე გული მუდამ ღმერთს შეჰღაღადებს: „სცვალე დრონი სხვებრ იმგვარად, რომ ეს კარგი ხელოვნება უქმად დარჩეს და უხმარად“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე).

ომებში გამოვლენილი მხეცური ბუნება ადამიანისა — დაუნდობლობა, სისასტიკე, შეუბრალებლობა — განსაკუთრებით საზარელია, როცა ძმები, ერთი დედის შვილები ხოცავენ ერთმანეთს. ფართო თვალსაზრისით, ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში ყველა ადამიანი, დედამიწის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ერთმანეთის ძმა, ნათესავი, საერთო წინაპრის შთამომავალია; თუმცა რადგან ხალხებს შორის განსხვავება (გარეგნულიც და სულიერიც) თვალნათლივია, ძმებად, ტრადიციულად, ერთი ერის შვილები მიიჩნევიან. ომებში სწორედ ამიტომაც, ყველაზე

ტრაგიკული შინაომებია, რომლებიც საქართველოშიც მრავლად ყოფილა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ამბები კი (ე. წ. თბილისის, სამეგრელოს, აფხაზეთის ომები) ჯერაც ღია ჭრილობად აჩნევია სულს, თითქოს ჯერაც არ დამთავრებულა... ამ ომების მონაწილენი თუ თვითმხილველნი ცოცხალ მემატიანეებად გვევლინებიან, რა გასაკვირია, რომ არაფერი დავიწყებიათ და უემოციოდ ვერ იხსენებენ თავს გადამხდარს. ორივე „ბანაკის“, ორივე დაპირისპირებული მხარის წარმომადგენელი დღესაც თავისი სიმართლით ყვება, თავისი გადასახედიდან ზომავს, თავისი პოზიციიდან აფასებს მომხდარს. საზოგადოების გათიშულობა ისეთი მკვეთრი და თვალშისაცემი აღარაა, როგორიც იმ ავადსახსენებელ წლებში, მაგრამ გარდასულის გახსენებისას მთხრობელთა სხვადასხვა პოზიცია მაინც აშკარაა. კვალი იმდენად ღრმა და შესამჩნევი დატოვა მაშინდელმა შინაომებმა, რომ არც ახალი თაობა (რომელსაც არ უნახავს და არ ახსოვს ის ამბები) რჩება გულგრილი მომხდარის მიმართ. ინტერესდება და თავისებურად, სხვა ჭრილში, სხვა სამზერიდან ხედავს ყველაფერს. განსაკუთრებით დასაფასებელია, რომ ეს ნაფიქრი მხატვრულ სიტყვად გარდაიქმნება და ლიტერატურაში აისახება. უამისოდ, ვინ იცის, იქნებ გაქრობაც ელოდეს გამოუთქმელ ან თუნდაც მხოლოდ ზეპირად გამოთქმულ აზრს. ეს საუბარი მხოლოდ იმისთვის წამოვიწყე, რომ ზვიად კვარაცხელიას შესანიშნავი მოთხრობა „შეკვეთილი წირვა“ გამეხსენებინა. იგი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის 24-ე ნომერში დაიბეჭდა და შევიდა ახალგაზრდა მწერლის სულ ახლახან გამოცემული მოთხრობების კრებულში „ყიფლიბანდი“. სავარაუდოდ, შემთხვევითი არაა, რომ წიგნის ბოლო ნაწარმოები სწორედ „შეკვეთილი წირვაა“ და ეს მარტო მისი დაწერის თარიღით, ალბათ, ვერ აიხსნება.

„შეკვეთილი წირვის“ მთავარი მოქმედი პირი ძია თორნაკეა. ავტორი მწერლური ოსტატობით ისე სახიერად გამოჰკვეთს მის ხასიათს, გარეგნობას, თვისებებს, ისე ცოცხლად ხატავს მის სულს, რომ მკითხველს თორნაკე რეალურ ადამიანად წარმო-

უდგება, სულაც რომელიმე ნაცნობს გაახსენებს და ილიასეულ „ნაცნობ უცნობად" დარჩება მის ცნობიერებაში. შვილი მოუკლეს თორნაკეს ბრძოლაში. არაჩვეულებრივად ხატოვანი და დასამახსოვრებელია ნაწარმოების დასაწყისი: „ენთო და წამის დახამხამებაში გააქრეს ოქრო-ბიჭი". ომი იყო ისეთი, ვერც გმირობას და თავდადებას მიაწერდი მეომარს, ვერც საყოველთაო დაფასებით ან რაიმე ჯილდოთი ინუგეშებდა ჭირისუფალი თავს, თუმცა მშობლის დაჭრილი გულისთვის შვილის დასავიწყებელშემცვლელი მალამო არც არასოდეს არსებულა... ჩვეულებრივად გაიმართა ქელეხი. ფსიქოლოგიური სიზუსტითაა დახატული მამის სულიერი მდგომარეობა: „მხოლოდ თორნაკე ძია იჯდა კუთხეში, უხმოდ, მობუზული და ხმა-ღრიანცელისგან გარიდებული, თავის სიჩუმეში ებრძოდა ტკივილს".

ადამიანურ ამაო ფაციფუცს, ატაუტას გამოცლილი მამა მდინარეს დაიგულებს მესაიდუმლედ, ბუნებას უმხელს თავის დარდსა და ვარამს. ამ პასაჟმა სრულად გამოხატა მწერლის სათქმელი. პერსონაჟის მუდმივ, დაჟინებულ განმარტოებას მოსდევს სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილება: „ან შვილის მკვლელს ჩამოვიტან გულგაგლეჯილს, ან მე ჩამომასვენებენ..." შურისძიების სურვილი რომ არ გასჩენოდა მამას, არადამაჯერებელი, არარეალისტური იქნებოდა. ცხოვრება დაუნდობელია და თუ ადამიანს პირადად დაატყდება უბედურება, მაშინ არც „ვეფხვისა და მოყმის ლექსის" მოტივი ახსენდება, ვერც მტრის სიმამაცესა თუ რაინდობაზე იფიქრებს კაცი და არც შენდობა და მიტევება წარმოესახება უმაღლეს ადამიანურ სათნოებად. შურისძიება ერთგვარად საკუთარი შელახული ღირსების აღდგენის ცდაცაა, გაუსაძლისი ტკივილის ოდნავ შემსუბუქების სურვილიც და ამიტომ სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია. არც გამორჩეულად კარგი კაცია თორნაკე ძია და არც გამორჩეულად ავი. ერთი ჩვეულებრივი, ყველა ჩვენგანის, ჩვენი ნაცნობების მსგავსია — იდეალურობამდე რომ ბევრი აკლია, იქნებ გასაკიცხ-გასაკილიც ბევრი გაუკეთებია, არც კეთილ საქმეს დაიზარებდა, თავისი განუყრელი „კასტუმით" ხელში მასისგან არაფრით განსხვავდებოდა, რომ არა ის სიზმარი... შვილის

მკვლელი დაესიზმრა, მშვიდად, უშფოთველად რომ გამოუწოდა ხელი და, ვიცნობდეთ ერთმანეთსო, — უთხრა.

და კიდეც დაესვა წერტილი შურისგებას. საოცარი ძალით დაეჭფლა გმირის სულს ძილში მოლანდებული. ეჭვის ჭია შეუძვრა და არ მოშორდა. სხვა თორნაკემ გაიღვიძა. თითქოს მართლა ენახოს მამის გამოჩენით უკმაყოფილო შვილი და რაღაცნაირი კეთილგანწყობით შემოგებებული უცნობი (მკვლელი), დიდხანს მეძებდით, ეტყობა, დაქანცულხართო, — სიხარულით არა, მაგრამ ერთგვარი თანაგრძნობით რომ უთხრა. ალუდა ქეთელაურის სიზმარი და ის, სიზმრისეული მუცალი აგონდება კაცს უნებურად. „თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელიო“, — მშვიდად გვეუბნება და ისეთ მუნათს გვდებს, რომ როდესმე აუცილებლად დანანებით გვაფიქრებინოს: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“ ზვიად კვარაცხელიას სათქმელი ამ შემთხვევაში უფრო კონკრეტულია. დიდხანს (სამ თვეს კი არა თორნაკესავით, — წლობით) ვეძებეთ (ახლაც ვეძებთ) დამნაშავეები ძმათამკვლელ ომში, ჩვენი შვილების, მამების, ძმების მკვლელები. ის კი ვერ გაგვიცნობიერებია, რომ დამნაშავეებიც, მკვლელებიც ისევ ჩვენივე შვილები, მამები, ძმები არიან. ეს კონკრეტული სათქმელი ისეთ განზოგადებას იძენს მოთხრობაში, რომ კვლავ ვაჟასეული სისხლში ყელამდე ჩამდგარი ადამიანები გველანდება და უნებურად გვეფიქრება: „იქნება, ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა...“

მხატვრული ლოგიკით ნაწარმოებში აუცილებლად უნდა გამოჩნდეს მკვლელის დედა. მისტიკურ თუ რეალურ სოფელში, წარმოსახული თუ რეალური ბავშვი — ბაო-ბაბინა გაუწევს მეგზურობას ტაძრისკენ, ღვთისკენ, განწმენდისკენ მიმსწრაფ თორნაკეს (ეს ბავშვი და მისი სახელი შორეული ასოციაციით ეკზიუპერის „პატარა უფლისწულს“ მახსენებს რატომღაც). ბავშვის გამოჩენაც ღვთაებრივი მადლის, უმანკოების, სიწმინდის გამოჩენასა თუ გადმოღვრაზე უნდა მიანიშნებდეს. იმ სოფელში, როგორც საერთოდ ყველგან, დიდ სოფელში, წუთისოფელში, ორი გზაა — ყანისკენ და ტაძრისკენ მიმავალი — სიმბოლურად ადამიანის ხორციელ და სულიერ მოთხოვნილებებს რომ გამოხატავს.

ტაძარში ყოველ თვეში ტარდება შეკვეთილი წირვა. ბევრია შაოსანი, შვილმკვდარი დედა. ყველას თავისი თავგადასავალი აქვს, თავისი ბედისწერა და ყველას საერთო ტკივილი, საერთო მწუხარება — გარდაცვლილი შვილი — აერთიანებს. ძია თორნაკე არ ურევია წირვის შემკვეთებში, ის აქ უცხოა. მისი შვილი ბარიკადის სხვა მხარეს, საწინააღმდეგო ბანაკში იბრძოდა... მაგრამ იცის კი სიკვდილმა მხარეები და ბანაკები? და განგების ძალით თორნაკეც ერთ-ერთი იმათგანია, „პაკლონზე“ გამოსული მსახიობებივით ჩუმად, უხმაუროდ, მწყობრად რომ გამოდიან ეკლესიიდან.

დანარჩენს „დამწყები“ შაოსნის, თორნაკეს ძველი და დიდი ხნის უნახავი ნაცნობის, ნათიას ნაამბობიდან ვიგებთ. ყვება თავისი ერთადერთი ვაჟის, თავისი საბას თავგადასავალს და თუმც არ იმჩნევს, მაინც იგრძნობა სიამაყე („არც ჩემ შვილ შეხვდა ჯაბანი...“). გაირკვა, რომ ნათიას საბაა თორნაკეს შვილიცა და მისი გიორგის მკვლელი...

და ნაწარმოების დასასრული, როგორც აპოთეოზი, რომელსაც კომენტარი არ სჭირდება: „უფალო და ღვთისმშობელო, ნათელში ამყოფე მონა ღვთისა გიორგი და მონა ღვთისა საბა... ჩემი შვილები“ — თქვა თორნაკემ, დაიჩოქა და ტაძრის გრილ იატაკს დააწო გაცხელებული შუბლი“.

სილამაზე, როგორც ბედისწერა

(დაგნი იულის მკვლელობა — კიდევ ერთი ლიტერატურული ვერსია)

ნორვეგიელი პიანისტი ქალის დაგნი იულის ბედმა და თავგადასავალმა მთელი მსოფლიო ააღელვა. მისი საფლავი თბილისშია. ედვარდ მუნკის მუზა, ავგუსტ სტრინდბერგის სატრფო და კიდევ მრავალი მამაკაცის საოცნებო ქალი მწერალ სტანისლავ პშიბიშევსკის ცოლი გახდა. მასთან დაშორების შემდეგ კი მეგობარ მამაკაცთან ერთად ევროპას გამოექცა, კავკასიას, კერძოდ, თბილისს შეაფარა თავი და ტრაგედიაც აქ დატრიალდა.

ასე მოკლედ, არასრულყოფილად და მეტისმეტად პროზაულად გადმოცემულ ამბავს სინამდვილეში დიდი გრძნობები, ვნებათაღელვანი, მიწყდომ-მოწყდომა, დუელი, ეჭვიანობა, უამრავი ჩხუბი და შერიგება, თავდავიწყება და ნამდვილი, წმინდა სიყვარული უდევს საფუძვლად.

ცნობილ პიროვნებათა პირადი ცხოვრებით, ადამიანის სულის, შინაგანი სამყაროს მრავალგვარი გამოვლენით და იმ იდუმალებითა და მოუხელთებლობით, რომელიც ადამიანთა ურთიერთობას ახლავს თან, პირველ რიგში სხვა ვინ უნდა დაინტერესდეს, თუ არა მწერალი.

ამ რეალურ ისტორიაზეა აგებული რუსი მწერლის იური ნაგიბინის მოთხრობა „სამნი, ქალი და მამაკაცი“, რომლის ანა აბულაშვილისეული შესანიშნავი თარგმანიც გაგვაცნო ჩვენმა ჟურნალმა („ჩვენი მწერლობა“, 2012, №16). პუბლიკაციას მაშინვე მოჰყვა გამოხმაურება — ზაზა აბზიანიძის „წერილი რედაქციას“, რომელშიც ავტორი ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის რუსი მწერლის, ქართველი მთარგმნელის, პერსონაჟთა პროტო-

ტიპებისა და ამ საბედისწერო ქალთან დაკავშირებულ სხვა პირთა შესახებ; მოიხსენიებს სამივე ქართველ მწერალს (ლიანა ელიავა, ლაშა იმედაშვილი, ზურაბ კანდელაკი), ვინც ამ თემით დაინტერესდა; მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად გვიზიარებს მოთხრობისგან მიღებულ თავის ძლიერ ემოციას. მისი აღფრთოვანება გადამდებიცაა და, დარწმუნებული ვარ, გამოხატავს და ემთხვევა სხვათა, დამოუკიდებლად აღძრულ გრძნობებსაც.

ამბავი ამბად, მაგრამ განა ცოტაჯერ ვყოფილვართ იმის მომსწრე, რომ მიმზიდველი, ამაღელვებელი ამბავი მოთხრობაში „გდია ვითარცა მარგალიტი ნაოხარსა ზედა.“ ხან მწერალი ვერ ახერხებს ჭეშმარიტი ფასეულობის შექმნას, ხანაც მთარგმნელის არაპროფესიონალიზმი გვიშლის ხელს ნაწარმოების სრულყოფილად აღქმაში...

ნაგიბინი თავისი სტილით, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნით, სულის უღრმეს შრეებში წვდომის უნარით, ნაზი ლირიზმით, შეფარული იუმორით, მკითხველისთვის განსასჯელად და დასაფიქრებლად დატოვებული პასაჟებით და სხვა ნიშნებითაც ნამდვილი მწერალია, ხოლო ანა აბულაშვილი — მისი ფარდი და ტოლი მთარგმნელი, სანდო შუამავალი, შინაარსისა და ემოციის ზუსტად გადმომღები და ჩვენამდე მომტანი.

მოქმედება მოთხრობაში მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისში ხდება. თხრობა გამსჭვალულია იმ სითბოთი და სიყვარულით, რომელსაც ავტორი საქართველოს მიმართ განიცდის. როგორც ზაზა აბზიანიძე შენიშნავს, „თვითონ მას (იური ნაგიბინს) ბუნებით იშვიათად გულღიასა და ხელგაშლილს, ჰედონისტსა და ქალების ტრფიალს... ხიბლავდა ქართული ყოფა და ხასიათი...“

უკვე აღვნიშნეთ, რუსი მწერლის მთავარი მიზანი არ არის საუკუნის წინანდელი თბილისის ყოფის დოკუმენტური აღწერა. ეს მხოლოდ ფონია მოქმედებისთვის, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ძირითადი ამბავი (ყოველ შემთხვევაში, ქართველი მკითხველისთვის მაინც) და აღბეჭდილია იმ შესაშური ტაქტით, ზომიერებით, ცოდნით, სიმართლით, რაც ასე იშვიათია უცხოელთა მიერ ჩვენი ქვეყნის შესახებ დაწერილ მხატვრულ და ზოგჯერ დოკუმენტურ თხზულებებშიც.

მე-19 საუკუნეში, როცა რუსი და ევროპელი მწერლები და მოგზაურები განსაკუთებით დაინტერესდნენ კავკასიით და ფართოდ ასახეს ეს რეგიონი თავიანთ ნაწარმოებებში, ქართველმა მოღვაწეებმა ამის გამო მოწონებასა და სიამოვნებასთან ერთად შეშფოთებაც გამოთქვეს. კარგია, — თქვეს მათ, — რომ ჩვენს ქვეყანას სხვებიც გაიცნობენ, მაგრამ ცუდია, რომ ხშირ შემთხვევაში ავტორები შეგნებულად თუ შეუგნებლად ამახინჯებენ არა მარტო ტოპონიმებსა თუ ანთროპონიმებს, არამედ ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ თვისებებს, ადგილობრივთა ფსიქიკასა და ცხოვრების ნირსაც შეცვლილად — ხან მეტისმეტად ეგზოტიკურად და მიმზიდველად, ხან მეტისმეტად საშიშად და ბნელ ფერებში — წარმოსახავენ. გადაჭარბება ხომ ისევე საშიშია სიყვარულში, როგორც სიძულვილში.

ის კიდევ სხვაა, როცა სიძულვილი და ქედმაღლობა დაუფარავად, ცინიკურად მჟღავნდება (სხვა რა ვუწოდოთ თუნდაც მყინვარწვერის, სტეფანწმინდისა და ჩოფიკაშვილის ერთად, ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით გაყაზბეგებას). თუმცა ხანდახან შემთხვევით, წინასწარი განზრახვის გარეშე, ბუნებრივი სიძნელისა თუ განსხვავებულობის გამო გადასხვაფერდება, შეიცვლება სახელი და ამით თავის ელფერს და გემოს კარგავს. ამ შემთხვევაშიც აშკარაა თუ სრული იგნორირება არა, ერთგვარი გულგრილობა მაინც ჩვენი ქვეყნისადმი.

მაგრამ არის სასიამოვნო გამონაკლისებიც, როცა ავტორი კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას, კულტურას, აფასებს, პატივს სცემს მას. ნაწერში აშკარად იგრძნობა კეთილგანწყობილება, სითბო; მწერალს აღქმული, გათავისებული, გულში გამოტარებული აქვს აქაური ყოფის თავისებურება. ერთი ასეთი გამონაკლისია იური ნაგიბინი, რომლის მოთხრობაშიც, მე მეჩვენება, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ერთგვარი ფარული ნოსტალგიაც იკითხება. არ ვიცი, მართლა ნამყოფია თუ არა მწერალი საქართველოში, მაგრამ აქაური ბუნების, თბილისის, მცხეთის მიდამოების, კავკასიონის მთების აღწერა მაფიქრებინებს — ან მართლა ყოფილა და მწერლის ყოვლისდამტევი თვალითა და გულით უნახავს, ან წარმოსახვის განსაკუთრებული, ჯადოსნური უნარი ჰქონია.

ეს ის დრო იყო, როდესაც ევროპაში „ყველა კავკასიაზე ლაპარაკობდა, თუმცა თითქმის არავინ იყო იქ ნამყოფი“, — ფაქიზად და იმავე დროს მტკიცედ გამოხატული პოზიციაა: ევროპისთვის (მსოფლიოსთვის) კავკასია მხოლოდ ეგზოტიკაა, მხოლოდ კოლორიტული ადგილი, მისწრება სულიერი დასვენებისთვის, გართობისთვის, გრძნობათა გადახალისებისთვის.

ახლა ნახეთ, როგორ ტაქტს იჩენს მწერალი ქართული ენის დამახასიათებელი თვისების აღნიშვნისას. ხომ ცნობილია, რომ ქართული (და საერთოდ, კავკასიური) თანხმოვნების წარმოთქმა ერთობ უჭირთ უცხოელებს:

„ბაიარდს წამოსცდა კიდეც მონასტრის ავისმომასწავებელი, ისევე როგორც ქართულ სიტყვათა უმეტესობაში მჭიდროდ მიბჯენილი თანხმოვნების გამო რთულად წარმოსათქმელი დასახელება, რომელიც დუელში მოკლულ პოეტს უკავშირდებოდა, თუმცა არა პუშკინს, არამად მეორეს, სახელს ვეღარ იხსენებდა...“

გასაკვირი სულაც არ არის, რომ რუს მწერალს თბილისსა და მცხეთასთან დაკავშირებით პუშკინი და ლერმონტოვი ახსენდება. კავკასიაში მოკლული ლერმონტოვის პოემის პერსონაჟი მწირი ხომ იმ მონასტერში ცხოვრობდა, სადაც ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის და... ყველაფერი იმაზე მოგვითხრობს, აქაურებს „ვითარ ჰქონიათ ერთ დროს დიდება, ვით წართმევიათ ბედნიერება“. ბუნებრივია, ნაგიბინს ვერ ექნებოდა ილიასეული განცდა, „მწირის“ თარგმნისას საგანგებოდ რომ შეცვლიდა ერთ-ერთი სტროფის შინაარსს, ამ გარემოებას კი პავლე ინგოროყვა გაუთვალსაჩინოებდა მკითხველს. ის ადგილი, სადაც პოემის ავტორი რუსების მიერ საქართველოს გადარჩენასა და გაბედნიერებაზე საუბრობს, ილიამ შეგნებულად გადაასხვაფერა და ასე გადმოიღო:

„მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა მიეცა ტანჯულს ივერიის ერს, რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, ღმერთმა ის რუსსვე ასკეცად მისცეს“.

მოთხრობაში ამაზე მინიშნებაც არაა და არც უნდა იყოს. სამაგიეროდ არის ასეთი პასაჟი, რომელშიც პერსონაჟი აშკარა

სიამოვნებით ამბობს: „ხვალ ჯვრის დასათვალიერებლად მივდივართ. გამყოლს უკვე მოველაპარაკე... — ჯვარი, — გაამაყებულმა, რომ ასე თავისუფლად გამოთქვამდა სიტყვას, რომელზეც ენას მოიტეხდი, თამამად გაიმეორა. — მონასტრის ნანგრევებია. მერე კი სვეტიცხოველსაც ვნახავთ“.

ძალზე საინტერესოდ არის დახატული გამყოლის, ავთანდილის მხატვრული სახე. მცირე მონაკვეთში მთლიანადაა გახსნილი მისი შინაგანი ბუნება — პროვინციულ ჩაცმულობასა და სტუმრებისთვის თავის მოწონების ასევე პროვინციულ სურვილს ფარავს თავისი ქვეყნის გულწრფელი სიყვარული, დაკისრებული მოვალეობის ერთგულება, ნანგრევებით, ქვაღორღიანი გზებით, მწვერვალებითა და უფსკრულებით... დაუფარავი თავმოწონება. როგორც ტიპური ქართველი, აღფრთოვანებით შეჰყურებს ქალის თვალისმომჭრელ სილამაზეს და ყურადღებასაც არ აქცევს მისი თანამგზავრის გაბრაზებას (სხვათა შორის, ქართველი მამაკაცის ეს თვისება — სათანადოდ შეაფასოს ქალის სილამაზე და არ დამალოს აღტაცება — კარგად ჩანს იმ ეპიზოდშიც, სადაც რკინიგზელ ინჟინრებთან ერთად უსხედან სუფრას დაგნი და ბაიარდი).

ავთანდილს კი ასე ადვილად ვერ მოვეშვებით. მის პიროვნებაში ყველაზე დასამახსოვრებელი და შესანიშნავი ის არის, რომ მას „გატაცებით უყვარდა ეს ხვატიანი და ქვაღორღიანი მთები და სურდა სხვებისთვისაც შეეყვარებინა“. ამიტომ ლაპარაკობდა ბევრს, უზომოდ იხარჯებოდა, გამოთქმით კითხულობდა ლექსებს რუსულად (როგორც ჩანს, ნაწყვეტს „მწირიდან“), მღეროდა და ცდილობდა, თავისი აღფრთოვანება ცივი უცხოელებისთვისაც გადაედო. თან, ბაიარდის თვალების ბრიალის მიუხედავად, აღტაცებულ მზერას არ აშორებდა დაგნის...

სვეტიცხოვლის ხატება ქართველის მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ ასე: „დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა“.

არანაკლები ემოციურობითაა აღწერილი ტაძარი და მისი შემოგარენი რუსულ მოთხრობაში: „როდესაც მწვერვალიდან გადმოიხედეს და თვალწინ ცისფერ ლენტად დაკლაკნილი არაგვი და მოყვითალო მტკვარი, მთათა მოიისფრო-ვარდისფერ იდუმალებაში მიმავალი სამხედრო გზა, მცხეთის ბანიანი სახლების სახურავები და თეთრად მოქათქათე სვეტიცხოველი გადაეშალათ, გულგრილობის საფარველი დაიმსხვრა —აღფრთოვანებისაგან დაგნი თითქოს მიწას მოსწყდა" (არა, ამის დამწერს ეს პეიზაჟი უთუოდ ნანახი და განცდილი აქვს).

გიდი საზეიმო ხმით ამცნობს მოგზაურებს, რომ ტაძარში ქრისტეს საოცარი ხატი ინახება. შორიდან ისე ჩანს, თითქოს მაცხოვარს თვალები დახუჭული აქვს, მიახლოებისას კი „ქრისტე თავის უძირო, ლურჯ, ხშირი წამწამებით შემოჯარულ დახუჭულ თვალებს ფართოდ ახელს". — ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება ნახო! — ეს სიტყვები, ინტონაცია და პოზა მეგზურისა უნებურად გალაკტიონის (ალბათ, ყველა ქართველის) თავდაჯერებულ რწმენას ეხმიანება: არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...

უბედურია კაცი, რომელიც ღვთის გახელილ თვალებს ვერ აღიქვამს. ასეთ ადამიანს ხომ არც უფლის ყველგანმყოფობა და ყოვლისშემძლეობა სჯერა. ღვთის ვერშემცნობი, ვერმიმღები სული დახშულია სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, მარადიულობისთვის და მხოლოდ წუთით, მხოლოდ ამქვეყნიურით ცხოვრობს. უხეში, თავხედი, პატივმოყვარე, სულიერად ღარიბი ბაიარდი ვერც თვითონ განიცდის და, რაც უფრო სამწუხაროა, ვერც ის წარმოუდგენია, რომ სხვები მართლა ხედავენ სასწაულს. ამის საპირისპიროდ რა რომანტიკული, ნაზი, ამაღელვებელი და ზეაღმტაცია ლეგენდა ორ მთვარეზე, რომელიც სტრინდბერგს მუნკისთვის უამბნია და იმასაც თქმულების ნამდვილობა დაუჯერებია. ის, რაც გენიოსთათვის ცხადი და მართალია, ჩვეულებრივი ადამიანისთვის შეიძლება უაზრობად მოჩანდეს.

ავტორი ფსიქოლოგის სიზუსტით, სავსებით დამაჯერებელი წიაღსვლით განმარტავს დიადთა და შეშლილთა არსებობის მი-

ზანს, ზუსტად ხსნის ბაიარდის ეჭვიანობის მიზეზსაც და ტრაგედიის გარდაუვალობის საფუძველსაც — ის, რაც ეპატიებათ საკუთარ ქმედებებზე ანგარიშმიუცემელ შეშლილებს, რომელთაც არავის მოკვლა არ შეუძლიათ, არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ჩვეულებრივ ობივატელს, იმიტომ, რომ მისი გულწრფელი რისხვა აუცილებლად ტრაგედიით დამთავრდება. იმას, ვისაც არ ძალუძს ქრისტეს გახელილი თვალების დანახვა, ნებისმიერი ცოცხალი არსების, მათ შორის, ადამიანის მოკვლაც შეუძლია.

ეს ამბავი თბილისში, მოთხრობის მიხედვით, სასტუმრო „დარიალში" მოხდა. ვერც ბუნების პირველყოფილებამ და უმანკოებამ, ვერც მოწმენდილი, შეუმკრთალი ციდან მომზირალმა ანგელოზმა, ვერც პირველი ქრისტიანების მიერ აგებული მონასტრის ხიბლმა ვერ მოულბო ვლადისლავ ემერიხს გული, ვერ შეაგრძნობინა ქრისტეს გახელილი თვალების ნათელი და ტრაგედიაც ვერ ააცილა.

მოთხრობა კი მაინც რჩება უცხოელი მწერლის მიერ ჩვენი ქვეყნის პატივისცემისა და სიყვარულის გამომჟღავნების უტყუარ დასტურად, ერთ თვალსაჩინო ნიმუშად.

წერით მოპოვებული არსებობის უფლება

(რეზო თაბუკაშვილის მოთხრობები)

რეზო თაბუკაშვილის წიგნის სახელწოდება „გემების ჩრდილქვეშ“ კრებულში დაბეჭდილი ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია და სიმბოლური მნიშვნელობისაა. ცხოვრების ატორტმანებულ ზღვაში ადამიანს უთუოდ სჭირდება ხელის ჩასაჭიდი თუ ფეხის მოსაკიდებელი, მყარი საყრდენი. სწორედ სიმყარედ, იმედად, თავშესაფრად მოიაზრება გემი, გემები, რომელთა ჩრდილქვეშ ყოფნა სიწყნარის, უსაფრთხოების, დაცულობის განცდას ქმნის. ადამიანს უჭირს, მეტისმეტად უჭირს ქაოსის, გამოუცნობი მომავლის, მუდმივი კატაკლიზმების წინაშე დგომა, ცხოვრება. სულიერი სიმშვიდე, ჩრდილქვეშ ყოფნა, ვიღაცის მზრუნველი ხელის შეგრძნება კაცობრიობის მუდმივი და ბუნებრივი სურვილია. თუმცა გემების ჩრდილებიც ისეთივე უნდო, მყიფე და ცვალებადი ყოფილა, როგორიც გაშლილი, ბობოქარი ზღვა. სად, საით მივდივართ, რა გველოდება; წუთისოფელი ჩვენ ბევრს არას გვეკითხება, ყელზე საბელი უბია და... თავისი (გლობალიზაციის, მსოფლიო ინტეგრირების, საბოლოოდ, ეროვნულობის კარგვის, განსხვავება-გამორჩეულობის გაქრობის) გზით მიგვერეკება.

„გამოჯანმრთელებულს არეულობა დამხვდა კუნძულებზე. მატერიკიდან გამოგზავნილი დიდი გემები მოსდგომოდნენ ნაპირს — წესი და რიგი უნდა დავამყაროთ აქო, ცხოვრების სწორი გაგება უნდა გასწავლოთო. ისე როგორც ადრე ცხოვრობდით, დრომოჭმულია და მცდარი, დაგვიჯერეთ და გაჩვენებთ არსებო-

ბის მართებულ გზებსო, მოუწოდებდნენ კუნძულის მობინადრეებს. უფრო კი აიძულებდნენ".

დამოწმებული ციტატა აირეკლავს დამპყრობელ-დაპყრობილის ურთიერთობის კარგა ხნის დამკვიდრებულ ფორმას (მოდელს). დამპყრობელი მოდის „სიკეთის ქმნის", „სხვაზე ზრუნვის" ნიღბითა და მოტივით. ანგრევს, აუფასურებს ადგილობრივს, როგორც ჩამორჩენილსა და მიუღებელს. ამ კონტექსტში სხვა სიმბოლურ დატვირთვას იძენს გემების ჩრდილი. ძნელია, დიდ გემთა ჩრდილქვეშ საკუთარ ეროვნულ ფასეულობათა შენარჩუნება. დიდი გერევა, გახრჩობს, გაიძულებს, როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, თავზე გაყრის ჭუჭყსა და ნაგავს. ასეთ ყოფაში ნეტა თუ არსებობს ხსნა?

ავტორი მზა პასუხს არ გვაძლევს ამ კითხვაზე. ნიშანდობლივია, რომ მოთხრობა შეკითხვით მთავრდება. თუმცა გაურკვეველი მოლოდინის განცდა კი არ გვტანჯავს, უფრო საკუთარ ძალთა და სიმართლის რწმენისა და გარკვეული გზის ხედვის შეგრძნება გვიჩნდება. მწერალმა შეძლო მკითხველი დაეფიქრებინა ზნეობრიობის, სიყვარულის, პატრიოტიზმისა და სხვა მარადიულ ღირებულებათა.

თხუთმეტივე მოთხრობა ფსიქოლოგიზმით გამოირჩევა. ავტორს აინტერესებს ე.წ. „უბრალო ადამიანი", მისი ქცევის ფსიქოლოგიური მოტივები. იქნებ დაუჯერებელიც მოეჩვენოს ვინმეს მწერლის მიერ შემოთავაზებული ნარატივი, მაგრამ ლიტერატურა ხომ ბოლოს და ბოლოს თხზვაა, მიმზიდველი ტყუილი. რეზო თაბუკაშვილი თავისი თხრობით „იჭერს", შემპარავად იზიდავს მკითხველს და, როგორც თვითონ ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით: „სულერთია, ამბავი ცხადში მოხდება თუ შენ თვითონ მობლანდავ რამეს და საკუთარ თავს დაარწმუნებ მის რეალობაში". ოღონდ მხატვრული ნაწარმოების ავტორმა სხვაც უნდა დაარწმუნოს მოყოლილი ამბის შესაძლებლობაში. და რაც მთავარია, სხვა თვალით, სხვა რაკურსით შეახედოს მომხდარს — ვთქვათ, მკვლელობას. მკვლელი-მოზარდი ყველა ნორმალური ადამიანისთვის ამაზრზენია. მითუმეტეს, თუ დანაშაული მამის იარაღითაა ჩადენილი და შვილი სიამოვნებასაც

კი განიცდის იმის წარმოდგენით, რომ მამამისს ამის გამო დაიჭერენ და „სროკზე გააბრიხინებენ", სხვა რა უნდა იგრძნო ბიჭის მიმართ, თუ არა ზიზღი? თუმცა ნუ ვიჩქარებთ, ყველაფერს ცვლის ამგვარი საქციელის მიზეზი.

ვიქტორ ჰიუგო წერდა, სასამართლოებში ჩვეულებრივ ეკითხებიან, ჩაიდინა თუ არა ადამიანმა ესა თუ ის დანაშაული — მოიპარა თუ არა, მოკლა თუ არა, მაგრამ არავის ეკითხებიან, რატომ მოიპარა? რატომ მოკლა? მწერლისთვის, ჰუმანისტისთვის სწორედ ამ კითხვებზე პასუხია მთავარი. რეზო თაბუკაშვილი კი ყმანვილკაცს სიყვარულის გამო აკვლევინებს უცნობ, „ბინძურ ძიას". და არა აქვს მნიშვნელობა, რომ ეს სიყვარული ქუჩის, უპატრონო ბავშვების, სხვენზე მცხოვრები გოგო-ბიჭების წრეში ჩაისახა. თვითონ სიყვარული ისეთი წმინდა, ისეთი გულწრფელი, ისეთი ძლიერია, მის გამო კაცი არაფერს დაერიდება, მამას კი, თუ დაიჭერენ, კიდევ უკეთესი — ბიჭი თვითონაც სხვენზე გადასახლდება და არავის დააჩაგვრინებს ბოთლების შემგროვებელ პატარა გოგოს.

არც მე ვარ საამისოდ განწყობილი და, მგონი, არც ავტორს სურს მკითხველის სენტიმენტების ნაძალადევად გამოწვევა, მაგრამ რატომ უნდა იყოს დასაძრახი, თუ გული უნებურად შეგეკუმშება?

რეზო თაბუკაშვილი კარგი მთხრობელია. იგი გატაცებით ყვება, ფერადოვნად ხატავს, საინტერესი სიუჟეტებს იგონებს და უმთავრესად ადამიანის სული აინტერესებს. სხვათა შორის, რამდენიმე ნაწარმოებში, რომელთა მთხრობელის ალტერ ეგოც ჩანს თვითონ ავტორია, მიმზიდველადაა წარმოსახული შემთხვევით გაცნობილი ქალ-ვაჟის არა ფიზიკური, არამედ სწორედაც სულიერი სიახლოვე. კანონზომიერია, რომ ვაჟი ამ მოთხრობებში სწავლობს, ამოწმებს ქალის გემოვნებას, დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი... ამ მიზნით ხან ბავშვობას იხსენებს, ხან არმომხდარს თხზავს. აბა, უამისოდ წარმოსადგენია ქალთან თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა?

„დროებით შემოტევაში" ძალიან ფრთხილად, კრძალვით, მაგრამ პირდაპირ არის დახატული ჩვენი ყოფის ერთ-ერთი

მტკივნეული მხარე — მათხოვრობა და მათხოვარი ბავშვები. არ არიან „ფსკერის“ მცხოვრებნი მოთხრობაში გაიდეალებულნი, თუმცა მინიშნება აშკარაა — საზოგადოებამ, თითოეულმა ადამიანმა უნდა იგრძნოს მათ წინაშე პასუხისმგებლობა. შეუძლებელია გალაკტიონი არ გაახსენდეს ადამიანს: „არ ეპატიოს!“ მაგრამ უშუალოდ ვის? და პერსონაჟი ერთ სურვილს შეუპყრია: „გააგორებდა ვინმეს“. დიდი კონტრასტია მის მყუდრო ბინას, საყვარელ ქალთან მშვიდად ცხოვრებასა და კართან ატუზულ მათხოვარ დედა-შვილს შორის. პერსონაჟთან ერთად მკითხველიც ვერ ივიწყებს უშნო, უხეშ, აბურძგნულთმიან ქალს, მის დაგრეხილ, ჭუჭყიან თითებს, რომლებშიც გასაყიდი წითელი „შპილკები“ უჭირავს, გვერდით მდგომ ბავშვს, რომელსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ წარმოვიდგენთ — თავხედი მზერით, ცბიერი თვალებით, ფლიდი სახით... „უკაცრავად, უკაცრავად“, — გულს სერავს ქალის მობოდიშება, რომელიც იქნებ სულაც არ იყო შეწუხებით გამოწვეული და სწორედ გაღიზიანებას გამოხატავდა... და მაინც, გვეყიდა ის ოხერი „შპილკები“, ვინ იცის, როგორ და რისთვის სჭირდებოდა ფული. არაფერი გაუგია ოთახში, სითბოსა და სინათლეში მყოფ ქალს. კაცს კი არ ასვენებს განწყობა: „არ ეპატიოს!“ — „ლეწავდა ვინმეს“, „დააგორებდა ვინმეს“. ასე გამოხატული უკმაყოფილება და გაღიზიანება საკუთარი საქციელის გამო უფრო ბუნებრივი და მშვენიერია, ვიდრე იქნებოდა, ვთქვათ, ღრმააზროვანი და ბრტყელი მსჯელობა სოციალურ პრობლემათა და მათი მოგვარების გზების შესახებ.

ძალზე საინტერესოა „ავტობიოგრაფია პროფილში“.

საოცარია, როგორ მოახერხა მწერალმა ომის მთელი საშინელების ორიოდე წინადადებით გადმოცემა: „ერთ-ერთ დაჭრილთან ჯანიანი ბიჭი იყო ჩაცუცქული. დაჰყურებდა ზემოდან და ჩუმად, ხმის ამოუღებლად ტიროდა“.

ომის თემაზე (აფხაზეთის ომზე) დაწერილი ბევრი კარგი ნაწარმოები წამიკითხავს, ბევრი თვითმხილველის ნაამბობი მომისმენია, მაგრამ ასე მოკლედ, შთამბეჭდავად და ტევადად იშვიათად ვინმეს მოუხერხებია ომში დაჭრილი, მომაკვდავი ბი-

ჭის გამოტირებაც, საკუთარი ჯანის გლოვაც, დაკარგული სამშობლოს ჭირისუფლობაც, ცოცხლად დარჩენილთა სირცხვილნარევი მწუხარების გამოთქმაც, წარსულისა და მომავლის ერთდროულად წყევლაც და საერთოდ, მთელი იმ საშინელი ორომტრიალის მართლად დახატვაც. საღსალამათი მამაკაცის მიერ უსიტყვო გლოვა მის მაგივრად, ჩვენ მაგივრად მოკლული მეომრისა — მოხდენილი და მრავლისმეტყველი პასაჟია.

კითხვისას იგრძნობა, რომ ავტორს განცდილი აქვს აფხაზეთი. ალბათ, ნამყოფიც არის იქ, მაგრამ მთავარი მაინც განცდაა. პერსონაჟის მიერ საკუთარი გრძნობების გამოთქმის ფორმა, როგორც წესი, არ არის „დავარცხნილი", უფრო იმპულსური, დაულაგებელია ხოლმე და ეს ანიჭებს თხრობას ნამდვილობას. თავისებურად, როგორც ადამიანს, ისე ემშვიდობება ზღვას და ქალაქს ერთი ქართველი: „შე უსინდისო, ის ბოზები უნდა მიიღო და აბანაო? მთელი ბავშვობა შენთან გავატარე და ეხლა ასე აუღელვებლად ტოკავ და მემშვიდობები... — შემდეგ სახე წყალში ჩაყო, მარილიან ქვებს აკოცა, — მე დავბრუნდები".

დაბრუნება მართლაც ხდება, ოღონდ... მამის მიერ შვილისთვის მოყოლილ ზღაპარში. გეგამ დაამარცხა ლურჯ ოკეანეში ულამაზეს კუნძულებზე დასახლებული ჯადოქარი და კეთილ დედაბრად აქცია. ახლა ჟოზეფინამ თავის ფერად ფრთებზე უნდა შეისვას პატარა ანკა და ისე წაიყვანოს კუნძულებზე... ეს ზღაპარში ხდება, რასაკვირველია, მხოლოდ წარმოსახვაში.

ძალიანაც უნდა ავტორს, რომ არ წეროს ომზე, განსაცდელში ჩავარდნილ ხალხზე, მუდმივ „პახმელიაზე" მყოფ ადამიანებზე... მაგრამ რადგან წერს იმას, რაც იცის, ამიტომაც წერს განსაცდელში ჩავარდნილ ღირსეულ ადამიანებზე, მუდმივ „პახმელიაზე" მყოფ ხალხზე, შიგადაშიგ სიყვარულზე... წერს კარგად, გადამდებად, გულიანად. ამის დასტურია „არგაქცევაც", „სოხუმის დაცემაც", „პრარვიომსიაც", „მზეო, არ ამოხვიდეც"...

მწერალი რისი მწერალია, თუ სიკვდილიც არ ახსოვს და სიცოცხლეც ერთდროულად. იცის და არასოდეს ავიწყდება რეზო თაბუკაშვილს, რომ „დადგება დრო, წამი და ჟამი და მოვისვრი(თ) სხეულს ერთგულად ნამსახურევი დაფლეთილი ჯინსი-

ვით". მასთან ერთად მოვისვრით ქაოტურ რიტმში მობაგუნე გულსაც. და არც ჩვენ ვიცით, „დამწყდება, ჩამწყდება თუ მეტკინება ამისგან ეს გული". ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ასეთი დრო ადრე თუ გვიან უთუოდ დადგება და ვაი მას, ვინც სიცოცხლეშივე არ ემზადება იმ წამისთვის, იმქვეყნად გადაბარგებისთვის, არსებობის სხვა ფორმით, სხვა განზომილებაში გაგრძელებისთვის. მწერლისთვის მისი ამქვეყნად არაფუჭად ხეტიალის დამადასტურებელი საბუთი მისივე ნაწერებია.

საყურადღებოა წიგნში შესული ნარკვევი „A.B.C." (ანაპურნას საბაზო ბანაკი), ნეპალში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, რომელიც მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავ ნიმუშად წარმოგვიდგება.

ადგილობრივი ათვლით 2055 წელს მოუწია კიდევ ერთხელ კატმანდუში ჩასვლა ავტორს. უკვე ამ თარიღით შეიგრძნობს მკითხველი უცხო და უცნაური სამყაროს პირველ შთაბეჭდილებას. აი შემდეგ კი რაც ხდება, რა თავგადასავალი გადახდა, რა ფიქრ-განწყობა ეუფლება, რა განცდა-შეფასებებს გვიზიარებს, თანაც როგორ, რაოდენ ექსპრესიული ენითა და სტილით გადმოგვცემს ამბავს, კაცმა თვითონ უნდა წაიკითხოს, რათა ისიამოვნოს კიდეც და თვითონაც გამოსცადოს განსხვავებულ სამყაროსთან შეხვედრის არაჩვეულებრივი გრძნობა.

„წერით მოვიპოვებდი ამქვეყნად არსებობის უფლებასო", — აღნიშნავს ერთგან ავტორი. ეს უფლება, ცხადია, კარგად წერით უფრო განმტკიცებულია.

ხიბლი თამაშისა

(ირაკლი ლომოურის მოთხრობა „პარიზელი ქალი“)

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კოკა ლეფევრმა (გვარი ფრანგისა აქვს, ისე ქართველია) შემთხვევით შეიტყო სვანეთში ნაპოვნი უნიკალური ნივთის შესახებ და გადაწყვიტა, გადაეღო ფილმი, რომლისთვისაც სცენარის დაწერა მეგობარს სთხოვა. აღმოჩენილი კი გახლდათ მედალიონი, რომელიც ააშკარავებდა და ადასტურებდა აია-კოლხეთის სამეფოს კულტურულ თუ ნათესაურ კავშირებს კრეტის სამეფოსთან.

ეს ამბავი ირაკლი ლომოურის მოთხრობაში ხდება. „პარიზელი ქალი“ ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ 2013 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა..

ირაკლი ლომოურს მკითხველი იცნობს, როგორც დიდ მისტიფიკატორს, სრულიად აბსურდული, ალოგიკური მოვლენების რეალისტური მანერით წარმომჩენს. საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ რა გაუგებრობა (რბილად რომ ვთქვათ) გამოიწვია მისმა „შემთხვევამ“. ეს ნოველა ახლა, სავსებით ლოგიკურად, სასწავლო პროგრამაშია შეტანილი და მას სკოლაშივე ეცნობიან მოზარდები.

მისტიფიკაციის გარეშე ირაკლი ლომოური ირაკლი ლომოური არ იქნება. ეს მისი ხელწერაა, მისი ტვიფარი, გნებავთ — საფირმო ნიშანი თუ სავიზიტო ბარათი.

ამ ახალი მოთხრობისგანაც მკითხველი, ბუნებრივია, კვლავ რაფინირებულ, ხელოვნების დარგში აყვანილ მისტიფიკაციას ელის და, უნდა მოგახსენოთ, რომ მოლოდინი არც გაუცრუვდება, ოღონდ... ოღონდ ის, რომ მოთხრობის ძირითადი ამბავი, ასე

ვთქვათ, ძარღვი სულაც არაა გამოგონილი. არა, ესაა რეალობა, ჩვენი ყოფის ამრეკლავი სინამდვილე, თავმოსაწონებლადაც რომ ეყოფა ქართველს, საქილიკოდაც და სამცონაროდაც.

საქმე ისაა, რომ სვანეთში, მესტიაში იპოვეს მედალიონი, რომელზეც აღბეჭდილია კრეტაზე, მინოსის სასახლეში აღმოჩენილი ფრესკის — „პარიზელი ქალი" — ანალოგი. არადა, ეს სენსაციური აღმოჩენა ისე ჩაიკარგა, გაქრა, გაითქვიფა სხვა ათასი საზრუნავ-საფიქრალით სავსე, მიწყივ მბრუნავ წუთისოფელში, რომ დღეს მის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის. ახალგაზრდებს იქნებ ავტორის ჩვეული მისტიფიკაციაც ეგონოს.

ცხონებულ გურამ გაბიძაშვილს სჯეროდა ამისთანებისო, — ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი. ეს ხომ ის ცნობილი მეცნიერია, არქეოლოგი, ხვამლის მთაზე ექსპედიციის დროს ოქროს რომ წააწყდა და მალე ამის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა (ოფიციალური ვერსიით, გულმა უღალატა). ერიჰა! რაჭაში არქეოლოგებმა რომ ეგვიპტური ცივილიზაციის კვალი დაიდასტურეს, ამ დასკვნის სანდოობაც ერთეულებს თუ სჯერათ, ალბათ.

* * *

საყოველთაოდ მიღებული და გაზიარებულია შეხედულება, რომ მითები მარტო გარდასულ და მკვდარ დროს კი არ ასახავენ, არამედ მარადიულად ცოცხლობენ და ყოველ ხანას თავის გავლენას აჩნევენ. მითის გასაცოცხლებლად და თანამედროვე ცხოვრებაში აქტიურად ჩასართავად ყველაზე მოქნილი და შეუმცდარი საშუალება კი სიტყვაა, მხატვრული ნაწარმოები. არ არის შემთხვევითი XX-XXI საუკუნეთა მწერლების განსაკუთრებული ინტერესი მითების მიმართ. თეორიის სახელმძღვანელოებში არაერთი მაგალითი, ნიმუშია მოწოდებული მწერალთა მიერ მითების განსხვავებულ ჭრილში აღქმისა, განსხვავებული რაკურსით ხედვისა, სხვადასხვა მიზნით გამოყენებისა.

ირაკლი ლომოურმაც მითი შემოიყვანა თხრობაში, ჩვენთვის ძალზე ახლობელი, ასე ვთქვათ, „შინაური" მითი აქცია ნაწარმოების ხერხემლად. მედეა გადმოასახლა ჩვენს დროში და ისე

როგორ იქნებოდა, თვითონვე არ შეჭრილიყო მითადქცეულ წარსულში და მხოლოდ დავარცხინილსა და ადაპტირებულს მიჰყოლოდა კვალში! რა სათქმელია! მრავალგზის დამუშავებული (ქართველი და უცხოელი მწერლების მიერ) თქმულება თითქოს ხელახლა შეთხზა, თანაც ისე, რომ მკითხველს კიდეც სჯერა და არც სჯერა ამ ახალი ვერსიისა.

მოთხრობაში მედეა მარიშაა (თუ მარიშა მედეაა) და საკუთარ თავგადასავალს თვითონვე ჰყვება... ოქროს საწმისი ავანტიურისტმა და ყაჩაღმა იაზონმა კი არა, თურმე თვითონვე გაიტაცა, რათა მამიდაშვილისთვის — მინოტავრისთვის — ეშველა როგორმე. დიახ, ამ მოთხრობის მიხედვით, ძლევამოსილი მინოსის მეუღლე, პასიფაე, რომელმაც ხარისგან ურჩხული (მინოტავრი) შვა, აიეტის დაა. ურწმუნოთათვის უპრიანი იქნება იმის შეხსენება, რომ გავრცელებული და მიღებული ვერსიით, ამ მინოსის პირველი მეუღლე მართლა აიეტის და გახლდათ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ნაცნობი კირკე. ესეც ძველი და ახალი მითი. გადმოცემის თანახმად, მინოსი დასავლეთში ამყარებდა წესრიგს, ხოლო აიეტი — აღმოსავლეთში.

ვერ უშველა მედეამ მინოტავრს. მოკლა იმ უღმერთო თეზევსმა (ბერძნული მითის მიხედვით, იგი ხომ მედეას გერია, ეგეოსის შვილი).

მარიშამ, იმავე მედეამ, მკურნალობა იცის. ლოგინად ჩავარდნილ მამასა და მის მეგობარს რაღაც შინაურ ნაყენს ასმევს, რათა მათ ძალა მიეცეთ და ძილქუშიდან გამოვიდნენ. ხარისთავას ნაყენი მართლაც სასიკეთოდ მოქმედებს.

მედეა ხომ მედიცინის ფუძემდებელია მსოფლიოში. სამკურნალო ზეთის დამზადების ცოდნა მიეწერებათ შუმერ ეას და კოლხ მედეას. შუმერთა ქალღმერთი სახელს ანიჭებს კოლხეთს... საეჭვო კი არა, დღეს უდავოა შუმერული მითის, კულტურის, სამედიცინო და სხვა ტერმინთა კავშირი კოლხურ-იბერიულ კულტურასთან და, კერძოდ, მედიცინასთან... ესეც ხომ ჩვენი მოგონილი არ არის, მსოფლიო აღიარებს. ამიტომ ირაკლი ლომოურის „პარიზელ ქალში“ ნათქვამი: ყველა ქართველი ხომ ისედაც შუმერიაო, — სულაც არ აღიქმება ირონიულად (კონტექსტის მიუხედავად).

მედეამ (მარიშამ) ოქროს საწმისის მეშვეობით უნდა აქციოს მინოტავრი ადამიანად. სიკეთეს, სიწმინდეს, „გაადამიანებას“ ემსახურება მედეას საიდუმლო ცოდნა. საინტერესოა, რომ მოთხრობაში თვით ოქროს საწმისი გააზრებულია, როგორც სიწმინდის, სინათლის, ბედნიერების, წარღვნამდელი მსოფლიო ჰარმონიის სიმბოლო. საქართველოდან მისი გატაცება კი მედეას ნამოქმედარია, მაგრამ თვით ეს ქმედება ახალი წესრიგის — სიყვარულისა და თანადგომის — საფუძვლად უნდა ქცეულიყო.

თხრობაში არაიშვიათად ჩაერთვის ერთ-ერთი მოქმედი პირის, გედის, პირადი შეგრძნებანი. მთელი ამბავი გედის მიერაა გადმოცემული პირველი პირით. ნაწარმოები სულაც მისი სიზმრით იწყება. გაუკაცრიელებულ პარიზში, ღია კაფეში ზის და კოქტეილს წრუპავს ლამაზი, ფუმფულატუჩებიანი, ნამდვილი პარიზელი ქალი. გამოფხიზლებული გედი თანდათან აცნობიერებს, რომ სიზმრად ნანახი ქალი იგივე კრეტაზე აღმოჩენილი ფრესკის ქალია, იგივე სვანეთში ნაპოვნი მედალიონის გამოსახულება, იგივე მარიშა ანუ მედეა.

მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან უეჭველად ქართველთა წინაპრები დგანან. არაა შემთხვევითი, მარიშას მოსმენისას, გედის თუშეთი, შენაქო რომ აგონდება, ახალმოთიბული ბალახის სურნელში თვალნათლივ ხედავს... მინოტავრს, ხარისთავიან ადამიანს. იყო დრო, როცა ჩვენი, ქართველთა, საცხოვრებელი ტერიტორია გაცილებით უფრო დიდი და ვრცელი იყო, ვიდრე დღესაა, ბევრად მეტიც, ვიდრე „ორ ზღვას შუა საომარი ლელო“ გულისხმობს. იმ შორეულ, თვალუწვდენელ წარსულს მწერალი ხელშესახებად შეგვაგრძნობინებს თუნდაც ზემოთ მოხმობილი და სხვა მსგავსი პასაჟებით.

კრეტა მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი იყო; მაშინ კრეტაზე ცხოვრება იმას ნიშნავდა, რასაც XIX საუკუნეში — პარიზში ცხოვრება (გაგახსენდათ ილიას ფრანსიელი, რომელიც „მგზავრის წერილებში“ სწორედ ევროპული ცივილიზაციის, განათლებისა და განვითარების სიმბოლოა?).

მედეა კრეტაზე, მედეა კოლხეთში, მედეა პარიზში... მოთხრობის ერთ ეპიზოდში მარიშა იაპონური ტანსაცმლით გამოგ-

ვეცხადება. მთელი მსოფლიოს, მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის, ევროპა-ამერიკის, უკვე გამქრალი, არსებული თუ ჯერ არგაჩენილი კულტურების ძირთაძირი, საფუძველი, მკვიდრი საძირკველი საქართველო და ქართველია!— ამის თქმა თუ უნდა მწერალს.

ასეთი გააზრებანი გვეხმარება ჩვენი მოქალაქეობრივი ღირსების შეგრძნებაში, ზოგჯერ უსაშველოდ მოწოლილი სკეფსისის დაძლევაში. აი, ასეთ წუთებში გვავიწყდება, უფრო სწორად, არსებით მნიშვნელობას კარგავს ყოველმხრივ შევიწროებულშემოზღუდული ჩვენი მიწა-წყალი და თავს ვგრძნობთ მსოფლიო მოქალაქეებად. მხოლოდ ასეთ შეგრძნებათა წყალობით ვხდებით ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები ვაჟასეული გაგებით. ჩვენი წინაპრების ფასდაუდებელი ღვაწლი კაცობრიობის წინაშე კვებავს ჩვენს სიამაყეს — უძლეველობისა და მარადიულობის რწმენას.

მედეა მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილიშვილია, მზიური საწყისია დედამიწაზე, მარადიულია, უკვდავი... „თუ არ მოკვდი, ვერ დაიბადები", — ამბობს მარიშა. ჯურღმულში თუ არ ჩახვედი, მზის გულზე ვერ ამოაღწევ. დროდადრო უნდა ჩაქრეს, რათა მერე ახალი ძალით გამობრწყინდეს... (დაცემულთა და ჩაგრულთა ნუგეში).

მედეას შესახებ უამრავი გამოკვლევა თუ მხატვრული ნაწარმოები — მოთხრობა, პიესა, ლექსი, პოემა... — არსებობს. მათი ნაწილიც კი, რომელიც ირაკლი ლომოურის მოთხრობაშია ჩამოთვლილი, შთამბეჭდავია. აბა, გადავხედოთ: აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა", ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", ევრიპიდეს „მედეა", სენეკას „მედეა", აკაკი წერეთლის „მედეა", რასინის „მედეა", გრილპარცერის „მედეა"... ამ სიის შევსება კიდევ შეიძლება თუნდაც ჟან ანუის სახელით. ისიც საყურადღებოა, რომ მედეას შესახებ თქმულება უთუოდ იცოდა დანტემაც. დანტე და ვერგილიუსი ჯოჯოხეთში ხედავენ იაზონსაც, რომელიც მედეას მოტყუებისა და მუხთლობის გამო ისჯება...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცოცხალი მედეა გინახავთ? ზემოდასახელებულ ან სხვა თხზულებათა მიხედვით სცენაზე წარ-

მოდგენილი ან ფილმში გადაღებული კი არა, აი ისე, რეალური — მაღალი, გამხდარი, ჯინსებში ჩაცმული, შავი, გრძელი, გაშლილი თმით, დიდრონი, მეტყველი, შავად შეღებილი თვალებითა და ფუმფულა, წითელი ტუჩებით... სწორედ ასეთ მედეას ხედავს და უსმენს „პარიზელი ქალის" გედი გედევანიშვილი, ძია გედი. და ცხად სიზმართან სასაცილოდ და ირონიულადაც კი ჟღერს გრილპარცერის — ავსტრიელი პოეტისა და დრამატურგის — გვარი. მე მარიშას მოვუსმენ, შენ გრილპარცერი წაიკითხეო, — რამდენჯერმე ხაზგასმულად და აშკარად დაცინვით ეუბნება გედი მეგობარს.

ამ დიდებული, დიადი წარსულის ფონზე ერთობ დაკნინებულ-დამცრობილად გამოიყურება თანამედროვე ქართველი, რომლისთვისაც ახალგახსნილ დუქანში ხინკლაობაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე არ არსებობს; „ზაურაურას" სასადილოში აურზაურის ატეხვაზეც არ იტყვის უარს (ირაკლი ლომოურის სიტყვათა თამაშია). თან ისე როგორ იქნება, საკუთარ და ერის უკვდავებაზეც არ იფიქროს და იზრუნოს. კოკა ევანსის აღმოჩენას რატომღაც რუსულად — „პარიჟანკად" — მოიხსენიებს, თუმცა ფილმის გადაღებას ქართველთა უნიკალურ და განუმეორებელ ისტორიაზე აპირებს.

* * *

მეცნიერთა შორის დღესაც კამათია იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ოქროს საწმისი? ეს იყო ცხვრის ტყავი, რომლითაც ოქროს მოიპოვებდნენ, საზღვაო რუკები, ანბანი, ხმოვნები ანბანში თუ კიდევ რაიმე სხვა? ირაკლი ლომოურის მოთხრობაში ოქროს ვერძი ცხოველია, რომელსაც ბეწვი ოქროსფერი კი არა, მართლა ოქროსი ჰქონდა. წმინდა ცხოველი იყო, ედემიდან გამოჰყვა ადამსა და ევას ოქროს ცხვართან ერთად... ოქროს ცხვარმა ნოეს კიდობანში შესვლა და გადარჩენა არ ინდომა... სამაგიეროდ, გადარჩა ოქროს ვერძი, რათა წარღვნის შემდეგ იგი გამხდარიყო უპირველესი მსხვერპლი, რომელიც პირველქმნილი სიწმინდისა და ელვარების კვალსა და ანარეკლს ახალ სამყაროში შეიტანდა... ოქროს ვერძის ტყავი,

ოქროს საწმისი ნოეს უმცროსმა ვაჟმა, იაფეტმა ირგუნა. მისი შთამომავლები ფლობდნენ ოქროს საწმისს, როგორც უდიდეს სიწმინდეს, სასიცოცხლო ძალისა და სიბრძნის მომნიჭებელს... თაობიდან თაობას გადაეცემოდა იგი და ასე მოაღწია აიეტამდე. შემდეგ კი მედეამ გაიტაცა...

მკითხველისთვის სასიამოვნოდ გამაოგნებელი აღმოჩნდება მარიშას (მედეას) დაბეჭითებული მტკიცება: ოქროს საწმისი დაბრუნდა და ახლაც აქაა, ჩვენთან! გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, სიცოცხლის, სიბრძნის, სიწმინდის, მომავალი სამყაროს (თუ სამყაროების) საფუძველი, დვრიტა, დაუშრეტელი საწყისი აქაა, ხვამლის მთაში!

მარიშას თქმით, გედი სვონია (ე. ი. —კოლხი, ე.ი. — სვანი) იმიტომ, რომ „გედს" ინგლისურად „სვონ" ჰქვია. ინგლისური რა შუაშია? როგორ თუ რა შუაშია? ინგლისი და ინგლისურიც ხომ სამყაროს ნაწილია. სამყაროს, კაცობრიობის განვითარება-ცივილიზაციას კი საფუძველი ჩვენ დავუდეთ, ამიტომ ჩვენი კვალი ყველგანაა და ყველა ქვეყნის ენა და კულტურა ჩვენში პოულობს გამოძახილს.

დამთავრდა ეს ამბავი იმით, რომ გრძნეული მედეა-მარიშა საფრანგეთში გათხოვდა და სიზმრიდან მოსული ისევ სიზმარში გადასახლდა, გედი (სვონი) ისევ საკუთარ ოჯახს დაუბრუნდა, ფილმი... სავარაუდოდ, არ გადაუღიათ.

* * *

ისე, არ იქნება ურიგო თუნდ ამ მოთხრობის მიხედვით ფილმის გადაღება. ეს იქნება, ალბათ, ფილმი ფილმში... სურათი უთუოდ იმით დაიწყება, რითაც მოთხრობა მთავრდება — გედის სიზმრით: პარიზში, ლათინურ კვარტალში, მაგიდასთან ახალგაზრდა, კეკლუცი, მომხიბვლელი ქალი ზის — ნამდვილი პარიზელი ქალი...

აი, ასე — შეიძლება ირაკლი ლომოურის აბსურდული მისტიფიკაციები, იუმორი, თამაში, სილაღე, ლაზღანდარობა სავსებით სერიოზული, ღრმად ფილოსოფიური, ისტორიულ-დოკუმენტური ფილმის საფუძვლად იქცეს.

ერთი მართალი კაცის მადლით

(ზურაბ კანდელაკი, როგორც რომანისტი)

ზურაბ კანდელაკის „უძრავი ქარი“ ძალიან ძნელად, მძიმედ საკითხავი წიგნია. ყოველი ეპიზოდი, ყოველი პასაჟი დაფიქრებას, ანალიზს ითხოვს და გულისგამხეთქავ გრძნობებს წამოშლის, ძალიან მძიმე ასოციაციებს იწვევს. ეს არ არის რომანი ჩვეულებრივი გაგებით, კომპოზიციურად შეკრული, სიუჟეტის განვითარებაზე აგებული. სიუჟეტი საკმაოდ მკრთალია და მკითხველის გონებასა და ემოციების კალეიდოსკოპური თხრობის თითოეული ნატეხი ისე იპყრობს, როგორც მთელი, დამოუკიდებელი ნაწილი. მთლიანად რომანიც ხომ ერთი ნაწილია ავტორის მთელი შემოქმედებისა.

დასაწყისშივე ჩნდება ხატება ქრისტიანობისთვის პირველი მოწამისა, სტეფანესი... „და გაიყვანეს სტეფანე ქალაქგარეთ და ქვები დაუშინეს“... და იმის მერე (თუ მანამდეც) სულ ქვებს უშენენ ადამიანები ყველაზე კარგს, ლამაზს, კეთილს, ჭკვიანს, ზნეობრივს... მასისგან სიკეთით გამორჩეულს.

რამდენი ამბავი ეწვნის ერთმანეთს ამ რომანში. მკითხველს კი გადასვლა ერთი ეპოქიდან მეორეში სულაც არ უჭირს. იმიტომ, რომ ადამიანური ბუნება არ შეცვლილა მისი გაჩენის დღიდან და ქრისტეს პირველმოწამენი თუ სულ ახლახან დახვრეტილნი ერთნაირად აღელვებენ მთხრობელსაც და მსმენელსაც.

„თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგედიას უჭირავს მომეტებული ადგილი რომანში. თავისუფლების წყურვილისთვის დახვრეტილი ახალგაზრდების წინაშე თავს დამნაშავედ უნდა გრძნობდეს ყველა პატიოსანი ადამიანი. „ცოდვილების ქვეყანაში ცოდვას ვერ გაექცევი“. სწორედ იმიტომ, რომ მაშინ არავის შეეძლო მათი გა-

დარჩენა, შებრალება, საბჭოთა რეჟიმის რკინის მარწუხებში მოქცეულ ქვეყანაში არავის შეეძლო სიმართლის თქმა, თუნდაც უშედეგო პროტესტის გამოხატვა. სწორედ ამიტომ ჩაითრია ყველა ცოდვის მორევმა. ოღონდ საკუთარი ცოდვა ვის გაცნობიერებული აქვს, ვის — არა. და მათაც, ვისაც სინდისის ხმა მიყუჩებული აქვს, ვინც ზუსტად იცის, რომ მაინც ვერაფერს შეცვლიდა, ვინც იმდენად შორს იყო იმ ამბისგან, რომ კარგად არც გაუგია, რა მოხდა... მერე გაჩენილთ ამქვეყნად სულაც სულს გაუყინავს გარდაცვლილის აჩრდილის აღსარება: სიკვდილის წინ ჯალათს ტურტლიან ფეხებს ვუკოცნიდი, ვთხოვდი, სულ ერთი წუთი ეცლია, გახვრეტილი თავის ქალა ახლაც მტკივა, აბა, ნახე, რამხელაა, მუშტი ჩაეტევაო, — და აქ ლოგიკურად, დაუძაბავად, თავისთავად გაგახსენდებათ ჰამლეტი და მის წინაშე წარმოქმნილი დილემა: იძიოს შური თუ არ იძიოს? (ჰამლეტი რემინისცენცია რამდენჯერმე შემოდის ამ რომანში).

„ცოდვილებს უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდვილი იყოს მათ გვერდით“ — რა თქმა უნდა, არც განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლებას მისცემენ ვინმეს, არც საკუთარი ნამოქმედარის სისწორეში დაეჭვების უფლებას. მეტიც, მთელმა ქვეყანამ ერთპირად უნდა დაუდასტუროს, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება აღსრულდა. ვის შეაწუხებს მსხვერპლის გატანჯული სული? ვინ აიტკივებს აუტკივარ თავს?.. მაგრამ თურმე თუ ერთხელ გამოიღვიძა ადამიანში სინდისის ხმამ, იმას უკან ვეღარ ჩააბრუნებ. როგორც რომანის პერსონაჟი ამბობს, მონატრება სცოდნია აუტკივარი თავის ატკივებას. ვაჟა-ფშაველას „სინდისში“ დახატულია აპოკალიფსური სურათი უღვთოდ, ანუ სინდისის გარეშე დარჩენილი კაცობრიობისა...

როგორც მოგახსენეთ, ეს გახლავთ რომანი ეპიკურობის გარეშე, აქ არ არის სიუჟეტის თანმიმდევრული, ტრადიციული განვითარება. თხრობა ერთი ამბიდან — ვთქვათ, თვითმფრინავის ბიჭებიდან — გადადის, უფრო სწორად, ერევა სულ სხვა ამბავს — ვთქვათ, ომს აფხაზეთში. წყნარი, ბროლივით გამჭვირვალე... ფეხდაუკარებელი თოვლივით სუფთა ზღვა ისჯება, ჰო, ზღვა ისჯება ცოცხალი ადამიანივით. სტეფანე ჩაქოლეს, ბიჭები დახ-

ვრიტეს, ზღვა, გაუკვალავი თოვლივით სუფთა ზღვაც წაბილწეს, შერყვნეს, ომში მოკლულ ადამიანთა ცხედრებით გაავსეს, კაცისკვლა დაანახეს მანამდე ამის უნახავსა და შეუჩვეველს...

ქარიშხალში მოხვედრილ ბეღურას ჰგავს მარი — სიწმინდე, სინათლე, იმედი ბნელში, წყვდიადში, გილიოტინებად, სახრჩობელებად ქცეულ ყოფაში. ოცნებისა და თავისუფლების სიმბოლოა ანაც — ანა და ზღვა.

ჯანღონით სავსეების ჯანმრთელი კუნთების ამოქმედებას რომ წინასწარმეტყველებს მწერალი, ჯერ არმომხდარსა და უკვე მომხდარს ერთად ხედავს, მომავალსაც გვითვალისწინებს. სტენდალის ჟულიენ სორელივით თეთრი პერანგითა და ამაყად თავაწეულს სურს რომანის პერსონაჟსაც ეშაფოტისკენ წასვლა, მაგრამ სადღაა განთიადი, რომელსაც ჟერარ ფილიპის გმირი შეჰყურებს? საბჭოთა ეპოქაში თავისუფლების სურვილისათვის დასჯილთ ეშაფოტი და გილიოტინა კიდეც ენატრებოდათ, თუნდაც ერთი წუთი ჰქონოდათ, რომ უკანასკნელი სათქმელი ეთქვათ, ამაყად თავაწეულნი შეხვდებოდნენ სიკვდილს, მაგრამ სად იყო სახალხოდ გმირული სიკვდილი?

ჯურღმული, სარდაფი, დამნაშავედ გამოცხადება, ადამიანის მიჩნევა ხის ნაფოტად. მწერლის საწუხარი კი ისაა, სტეფანეს წამებიდან მოყოლებული (თუ უფრო ადრიდანაც) ყველა წამებადახვრეტა-განადგურებას ბანს ხომ მე ვაძლევდი, მეო! „ჩვენც ხომ იქ ვიყავით, ჩვენც ხომ... მეც!.. შენც!.. ყრუ-მუნჯებივით ვისხედით და ერთადერთი იმით ვიმართლებდით თავს, რომ სხვებივით ტაშს არ ვუკრავდით, ოღონდ იმისიც გვეშინოდა, ვინმემ არ დაგვინახოს და ამბავი არ მიიტანოსო“...

რომანი თავისებურად, ორიგინალურადაა დაბეჭდილი. მუქი შრიფტით აწყობილი წინადადებები სიმბოლურ, სათქმელის შემაჯამებელი და, ამდენად, მეტად საყურადღებოა. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ნაწილი მნიშვნელოვანია. საერთოდ, ამ წიგნს ყველა თავისი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით აღიქვამს, გაიცნობიერებს და შეაფასებს (ანკი რომელი წიგნი არ მოითხოვს მკითხველის მხრიდან გარკვეულ გამოცდილებას). ზოგი მინიშნება ძალიან გამჭვირვალეა, პერსონაჟები ჩვენთვის

ნაცნობი პიროვნებანი არიან, ზოგის ამოხსნა იქნებ მარტო არც იყოს, მაგრამ სავსებით ნათელი და გასაგებია მწერლის განწყობა და დამოკიდებულება ძალმომრეობის, უტიფრობის, ცინიზმის... მიმართ.

ქარი კი, ეს მრავალგანზომილებიანი მეტაფორა, რომანის სათაურის მიხედვით, უძრავია. ანუ: „რაც ყოფილა, იგივ იქნება და რაც მომხდარა, ისევ მოხდება. არაფერია მზის ქვეშ ახალი“.

იმით დავამთავრებ, რითიც დავიწყე: ეს რომანი ფრიად დამაფიქრებელი, ემოციურადაც და გონებით აღსაქმელადაც ძნელი, მრავალპლანიანი, მძიმედ საკითხავია, მაგრამ სიმძიმე — ღრმააზროვნება — საბოლოოდ გვაფიქრებინებს იმასაც, რასაც მაია ჯალიაშვილი ასე კარგად აყალიბებს თავის შესანიშნავ წინასიტყვაობაში: „მკითხველს მაინც რჩება განცდა სიყვარულისა და სიწმინდის გადარჩენისა“.

„ერთი მართალი კაცის მადლმა... შეიძლება კაცობრიობის ცოდვები გადაწონოს და სამყარო აღსასრულისგან იხსნას“ (მაია ჯალიაშვილი).

ყოვლისმომცველი სიყვარულის აპოთეოზით

(თამაზ ბაძაღუას თანამედროვე დრამები)

თამაზ ბაძაღუას ორი პიესა („ღუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“ და „ძველი როიალი“) თანამედროვე ცხოვრებას ასახავს. გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწერილი ეს პიესები, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ძალიან თანამედროვედ ჟღერს დღესაც. ბევრი რამ მათში წინასწარმეტყველურია, თანაც მარტო საკუთარი კი არა, ქვეყნის ბედია წინასწარ განჭვრეტილი და დანახული.

ორივე პიესას მსჭვალავს მძაფრი განცდა სიცარიელისა. მოქმედი პირები თითქოს უჰაერობისაგან, უმოქმედობისაგან, უსივრცობისაგან, სიცარიელისა და არაფრობისაგან იხრჩობიან, იგუდებიან. დაკარგულია ცხოვრების მიზანი — წინ, მომავალში არაფერი ჩანს...

ორნაწილიან პიესაში „ღუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“ მოქმედება პატარა ზღვისპირა ქალაქში მიმდინარეობს (დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქალაქი სოხუმია). ავტორისეული რემარკები ძალიან მწირია ორივე პიესაში, მაგრამ სავსებით საკმარისი ვითარების სრულად დასახატად და წარმოსადგენად. ეს ხერხი (მწირი რემარკები) თურმე ახლა მკვიდრდება დრამატურგიაში. მშვენიერ შესავალ წერილში ირაკლი სამსონაძე რამდენჯერმე დანანებით აღნიშნავს: მაშინ, როცა ეს ნაწარმოებები იწერებოდა, ახალგაზრდები თეატრს კარგად არ ვიცნობდით, მას უფრო პარტერიდან აღვიქვამდით და ამიტომ ბევრი რამ (დრამატურგიული ხერხი) არ ვიცოდითო. უნდა ვთქვა, რომ ალბათ, იმიტომ, რომ მეც პარტერიდან ვიცნობ თეატრს (ან იქნებ ობიექტურა-

დაც) რაიმეს არცოდნა ამ პიესებში არ შემიმჩნევია. პირიქითაც, მეჩვენება, რომ უაღრესად დახვეწილი, კომპოზიციურად შეკრული სასცენო ნაწარმოებებია და მათი დადგმაც სავსებით შესაძლებელი (და საჭიროც) მგონია.

ერთ-ერთ მოქმედ პირად ორივე პიესაში წვიმა შემოდის და სიმბოლურ-მეტაფორულ დატვირთვას იძენს. ერთი მხრივ, იცი, რამდენი ლექსი დაუწერიათ წვიმაზე?... წვიმაში არავის ვერჩი... — მეოცნებე-რომანტიკოსთათვის. მეორე მხრივ, — ცოდვაა კაცი ამ წვიმაში, სანაპირო ცარიელია, წვიმა ჩამოვა და ავეჯს გააფუჭებს, — პრაგმატიკოსთათვის.

გარეთ კი წვიმს და ხეს წყალი გულამდე ჩასდის. ხის კი არა, ადამიანთა გულებიც დახურულია ერთმანეთისთვის, ხის ვერდანახვა, ვერშემჩნევა რა ბედენაა.

ქართულის მასწავლებელი, ფილოლოგი ბონდო, რომელსაც ცხოვრებაზე გული გატეხია, ახალგაზრდული ოცნებები ჩაფერფლია, მასწავლებლობა მიუტოვებია და სხვა რა უნდა ქნა მოწყენილ ქალაქში? — სვამს. ლოთია. არადა, მიზეზი ასეთი გარდაქმნისა „საპატიოა“ — ოცი წელია მის არცერთ მოსწავლეს ფილოლოგიურზე არ ჩაუბარებია. ვერც ლექსი შეაყვარა ვერავის, ვერც მოთხრობა, ვერც სამშობლო, ვერც სული გაუკეთილშობილა და უანგარობა ვერ მოაწონა. სპორტსმენები არიან მისი ყოფილი მოსწავლეები, უცხოური მანქანებით, ფულით, საზღვარგარეთ მოგზაურობით გალაღებულნი. ვისაც ამ სიამეთათვის ვერ მიუღწევია, მას ნატრობენ და ცხოვრების მიზნადაც მხოლოდ ამქვეყნიური (წვრილმან-მსხვილმანი) წარმატებანი დაუსახავთ.

ვის რაში სჭირდება შენი განათლება, კინო მირჩევნია, სეირნობა მირჩევნია, — თამამად ამბობს განათლებული მშობლების, ინტელიგენტების შვილი ინგა. ახალგაზრდას კი ხშირად ვერ უგებენ მშობლები და მოდაზე თმამოშვებული ბიჭი გოგოს დედას შეიძლება პაპუასად მოეჩვენოს. ეს უმტკივნეულო გაუგებრობა იქნებოდა და ღიმილისმომგვრელიც, მაგრამ შემაწუხებელია იმ ახალგაზრდის ფუყე სულის, მეშჩანური აზროვნების გაცნობა.

იტალიურ გემზე ასვლა და იქ „იუბკის“ ყიდვა, მგონი, უმაღლესი მიზანია და არამარტო ახალგაზრდებისა. რომ იცოდეთ,

რა ზუსტად, ნატურალისტურადაა დახატული ის ყოფა, ის გარემო, როცა უცხოური გემი (და საერთოდ, უცხოეთი) რაღაც არნახული საოცრება გახლდათ ჩვენთვის, როცა პორტში უცხოური გემის შემოსვლა მთელ ქალაქს აფორიაქებდა, ყველას ოცნებად გადაქცეოდა გემზე მოხვედრა, ვინ ყიდვას ესწრაფოდა, ვინ — უცხოელის გაცნობას, ვინ — გემის დათვალიერებას... გემი იზიდავს არამარტო ქარაფშუტა და ზერელე ხალხს, არამედ ღრმად მოფიქრალ და სულიერ არისტოკრატებსაც. ერთი პერსონაჟი, ნუგზარი, ამბობს: ლამაზია... არც ვიფიქრებდი, თუ ასეთი ლამაზი იქნებოდა... თითქოს ცისკენ მიფრინავს... ჯერ გემზე არ ვყოფილვარ, მარტო შორიდან მინახავს...

და ბონდო, ბონდოც კი, რომლისთვისაც ყველაფერი საკუთარი უფრო ძვირფასია, ვიდრე საზღვარგარეთული, რომელმაც იცის გელათის, ბეთანიის, დავით აღმაშენებლის... სხვათა და სხვათა ფასი, აქვს ფესვის, საყრდენის შეგრძნება, ისიც ფიქრობს: ერთი მეც მინდა ავიდე. გავხედო, გამოვხედო, რა აგიჟებს ამ ხალხს, სულ უცხოეთი, უცხოეთი რომ აკერიათ პირზე. ეს სავსებით ბუნებრივი სურვილია და თავისუფალი ნების ერთერთი გამოვლენა. როგორი სიმბოლურია და ყველა ეპოქაში მართალი ბონდოს ნათქვამი: მე რასაც ვამბობ, ყველაფერი ძველია, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი იცვლება...

უცვლელობის, უძრაობის, არაფრის კეთების გამოხატულებაა ასფალტის დაგებაც — ჯერ აქეთ, მერე — იქით, ამასობაში აქეთა მხარე ფუჭდება და მერე ისევ აქეთ, მერე ის რომ გაფუჭდება — ისევ იქით და ასე დაუსრულებლად.

თითქმის ყველას დაუფლებია „მაინც არავის ვჭირდების" შეგრძნება, ბონდო საკუთარ თავს „მკვდრად" მოიხსენიებს. მოხუცი მარიაც კი სავსე, მოძრავ, მოქმედ ქალაქზე ოცნებობს და მარტოობა ტანჯავს. იმ უცხოურ გემს ჩამოყოლილ შუქს გათხოვებაზე მეოცნებე ივეტაც ამჩნევს, პატარა ქალაქში კი როგორ წვიმს, როგორ წვიმს, როგორ წვიმს...

ახალგაზრდებსაც დაუფლებიათ სკეპსისი. თქვენ გჯერათ რაიმესი? აი, თუნდაც ღმერთის, ან თუნდაც სიკეთის, ან უბრალოდ კაცის? — კითხულობს სტუდენტი ლაშა და ხვდები, რომ თვითონ არ სჯერა არაფრისა.

ბონდოსთვის თითქოს ცხოვრება დამთავრებულია, ყველაფერი სულერთია. რამხელა სევდა იგრძნობა მის სიტყვებში: დარაჯად წავალ, სამშობლოს სადარაჯოზე კი არა, — უბრალოდ, დარაჯად გავეფორმები. ამის შეფარული ირონიით მთქმელი, ალბათ ისურვებდა სამშობლოს სადარაჯოზე დგომას და სიკვდილს. ბონდოს აქვს შინაგანი სიმტკიცე და რწმენა. ცხოვრების ნირით ლოთს, ვერაფერი აიძულებს, კვლავ მასწავლებლობას დაუბრუნდეს. როდესაც ნახავს, როგორ მიჯაჭვიან მიწიერ ცხოვრებას მის მიერ გასაფრენად მომზადებული ბარტყები, როცა საკუთარ არარაობას შეიგრძნობს ყოფილ მოსწავლეთა მხოლოდ მატერიალურ, ნივთიერ მისწრაფებებში, მისთვის ცხოვრება ფასს კარგავს. ვერც ერთ-ერთი მოსწავლე გოგონას წერილი: გვჭირდებით, მოუთმენლად გელითო, — მიაბრუნებს სკოლისაკენ. თუმცა ამ წერილს გულის ჯიბით ატარებს თურმე მუდამ, გულს უთბობს იმის განცდა, რომ ვიღაცას ჭირდება. ეჭვი ეპარება, ნუთუ შეიძლება, რომ ეს მართლა ესე იყოს? ცხოვრების მიზანდაკარგული მაღალი სულის კაცი ლოთსა და მასხარას თამაშობს, უსაქმურსა და ვიგინდარას თამაშობს.

თუმცა მაინც აჩნევს კვალს სტუდენტი ბიჭის სულზე.

უსიყვარულო სამყაროში მას უყვარს ადამიანი, მას უყვარს სიცოცხლე, მას უყვარს მომავალი. მან იცის, რომ არსებობს სიცოცხლეზე უფრო საინტერესო რაღაცებიც. მზის ამოსვლის სანახავად ეპატიჟება ჩამოსულ ახალგაზრდას. ავტორი ისე აღწერს ზღვაზე მზის ჩასვლა-ამოსვლას, რა თქმა უნდა, თვითონ უნახავს და განუცდია: „ჯერ ოდნავ მოწითალო ზოლი რომ გადაეღებავს ძალიან ლურჯ წყალს. მერე თანდათან გაბაცდება, ალისფერი ხავერდივით კამკამებს..." უშუალოდ ნანახი რომა აქვს, იმიტომაც ავსებს ჰაერს მაგნოლიის სუნი...

მე რეჟისორებს ვერაფერს მივუთითებ, მაგრამ როცა ვკითხულობდი, მინდოდა, ძალიან მინდოდა ეს პატარა ქალაქი სცენაზე გაცოცხლებული მენახა.

სიკვდილზე დაფიქრებულა ყველა მოაზროვნე ადამიანი. ყველა შემოქმედს მეტ-ნაკლები სიმძაფრით აუსახავს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. მაგრამ როდესაც ადრე წასული კაცის

ფიქრებს კითხულობ, წინათგრძნობად გეჩვენება ესეც: „დაიხსომეთ: სიკვდილი არასდროს არ არის ადრე. სიკვდილმა იცის, როდის მოვიდეს... შეხედეთ, შეხედეთ ამ ნისლებში დაინთქმება ჩვენი სხეული, ამ ათასწლოვან ღამის ნისლებში ჩავიკარგებით, გესმის? რა ყრუდ და ფოთოლივით წყნარად თრთიან ვარსკვლავები, რა სიჩუმეა... ჩვენი კვალი კი სამარადისოდ წარიხოცება... მიუსაფარი ამ ცივ წყლებზე იხეტიალებს, ვარსკვლავების გულებს გააპობს... საით მივდივართ?!“

ომარმა შემთხვევით ლაშას ნაცვლად ბონდო დაჭრა. პიესა ისე მთავრდება, რომ არ ვიცით, გადარჩება თუ არა ბონდო. თვითონ კი სჯერა, რომ მალე მის გულში ანგელოზები დაისადგურებენ, და ჩვენ ვიცით, რომ თვითონაც მოიპოვებს სულის სიმშვიდეს და სხვებსაც გამოადგება მასწავლებლად და გზის მაჩვენებლად.

წინათგრძნობა ვახსენე და ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საყურადღებოა „ძველი როიალი“. ოღონდ აქ საკუთარი ტრაგიკული აღსასრულისა კი არა, ქვეყნის სავალალო მომავლის წინასწარი ჭვრეტაა.

რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და აქტუალური ირანის ჯარების ბრძოლები, თუ არა ინტუიცია და წინათგრძნობა მომავლისა. „ააფეთქეს... დაწვეს... ჩამოაგდეს... დახოცეს... დაჭრეს... გადაკეტეს... გაანადგურეს...“ — სამწუხაროდ, მალე ქართული რეალობა გახდა. არც ისეთი მატერიალური შეჭირვება იყო დამახასიათებელი და საყოველთაო 80-იანებში, როგორშიც პიესის მამა-შვილი იმყოფებიან. თუმცა სულ მალე, 90-იან წლებში მთელი ქვეყანა აღმოჩნდა ეკონომიკურ კრიზისში. მწერალს ალღო კარნახობდა, რომ აღამაჰმად-ხანისებურ აოხრებასაც ვიწვნევდით, დავით აღმაშენებელსაც მოვინატრებდით და ტანკებისა და ვერტმფრენების თვლაც ყოველდღიურ საქმიანობად გადაგვექცეოდა.

უქალოდ დარჩენილ ოჯახს, მამა-შვილს, ნიკოსა და ზაზას, ცხოვრების „შნო და მარიფათი“ არ აღმოაჩნდათ. საზოგადოებაში გავრცელებული და დამკვიდრებული შეხედულება, რომ „ხელოვანს ხელმოკლეობა უხდება“, მათ დუხჭირ ყოფას ვერ ამსუბუქებს, საჭმელს ვერ აჭმევს.

ადამიანები ერთმანეთისთვის უცხონი არიან. არ იციან, რა არის სიყვარული. ამ სიტყვას ძალიან მსუბუქად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან.

მწერალი მსუბუქი იუმორით აღწერს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახის ყოფას. სამზარეულოში ყველაფერი მაცივარზე დევს — ქოლგა, ჩაქუჩი, ჩაიდანი, საფერფლე...

ნიკო, რომელიც ძლიერ არის მიჯაჭვული წარსულთან, რომელიც მძაფრად შეიგრძნობს მიწის სურნელს, რომლისთვისაც გარდაცვლილი მეუღლის მოგონება წმიდათაწმიდაა, რომელსაც თავისი ახალგაზრდობისდროინდელი სახლი ცოცხალი არსებასავით ენატრება, ეს ნიკო იძულებულია, როიალი გაყიდოს — ძველი როიალი, რომელიც მარტო ნივთი კი არა, წარსულის ხსოვნაა, ისტორიაა...

ლოგიკურია, რომ როიალს მყიდველი არ გამოუჩნდა, ახალგაზრდები — ზაზა, ირაკლი, ხათუნა — არ ეთანხმებიან და არ იზიარებენ ამ გადაწყვეტილების სისწორეს. ავტორი გვეუბნება, რომ არსებობს ქვეყნად ხელშეუხებელი სიწმინდეები — ნივთები, იდეები, შეხედულებანი, მათი არც გაყიდვა შეიძლება, არც გადასინჯვა, ეჭვის შეტანა და მუშტრის თვალით სინჯვა, თორემ დაინგრევა სამყარო.

ცოტათი ცინიკოსი ახალგაზრდებიც, სრულიად ბუნებრივად, საკუთარ, მშობლიურ წარსულთან, ფესვებთან არიან მჭიდროდ დაკავშირებულნი. ვაჟები სიყვარულითა და სევდით იგონებენ დედას, ხათუნა ოცნებას რეალურად ასაღებს და მეგობრებს იმ ზღვისპირა სახლში ეპატიჟება, რომლის ფანჯრებიც არასოდეს იხურება. ყველა საყრდენს ეძებს, კიბე არ ჩანს, გზა არ ჩანს, ღმერთი არ ჩანს, — პერსონაჟის მიერ ხუმრობით ნათქვამი თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაზებია, სინამდვილეში კი არსებითად ერთი და იგივეა.

ფაქტობრივად ერთნაირია და საერთო მიზეზი აქვს ზაზასა და ირაკლის დარდსა და ნაღველს.

ზაზას სიტყვები: თუ გინდა თქვენს სახლს მოვხატავ, პატარა ეკლესიასავით. ღვთისმშობელსაც დავხატავ, მათესაც, მარკოზსაც, ლუკასაც, იოანესაც, მაცხოვარსაც დავხატავ, რომელი

დარჩა? ყინწვისის ანგელოზსაც, მაღლა, ფრთებგაშლილს, თავისუფალს... აი, ხომ გესმის მისი ნაღვლიანი ფრთების შხუილი... — სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ძიება, თავისუფლების, სულის სიწმინდისა და სიმაღლის ძიება.

ახლა ირაკლის მოვუსმინოთ: ... ბოლომდე ვერაფერი გავაკეთე. ხან რას მოვედებოდი და ხან რას... რა კარგია, რომ ვიღაცას უყვარხარ... ხან ვთარგმნიდი, ხან მთებში დავდიოდი, ხან მუსიკას ვწერდი... არაფერი გამომდიოდა... რომ არ ვსვამდე, დედამიწას გადავაბრუნებ-მეთქი. ვიცი, რომ თავს ვიტყუებ, — ესეც წრფელი და ნიჭიერი ადამიანის ნაღველია, ძალა რომ მოზღვავებია და იმავე დროს უხილავი და საბედისწერო არყოფნა გასჯდომია სხეულში.

ჩვეულებრივ, ნაწარმოებში ავტორის ალტერ ეგო რომელიმე ერთი პერსონაჟია ხოლმე, აქ მეჩვენება, რომ ავტორი განფენილია ოთხივე პერსონაჟში. ოთხივეს აწუხებს, რომ ერთმანეთისთვის უცხონი არიან, ოთხივე გრძნობს, რომ ერთმანეთს მხარში უნდა ამოუდგნენ, რომ სიცარიელეში ცხოვრობენ, ეშინიათ სიკვდილისა და აწვალებთ სიკვდილის წინათგრძნობა, იციან, რომ ბედნიერება ყოველდღიურ წვრილმანებშია, ყველა ოცნებობს სიყვარულზე, ფრთებსა და თავისუფლებაზე. და სინამდვილეში ოთხივეს უყვარს ერთმანეთი... წინაპრებიც, სამშობლოც.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ყოვლისმომცველი სიყვარულის აპოთეოზით მთავრდება პიესა და, არ მგონია, თანამედროვე მკითხველსა თუ მაყურებელს ის მოძველებულად მოეჩვენოს. რამდენიმე პასაჟი კი ისეთ ცინცხალს ხდის თხრობას, რომ ლამის ვერ ვიჯერებ, ეს თუ აფხაზეთის ომამდე დაიწერა. როგორ, რამ აიძულა მწერალი, ასეთი რამეები ეთქვა —

ხათუნა:

„ჩვენს სახლს კი არავინ მოუვლის, წვიმასა და თოვლში ჩალპება, ყვითელი ფოთლები გადაფარავს“.

„დიდი და ფართო ფანჯრებიდან მართლაც მინახავს წყნარი და თავისუფალი ზღვა“.

ნიკო:

„ნეტა ვინ ცხოვრობს ეხლა ჩემს სახლში... წითელი კრამიტით გადავხურე, მზესავით წითელი კრამიტით“.

ხათუნა:

„მე კი ჩვენს სახლზე ვფიქრობ. ძალიან მომენატრა. ქაფურის ხეც მომენატრა. გაყვითლებული მზის ჩასვლაც, როცა წყალი წითლად იღებება“...

მგონი, საკმარისია.

— მომავალი არსებობს? — კითხულობენ მოქმედი პირები და სკეპტიკურად უყურებენ მომავალს, მაგრამ ამ პიესების (და თამაზ ბაძაღუას ლექსებისა და თარგმანების) მკითხველი უთუოდ დაიბეჯითებს, რომ ყოველგვარი ბედისწერის მიუხედავად, მომავალიც არსებობს, მარადისობაც და უკვდავებაც.

კრიტიკის გზასავალი

(ჯონ ქროუ რენსომის რჩევები)

ამერიკელი კრიტიკოსის ჯონ ქროუ რენსომის გასულ საუკუნეში დაწერილი ესეი „კრიტიკის წარმოება“ ძალიან თანამედროვედ აღიქმება. მაგალითები რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან არ იყოს მოყვანილი, კაცს შეიძლება ჩვენი დროის ქართველის დაწერილიც ეგონოს. ესეი პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა თარგმნეს („ჩვენი მწერლობა“, 2014,18 აპრილი). მთარგმნელებმა ყოველთვის ზუსტად იციან, რა შესთავაზონ უცხოური ლიტერატურიდან ქართველ მკითხველს და, ვფიქრობ, არც ამჯერად შემცდარან არჩევანში. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ზუსტად, უმეტნაკლებოდ, შეუცვლელად გადმოაქვთ დედანი — ეს მათი სტილი თუ მთარგმნელობითი პრინციპია. ქართული სალიტერატურო ცხოვრებისთვის (კერძოდ, კრიტიკული აზრის განვითარებისათვის) დამახასიათებელი პასაჟები, ესეის საერთო განწყობილება და კრიტიკოსის მთავარი მოთხოვნა — არამცდაარამც არაა მთარგმნელთა მიერ „გაქართულებული“, რაიმეს დამატება-გადაკეთებით ჩვენი ყოფისთვის მისადაგებული. რა თქმა უნდა, ეს ზუსტად რენსომის, მე-20 საუკუნის ამერიკელი პროფესორის ნააზრევია, რომელიც ასე გვჭირდება, გვემშობლიურება და, მჯერა, ჩვენც, ოკეანის გამოღმა მცხოვრებთაც გამოგვადგება.

რა არის კრიტიკა? რა ევალება კრიტიკოსს? როგორი უნდა იყოს კრიტიკული წერილი? — ეს და სხვა ზოგადი თუ კონკრეტული საკითხები დიდი ხანია ხელოვანთა წინაშე დაისვა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს (კლასიციზმიდან დაწყებული შემდგომი ლიტერატურული მიმდინარეობის გაჩენასთან ერთად) ერთმანეთისაგან განსხვავებული (ხან

რადიკალურად დაპირისპირებული, ხან მეტ-ნაკლებად მსგავსი) შეხედულებანი გაჩნდა.

იმ შორეულ საუკუნეებშიც აკი არ ჩამოვრჩებოდით ევროპას და კრიტიკული აზრი ჩვენშიც ვითარდებოდა, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან კი კრიტიკა ლიტერატურის შემადგენელ ნაწილად იქცა... მაშინაც წუხდნენ: „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?"(ილია), დღესაც ხშირად გაიგონებთ: კრიტიკა უღვთოდ ჩამორჩა ლიტერატურას, კრიტიკული აზრი არ ისმისო.

ეს სიტყვა (კრიტიკა) პირველად დავით ბატონიშვილმა გამოიყენა ქართულად 1815 წელს, თუმცა თვითონ სალიტერატურო კრიტიკა გაცილებით უფრო ადრე მკვიდრდებოდა ჩვენში.

საკამათო არაა, რომ „კრიტიკა არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად... რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის" (ილია).

და მაინც, „უცნაურია, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს ჩვენთვის, ზუსტად რა უნდა იყოს კრიტიკის საქმე" — არც ჩვენში, არც ევროპაში, არც ამერიკაში. სწორედ ზემომოხმობილი სიტყვებით იწყება რენსომის ესეი და უნდა ვაღიაროთ, ზუსტად შერჩეული ფრაზაა. სათაურთან ერთად პირველივე წინადადება მკითხველის გონებას იპყრობს და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (აქ არის ინტრიგაო, იტყვიან ახლა). თან ვეთანხმებით ავტორს, თან კიდეც ვეწინააღმდეგებით – ამ ისედაც წარმოებითა და მრეწველობით წალეკილ ხანაში კრიტიკის წარმოებაღა (მასობრიობა, სტანდარტიზაცია...) გვაკლდა, თანაც, როგორ თუ არ ვიცით, რა არის კრიტიკის საქმე... ეს კია, რომ წერილი თავიდანვე იპყრობს ჩვენს გულისყურს და ბოლომდე გაფაციცებით მივყვებით ავტორის მსჯელობას.

იცის ამერიკელმა სწავლულმა, რომ კრიტიკოსები არსებობენ და, მათ შორის, საუკეთესონიც. ოღონდ რადგან სპეციალური სწავლება ამ დარგში არავის გაუვლია, ამიტომ ყველა მოყვარულია და არა — პროფესიონალი.

ვისა აქვს ის კომპეტენცია, რაც კრიტიკოსს ესაჭიროება? — ასე სვამს საკითხს ჯონ ქროუ რენსომი და თვითონვე პასუხობს, რომ ეს შეიძლება იყოს ხელოვანი, ფილოსოფოსი ან ლიტერა-

ტურის პროფესორი უნივერსიტეტისა. აქვე სავსებით დასაბუთებულად ამტკიცებს, რომ კრიტიკა პროფესორების საქმეა. ვარაუდს კი არ გამოთქვამს, სურვილს კი არ გვიმხელს, ოცნებას კი არ გვიხატავს, არამედ პირდაპირ ავალებს ლიტერატურაში განსწავლულ ადამიანებს (ლიტერატურის პროფესორებს, რომელთა დიდი ნაწილიც გაურბის კრიტიკას), შექმნან, აწარმოონ კრიტიკა. „კრიტიკა უფრო მეცნიერული უნდა გახდეს, უფრო ზუსტიც და სისტემატურიც, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა განვითარდეს გუნდურად და განსწავლულ პიროვნებათა შემწეობით", — ვკითხულობთ ესეიში.

იცის რენსომმა, რომ ამ აზრს, ამ იდეას, ამ დავალებას უპირველესად სწორედ უნივერსიტეტებში გამოუჩნდებიან ოპონენტები და უარმყოფლები, მაგრამ იმის იმედიც აქვს (დარწმუნებულიცაა), რომ თანამდგომებსა და თანამოაზრეებსაც იმავე წრეში გაიჩენს.

ცალკეულ შესანიშნავ კრიტიკულ გამოხმაურებებს რა დალევს, თუმცა კრიტიკის არსებობისა და განვითარებისათვის ეს საკმარისი ვერ იქნება, ამინდს ვერ შექმნის. კვლავ რენსომს მოვუსმინოთ: „იმის ნაცვლად, რომ ხანდახან მოყვარულები შეეჭიდონ, ვფიქრობ, ინიციატივა ხელთ უნდა იგდონ პროფესიონალებმა. ეგებ უგემოვნო სახელი შევურჩიე, მაგრამ მაქვს იდეა, რომ გვჭირდება კრიტიკის წარმოება".

ხუთ ნაწილად დაყოფილი ამ წერილის მეორე ნაწილში ავტორი გვიხატავს, რა მდგომარეობაა უნივერსიტეტებში ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით. ჩვენც ხომ არ გვეცნობა პროფესორ კრეინის სტატიაში დასმული პრობლემა (რომელსაც რენსომი გვაცნობს): „ისტორიის სწავლება გადაჭარბებულია ინგლისური ლიტერატურის სწავლებისას... დროა, ყურადღება გადავიტანოთ კრიტიკის სწავლებაზე".

ჯონ ქროუ რენსომი სავსებით ნათლად და გასაგებად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას: „მომავალში სტუდენტებს უფლება უნდა მიეცეთ ისწავლონ ლიტერატურა და არა ლიტერატურის შესახებ".

წარმომიდგენია, როგორ აღშფოთდებოდნენ ინგლისური ლიტერატურის დეპარტამენტის წევრები ამის წაკითხვისას, იქნებ

ქართული ლიტერატურის დეპარტამენტის წევრებსაც ემცხეთოს მსგავსი აზრი?

უნდა ვაღიარო, მეც, რომელიც სავსებით ვეთანხმები ამერიკელ ავტორს, დღეს, როგორც პედაგოგი, ასე ერთბაშად და მოწყვეტით ხელს ვერ ავიღებ ლიტერატურის ისტორიის სწავლებაზე. რასაც ახლა ვასწავლით, ისიც ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ მიმაჩნია ახალგაზრდებისათვის, მაგრამ, მართლაც, ვინ ასწავლოს კრიტიკა (ნაწარმოების კრიტიკულ-ესთეტიკური შეფასება)? და თუ მაინც ფილოლოგთაგან ზოგი მაინც გამოვა კრიტიკოსი და თანაც კარგი, „უნივერსიტეტებს, სადაც ისინი სწავლობდნენ, ძნელად თუ ექნებათ უფლება, წილი დაიდონ მათ სახელ-დიდებაში“.

ლიტერატურის სწავლების თანამედროვე პროცესს ავტორი მუზეუმის დათვალიერებას ადარებს, სადაც პროფესორები კურატორთა როლს ასრულებენ. ისინი მზრუნველობენ მუზეუმში თავმოყრილ შედევრებს. გადადიან ერთი ნაწარმოებიდან მეორისკენ და სათანადო პატივს მიაგებენ მათ. მადლიერებას გამოთქვამენ იმათ მიმართ, ვინც ჩარჩოებში ჩასვეს შედევრები, ჩამოკიდეს შესაბამისი სკოლებისა და ქრონოლოგიის მიხედვით და მოამზადეს საინფორმაციო ბუკლეტები...

ეს პასაჟი არ არის მოკლებული მსუბუქ იუმორს. რა თქმა უნდა, იცის ამერიკელმა პროფესორმა, რომ ისტორია, ისევე როგორც ლინგვისტიკა, აუცილებელია (დამხმარე საშუალებაა) ლიტერატურის შესასწავლად და ისიც კარგად მოეხსენება, რომ ისტორიის გარეშე შეუძლებელია, ვთქვათ, ისეთი შემოქმედის გაგება, როგორიც ჯეფრი ჩოსერია. ცხადია, ლიტერატურის ისტორიკოსთა მიერ გაწეული შრომა ფრიად შთამბეჭდავი და საჭიროა, ოღონდ — არა საკმარისი.

ლიტერატურის პროფესორთა ერთი ნაწილი თურმე მთლიანად სტუდენტებს გადააბარებს თავის საქმეს — ნაწარმოები თქვენ შეაფასეთო, სხვა — ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ციტატა ასწავლოს (დააზეპირებინოს) შედევრებიდან, მაგრამ შეთქმულივით ყველა ერიდება ხელოვნების ნაწარმოების საჯარო განხილვას. არამცდაარამც არ ნიშნავს შესწავლას, თუ მშვენი-

ერებისაგან მარადიული სიხარულს მივიღებთ და მის წინაშე ენას ჩავიგდებთ. საჭიროა სისტემატური, მეცნიერული საჯარო განხილვები და ეს იქნება სწორედ კრიტიკაო, — გვარწმუნებს ავტორი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ექვსი პუნქტი, რომელთაც აყალიბებს ამერიკელი პროფესორი იმის სათქმელად, თუ რა არ არის კრიტიკა, და კიდევ უფრო საყურადღებო კი ესეის ბოლო ნაწილია, რომელშიც რენსომი ცდილობს, განმარტოს კრიტიკოსის დანიშნულება და დაასაბუთოს სისტემური კრიტიკის აუცილებლობა.

კრიტიკას არ უნდა დარჩეს შეუფასებელი არცერთი ნაწარმოები. სწორედ ამისთვისაა საჭირო კრიტიკოსთა სკოლა და კრიტიკის წარმოება. კარგად (თუმცა არა მარტივად) არის ახსნილი, როგორ, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ლექსი; რისი აღმოჩენა და რაზე მსჯელობა ევალება კრიტიკოსს. კრიტიკისაგან სიღრმესა და სირთულეს მოითხოვს ავტორი. გაცნობიერებული აქვს, რომ „მთელი დახვეწილობის მიუხედავად, ეს მაინც უხეში და ჭუჭყიანი საქმეა ლექსის ცოცხალ სიწრფელესთან შედარებით. და მაინც, უამისოდ ძნელად თუ გავერკვევით პოეზიის ღირებულებასა და დასრულებული ლექსის ბუნებრივ ისტორიაში“.

დაბოლოს, ისევ სტატიის დასაწყისს რომ დავუბრუნდეთ, ვინ შეიძლება იყოს კარგი კრიტიკოსი? ვინ უნდა იკისროს კრიტიკოსის ვალდებულება? ინგლისური ლიტერატურის პროფესორებმაო, — გვარწმუნებს ჯონ ქროუ რენსომი. თქვენ რას იტყვით, ქართული ლიტერატურის პროფესორებო?

მომავალი მკითხველისათვის შექმნილი

(ნონა კუპრეიშვილის კრიტიკულ-ესთეტიკური ძიებანი)

ბევრი სასიკეთო წამოწყების თაოსანმა, გამომცემლობა „საუნჯემ“ ახლახან დაბეჭდა ნონა კუპრეიშვილის ლიტერატურული წერილებისა და ნარკვევების კრებული „სიტყვის დეგუსტაცია“ და ამით კიდევ ერთხელ გაახარა ნამდვილი მკითხველი. წიგნში შესულია კრიტიკული წერილები, ესეები, ჩანაწერები. რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, რომლის კეთილი ხელი ამ გამოცემასაც დაჩნევია.

ნონა კუპრეიშვილი მრავალმხრივი ინტერესების მქონე მკვლევარია, რასაც ეს წიგნიც ნათლად ადასტურებს. ავტორი დაინტერესებულია როგორც კლასიკით, ასევე თანამედროვე ლიტერატურული პროცესებით და პროფესიული ცოდნით აფასებს მათ. ქალბატონი ნონა შესანიშნავად ერკვევა მუსიკაში, მხატვრობაში, კინოხელოვნებაში (და არამარტო), რაც ძალდაუტანებლად აისახება მის ნაწერებშიც.

ღრმა და ყოველმხრივი წვდომა და ანალიზი მოვლენებისა, რასაკვირველია, დაფუძნებულია მკვლევარის დიდ ინტელექტსა და შინაგან, მწერლურ ალღოსა და ნიჭზე. რაკი დღეს საკამათოდ აღარავის მიაჩნია, რომ კრიტიკაც ლიტერატურის დარგია, მაშ კრიტიკულ სტატიაშიც მარტო ის კი არ არის საძიებელი, რას ამბობს ავტორი, არამედ — როგორ ამბობს, როგორ სიტყვიერ ყალიბში მოაქცევს სათქმელს... ამ მხრივ ნონა კუპრეიშვილი ერთი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, რომლის ნაწერები ესთეტიკურ ტკბობასაც ანიჭებს მკითხველს.

წიგნის საერთო სახელწოდებად ერთ-ერთი წერილის სათაური შეურჩევია ავტორს — „სიტყვის დეგუსტაცია“, რითიც მისი მაღალი ლიტერატურული გემოვნება გამჟღავნდა, ხოლო თვითონ ამ კრებულით, შეიძლება ითქვას, სიტყვით თრობა შემოგვთავაზა. მეცნიერის მოზომილი, დახვეწილი, ნათელი სტილი გულგრილს არავის დატოვებს. აღსანიშნავია, რომ იგი ყოველთვის პატივისცემას გამოხატავს იმ ავტორისადმი, რომლის შესახებაც წერს — მაშინაც კი, როცა ბოლომდე არ ეთანხმება ვინმეს, ან, ვთქვათ, აღფრთოვანებული არ არის მწერლის შემოქმედებით... შესაშური ტაქტი და კეთილგანწყობა ქალბატონი ნონას, როგორც კრიტიკოსის, მახასიათებლებია.

ამ წიგნში შესული ყველა წერილი საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ეს არ არის მექანიკური თავმოყრა ადრე დაწერილისა, არამედ კარგადაა გააზრებული, მოფიქრებული და ერთიან სისტემაში მოქცეული. მინდოდა რამდენიმე გამომერჩია, როგორც საუკეთესო, სანიმუშო. ვთქვათ, შოთა ჩანტლაძის, ნაირა გელაშვილის, ილია ზდანევიჩის, როსტომ ჩხეიძის, მარიამ წიკლაურის, სტეფანე კასრაძის, არლი თაყაიშვილისა და სხვათა შესახებ დაწერილი სტატიები, მაგრამ მივხვდი, ასე ყველა სათაურის გადმოწერა მომიწევდა და გავჩერდი. ნონა კუპრეიშვილი უსამართლოდ მივიწყებულ მწერალთა და მოღვაწეთა ქომაგიცაა, იმათი წამქეზებელ-შემგულიანებელიც, ვინც ეს-ესაა პირველ ნაბიჯებს დგამს მწერლობაში, და ძველი და საყვარელი ავტორების ახლებურად, ორიგინალურად წამკითხველიც. აქ ჩამოთვლილთაგან, დამეთანხმებით, არც ერთი საქმე უმნიშვნელო და ადვილი არ გახლავთ.

სრულიად გაცნობიერებულად, ნონა კუპრეიშვილის შემოქმედებაში (და კერძოდ, ამ წიგნშიც) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოხუმისა და სოხუმელების თემას. ეს, რა თქმა უნდა, იმითაცაა გამოწვეული, რომ სოხუმი ამ მშვენიერი ქალბატონის მშობლიური ქალაქია, მაგრამ, ვფიქრობ, არა მხოლოდ ამით.

მაგალითად, წერილში „ანტიპოდი“ დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს სოხუმელ მეზობელს, ებრაელ ეფიმ გელბახს, წერილი „რეპორტაჟი კუნძულ სოხუმიდან“ ეძღვნება სოხუმე-

ლი ვაჟკაცის, ვლადიმერ კილასონიას ხსოვნას; ცალკე, შესანიშნავი წერილით გამოეხმაურა „ქართულ-აფხაზური ალბომის“ გამოცემას („სიყვარული გზავნილი — უადრესატო?!“). გენო კალანდიას, გურამ ოდიშარიას, გელა ჩქვანავას... წიგნების განხილვა სოხუმის (აფხაზეთის) მზითა და სითბოთი, სიცოცხლის სიყვარულითაა გაჯერებული... და არსად არცერთი სიტყვა არაა ნათქვამი ნაძალადევად, მოვალეობის მოსახდელად. ყველგან, ყველა შემთხვევაში კრიტიკოსს გამოკვეთილი აქვს საკუთარი პოზიცია, იქნებ ზოგჯერ ვინმესთვის მიუღებელიც, მაგრამ ყოველთვის გამყარებული ლოგიკური არგუმენტებით.

მოულოდნელად ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ე. წ. „წერილობები“ (არის ასეთი თავი წიგნში). ეს ყოველდღიური ჩანაწერებია, რომლებშიც თვით ავტორს ამოიკითხავთ. აქ ხან ისეთი თვისებები, ინტერესები, შეფასება-დამოკიდებულებები ჩანს, როგორსაც სხვაგან, საგანგებოდ გამოსაქვეყნებლად დაწერილ წერილში ვერ წააწყდებით. აქ ადამიანი მთლიანად გახსნილია, ღიაა, არ კეკლუცობს. როცა ავტორი ადამიანთა თვალთმაქცობაზე საუბრობს, სრულიად უბრალოდ, გულწრფელად და არა ეპატაჟისთვის დაასკვნის: გამონაკლისი არც მე ვარო.

ზოგი რამ მხოლოდ მინიშნებებითაა ნათქვამი. თუ გაიგებ, საიდუმლოს ამოხსნის სიხარული და სიამაყე დაგეუფლება, თუ ვერა, საიდუმლო მაინც თავის ხიბლს ინარჩუნებს.

ნონა კუპრეიშვილის სტილისთვის სრულიად უცხოა სენტიმენტალობა, იგი ძალზე, ღირსეულად, აკადემიურად გვიმჟღავნებს უმძაფრეს ტკივილსაც კი — ვიდრე საკუთარ, დაკარგულ ქალაქს ახსენებდეს, დანტეს და ბროდსკის გაიხსენებს თავიანთი „დაკარგული“ ქალაქებით, რომლებშიც განსხვავებულ მიზეზთა გამო ვერ ბრუნდებოდნენ. „ჩანაწერებში“ მსგავსი ლირიზმი არაერთხელ გაიელვებს მთელი თავისი მომხიბლაობით.

და საერთოდაც, რომელი ქვეყნისა თუ რომელი ეროვნების მწერლის შესახებაც უნდა წერდეს კრიტიკოსი, თვალწინ მუდამ საკუთარი სამშობლო და მისი ბედი უდგას. ერთგან ამბობს: „ტექსტმა მიმახვედრა, როგორ ცხოვრობს და რას განიცდის

ის". თვითონ ქალბატონ ნონას ტექსტებსაც ასეთი გულით მკითხველი სჭირდება, რომ ამ დიდ წიგნში ის პატარა წარწერაც არ დარჩეს შეუმჩნეველი, პირველივე გვერდზე რომ გვხვდება: „ვუძღვნი შვილიშვილს, სალომე წულაიას". ეს მომავალი საქართველოსთვის, მომავალი მკითხველისთვის შექმნილი წიგნია, რათა არ აირიოს ორიენტირები, დროთა კავშირი არ გაწყდეს.

„სიტყვის დეგუსტაცია" ღონიერი წიგნია, ისეთი, ადამიანს სამყაროს მრავალ ასპექტში რომ დაანახებს და საკუთარ თავსაც შეაცნობინებს.

* * *

წლების წინათ ქალბატონი ნონასთვის სოხუმელ პოეტს, ჯანო ჯანელიძეს საყვედურით უთქვამს, სადა ხარ, რატომ არ ჩანხარო. მე ამ საყვედურს ვერ ვკადრებ იმიტომ, რომ ჩემთვის ჩანს და კარგადაც, მაგრამ მინდა, რომ უფრო მეტი ადამიანისთვის „ჩანდეს", რადგან ნონა კუპრეიშვილის შემოქმედება ამას იმსახურებს.

ალდი — დაბადება სიკვდილისათვის

(გიორგი არაბულის პოემა-გვრინი)

სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,
ერთხელ შენ თვითონ რად არ მოკვდი,
თოვლივით მზეზე რად არ დასდნი?

„ჩვენი მწერლობის“ ამა წლის 4 აპრილის ნომერში ახალგაზრდა პოეტის, გიორგი არაბულის პოემა დაიბეჭდა. თუმცა მოცულობით ნაწარმოები ვრცელი არ არის, მას პროლოგიც აქვს, ეპილოგიც, თავებიც და ქვეთავებიც. თემა პოემისა ერთია – სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული დაპირისპირება და ერთიანობა. პოემა-გვრინი უწოდებია ავტორს ნაწარმოებისთვის. „გვრინი“, სულხან-საბას განმარტებით, სამგლოვიარო ხმაა, ხევსურულში თურმე შრომის სიმღერას, მთიბლურს ნიშნავს. ამ ახსნას ადასტურებს „განმარტებითი ლექსიკონიც“. სიკვდილიც ხომ მთიბველია.

ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს,
რასა სცელავს?

ხალხის მსოფლმხედველობას (და შესაბამისად, ენასაც) ერთ სიტყვაში მოუქცევია სიკვდილისა და თიბვის ცნებები.

სიკვდილო, კარგი მთიბველი ხარ,
ზამთარ-ზაფხულ და დღე და ღამ
სიცოცხლეს თიბავ რჩეულთასა...

ასე, ერთ სიტყვაში, გვრინში, მოისმის სიცოცხლისა და სიკვდილის ხმები ერთდროულად, ამ სიტყვაშია შენივთებული ურთიერთსაპირისპირო გრძნობები, როგორც განუყოფელი ოქსიმორონი.

სხვათა შორის, სწორედ ცელია სიკვდილის სიმბოლო ამერიკელი მწერლის, რეი ბრედბერის მოთხრობაში „ცელი" (ქართულად თარგმნა ასმათ ლეკიაშვილმა). ცელზე წარწერაა: „ჩემი მფლობელი — ქვეყნის მეუფეა". სიკვდილის ცელი შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ დრიუ ერიქსონს, მანამდე ამ იარაღს სხვა პატრონი ჰყავდა.. თუმცა შემთხვევითობა მეტისმეტად პირობითია. აქ უფრო კანონზომიერებად ითქმის. რადგან ჯონ ბურმა (ცელის უწინდელმა მფლობელმა) საკუთარი სიცოცხლის თავთავი მოჭრა და კიდეც მოკვდა, ცელს აუცილებლად უნდა დაეუფლოს ვინმე სხვა. სხვანაირად დედამიწაზე სიცოცხლე შეუძლებელია. დაირღვევა ჰარმონია. ეს „სხვა" ამჯერად დრიუ აღმოჩნდა. უკვირს დრიუს ყანის სიდიდე, თავთავების განლაგება, მოცელილი თავთავის დალპობა ნახევარ საათში... ამასთან, იმასაც ამჩნევს მთიბველი, რომ ძველის სანაცვლოდ სადღაც აუცილებლად ჩნდება და იზრდება ნორჩი, ახალი ჯეჯილი. დრიუ თითქოს საკუთარი სურვილით კი არა, ვიღაც უჩინარისა და ძლიერის ბრძანებითა და ნებით მკის ყოველდღე — დილიდან დაღამებამდე — ყანას, რომელიც მაშინვე ლპება და რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება (ოჯახის გამოკვება) არ გააჩნია.

დრიუ თანდათან ხვდება, რომ ცელის თითო მოქნევაზე ათასობით ადამიანი კვდება, რომ ეს სიკვდილის ცელია. მან იმის გარჩევაც კი შეძლო, რომელი თავთავი ვისი სიცოცხლეა. ამიტომ არ მოჭრა ცოლ-შვილის სიცოცხლე, თუმცა უნებურად მოცელა სამი მეგობარი, დედა... საშინელი ხანძრის შედეგად ამობუგვას სასწაულებრივად გადაურჩა დრიუს ცოლ-შვილი, მაგრამ ისე, რომ აღარც ცოცხლებში ეწერნენ და აღარც მკვდრებში. სუნთქავდნენ, მაგრამ ამქვეყნისა აღარაფერი ესმოდათ. აი, ცელის ძალა, — ფიქრობს შეშინებული დრიუ.. კაცს აღარ უნდა ასეთი ყანის მკა, უარს ამბობს მუშაობაზე, თუმცა სულ ორიოდე დღით.

ცელი თვითონ არ ეშვება, არაამქვეყნიური ძალა აიძულებს დრიუს, შეუსვენებლად, გიჟურად იმუშაოს. ეს მისი მოვალეობაა, სიცოცხლეც ესაა. არც ამ ყანის არსებობა და არც მკის მიზანი არავინ იცის ამქვეყნად ცელის პატრონის გარდა. ერთის სიკვდილის შემდეგ მას სხვა ეუფლება და ასე უსასრულოდ. იცელება, ისპობა ადამიანთა სიცოცხლე და იქვე ჩნდება, იბადება ახალი ყლორტები, რათა მერე ისინიც მოიცელოს...

გალაკტიონის ფანტასმაგორიებში „მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი...“, „ცელი კივის“ და შემოდგომის მოახლოებას გვამცნობს. ცელი კივის ბრედბერის მოთხრობაშიც, თანაც ისე, რომ იცავს უზენაეს წესრიგსა და კანონზომიერებას.

აქ კი, გიორგი არაბულის პოემაში „არაგვივით მღვრიე და მითივით ბუნდოვანია“ სიკვდილშეყრილი ალდის სიზმრები. სწორედ ეს სიზმრები უნდა ვჩხრიკოთ, ესე იგი მთელ ლექსს მივადევნოთ თვალი და გულისყური, რადგან მთლიანად ნაწარმოებია ალდის სიზმარი (და არამარტო ძილში მოლანდებული).

ნებისმიერი ავადმყოფობის შეყრა შეიძლება, მაგრამ სიკვდილის? თურმე — მისიც. როგორღაც, დიდი ხანია, ქართველი კაცი გაშინაურებია სიკვდილს. რომ ვერსად წაუვა, ხომ იცის და იცის. „ის ჩვენსკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერსად ავუქცევთ გზათაო“. თითქოს დაბადებითვე შესისხლხორცებული გვაქვს ესეც: „სცდების და სცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად...“ საუკუნეთა სიღრმეში შექმნილი ზღაპრებიც ერთხმად გვიდასტურებს, ცხრა მთას იქითაც რომ გადაიკარგო, სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქსა თუ სოფელში გაიქცე, მაინც ვერსად წაუხვალ, ვერ დაემალები — იქ შეგხვდება, იქ გიყელებს, სწორედ იქ, სადაც არ ელი, სადაც გაექეცი...

ალდის დავუბრუნდეთ, სიკვდილშეყრილ ალდის.

„რწმენაბერწი“ აღდგომის გათენებისას მარტო ზის ფეხონში და ყალიონს აბოლებს სოფლის ერთადერთი მკვიდრი. აღდგომაც ხომ მიგვანიშნებს ღვთის სიახლოვეზე, სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაზე. კიდევ უფრო ძლიერდება ეს განცდა, როცა თამბაქოს ბოლის ცაში ასვლას ლოცვას ადარებს პოეტი. თითქოს უბრალო თამბაქო კი არა, რაღაც უფრო მეტია,

საკმეველია, სანთელია, უსისხლო მსხვერპლია, კაცთა მიერ ცად შეწირული (ბარათაშვილის ყვავილები გამახსენდა, „ვით გუნდრუკსა სამადლობელსა“, ცისკენ რომ აღკმევენ სურნელებას). შემწირველი კი უთუოდ კაცთა შორის რჩეული უნდა იყოს — ან აზრ-გონებით, ან გრძნობით, ან ფიზიკური ძალ-ღონით, ან დაკისრებული მოვალეობით, ან... ან... ან...

სოფლის პატრონი მარტო ალდია. სოფელი ვინ და ერთი კაციო. ეს ადამიანებით სავსე სოფელზეა ნათქვამი. თურმე იქაც ერთი, ერთადერთი კაცია სოფლის სახელის განმთქმელი თუ შემნარჩუნებელი. და სადაც ერთი ადამიანი ცხოვრობს, იქ ხომ იგია, მარტოდმარტო სოფლის და ქვეყნის ჭირისუფალი. მან საკუთარ თავზე უნდა აიღოს ყველა საქმე, თვითონ უნდა გაუძღვეს ყველა საჭიროებას. ვაჟას „ბახტრიონში“ სანათას, ამ მართლაც სულით ნათელ ქალს მამაკაცის მოვალეობა უტვირთია მხოლოდ იმიტომ, რომ ცოცხალი კაცი აღარ დარჩა სოფელში, ყველა მტერთან ბრძოლაში გაწყდა. ალდის სოფელში რაღა ხდება? მსგავსს ვერაფერს ვიგებთ თხრობიდან. სავარაუდოდ, უბრალოდ, დაცარიელებულა მთის სოფელი. უფრო იოლი ცხოვრება ურჩევიათ სხვათ. ალდიღა დარჩენილა პატრონად, მომვლელად, შემნახველად. ალდისნაირი ადამიანები ღვთის რჩეულნი არიან. მან, მან უნდა აღასრულოს ღვთის სათნო და კაცის სარგო საქმეები. უნდა იცხოვროს, წინაპართა გზაზე უნდა იაროს ანუ უნდა ილოცოს, უნდა თიბოს, უნდა გამოხადოს არაყი, უნდა დააფრთხოს ქაჯ-ეშმაკნი და, რა თქმა უნდა, უნდა მოკვდეს.

ალდიმ უნდა გაითხაროს საფლავი,
ალდიმ უნდა ჩაიცვას ტალავარი,
ალდი უნდა მოკვდეს.

სიცოცხლე სიკვდილის გარეშე ვინ თქვა და ღირსეული სიცოცხლის დაგვირგვინება ღირსეული, ლამაზი, ვაჟკაცური სიკვდილი უნდა იყოს, ყველა წესისა და რიგის მიხედვით შესრულებული სამგლოვიარო რიტუალი უნდა იყოს. ვერ დაე-

ლოდება ალდი ნადირობისას (ან სხვა დროს) შემთხვევით სიკვდილს, ვერც სიბერესა და უძლურებას დაელოდება, ცხადია. არა, უნდა გაითხაროს საფლავი, უნდა ჩაიცვას ტანსაცმელი და მზადმყოფი უნდა მოკვდეს. ამიტომ:

როგორც ახალგაზრდა ქალი ჯვრისწერისთვის,
ისე ემზადება ალდი სიკვდილისთვის.

ადამიანი დაბადებისთანავე რომ სიკვდილისკენ მიმავალ გზას ადგება, ეს ახალი და უცნობი არ არის არავისთვის. რაწამსაც დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის. ეს ხომ ასეა, მაგრამ ზოგი თუ გულმოდგინედ ემზადება სხვა საუფლოში გადასასახლებლად, ზოგს სულაც დავიწყებული აქვს მარადიული ცხოვრება და მხოლოდ ამქვეყნიურს, წუთიერს შესტრფის და შეჰხარის. თუმცა იმ კაცს, ცელისმქნეველს ჯერ არავინ დარჩენია აქ.

ამიტომ არ უნდა დაელოდოს ალდი სიკვდილის მოსვლას, არ უნდა დაელოდოს სიბერეს. „ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში“. არ უნდა შეეშინდეს, არ უნდა დალაჩრდეს.

* * *

მრავალნაირი სიზმარი იცის ადამიანურმა ყოფამ და მრავალგვარად ასახულა ის სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც.. ალდისაც მოუვლინა ავტორმა აღსასრულის მანიშნებელი ზმანება. „საოცრისმყენეს ძალით იხილა საოცარი“. ჯერ მარტო ეს ერთი სიტყვა —„საოცრისმყენე“ (თანდართული განმარტება — ის, რა სიზმარს მოალანდებს ადამიანს) მოგაგონებს მითოლოგიურ ჟამს. და მერე: სიკვდილი შინშივით ესტუმრება ალდის. ძალიან ახლობელი, ნათესავ-მოყვარე ყოფილა ეს სიკვდილი. ოღონდ ვინ უნდა შეასრულოს წესი? გარდაცვლილს ვინ გაუთხაროს სამარე? ვინ დაიტიროს? ვინ განბანოს? ღამე ვინ უთიოს? ვინ არბენინოს სულის ცხენი? აქ ისევ ბარათაშვილი წამოაგონდება მკითხველს, შავი ყორანი გამითხრის საფლავსო, რომ წინასწარმეტყველებდა; ილიას გაბრიელიც გაგვახსენდეს იქნებ („გლახის ნაამბობიდან“), ამოდენა დედამიწის ზურგზე დამტირებელი

არა მყავსო, რომ წუხდა... მაგრამ მაინც სხვა, განსხვავებული დატვირთვა და საზრისი აქვს ალდის სამზადისს.

ალდი ხომ თვითონ არის სოფელიც. თანდათან ზოგადდება ლირიკული გმირის სახე. ყველა ადამიანი ცალკე სოფელია, ცალკე ქვეყანაა, ცალკე სამყაროა. მასთან ერთად იბადება და მასთან ერთადვე კვდება განუმეორებელი, ერთადერთი, სრულიად განსაკუთრებული. ყველა მარტოა ამქვეყნად საკუთარი თავისა და ღვთის წინაშე დარჩენილი. წუთისოფლის ვალი უნდა მოიხადოს ყველამ. „თვითონ", „თვითონ",„თვითონ", — იმეორებს ალდი. ამ გზაზე ვერავინ ვერავის შეეხიდება, ვერავინ ვერავის შეუმსუბუქებს ტვირთს იმიტომ, რომ ეს მარტო ხორციელად შესასრულებელი რიტუალი კი არ არის, არამედ შინაგანი მზადებაა მარადიულობასთან პირისპირ შესაყრელად (აქ კი ყოველთვის მარტო, უმწედ, უმეგობროდაა დარჩენილი კაცი).

ახლა უნდა მოკვდეს ალდი და მოკვდეს სოფელი.

ერთობ დრამატული ვითარებაა. ნეტა იქით რაღაა? საიდან მოდის სიკვდილი ან სად მივყავართ? ლოგიკურია, რომ უამრავჯერ წამოჭრილი და წამოსაჭრელი, პასუხგაუცემელი კითხვები აწუხებს პოემის პერსონაჟსაც. მიწიდან ცამდე აწვდილ კიბეზე ასვლას ჰგავს ალდისთვის ღმერთთან მიახლება. ვის ანგელოზნი მოლანდებიან ამ დროს, ვის — ქაჯ-ეშმაკნი. თუ უკვე წასული ნათესავ-მოყვარე-მეგობრების სახით გვხვდება მარადიული ქვეყანა, არ ყოფილა სიკვდილი საშიში. სიკვდილისთვის დაიბადა ალდი, ისევე, როგორც სიკვდილისთვის იბადება ყველა ადამიანი.

ყველაფერს ხავსი და ბალახი ედება ბოლოს,
სახლსაც,
იარაღსაც,
საფლავსაც,
სახელსაც.
ღვთის წილია ყველა საქმეში,
ღმერთია უზენაესი ძალი და დიდება.

ეკლესიასტეს მოთქმა-გოდება ახალი აღთქმის რწმენას შერწყმია. და რადგან ყველაფერი ღვთის ნებაა და სიკვდილს ვერსად წაუვალთ, ნეტა ლამაზი და ვაჟკაცური სიკვდილი მაინც გვხდეს წილად. აი, ისეთი, ხახმატელი ყირა ბაჩიქვაურის, ამღიონი დავით ჭოლიკაურის სიკვდილის მსგავსი. მკითხველმა იქნებ არც იცოდეს, ვინ არიან ზემოდასახელებული პიროვნებები ან რა სახელი დაუგდიათ აქ, მაგრამ ამის ცოდნა განა რას შემატებდა ჰეროიკულ განწყობილებას. ჩვენ იმათ სიკვდილს კი არა, იმათ სიცოცხლეს შევნატრით და განა რამ გაყო სიცოცხლე და სიკვდილი? „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“, — კლასიკურ ფორმულაში ჩამოასხა ვაჟამ. ბრძენი ქართველი მოკეთე-გულშემატკივრის ოჯახს ასე ლოცავდა: ღმერთმა ნურც მკვდარი გამოგილიოთ და ნურც ცოცხალიო. თუ ვინმე ნათქვამს ვერ მიუხვდებოდა, ბევრს არას ინაღვლიდა, მან ხომ ზუსტად იცოდა, რომ დალოცვა ეს არის თუ არის.

საკუთარი თავისთვის, როგორც უკვე მიცვალებულისთვის, ფსალმუნის წაკითხვას ჯერ კიდევ „აბოს წამებაში“ ვხვდებით. აბო ხედავდა თავის თავს გარდაცვლილს და ისე მიდიოდა, თითქოს საკუთარ ნეშტს მიაცილებდა და ასმეთვრამეტე ფსალმუნს ამბობდა. აბო ძალადობის მსხვერპლი გახლდათ , გიორგი არაბულის პოემის ლირიკული პერსონაჟი კი გარდაუვალის მოლოდინით (თუ გარდაუვალის სრული შეგნებით), ტრადიციის ყველა პუნქტის დაცვით, ნაბიჯ-ნაბიჯ, აუჩქარებლად (ისე, რომ არაფერი დაავიწყდეს, არაფერი გამორჩეს) ემზადება სიკვდილისთვის. „ბალღად დაბადებული ბალღადვე უნდა მოკვდეს“, — ეს ალდის სულიერი მდგომარეობაა. ძალზე შთამბეჭდავია მისი სიმღერაც, სამფერი სუდარის ჩაცმაც, სანთლის დანთება და ლოცვაც, „სულის ცხენის“ გაშვებაც...

საფლავთგორას აუყვა ალდი სიკვდილზე ფიქრით, სიცოცხლეზე ფიქრით (ჯემალ ქარჩხაძის იგი რომ ფიქრობს, რა რჩება ადამიანისგან სიკვდილის შემდეგო). აათავა ბილიკი და კიდეც მიხვდა ჭეშმარიტებას — ამქვეყნად შერცხვენილი სიცოცხლეა ნამდვილი სიკვდილი. ეს სათქმელად ადვილი და საქნელად ძნე-

ლი პირობა ორიგინალურად, მოკლედ და ტევადად აქვს გამოთქმული ავტორს. რასაც ამბობს, წაბაძვა ან კეკლუცობა კი არ არის. კითხულობ და ხვდები, რომ ყველაფერი თვითონ აქვს გულისგულში გამოტარებული. ამ ახალგაზრდა კაცს ბევრი უფიქრია სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ საკითხზე, უფრო მეტი, ვიდრე საკუთარ პერსონაჟს ათქმევინებს; ხვდები, რომ თვითონაა ალდი და თან გენანება (ასეთი ახალგაზრდა — ბერიკაცის აზრებისთვის) და თან გეძვირფასება (სწორედ ეს „კეთილი მოხუცებულებაი გონებისაი"). „სიკვდილისთვის დაიბადა ალდი". ნეტა სხვები რიღასთვის იბადებიან?

სიკვდილის პერსონიფიცირება უცხო არ არის არც სიტყვაკაზმული მწერლობისთვის, არც ხალხური შემოქმედებისთვის. ძნელია მკითხველის ემოცია გამოიწვიო მრავალჯერ თქმულის კიდევ ერთხელ გამეორებით. რთულია, მაგრამ სწორედ ამას ახერხებს გიორგი არაბული სიკვდილის ცოცხალ ადამიანად, რეალურ პერსონაჟად წარმოსახვით და ეგრეთწოდებული ნაივური კითხვებით:

რა ხნისაა სიკვდილი და
რამდენი და-ძმა ჰყავს?
ნეტავ, რა ჰქვია დედას სიკვდილისას, თუ
იცის ტალავრის ქსოვა და
ლოცვა შეშინებულისა?
ნეტავ თუ დაჰლამებია მამას შეშაზე წასულს
და თუ ჰლოდნებია სიკვდილი ცისპირის ტეხამდე?
...
სად მიდის სიკვდილი?
სად სძინავ სიკვდილს?

დატეხილი სტრიქონი დინამიურობას ანიჭებს ლექსს, მკითხველს ცოტათი სულის მოთქმის საშუალებასაც აძლევს, ცხადია, ინტერესის გაუნელებლად. მართლაც, ჩვენნაირი თუა, ჩვენ თუ გვგავს, ჩვენსავით თუ ფიქრობს, ჩვენსავით თუ გრძნობს?.. — ავტორის გულისთქმას თავისას ააყოლებს მკითხველი.

ნეტავ შეიძლებოდეს
სიკვდილი წინ გეჯდეს, არაყს ასმევდე და
ბალღის სიცილს ასმენინებდე...

მცირე გადახვევა: ჩემი მეგობრის მამას, ასაკოვან, ჭარმაგ მოხუცებულს მისი მეგობარი (ალბათ, მისივე ტოლი) ეხუმრებოდა, სიკვდილი ამდენ ხანს როგორ არ მოგაკითხავდა, მაგრამ, ეტყობა, როცა მოვიდა, შენ ყოველთვის შენებურად სუფრა გაუშალე, ღვინო დაალევინე, საუბრით შეიქციე და მერე დანაყრებულსა და შეზარხოშებულს შენი წაყვანა ყოველთვის დაავიწყდაო.

ახლა ისევ პოემა.

კრებულში „მგოსანნი გლოვისანი“ ხმით დატირების ნიმუშებია შეკრებილი — ხალხის წიაღში შექმნილი და ხალხშივე გავრცელებული დატირება დის მიერ ძმისა, დედის მიერ შვილისა, სწორფრის მიერ რჩეულისა და სხვა. პოემის ავტორი ხალხურ ნიმუშებს იყენებს და ისე წარმოიდგენს, როგორ დაიტირებენ ალდის. „ნეტავ სიკვდილსაც მისცა შვილიო, იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარაო“, — ყველა შვილმკვდარი დედის საფიქრალი და ჩუმი ნატვრაა გამჟღავნებული. ნეტავ დედაც მისცა სიკვდილს, მამაც, ძმაც, მეგობრებიც, — მიადევნებს თავის ფიქრს მკითხველი საკუთარი გამოცდილების კვალობაზე.

პოემის თემა ძველია, ძველთაძველი და მარადიული, მაგრამ ავტორის შეგრძნება, განცდა, დამოკიდებულებაა ახალი.

ალდის სიზმარიც ისეთივე არსებულია, როგორიც რეალური სამყარო. შემოქმედის მიერ შექმნილი პერსონაჟიც რეალური ადამიანია, ოღონდ მისი გზა-სავალი თვით შემქმნელზე, პოეტზეა დამოკიდებული. ალდის ლექსი და სიზმრები რომ დასასრულს მიუახლოვდა, ბევრი უფიქრია ავტორს, რით დაემთავრებინა პოემა, როგორი ბოლო მოენახა ნაწარმოებისთვის. არ ვიცით, ეს „ბევრი“ რამდენია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სულ სხვადასხვანაირად წარმოიდგინა ეპილოგი, უტრიალა, ჩხრიკა, გონებაში გამოატარა... „ჩემს ხელში იყო მისი სიკვდილიც და ცოცხლად დარჩენაცო“, — გვითხრა („მთლად მე მეკუთვნის ქვეყანაო“, — ასე შეიგრძნობდა ვაჟა-ფშაველა). უტრიალა, უარა და ბოლოს მაინც სასიკვდილოდ

ვერ გაიმეტა გმირი. ლექსში მოქმედება ლოგიკურად სიკვდილისკენ მიემართება, დასასრული კი თითქოს ალოგიკურად მობმია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. „მე გავიმარჯვე დღეს ამ ლექსითო", — ტყუილად როდი ეამაყება შემოქმედს. მართლაც გამარჯვებაა, ნამდვილი გამარჯვება — და მარტო ალდის ცოცხლად დატოვება კი არა, არამედ მთელი პოემა თავისი საფიქრალ-საწუხარით და საოცარი დასასრულით, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუსრულებელი დასასრულით. ლექსმწერლის საფიქრალს მკითხველის გულისთქმაც აჰყვება:

მაგრამ შენ, ალდი —
სად წახვალ ამ ლექსის მერე?
რომელ ბილიკს აირჩევ?
როგორ დაეხსნები ლექსს?
როგორ დაეხსნები სიკვდილს?

პოემაში გიორგი არაბულმა ასახა არა ის, რაც ნახა, არამედ ის, რაც იფიქრა, ესე იგი ახალი, საკუთარი (უკვე ჩვენიც) სამყარო, რეალობა შექმნა, რომელშიც მელანქოლიური და ხალისიანი (ჰეროიკულ-ამაღლებულიც) განწყობა ენაცვლება და ერწყმის ერთმანეთს და თავისებურ სილამაზეს ქმნის — ფორმის, აზრის, ემოციის ჰარმონიის სილამაზესა და მომხიბვლელობას.

ავტორი მოხდენილად იყენებს ფოლკლორს. საჭირო ადგილას, სწორედ შესაფერის აზრობრივ და პოეტურ კონტექსტში მოაქცევს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ამითაც შეგვაგრძნობინებს მთის კოლორიტს, ასე ნაცნობსა და მონატრებულს ჩვენთვის. პოემა ურითმოა და საუკეთესო მაგალითი ე. წ. თეთრი ლექსისა. როგორც ყველა ნაწერი, ესეც სარკესავით ირეკლავს თვითონ შემოქმედის სულს — ნაწარმოებში ხელშესახებად ჩანს ავტორის მდიდარი შინაგანი სამყარო. სიტყვა გიორგი არაბულისთვის მარტო საკომუნიკაციო საშუალება როდია, ის უპირველესად ესთეტიკური ფენომენია (ასეც უნდა იყოს ლექსმწერლისთვის, მაგრამ განა ყოველთვის, ყველა პოეტურ ნაწარ-

მოებში ვხვდებით და ვგრძნობთ სიტყვის მუსიკას, სიტყვის სილამაზეს, სიტყვის რიტმს).

საერთოდ, ძნელია და საფრთხილო ახალგაზრდა კაცის ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯების შეფასება. არ იცი, რას მოიტანს მერმისი, როგორ განვითარდება პოეტის ნიჭი, რას შექმნის და რას დატოვებს სამომავლოდ... კიდევ ბევრი რამის გამო შეიძლება კრიტიკოსმა თავი შეიკავოს აღტაცების გამოთქმისგან მაინც. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გარკვევით უნდა ითქვას, რომ გიორგი არაბულმა პოემა-გვრინით ჩვენს სულიერ ცხოვრებას უკვე შეჰმატა ფასეული ქმნილება. სწორედ ამიტომ მისგან კვლავ მოველით ახალ, საგულისხმო, გამორჩეულ ნაწარმოებებს.

„ბოლოს როდის იყო, რომ ხევსურეთიდან მოსულ ხმაში სიცოცხლე ასე ძალუმად ფეთქდა“, — რიტორიკულად კითხულობს პუბლიკაციის მოკლე წინასიტყვაობის პროფესიონალი ავტორი. ზუსტად, ალბათ, ვერავინ გაიხსენებს და დაადგენს, ბოლოს როდის იყო, მაგრამ იმას კი აუცილებლად ვიგრძნობთ, თურმე როგორ მოგვნატრებია „მთიდან ყვირილი ხარისა“.

იოსებ ლაღიაშვილის დაკარგული დღიური

(ლაშა იმედაშვილის ბელეტრისტული ვერსია)

იოსებ ლაღიაშვილის მოულოდნელმა, გაბედულმა, არაორდინარულმა და, ვთქვათ პირდაპირ, დანაშაულებრივმა, მაგრამ თავგანწირულმა საქციელმა თავის დროზე, XIX საუკუნეში, მთელი საქართველო შეძრა, ააღელვა. სემინარიის მოსწავლემ ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი, ლაღიაშვილმა — ჩუდეცკი. საქმის არსში ჩაუხედავადაც, დეტალებში გაურკვევლადაც კი იყო ამაში რაღაც გმირობის მაგვარი, ადამიანს უნებურად მკვლელის გამართლებისკენ რომ უბიძგებდა. სუსტი, უძალო, არასრულწლოვანი, დაქვემდებარებული კლავს უფროსს, ძლიერს, მმართველს, მბრძანებელს, ლამის ყოვლისშემძლეს. არ შემოაკვდა, შეგნებულად, წინასწარ მომზადებული, ჩოხის ქვეშ ხანჯალდამალული მივიდა რექტორთან და... საკმარისი იყო ჩუდეცკის მხრიდან ოდნავი ყურადღება, ყმაწვილის ბედით დაინტერესება, თუ სემინარიაში აღდგენა არა, ცხოვრების საშუალების მიცემა მაინც (მოსწავლეების ყოლის ნებართვას ითხოვდა ლაღიაშვილი). ყველაფერზე სასტიკი, უგულო, შეუვალი უარი მიიღო მთხოვნელმა. აბა, სად ეცალა იმპერიის საქმეთა აღმასრულებელ ჩუდეცკის გულმოწყალებისთვის, ვიღაც ქართველი აღსაზრდელის მიმართ ყურადღებისთვის, მითუმეტეს, რომ ამ მოსწავლეს აღმოუჩინეს დღიურები, სადაც ანტიიმპერიული განწყობა აღბეჭდილიყო.

ამას მოჰყვა ეგზარქოს პავლეს (ლებედევი) მიერ მთელი ქართველი ერის დაწყევლა, ამას მოჰყვა შეუდრეკელი, შეუვალი, პირში მიხლილი მოთხოვნა დიმიტრი ყიფიანისა, რომ ეგზარ-

ქოსს, რომელსაც სძულდა ქართველები, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო, ამას მოჰყვა დიმიტრი ყიფიანის გადასახლება სტავროპოლში და იქ მისი მოკვლა. ამ თავდადებული კაცის ნეშტის გადმოსვენებამ შთააგონა აკაკი წერეთელს უკვდავი „განთიადი“...

ეს ტრაგიკული ამბები კარგად მოეხსენება ქართველ მკითხველს, ამ ფონზე გაფერმკრთალდა, უკან გადაიწია და უმნიშვნელოდაც კი გამოჩნდა სემინარიელის პროტესტი, კერძო შემთხვევა დაჩრდილა დიდმა სახელმწიფოებრივმა საქციელმა და ქვეყნისთვის თავდადებამ. თუმცა არც იოსებ ლაღიაშვილის შემდგომი ბედი დარჩენილა უცნობი: როგორც არასრულწლოვანს, მხოლოდ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს (და არა სიკვდილი), ციმბირიდან იაპონიაში გაქცევა მოახერხა, იქიდან — ამერიკაში, ამერიკის მოქალაქე გახდა, მერე კი არგენტინაში გადავიდა...

ასეთი თავგადასავალი მწერალს როგორ არ ააღელვებდა და კიდეც დაწერა ანა ხახუტაშვილმა (ფსევდონიმი: ცქვიტი) რომანი „იოსებ ლაღიაშვილი“ (გამოიცა თბილისში, 1941 წელს). დიდად პოპულარული ის რომანი არ ყოფილა, თუმცა არც შეუმჩნეველად ჩაუვლია, ჰყავდა მკითხველი, მაგრამ, როგორც ჩანს, რეალურად მომხდარის განცდა უფრო მძაფრი იყო, ვიდრე რომანად გარდათქმულისგან მოგვრილი ემოცია...

მის შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, ცხოვრება გამოიცვალა, იოსებ ლაღიაშვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა კი, დიმიტრი ყიფიანის სისხლით დაკირული, დღესაც ვერ ტოვებს გულგრილს ვერავის, მითუფრო, ქართველს. და მაინც, ამ დრამატული ამბის შესახებ ახლა მოთხრობის დაწერა რისკსა და გამბედაობას მოითხოვს, ნამდვილ მწერლობას — წარსულის ხელისგულივით დანახვას, წარმოსახვას, შესაფერის სტილს, ენას... ზომიერებას... კიდევ ბევრ რამეს (თუმცა რომელი თემა, რომელი ეპიზოდი არ მოითხოვს ყოველივე ზემოთქმულს მწერლისაგან, არა?).

ყოველმხრივ ნაცნობი, შესწავლილ-დამუშავებული თემაა ჩვენი წარსულისა და ამიტომაც გახლდათ მოულოდნელი იოსებ

ლაღიაშვილის მთავარ პერსონაჟად გამოჩენა თანამედროვე მოთხრობაში. თუმცა მოულოდნელი ვისგან? ლაშა იმედაშვილის სტილისტიკისა და რანგის მწერლისაგან არაფერი გასაკვირი და უცნაური ამაში არ გახლავთ. 2014 წლის 22 აგვისტოს ჟურნალში „ჩვენი მწერლობა" დაიბეჭდა ლაშა იმედაშვილის მოზრდილი მოთხრობა „კულინარი", რომელშიც სწორედ ლაღიაშვილის მიერ ჩუდეცკის მოკვლის დრამაა მხატვრულად გარდასახული. მაგრამ კულინარია რა შუაშია? აქ ჩანს მწერლის უსაზღვრო ფანტაზია, სხვადასხვა ამბის ერთმანეთთან დამაჯერებლად დაკავშირების ნიჭი, ეგრეთწოდებული კონტამინაციის დროულად და მოხდენილად გამოყენების შესაძლებლობა, მძიმე, ტრაგიკული ამბების იუმორისტული, სახალისო თხრობით გათბობისა და განათების უნარი.

„სამი მკვლელობა ძველ თბილისში", „ჰალალი თბილისური ამბის" და სხვა გემრიელი მოთხრობების ავტორისაგან მკითხველი ყოველთვის ელის და იღებს განსაკუთრებულ, დახვეწილ, ამაღლებულ, მახვილგონებრივი მიგნებებით, ცოდნით, წარმოსახვით, იუმორით, დრამატიზმით შეზავებულ ნამდვილ, საღ, სიყალბისაგან თავისუფალ ლიტერატურას.

წელან გემრიელი მოთხრობები ვახსენე სრულიად არაკულინარიული შინაარსით. ენის გემო, თხრობის, ლიტერატურის გემო ვიგულისხმე, რადგან ლაშა იმედაშვილის მოთხრობები სწორედ ასეთ რამეს აგრძნობინებს მკითხველს — გადაიყვანს 1-2 საუკუნის წინათ, ჩაამყუდროვებს, დეტალურად და ნაბიჯ-ნაბიჯ აღუწერს და შეაცნობინებს იმ დროის, იმ ყოფის, იმ გარემოს ფერს, სურნელს, გემოს, განცდას. ვერ მოწყდები, იოლად თვალს ვერ მოაშორებ იმიტომ, რომ თითქოს შენი თანამედროვე კი არ გიყვება საუკუნეთა წინანდელ ამბებს, არამედ რაღაც სასწაულით ცოცხლად დარჩენილი მე-19 საუკუნის კაცი გესაუბრება, თვითმხილველი, დარბაისელი, დინჯი, განმსჯელი, თავისი ენით, ულტრათანამედროვე მეტყველებისგან გაუცხოებულით, მშობლიურით, თითქმის გადავიწყებულით, ასერიგად მონატრებულით.

„კულინარს" დავუბრუნდეთ.

მწერალი აქ თავისი გამომგონებლობით ახალ სინამდვილეს ქმნის, ოღონდ ისე, რომ შენარჩუნებულია მოქმედ პირთა სულისკვეთება, რეალისტურად იხატება ის — წარსული ეპოქა, და თავისი აბსურდულობით ირიბად აირეკლავს ჩვენს თანამედროვეობასაც.

პირველივე წინადადება გვატყვევებს აზრის სიმართლითა და შეფარული იუმორით. თხრობას იოსებ ლაღიაშვილი იწყებს, უკვე ხანში შესული, ბუენოს აირესის პორტში შემთხვევით შეხვედრილ ქართველ მეზღვაურ ჭავჭანიძესთან. „სიბერეში მხოლოდ იმას ვიხსენებთ, რაც არასდროს მომხდარაო", — გვეუბნება და თავიდანვე მიგვანიშნებს ავტორი, რომ საქმე გამოგონილთან, წარმოსახულთან გვაქვს. შეთხზულია კულინარის ამბავი, მაგრამ ისე, რომ მკითხველს ყოველდღიური რუტინული ყოფისაგან მოწყვეტისა და გალაღების საშუალებასაც აძლევს და ცხოვრების გულისგულშიც ჩაახედებს ერთდროულად.

მართლად, უტყუარად, რეალისტურადაა მოწოდებული ეგზარქოს პავლესა და სემინარიის რექტორ ჩუდეცკის პორტრეტები. „პავლემ, გასაგები მიზეზების გამო, ქართული არ იცოდა", — ვკითხულობთ და იქვე ვიგებთ, რა არის ეს „გასაგები მიზეზები": თურმე მღვდელმთავარი ვერ იტანდა ვერც ქართველებს და ვერც მათ ველურ საუბარს. ამიტომ პავლემ ლაღიაშვილის დღიური რექტორს გაუგზავნა, რომელმაც ასევე არ იცოდა ქართული. რა დიდი მიხვედრა იმას უნდა, რატომ, რა გასაგები მიზეზების გამო არ იცოდა რექტორმა ქართული. დღიური ათარგმნინეს ენის მიმტან-მომტან ქართველ უჩენიკებს. სხვათა შორის, აქაც და სხვაგანაც არაერთგზის გამოყენებული ბარბარიზმები („უჩენიკი", „ოხრანკა", „ბუნტოვშჩიკი", „პერიკლიჩკა", „დანისენიე" და სხვა) კი არ ამძიმებს თხრობას, არამედ ეპოქის სურათს ხატავს ნათლად (ილიასეული „პოვოსკისა" და „იამშჩიკისა" არ იყოს).

და აი, ლაღიაშვილის დღიურში აღმოჩნდა ოცდაორი რეცეპტი ქართული და უცხოური კერძისა — სრულიად აპოლიტიკური რამ. სინამდვილეში ლაღიაშვილის დღიური დაკარგულია, ჩვენ არ გვაქვს მისი წაკითხვის საშუალება, როგორც ამბობენ, ის სწორედ პოლიტიკური ჩანაწერებით ყოფილა სავსე. თუმცა

რა არის დაუჯერებელი იმაში, რომ სასულიერო სემინარიის მოსწავლე კერძების (ახლის, ძველის, ნაცნობის, უცნობის, ქართულის, ევროპულის) მომზადების წესით ყოფილიყო დაინტერესებული... ფაქტობრივად, სამზარეულო წიგნი, კულინარიის სახელმძღვანელო შემოგვთავაზა მწერალმა და წარმოუდგენელია, ეს რეცეპტებიც მისი ფანტაზიის ნაყოფი იყოს. როგორც სანდო წყაროდან გავიგეთ, ავტორს ეს ჩანაწერები თავისი სახელოვანი პაპის, იოსებ იმედაშვილის არქივში უნახავს და უცვლელად გამოუყენებია მოთხრობაში. XIX საუკუნის მეტყველების, ქცევის, კულტურის ხიბლი დაჰყვება ამ ჩანაწერებს, დღეს პრაქტიკული დანიშნულებით გამოყენებაც რომ შეიძლება. ბოზართმა ბატკნიკა გნებავთ თუ იმერული ხარშო, კარტოფილის კროკეტი თუ ძროხის არტალა, ჩიხირთმა ქათმისა თუ მალოროსიული ბორშჩი, სუფი იტალიანური მაკარონით, შოკოლადის პიროჟნი თუ პუდინგი ახალი ჭერმისა, უცნაური ლალაკენტა, ნაყინი თუ ვიშნოვკა ქვიშნის...

რას გაიხარებდა ჩვენი ლუარსაბი, ასეთი რეცეპტები რომ ჩავარდნოდა ხელთ! იქნებ ენანა კიდეც, წიგნი რომ არ იცოდა, მაგრამ მადლიანი დარეჯანი, აბა, რას დააკლებდა, თითოჯერ მაინც ხომ ყველა კერძს დააგემოვნებდა ცოლ-ქმარი.

სხვათა შორის, პირველი კულინარიული წიგნი ხომ სწორედ XIX საუკუნეში, 1874 წელს გამოიცა ჩვენში სახელწოდებით „სრული სამზარეულო“. ავტორი — ბარბარე ჯორჯაძისა, რაფიელ ერისთავის ღვიძლი და, რომელიც ლექსებსაც წერდა, მოთხრობებსაც, პიესებსაც, კრიტიკულ წერილებსაც (თამამად ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს...), მაგრამ სახელი მაინც ამ წიგნით (კულინარიული რეცეპტებით) გაითქვა. წიგნი გამოცემისთანავე გაიყიდა და შემდეგ — ავტორის შთამომავალთა მიერ შევსებულ-გამრავალფეროვნებული — არაერთხელ დაისტამბა და ყოველთვის პოპულარული გახლდათ.

პრაქტიკული დანიშნულება იქით იყოს, და თუნდაც ამ რეცეპტებში როგორაა გამოხატული ეროვნული თავმოყვარეობაც და ევროპეიზმისაკენ სწრაფვაც! ეს ის დროა, როცა ევროპულ ლიტერატურასაც განსაკუთრებულად ეწაფება ქართველი, ევ-

როპულ კულტურა-განათლებას, ევროპულად ჩაცმა-დახურვას იწყებს, ევროპულ ცეკვებს ითვისებს, ევროპულ სიმღერებს (საკრავებს) სწავლობს და ევროპულმა კერძებმა რაღა დააშავა?! ყოფის ეს სფერო აძლევს ქართველს თავმოწონების საშუალებას. ამიტომ ევროპულის წინაშე მონური ქედმოხრა კი არ იგრძნობა, არც — ზედმეტი ყოყლოჩინობა, არა, თანაბრად, ერთ სიბრტყეზე, ერთნაირი ინტერესით წარმოჩინდება ორივე — ქართულიცა და რუსულ-ევროპულიც.

ამ საქმეში მაინც ვართ ევროპის სრულუფლებიანი ნაწილი...

ლაღიაშვილის ინტერესის სფეროში მოხვდა მაშინდელი თბილისისთვის ისეთი ახალი და უცნაური საკვებიც, როგორიცაა მაროჟნი ანუ ჩვენებურად ნაყინი. და სემინარისტის მიერ საგულდაგულოდ გადამალულ ჩანაწერს რომ გვაცნობს მწერალი, ვხედავთ სამზადისს პირველი სანაყინის გასახსნელად ჩვენს დედაქალაქში. ექვსი კაცის საყოფი მაროჟნის ინგრედიანტებია ჩამოთვლილი, ცალკე— ჭურჭელი: ძირში გახვრეტილი ვედრა, ვიწრო, მაღალი და ხელიანი ფორმა, ნაყინის ერთიანად გადმოსაღებად — სალფეტკგადაფარებული ბლუდი. რუსიციზმების სიუხვის მიუხედავად ამგვარი რამის წამკითხველს სითბო გეღვრება გულში. სულ ცოტა, იმას მაინც აშკარად ხედავ და გრძნობ, როგორ ცდილობენ ქართველები სიახლის შემოტანას, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. ვინ თქვა, რომ ბუნებით ჩაკეტილი ხალხი ვართ და არც წარმოება-აღებ-მიცემობის ნიჭი გვაქვს? ცხოვრებაც და ლიტერატურაც საწინააღმდეგოს მეტყველებს.

და მაინც, კერძები არაა მთავარი ლაშა იმედაშვილის მოთხრობაში. ის უცხო სანელებელია, ან თუნდაც მარილია თხზულებისა, სილაღე-სიხალისეა, ზომიერად შეზავებული დრამატიზმთან.

მთავარი ისაა, ეგზარქოსი რომ აგინებდა ქართველებს: ქართველებო, თქვენი სომეხი დედა ასე და ისეო. პავლეს დასჯის შემდეგაც რომ იჯდა ეგზარქოსი თბილისში, იმავეს იმეორებდა, გულში ღვარძლს ზრდიდა და პარტიული თათბირების დროს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველების დახვრეტა-გადასახლებას. შიში და სიფხიზლე გვაიძულებს, კარგად მიმოვიხედოთ და დავფიქრდეთ, დღესაც ხომ არ ზის ეგზარქოსი ჩვენს ქვეყანაში?

მნიშვნელოვანი ისაა, რომ მაინც გაიხსნა სანაყინე თბილისში, მოგვიანებით, მაგრამ მაინც... და მალე ნათელი შეიქნა, ერთი სამაროჟნე, მარტო „გამაგრილე" მთელ ქალაქს ვერ ეყოფოდა...

საყურადღებოა, რომ სასარგებლო და სამომავლო საქმეებსაც (მაგალითად, „სამაროჟნეს" გახსნას) ქართველის მიერ სხვა ქართველის მოტყუება-გაქურდვით ეყრება საფუძველი.

კიდევ ბევრი რამ არის ამ შესანიშნავ მოთხრობაში ყურადღების მისაქცევი და აღსანიშნავი.

მოთხრობა თითქმის დოკუმენტურია, უკეთ — მხატვრულ-დოკუმენტური. მასში ზუსტად არის ციტირებული ის ცნობილი წერილი დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც თვითონ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მაგრამ რომლითაც იხსნა ქართველთა ღირსება და თავმოყვარეობა გაუგონარი, თავხედური შეურაცხყოფისგან. სხვადასხვა ეპიზოდში ნახსენები არიან: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, სტეფანე ჭრელაშვილი, დავით კეზელი, შიო დედაბრიშვილი, თედო სახოკია... ამ და სხვა ისტორიულ პირთა ასე სახელდებით მოხსენიება დოკუმენტურობის განცდას ამყარებს და უეჭველს ხდის. სხვათა შორის, ასევე, გვარ-სახელით არიან შემოყვანილნი პერსონაჟებად სემინარიის მოწაფეებიცა და სხვა, საზოგადოებისათვის ამჟამად უცნობი ადამიანები. ვერ ვიტყვი, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იცის თუ არა მწერალმა მათი ვინაობა, მაგრამ ამას თხრობისთვის არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. თუ რომელიმე მათგანი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, ფაქტია, რომ გამოგონილი და რეალური პერსონაჟები ერთ მთლიან პანორამას ქმნიან. წარმოსახვით შეთხზული ეპიზოდები ისე ოსტატურად და ზომიერად ჩაერთვის თხრობაში, რომ ოდნავადაც არ არღვევენ დოკუმენტურობის ხიბლს. გარემოს ზუსტი დახატვით, სემინარიაში გამეფებული ატმოსფეროს უტყუარად ჩვენებით, მოქმედ პირთა ხასიათების მართლად წარმოჩენითა და სხვა ხერხებით მიღწეულია სრული ეფექტი სანდოობისა, დოკუმენტურობისა.

შუაბაზარი, დიდუბე, კონკა, გაეცალესა თუ ტილიპუჭურას დუქნები სრულიად ხელშესახებს ხდის მაშინდელ თბილისს თავისი მოქალაქეებითა და მათი ცხოვრების წესით.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულია კონკრეტული ადგილი, ქუჩა, სადაც პირველი სანაყინე გაიხსნა თბილისში — ერევანსკი პლოშჩადის სიახლოვეს, მთის ქუჩის დასაწყისში. ამ ქუჩას მერე აღმასკომისა ეწოდა თურმე, უფრო მოგვიანებით კი სერგეი კიროვის სახელი დაერქვა. თუ ადრე თბილისელები: კოლა ბარათაშვილი, კოლია რატიშვილი, ლელო ანდრონიკაშვილი... დუქან-დუქან დადიოდნენ და ქეიფობდნენ, მალე ისინიცა და სხვებიც ქალაქის პირველი სანაყინის სტუმრებიც გახდნენ. აი, აბრაგამოცვლილ ქუჩაზე სახელშეცვლილ სანაყინეს კი თბილისელები ახლოს არ ეკარებოდნენ და იქ მხოლოდ ჩამოსულები დაიარებოდნენ. ხომ თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ მკითხველის თვალწინ ჩაივლის მთელი სურათი ეპოქათა ცვლისა — მრავალფეროვანი ძველი თბილისიდან რევოლუციის გზით შეცვლილი, დაკნინებულ-გაერთფეროვნებული დედაქალაქისკენ.

შთამბეჭდავადაა აღწერილი ტანგოს, არაჩვენებური, ჩვენში ევროპულთან გაიგივებული, სინამდვილეში არგენტინაში გაჩენილი ცეკვის ისტორია, განშტოებები, სხვა დეტალები.

ჭავჭანიძისთვის (და დღევანდელი ქართველისთვისაც) უცნაური საზომ-საწონი ერთეულების გამოყენებამ, როგორებიცაა; გირვანქა, გარნიცი, ჯაოზი, მისხალი, საპალნე, თუნგი, ჩარექა, ვედრო, კოკა, ბათმანი, ფუთი, მარენკა, ოყა, კოდი, ასმუშკა და ბევრი სხვა, საბოლოოდ ისეთი პროდუქტები მოგვცა, თანამედროვე ევროპული კაფეებიც რომ არ დაიწუნებენ: „მაროჟნი" ნაღების ყავით, შოკოლადით, ჩაით, „მაროჟნი" ნაღების „კლუბნიკით", ხენდროთი ან ვანილით, „მაროჟნი" ვაშლის და მსხლის, ლიმონის და ფორთოხლის, პუნში გლიასე, პუნში იმპერიალური მარწყვისა და სხვა ხილის, ზეფირი, პლომბირი, ჟელე.

ასე, ამ გზითაც მიიწევდა ევროპისკენ საუკუნეების განმავლობაში აზიის გავლენის ქვეშ მყოფი ჩვენი ქვეყანა.

რომ არა ის გარემოება, რომლის ძალითაც:

„დიმიტრი ყიფიანის ხსენება, როგორც სხვა ბევრი რამ, აიკრძალა...

მხოლოდ ერთი რამის დავიწყების საშუალება არ მისცეს თბილისს:

ქართველებო, თქვენი სომეხი დედა ასე და ისეო...“

ვინ იცის, საით წასულიყო და როგორ განვითარებულიყო ჩვენი ქვეყანა.

თურმე დღესაც როგორ გვწვავს ის ნაკრავი მათრახი, დღესაც როგორ გვტკივა ის გაწნული სილა!

ლაშა იმედაშვილის „კულინარმა“ ქართული სამზარეულოთი აღფრთოვანებული მაღალი რანგის სტუმრებიც გამახსენა (არაორაზროვნად რომ იტყაპუნებდნენ მუცელზე ხელს), ძველი ჭრილობებიც გამიახლა, მაგრამ იმავე დროს ჩემს (ჩვენს) ქართველობას მალამოდაც წაეცხო...

თუმცა... კვლავ გაფაციცებით ვიყურები აქეთ-იქით: ისევ ხომ არ შემოგვეპარა და დღესაც ხომ არ ზის გარეგნულად იერშეცვლილი ეგზარქოსი თბილისში?

რას ნიშნავს: „ლაპარაკი“

(ნინო ნადირაძის ლირიკული აბრისი)

„ჩემო კარგო ქვეყანავ“-ს ნაცვლად „ჩემო ცვილის ქვეყანავ“. ცვილის ანუ — ლამაზი, ხელოვნური, მოწყვლადი, ფორმაშეცვლილი (ანუ ტერიტორიებდაკარგული), სათუთი... ამათგან ერთერთს ან ყველას ერთად და კიდევ რაღაც სხვასაც გულისხმობს ეს განსაზღვრება — ცვილის. ცვილის ქვეყანაში ცვილის ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ — მოჩვენებითები, არანამდვილები, იოლად დასამორჩილებელნი...

ნინო ნადირაძე არამარტო ტკბილ ხმათათვის გაჩენილი პოეტია. მისი ლექსი მტანჯველი დარდის შედეგია და მკითხველსაც ფიქრისკენ, განსჯისკენ უბიძგებს. დაუქოქავ მუსიკალურ სათამაშოს ადარებს საკუთარ ცხოვრებას ავტორი. და ელოდება, და აკვირდება, და ეძებს... საკუთარ თავს ეძებს, საკუთარი დანიშნულების გაგება სწყურია, გრძნობს ძალას, მისწრაფებას, შინაგან ენერგიას და მისი გამოყენების ასპარეზს ეძებს. რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო, — ნატრობდა ვაჟა-ფშაველა. ნინო ნადირაძეს ის დრო ენატრება, როცა არც შიოდა, არც იძინებდა... წყალი თებერვალს მოჰქონდა, მზე — აპრილის ანგელოზებს... თავისი წილი მზისა და ჩრდილის ამარა იყო... ერთი სიტყვით, როცა ხე იყო...

ახალგაზრდა პოეტი გვეკითხება:

რომელი უფრო სასწაულია,
როცა ადამიანები გვიქრებიან
თუ
როცა გრძნობები?

აბა, ვისა აქვს მზა და სწორი პასუხი ამ კითხვაზე. აი, შეკითხვა კი აგეკვიატება და არა გშორდება. „ადამიანების“ ნაცვლად ხან „სამშობლოს“ ჩასვამ, ხან „ქალაქებს“, სხვა სიტყვების შენაცვლებაც შეიძლება. „ალბათ, არცერთს არ ვუფრთხილდებითო“, — გვეუბნება თვითონ ავტორი. ჩვენ კი მაინც არ გვასვენებს „მწარე სინანული“ — მაინც რომელი უფრო სასწაულია?

რატომ წერს პოეტი ლექსებს? ნინოს ამაზე ძალიან გულწრფელი პასუხი აქვს: „ალბათ სიტყვებმა ამომირჩიეს“.

და მართლაც რჩეულია (ამორჩეული), რომელიც დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს სიტყვის და მკითხველის წინაშე. ამიტომაც განიცდის ასე: ილაპარაკო ნიშნავს — იარო წყალზე და ფეხები გიკანკალებდეს.

რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა ქალი და ისიც პოეტი, სიყვარულზე წერდეს? გასაკვირი კი არა, სწორედაც მოსალოდნელი და ლოგიკურია. ოღონდ, მიხვდებით ალბათ, სიყვარულსაც, ისევე როგორც ცხოვრებას, ჩვენგან განსხვავებულად, სხვა სამზერიდან, სხვა ჭრილში ჭვრეტს და აღიქვამს. ეს ჩვენთვის არის სიყვარული ყვავილების, თბილი სიტყვებისა და ფერადი დღეების პირდაპირპროპორციული, ხოლო პოეტისთვის (ფაქიზი სულისა და არაჩვეულებრივი წარმოსახვების ადამიანისთვის) „სიყვარული ცეცხლის დანთებაა თავსხმა წვიმაში“.

ან ასეთი ნატვრა:

მე დავდგებოდი შენი სიცოცხლის ხესთან
პატარა რკინის სარწყავით ხელში
და დავუცდიდი
ჩიტების გუნდის გამოფრენას
საკუთარი გულის ფანჯრიდან.

ან გაკვირვება:

ვინ ამბობს, რომ არსებობს სუნთქვის საზომი,
აბა საიდან მასუნთქებენ შენი ფილტვები?!

ან წარმოსახვა:

შეიძლება...
უამრავი ქალაქით ჩემგან დაშორებულს,
ჩემი ჩრდილი გადაგეფაროს.

სურვილი:

არასოდეს აღარ მინდა გამოვიღვიძო,
თუ არ იქნები.

სიყვარული ღმერთია მისთვისაც და სავსებით ბუნებრივია ვედრება, „რომ არასოდეს შემოგვაკლდეს სიყვარული". და რადგან „სანამ მიხვდები, ისაა ნამდვილი სიყვარული", ხანდახან ისეც ხდება, რომ ფოტოკადრს რაღაც აკლია, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

ტრაგიზმისა და სასოწარკვეთილების განცდაა, სხვა რა:

ბლაგვი დანით ყელს რომ გჭრიან ბასრი დღეები
და არჩევანს არ ტოვებენ არსებობისთვის?!

ამაზე ნაკლებ მწველი არ არის შეგნება იმისა, რომ „თითქმის უკვე შეუძლებელია დაიწეროს ლექსები, / მით უფრო — სიყვარულზე".

ნინო ნადირაძე ის პოეტია, რომელიც ნატრობს: დღემ ისე ჩაიაროს, რომ ნამდვილად მოხდეს, რაც ხდება. რომელიც გასულია „ცოცხალი ადამიანების საძებნელად" და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა.

და მე მგონია, რომ დღეს ჩვენ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი თვითონაა, რადგან ფიქრობს, გრძნობს, წერს, უყვარს, უკვირს და ენატრება... რადგან საკუთარი გრძნობებით მრავალსაც ჰგავს და იმავდროულად — არავის; და ამიტომ ის, რაც ხდება, მართლაც ნამდვილად ხდება.

ტრაგიკული ეპოქა — ზნეობრივ ძალთა გამოცდა

(გივი სომხიშვილის რომანი „სატანის ღიმილი“)

გივი სომხიშვილის რომანი „სატანის ღიმილი“ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებაა, რომელშიც ასახულია გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ყოფა. პერსონაჟთა უმეტესობა ნამდვილი, რეალური გვარ-სახელით გახლავთ გამოყვანილი. გამოგონილ პერსონაჟთა ცხოვრება, მათი ბედი, ყოველდღიურობა კი განზოგადებულია და ზუსტად აირეკლავს იმდროინდელ ტრაგიზმს.

ეს ყველაფერი, რაც რომანშია დახატული, ჩვენი ახლო წარსულია, ჩვენ მიერ გამოვლილი და განცდილი, ბევრი რამ ახლაც ღია ჭრილობად აჩნევია სულს. ასეთი რომანის დაწერაც ძნელია და წაკითხვაც. იმიტომ, რომ შესაძლებელია ჯერაც მოუშუშებელმა ტკივილმა, სიბრაზემ შეიპყროს ავტორი (ან მკითხველიც) და ობიექტურობის ნაცვლად სუბიექტურობამ იმძლავროს. თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ სრულიად მიუდგომელი ამქვეყნად ალბათ არავინაა. მე მეჩვენება, რომ ეს რომანი გაბრაზებული კაცის დაწერილია, ოღონდ ამ სიბრაზეს საფუძვლად კერძო-პირადული ინტერესები კი არ უდევს, არამედ — საზოგადო, საქვეყნო. გაბრაზებულია იმაზე, ვინც დასცა, დაამცრო, გაყიდა, გაანადგურა საქართველო. ასეთებზე ილია ამბობდა: ქვეყანა და ქვეყნის ბედი იმას ფეხებზე ჰკიდიაო. ამ სიბრაზეში მე, როგორც მკითხველი, ვეთანხმები და თანავუგრძნობ ბატონ გივის (უფრო სწორად, მისი თანამოაზრე ვარ).

წიგნში ხელშესახებად, დეტალურადაა აღწერილი შევარდნაძის მიერ ჩადენილი ცოდვა-დანაშაულობანი. მიუხედავად იმისა,

რომ იმ ქმედებათა შედეგები ყველამ ვიწვნიეთ, ყოველი წვრილმანი ასე ზუსტად როდი ვიცოდით. და ახლა მათი გაცნობა კიდევ ერთხელ გამოგვატარებს იმ ჯოჯოხეთს, იმ ცეცხლის კალოს, რომელიც უკვე უკან მოტოვებული წარსული გვგონია. ამ წიგნის წაკითხვა მართლაც რომ „გულს უკლავს უძრულ ჭირისუფალს“ ქვეყნისას.

მოქმედება ძირითადად ერთ რეგიონში, კახეთში, ვითარდება. ცხადია, ის, რაც ხდებოდა ერთგან, ხდებოდა სხვაგანაც. თხრობაში შემოდის აფხაზეთში წარმოებული ომისა და სამეგრელოს დარბევის ამბებიც.

ერთი ადამიანის კარიერისტულ მიზნებს უამრავი ადამიანი ეწირებოდა ომშიც, მშვიდობის დროსაც და ბოლოსდაბოლოს შეეწირა ქვეყანაც. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის შედეგი — დაკარგული მიწები, შეურაცხყოფისა და დამცირების მძიმე განცდა, უიმედობა და ნიჰილიზმი...

ავტორი ზოგჯერ ისეთ შედარებას მოიხმობს, რომ კაცს მწარედ გაეცინება. მაგალითად, იცით, რა უპირატესობა აქვს მორფინისტს კარიერისტთან შედარებით? „მორფინისტი... წამლის გულისთვის კაცს მოკლავს. წამალს გაიკეთებს და დაწყნარდება. კარიერისტი კი თავის აღზევების ხელის შემშლელთა მოსპობის მიზნით სხვა უამრავ უცოდველ ადამიანს მიაყოლებს ისე, რომ სირცხვილის ან სინანულის ძარღვი არ შეუტოკდება“.

კარიერისტის დაუნდობლობის ერთ-ერთ ნიმუშადაა გახსენებული სისასტიკე, რომელიც თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭების მიმართ გამოამჟღავნა ხელისუფალმა და რომელმაც თავისი გულქვაობით შეძრა მთელი საქართველო.

ამ დარბაზში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გაიმართა ზურაბ კანდელაკის რომანის („უძრავი ქარი“) და შემდეგ კობა ცხაკაიას რომანის („გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“) განხილვა. ამ წიგნებს (გივი სომხიშვილისა, ზურაბ კანდელაკისა, კობა ცხაკაიას, აგრეთვე ზვიად კვარაცხელიასი) ბევრი საერთო აქვს ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა სტილი სრულიად განსხვავებულია, მათ საერთო თემატიკა — XX საუკუნის 80-90-იანი წლები — ამსგავსებს, რაც სრულიად გამორიცხავს გავლენას.

ძალიან ცოცხალია ბატონი გივის რომანში დიალოგები. ყველა ასაკისა თუ პროფესიის, სოციალური წრის პერსონაჟი თავისი ლექსიკით, თავისი ჟარგონითა თუ დიალექტიზმებით საუბრობს, ამით შენარჩუნებულია ნამდვილობის ეფექტი, კოლორიტი, დახატულია გარემო. ისიც კი შეიძლება ეგონოს ადამიანს, რომ ეს ფრაზები ახლა კი არ გამოიგონა ავტორმა, არამედ მოსმენისთანავე ზუსტად ჩაიწერა და შემდეგ გამოიყენა ნაწარმოებში.

იმ ამოყირავებულ, არეულ სამყაროში, სადაც მუხთლობა, დასმენა, ღალატი, მოტყუება, დატაცება... კაი კაცობად, ვაჟკაცობად ინათლება, რომანის ერთი პერსონაჟი, სიმართლისთვის დასჯილი მათე, და მისი ორიოდე მეგობარი როგორღაც ახერხებენ პიროვნული ღირსების შენარჩუნებას.

თუ პატიოსან, მაგრამ ღარიბ ადამიანს ეხარბება უზნეო, მაგრამ მდიდარი კაცის ცხოვრება, მაშინ მისი პატიოსნება და სინდისიც ფასს კარგავს. აი, მათესა და მის თანამოაზრეებს კი შეგნებული, გულსა და გონებაში გამოტარებული აქვთ სულიერი სიმდიდრის უპირატესობა ხორციელ სიმდიდრეზე. ამიტომაც ერთგვარი სიამაყითაც კი ატარებენ საკუთარ მძიმე ტვირთს და იბრძვიან რაც შეიძლება, ცდილობენ იბრძოლონ სიკეთის, სინათლის, სიყვარულის, წესიერების, ზნეობის გამარჯვებისა და დამკვიდრებისათვის.

სამწუხარო ის არის, რომ შევარდნაძის ეპოქის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა ჩვენში. იგივე ჩაგვრა, ძალადობა, დევნა-შევიწროება, ადამიანის ღირსების არად ჩაგდება, ერთეულთა მიერ მთელი ქონების დატაცება და უმრავლესობის გაღარიბება... სკამის შესანარჩუნებლად წამოწყებული და წაგებული ომები, რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს ადამიანმა...

თუ რომანის ავტორს დავუჯერებთ, ყოველივე უმსგავსობისა და უბედურების თესლი სწორედ შევარდნაძემ დათესა. არ ვიცი, რამდენად სწორია ყველაფრის ერთი კაცის, თუნდაც სახელმწიფოს მეთაურისთვის, დაბრალება. თუმცა მეთაურს რომ ბევრი რამის შეცვლა შეუძლია (სიკეთისკენაც და სიავისკენაც) და იმ ერთ კაცზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ქვეყანაში, ეს უდავოა. არც ვასილ მჟავანაძის გაიდეალებაში ვეთანხმები ავტორს, თუმც შევარდნაძესა და მას შორის განსხვავებას კარგად ვხე-

დავ. მომწონს შედარება: „შევარდნაძის საქართველოს ხელისუფლებაში მეორედ მობრუნება მეორედ მოსვლას დაემსგავსა“. ისეთი ვითარებაა დახატული, რომ როგორც ერთი პერსონაჟი ამბობს, „შეგრცხვება ადამიანი რომ ხარ“.

ღვთის უარმყოფელი და მგმობელი ხელისუფლის მიერ ფარისეველურად აღიარებული რწმენის საპირწონედ დახატულია ზოსიმე მოძღვრის ნათელი, შინაგანი შუქით გაბრწყინებული სახე. სავსებით რეალისტურია, რომ ერი და ბერი ერთნაირად განიცდის ქვეყნის სავალალო მდგომარეობას.

აქვე ვხედავთ სუფთა, სპეტაკ, შეუბღალავი სულის ქალებსაც. მაძღართა აღვირახსნილი უზნეობით შეძრწუნებულთ იმედი გვესახება, რომ ადამიანობა ჯერ მთლიანად არ გამქრალა, არ გადაშენებულა.

საიმედოა სწორედ, რომ გაუვალ სიბნელეშიც ჩაუმქრალი სანთლებივით ანათებენ მაღალი სულის პიროვნებანი. რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ ნაწარმოების დასასრული — მათე მიდის წუთისოფლიდან, მაგრამ პატარა ერეკლე (კოტესა და თინას ბავშვი) იბადება და მასთან ერთად ძლიერდება იმედი, რომ — ღვთის ნებით — მომავალი უკეთესი იქნება.

„ჩვენი მწერლობის“ ბოლო ნომერში წავიკითხე, ვარლამ შალამოვს დაუწერია: „ლაგერი იყო გამოცდა ადამიანის ზნეობრივი ძალებისა და ტუსაღთა 99 პროცენტმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარაო“. ალექსანდრ სოლჟენიცინი ასე შეპასუხებია: „თქვენი პიროვნებით და თქვენი შემოქმედებით განა თვითონვე არ უარყოფთ თქვენივე კონცეფციასო“.

თუ სწორად მიეხვდი და გავიგე, გივი სომხიშვილს იმის თქმა უნდა, რომ შევარდნაძის მმართველობის ხანა ზნეობრივ ძალთა გამოცდა იყო და უმრავლესობამ ეს გამოცდა ვერ ჩააბარა... მაგრამ, ვფიქრობ, რაკიღა არსებობდნენ მათეს მსგავსი, ზოსიმე მოძღვრის მსგავსი, კოტესა და თინას მსგავსი ადამიანები, იქ ეშმაკსა და სატანას ვერ გაუმარჯვნია და ესაა.

ერთ თავში („მუხთლობა არც აქ გვაკლია“) მთლიანად აფხაზეთის ომის ამბებია აღწერილი, არამარტო მართლად და დამაჯერებლად, არამედ — დოკუმენტურადაც.

გივი სომხიშვილი კარგი მთხრობელია. იგი ახერხებს გამოგონილი და რეალური ეპიზოდების ერთ მთლიანობად გაერთიანებას, შესანიშნავად ძერწავს ხასიათებს, კარგი მოქართულეა, ყურადღებას იქცევს მშვენიერი შედარებანი, ცოცხალი დიალოგები, ზომიერად გამოყენებული მეტაფორები...

და მაინც, რაც განსაკუთრებით მხიბლავს და მიზიდავს ამ რომანში, ავტორის პოზიციაა. წიგნიდან თანამოაზრე მესაუბრება და ხშირად ჩემს სათქმელს ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გადაჭარბებული მეჩვენება უარყოფითი ემოციის გამოხატვა (აკი ვთქვი, გაბრაზებული კაცის დაწერილს ჰგავს-მეთქი), საერთოდ, თითქმის ყველა საკითხთან ავტორსა და მე, როგორც მკითხველს, დაახლოებით ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს.

რომანს რუსთველური კონცეფცია მსჭვალავს: „ბოროტს სძლია კეთილმან"... „ქართველთა სიმდიდრე მაღალ ზნეობაში და სიძულვილზე სიყვარულის ზეიმშია", — ამბობს ავტორი და მას მკითხველის გულისთქმაც ასდევს.

ოღონდ...

ოღონდ ეს არის ერთი საკითხი, რომელშიც ავტორს ვერაფრით ვერ დავეთანხმები. მიკვირს და გამკვირვებია, ასე საღად მოაზროვნე კაცმა როგორ შეიძლება რუსეთი მხსნელად, გადამრჩენელად, ჩვენთვის სახელმწიფოს შემქმნელად მოიაზროს. ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებში უდიდესი ძალადობა, აგრესია, უსამართლობა... უნებლიეთ გაამართლოს.

იმის ნიშნად, რომ რომანი — ზემონახსენების მსგავსი პასაჟების გარდა — საერთოდ, ძალიან მომეწონა და ავტორის მიმართ ჩემი პატივისცემის დასადასტურებლად, აქ კამათს არ გავმართავ, მხოლოდ ილიას სიტყვებს შეგახსენებთ, მიხაილ ლერმონტოვის პოემის თარგმანში რომ ჩაურთო პოლემიკურ პასაჟად:

მას აქეთ, რაც კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა ის რუსსვე ასკეცად მისცეს.

ბებია-ბაბუების აპოლოგია

(ინგა მორგოშიას მთარგმნელობითი დებიუტი)

მიუხედავად იმისა, რომ 1978 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, მიუხედავად იმისა, რომ აქვს არაერთი სხვა პრემია და მისი რომანისა და მოთხრობების მიხედვით მრავალი ფილმია გადაღებული, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ისააკ ბაშევის ზინგერი პოპულარული მწერალია საქართველოში. ზინგერის ხსენებაზე ქართველს (მკითხველსაც კი) უმალ საკერავი მანქანა გაახსენდება, ვიდრე მწერალი ან ფილმი. არადა, ნობელი მიენიჭა თურმე „ემოციური თხრობის ხელოვნებისთვის, რომელიც საკუთარ ფესვებს მოუშორებლად, პოლონურ-ებრაულ კულტურათა გათვალისწინებით, მარადიულ კითხვებს წამოწევს“. ციტატა იმ შესავლიდან გადმოვიწერე, რომელიც ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობას, „მრეცხავი ქალი“ უძღვის წინ („ჩვენი მწერლობა“, 2015, 9 იანვარი). როგორც თითქმის ყოველთვის, რედაქცია მცირე, მაგრამ არსებით ინფორმაციას გვაწვდის ავტორის შესახებ. ისააკ ზინგერს რომ ჭეშმარიტებად მიაჩნდა შეხედულება — „ცხოვრება თვითონაა მოთხრობა“ — ამაში ინგა მორგოშიას მიერ ოსტატურად თარგმნილი ეს ნაწარმოებიც გვარწმუნებს.

ცხადია, თხზულებას ნამდვილი ამბავი დაედო საფუძვლად ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მწერალმა რეალურად მომხდარი ფაქტი შეულამაზებლად, გადაუკეთებლად გადმოგვცა.

ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს, ალბათ, ისეთი ეპიზოდები, სულს რომ ცხოვლად აჩნდება, მაგრამ სხვათა სულებზეც ასეთივე გავლენის მოსახდენად, კერძოში ზოგადის

დასანახად და სამყაროს კანონზომიერების შესაცნობად მწერლის თვალი, გული და ენაა საჭირო. შემდეგ კი უთუოდ მისივე „სულის ტოლი", გემოვნებიანი, განსწავლული მთარგმნელი, რათა სხვა ენობრივმა სამყარომაც გაიცნოს, გაითავისოს ან შეაფასოს მწერლის ნაფიქრ-ნააზრევი.

რომ არ ვიცოდე, ეს პუბლიკაცია, ინგა მორგოშიას, როგორც მთარგმნელის, დებიუტია, იგი უთუოდ გამოცდილი და პროფესიონალი მთარგმნელი მეგონებოდა. თურმე როცა ადამიანი შინაგანად მზად არის საქმისთვის, დაწყება არასოდეს არის გვიან, მით უფრო, როცა პირველივე ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდება.

ებრაული წარმოშობის მწერალი, ისააკ ზინგერი, სხვა ერის წარმომადგენლის (პოლონელის) პირადმა თვისებებმა მოხიბლა, მოაჯადოვა. ერთი მოხუცის საქციელი მთელ ერზე განავრცო, განაზოგადა და უშურველი ქება უძღვნა ქალსაც და ერსაც. ის სიამაყე და შრომის სიყვარული, რომელიც ღმერთმა ამ ერსა და ტომს არგუნა, საშუალებას არ აძლევდა მოხუცს, ემათხოვრა ან უსახლკაროთა თავშესაფარში დაბინავებულიყო. არ სურდა, ვინმეს ტვირთად დასწოლოდა და თავის ჭაპანს თვითონვე ეზიდებოდა.

ომის წლებში მძიმე შრომით, სხვისი თეთრეულის რეცხვით ირჩენდა ქალი თავს. სწორედაც ემოციურად (რისთვისაც ნობელი მიანიჭეს), დასამახსოვრებლად, სულისშემძვრელად გადმოგვცემს ავტორი მოხუცის საქმიანობასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს, ერთი შეხედვით წვრილმანსაც კი. სხვათა შორის, „ჩვენი მწერლობის" პუბლიკაციას ამშვენებს ირაკლი ჩიქოვანის მიერ შესრულებული შესანიშნავი ნახატი, სადაც გახსნილია მრეცხავის შრომის მთელი სიმძიმე —ზურგზე მოკიდებული უზარმაზარი ფუთა პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობას, ფიზიკური და სულიერი ტვირთის მნიშვნელობას იძენს.

მოთხრობაში მწერალი საკუთარ დედასაც აღუვლენს დითირამბს, თუმც ესეც განზოგადებული ხასიათისაა და ყველა ერისა და რჯულის დედას ეხება.

პირნათლად შეასრულა ქანცგამოლეულმა მოხუცმა თავისი მოვალეობა. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც არ დანებდა სიკვდილს, სხვისი ნივთები არ შეირჩინა, დაგვიანებით, მაგრამ ყველა-

ფერი პატრონს დაუბრუნა. „ვერ ვისვენებდი ლოგინში, სარეცხი მქონდაო, — ყვება მერე, — სარეცხი არ მაძლევდა სიკვდილის უფლებასო". გასაგებია, რომ სინდისი არ აძლევდა, ნამუსი არ აძლევდა უფლებას, ისე მომკვდარიყო, რომ პირობა არ შეესრულებინა... ამ მრეცხავი ქალის გარეშე სამოთხე ვერ წარმომიდგენიაო, — ამბობს სხვა ერის მწერალი. მართლაც ასეთი ადამიანები ალამაზებენ სამზეოს და სამოთხეს შეგვაგრძნობინებენ ამქვეყნადაც. ისინი დიდხანს, იქნებ სამუდამოდაც მოგვყვებიან ცხოვრების გზაზე და მარადიულ კითხვებზე დაგვაფიქრებენ.

მოთხრობამ შეუძლებელია ქართველ მკითხველს რევაზ ინანიშვილის „ლამაზი ცრემლები" არ მოაგონოს. ბევრი რამ განასხვავებს ქართულ და უცხოურ მოთხრობებს ერთმანეთისგან, ამ სხვადასხვაობას კაცი იოლად შენიშნავს, მაგრამ საერთოც თვალშისაცემია — უკანასკნელი ძალისხმევა მოვალეობის შესასრულებლად — კეთილსინდისიერების, ზნეობის, სულის სიმაღლის ზეიმი.

სულ ახლახან „ჩვენს მწერლობაში" ლეილა მესხის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები ქვეყნდებოდა. ბევრი რამით მიიპყრო ამ მხატვრულ-დოკუმენტურმა თხრობამ ჩემი ყურადღება. ახლა ერთი ეპიზოდი გამახსენდა — როგორ სტუმრობდა რევაზ ინანიშვილი ქუთაისს; როგორი შთაბეჭდილება (თითქმის უღიმღამო) დატოვა მისმა წაკითხულმა ნოველამ მოგონების ავტორზე. ვიღაც მხერხავი, შეშა... ვერაფრით ისიამოვნა თურმე. საღამოს, შინისკენ მარტო მიმავალს აედევნა, აეკვიატა შეშა და მხერხავი, მთელი თავისი დიდებულებით გაიაზრა ნოველის შინაარსი და მასზე ფიქრიც ვერ მოიშორა.

ესეც აახლოებს ერთმანეთთან ინანიშვილისა და ზინგერის ნაწარმოებებს — არცერთი არ ბრწყინავს გარეგნული სამკაულებით, ყალბი მჭვირვალებით. ნამდვილად ღირებული მათში სწორედ იმ ცრემლის გულწრფელობა და სიკამკამეა, მკითხველი რომ ღვრის. ორივე მარადიულად აგედევნება და ვერცერთზე ფიქრს ვერ მოიშორებ. ამ თხზულებებს არამარტო ლიტერატურული, არამედ ზნეობრივი ფუნქციაც აქვთ. ესეც განაპირობებს მათ სიდიადესა და ბრწყინვალებას.

* * *

2015 წლის 6 მარტის „ჩვენს მწერლობაში“ კვლავ ინგა მორგოშიას თარგმნილი ნაწარმოები დაიბეჭდა. ამჯერად — რუდოლფო ა. ანაიას „ბაბუების ზეიმი“. ჩანს, მთარგმნელს სერიოზულად მოუკიდნია ხელი ამ, მისთვის აქამდე უჩვეულო პროფესიისთვის და ეს ლოგიკურიცაა და სასიხარულოც იმიტომ, რომ აშკარად კარგად გამოსდის ეს საქმე. ჟურნალის რედაქციისგან, მართალი რომ ვთქვა, გამიკვირდა ყოველგვარი შესავლის გარეშე უცხოური ნოველის გამოქვეყნება. ასეთ შემთხვევაში ავტორი იმდენად ცნობილი, საყოველთაოდ სახელგანთქმული უნდა იყოს, რომ საგანგებო წარდგენა მკითხველის წინაშე არც სჭირდებოდეს.. ალბათ, მე ჩამოვრჩი უღვთოდ ლიტერატურულ მოვლენებს და ანაიას, ჩემ გარდა, ყველა იცნობს-მეთქი, ვიფიქრე და ცნობების მოსაძიებლად, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, კომპიუტერს მივმართე. დიდი ვერაფერი. დავადგინე, რომ სამხრეთ-ამერიკელია და მისი ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ერთ ფილმსაც წავაწყდი. ესაა და ეს.

მაგრამ, აბა, რომელი ინტერნეტი გვეტყვის უფრო მეტს, ვიდრე თუნდაც ეს ერთი ნოველა, „ბაბუების ზეიმი“ გვეუბნება?! ბავშვური გულუბრყვილობით მომღიმარი, სიმპათიური, ჭაღარა მწერალი ბავშვიცაა და მოხუციც ერთდროულად და სოფო ელიაშვილის მიერ დახატული ბაბუა და შვილიშვილიც მარტო ქუდებით არ ჰგვანან ერთმანეთს. მზერა, სული აქვთ საერთო (ხომ ვიყავი მე შენხელა? ხომ გახდები შენ ჩემხელა? აბა, რა განსხვავებაა ჩვენ შორის? — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“).

ამ გაგანია ლიბერალიზმის დროს ასეთი კონსერვატული სულით გაჟღენთილი ნოველის დაწერა (და თარგმნა და გამოქვეყნება) უთუოდ არის დაკარგული სიმშვიდის, კოსმიური ერთობის, ღვთიური წესრიგის, დედამიწის პულსის შეგრძნების, რაღაც ძალიან ჩვეულებრივის და იმავე დროს განსაკუთრებულის, მაგიურის მონატრება.

ჩვენი მოხუცები მოთმინებას გვასწავლიან, ენთუზიაზმს გვინერგავენ, მხნეობას გვმატებენ, სიკეთის მაგალითებს გვაწვდიან, რწმენას განგვიმტკიცებენ, სხვათა პატივისცემას შთაგვაგონე-

ბენ, და ბოლოს და ბოლოს, დაგვაფიქრებენ, სად ვდგავართ (ვინა ვართ, საიდან მოვსულვართ...), — ასე ყოფილა სამხრეთ ამერიკაში. თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანს საგონებელშიც კი აგდებენ თურმე, იმდენად შერწყმულნი არიან ბუნებასთან, ცხოვრებასთან, ერთმანეთთან, წარსულსა და მომავალთან. „ნეტა, წვიმა მოვიდესო“, —კი არ ამბობენ, არამედ ლოცულობენ, რომ წვიმა მოვიდეს და ზეცა ისმენს მათ ვედრებას, რადგან ისინი უხილავი ძაფებით არიან დაკავშირებულნი სამყაროსთან, თანამონაწილენი გახლავან იმ ძალებისა, რომელთაც წვიმა მოჰყავთ ან გვიცავენ მისგან.

ბევრ სიკეთეს სწავლობდნენ ყმაწვილები მშვიდი, გაწონასწორებული, ბრძენი, ზემხედველი ბაბუებისგან. „როდესაც ისინი საუბრობდნენ, ჩვენ, ახალგაზრდები, ყურადღებით ვუსმენდით... მათ იცოდნენ დედამიწის ზურგზე ყველაზე უკეთ, თუ როგორ შეიძლებოდა ბავშვის აღზრდა“, — ვკითხულობ და არც კი მჯერა, რომ ამას ოკეანისგაღმელი მწერალი ამბობს...

აკი ალექსანდრე ორბელიანიც ამასვე გვიბეჯითებს — ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ ყველაზე კარგად, როგორ უნდა აღეზარდათ ოჯახში ბავშვიო. ხერხები და მეთოდები იგივეა, მცირე, უმნიშვნელო განსხვავებით.

„ღმერთმა ბედნიერი დღე გაგითენოთ“, — პატივისცემის გამომხატველი ამ მისალმებით იწყება ნოველა, შუაში კიდევ ერთხელ მეორდება იგი და ამავე მიმართვით მთავრდება. ამბავი (ნარატივი) ძალიან მკრთალია, უენოს დიას დე იოს გვევლინება სიუჟეტის შემკვრელ, წარმმართველ ფრაზადაც და განწყობილების კამერტონადაც.

განსაკუთრებით ამაღელვებელია ნაწარმოების ბოლო ნაწილი, რომელშიც უკვე დაუძლურებულ, ლოგინად ჩავარდნილ, 94 წლის ბაბუაზე გვიამბობს ავტორი. და რა მართალია ანაია, პრესაში (და დავუმატოთ — ტელევიზიაშიც) შექმნილ ხანდაზმულთა ყალბ იმიჯს რომ ამხელს. თითქოს ყველა ასაკოვანი კვლავ ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს, სანაღვლოც არავის არაფერი ჰქონდეს, ძველებური ენერგია მოსდევდეს და ჰოლივუდური ღიმილიც ამშვენებდეს. არ არის რეალობაში ასე.

ადამიანის ცხოვრების ამ ციკლს (სიბერეს) თავისი მახასიათებლები აქვს. „ბოლო წლებში ყველაფერი არ მიდის მშვიდად. ზოგი ტირის, ილანძღება, ავიწყდება იმ ადამიანთა სახელებიც კი, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარდა“. ამას დამალვა და სირაქლემის პოზის მიღება ვერ შეცვლის. მხოლოდ მათგანვე ნასწავლი მოთმინება თუ შეანარჩუნებინებს ადამიანს საკუთარსა და ბებია-ბაბუების ღირსებასაც.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ასე თარგმნა ჟან ბატისტ რუსოს ერთი ლექსის ბოლო სტროფი:

ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით ქედსა
მშვილდებრ მოვიხრებით,
ყოველთავე მოვძაგდებით,
ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით,
სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი,
მახვილ-ღებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტყვის:
ახით ნაშვნო, მოკვდით ვებით!

ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი ბაბუას, შემიძლია იგი ჩემს სიზმრებში დავინახოო, — გულში სამუდამოდ აღბეჭდილი სიყვარულია ის ძალა, რომელიც გამუდმებით ფესვებისკენ აბრუნებს რუდოლფო ანაიას და მასთან ერთად ჩვენც. მიუხედავად მსოფლიო გლობალიზაციისა და ჩვენიც (ქართველთა) გაევროპელება-გაამერიკელებისა, ქართულ ყოფაში ჯერ კიდევ არის (არ ვიცი, რამდენად ძლიერია) ძველი, პატრიარქალური ოჯახების ტრადიცია, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს და ბებია-ბაბუები წმინდა, უმწიკვლო ზნეობას ასწავლიან ახალგაზრდებს.

დაბოლოს: ქართული თარგმანის ტონალობა სავსებით ბუნებრივი და სათქმელთან შერწყმულია. და რომ არა ავტორის უცხოური გვარ-სახელი და პუბლიკაციის ბოლოს გარკვევით მინაწერი: ინგლისურიდან თარგმნა ინგა მორგოშიამ, „ბაბუების ზეიმი“ ქართველი კაცის ნაფიქრი, განცდილი და დაწერილი მეგონებოდა.

ეს ფერადი, ჯადოსნური სამყარო

(გიორგი ლობჟანიძის მემუარული ჩანაწერები)

მოგონებებს, მემუარებს, ავტობიოგრაფიულ რომანს, როგორც წესი, ხანდაზმული, ხანმოთეული ადამიანი წერს, ბევრის მნახველი, განმცდელი, გადამტანი. ახლგაზრდას თუ დაუწერია ან საინტერესო თუა შუახნის კაცის მოგონებები? კითხვა რიტორიკული გამომივიდა. პასუხი ხომ ისედაც ცხადია. მწერლის ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, მისი ნიჭიერება და სანდოობაა, რა თქმა უნდა, მთავარი.

ბოლო დროის საყურადღებო ლიტერატურულ მოვლენად მიმაჩნია გიორგი ლობჟანიძის ავტობიოგრაფიული რომანის — „ჩემი ფანჯრებიდან" — რამდენიმე მონაკვეთის გამოქვეყნება პრესაში. დასაწყისი „ლიტერატურული გაზეთის" ნომრებში დაიბეჭდა, ერთი, ვრცელი ნაწყვეტი კი — „ჩვენს მწერლობაში". დამოუკიდებელ თხზულებადაც აღიქმებაო, — ვკითხულობთ ჟურნალის სარედაქციო წინათქმაში და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს. მართლაც, ერთი დასრულებული ნაწარმოებია შიგ ჩართული რამდენიმე ნოველით და სანოველო ეპიზოდით.

ეპიგრაფი ხსნის მწერლის მიერ მოვლენათა აღქმის, ხედვის რაკურსს. „ჩვენ ყოველივეს ვხედავთ არა იმგვარს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორებიც ჩვენ თვითონ ვართ" (თალმუდი). როცა სიყვარულით, სითბოთი, მონატრებით, მადლიერებით გამთბარ თხზულებას ვეცნობით, ჩვენ წინაშე თვითონ ავტორი იხატება. უამრავი მეორეხარისხოვანი წვრილმანი აშიშვლებს, ააშკარავებს ეპოქის სულსაც და სარკესავით აირეკლავს

მთხრობელსაც. მიმზიდველი, ლაღი, იუმორით უხვად შეზავებული სტილით გადმოცემულია ცხოვრებისეული ტკივილებითა თუ სიხარულით აღსავსე ყოველდღიურობა. ავტორი წარმატებით ახერხებს მკითხველშიც იმავე გრძნობის აღძვრას, რომელიც თვითონ ჰქონდა იმ წუთებში, რომელზეც გვიყვება.

გიორგი ლობჟანიძე საგულისხმოდ გადმოგვცემს პატარა, პროვინციული ქალაქის ყოფას, ძერწავს პიროვნებათა ხასიათებს, დაგვანახებს ახალგაზრდის სულიერი ფორმირების გზას... იგი მარტო იმას კი არ გვიჩვენებს, რაც გარეთ, ყველას თვალწინ ხდება, არამედ, და საყურადღებოც სწორედ ესაა, შეგვახედებს კედლებს მიღმაც და მართალი, შეულამაზებელი სურათების გაცოცხლებით ამოგვაცნობინებს ქალაქის არსს. მწერალი გულწრფელ და ყველაზე ნამდვილ გრძნობებზე გვესაუბრება — ტკივილსა და სევდაზე, სიყვარულსა და სიცოცხლის სიხარულზე და ჩვენც ნანახ-განცდილის თანამოზიარედ გვხდის.

საჟურნალო პუბლიკაციაში თხრობა საყოფაცხოვრებო პირობების აღწერით, ბინაში რემონტის გახსენებით იწყება. ასეთ პროზაულ დასაწყისს კი თურმე საკმაოდ რომანტიკული და ამაღელვებელი ამბავი უნდა მოჰყვეს — როგორ აჩუქეს მეგობრებმა საჭირო ავეჯი. „ზემოდან, მეხუთე სართულიდან გადავხედე და ყველა რაღაცნაირად სიხარულით განათებულიყო. დარეჯანი მაინც ოსმალოზე გამარჯვებულ მხედართმთავარს ჰგავდა, თავი ამაყად აეწია და თმას ქარი უფრიალებდა", — ბევრნაირად შეიძლება შენს კეთილისმყოფელს მადლობა გადაუხადო, მაგრამ შენზე გაწეული ზრუნვის დროს მისი სიხარულის შემჩნევა, დამეთანხმებით, მთლად საყოველთაო და ჩვეულებრივი თვისება არაა. მადლიერების ასე კორექტულად, სასიამოვნოდ გამოხატვის კიდევ არაერთი ნიმუშია თხზულებაში. გამორჩეულად მაინც ალეკო ღონღაძისა და კარლო ტაბატაძის ტაქტი და ეგრეთ წოდებული პედაგოგიური მიდგომა დაამახსოვრდება ადამიანს. არც ნაბახტევში ზიზო ძალოს მიერ შემოწოდებული პომიდვრები და მობოდიშებაა დავიწყებული ავტორის და დასავიწყებელი მკითხველის მიერ.

გიორგი ლობჟანიძე ძალიან მოკლედ, ხან სულ ორიოდე წინადადებით, თითო შტრიხით ხატავს დასამახსოვრებელ, სახიერ პორტრეტებს საზოგადოებისთვის კარგად ან ნაკლებად ცნობილი თუ სულ უცნობი ადამიანებისა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მკითხველი, იქნებ არც ეთანხმებოდეს ამა თუ იმ პიროვნების (პოლიტიკოსის) ავტორისეულ დახასიათებასა თუ შეფასებას, ყოველთვის გრძნობს, რომ ეს თავისუფალი ადამიანის თავისუფალი აზრებია. ზურაბ კიკნაძე, ტარიელ ხარხელაური, მარინა თექთუმანიძე, ფატი კურტანიძე, გოდერძი ჩოხელი, მურთაზ ლიპარტელიანი, ირინე გოცირიძე, პაატა ნაცვლიშვილი, ნაზი კილასონია, ოთარ ჩხეიძე — ავტორის მიერ შექმნილი ფერადი, მრავალშრიანი, მრავალპლანიანი პალიტრის ბინადართა ჩამონათვალი სრული არაა, ამას ემატება სხვა მეგობრების, ოჯახის წევრების, თანასოფლელების, მასწავლებლების, კლასელების... თითქმის სრულყოფილი სახეები და ისინი ჩვენთვისაც დიდი ხნის ნაცნობები და მეგობრები ხდებიან, თანაც ისე, რომ მათ მხოლოდ საუკეთესო მხრიდან ვხედავთ. ეს გარემოება, ცხადია, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყოველი მოგონება, ყოველი ეპიზოდი, სუნთქვა და განწყობა მთელი ნაწარმოებისა თვითონ ავტორის, მისი სულიერი მდგომარეობის ანარეკლია. ჩვენ კი ასეთი წიგნების კითხვით გვეძლევა შესაძლებლობა სხვა ცხოვრების გავლისა.

ძალიან ფრთხილად, ფაქიზად გვიამბობს ავტორი თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობისდროინდელ სატრფიალო გატაცებებზე (მაშინ რომ სიყვარულს არქმევდა). ხშირად იუმორსა და ირონიასაც იშველიებს თხრობის დროს, თუმცა ირონიულად მხოლოდ საკუთარ თავს, საკუთარ საქციელსა და გრძნობებს იხსენებს და არავითარ შემთხვევაში — სხვისას. ხალისობს, მხიარულობს, ლაღობს, სიხარულისა და ბედნიერების ძველ განცდას იბრუნებს და ჩვენც აგვიყოლიებს და გვახალისებს, თან გულისხმაშიც ჩაგვაგდებს ხოლმე ყოველგვარი დაძაბულობისა და დიდაქტიკის გარეშე.

ზემოთაც აღვნიშნე, რამდენიმე სრულყოფილი ნოველაა-მეთქი თხზულებაში, ზოგი მათგანი იუმორისტულია, ზოგი —

ყოფითი, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და სხვა, აი, ერთი კი — ტრაგიკული, შემძვრელი თავისი სიუჟეტით (მითუფრო, რომ ამბავი გამოგონილი კი არა, რეალურად მომხდარია).

ერთ-ერთი დის, მარინას, ოჯახს გვაცნობს გიორგი (საერთოდ, არაჩვეულებრივად აქვს გადმოცემული დებისა და შინაურთა ხასიათები და გარემო), ვის ოჯახშიც ცხოვრობდა სტუდენტობის პირველ ხანებში. ზოგადად მეგრელთა ბუნება და სხვა კუთხის მცხოვრებთადმი დამოკიდებულებაა გახსნილი მარინას მეგრელი დედამთილის სიტყვებში, რძალს „ქორთუს" რომ ეძახდა. ყოფითი დეტალები ზუსტადაა გადმოცემული შვილმკვდარი დედის მიერ სახლში ტელევიზორის ჩართვის აკრძალვით, გარდაცვლილის დატირების რიტუალის აღწერით, გარდაცვლილის სულისთვის თეფშის დადებითა და მაგიდასთან გამოწეული სკამის დატოვებით, მძიმე ძაძებში გახვეული ახლობლებისა და ოდაში გამეფებული მისტიკური გარემოს გახსენებით...

პეიზაჟს ნაკლები ადგილი ეთმობა თხრობაში, საერთოდ. გამონაკლისად ავტორის ბავშვობისდროინდელი თხზულება მოჩანს მშობლიური სოფლის, ნაბახტევის შესახებ და ამავე სოფლის რუკა, რომელზედაც ყველა მნიშვნელოვანი ადგილი აღუნიშნავს მის პატარა მცხოვრებს და შესაბამისი ლექსიც მიუწერია. ჩანს, იქაური მდინარე, გორაკი, ციხე, საყვარელი ხე თუ შუქი დღესაც განსაკუთრებულ გარემოს უქმნის მას და ამას ვერაფერი შეცვლის. შთამბეჭდავი და დაუვიწყარია აგრეთვე თიანეთისკენ მიმავალი, თოვლითა და იებით მოფენილი გზა (ტარიელ ხარხელაურთან სტუმრობისას რომ გაიარა)... სხვაც, მაგრამ მეგრული ოდის, ეზოს, შეღამების სურათები გამორჩეულად პოეტური და დასამახსოვრებელი მგონია.

თვითონ განსაჯეთ: „ქართლის ეზოებისაგან განსხვავებით, ეს მეგრული ეზო ერთ რამედ ღირდა, მწვანე ბალახში ჩაფლული უზარმაზარი ტერიტორია, სადაც მსხლისა და ხურმის ხეები გადაშლიყვნენ, ხეების შუაში კი უზარმაზარი ჭა წამომართულიყო თავისი იდუმალი, ჭრიალა ოწინარით,"— ასე დამახსოვრებია ბავშვობაში ნანახი და დარწმუნებული ვარ, არაფერი ამაში სიყვა-

რულით გადაჭარბებული არ არის, მეხსიერების ცდომა არაფერ შუაშია. ეს ტიპური მეგრული ეზოა. ახლა შეღამება გავიხსენოთ და სხვა ციტატებით აღარ გადაგღლით: „განსაკუთრებით მტკივნეულად საღამოს მოახლოებას განვიცდიდი ჩემს სოფელშიც და, მითუმეტეს, სამეგრელოში, სადაც ისე უცნაურად მწუხარედ ღამდება, რომ კოლხური ციცინათელების სიმრავლეც კი ვერ მიმსუბუქებდა გულზე შემოწოლილ იდუმალ კაეშანს".

მაგრამ სტუმარი ბავშვის ნაღველი ან მწუხარე შეღამება რა მოსატანია იმ ტრაგედიასთან, რაც ოჯახს შეემთხვა. სამეგრელოსთვის მთლად სახასიათო და სავიზიტო ბარათი არ არის გულიშას მოთქმა: „მე რომ კაცები მყავდნენ სახლში, ჩემი უსამართლოდ მოკლული შვილის ჯავრს როგორ შემაჭმევდნენო". თუმცა ხდებოდა ასეც. ქალი, დედა აქეზებს ორ ცოცხალ შვილს იმ ერთის, მოკლულის სისხლის ასაღებად. ციხე — მკვლელისთვის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი — სულაც არ მიაჩნია საკმარისად. ერთადერთი სამართლიანი სასჯელი, მისი აზრით, მურთაზის ძმების მიერ სისხლის აღება იქნება. და მერე, წლების შემდეგ გაიგეს უკვე ყოფილი რძლისიანებმა გამაოგნებელი ამბავი, რომ მარინას პირველმა ქმარმა, ფრიდონმა, ფრიად კეთილმა და თვინიერმა ადამიანმა, არ შეირჩინა ძმის სისხლი, დედას ნატვრა (თუ დავალება) აუსრულა და შემზარავი მკვლელობა ჩაიდინა. ხოლო რაც ამის შემდეგ ხდება, სინამდვილე რომ არ იყოს, გამოგონება გაუჭირდებოდა ადამიანს. თანადგომისა და თანაგრძნობის, პიროვნულ წყენასა და ამბიციებზე ამაღლების იშვიათი, თითქმის წარმოუდგენელი, სანიმუშო მაგალითი იხატება ჩვენ თვალწინ.

დაპატიმრებული შვილის სანახავად რუსთავში ჩასული დედამთილ-მამამთილი რომ მარინას ახალ ოჯახში რჩებოდნენ ხოლმე ღამის გასათევად, ეს არაფერი, პირველი ქმრის მეორე ცოლის სტუმრად მიღებას და მასთან გულიან ჭორაობასაც არ ჩავუთვლით მთლად გმირობად (ტყუილად არ გახსენებია მესამე დას ბრაზილიური სერიალები). თუმცა არც ეს გახლავთ ჩვეულებრივი საქციელი, მაგრამ გამოკვეთილი ფიგურა ამ ეპიზოდში მაინც მარინას მეორე ქმარია, სვანი ფრიდონი. ეს მეორე ფრიდონი თურმე საკუთარი დედ-მამასავით ექცეოდა პა-

ტიმრის მშობლებს და იმ პირველ ფრიდონს ციხეში ძღვნად სისტემატურად უგზავნიდა სიგარეტს, გაოცებულ ნათესავებს კი მშვიდად უხსნიდა, რომ „სამართლიან საქმეზე“ მჯდომი პატიმრის განკითხვა ყველა კაცის მოვალეობაა. მკაცრ, უხეშ, შემზარავ მოვლენას ზოგჯერ როგორ არბილებს, ამსუბუქებს კეთილშობილ კაცთა ქცევა. რამდენი რამე უნდა გადაიტანოს ადამიანმა ნერვების უკიდურესი დაძაბვის ფასად, რომ უბრალო და მარტივ ჭეშმარიტებას მიხვდეს: ბედნიერება არის ურთიერთგაგება და მშვიდი ოჯახური ცხოვრება. ამ ჯადოსნურ შეგრძნებას კი დიდი ძალისხმევა ჭირდება და ბოლოს და ბოლოს შესაძლებელია შიშის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, წინააღმდეგობის, შურისძიების გრძნობის დაჯაბნა...

ვფიქრობ, უკვე გამოქვეყნებული ნაწყვეტების მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი ლობჟანიძის ეს ავტობიოგრაფიული თხზულება გამორჩეული ლიტერატურული მოვლენაა თავისი სტრუქტურითა და ქარგით, საერთო ფონით, ცოცხალი ხასიათებით, მწერლის სტილით. მოუთმენლად ველოდებით თხზულების შესაფერის გაგრძელებასა და დასრულებას, რათა ჩვენც ავტორის ფერად და ჯადოსნურ სამყაროში ჩავეფლოთ.

მოთხრობების კრებული თუ რომანი?

(გიორგი სოსიაშვილის „გამორთული მთვარე")

— მოთხრობა? — არა. მინიატურა? — არა. ჩანახატი? — არც ჩანახატი. — ასე ამთავრებს გიორგი სოსიაშვილი კრებულის „გამორთული მთვარე" პირველ მოთხრობას, „2008 წლის შვებულება". მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს ჟანრს, როცა სათქმელი გულის სისხლით იწერება და სისხლითვე აღიბეჭდება ქაღალდზე. თუ მაინცდამაინც ჟანრი უნდა განისაზღვროს, ალბათ, მხატვრულ-დოკუმენტური ნოველაა.

„ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძევ, იმ გულის დატკბობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამსა", — ასე გრიგოლ ორბელიანი შეეგება ალექსანდრე ყაზბეგის გამოჩენს სამწერლო ასპარეზზე და გულის დატკბობაში მხატვრულ ეფექტთან ერთად უთუოდ გულისხმობდა იმ სიმართლეს დამპყრობლის შესახებ, რომელსაც ასე აშკარად და ხელშესახებად გვიხატავდა მოჩხუბარიძე და რომელიც კარგად იცოდა გრიგოლ ორბელიანმაც, მაგრამ მიზეზთა გამო გულში იმარხავდა.

მკითხველისა და მწერლის შეხვედრის, ურთიერთგაგების გზა გულზე გადის. მარტო კი არ უნდა შეიცნო, არამედ უნდა შეიგრძნო მონათხრობი და ამაში წარმმართველი როლი, რა თქმა უნდა, მწერალს აკისრია.

ძარღვიანი ქართული სიტყვით, კონკრეტულის აბსტრაჰირებით, ცოცხალი სურათების ხატვით გვამახსოვრებს ავტორი თავს. კრებულში შესული ყველა ნოველა ომისდროინდელ და შემდეგი ხანის ცხოვრებას აღწერს ქართლში. ბატონი გიორგი ნანახსა და განცდილს მოგვითხრობს აკაკისეული (საერთოდ, რეალისტთა) პრინციპით:

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია
ან თვალს უნახავს
და ჭკუას გაუზომ-აუწონია.

და ამ გაზომვა-აწონვის გარეშე, მოგეხსენებათ, ლიტერატურა არ არსებობს.

ზემოთ გრიგოლ ორბელიანი ვახსენე, მან ყაზბეგი ჰომეროსს შეადარა. მე უფრო თავშეკავებული ვიქნები და არც ჰომეროსს ვახსენებ, არც ბალზაკს და არც სხვათ. სოსიაშვილი სოსიაშვილია, მას თავისი სამყარო აქვს — მაღალი, დიდი სევდა-ნოსტალგიით გაზავებული, მაგრამ მაინც ნათელი და თბილი. მწერალი გვიხსნის ამ სამყაროს კარს, რომლის მოსახილველადაც გონებაზე არანაკლებ გულისყური სჭირდება მკითხველს.

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ კრებული მონასტრის ხსენებით იწყება, შეკითხვით: რამ შექმნა სამყარო? — და მთავრდება პასუხით, თუ რისთვის შეიქმნა სამყარო და რისთვის ღირს სიცოცხლე. ამ კითხვა-პასუხს შორის არის მოქცეული ყველა ამბავი, ერთ ძაფზე აკინძული, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ფაქტობრივად, რომანია მოთხრობებად (როგორც გიორგი ლეონიძის, ოთარ ჩხეიძის, ელგუჯა თავბერიძის... ნოველებისა თუ მოთხრობების კრებულები). ბუნებრივია, რომ პერსონაჟები ერთი მოთხრობიდან მეორეში, ერთი ნოველიდან სხვაში გადადიან და მკითხველის ახლობლები, კარგი ნაცნობები ხდებიან. როგორც ფუფალა და დაღლარა (სხვანიც) არიან ჩვენიანები, ასევე დაუვიწყარ ნაცნობებად რჩებიან ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ჯაგა და მისი მეზობლები (სხვათა შორის როგორც საკუთარი სახელებით, ისე საინტერესო მეტსახელებით: ჩიტო, მაღალ-დაბალი, ტაშივასო და სხვა).

„2008 წლის შვებულებაში“ ხშირად მეორდება დიალოგი: — წავიდეთ! და პასუხად: — სად წავიდეთ? — წავიყვანოთ! და: სად წავიყვანოთ? — წადი! და პასუხად ისევ: — სად?

არ ვიცი, მხატვრული თვალსაზრისით რამდენად გამართლებულია ეს გამეორება, ის კი ვიცი, რომ განცდა ჩემთვის ძალიან

ნაცნობია, მაშასადამე, მწერლის გულშია გამოტარებული და, რაც წრფელია და ბუნებრივი, ის მხატვრულიცაა და ემოციურიც (ვისაც არ გამოუცდია, იქნებ ბოლომდე ვერც გაუგოს მწერალს). ერთი მთავარი ღირსება ამ წიგნისა გულწრფელობაა, მასში არაფერია ნაძალადევი. მწერალი თვალებს არ იჭიჭყნის, იქნებ ცრემლი მომივიდესო, არამედ ცხოვრების მდინარის ძირშია ჩასული და უშიშრად გამოხატავს ლექსა და ლაფსაც და მარგალიტებსაც.

მაინც რა დაწერა ავტორმა — მოთხრობა? მინატურა? ჩანახატი? რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ყოველი სიტყვა გულის მონაწურია და ასეა ყველა მოთხრობაში.

აქ თითისტოლა გოგო, თითისტოლა ქვეყნის შვილი, წერილს უგზავნის კაცობრიობას.

აქ საკუთარ თავგადასავალს ყვება გარდაცვლილი ვანო ბაიდაური, რომლის საფლავსაც სახელისა და გვარის მაგივრად ნომერი აწერია. დაბომბვაში მოყოლილმა იგრძნო, როგორ ეყრება სული სხეულს, და გაიგო სიკვდილის არსი. თითქოს მხოლოდ იმიტომ გაწირა სიცოცხლე, რომ ეს ბავშვური ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა... რას მოვიფიქრებდი, რომ მეც სამასი არაგველის ბედს გავიზიარებდიო... იმათი, რომელთა შესახებაც ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა: „აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის, ჰაერში განქრა მათი სახელიო". ეს ის ბიჭები არიან, საკუთარი თავის შესაცნობად რომ მიდიან ომში, უჭმელ-უსმელები, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით გამაძღარ-დარწყულებულები, სიკვდილისთვის ან გამარჯვებისთვის... გულგრილ მკითხველს იქნებ პათეტიკაც მოელანდოს ამ ჩანაწერებში, ან პუბლიცისტური სტილი, მაგრამ იმას, ვისაც ცრემლები გულში ეღვრება, სტილისთვის უბრალოდ არ სცალია. ისე, გამოუცდელ მკითხველს პათეტიკა ჰგონია ესეც: „მაგრამ, ჰოი, გმირნო, ნუ შეშფოთდებით, თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით", არადა, ჩვენ ხომ ვიცით, ამ სტრიქონებში ერთი ბეწო პათეტიკისა არ ურევია.

სოფელი შეძლებისდაგვარად უფრთხილდება, იცავს, ინარჩუნებს მამა-პაპათა ადათ-წესებს. თუმც, რაც უნდა ეცადო, რა-

ღაც მაინც იკარგება, ქრება, დნება თვალსა და ხელს შუა. წუხან ამის გამო ხანდაზმულები, არ იციან ბავშვებმა დაკარგული საუნჯის შესახებ. მაგრამ რაც შენარჩუნებულა... როგორ მოსწონთ ალილოზე ჩამოვლა, კვერცხების შეგროვება!.. თვითონ ბატონი გიორგი ეფერება ე.წ. ჭონის ლექსებს, მთელ ჭონას — მზადებიდან დაწყებული, შეგროვებული კვერცხების გაყოფით დამთავრებული. და თხრობა კვლავ ომსა და მის შედეგებს დასტრიალებს. ომმა ბავშვობა წაართვა გადარჩენილებს. სხვაგან ვერ ივლიან — სურვილი აღარ ექნებათ ჭონაზე სიარულისა. დამთავრდა, სამუდამოდ გაქრა რაღაც. ჯერ ისიც მტკივნეულია, რაც ისედაც მიდის, უომრადაც, და ძალითა და ომით წართმეული როგორი უნდა იყოს?!

ვერ ეგუებიან ადამიანები თავიანთი საცხოვრებლისაგან მოწყვეტას. სხვადასხვანაირად აღწერილა ჩვენს თუ მსოფლიო ლიტერატურაში ომის ტრაგედია და სამშობლოს მოწყვეტილი კაცის განცდები (ალ-ბარღუთი, შორენა ლებანიძე, ზაურ კალანდია, სერგო წურწუმია ...). და კიდევ ერთი ფერი და ერთი ხმა შეემატა ამ რკალს გიორგი სოსიაშვილის სახით.

ჯიუტად მიიწევს სოლო თავისი ნასოფლარისკენ („ნასოფლარის ჭირისუფალი"), უნდა თვალი მოკრას, ერთხელ მაინც დახედოს თავის საცხოვრებელს და, როცა თვითონ იხილავს დამწვარ, დანგრეულ, ღობემილეწილ, ეზოგაჯადაებულ სახლებს, გამოცარიელებულ ბოსელს, გამურულ, ჩაქცეულ კედლებს, შეიგრძნობს გაჩერებულ დროს, თვითმკვლელობის მეტი რაღა დარჩენია. თვითონაც თავს იკლავს სოფლის ჭირისუფალი და ასე შეუერთდება იმ სანუკვარს, რომლის ხილვაც სურდა (შეიძლებოდა კრებულის საერთო სათაურადაც ამ მოთხრობის სახელი „ნასოფლარის ჭირისუფალი" შეერჩია ავტორს).

სხვანაირია „ორმოცი წამი". დევნილობაში გარდაცვლილი ახალგაზრდა კაცი ნუგეშს იმაში პოვებს, რომ სული ორმოცი დღე სახლში იქნება. რადგან მშობლიური სოფლის ერთი მუჭა მიწაც დაეყარა, სახლიც, რა თქმა უნდა, მშობლიურია. ო, რა ტკბილია გარდაცვალების მერე საკუთარ სახლში გატარებული ეს ორმოცი დღე, ორმოცი წამის ტოლი.

მოთხრობა რაა და ხასიათი. სწორედ ხასიათებია გამოკვეთილი ამ მოთხრობებში პერსონაჟებისა, რომელთაც ერთი, საერთო ტრაგედია აერთიანებთ. ხდება ისეც, მანამდე ერთმანეთთან უბრად მყოფნი, გამოცარიელებულ სოფელში იმედად და ნუგეშად რომ ევლინებიან ერთმანეთს. ხან პირდაპირ სიკვდილთან შესახვედრად მიდიან და თავს იმართლებენ, თუ ბედისწერაა, ყველგან მომწვდება, ყველგან მომაგნებსო. ერთი პერსონაჟი ამბობს: ტყუილ-უბრალოდ დაჩაგრული, ბუდემოშლილი ადამიანის ერთ ცრემლად არ ღირს ყველაფერიო. ჭეშმარიტად, მაგრამ ომი მარტო ცრემლს კი არა, სისხლსაც ითხოვს და თითქოს რა აბსურდია, მაგრამ უკვე ომგადავლილ ქვეყანაშიც ეწირებიან ახალგაზრდები ბრმას, თუ უაზროს, თუ საგანგებოდ დამიზნებულ ტყვიებს. და უმეტესად სწორედ ახალგაზრდები.

ოსტატურად ახერხებს გიორგი სოსიაშვილი ბუნებაში სიმბოლიკის დანახვას. ერთი მაგალითი: „მომაკვდავ მზეს, რომელიც მთების უბეში გაჭრილ სამარეში, ნელ-ნელა უშვებოდა, სუდარად ეხურა დასალიერზე შედედებული წითელი ღრუბელი“. ამ კრებულში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება სისხლისფერი მზე.

არის ამ ნოველებში დავით გურამიშვილისეული დარდი იმაზე, რომ ოფლით მორწყული მიწის ნაყოფის მოწევა არ აცალეს. თუმცა მიზეზი გურამიშვილისა და ამ წიგნის პერსონაჟთა სევდისა სხვადასხვაა, მაგრამ ორივე შემთხვევაში — ძალადობით გამოწვეული და სავალალო.

ერთგან ღვინის სახეობებს ჩამოთვლის პერსონაჟი: ლომიაური გინდა, თხელტვანა, ჩინური თუ გურულიო — და გული გითბება კაცს, რა სიყვარული, სითბო, თან ცოდნაც ახლავს ამ გახსენებას, და კიდევ სინანული: მაგრამ რუსებმა რა იცოდნენ, ან ჩინური და ან გორულიო — თითქოს შემცნობსა და დამფასებელს რომ წაერთმია, რაღაც შეღავათი მაინც იქნებოდა პატრონისთვის.

აყვავებულ-გახარებული ბაღის მაგიერ რუსების მიერ ნათხარი სანგრები და ტანკებით გადატკეპნილი მიწა — ეს რეალისტური სურათი ხშირად გაიელვებს წიგნის გვერდებზე. უფრო

საყურადღებო კი ის არის, რომ პირიქითაც ხდება. ბედისწერის გამოსაწვევად, რუსების ჯინაზე, სოფლიდან აყრილი მეზობლების სამაგალითოდ, გადაწყვეტს გოგია ზედ რუსების მიერ გავლებულ მავთულხლართთან ბაღის გაშენებას. ამისთვის უპირველესად შემოღობვაა საჭირო და მოთხრობას საოცარი სინათლით ავსებს მეზობლების გარჯა მავთულხლართის (ოღონდ საბაღე მიწისთვის) შემოვლებისთვის და ნიშნისმოგებით ნათქვამი: ეგენი გვასწავლიან შემოღობვას? ესეც ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა კრებულში.

ევროპელი დამკვირვებლები, რომლებსაც, როგორც ჩანს, ველურები ვგონივართ, სოფლის მკვიდრთ ეკითხებიან: — იდეა ვინ მოგაწოდათ? ვითომ ჩვენით არაფრის მოფიქრება არ შეგვეძლოს; და ირონია, სარკაზმი და თან რეალობაა ერთმანეთთან შეზავებული გოგიას სიტყვებში: — შეშფოთებული ჩანს, ეს შობელძაღლი, ესა!...

ყველა ომისა და მტრობის საპასუხოდ ისევ არსებობს ამქვეყნად სიყვარული, რომელმაც არც ეროვნება იცის და არც მავთულხლართი, რომელიც ძნელად, მაგრამ მაინც აშენებს დანგრეულს. კვლავ შეუყვარდებათ ერთმანეთი ქართველსა და ოსს და არ არსებობს ბარიერი, რომელიც ამ სიყვარულს და მათ ერთად ყოფნას ხელს შეუშლის.

შესანიშნავი წინასიტყვაობის ავტორი და წიგნის რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე წერს: „ნამდვილი ლიტერატურა მაინც იქ იწყება, როცა მწერალი იტყვის: „ალადასტურით სავსე ჭიქაში გაძვრა მზის სხივი". მაშინ მზის სხივი მავთულხლართებშიც გაძვრება".

ქვევრიდან ამოსული მზე თუ ღვინით სავსე ჭიქაში ჩაღვრილი მზე სხვა მწერლებსაც დაუხატავთ აქამდე. დაუხატავთ დასამახსოვრებლად, დიდი მხატვრული ძალმოსილებით. მინდა, რომ გიორგი სოსიაშვილის ეს წიგნი იმ დიდი წიგნების რიგს შეემატოს და მათ გვერდით დადგეს.

ამის იმედს გვაძლევენ ამ წიგნის პერსონაჟები, რომელთაც რეალური პროტოტიპები ჰყავთ: ოსი კოსტასა და მისი ქართველი მდგმურის სიყვარულიანი ურთიერთობა, ოსი გაბისა და ქართველი ჯაგას მეგობრობა და სხვა.

ჩვენი ხალხის გულზეა გატარებული ეს ეკლიანი მავთულები, რაც ხან წინააღმდეგობის სულს ორმაგად აღვივებს ხოლმე ქართველებში, ხან უზომო პესიმიზმის მიზეზიც ხდება. რა ვართ? ვინ ვართ? საით მივდივართ? სამშობლო დავკარგეთ! თავი დავკარგეთ! რუსული გეგმით გავაქციეთ პრეზიდენტი! რუსული ქვემეხებით დავანგრიეთ რუსთაველი! და აჰა! დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ! — ვინ გაამტყუნებს ასე მოფიქრალს?! ვის არ მოძალებია ასეთი სევდა და კაეშანი?!

ხან კი იგივე ადამიანები არამარტო იმედიანად, ხალისიანადაც ებრძვიან სინამდვილეს: — ჩვენ არაფრის თავი გვაქ და მამლები მაინც ვაყივლოთ საზღვართან, მამლის ყივილით მაინც მოვუშალოთ მტერს ნერვები, ჰა.

ამის მთქმელნი არ არიან „დადედლებულნი შიშთაგან". ცრემლი ახრჩობთ და რომ ვეღარ ტირიან, ასე ირონიულად შეხედავენ ხოლმე საკუთარ ყოფას.

ყველას გვახსოვს აფხაზეთში გადაღებული დოკუმენტური კადრები, რომელსაც ადრე უფრო ხშირად გვაჩვენებდნენ ტელევიზიით და ახლა — უფრო იშვიათად, როგორ მისდევს ძაღლი ზღვაში შეცურებულ გემს. პატრონს გამოდევნებული, ყველასაგან განწირული ძაღლი ლამის მთელი აფხაზეთის, უპატრონოდ მიტოვებულის, ფაქტობრივად, განწირული სამშობლოს სიმბოლოდ იქცა.

გიორგი სოსიაშვილის ამ კრებულშიც ხშირად გამოჩნდებიან ეს ერთგული ცხოველები, კიდევ მარჩენალი საქონელი ან გამოცარიელებული გომურები, ან მწყრები, რომლებიც გალიის კარს თავებით ეხეთქებიან და თავისუფლებას ეწირებიან...

არ რჩება ავტორს შეუმჩნეველი არც მათი ტანჯვა, არც მათი პატრონობის მწარე ყოფა. და კიდევ ერთი.

ძარღვიანი ქართული ვახსენე, ბევრმა სიტყვამ მიიპყრო ჩემი ყურადღება თავისი ემოციურობითა და ნამდვილქართულობით, მაგრამ ერთმა განსაკუთრებით გამაკვირვა და გამახარა. დავით გურამიშვილის მერე არსად წამიკითხავს სიტყვა „კაბდო". აქამდე მკვდარი მეგონა და აჰა, ცოცხალია, და მოულოდნელად შემომეგება რამდენჯერმე.

ჯემალ ქარჩხაძე ერთ წერილში ამბობს, თუ ფეხი არ დაგიდგამს, არ ყოფილხარ ამა თუ იმ კუთხეში, არ გინახავს და არ განგიცდია იქაური ყოფა, ისე არც გიყვარს, ვერ იქნება შენი, მშობლიურიო.

ქართლის იმ სოფლების უმრავლესობაში, რომლებშიც ხდება ამ წიგნში მოქმედება, მე, სამწუხაროდ, არასოდეს ვყოფილვარ. თუმცა მაინც მიყვარდა მაჩაბლების საუფლო, ისედაც მიყვარდა ვარიანი, ყელქცეული, ღვარები, მერეთი, ოძისი... გასაგებიცაა. ყველა ეს სოფელი იქ დაბადებულ თუ იქ მოღვაწე ადამიანთან მაქვს გაიგივებული. ამ წიგნმა კიდევ რამდენიმე სოფელი გამაცნო ახლოს და შემაყვარა. მათ შორის დიცი, ავტორის მშობლიური სოფელი; შინდისი, სადაც დაღუპული ჩვიდმეტი ახალგაზრდის სახსოვრად ჩვიდმეტი მუჭა მიწა ყრია და სხვა. არ ვიცი, ამ ჩემს სიყვარულს, სრულყოფილ განცდამდე იქნებ რაღაც აკლია კიდეც, მაგრამ უდავოა, ბატონმა გიორგიმ მოახერხა, საზღვრისპირა, და საერთოდ, ქართლის ნაომარი სოფლების ყოფა ისე გულწრფელად, რეალისტურად, ხელშესახებად დაეხატა, რომ ქართლის სიყვარული ვერ გამერჩია ჩემი საკუთარის, აფხაზეთის სიყვარულისაგან.

გავიმეორებ:

გიორგი სოსიაშვილის „გამორთული მთვარე" გულწრფელი, მართალი, ტკივილებით ნასაზრდოები და გაჯერებული წიგნია. მწერალს საკუთარი განცდები და ღრმად გააზრებული ამბები აქვს გადმოცემული და მკითხველსაც თანაგანმცდელად, თანამოაზრედ აქცევს ძალდაუტანებლად. ეს წიგნი დაწერილია ზემგრძნობიარე ფსიქიკური წყობის ადამიანის მიერ და ძალიან დიდი, განუზომელი ტკივილის მიუხედავად, მასში იმედი და სინათლის მოლოდინი აშკარაა.

გამორთულ მთვარეს განადგურებული სიცოცხლის, შეწყვეტილი სიმღერის, წართმეული სამშობლოს სიმბოლოდ აღიქვამს მკითხველი, კრებულის წაკითხვის შემდეგ კი დაიბეჯითებს, რომ რადგან ბოროტებას არსი არა აქვს, ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგება დრო, როცა თამამად გავიმეორებთ: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა".

ბიბლიური სამყაროს სუნთქვა

(ოლესია თავაძის მინიატურული პროზა)

და ეგების „სიტყვა ნათქვამი" ჩაუთვალოს მონანიებად არგაწვდილი ხელის, არგაღებული ხარჯის. სიკეთეც ხომ (ნაბოძები თუ არ არის) არჩევანის, ფიქრისა და ტკივილის ფასად მოიპოვება მწიფობის გრძელ გზაზე – ნათქვამია ოლესია თავაძის „სევდიანი ჩანაწერების" წინათქმაში. ეს წიგნი სიკეთის წიგნია – ყოვლისმომცველი, საყოველთაო, მთელი სამყაროს სიყვარულის დამტევი. შინაგანად თავისუფალი, ბუნების უმანკო შვილი, ადამიანი არსად მარტო არ არის, რადგან ბუნება – თავისი ფლორითა და ფაუნით, ცითა და მიწით მასთანაა და თუ მხეცებს ძალუძთ ადამიანის სიმღერის მოსასმენად მოსვლა, შემოკრება, ადამიანს რად ეზრახვის მხეცების მოსმენა. „მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის" (ბარათაშვილი). ჩვენ ხომ უხილავი ძაფებით ვართ დაკავშირებული ერთმანეთთან და საერთო უფრო მეტი გვაქვს (უნდა გვქონდეს), ვიდრე განმასხვავებელი.

თითოეული საგანი თუ მოვლენა მწერლის მიერ დანახული და აღქმულია საინტერესო, განსაკუთრებული კუთხიდან. ავტორი მარტო ლამაზად კი არ აღწერს, არამედ მსჯელობს და ფიქრისთვის განაწყობს მკითხველსაც. მაგ., ქართული მიწური („ბაგა") სამყაროს ერთიანობის სიმბოლოდ მოჩანს. აქ ცხოველებისა და ადამიანების ცალ-ცალკე ყოფნა იქნებოდა გასაკვირი, თორემ ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ჩვეულებრივია, ბუნებრივია. ბიბლიურ სივრცეში მოხვედრილს ძროხების სუნთქვა კი არ გაწუხებს, არამედ გათბობს და ისევ ცოცხალია ორი ათასი წლის წინანდელი განცდა – „მოლოდინი ახალშობილისა და თავმოდრეკილ მოგვთა ძღვენებისა". ყოველწლიურად ხელახლა იბადება და

ევლინება კაცობრიობას მისი ცოდვების მტვირთველი, მისი მხსნელი. ოღონდ დანახვა და შეგრძნება ამ სასწაულისა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც სულის თვალი აქვს ახელილი. ყველგან და ყველაფერში ძე ღვთისა თუ ვერ შეიცანი, რაა ცხოვრება?

ყოველი, ვისაც შიოდა, სციოდა, სწყუროდა და არ განიკითხე, არ დაეხმარე, უფალია, ღმერთია ჩვენი, მარტო გონებით კი არ იცის, არამედ სისხლხორცეულად აქვს გათავისებული მწერალს. ამიტომ მისთვის ადამიანსა და ჭიას შორის დიდი განსხვავება არ არის – ერთიც სულიერია და მეორეც, ერთიც ღვთის შვილია და მეორეც...

წიგნში ბიბლიური სამყაროს სუნთქვა ისმის, იმ ეპოქისა, როცა სამყარო განუყოფელი იყო... და ამ ფონზე შემზარავია ადამიანური გულქვაობის სურათები, რომლებსაც ავტორი დაუნდობლად, მთელი სიმძაფრით აღწერს. „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან“... აქვს კი მნიშვნელობა, რას უყურებ სიამოვნებით – როგორ წოვს სისხლს ობობა კალიას თუ როგორ აღასრულებენ სიკვდილმისჯილის განაჩენს ელექტროსკამზე? არადა, თურმე დიდძალი ტურისტი მიაწყდა ამ სანახაობას. დასანანია რაიც.

იქნებ არც არანაირი სიმბოლო არ იგულისხმება და პირდაპირ, შეუფარავად უნდა გავიგოთ მინიატურა „თეთრი ნაგაზი“, მაგრამ, რატომღაც, თეთრ თოვლზე გაწოლილი თეთრი კავკასიური ნაგაზი ჩემთვის უცოდველობის, სიწმინდის, უმანკოების (თუნდაც ჩვენი ქვეყნის ან მთელი კავკასიის) სიმბოლოა. მზეზე წევს, ძალებს იკრებს ძაღლური ცხოვრებისთვის. თავდაჯერებული კაცის მიერ მოქნეული წიხლი კბილებში, მერე მსუქნად გადაფურთხება – სიწმინდის შებღალვა, სინატიფის უხეშად ჩაკვლა, სილამაზის გულგრილად მოსპობაა. თავისი არაადამიანური საქციელით კმაყოფილი ძალადობა სიამაყით, თეძოების ქნევით განაგრძობს გზას. „კაცურმა კაცმა ჩაიარაო“, – ირონია გამოერევა ავტორს. ირონია საერთოდ არ არის დამახასიათებელი ოლესია თავაძისთვის, ამ წიგნში ყველაფერს სევდიანი თანაგრძნობა მსჭვალავს (სათაური ზუსტად აირეკლავს წიგნის განწყობას), მაგრამ იშვიათად მოხდენილად და მოსწრებულად

გამოყენებული ირონია უფრო მეტადაც გამოკვეთს სათქმელს და მკითხველის გულისშეძვრას ემსახურება.

უყვარს ავტორს თავისი მკითხველი, ადამიანი ზოგადად. და თუ არ უფრთხილდება და სულს უშფოთებს, ისევ მისივე სიყვარულით, მის სულზე ზრუნვით... მაგრამ არის ისეთი რაღაც, რისი სიტყვით თქმაც არ შეიძლება... მაშინ მწერალი საოცრად თბილი და სათუთია. თქვენ თუ იცით, როგორ კეთდება კუსგან საფერფლე? არა? მაშ, ჯობია, არ იცოდეთ. და ამ ართქმით გვიმხელს რაღაც ენით უთქმელ საშინელებას.

ამ სიყვარულით სავსე წიგნში ვაჟა-ფშაველას შველსაც წაააწყდებით, ალფონს დოდეს ბაჭიებსაც, ხიმენესის ჩოჩორსაც, ეგზიუპერის ბატკანსაც... და აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან“ გონებაში სამუდამოდ აღბეჭდილ სურათს, როგორ აწოვებს ძუძუს დედა-ღორი თავის გოჭებს. ავტორს ბუნება უყვარს არა განყენებულად, არა თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ ის სამშობლოს წარსულის, ხსოვნის შემნახავია და ამიტომ კოდალას საქმიანობის აღწერა ბუნებრივად მოიყოლებს ნატვრას: „რომ ბოლომდე არ შეიჭამოს, ნახერხად არ იქცეს, რომ არ გაქრეს ჩვენში ოდა-სახლები...“ მის მინიატურებში ერთმანეთსაა შერწყმული ნამდვილი და ალეგორიული.

შვილმკვდარ ძაღლსა თუ მგელს მარტო ქალი თუ გაუგებს, იმიტომ, რომ ისიც დედაა, მასაც ჰყავს და უყვარს შვილები. კითხულობ და გჯერა, რომ სუფთა სულის, უმანკო, უცოდველი ბავშვების სიყვარული სამფეხა ძაღლს ყველაზე ლამაზ ცხოველად აქცევს, თევზებს მხოლოდ პატარა ბიჭის სიყვარული ამრავლებს. და თუ დედამიწა ჯერაც ბრუნავს და არ დაქცეულა, ისევ და ისევ სიყვარულის გამო.

ყველაფრის ახსნა გონებით ვერ ხერხდება და როგორც ჩანს, ავტორს არც სურს. იგი მშრალ რაციონალიზმს გულის, გრძნობის პრიმატს უპირისპირებს. ასე რომ, მას თამამად შეუძლია გაიმეოროს რენე დეკარტეს ცნობილი სიტყვები ასეთი პერიფრაზით: „ვგრძნობ, მაშასადამე ვარსებობ...“

მართლაც რომ „მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა“.

განსაკუთრებული ინტუიციის მადლით

(„მზის რაინდის“ ჯერ მარტო ერთი თავი)

საყოველთაოდ ცნობილი და მრავალთაგან გაზიარებული აზრია, რომ წიგნი მკითხველის გარეშე არ არსებობს, უფრო სწორად, ის წიგნი აღარაა. ამ შემთხვევაში, იმდენი მნიშვნელობა არა აქვს მკითხველის „ხარისხს“, რამდენიც მის, საერთოდ, არსებობას. ოღონდ, ცხადია, არც ის უნდა დავივიწყოთ და უგულებელვყოთ, რომ მკითხველიც სხვადასხვანაირია (განათლებით, გემოვნებით, ესთეტიკური ღირებულებებით, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და სხვა). ლიტერატურის თეორიაში კარგა ხანია გამოყოფილია მკითხველის ორი ტიპი. ერთი, რომელიც ნაწარმოებში ეძებს იმას, რისი თქმა უნდოდა ავტორს, და მეორე, რომელიც ტექსტში ეძებს იმას, რაც ნათქვამია მასში ავტორის სურვილის მიუხედავად. ეს ორი რამ კი — მწერლის სურვილი და თხზულებით გამოთქმული აზრი — ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ — არა, იშვიათად კიდეც უპირისპირდება ერთიმეორეს. აღქმა, გააზრება, ინტერპრეტაცია ნაწარმოებისა, რაც გინდ ობიექტურ და დადგენილ „კანონებზე“ იყოს დაფუძნებული, მაინც ინდივიდუალურია და ამდენად — სუბიექტურიც.

დოკუმენტური (და მხატვრულ-დოკუმენტური) თხზულებები, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ითხოვს მკითხველის თანაშემოქმედებას მწერალთან. ამ ყაიდის ნაწარმოებებში ხომ უპირველესად სწორედ დოკუმენტალიზმია ფასეული — ისტო-

რიული მოვლენების, წარსულში მომხდარი ფაქტების სიუხვე და სანდოობა.

მაშ რა ძალა გვაიძულებს, ხელახლა მივუბრუნდეთ ხოლმე მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტს წასაკითხად მაშინაც კი, როცა, ვთქვათ, მასში გადმოცემული ყველა ამბავი ჩვენთვის აქამდეც ცნობილი იყო? აქ, როგორც ჩანს, თხრობის თავისებურება, მწერლის სტილი, ადამიანთა სულის ცოდნა, გულწრფელობა, დაფარულის წვდომის უნარი, სათქმელის (იდეის) სიდიადე და კიდევ სხვა ფაქტორებიც ერთად იყრის თავს და ერთობლივად თამაშობს თავის როლს.

ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა („მზის რაინდი") ერთ-ერთია როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანთა შორის. რომანის პირველი თავი — „ზეციური მხედრის მითოსი" — კარია, შემხსნელია მთელი წიგნისა. მრავალმხრივ საგულისხმო პროლოგის შემდეგ ამბის თხრობა (ეგრეთწოდებული ნარატივი) ამ თავში იწყება. ამდენად, მას თითქოს გამორჩეული ფუნქცია აკისრია მთელ კომპოზიციაში. ეს გამორჩეულობა, რა თქმა უნდა, შედარებითია. ბუნებრივია, რომ ყველა თავს კი არა, ყველა გვერდს და წინადადებასაც თავისი განსაზღვრული და განსაკუთრებული დანიშნულება აქვს ერთიან სისტემაში. თუმცა ტონის მიმცემი მთელი თხზულებისათვის მაინც დასაწყისი მგონია.

ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ ის უხვი დოკუმენტური მასალა ჩვენი წარსულის შესახებ, რომლებიც ამ თავში გადამდები ემოციურობითაა მოწვდილი მკითხველისათვის, მიზეზთა გამო, ჩემთვის ადრევე (ამ წიგნის წაკითხვამდეც) ცნობილი იყო. აბა, რა განაპირობებს იმას, რომ კვლავ და კვლავ მოუწყინრად შემიძლია ვიკითხო მთელი წიგნი ისე, რომ არ გამოვტოვო კი არა, მონატრებულად სწორედ პირველ თავს მივუბრუნდე?

აი, დასაწყისი — წმინდად მხატვრული პასაჟი, ავტორის ფანტაზიის ნაყოფი, გამოგონილი, შეთხზული, ისეთი დამაჯერებლობით დახატული, როგორიც მოსალოდნელია დიდი მწერლისგან. მაგრამ რა არის ამ ეპიზოდში დოკუმენტური? მართალი? რა და, მთავარი სათქმელი — კავკასიის მთებში შე-

ითხზა ლეგენდა იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს მფრინავი რაში ჰყავდა. მისი მეშვეობით შემოფრინდებოდა საქართველოსა თუ ჩრდილო კავკასიაში, სადაც კი ეროვნული ბრძოლის ცეცხლი დაინთებოდა და შემდეგ მისივე მეშვეობით გაქრებოდა ხოლმე.

ასე მშრალად და უგრძნობლად ნათქვამიც, ცხადია, გასაგებია, მაგრამ ის ემოცია, ის ზემოქმედება, რომანის სამიოდე გვერდზე გაშლილი თხრობა რომ იწვევს, ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებისთვის არის დამახასიათებელი და მკითხველის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდება. ავტორი სიტყვით ხატავს და თვალნათლივ დაგვანახებს აულებიდან გამოსულ მცხოვრებლებს — კაცს, ქალს, მოხუცს, ახალგაზრდას, ბავშვებსაც — ზეცას რომ შეჩერებიან. გვანახებს და შეგვაგრძნობინებს მათ ერთიანობას, ერთი სანახაობით (ერთი იდეით, ოცნებით) შეპყრობილი ხალხის განცდებს, ბალღებსაც რომ ამ მოვალეობის შეგნებით ზრდიან — აუცილებლად უნდა მოიპოვონ თავისუფლება და დარწმუნებულნი არიან, ამ წმინდა საქმეში მათ თვით ზეცა დაეხმარება. ამის დასტურია ღრუბლებში გადაელვებული მხედრის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ლანდი, რომელსაც შესცქერიან და შენუკვიან ასე სასოებით. მათი ხმაც გვესმის, იმედოვნებით აელვებულ თვალებსაც ვხედავთ...

ამ მონაკვეთს სქელტანიან წიგნში მცირე ადგილი ეთმობა, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავია. მისი ზემოქმედების ძალას, ალბათ, უფრო ამძაფრებს რიტმი. არ არის ეს რიტმული პროზა, მაგრამ თავისი, აჩქარებული, რამდენჯერმე დაჟინებით გამეორებული, თითქოს წვიმის წვეთების წკაპუნს აყოლილი რიტმი აქვს (ერთგვარად ნიკო ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატურებს" მოგვაგონებს).

აქვე მწერლის მოულოდნელი და საინტერესო დაკვირვება (თ)ეზა). აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრულ წარმოსახვას, როცა ისინი ზეციურ მხედარს (წმინდა გიორგის) შესთხოვდნენ მამულის გამოხსნას, ეგებ უფრო ყოფითი სინამდვილე, ალექსანდრე ბატონიშვილის აჩრდილი, კვებავდა, ვიდრე ფანტაზიაო.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ როსტომ ჩხეიძის სტილის ერთერთი თავისებურება ესეც არის: მხატვრულ-დოკუმენტურ თხრობაში ჩართული სამეცნიერო დაკვირვებები. მარტო ამ თავში ასეთი რამდენიმეა და ყველა მნიშვნელოვანი და ღირებული, ისეთი, რომელზე დაყრდნობითაც ვრცელი ნაშრომის შექმნაა შესაძლებელი.

ეს განსასჯელად, საფიქრალად გვყოფნის, რომ ახლა სხვა ამბავს, სხვა ისტორიულ ფაქტს გვახსენებს ავტორი — ლევან ბატონიშვილის პილიტიკურ მკვლელობას. თხრობა, როგორც ხედავთ, სწორხაზობრივი არ არის. ერთი პიროვნების შესახებ დაწყებული მსჯელობა მოიყოლებს სხვათა სახელებსაც — ლევან ბატონიშვილის, ერეკლე მეორის, დარეჯან დედოფლის, სოლომონ მსაჯულის, ალექსანდრე ორბელიანის... სახელთა და სახეთა ეს კრიალოსანი უფრო დიდია, უფრო დახუნძლული. საინტერესო ისაა, რომ ასეთი ლაღი და თავისუფალი გადასვლა ერთი ამბიდან მეორეზე სულაც არ ამძიმებს თხრობას და არა ღლის მკითხველს. მგონი, პირიქით, ვნებას უფრო უმძაფრებს და უკვე რაღაც ჟინით შეპყრობილი მისდევს მწერალს, რომელიც ბოლოს (ამ შემთხვევაში — პირველი თავის ბოლოს) თხრობის ხაზს ამთლიანებს, ისევ მთავარ პერსონაჟს უბრუნდება და ასე კრავს კომპოზიციას.

მაგრამ კომპოზიციის შეკვრამდე ჯერ რამდენიმე ფურცელია. როგორ გადადის მწერალი ალექსანდრე ბატონიშვილიდან ლევან ბატონიშვილის ღვაწლის აღწერაზე? მარტო მათი ძმობა ამჯერად საკმარისი ვერ იქნებოდა. ჯერ ისევ ფანტაზიით შეთხზული პასაჟი შემოიჭრება: ხომ შეიძლებოდა, ერეკლე მეორეს შეერისხა მანამდე მორჩილი, ახლა კი ურჩად გარდაქმნილი ვაჟი, ალექსანდრე? არ მომხდარა, თუმცა შეიძლება მომხდარიყო. გადმოცემის ასეთი სტილი მეოცნებე, ფანტასტ მწერლებს ახასიათებთ და არა დოკუმენტალისტებს. აი, შემდეგი ეპიზოდი კი ყველაფერში გაგვარკვევს და ყველაფერს, ასე ვთქვათ, თავის ადგილას დაალაგებს. ალექსანდრე ბატონიშვილი ლევანის არამარტო ხორციელ, არამედ სულიერ ძმად და მემკვიდრედაა დასახული. გარდაცვლილი ლევანი კი მართლა დაძრახა და უღვთოდ გაიმეტა მამამ, ვიდრე სიმართლე გამოირკვეოდა...

ესეც ის რგოლი, რომელმაც უნდა შეაერთოს ეს ორი ამბავი, უფრო სწორად, რომელმაც უნდა გადაგვიყვანოს ლევან ბატონიშვილის გარემოცვაში და თვალი მიგვადევნებინოს მისი ტრაგიკული ბედისწერისთვის.

ალექსანდრე ორბელიანის დოკუმენტურ ნოველაზე („საქართველოს მეფე ირაკლის ძე ლევან“) დაყრდნობით, ავტორი სრულად წარმოგვიდგენს ლევან ბატონიშვილის მკვლელობის სურათს. ამავე დროს წარმოაჩენს გმირის ხასიათს. მასთან ერთად იხატება გიორგი ბატონიშვილის, ერეკლე მეორის, დარეჯან დედოფლის შეულამაზებელი, მართალი პორტრეტები. ასე რატომ ენდობა ჩვენი დროის რეალისტი მწერალი XIX საუკუნის რომანტიკოს მწერალს? აკი ალექსანდრე ორბელიანი ოდნავ აჭარბებს, აფერადებს, აიდეალებს წარსულს. თუმცა, როგორც იონა მეუნარგიამ შენიშნა, იმასაც ვერავინ იტყვის, რომ მართალს არ წერს. როსტომ ჩხეიძესაც გაუზიარებია ალექსანდრე ორბელიანისეული წერის მანერა — სიმართლე, დოკუმენტალიზმი მსჭვალავს მთელ თხრობას, რომელსაც არ აკლია ემოცია, ფერი, მხატვრული განზოგადება.

თავის დროზე ერეკლე მეორის შვილიშვილმა ასე გამოთქვა თავისი შეხედულება ლევანის საქმიანობის შესახებ:

— ეს ლევან ასეთი რამ ყოფილა, თუ რომ იმისი სიცოცხლე გრძელი ყოფილიყო, საქართველო დღეს ამაღლებული იქნებოდა ბაგრატიონების გვირგვინს ქვეშა!

მოღვაწის საუკეთესო შეფასებად მიიჩნევს ამ ფრაზას როსტომ ჩხეიძე, ლაკონიურ და ტევად ფორმულად, აღმტაც დითირამბად, რომელშიც ხელშესახებადაა წარმოსახული ბატონიშვილის პიროვნება. ამ დასკვნაში ისიც ჩანს, როგორ იზიარებს ჩვენი დროის ბიოგრაფოსი თავისი სულიერი წინაპრის აზრს და ფარულად თუ პირდაპირ მათი (ორივე მწერლის) საერთო სწრაფვაც, იდეალიც იკითხება — ბაგრატიონების გვირგვინქვეშ ამაღლებული საქართველო.

XVIII საუკუნეში, ჯერ კიდევ ერეკლე მეორის სიცოცხლეში, მომავლის იმედსა და რწმენას ისიც განამტკიცებდა, რომ სამეფო სახლში სრული ჰარმონია და ურთიერთსიყვარული სუფევ-

და. ალექსანდრე ორბელიანი გვარწმუნებს და როსტომ ჩხეიძეს ეჭვშეუვალად მიაჩნია გიორგი ბატონიშვილის სიწრფელე, როცა ის აღტაცებას გამოხატავს უმცროსი ძმის საომარი წარმატების გამო. რომანის ავტორი გიორგი XII-ის სულიერ პორტრეტს იშველიებს, რამელსაც საისტორიო ქრონიკების მიხედვით მოხაზავს და დაასკვნის, რომ მას: „მზაკვრობისა და ფარისევლობისას ვერაფერს შევატყობთ. წრფელი, ალალი, მიამიტი პიროვნება უფროა, გართობა-დროსტარება ყველაფერს რომ ურჩევნია და ტახტსაც დიდად არა ხარბდება...“

საყურადღებოა, რომ ისტორიოგრაფიაში დღემდე დამკვიდრებული ყალბი შეხედულების საწინააღმდეგოდ, ალექსანდრე ორბელიანის ნოველაში ასევე პირუთვნელადაა აღდგენილი მეფე-დედოფლის ხასიათი. ერეკლე მეორეს იმედოვნებით აღავსებდა ძმების ეს მოყვარეობა, რომელიც სამეფო ტახტის სიმყარეს უნდა დასდებოდა საფუძვლად. დარეჯან დედოფალმაც (რომელსაც შემდეგ რუსეთის მთავრობამ ბევრი უკადრისი რამ დააბრალა) მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ტახტის მემკვიდრეს. როსტომ ჩხეიძე, რომელიც, საფუძვლიანად, სანდო მემატიანედ მიიჩნევს ალექსანდრე ორბელიანს, ამჯერადაც იზიარებს მის განწყობას, კიდევ უფრო გამოკვეთს მას და ასე გვაზიარებს ჩვენც.

რუსეთის იდეოლოგიური მანქანა შეეცადა, სახელიც გაეტეხა საკუთარი მსხვერპლისთვის და გაავრცელა ხმა, თითქოს ლევან ბატონიშვილი სოფელ ვეჯინის მკვიდრმა გლეხმა ცოლთან შეისწრო და ხანჯლით განგმირა. როგორც 32 წლის შეთქმულთა დამცრობა და მათი სახელების ისტორიიდან გაქრობა მოინდომეს, როგორც ლევან რაზიკაშვილის ხსენებაც აკრძალეს (მისი პორტრეტიც კი ამოშალეს საოჯახო ფოტოდან) და, ვინ იცის, კიდევ რამდენი გმირისა და თავდადებულის საქმეს, სახელს, ხსოვნას დაეღირნენ მოსასპობად, ასევე სცადეს მკვლელობის შემკვეთებმა ლევან ბატონიშვილის შეურაცხყოფა, ეს რომ არ გამოუვიდათ, მერე — სასაცილოდ აგდება (თითქოს ორაგულის ჭამის დროს მომკვდარიყოს), რათა მისი სახელი მისაბაძი და სამაგალითო არ გამხდარიყო სხვათათვის, სიმღერებში არ გადასულიყო...

მაღალი ზნეობით ვიდრე ცხედარს არ გასინჯავდნენ, და სასახლე კიდევ უფრო დიდ უბედურებასა და შარში გაეხვეოდა, რომ სიმართლე მალევე არ გარკვეულიყო... ცხედრის კარგად, გულდასმით დათვალიერებისას (თავისებური ექსპერტიზისას) ნახანჯლარი არსად აღმოჩნდა, თითქოს ყველამ შვებით ამოისუნთქა და ზარი და გლოვაც შესაფერისი მოჰყვა...

ამ, თავისთავად ჩართულ, ეპიზოდში კიდევ ერთ ჩართულ ამბავს ამოიკითხავს მკითხველი. ეს ასპინძის ომის პერიპეტიებია. აქაც ალექსანდრე ორბელიანის მიერ აღდგენილი სიმართლის გზას ადგას როსტომ ჩხეიძე და ხელისგულზე გადაგვიშლის ომის მიმდინარეობის, რუსეთის მზაკრული გეგმების, ტოტლებენის ღალატის, ქართველთა გმირობის, მეფის შორსმჭვრეტელობისა და სტრატეგიული ნიჭის გამოვლენის სხვადასხვა სურათს.

სიმბოლური ეპიზოდია: მუხლმოყრილი ერეკლე მეფე ტოტლებენს ბრძოლის ველზე დარჩენას სთხოვს. ის ცხენით გვერდს აუქცევს... და სიმბოლურია რომანის ავტორის კომენტარი — ერთდროულად ტრაგიზმითა და იუმორით შეფერილი — „კიდევ კარგი, არ გადაქელა“.

ისევ ლევან ბატონიშვილს და მის პოლიტიკურ მკვლელობას დავუბრუნდეთ. არ გაგვიმხილა ბოლომდე ამ მკვლელობის ყველა საიდუმლო ალექსანდრე ორბელიანმა. ის კი გვითხრა, რომ მასში ირიბად ლევანის მეუღლე, ულამაზესი ნინო (იგივე ელენე) გაერია, რომელიც თავქარიანი ქალი ყოფილა, მაგრამ ქმარს დიდად ჰყვარებია და ყველაფერში ენდობოდა თურმე. გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოს“ სქოლიოში შენიშნავს: „ამბობენ, ვითომც ლევან მოსწამლა მისმა მეუღლემ (ნათქვამია ალ. ვ-ძის ორბელიანისაგან)“.

ხოლო თვით სადღეგრძელოს, ლევან ბატონიშვილისადმი მიძღვნილ სტროფს, ასე აფასებს „მზის რაინდის“ ავტორი: „ათწლეულთა შემდგომ კი გრიგოლ ორბელიანი ისეთი გულმდუღარებით გადმოჰყრიდა ცრემლთ, თითქოს ეს დრო სრულებით არ გასულიყოს და თვითონაც იმ ხალხში გარეულიყოს, თავზარი რომ დასცემოდათ საშინელი ამბის შეტყობით: შეირყა ტახტი მეფისა, რა საფლავს შთახვედ ლომგულოო!

იმ დღეს შერყეულიყო“.

ენანება როსტომ ჩხეიძეს მინიშნებად და ამოსაცნობად რომ დარჩა სიმართლე. ბოლომდე რომ ეთქვა, მთელი სურათი აღედგინა და ნინოს (ელენეს) მონაწილეობა სრულად დაეხატა, დეტექტიურ ნოველას მივიღებდითო. „...ჩვენში ჯერ არ შემოელწია ედგარ პოს აღმოჩენას — ეს ჟანრი რომ მოუპოვა კაცობრიობას, თორემ ალექსანდრე ორბელიანიც წარმატებით მიმართავდა დედუქციურ მეთოდს და თავისი ჩხრეკა-ძიებების მსვლელობას ზუსტად რომ აღადგენდა ფურცელზე, დეტექტიური ნოველაც ეს იქნებოდა,“ — გვიბეჯითებს მწერალი (კიდევ ერთი მეცნიერული დაკვირვება).

ლევან ბრეგაძემ სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში იპოვა დეტექტიური ჟანრის თხზულება და თუმცა ალექსანდრე ორბელიანთან ფინალი თითქოს ღიად არის დარჩენილი, ის მაინც შეიძლება დეტექტივად მივიჩნიოთ, ვინაიდან საქმე გამოკვლეულია, მთავარი ნათქვამია — ლევანი საქართველოს და ერეკლეს მტრებმა მოწამლეს მეუღლის ხელით. ალბათ, „არეული ხასიათისა“ და „მსუბუქი ჭკუის“ ნინო ალალად ენდო საკუთარ ნათესავებს, რომლებიც პირადი სარგებლობის გამო ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულიყვნენ და საწამლავიანი ღვინო (არ იცოდა, რომ ღვინო მოწამლული იყო) თავისი ხელით მიაწოდა მეუღლეს. ის კი, თავის მხრივ, ბოლომდე ენდობოდა უსაყვარლეს ქალს და, როგორც ჩანს, მისი ხელით მოწვდილ შხამსაც სიამოვნებით დალევდა.

ლევანი ლეგენდად ვერ იქცაო, — წერს ავტორი, თუმცა გალეგენდებამდე ცოტაღა აკლდა. აი, ამ უფროსი ძმის სულიერ მემკვიდრედაა მოაზრებული რომანში ალექსანდრე ბატონიშვილი. რა თქმა უნდა, შემთხვევითი ვერ იქნება ის ფაქტი, რომ სიბრძნითა და გონიერებით განთქმული სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეფის მრავალრიცხოვან ვაჟთაგან განსაკუთრებით ამ ორთან — ლევანსა და ალექსანდრესთან — მეგობრობდა.

ერთი შეხედვით ალოგიკურია და გასაოცარი — ლეკებთან მებრძოლი ბატონიშვილი ჩრდილოკავკასიელებმა გმირად შერაცხეს და მისი სახელი საგმირო ეპოსშიც აღბეჭდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლევანი საქართველოს ძლიერებას განამტკი-

ცებდა, რუსებს არ აძლევდა აქ შემოსვლისა და გაბატონების საშუალებას და ამით ჩრდილოკავკასიელთა დამოუკიდებლობასაც იცავდა და ხელს უწყობდა.

„ლევან ბატონიშვილი იქნებოდა იმამ შამილამდელი იმამ შამილი.

ლევან ბატონიშვილი იქნებოდა ალექსანდრე ბატონიშვილამდელი ალექსანდრე ბატონიშვილი".

ხატოვნად ასე გადმოგვცემს როსტომ ჩხეიძე ლევან ბატონიშვილის როლსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე და თავის აღმტაც დამოკიდებულებას გამოხატავს მის მიმართ.

ამ რეალისტურ რომანში („მზის რაინდი") გვხვდება ზღაპრულ-ლეგენდური ეპიზოდებიც. ერთ-ერთი მათგანი — მფრინავი რაშით ცაზე გადაელვებული ისკანდერის (ალექსანდრე ბატონიშვილის) აჩრდილი — ხსნის და კრავს პირველ თავს.

ავტორის სათქმელი და კონკრეტულად ამ ერთი თავის (ერთი ნოველის) იდეა ცხადია, ნათელია — კავკასიის ერთიანობა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისა თუ შენარჩუნების საფუძველი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს" ალექსანდრე ბატონიშვილის სახება უნდა კვებავდესო, — პავლე ინგოროყვას ეს მიგნება რომანის ავტორმა ილია ჭავჭავაძეს მიაწერა. „უთუოდ ვიღაცას გულისხმობს. ეს ზოგადი ოცნება არ უნდა იყოსო, — რაღაცას მიხვედრილიყო პეტერბურგის უნივერსიტეტში ისისაა ფეხმოკიდებული სტუდენტი", — ვკითხულობთ და თუმცა ვიცით, დოკუმენტურად ეს ფაქტი ასე არსად დასტურდება, მაინც გვჯერა მწერლისა და რეალურ ამბად წარმოვიდგენთ ახალგაზრდა ილიას ფიქრებს.

ასე რომ, გამოგონილი და წარმოსახულიც კი როსტომ ჩხეიძის, განსაკუთრებული ინტუიციის მქონე შემოქმედის, ხელში სიმართლის, სინამდვილეში მომხდარის, რეალობის აღდგენას ემსახურება...

და მაინც, რა მიზეზია, რომ ერთხელ წაკითხულსა და გააზრებულს, კარგად ნაცნობსა და შესწავლილს კვლავ მონატრებით ვუბრუნდები და მოუწყინრად ვკითხულობ?

* * *

ბოლოს კი მხოლოდ ციტატა ვაჟა-ფშაველას პოპულარული წერილიდან (უკომენტაროდ):

„იგია ნიჭიერი მწერალი, ვისაც, როგორც თავად ჰგრძნობს და ჰფიქრობს, აქვს უნარი, სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს".

და შემდეგ:

„ვისი ნაწარმოებიც, რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, მით კიდევ მადას გიღვიძებს ახლად წაკითხვისას".

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“

(ანზორ ერქომაიშვილის ბიოგრაფიული რომანი)

ანზორ ერქომაიშვილს საზოგადოება იცნობს, როგორც დიდებულ მომღერალს, ცოტამ თუ იცის, რომ იგი შესანიშნავი მწერალიც გახლავთ. წიგნით – „ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი“ ავტორი ჩვენ წინაშე კიდევ ერთხელ წარდგა, როგორც მშვენიერი მწერალი. ქართულ ლიტერატურაში არის ტრადიცია საკუთარი წინაპრების – ღირსეული და მნიშვნელოვანი მოღვაწეების შესახებ წიგნების დაწერისა (ვახტანგ რაზიკაშვილი, გულქან რაზიკაშვილი, როსტომ ჩხეიძე). ამ ტრადიციას აგრძელებს ანზორ ერქომაიშვილიც. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს წიგნი მარტო ბაბუაზე მოგონებები კი არ გახლავთ, არამედ აქ დახატულია მთელი ეპოქა, გარემო, საზოგადოებრივი ყოფა და ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად გამოყვანილია თვითონ სიმღერა – ქართული ხალხური, კერძოდ, გურული სიმღერა.

ადრე მომღერალ კაცს ხალხში გამოარჩევდი, გიგო ბატონო, იგი ზრდილობით სავსე უნდა ყოფილიყო, სუფრასთან ნაზად მჭამელი და ზომიერად მსმელი, მას სხვანაირი იერი ჰქონდა და სხვანაირადაც დადიოდა, – ასე ახასიათებს მომღერალს წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი და მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ სიმღერის უნარი მარტო ნიჭი და მომღერლობა მარტო პროფესია არ არის – სიმღერა მთლიან, ჰარმონიულ ადამიანს გულისხმობს თავისი ხასიათითა და თვისებებით და გარეგნობითაც კი. როგორც კაი ყმა სწორ ფიქრს უნდა აძლევდეს თემ-სოფელს და მზედ იდგეს, არანაკლები მზეობა მოეთხოვება ხალხური სიმღ-

ერების შემსრულებელს. ასეთია თავად შემსრულებელთა, ამ წიგნის პერსონაჟთა განცდა. მათ სჯერათ, რომ „ბორშჩით გამძღარი კაცი“ გურულ სიმღერას ვერ იმღერებს.

იმიტომ, რომ ხალხური სიმღერები ჩვენი სულის გამოვლენაა, საუკუნეთა წიაღში წარმოშობილი, ფასდაუდებელი განძი და საუნჯეა ჩვენი. ჩვენს დიდ მწერლებსაც ხომ ისეთი განცდა აქვთ, რომ პირველმა ადამიანმა ბუნების ძალით ფუტკრის ზუზუნის მიბაძვით ჯერ სიმღერა ისწავლა და ლაპარაკი – მერე.

ანზორ ერქომაიშვილი შესანიშნავი მთხრობელია. მკითხველის ცნობიერებაში ნათლად აღიბეჭდება მისი პაპის გარეგნობა, რომელსაც ავტორი ერთობ ოსტატურად აღწერს. გარეგნობით ხსნის პიროვნების ხასიათს.

ქართულ ტრადიციულ სამოსში ჩაცმული, ზომერად მოსაუბრე, ხალისიანი, შრომის დროს მოღიღინე, წარსულ მგალობელ-მომღერალთა პატივისმცემელი ყოფილა არტემ ერქომაიშვილი და ამიტომაც აღეძვროდა სხვასაც უნებურად მის მიმართ მოკრძალება და პატივისცემა. ბუნებრივია და ლოგიკური, რომ ყოველივე ქართულის მოტრფიალე ბაბუა შვილიშვილს საკუთარი გვარის შესახებ ესაუბრებოდა ხოლმე, აცნობდა წინაპრებს, ცოცხლად წარმოუსახავდა მათ და ამეგობრებდა მათთან. გვარები და ოჯახები ქმნიან და ინახავენ სოფელს, ქალაქს, ქვეყანას.

ეს შესანიშნავად გამოცემული წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, რაც მეტ ხიბლსა და მიმზიდველობას ჰმატებს მას.

თხრობა თავიდან ბოლომდე სადაა, ავტორის ქართული კი – მისაბაძი. საგულისხმოა, რომ ბატონი ანზორი სათანადო პატივს მიაგებს სხვა მომღერლებსაც, გვაცნობს მათი ცხოვრების წესს, სიმღერასთან და ერთმანეთთან ურთიერთობის დეტალებს – მოგონებებში ზოგჯერ საკუთარი წინაპრის ღვაწლი გაზვიადებულია ხოლმე, პიროვნული თვისებები – გადაჭარბებულად გაკეთილშობილებული. ამ ნაკლისაგან, ჩანს, წიგნი თავისუფალია იმიტომ, რომ არტემ ერქომაიშვილზე არანაკლებ ღირსეულ პიროვნებებად და დიდ მომღერლებად გახლავან დახატულნი მისი მეგობრები, მეზობლები, ახლობელ-ნათესავები, ნაცნობი

მომღერლები საქართველოს სხვა კუთხეებიდან... თითოეულის სიტყვიერ პორტრეტთან ერთად მათი ფოტოსურათებიც დაუვიწყარს ხდის მკითხველისთვის მათ ხსოვნას.

არაჩვეულებრივადაა აღწერილი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობა. პირდაპირ შეეხარბება ადამიანის თაობათა ასეთი ჰარმონიული ცვლა.

სიმღერა სულაც რომ არ იცოდეს ადამიანმა და არც დიდი მოსმენის უნარით გამოირჩეოდეს, ამ წიგნს მაინც სიამოვნებითა და სიამაყითაც წაიკითხავს, რადგან განსაკუთრებული რამ ნიჭი სულაც არაა საჭირო იმის გასაგებად და გასათვალისწინებლად, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს 1907 წელს, თბილისში „გრამოფონის" ფირფიტებზე ჩაწერილ 49 სიმღერას, რომლებიც მაკვანეთის ანსამბლმა (გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით) შეასრულა. აჭარული სიმღერა „ვოისა რერა" სულაც ამ ჩანაწერმა გადაარჩინა და კიდევ „კუჩხი ბედინერის" უცნობი ვარიანტი შემოინახა. გადარჩენილი ორი სიმღერა, დამეთანხმებით, ცოტა არ არის.

ხოლო იმ თერთმეტი საგალობლის უბრალო ჩამონათვალიც კი, რომლებიც ფირფიტაზე ჩაწერეს და სამართლიანად, „თერთმეტი მარგალიტი" უწოდეს, თავისთავად პოეზიაა, თავისთავად ჰარმონიაა, ბევრად მეტია, ვიდრე საგალობელთა სათაურები – თავს ვერ ვიკავებ, რომ რამდენიმე მათგანი არ დავასახელო: „საიდუმლო, უცხო და დიდებული", „დიდება ღმერთსა", „ჟამთა და წელთა", „შენ, რომელმან განანათლე", „შობა შენი უხრწნელ არს", „სიჭაბუკის ყვავილი დააჭკნო სიკვდილმა", „დღეს საღვთო მადლმა შეგვკრიბა ჩვენ" და სხვა. 200-ზე მეტი საგალობლის ყველა ხმა ზეპირად სცოდნია არტემ ერქომაიშვილს. 200-დან 11 თითქოს ცოტაა, მაგრამ იმ საშინელ ჟამს, როცა გალობა სრულიად აკრძალული იყო, ეკლესიები დაკეტილი, ღმერთი უარყოფილი, და ბავშვები – მოუნათლავნი, ეს თერთმეტიც მზის სხივივითაა სრულ წყვდიადში. რა ტრაგიკული ნათქვამია, არა? „200-ზე მეტი გალობა ვიცით, მარა რად გინდა მერე, იგალობებ და ციმბირი უკან დაგრჩება".

ქართული ხალხური სიმღერების დამფასებელნი და ქომაგები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, მათ ავტორი

საგანგებოდ მოიხსენიებს წიგნში. ალექსანდრე ორბელიანს კი, ვისაც „საქართველო განსხვავებულად უყვარდა" (აკაკის სიტყვებია) აქვს ასეთი წერილი: „ივერიანელელების გალობა, სიმღერა, ღიღინი". ავტორი აქ ამ სამ რამეს განარჩევს ერთმანეთისგან, ერთმანეთს ადარებს აღმოსავლურ და დასავლურ, კერძოდ, იმერულ სიმღერებს, სიმღერაში ეძებს და პოულობს ჩვენს ფესვებს, ბურჯს, დვრიტას, ეფერება და ეალერსება სიმღერაში, გალობაში, ღიღინში გამოვლენილ ქართულ სულს, ქართულ ცნობიერებას. ანზორ ერქომაიშვილის ნაამბობმა ალექსანდრე ორბელიანი არაერთგზის გამახსენდა – თუნდაც იმ ეპიზოდების წაკითხვის დროს, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ უსმენდნენ ბავშვები უფროსების სიმღერასა და საუბარს: „ისინი იშვიათ ამბებს იგონებდნენ, ყვებოდნენ თავიანთი ბავშვობის შესახებ, ხუმრობდნენ, სიყვარულით იხსენებდნენ მშობლებს – ეგვიტის და გიგოს, ახლაც ამ ოჯახში მათი სული ტრიალებსო, - ამბობდნენ და ჩვენ, პატარები ჭერში ვიყურებოდით და ვეძებდით, სად დაფრინავდნენ მათი სულები.

ახლა რომ ვიხსენებ, განცვიფრებული ვარ მათი დარბაისლური ქცევით, კულტურით, ზრდილობით, საუბრით, დახვეწილი ტრადიციული მანერით, რასაკვირველია, გასაოცარი სიმღერით", — წერს ბატონი ანზორი.

ზუსტად ასე, თითქმის იდენტურად აქვს აღწერილი ალექსანდრე ორბელიანს, თუ როგორ იზრდებოდნენ უწინ ბავშვები ოჯახებში, სადაც უფროსებისაგან ერთ ბეწვა ზაკვის სიტყვას ვერ გაიგონებდნენ. ამ შემთხვევაში ეს ორი მთხრობელი სიმართლემ, ნამდვილმა ამბებმა და საქართველოს სიყვარულმა გააერთიანა და უნებურად დაუახლოვა ერთმანეთს.

წიგნში რამდენიმე ისეთი ეპიზოდია, საუკეთესო მხატვრულ რომანს რომ დაამშვენებს. ერთი მაგალითი მრავალთაგან: გიგო ბაბუას გარდაცვალება – გადასვლა სხვა სამყაროში – მშვიდი, წყნარი, ცხოვრებისეული სიბრძნით აღბეჭდილი, სიმღერით განათებული, ახელილი მესამე თვალით, შუქმოფენილი... და აქვე საყურადღებოა შვილის, არტემის ერთგვარი ვაჟკაცობა – ჯერ გარდაცვლილ მამას როგორი გარეგნული სიმშვიდით

დაუხუჭა თვალები და მერე დაკრძალვაზე როგორ იმღერა ძმებთან ერთად „ზარი“ და „სულთათანა“. იმ ეპოქაში, 40-იან წლებში ეს მართლაც იყო გამბედაობა და უშიშრობა.

წიგნი კომპოზიციურადაც საინტერესოდაა აგებული და შეკრული, ნამდვილი ოსტატის ხელი ეტყობა. შთამბეჭდავია დასასრული – ჩამონათვალი არტემ ერქომაიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი მომენტებისა.

ამის ნახევარი კი არა, ჩამოთვლილთაგან ერთი-ორი დამსახურებაც რომ ჰქონდეს კაცს, იგი ერმა არ უნდა დაივიწყოს.

ამ ტიპის წიგნი კი – მოგონებები – უთუოდ ბატონ ანზორს უნდა დაეწერა. მას ბაბუას კერძო ცხოვრებაც კარგად ახსოვს, შემოქმედებითი წარმატებების სრულყოფილად გასიგრძეგანება და შეფასება შეუძლია, მიმადლებული აქვს გემოვნებაც და მწერლის თვალი და ენაც. ახლა, როცა სამყაროს კოსმოსიდან ესმის „ჩაკრულო“, წიგნისთვის დართულ DVD-სა და CD-ზე შთამბეჭდავი ჩემთვის თხრობაა, სიტყვით გაცოცხლებული დიდი მომღერალი და ზნეობრივი, მართალი კაცი.

მამა ანდრია და იური ანუა

(შორენა ლებანიძის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი)

კაცობრიობის გაჩენიდან დღემდე რამდენნაირად გააზრებულა ომი ლიტერატურაში! „ილიადადან“ დაწყებული რამდენი თვალით, როგორი კუთხით, რა თვალსაზრისით არ შეფასებულა ომი – როგორც მოვლენა, რა თქმა უნდა, ყოველთვის კონკრეტული სურათების ჩვენებით. გამონაკლისი არც აფხაზეთის ტერიტორიაზე გასული საუკუნის 92-93 წლებში მიმდინარე ომია. მის შესახებ ამ 25 წლის განმავლობაში ბევრი კარგი ნაწარმოები დაიწერა (გადაღებულია რამდენიმე შესანიშნავი ფილმი, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს). და რადგან ეს ომი ჩვენთვის წარსული ჯერ არაა, აწმყოა და პირმოუკრავი ჭრილობაა, ამიტომ, ცხადია, აწიც დაიწერება, კიდევ ბევრჯერ ააფორიაქებს ჩვენს მოგონებებსა და წარმოსახვებს ის ერთწლიანი ჯოჯოხეთი. და ამ მრავალფეროვნებაში, თამამად შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი გამორჩეული რომანია შორენა ლებანიძის „მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“. გარდა იმისა, რომ თემად შერჩეულია ერთი ყველაზე ამაღელვებელი ეპიზოდი (რომლის შესახებაც თითქოს ყველამ ყველაფერი ვიცით), რომანის გამორჩეულობას ისიც განაპირობებს, რომ ამბავი გამდიდრებულია უამრავი ახალი დეტალით, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, სინამდვილეში კი რეალობის ზუსტად ამრეკლავი წვრილმანებით, თხრობაში შემოდიან პერსონაჟები, რომელთა ხასიათი სრულყოფილადაა გახსნილი (რომანი ხომ ხასიათის გამოკვეთაა!), დაწერილია მიმზიდველი, საოცრად უბრალო და ამავე დროს მდიდარი, დახვეწილი ქართულით, კომპოზიციურად კარგადაა შეკრული, სათქმელი განზოგადოებულია,

ავტორი მკითხველს ამბის თანამონაწილედ ხდის... რომანს უთუოდ კიდევ აქვს მრავალი ღირსება, რომელთაგან რამდენიმეს აღნიშვნას გზადაგზა შევეცდები.

რა არის ომი? ომი თითოეული ადამიანის გული და გრძნობაა, ერთია, მაგრამ ამავე დროს – უამრავია, ცალკე, კერძო ადამიანის თვალით დანახული და გულით განცდილი. ამ რომანს საფუძვლად მანანა ანუას მოგონება უდევს – ერთი აფხაზი (ანუ ქართველი) გოგონას თავგადასავალი, მის მიერ აღქმული სამყარო, მის მიერ ორ თვეში განვლილი ცხოვრება. მისი მონათხრობი ბევრი რამით ჰგავს და ბევრით განსხვავდება კიდეც ჩვენეული ომისაგან.

ოღონდ რომანი შორს სცილდება მხოლოდ ერთი ან ორი პიროვნების, მხოლოდ ერთი ან ორი ოჯახის ტრაგედიის აღწერას.

ჩვენ გვახსოვს ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული მისტიფიკაცია (ეს მოთხრობა სიტყვით – სიტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა მოხევემ ღინჯა ხულელმაო, რომ გვითხრა). ამ რომანის მთავარი მთხრობელი, გასაგებია, ქალბატონი მანანაა, თუმცა ისიც ცხადია, რომ ავტორს, შორენა ლებანიძეს გაუთავისებია, გაუშინაგანებია, საკუთარ გრძნობა-გონებაში გამოუტარებია ყველაფერი და ასე შეუქმნია მხატვრული ნაწარმოები, სრულფასოვანი რომანი გამოკვეთილი სიუჟეტით, მოქმედი პირებითა და სხვა.

პირველივე კარი („მამა ანდრია“) განზოგადებული თხრობით იწყება. ტაძარში დასვენებული ცხედარი ბერისა, რომელსაც სახეზე მშვიდი და ნათელი ღიმილი აფენია, სხეული, რომელიც არ იხრწნება, რომელიც გადარჩენია კვდომის გამანადგურებელ ძალას და უცნაური სხივით განათებული აღსავლის კარი, სადაც საკმევლის, ნაკურთხი ზეთის მსუბუქი სუნი ტრიალებს – ძალაუნებურად განადგურებული, ფიზიკურად დაკარგული, მაგრამ სულისთვის და გონებისთვის მარად განუშორებელი, მარად ცოცხალი მშობლიური მხარის სიმბოლოდ წარმოგვიდგება (ერთი უცხოელი მწერალი, რომელმაც აფხაზეთი პირველად ახლახან ნახა, ასეთ შედარებას მიმართავს – აფხაზეთი ჰგავს მზეთუნახავს, რომელიც მე პირველად დაბერებული ვნახეო).

შემთხვევით არ არის, რომ მამა ანდრიას მეუდაბნოე ბერს, უადრესი ეპოქების სულიერ მამებს ადარებს ავტორი. თავისი ცხოვრების წესით იგი სიცოცხლეშივე წმინდანის ტოლი და სწორი იყო, ხოლო მისი სიკვდილისწინა სიტყვები: ეს უფლის მიწაა! ლეგენდად იქცა, უკვდავებაში გადავიდა.

ადგილი, სადაც მოქმედება ხდება საქართველოს ულამაზესი სოფელი (კომანი) თან რეალური სოფელია, თან მთელი აფხაზეთის სიმბოლო და როგორც ყველა სოფელი ჩვენში — სამოთხის ამქვეყნიური განსახიერება.

იური ანუას მიერ აღდგენილი (არსებითად, ხელახლა აშენებული) იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო.

წმინდა ვასილისკოს სისხლის წვეთებით მოწინწკლული ქვები, წმინდანის საფლავი, მისივე წყარო, აქვე აღსრულებული იოანე ოქროპირის მონასტერი, მისივე სარკოფაგი, იოანე ნათლისმცემლის ქვაბული, მაშასადამე, მთლიანად წმინდა ადგილი, სადაც ძირითადად სვანები ცხოვრობდნენ, იქცა ადამიანების წამების, ტანჯვის, სისხლისღვრის ადგილად – ფაქტობრივად, იმად, რადაც იყო ის თავიდანვე, წამებით ამაღლებული და განწმენდილი სულების სავანედ.

ახლა, ალბათ, მთელი აფხაზეთი მოფენილია წმინდა სისხლით მოწინწკლული ქვებით. ეს ის სისხლია, რომელიც საუკუნეებს გადაწვდება და არასოდეს (ვერასოდეს) წაიშლება.

სიმბოლურია იური ანუას ჭაობთან ბრძოლაც. მას მართლაც უხდებოდა არამარტო მიტოვებული რეზერვუარის ღორღით ამოვსება, არამედ ადამიანთა აზროვნებასა და ურთიერთობაში არსებული ხავსისა და ჭაობის გაწმენდა. იგი გახლდათ ნამდვილი აფხაზი, ე.ი. ნამდვილი ქართველი, მაგრამ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზებიც მოღალატედ მიიჩნევდნენ და ქართველებიც. გამიკვირდებოდა, სხვანაირად რომ მომხდარიყო.

იური ანუა შეგნებულად შეეწირა ქვეყანას. შეეძლო, დროებით გარიდებოდა იქაურობას (როგორც არაერთი ადგილობრივი მცხოვრები მოიქცა). გრძნობდა და ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა გარდაუვალი აღსასრული და კომანიდან ფეხი არ მოი-

ცვალა. „მე აქ დავრჩები," – მტკიცე იყო მისი გადაწყვეტილება და აღესრულა კიდეც გმირისა და წმინდანის აღსასრულით.

4, 5, 6 ივლისის ჩანაწერები თავისი სიმძაფრით „ანა ფრანკის დღიურსაც" გადასწონის და ალბათ, კიდევ ბევრ ასევე მძაფრსა და შემძვრელ ნაწარმოებს...

იქნებ დიოდოტი (დაურ ზუხბა), თავისი სინანულით მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვის" სოფიოს რომ გვაგონებს ერთგვარად, იქცეს ქართველ-აფხაზთა ურთიერთმობოდიშებისა და მონანიების ბიძგად; ან რაფიკ აჩბა, გუდაუთელი, მაჰმადიანი აფხაზი, რომლისთვისაც სიტყვის, ფიცის შესრულება ღირსების საქმეა; ან იქნებ ქვაჩალა ამიჩბა თუ ბატალ ტარბა, თავიანთი ნაკლითა და ღირსებებით, ომშიც რომ ცდილობდნენ ადამიანური სახის შენარჩუნებას. აქვე ქალებიც უნდა ვახსენო, მთავარი გმირისა და მისი დედის გარდა, ჯაჯა ცალანი და მერი პაკელიანიც, არცერთ მამაკაცს რომ არ ჩამოუვარდებოდნენ სიმტკიცითა და თავგანწირვის უნარით.

ამაღელვებელი და დაუვიწყარი ფაქტია, როგორ სცეს პატივი ქრისტიანულ ტაძარს მეომარმა ჩეჩნებმა და უბრძოლველად, მშვიდად, რიდით, კრძალვით აუქციეს გვერდი. ცხოვრება ზოგჯერ მზამზარეულად გვაწვდის ისეთ ეპიზოდებს, რომანისტს რომ აუცილებლად გამოგონება დაჭირდება (ალექსანდრე ორბელიანს „უმანკო სისხლში" მოთხრობილი აქვს ერთი ეპიზოდი, თუ როგორ შედის სიონის ეკლესიაში მაჰმადიანი დამპყრობელი და მოხიბლული უნებურად წამოიძახებს: „ღვთის სახლს რომ იტყვიან, სწორედ ის არის").

იური ანუას საფლავს დღეს თურმე იქ დარჩენილი აფხაზები უვლიან (საბედნიეროდ, რამდენიმე შემთხვევა სხვაც ვიცი, აფხაზი რომ ქართველის საფლავს პატრონობს და ჭირისუფლობს). მამა ანდრიასა და იურის ანუას სახელები იქცა და დარჩება სიმბოლოდ ქართველ-აფხაზთა ძმობა-მეგობრობისა კი არა, არამედ – ერთობისა. ორი მამა, რომლებიც მარტო მანანას ან თუნდაც მარტო კომანელებს კი არ იფარავენ, არამედ – მთელ ერს.

აღსანიშნავია „არტანუჯის" მიერ გამოცემული წიგნის დიზაინი – თეთრ ფონზე შავით მოსილი ქალის სილუეტი და ოდნავ სიღრმეში – ხსნად და ნუგეშად – ეკლესია. ომი მართლაც შავ-

თეთრია, ომს სხვა ფერი არა აქვს. ასე რომ, გარეკანი ზუსტად შეესატყვისება შინაარსს.

ფერადი ამ წიგნში მხოლოდ სიტყვაა, ფრაზაა, მხატვრული სახეა. ზეციური მადლი აძლევს ძალას მთხრობელს, რომ არ გაბოროტდეს, ზიზღით არ აღივსოს, სიმშვიდე, სიკეთე, გონიერება შეინარჩუნოს და ისე იმსჯელოს, რომ არავინ განიკითხოს, თვით გაპირუტყვებულ ბრბოში ადამიანი ეძებოს და დაინახოს (ხანაც თვითონ შეუწყოს ხელი მათ გაადამიანებას).

თუმცა მთელ რომანში მხოლოდ ერთხელ არის მოხმობილი მამა ანდრიას სიკვდილისწინა სიტყვები, მაგრამ იგი იგულისხმება ყველგან და ყოველთვის. — ვისია ეს მიწა? ქართველების თუ აფხაზების? ეკითხებიან ეშმაკისგან ცდუნებულნი და პასუხად გაისმის ჩუმი, მაგრამ მტკიცე, თითქოს არაამქვეყნიური ხმა: ეს უფლის მიწაა.

ეს კრავს, ეს აერთიანებს თხრობას, ეპიგრაფადაც ეს შეიძლება წაემძღვაროს და დამთავრებითაც შეიძლება ამ სიტყვებით დამთავრდეს რომანი.

სულიერი ავტოპორტრეტი

(ლიანა ელიავას მხატვრულ-დოკუმენტური პროზა)

შუასაუკუნეების ევროპაში ხომ დომინირებდა ასეთი, არც თუ უსაფუძვლო შეხედულება, რომ ანტიკურ ხანაში დაიწერა ყველაფერი, რაც საყოველთაო ინტერესს შეადგენს, ლიტერატურამ ამოწურა ყველა თემა, ხასიათი, სათქმელი... რომ აწი მხოლოდ გადამღერებაა შესაძლებელი (და საჭირო)... არ დაიჯერა კაცობრიობის ღმერთთან მოსაუბრე ნაწილმა და მას მერე მაინც იქმნება ახალი (თემატიკით, სათქმელი, ფორმით) ნაწარმოებები. რა ხანია, რაც კაცობრიობა არსებობს და გადმოსცემს (წერს) ნანახს, ნაფიქრს, განცდილს, მეორდება სატკივარი, მუდმივია ადამიანური გრძნობები, უცლელია დარდი და სევდა, სიყვარულიც, თუმცა მარად ახალია ხოლმე ავტორის თვალი, ავტორის გული, ავტორის ენა. ყველას თავისი წილი სამყარო აქვს ასაწერი. ყოველთვის საინტერესოა, როცა ნათქვამი ბუნებრივია, არა ნაძალადევი, არამედ შინაგანი მოწოდებით გაპირობებული.

ლიანა ელიავას კინორეჟისორობიდან მწერლობაში გადანაცვლება ბედისწერაა და არამც და არამც არაა გამოწვეული მარტო იმით, რომ უსახსრობისა (და სხვა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) ფილმებს ვერ იღებს. მისი ფილმები მოთხრობებია, მოთხრობები კი ძალიან ჰგავს კინოსცენარებს. ლიანა ელიავა კინოშიც მთხრობელია და რაზე გვესაუბრება იგი? სიკეთესა და ბოროტებაზე, ომზე, ხელოვნებაზე, ადამიანზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, ეჭვსა და ნდობაზე, შიშზე, სიკვდილზე, სიცოცხლეზე... ყველაფერზე, რაც ადამიანურია, რაც მარად იყო და

იმედია, აწიც იქნება. ბედისწერამ ასე ინება, რომ ქართული მოთხრობების ავტორი კარგა ხანია, უცხოეთში ცხოვრობს. სამშობლოში ჩამოდის ხოლმე, მაგრამ სხვაგან მხოლოდ ფიზიკურად ცხოვრობს, სულიერად ერთი დღითაც არ მოწყვეტია საქართველოს. მისი სააზროვნო ველი წმინდა ქართულია და იმავე დროს, რა თქმა უნდა, ზოგადსაკაცობრიო.

მის მოთხრობებში სხვადასხვა სიუჟეტია, თემა, აზრი, პერსონაჟი. ამ მოთხრობებით ავტორის ავტოპორტრეტიც იხატება. მთავარი, რითაც ეს ნაწერები იქცევს მკითხველს ყურადღებას, მათი გულწრფელობაა, ავტორის პატიოსნება. სათქმელს თავისი ფორმა აქვს — ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული, თუმცა გამორჩეული სისადავით, სასაუბრო მეტყველებასთან მიახლოვებული, ყველა მკითხველისთვის გასაგები ქართულით. მწერლისთვის სათქმელი იმდენად ნიშვნელოვანია, რომ საგანგებო მორთვა-მოკაზმვაზე არ ზრუნავს. როცა საჭიროდ მიიჩნევს, ეპითეტთა ისეთ კორიანტელს დააყენებს, რომ სასიამოვნოდ გაგვაოცებს; თავის ადგილას და დანიშნულებისამებრ გამოყენებული ანდაზებიც იპყრობს თვალსა და გონებას. და ეს ხდება სავსებით ბუნებრივად, შინაგანი კანონზომიერებითა და ზომიერების იმ ხარისხით, რომელიც ნამდვილი მწერლობის ნიშანია.

ლიანა ელიავას სტილს ახასიათებს ის სიმარტივე, რომლითაც თავიდან, ხელახლა იქმნება სამყარო — საკუთრივ მისი, ავტორისეული, და რომელიც წაკითხვისუმალვე ჩვენიც ხდება.

ლიანა ელიავასთვის, როგორც მწერლისთვის, ნიშანდობლივია დამთრგუნველ გარემოშიც სიყვარულისა და სიკეთის ძიება და აღმოჩენა, ხან ბავშვური გულუბრყვილობა, პოეტური აზროვნება ღმერთსმოკლებულ სამყაროში, განსჯა, ადამიანის დანახვა და მცირედისაც დაფასება... ამიტომაა მისი მოთხრობები ასეთი ნათელი. იგი ცდილობს და ახერხებს თავისი სიხარული და სუფთა სული სხვებსაც დაანახოს.

უცხოეთში მყოფთ, როგორც წესი, ყველაზე ახლობელი ადამიანები ენატრებათ, ცოცხლებიც და უკვე სხვა სამყაროში გადასულნიც. დაუვიწყარ პერსონაჟებად შემოდიან ლიანა ელიავას ნაწარმოებებში მისი მშობლები, ბიძა, ძმა. ძმას საგანგებო-

დაც უძღვნის ერთ მოგონებას („მუშაკი და ჯარისკაცი საქართველოსი"), მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავ ნიმუშს. ასეთი ტიპი — განათლებული, წესიერი, თუმცა ცხოვრებაში ნაკლებად რეალიზებული ახალგაზრდა — იცის ჩვენმა ლიტერატურამაც და კინემატოგრაფმაც. საქმე ისაა, რომ საბჭოთა სინამდვილეში რეალურად არსებობდნენ ასეთი ადამიანები. მათი გაქანების სრულყოფილად გამოვლენას სწორედ საბჭოთა სინამდვილე უშლიდა ხელს, ხოლო რეჟიმისა და მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლთ ყველანაირი ხერხებით (მთლად უღირსი და სამარცხვინოთიც) დევნიდნენ და ანადგურებდნენ. ამ გულისმომკვლელ ამბებთან ერთად მკითხველს არ შეიძლება, გულში სითბოდ არ ჩაეღვაროს დებისა და ძმის ერთმანეთთან მოკრძალებული, ტაქტიანი, უსიტყვო ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რომელსაც, რა თქმა უნდა, სიყვარული უდევს საფუძვლად. ამ მოთხრობის წამკითხველს, მგონი, უნდა დარჩეს განცდა, რომ სიკვდილი კი არ აშორებს, არამედ ადამიანებს კიდევ უფრო მეტად აერთიანებს და წასულს უფრო ძვირფასსა და ახლობელს ხდის ჯერაც ცოცხლებისთვის.

წიგნში ყველაფერი რეალობით, სინამდვილით, ყოფიერებითაა გაჯერებული. სათაური — „რაც იყო და არც იყო" — იმთავითვე მიგვანიშნებს ყოფის სიზმარეულობასაც. მწერლის მიერ ფანტაზიით შექმნილიც იყო — ჯერ მარტო მის სულსა და გონებაში, მერე ქაღალდზე გადმოტანილი — სხვებისთვისაც, ხოლო რეალურად მომხდარი არც იყო, სანამ ისიც მოთხრობებად არ იქცა.

ლიანა ელიავა ახერხებს, მკითხველი ამბის მონაწილედ აქციოს, რაც არამარტო მის ინტელექტზე, არამედ სულიერებასთან ერთად ღვთით ბოძებულ ნიჭიერებაზეც მეტყველებს.

თხრობა უმრავლეს შემთხვევაში მყარ კომპოზიციურ ჩარჩოშია მოქცეული, თუმცა გვხვდება ფრაგმენტულობა-წყვეტილობაც, რაც კინოკადრების მონაცვლეობას გვაგონებს ერთგვარად.

მოთხრობები საყურადღებოა რეალურისა და შეთხზულის ურთიერთკავშირითაც, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს ზოგი რამ სიმბოლურად გაიაზროს. დოკუმენტურ მოთხრობებ-

ში ფონი, გარემო, დრო, ბუნებრივია, კონკრეტულია და ავტორის მიერ დაზუსტებულად მითითებული. ზოგი მოთხრობის სოციო-კულტურული თუ ისტორიული ფონი კი შეიძლება ზედროულად მივიჩნიოთ („ვარიაციები ქართველი ქალისა და კაცის თემაზე“ და სხვა). როცა მწერალი სამყაროში სიყვარულის დეფიციტზე გვესაუბრება, არა მგონია, მხოლოდ საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა სივრცე და ეპოქა იგულისხმებოდეს.

ლიანა ელიავა ის მწერალია, რომელიც ყოველთვის ეძებს (მკითხველსაც ამ ძიებაში ჩართავს) გამოსავალს და თუმცა გადაჭრით და კატეგორიულად არაფერს ამტკიცებს, არ გვმოძღვრავს, მისი ნაწერებიდან ყოველთვის გვრჩება მომავლის იმედი, სითბო და სინათლე.

წუხილი გადაუღებელ ან დაკარგულ (თუ დაჭრილ-დამახინჯებულ) ფილმზე ერთ მნიშვნელოვან თემად გასდევს ამ წიგნს, ხოლო რეჟისორის სევდა-ნაღველი არაფრით განსხვავდება შვილდაკარგული დედის კაეშნისგან. ეროვნულ-პატრიოტულ თემაზე დაწერილი წერილების გაცნობისას არ შეიძლება მთხრობელის თანაზიარი არ გახდეს ნებისმიერი მკითხველი — ისინიც, ვინც ბოლომდე უერთგულა ეროვნულ ხელისუფლებას, მაშინაც და ახლაც პოლიტიკისადმი ნეიტრალურად განწყობილი ადამიანებიც (არიან ამისთანანიც ჩვენში), ნაგვიანევად შემნანენი საკუთარი საქციელისა და ისინიც, ვინც ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ სიტყვითა და საქმით ბრძოლას დღესაც გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს. რა აერთიანებს ამ საზოგადოებას? — რა თქმა უნდა, შემოქმედება — ფილმი, ლიტერატურა. მთელ წიგნში ხელშესახებია ეროვნული თვითმყოფადობის გამძაფრებული შეგრძნება და ისიც თვალსაჩინოა, რომ ავტორი ყოველთვის სულიერ ფასეულობებზეა ორიენტირებული. ამიტომ მისი ნაწერები არასოდესაა სწორხაზობრივი და მოსაწყენი.

„ზარი საზღვარგარეთიდან“ ერთ-ერთი გამორჩეული ნოველაა კრებულში. საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები მთელი არსებით განიცდიან, გრძნობენ და, შეიძლება ითქვას, ებღაუჭებიან თავიანთ ქართველობას. გრძნობენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის

გადმოსვენების განსაკუთრებულობას, რეკავენ შინ... და საშინელი კონტრასტი — საქართველოში მცხოვრებ ოჯახს სულაც არ აღელვებს ეროვნული მნიშვნელობის აქტი, სამაგიეროდ ოჯახის უფროსი ფეხბურთის ყურებას აუღელვებია. მკითხველის ემოცია მიღწეულია.

ლიანა ელიავას მოთხრობები, როგორც ვთქვით, რეალისტური პრინციპითაა დაწერილი. ნათქვამი ეხება როგორც შინაარსს, თემატიკას, ისე გამომსახველობით საშუალებებს. მწერალი ტრადიციების ერთგულია და სულაც არ ცდილობს, ნაძალადევად მოერგოს პოსტმოდერნიზმსა თუ სხვა რომელიმე მოდურ მიმდინარეობას. არის ერთი რკალი ამ წიგნში, რომელიც ძალდაუტანებლად ატარებს ჟანრობრივი სიახლის ტვიფარს (სიახლედ ამ შემთხვევაში კარგად დავიწყებულ ძველს ვგულისხმობ). „ძაძუანი" — მოკლე გამონათქვამები, განსჯა- შეგონებები სხვადასხვა, ერთმანეთისგან სრულიად დაშორებულ საკითხებზე, როგორც ავტორი განმარტავს, ჩინურ ლიტერატურას შთაუგონებია მისთვის. მე კი სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი სამეულები მომაგონა უნებლიეთ („სამი რამ მართებს..." და სხვა). რად დაგვრჩენია სხვაზედა თვალი? — ამ საყვედურს ვერაფრით ვკადრებ ეროვნული სულიერებით გამორჩეულ მწერალს, ოდენ მკითხველთა და უფრო კრიტიკოსთა გასაგონად ვიკითხე.

ამ ციკლის ნაწარმოებებში გვხვდება ფილოსოფიური დაფიქრებანიც, იუმორით აღბეჭდილი პასაჟებიც, ბანალური, ანბანური ჭეშმარიტებებიც. სერიოზულ, ფილოსოფიურ მსჯელობებს საოცრად უხდება იუმორიცა და ყოველდღიური ფასეულობების შეხსენებაც.

მწერალს შეუმჩნეველი არ რჩება და მისთვის სასიამოვნოა სხვათა პიროვნული ღირსების, პროფესიონალიზმის, თავდადების, ზნეობრიობის ჩვენთვისაც გაცნობა. განსაკუთრებულ ყურადღებას კი თავის დროზე ჩრდილში მდგომ, ეგრეთ წოდებულ პატარა ადამიანებს აქცევს, რომელთა გარეშეც ვერც კარგი ფილმი შეიქმნება და არც ცხოვრება იქნება სასიამოვნო. წიგნში იოლად ამოვიკითხავთ, რომ ამ საერთო სიმრუმეში სამყარო მაინც მშვენიერია და სიყვარულიც არსებობს.

და ბოლოს, ნებისმიერ ნაწერში ჩანს თავად ავტორი. გამონაკლისი, ცხადია, არც ეს წიგნია. დახატულია ფიზიკურად ნაზი, სუსტი, მაგრამ სულიერად მტკიცე, გაუტეხელი, უშიშარი ქალის ავტოპორტრეტი, რომელიც, მრავალთა სასიამოვნოდ, და, იქნებ, მრავალთა საწყენადაც, ხედავს, ფიქრობს, სჯის, გულწრფელად გადაგვიხსნის და ლამაზ ფორმაში მოაქცევს საკუთარ სულიერ ღელვას.

დიღმის ჩეხოვი

(ნინო წიკლაურის ნოველების პირველი კრებული)

კრებულში შესული მოთხრობების სერია ერთ ისტორიას ქმნის ერთ ამბავს ყვება და ესაა ამბავი ადამიანის ცხოვრებისა. თითოეული მოთხრობის სიუჟეტი შეიძლება ძალდაუტანებლად განზოგადდეს და მწერლის მიერ მოტანილ სარკეში ჩვენივე ყოფა ამოვიცნოთ. ავტორი ურალო, ყოველდღიური ამბებისაგან თხზავს მხატვრულ ნაწარმოებს. თითქოს ერთი სოფლის (მთვარით განათებული დიღმის) მცხოვრებლებს გვაცნობს, მაგრამ მკითხველი იოლად ხვდება, რო ესაა, საერთოდ, წუთისოფლის (სა არა კონკრეტულად რომელიმე სოფლის) მართალი, მწერლის თვალით დანახული და დახატული სურათები. ზოგი პერსონაჟი მოთხრობიდან მოთხრობაში გადადის, ერთი და იგივე პერსონაჟი რამდენიმე ნაწარმოებშიგვხვდება. ეს და კიდევ სხვა დეტალებიც გვაფიქრებინებს, რომ ამ მოთხრობებსრეალურად მომხდარი ამბები უდევს საფუძვლად, რომ პერსონაჟებს პროტოტიპები ჰყავთ, თუმცა, პირწმინდად გამოგონილიც რომ იყოს, მაინც (ან იქნებ, მაშინ უფრო) ჩვენი ცხოვრების სარკეა ეს წიგნი. ე.ი. ყველაფერი თუ მართლა იყო. მაინც უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რომ ეს დაიწერა, შეიქმნა, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

ნინო წიკლაური კარგი, ნიჭიერი მთხრობელია. იგი ახერხებს, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, ასე ვთქვათ, უბრალ ამბებისაგან შექმნას საინტერესო, მიმზიდველი სიუჟეტები. ამ ნაწარმოებებში მთხრობელი თითქოს არ ჩანს, პერსონაჟები, ამბები თავად ყვებია საკუთარი თავის შესახებ, თუმცა თხრობა

მაინც სუბიექტურია (და ესაა სწორედ საინტერესო) რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ცხოვრებისეული მრავალფეროვნებიდან, სიჭრელიდან ის ფერი, ის დეტალი, რომელიც ამა თუ იმ მოთხრობაშია ასახული, სწორედ მწერლის შერჩეულია. და, გარდა ამისა, მთხრობელის მიერაა შექმნილი თითოეული მოთხრობისა თუ მინიატურის განწყობა, ესე იგი, ჩვენი განწყობა, რომელიც კითხვისას გვეუფლება. მწერალი ჩანს იქაც, სადაც საკუთარი თავი პერსონაჟად არ გამოჰყავს. რით და როგორ ჩანს? იმით, რაც არის მწერლის იარაღი, საშენი მასალა – რასაკვირველია, ენით – ორიგინალური, სადა, სასაუბროსთან მიახლოებული, არაფოიერვერკული, არა ეპატაჟურისტილით. ზოგჯერ კი მწერალი თხრობასთან ერთად მოვლენების საკუთარ ინტერპრეტირებასაც გვთავაზობს.

ამ ტიპის თხრობა გარკვეულწილად აკლდა ცვენს ლიტერატურეს. ნინო წიკლაური თავის, ჯერაც შეუვსებელ ნიშავს იკავებს. ავტორი ბაძავს ცხოვრებას და ამ, შემოქმედებითი მიბაძვით თვალსაჩინოსა აქცენტირებულს ხდის იმას, რაც ცხოვრებაში არც არის ასე ხაზგასმული.

„კითხულობდე ლიტერატურულნაწარმოებს, ნიშნავს მონაწილეობას იღებდე თამაშში, რომელიც საშუალებას მოგვცეს გავაზიაროთ მოვლენათა უსასრულო მრავალფეროვნება" (უმბერტო ეკო).

ნინო წიკლაურის მოთხრობები და მინიატურები მართლაც ითხოვს მკითხველის თანამონაწილეობას. ეს ზომით მცირე ნაწარმოებები საშუალებას გვაძლევს, ჩვენი ინტერპრეტაციით წარმოვიდგინოთ, დავაზუსტოთ, შევავსოთ დეტალები. რა თქმა უნდა, ეს დეტალიზება ყველა მიკითხველის მიერ საკუთარი და სხვათაგან განსხვავებული იქნება, რაც ხელს არ შეუშლის იმას, რომ მწერლის განწყობილება და სათქმელი ადექვატურად აღვიქვათ.

მოთხრობებთან ერთად შეგნებულად ვახსენე მინიატურაც. სამწუხაროდ, მინიატურის სრული, ყოვლისმომცველი დეფინიცია არ არსებობს ლიტერატურათმცოდნეობაში. მაგრამ ლიტერატურეს თეორეტიკოსთა მიერ განსაზღვრული ნიშნების

მიხედვით ღამდენიმე ნაწარმოები მინიატურად შეიძლება მივიჩნიოთ. აგალითად, „ზ.თ." და „ჭირისუფალი". აქ თხრობასთან შედარებით პრიმატი გრძნობას ლირიკულ ნაკადს აქვს. მთლიანად ლირიკაა „ზ.თ."

გაჩერებაზე ნამტირალევი ქალი დგას ჭადრის
ტოტებზე შაშვი დაძვრება და გალობს...
ბინაში, გახუნებულყვავილებიან კედელზე, ჭიკარტით
მიმაგრებულ ვარდისფერ ფურცელზე გაკრული ხელით
წერია:
ცრემლის წვეთები, შენი საზე ნაფერმკრთალები
შაშვის გალობის ფერი იყო შენი თვალები.
მისი ავტორი მარმარილოს შავი ქვების ქვეშ წევს...
ქალი გაჩერებაზე დგას შაშვისგალობისფერი
თვალებით.
შაშვი გალობს.

ხომ პოეტურია „გალობისფერი თვალები" და არანაკლები მნიშვნელობისაა პოეზიაში შაშვის გალობა.

„ჭირისუფალშიც" თხრობაზე მეტად მინიშნებაა, ნათქვამზე მეტი – უთქმელი. სულ რამდენიმე წინადადებითაა გადმოცემული ქალის ღრმა, უნაპირო ტრაგედია. მწარე გამოცდილებით შეუძენია იმ დაფარული საიდუმლოს ცოდნა, რომელიც სხისთვის მიუწვდომელია. მთელი ოჯახის (ორი თვის გოგონას, ოცდაათი წლის ვაჟის, ქმრის, დედამთილ-მამათილის) განსასვენებელია გაღმა, ერთ-ერთი მთის ფერდზე. „სოფელში მიცვალებულის გამოსვენების დროს რომ მოიტანს, ...ამ დროს მაღალი, გამხდარი დედაკაცი ფიქრშია წასული და მეჩვენება, რომ ის გაცილებით მეტს ხედავს, ვიდრე საქმეს გაქცეული, მასთან ერთად მდგომი ქალები".

ციტატები დავიმოწმე, რათა იმ უგუნური და უგემოვნო კრიკტიკოსის როლში არ აღმოვაჩინე, ლექსის (ამ შემთხვევაში – მინიატურის) დეტალიზებასა და ინტერპრეტაციას რომ ცდილობს საკუთარი სიტყვებით.

ლირიკას დამოწმება უფრო უხდება, ვიდრე – ახსნა.

ყოფითი რეალობის მიღმა ლირიკული ნაკადი შეიმჩნევა სხვა მოთხრობებშიც.

ნინოს დიღმის ანტონ ჩეხოვი დავარქვიო, — წერს წინასიტყვაობაში გიორგი შენგელაია. საგულისხმო შედარებაა. მართლაც, ნინოც ჩეხოვივით არაფრით გამორჩეული დეტალებისგან ქსოვს ამბებს, ქმნის საკუთარ სამყაროს და წარმოაჩენს რეალური სამყაროს უსულგულობას, ინერტულობას, სომხდალეს, სისასტიკეს, აბსურდულობას...

ძალიან მძიმე განწყობა შემიქმნა ამ მოთხრობებმა. საზოგადოების ნაწილს იქნებ სირაქლემას პოზაში ყოფნა ერჩივნოს, რათა ვერ შეიგრძნოს, როგორ ემხობა ცა თავზე. მწერალს კი, ჭვრეტს რა მოვლენათა არსს, ზედაპირზე ამოაქვს ყოველგვარი უბადროკა.

ამ მოთხრობათა პერსონაჟები არ გამოირჩევიან ინტელექტუალური, ზნეობრივი თუ სხვა შესაძლებლობებით. ერთი შეხედვით, ავტორი ე.წ. „ფსკერს“ გვიხატავს, იმ ადამიანებს, რომელთაც ყოფაში მთავარი ადგილი არ უჭირავთ, ყოველ შემთხვევაში, არ განსაზღვრავენ საზგადოებრივ ცხოვრებას. და, აბა, მაშ, თითოეული მოთხრობის წაკითხვის შემდეგ რატომ გვრჩება განცდა, თითქოს ძველ, დიდი ხნის ნაცნობ ადამიანებს გამოვეთხოვეთ?! ცხადია, იმიტომ, რომ ეს ადამიანები შეადგენენ საზოგადოების დიდ ნაწილს და თუ აბსტრაჰირებას მოვახდენთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთია, საერთოდ, ადამიანი თავისი ყოველდღიურობით იმედითა თუ განწყობილებით, სიხარულითა თუ მწუხარებით, კარგითა თუ ავით.

ეს სევდიანი მოთხრობები გულში დარდს გვიდიადებენ და საკუთარი თავის შეცნობას გვასწავლიან. მნიშვნელოვანია, ვინ რა თვალით წაიკითხავს ამ წიგნს, რა კუთხიდან გაზომავს ან შეაფასებს პერსონაჟთა საქციელს. ვფიქრობ, მკითხველში თანაგანცდა უნდა აღძრან (გამოიწვიონ) მათ და მეტიც, თუ თავს გავუიგივებთ, მხოლოდ ასე შევძლებთ, რომ შევიგრძნოთ. ერთი სიტყვით, „წიგნის ინტერპრეტაცია ნიშნავს საკუთარი თავის ინტერპრეტაციას“.

ადამიანთა უსულგულობა თვალსაჩინოა კრებულის პირველ მოთხრობაში „ცისკარა“, ოჯახი, რომელიც თავშესაფარად, მხნელად, დამცველად, სითბოსა და სიყვარულის კერად უნდა ეგულებოდეს ადამიანს, უსამართლოდ, ზიზღიღ, დაცინვით ექცევა

ავადმყოფ ცისკარას. თითო ეპითეტით ავტორი სახიერად წარმოგვიჩენს ამ ადამიანთა ფიზიკურ, გონებრივსა და სულიერ სიმახინჯეს. გაფუმფულებული და, ღიპიანი სიზე, გვერდებგანიერი რძალი, სახრე ძარღვებდაჭიმული დედის ხელში და ბებოს საიდუმლოდ ნათქვამი; დედაშენის უყურადღებობამ დაგაავადა, შვილოო!... — უთქმელად დატოვებულს, ე.წ. ცარიელ სივრცესაც იოლად შეგვავსებინებს და ავტორის პოზიციასაც გამოკვეთილად დაგვანახებს. ბედის ირონიაა, რომ მსობლიური სახლის, ფუძის, კერის, ფესვების გადასარჩენად მარტო ეს საბრალო ცისკარა ზრუნავს, ხოლო როცა „ალკოჰოლმა სხეულს მოპარა ცისკარა და კვამლთან ერთად აბლაბუდებიან სახურავში გაიყვანა“, მეზობლებმა ღობე ჩაგლიჯეს და ბილიკი ისევ გაკვალეს. დასასრული ლოგიკურია. პაგმატულ, ეგოიზმის ზეობის ჟამს არც სხვისი სახლ-კარისთვის სცალია ვინმეს და არც „ცით მონაბერი სული“ ჩანს სადმე.

თხრობის რიტმი, ტონი ასახული ამბების ფარდია, მათი შესაფერისი, თუმცა ამ სევდიან თავგადასავლებს შიგადაშიგ ანათებს მწერლის უპრეტენზიო, ჩუმი იუმორი. როცა „ბედნიერ ლუიზაში“ ვკითხულობთ, როგორ სასიკვდილო განაჩენივით ელის ქალი ოცდაათლარიან დახმარების დანიშვნას და სოციალური სამსახური ამაზე უარს ეუბნება, მერე როგორ ითხოვს გაზის შემოყვანას და ბიუროკრატიული აპარატი როგორ დაარბენინებს ერთი დაწესებულებიდან მეორეში, ერთი კაბინეტიდან მეორეში... ამასობაში ვისაც მარიფათი აქვს, ურიგოდ ახერხებს გაზის სახლში შეყვანას, ლუიზა კი ისევ აქეთ-იქით ეხეთქება... როცა ამ მართალ, შეულამაზებელ, ნატურალისტურ სურათებს კითხულობ, ტრაგიკული კი არა, დრამატული ეპიზოდების მონაწილე ხდები უნებურად. და უცებ: ამოსწყდით თქვენა! – მხურვალედ უსურვა მთელ სოციალურ სამსახურს... და არ შეიძლება, ამ მხურვალე სურვილმა ღიმილი არ მოგგვაროს.

ან მოთხრობაში „ყოფა“ ნათელამ არ იცოდა მატრიარქატი მრავალი საუკუნის წინ რომ შეცვლილიყო პატრიარქატით. ამ გაუგებრობის გამო საცოდავ დღეში იყო ბეჟანა. ამ „ავ“ ქმართანაც და მეზობლებთანაც მოჩხუბარ ქალს გვაცნობს მწერ-

ალი, რომელიც ადამიანის დაფარულ, შინაგან ხასიათსაც წვდება და სიავის მიღმა საოცარ სითბოსა და სიკეთეს ხედავს. აი, აქ იჭრება ლირიზმი და მოთხრობის ბოლოს, სოფლის სასაფლაოზე ჩვენც ვხედავთ მარმარილოს ქვებზე დახატულ ბეჟანასა და ნათელას. „იღიმოდა ბეჟანა, როგორც მაშინ, გოგოს ხელკავით რომ მოჰყავდა, ნათელასაც ისე გაბადროდა სახე, თითქოს ვიღაცამ მთელი ყუთი „ყარაყუმი“ მიართვაო“. ეს მათი ნამდვილი სახეა და თუ ჩვენთვის სასაცილო წვრილმანები უხარიათ, არც ის დაგვავიწყდეს, რომ სწორედ წვრილმანებისაგან იქსოვება წუთისოფელი, იქ კი...

დასამახსოვრებელი სახეებია ჭკუასუსტი გელასი, იმაზე რომ წუხს, საცაა, დედამიწა ჩაინგრევაო („გრინფისი“); მესაფლავე პეტოსი, თვითონვე რომ გაითხარა სამარა, ჩაწვა და იქ დალია სული („ბოლო საფლავი“), ბელურა, მთელი ცხოვრება სხვებზე, ახლობლებზე ზრუნვაში რომ გაატარა („ბელურა“) და სხვებიც, თითქმის ყველა...

აი, „დედა, სახელად მარიამი“. სათაური უკვე მინიშნებად აღიქმება, ფიქრი ღვთისმშობლისკენ გაგვიწევს. არადა, ეცნობი პორტრეტს და, რა გინდა რომ ქანა, არაფრით გას პერსონაჟი ღვთისმშობელს. ჭუჭყიანი, მოუვლელი ოცნებობს დიდი, ლამაზი, სათბურებიანი სახლების ყიდვაზე. ბიჭების ქორწილზე... ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავი სრულიად უჩვეულოდ მთავრდება: ...ლანა და ალიკე დიდი ხნის წინათ, ორივე ერთ დღეს დაიღუპა ტამიშთან... და ხვდები, რა სიმბოლური დატვირთვაც აქვს სათაურს...

ხან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ეკლესიასტესეული სიბრძნის მარადიულობაში. ყველაფერი ამაოა და ქარის დევნა. ერთი ფასი აქვს ცრუდ მოფიცარს და ფიცის მოშიშსო, რომ გვარწმუნებს მთელი ცხოვრება პატიოსნად გაატარა ქალმა უქმროდ („ბიოგრაფია“), ხალხი რას იტყვისო და გამსვენების დღეს ქალები ჩურჩულებდნენ, უკაცოდ რა გააძლებინებდაო...

ან: ოცდაათი წელი უვლიდა კაცი პალმის ხეს, ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდ ქოთანს ყიდულობდა ჩასარგავად... გარდაიცვალა და მოვიდა სხვა ხალხის ჟრიამული. ჩაკვდა, ჩალპა ხე.

დარჩა მარტო დიდი ქოთანი, რომელიც დამლაგებელს მოეწონა, პალმის ფესვებისგან და მიწისგან გაასუფთავა და თან წაიღო. არსი დაიკარგა, ჭურჭელი დარჩა, თუმცა არაფერი გადარჩა ოცდაათწლიანი რუდენებისგან, შრომისგან, იმედებისგან.

თითქმის ნატურალისტურია „ვაკელები", „ჰელპ მი", „დღეებსა და ღამეებში ადამიანები ფათურობდნენ", „ორი ანიჩკა"...

მოთხრობამ „სათამაშოები" პოპულარული ფრანგული ფილმი „სათამაშო" გამახსენა (რეჟისორი – ფრანსის ბაბერი, ეკრანებზე პირველად 1976 წელს გამოვიდა. უმუშევარი ჟურნალისტის როლს პიერ რიშარი ასრულებს). სათაურის ასე განმეორებას მოერიდებოდა ავტორი, საგანგებოდ რომ არ სურდს შინაარსობრივი მსგავსების ხაზგასმა. აქ, ქართულ სინამდვილეში, მაღაზიის მეპატრონის, ვაჟიკოს, სათამაშოებად ქცეულან გამყიდველი გოგონები და გულსაკლავი ისაა, რომ ქართველი ავტორი არც ბაძავს ფრანგ სცენარისტებს არც მოერნული თუ პოსტმოდერნული მიმართულება ავალდებულებს ამგვარად წერას. არა, ნინო წიკლაური აქაც რეალიზმის ერთგულად რჩება, სამწუხაროდ, სწორედ რეალობაა ასეთი აქ ბიზნესია გენაცვალე, და ადამიანობის ადგილი არ არის!

ერთი სიტყვით, ამ პატარა კრებულში ნაჩვენებია მთელი ცხოვრება, განათლებულია ისეთი მხარეები, ისეთი წვრილმანები, კუთხე-კუნჭული, რომლის დანახვაც გვიჭირს ხოლმე – ხან არც გვცალია, ხან შეგნებულადაც ვარიდებთ თავს... მწერალს კი სიბნელესთან ერთად, არც ის გამორჩება, როგორ იძინებენ ყვავილები (ღამით რომ სძინავთ და დღისით ღვიძიათ) და, ცხადია, არც შაშვის გალობა...

ლექსები ფასკუნჯებად

(ნუკრი ბერეთელის პოეტური დებიუტი)

ძალიან მომწონს იმერეთი და მიყვარს იმერლები. ქართველობა ჯერ კიდევ იქ უფრო წმინდად არის შენახულიო, — უთქვამს ახალგაზრდა აკაკი წერეთლისთვის ალექსანდრე ორბელიანს.

ნუკრი ბერეთელი და მისი პოეტური კრებული „ჩიხი" სწორედ ქართველობით (წმინდა ქართული სულისკვეთებითა და გამოხატვის საშუალებებით) იქცევენ მკითხველის ყურადღებას. ცხადია, მარტო იმერლობა აქ არაფერ შუაშია, „დამნაშავე" მხოლოდ ნიჭი და შინაგანად, ღრმად განცდილი „ქართველობაა".

ლექსებში ხშირად იხსენიება სოფელი. მიუხედავად იმისა, რომ რეალისტურადაა დახატული სოფლის სურათები, დასახელებულია ხოლმე ნალია, მარანი, ხაპი, ჭინჭილა და სხვა, ეს მაინც არაა მარტო სოფელი. როგორც „ჩემი სოფლის ეტიუდების" ავტორისათვის სოფელი წუთისოფელია, ისე „ჩიხის" ავტორისთვისაც სოფელი ცხოვრებაა საერთოდ. კრებულის პირველივე ლექსში „ჩემი წიგნი", რომელიც ბევრი რამითაა საინტერესო, გამჟღავნებულია მთელი კრებულისთვის დამახასიათებელი სევდა და ლირიზმი. ავტორის მძიმე, ოცდაშვიდგვერდიანი წიგნი, მის მიერ გავლილი ცხოვრების 27 წელია და მთელი ლექსიც — სოფლად მისვლა, მძიმე ტვირთის მოხსნა, დედის მიერ სველი ტკივილების გახდა და სხვა — მეტაფორულად გაიაზრება. ლექსი (სხვა ლექსებიც) ერთდროულად ყოფით-რეალისტურიც არის და ალეგორიულიც. ზოგჯერ არც თუ იოლად აიხსნება ესა თუ ის სიმბოლო თუ მეტაფორა. უფრო სწორად, შესაძლებელია სხვადასხვა წამკითხველმა თავისებურად, სხვისაგან განსხვავებულად გაიგოს და ალბათ, ყველანაირი აღქმა და გააზრება სწორი

იქნება. იმიტომ, რომ დაწერილი ლექსი ავტორს აღარ ეკუთვნის, პოეტი სიტყვას რომ ერში გადააგდებს, მერე იმ ერზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებს, რას იგულისხმებს და, საერთოდ მიიღებს და შეიყვარებს თუ არა ლექსს. „ამბოხში" ტაძრის ეზოში ცისფერ თავშალს შეფარებული „შენ" მე ღვთისმშობლად წარმომიდგება და ყინწვისის ცისფერ ანგელოზს მახსენებს.

გალაკტიონის მერე პოეტისაგან დიდ გამბედაობას მოითხოვს ქარის პოეტური სახის გამოყენება. ნუკრი ბერეთელი ახერხებს, ახალი შტრიხი შეჰმატოს ამ სახეს. ყოველ შემთხვევაში, არ გაიმეოროს, არ გადაამღეროს უკვე შექმნილი.

უკან მოუხმე ქარებს შარიანს,
ლამის რომ წისქვილს ფრთები დაგლიჯოს.
სანამ ქარაფთან ზურგის ქარია,
წამოდი ერთად გადავაბიჯოთ.

წერს ერთგან და უკვდავებისაკენ გადაბიჯებას, საზღვრის იქით გადაბიჯებას, უსაზღვროების, სივრცეებისკენ გადაბიჯებას გულისხმობს, ალბათ. სულიერი თავისუფლების გამომხატველია ამ შემთხვევაში ქარი. სხვაგან ავი და ბოროტია.

ტაოს კარში, ეს ოხერი, თითქოს ჯაჭვით დაბმულია —
ქარი წივის, ქარი ყმუის, ქარი ძვალ-რბილს ღეჭავს.

სულს წეწავს და გლეჯს ეს ქარი, ტაოს დამანგრეველი, დაუნდობელი, სამშობლოს ამაოხრებელი... სხვაგან ქირქილებს ქარი; ან ლოცვებს ისმენს (თუ მზერს) პოეტი, ქარში გაბნეულებს; უფსკრულებთან ჩქარია ქარი და პოეტიც მზად არის, ქარებს უფსკრულებში გაეკიდოს; ხან ასეც:

დგას ალანძული გლეხის ქალივით —
გარეთ ოქტომბერს ეცლება ქანცი,
დგომით და ნდომით სავსე თვალებით
უყურებს ქარი და სამოსს აცლის.

ოშკის, იშხნის, ტაოს, ბაგრატის ...ტკივილი და სევდა ორგანულია ავტორისთვის. პოეტის განწმენდილი მზერით იგი ხედავს, რომ „გუმბათიდან განაპირა კრამიტს ფეხი დასცდენია“, ხოლო ჩუქურთმასთან მიმხმარი ბალახის ღეროს დანახვისას კითხულობს: ვინ ასწავლა მკურნალობა ბალახებით ტაძარს?! — დამეთანხმებით, განსხვავებული, გამორჩეული ხედვაა, მზერის სხვანაირი კუთხე, სხვა რაკურსი...

აქ არ შემიძლია, არ ვახსენო რამდენიმე უცნაური და თან ლამაზი, მოხდენილი შედარება. მაგ, ერთგან: „შენ არ მოგიხდება, კარგო, განაზება, / როგორც ამ ლექსს ახლა სიტყვა — „ტერორისტი“. სხვაგან: „სხედან ანტენაზე ბელურები, ჰგვანან დაშინებულ ჟურნალისტებს“, „ქისტის მარჯვენივით მომჭერ კუზად ამოზრდილი დარდი“.

ფასკუნჯივით შემისვამენ მერე ლექსები და გამაფრენენ სადაც გზები არ იკვეთება.

ან:

უფრო და უფრო იშვიათად ძნელად მიხსენებ,
როგორც კალაპოტარეული მტკვარი — მადათოვს.

ყოველ ლექსში, სტრიქონში, პწკარში იგრძნობა ავტორის დიდი, ღრმა, საფუძვლიანი განათლება, ცოდნა ქართული და უცხოური კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურისა. ზოგი ლექსი თუ რომელიმე სტროფი, გამოთქმა ან განწყობა სხვა პოეტის ლექსს გაგვახსენებს ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს არც პირდაპირ გავლენას თუ მით უმეტეს, გადმოტანას, მაგ., ლექს „იმეს“ დასასრული ასეთია:

და მერე უფრო: „...აქა-იქ“, „ზოგჯერ“...
იქ — წაქცეული ბოძი და ხიმე.
აქ — ოხვრა, თითქოს მარჯვენა მომჭრეს...
და სიზმარ-სიზმარ მოვლილი იმე...

ფორმით იგი მაგონებს დავით წერედიანის ცნობილ ლექსს „ძველი წარწერები“:

და დავესვენე წმიდასა
ამას ... უფლისა... ცხრამე...
ცოდვანი ჩემნი... ითა და...
...ისაითა და... ამენ.

ლექსი „მზითევი“ შეყვარებული ჭაბუკის გრძნობებით, სატრფოს ეზოში (თუ მის ფანჯრებთან) დღედაღამ დგომის სურვილით, სატრფოს თვალების ნატვრით და სხვა გრიგოლ ორბელიანის „დიმიტრი ონიკოვის დარდებს“ — ჩამოჰგავს რაღაცით. რაღა რაღაცით, რომანტიკული განწყობით, მზადყოფნით, რომ საყვარელი ადამიანისთვის საკუთარი ყველაფერი დათმოს და გაწიროს. ლექსი ყურადღებას იპყრობს თავისებური ტექნიკითაც, ერთ სტროფს ვერც ამოიწერ, იმიტომ რომ წინადადება მეორე სტროფის დასაწყისში მთავრდება:

ყელში ამოსულ სამსახურს და მეზობლის ვიშვიშს,
მეგობრის რჩევას (თანაც სამის) პატივი არ ვცე
და შენს ეზოსთან ამოსული ნაძვის თუ ფიჭვის
მაღალი ხის ქვეშ ავიღო და კარავი დავცე,
რომ ყველა დილა იწყებოდეს თვალის გახელით,
ოღონდაც — შენი. დავემსგავსო მსტოვარს და გამცემს —
გადმოვიჰარო ეზოში და შენი სახელი
ჩამოვურიგო ყველა ხეს და ბალახს და ფოთოლს...

„დაგვაშორებენ“ და კიდევ ორიოდე ლექსი ანა კალანდაძეს გაგვახსენებს, სიყვარულის მარადიულობის განცდა გიორგი ლეონიძისას ემსგავსება ერთგვარად („ამ საუკუნის ბოლოს, იმ საუკუნის ბოლოს, / სამიათას ცხრის ბოლოს — შენი თვალებით ვხედავ!“). კიდევ სხვა ლადო ასათიანს ეხმიანება, ზოგი — გალაკტიონს, ტერენტი გრანელს... სხვებსაც. მაგრამ ეს ასოციაციები, როგორც ვთქვი, განმეორებას კი არ ნიშნავს, არამედ –

მხოლოდ პოეტურ შეხმიანებას და ყველა შემთხვევაში — ახალი შტრიხით, ახალი ფერით, ახალი სათქმელითაა აღბეჭდილი, სხვა საშუალებით გამოთქმული. ანუ სრულიად ახალი სივრცეა შექმნილი. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ზედაპირი სხვისთვის უფრო იოლად დასანახავია, სიღრმე და შიდა პირი — ძნელად შესამჩნევი. როგორც თვითონ ამბობს: „ქალაქს როგორ გინდა რამე დააჯერო, როცა ყველა გხედავს მზეზე გაჩერებულს, შენ კი ჯურღმულებში ჭინკებს დააჭენებ.“

რეალური ცხოვრებისა და ოცნების, ვარსკვლავებთან საუბრის, მთვარის მოსმენისა თუ სივრცეების დაუფლების სურვილის შეუთავსებლობა აწუხებდა ნიკოლოზ ბარათაშვილსაც. ... რომ დავშთო აქ ამაოებაო, — ნატრობდა ყრმა პოეტი, რომელთანაც შეუძლებელია, ამ წიგნის ავტორი საერთოს არ გრძნობდეს (... და მიწისკენ შუბლით (აღარ გამახსენო ღმერთი), გადმოფრენა მინდა!).

ერთი, ხშირად გამოყენებული და მნიშვნელოვანი მეტაფორაა ნუკრი ბერეთელისთვის „მზე“. მას მზე ხელისგულიდან ამოსდის, მზის სხივს ხელით იჭერს, სიცხე კი არ აქვს — „მზის დაღია,“ წინასწარმეტყველებს და ეშინია, რომ დარჩება უმზეოდ... ასე ეიმედება: „მე ისევ დავინახავ ჩამავალ მზეს. / მზეს, რომელიც მხოლოდ ჩემთვის ამოვიდა და მხოლოდ ჩემთვის ჩავა“. მზე ხან სატრფოა, ხან — ტრადიციულად — სიწმინდე, სითბო და სინათლე, ერთგან — ასევე ტრადიციულად — ღვთისმშობელი და მგონი, საყვარელი ქალისა და ღვთისმშობლის სახე შერწყმულია, შენივთებულია ერთმანეთს (გავიხსენოთ გურამიშვილი). ავტორის ქრისტიანული რწმენა გამჟღავნებულია როგორც აშკარად (მაგ., ასე: ჩემს სკოლას ისევ ამძიმებს ზარი, ეკლესიას რომ ჩამოხსნეს გაღმა.), ასევე შეფარულად (მაგ., ასე: მარხვაში მაინც წავიკითხო ძილის წინ ლოცვა ... ლექსებით მაინც დავიფარო სულის სიმშვიდე... შენზე ფიქრები მახვევია გარს და მფარავენ./ მეათე სახრეს (ელვის) ცაზე ელია ტეხავს და სულში შენ ხარ, / შენ ხარ, / შენ ხარ, / შენ და... არავინ. ეს დასასრული ლოცვა არ არის, მაგრამ ლოცვის ინტონაცია აშკარად იგრძნობა. არა?).

საოცრად ლამაზად შეუძლია ნუკრი ბერეთელს გამოხატოს ლირიკული განწყობა, სატრფიალო მიმართვები დაცლილია ყოველგვარი ვულგარულობისაგან და ამაღლებულ, მოკრძალებულ, რომანტიკულ ინტონაციას აირეკლავს. აბა მოუსმინეთ:

ბოგას გასული გეტყოდი: მთელი ცხოვრება გეტრფოდი,
მთელი არსებით გეტრფოდი, ხშირი სუნთქვით და ფეთქვით...
ჩემგან სხვა რამეს ელოდი? — შენი ხასხასა მდელოთი,
შენი თვალების ჩეროთი დავიბენი და... ვერ ვთქვი.

ან:

შენი ბერეთელიც კაცი არი —
ცოტა მოეფერე...
მომენატრე...

ან ასე:

მარცვალ-მარცვალ / გადმომიშვი შენში:
— შემოგევლე! / — გე ... გენაცვა...
და სიტვების ტევრში / დილა ღამეს გააცილებს,
თან პაემანს უთქვამს.
მე კი აღარ დამაძინებს / შენი მშვიდი სუნთქვა.
ამ ოცნებით დავაბოტებ / თან სოფელთან ვომობ,
ოღონდ მოდი, / მალე მოდი, / ეხლავ მოდი, / გოგოვ!

აიბუზება საფლავი ბიძის გარეთ დარჩენილ წითელ ხბოსავით, — ასე, გარეგნულად მშვიდად, არის გამოთქმული დიდი, მწვავე ტკივილი, ნამდვილ პოეტებს ჩვევიათ, საკუთარი ჭრილობები სხვისი გულის სალბუნად აქციონ. ისტერიული მოთქმისა და ვაი-ვიშის ნაცვლად ჩუმად, ყუჩად თქვან სათქმელი და მკითხველს ზედ გულზე დააჩნიონ (თუ დააწერონ).

ერთ ლექსში ვან გოგს ახსენებს პოეტი. ეტყობა, მასთან პოულობს სულიერ საერთოს. სხვაგანაც, სადაც უშუალოდ არ ახ-

სენებს, ბერეთელის მიერ დახატული პეიზაჟები თავისი ფერებით (ფერადოვნებით) ისედაც მოგვაგონებს (გაგვახსენებს) ვან გოგის ტილოებს.

როცა სიკვდილზე საუბრობს (სიკვდილს ნატრობს, სიკვდილს გაურბის თუ სხვა), ვგონებ, ყველგან უკვდავებას გულისხმობს. თვითონ ყველაზე უკეთ გრძნობს, ვინ ახლოს არის ღმერთთანა. ამიტომაც ახსენებს ხშირად სხვა ცას, მრავალ ცას, მეშვიდე ცას, საერთოდ, ცებს... შვიდივეს... ოცნებობს ლექსებით სიკვდილი რომ გამოვიგონოო.

სად ის, რომ იფეთქებ მეხივით სტრიქონად
და ჯოჯოხეთის კარს წიხლით რომ შეაღებ!
სად ის, რომ ჩაუვლი ამაყად გაბრიელს,
რიდი შენ კი არა, შენი რომ ექნებათ...

ლექსებია მისი ბედისწერა, ამქვეყნად მისთვის არის მოსული, რომ ლექსები წეროს. თუ ნაპოლეონისებურ ღონეს და ძალას გრძნობს, არც გასაკვირია. ეს არის მისი ჩიხი, მისი ნაპირი, მისი ნავსაყუდელი.

კრებულს თითქოს გვირგვინად ადგას (ყოველ შემთხვევაში, ერთი საუკეთესო ლექსია) „მარტის ფოთოლცვენა“. ამ ლექსმა ჟურნალში პირველივე პუბლიკაციისას მიიპყრო ჩემი ყურადღება. „სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა. სხვანაირი ფიქრი და დარდი“. იწყება და მერე გრძნობ, როგორ იქცევა თავად ავტორი მამად, ითქვიფება მასში. დროთა კავშირი ძალდაუტანებლადაა აღდგენილი და მამის ფიქრებს (თუ ჩვენებებს), ბავშვობისდროინდელ სურათებს თვალნათლივ მზერს შვილი. წუთისოფლიდან გასვლის სევდა ერწყმის მიწყივ მბრუნავი სოფლის, მარადიული განმეორების თემას და ამიტომ სიკვდილი არაა დასასრული...

რომ შემეძლოს, ახლა მოვკვდებოდიო, — წერს ერთ ლექსში პოეტი. მე მგონი, ეს ერთობ არათავმდაბლური, ერთობ ამბიციური განცხადებაა. ვარდისფერ გზას (უკვდავებას) უფრო მეტი დამსახურება უნდა და იქამდე ჯერ კარგა მანძილია.

მაპატიოს ავტორმა, რომ მისი ეს ფაქიზი, ნაზი, მოსაფრთხილებელი, პირდაპირ გულში ჩასახუტებელი ლექსები გამოვშიგნე, დავანაკუწე, დავანაწევრე და ისე წარმოვადგინე თქვენ წინაშე.

ხოლო ჩემს დამოკიდებულებას ამ კრებულთან, იმას, თუ როგორ მომწონს და მიყვარს ეს ლექსები და მათი ავტორი, თუ ნებას მომცემთ, პოეტისავე სიტყვებით გადმოგცემთ:

ეს კი უფალმა აღარ მიწყინოს.
ზოგჯერ სიტყვებიც მწყრალად არიან
ჩემთან პირიქით — ანდა... იცი, რომ...
დაუსრულებლად... ისე... ძალიან...

ნათლით გაბრწყინებული სევდიანი წიგნი

(მურიდ ალ-ბარღუთის ავტობიოგრაფიული რომანი „მე ვნახე რამალა“)

ხიდი...

ხიდი რეალობა, ხიდი მეტაფორა, ხიდი შემაკავშირებელი, ხიდი გამყოფ-გამთიშველი. რომანის პირველი თავი ასეა დასათაურებული – „ხიდი“. რამდენ ასოციაციას აღძრავს, რამდენ პარალელს, ლიტერატურულს, ცხოვრებისეულს. რისთვის აგებენ ადამიანები ხიდებს? ერთმანეთთან დასაახლოებლად, დასაკავშირებლად. ერთმანეთის გაგებისკენ, შეცნობისკენ, დამეგობრებისკენ მიმავალი გზა ყოველთვის ხიდზე გადის – რეალურსა თუ წარმოსახვითზე.

ადამიანური ყოფის გაუკუღმართებამ, მოუწესრიგებელმა და დარღვეულმა კანონზომიერებამ შეუცვალა ხიდს (ხიდებს) დანიშნულება. ხიდი იქცა საზღვრად, დაბრკოლებად, ჯებირად ქვეყნებს, ერებს, სარწმუნოებებს...შორის. ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის შესახებ არაერთი საინტერესო ნაწარმოები შეიქმნა. გასაკვირი არაა, რომ რამდენიმეს ერთნაირი სათაური – „ხიდი“ ჰქვია (მაგ. სერგო წურწუმიას, ნატო კორსანტიას და სხვათა შესანიშნავი ნოველები). „ხიდი“ ჰქვია ივო ანდრიჩის ისტორიულ რომანს, რომელშიც დრინის ხიდი ორ სამყაროს ხან აერთებს, ხან თიშავს ერთმანეთისაგან... და მაინც ალ-ბარღუთის „ხიდს“ დავუბრუნდეთ.

„იძულებით გადაადგილება სიკვდილს უდრის. ყველას ჰგონია, რომ ეს სხვებს ემართებათ“, – ვკითხულობთ რომანში. სამ-

წუხაროდ, მე მაქვს ამის მწარე გამოცდილება და შემიძლია დაგიდასტუროთ – ეს მართლაც ასეა.

რა უბრალოდ, სადად, მარტივად გამოთქვა მწერალმა ჩვენი ნაფიქრი. „მონაგებთა დატევებაი რომ სისხლისა დათხევასა ემსგავსების", ეს ხომ ბავშვობიდანვე ვიცით, მაგრამ ვისაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია, მისთვის მაინც „სხვის ჭირად" რჩება, ალბათ. ადამიანური ბუნება ვერ ჰგუობს, რომ უბედურება, ტრაგედია, მოულოდნელი ჭირი თავს დატეხილად წარმოიდგინოს. უბედურება ყოველთვის „სხვას" ემართება, ტრაგედია „სხვისი" ხვედრია, ჭირი – სხვისი გადასატანი. მაგრამ როცა ეს ყველაფერი შენ შეგეხება, ისე, რომ არაფერ შუაში ხარ, როცა რეალობის წინაშე დადგები, ცხოვრება უფლებას არ მოგცემს, ერთი წუთით მაინც დაივიწყო, რომ „უცხო" ხარ.

პალესტინელ მწერალს დავესესხები: „უცხო ის ადამიანია, რომელიც განუწყვეტლივ აახლებს „ცხოვრების უფლებას" – ავსებს ფორმულარებს, ყიდულობს მათზე დასაკრავ მარკებს. ყოველთვის თან უნდა იქონიოს დამადასტურებელი მოწმობები და დამამტკიცებელი საბუთები... არ შეუძლია, თავის ამბავს გაბმულად მოყვეს. ყოველი მომენტი მისთვის ბუნდოვანია, მუდმივიც და დროებითიც... ძირითადად საკუთარ თავშივე დაფარულ ჩუმ ადგილას ცხოვრობს, უფრთხილდება თავის საიდუმლოს და არ უყვარს, როცა სხვები ინტერესდებიან მისით. ის სულ სხვა ცხოვრების დეტალებით სულდგმულობს და საუბრისას მათ დაფარვას ცდილობს. ის არ უყვართ იმიტომ, რომ უცხოა და სიმპათიითაც იმის გამო განეწყობიან, რომ უცხოა. მეორის ატანა პირველზე გაცილებით მძიმეა".

ძალიან ინტიმურ, პირად განცდებზე გვესაუბრება მწერალი, მაგრამ ეს განცდები იმდენად ზოგადია, საყოველთაო, რომ სულაც გვავიწყდება, თუ შორეული პალესტინის მკვიდრს ვუსმენთ. ასე გვგონია, რომელიმე ჩვენი, აფხაზეთის ან სამაჩაბლოს ქართველი გვიყვება თავის ამბავს (თუმცა პალესტინელიც, ებრაელიც და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებიც ჩვენი არ არის, დედამიწელი?). აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები ვახსენე. ყველა საინტერესოა, ყველა მეტად თუ ნაკლებად სუ-

ლის უსათუთეს სიმებს ეხება, მაგრამ ასე რეალისტურად აღწერილი ყოფა ლტოლვილისა, მე პირადად, არსად წამიკითხავს.

პატარა ხიდის თავში დამდგარა ადამიანი. ეს ხიდი აშორებს მას საკუთარ კუთხეს, მშობლიურ სოფელს, დედ-მამის სახლს. გადავა? ვერა? შეძლებს? ნებას დართავენ თუ უკან მოაბრუნებენ? ბედის დაცინვაა, აბა რაა, როცა თვით მასზე, მის სულიერ თუ ფიზიკურ მზაობაზე არაფერია დამოკიდებული. ვიღაცის ხელშია უხილავი ძაფები, რომლითაც, ვინ იცის, რამდენი ადამიანის ბედი იმართება. „ოკუპირებული ტერიტორია" ვიღაცისთვის აბსტრაქციაა, ვიღაცისთვის კი ამოგლეჯილი გულის ნაწილი. ეს პატარა და ამავე დროს უსაშველოდ გრძელი ხიდი მონსტრივით, ცერბერივით გაწოლილა „ჩვენსა" და „მათ" შუა და გვიკრძალავს, გვაფრთხილებს, გვემუქრება, არ გვიშვებს – მხატვრული სახეა, ხელშესახები სინამდვილე რომ არ იყოს!

დაძაბული მოლოდინის შემდეგ მურიდ ალ-ბარღუთის გაუმართლა, 30 წელიწადს ერთბაშად გადააბიჯა და თავის რამალაში დაბრუნდა... ერთ დროს მოუსვენარი იორდანე უცნაურად დადუმებული ეჩვენება მგზავრს. ჩვენი თერგისა არ იყოს, პირი რა რუსეთისკენ უქნია, მაშინვე რომ ჩაჩუმებულა, ბედს შეგუებია, ქედი მოუხრია. იორდანე, უნებურად, ბიბლიურ ასოციაციებს აღძრავს ჩვენში, მაგრამ მისი სახება აქ უფრო ხორციელი, გინდ პოლიტიკური სიმბოლოს მატარებელია და წმინდა ნათლობასთან არაფერი აკავშირებს... რამალასკენ მიმავალი გზიდან შეუძლებელი გამხდარა წმინდა ქალაქის, იერუსალიმის დანახვა. ესეც სიმბოლურია?

აგერ უკვე ჩვიდმეტი წელიწადია, ჩემი (და ათასობით ჩემისთანას) გონება და ფიქრი გამუდმებით უტრიალებს ერთსა და იმავე საწუხარს. როდის შევძლებთ ჩვენს სახლში დაბრუნებას? „როგორ შევეყრები და როგორ შემეყრება?" შევძლებთ ერთმანეთისთვის „ღვიძლი სიტყვის" თქმას? რა დაგვხვდება იქ, სადაც ოაზისი დავტოვეთ? ჩვენ და აფხაზები – ორივე მხარე მსხვერპლი. შევძლებთ ერთმანეთის მობოდიშებას, შეცდომების აღიარებას?ამ კითხვებზე დაფიქრება და პასუხის გაცემის ცდაა მურიდ ალ-ბარღუთის რომანიც.

პალესტინაში ჩასულ მეოცნებე პალესტინელს საშინელი იმედგაცრუება ელის. ეს ის არ არის, რაც დატოვა, რაც ახსოვს, რაზეც ოცნებობდა. ომს დაუჩნევია თავისი „მსახვრალი“ ხელი ყველაფრისთვის. და აღარ გვიკვირს, რომ სიხარულს რაღაც აკლია. ნაოცნებარი შეხვედრა სრულყოფილი არ არის. გურამ ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“, ბარლუთისგან განსხვავებით, გულს იმედითა და სიხარულით გვივსებს – იქნებ მოხდეს სასწაული... ვცდილობ, შევეგუო იმ აზრს, რომ დაბრუნების სიხარული სრულყოფილი ვერ იქნება, მაგრამ ის ნაკლულიც რა საამო და სასურველია! გემოდაკარგული დაბრუნებაც გვხიბლავს და გვეოცნებება!

„ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“ – უსაზღვრო სურვილის გამოსახატად ზუსტად მორგებული შედარება გამოუყენებია პოეტს. ვკითხულობ და ჩემთვის ასე ტრანსფორმირდება: ვით მშობლიურ სახლს ძალით მოწყვეტილს საკუთარ, ბავშვობის სახლში...

„მხატვრული ლიტერატურა, სიტყვიერი ხელოვნება ყველაზე აქტიური და პატიოსანი სიზუსტით გადმოგვცემს რეალობას“ (მაკა ჯოხაძე). უკეთ ვერც იტყვი. ეს წიგნი „პატიოსანი სიზუსტითაა“ აღბეჭდილი.

ომის შედეგი (მითუმეტეს, წაგებული ომის) მარტო იავარქმნილი სამშობლო, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები, დაქვრივებული ქალები, დაობლებული ბავშვები, შვილმკვდარი დედები კი არ არის, არც მარტო დაკარგული ტერიტორიაა, ომის უსაზარლესი შედეგია შეურაცხყოფილი ღირსება, დამცირებული, გათელილი, გამოქცევით დაღდასმული ყოფა. სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული დამცირება პირად ბეჩაობაზე ბევრად უფრო უარესია.

მსოფლიოში, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უამრავი ლტოლვილია. რატომ? ვინ არის დამნაშავე? თვითონ ლტოლვილები? მათ მიერ ჩადენილი ცოდვები? უხეში ძალა? ის, ვინც ამ ძალას მართავს? ყველა ერთად? არ ვიცი, ეს პროცესი ჩემთვის უხილავი და მიუწვდომელია. ათასნაირი ფარული შეთანხმებები თუ გარიგებები, მალული თუ აშკარა მიმხრობა-წაქეზება-დახმარება, პოლიტიკის ავანსცენა თუ კულისები... ის კი ვიცი,

რომ მწერლობა აღსარებაა, აღსარება – მონანიება (მაკა ჯოხაძე). სურვილი მონანიებისა, გულწრფელი მონანიება ორივე მხრიდან, ალბათ, ერთ-ერთი გზაა (თუ ერთადერთი არა) ხიდის აღდგენა-გამთლიანებისკენ. არც ერთ პოლიტიკოსს, ფილოსოფოსს, ფსიქოლოგს არ შეუძლია იმ დეტალების შემჩნევა და აღწერა, რომლებსაც მწერალი ხედავს. „უბედურება ადამიანებს ციდან კომეტებივით როდი ატყდებათ ბუნების ლამაზი სცენის ფონზე! ჩვენც ვართ რაღაცაში დამნაშავენი... ამიტომაც ვეძებ საკუთარ შეცდომებს",– წერს ალ-ბარღუთი. მეც სასოებით ველი დღეს, ყველა საკუთარ შეცდომას რომ აღიარებს და მოინანიებს... იქნებ, მოხდეს სასწაული...

„მე ვნახე რამალა", ხშირ შემთხვევაში, ილიას „მგზავრის წერილებს" მაგონებს. ორიოდე მაგალითი ზევით დავიმოწმე. აი, კიდევ: ოკუპაციამდე „ჩვენ თავად ვაგვარებდით პრობლემებს", – ამბობენ პალესტინელები. „ადრიდა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", წუხს ლელთ ღუნია... ძალიან ხომ არ ვაქართულებ რომანს? მაგრამ რა ვქნა, რომ კერძოში ზოგადი ჩანს, სხვის საწუხარში – ჩემი ტკივილი, თითოეულის უბედურებაში – ბევრის განცდა.

თუმცა ბრძოლაში არ დაღუპულა, მაინც ომის მსხვერპლია მურიდ ალ-ბარღუთის გარდაცვლილი ძმა, ისევე, როგორც ომის მსხვერპლია ათასობით უმწეობით გულგახეთქილი ადამიანი. ეს გაუთავებელი მოლაპარაკებები, შეთანხმებები, ხელშეკრულებები, ჟენევა, გაერო და მისთანანი კიდევ უფრო დამამცირებელი, დამცინავი, ირონიული და დამაბრიყვებელია დამარცხებული ერისთვის. ღიმილი, ნუგეში, უსაფუძვლო დაპირება კიდევ ერთხელ თავში ხელის წამოკვრა და შეურაცხყოფაა.

ამაღელვებელი, დასამახსოვრებელი და ღირსშესანიშნავი ეპიზოდია რომანში მწერლის მიერ თავის მშობლიურ სოფელ დირ-ღასანაში გამართული პოეზიის საღამო. ეს იყო სიყვარულის გამოცხადება ამ ხალხისთვის, თავისი ქვეყნისთვის, სიცოცხლის, სილამაზის, თავისუფლების წარუვალ ღირებულებათა შეხსენება. პოეზიის საერთაშორისო ენაზე ამბობდა სათქმელს სტუმარი. მიუხედავად იმისა, ესმოდა თუ არა მსმენელს ლექსი,

ჰქონდა თუ არა სპეციალური განათლება პოეზიის აღსაქმელად. ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ხალხს პოეტმა აგრძნობინა ბევრად მეტი, ვიდრე იმ ლექსებში სიტყვებით იყო ნათქვამი. პოეზიის აღქმას, შენიანის გაგებას, ანთებული გულის დანახვას ასაკი არ განსაზღვრავს. რვა წლის თუ ოთხმოცი წლის მსმენელი – ერთნაირად მონუსხულები, სევდიანნიც და გახარებულნიც, დარდიანნიც და ბედნიერნიც, ერთდროულად – უიმედონიც და იმედიანნიც ერთნაირად უსმენდნენ და სუნთქავდნენ ღრმად, ლაღად, თავისუფლად...

სამშობლოს მოშორებული ადამიანი სულიერად ცარიელდება და მხოლოდ ფიზიკური, მატერიალური ცხოვრებით ცხოვრობს. ეს კანონზომიერება არ ვრცელდება მათზე, ვისაც გულით და გონებით სამშობლო მუდამ თან დააქვთ.

ეს სევდიანი წიგნი საოცარი ნათლითაა გაბრწყინებული. უიმედობიდან, სავსებით ბუნებრივად, სიცოცხლის სიხარული ჟონავს – შვილი, თამიმი, აუცილებლად დაბრუნდება რამალაში!

მტრების ტყვიების გარდა რა აზიანებს სხეულს? ამ სიტყვებით ამთავრებს წიგნს და მკითხველს საფიქრალად უტოვებს წყევლა-კრულვიან შეკითხვას პალესტინელი მწერალი – მურიდ ალ-ბარღუთი.

რომ არა შესანიშნავი მთარგმნელი, ნინო დოლიძე, ჩვენ ვერასოდეს მივიტანდით გულთან ახლოს პალესტინელის სატკივარს, ვერც ჩვენს საკუთარ სადარდელს გავისიგრძეგანებდით ასე ღრმად და საფუძვლიანად.

რა ესიზმრებათ ღვთიურ გვირილებს

(თამაზ ხარაიშვილის არაორდინარული დებიუტი)

თამაზ ხარაიშვილის „თმენის საზღვარი" სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა ჩემთვის. „ინტელექტის" მიერ გამოცემულ ამ კრებულში საოცარი ნაზავია სევდისა და სიხარულის, უიმედობისა და სასოების. ამ გულის სისხლით დაწერილ ლექსებს ერთიბეწო არაფერი ურევია ეპატაჟის, ე. წ. „მეტაფორების სალაფავისა". მაღალი განცდა პოეტისა მოქცეულია შესაბამის, ლამაზ, სადა ენობრივ სამოსელში.

თამაზ ხარაიშვილის რბილი, მელოდიური, რითმიანი ლექსები მკითხველის გულსა და გონებას სწვდება. ეს არის ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული, უაღრესად განსწავლული, წიგნიერი, ინდივიდუალური ხელწერის მქონე პოეტი. მას თავისი დამოკიდებულება აქვს ადამიანებთან, გარემო სამყაროსთან, ყოფასთან, სამშობლოსთან, ღმერთთან, წარსულსა და მომავალთან. ამ ლექსებს სიმშვიდე მოაქვთ ჩვენამდე. მაშინაც, როცა პოეტი მომავალ არყოფნაზე დაგვაფიქრებს და პესიმიზმსაც აშკარად და არაორაზროვნად გვიმჟღავნებს, არ გვტოვებს სიმშვიდის, თმენის, სისავსის განცდა.

პოეტი ღამეს უცხადებს ნდობას, სიყვარულს... და ეს მოულოდნელი სულაც არ გახლავთ. მხოლოდ ბალიშს შეიძლება გაანდოს მარტოსულმა ადამიანმა გულში ღრმად ნადები და გამოტარებული, მხოლოდ ღამე გაუგებს და არ დაძრახავს ცრემლისთვის, ღამე ანუგეშებს, ღამე განუკურნავს (ან ვერ განუკურნავს) სულის ჭრილობას. ამიტომაც ლოგიკურია:

ათასმეერთე დღე იწურება
ათასმეერთე ღამის იმედით.

ათასერთი ღამის ალუზია აქ ზღაპრული სამყაროს წარმოსახვასაც ემსახურება, ალბათ, და, როგორც ჩანს, შმაგი ცხოვრებისგან თავდაცვის საშუალებაცაა.

თუ მოხდა რამე, მოხდება შიგნითო, — გვეუბნება. ასეთი სულიერი წყობის ადამიანისგან ასეც არის მოსალოდნელი. პოეტი საკუთარ არსებაშია ჩაძირული, ჩამყუდროებული, საკუთარი თავის შესაცნობად ფიქრობს და წერს. ტკივილიანია ასეთი შეგრძნება: ნატვრაც არ დამრჩა, ნატვრაც,

რომ ვინატრო და... ახდეს.

ძალიან შემოუჩვევია და მეგობრად გაუხდია სიჩუმე, მარტოობა, ნოემბრის ნაღვლიანი ფერები, დეკემბრის ქარი, უწყლოდ დამჭკნარი იასამანი... და მიუხედავად ამისა, არ არის აქ შავნაღვლიანი განწყობა, მაინც სითბოა, მაინც სინათლეა; გარდუვალთან შეგუებაა, „ცოდვილის ცოდვილობა“, თმენა და უფრო — მორჩილებითა და ჩუმი სიხარულით მიღება განგებისა, ბედისწერისა.

დამახასიათებელია თამაზ ხარაიშვილისთვის შეგნება მოვალეობისა:

უნდა ვმღეროდე ხმის ჩახლეჩამდე,
უნდა ვდიოდე მდინარესავით.

ნატვრა იმისა:

რომ ჩემს სხეულზე ისევ აკვამლდეს
კვლავგადარჩენის მწვანე ბალახი.

საზოგადოებისთვის მიმართვა იმის იმედით, რომ მივუხვდებით და გავუგონებთ:

მაგ სამყაროდან გაძევებული
მეც ხომ ერთგული თქვენი ლეკვი ვარ.

და იმედიანი, მსასოებელი ლოცვა:

და თუკი ეს სიზმარია,
ამიხდინე პირიქით,
გამიგრძელე წუთისოფლის
მობარბაცე ბილიკი.

საკუთარი თავის შეცნობისაკენ სწრაფვა სულაც არ გულისხმობს, რომ შემოქმედი ყრუ იყოს გარესამყაროსადმი. გარე და შინა სამყაროები მასში გაერთიანებულია, შენივთებულია, განუყოფელია. თუმცა შთაგონების წუთებში, როცა იწყება სულის დიდი სერობა და მაგიური სიტყვების მირქმა, კი ამბობს: ახლა ნაკლებად გაინტერესებს, რა ხდება შენი სარკმლების მიღმაო, — მაგრამ ეს მხოლოდ პირობითობაა. რადგან ლექსები გვესაუბრებიან, ისინი გვიყვებიან და გვიდასტურებენ, რომ ბატონი თამაზი ის პოეტია, რომლის ყურთასმენას არ გამორჩება ასეთი ხმა:

სიმყუდროვეს უჩინარი ყბებით
აბეზარი ჭრიჭინები ხრავენ.

პოეტი რომ გახსნილია გარესამყაროს მიმართ, ამას ისიც ადასტურებს, რომ რეალურად ხედავს ზეცის გულში ჩამძვრალ ვარსკვლავებს. ესიყვარულება, ესათუთება ქისტეთს, არხოტს, მთას, სადაც ბეჭებზე ხანძარს გინთებს მზის სხივები, გერგეტს, მზის გამაოგნებლად მარადიულ დაბადებას და გარდაცვალებას. რა თქმა უნდა, რომ ავტორი გულგრილი არ არის სამშობლოს ბედის მიმართ. ოღონდ ამ თემაზე (პატრიოტიზმზე) დაწერილი მისი ლექსები შორსაა მყვირალა, ურა, სხვის დასანახავად გამოთქმული ფარისევლური გრძნობისგან. ერთი ნიმუში:

გული ტირის, როცა გხედავთ
მწუხარეს და მოსევდილს,
თქვენ ის საქართველო გახსოვთ —
აფხაზეთით, ოსეთით.

ასე უბრალოდ, შელამაზების გარეშე, სადად და პირდაპირ გადმოგვცემს სათქმელს. წუხილი რაც უფრო დიდია, მით ნაკლებად უხდება ლოზუნგები. სადად გამოთქმული უფრო მოქმედებს მკითხველის გრძნობებზე.

ავტორს თავისი დიდი და ლამაზი სააზროვნო სივრცე აქვს, თავისი საფიქრალი. უზენაესისადმი ლოცვასაც უნებლიეთ აღავლენს ხოლმე, სამყაროს სასწაულების შემსწრე, მუხლმოდრეკილი და მადლიერი...

ლექსებში მრავალგზის არის აღბეჭდილი რომანტიკული განწყობა. სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემასაც რომანტიკოსის თვალით გასცქერის, სიყვარულშიც რომანტიკოსია. სიყვარულის მონა-მორჩილის სტრიქონები გრიგოლ ორბელიანს გაგვახსენებს უნებურად, სულიერი ნავსაყუდელის ძებნა ბარათაშვილის განცდებს წამოატივტივებს. საერთოდ კი, მთელ კრებულში ხან გალაკტიონთანაა შეხმიანება, ხან ვაჟა-ფშაველასთან, ხან რუსთაველთან, ხან ხალხური ლექსიდან მოხმობილი ფრაზა შემოგვანათებს (ყველა არ ჩამომითვლია). ოღონდ ყველაფერი გულისგულში აქვს გამოტარებული პოეტს, როგორც იტყვიან, საკუთარ ქურაში გადახარშული და ამიტომაც ამდენ ქართველ და უცხოელ წინაპართან შეხმიანება (ინტერტექსტუალურობა), მიმიხვდებით, ნაკლად კი არა, ქებად და მოწონებად ვთქვი (თუნდ — თავისებურებად).

ამ ძალზე სევდიან ლექსებს, ჩემდა გასაკვირად, არც იუმორი აკლია. მაგალითად:

ვინც ოქროს კოშკებს ნატრობდა გუშინ,
კმაყოფილია გახრული ძვალით.

სხვაგან:

ამ ცხოვრების რა ვთქვი!
იმ ცხოვრების რა ვთქვა?!

ცხოვრებას ისე აღიქვამს, თითქოს იყო და არც იყო, ჩვეულებრივად ქცეულა: წვიმა, რომელიც არ წვიმდა, თოვლი, რომელიც არ თოვდა და სხვა. ყველა გრძნობა საბოლოოდ „ბაგეს ჩაიკვნეტს“ და დასკვნაც ლოგიკურია: თურმე „რავქნისა“ ყოფილა, ციხე, რომელშიც ჩამრაზეს. სევდა მუდამ ერთგულებას უდასტურებს კაცს, რომელმაც იცის, რა ესიზმრებათ ღვთიურ გვირილებს.

მთელი კრებული სისპეტაკეს, სიწმინდეს, ერთგულებას, სამყაროსთვის გადახსნილ გულს ასხივებს. ავტოპორტრეტად რამდენიმე ლექსი გამოდგება. მე მაინც დასასრულისთვის ერთს ავირჩევ და პოეტთან ერთად ლოცვად დავდგები:

სიმშვიდე მორჩილთა
მომწყურდა, მომშივდა,
მართალს და უბრალოს,
მარტივად, უბრალოდ,
მოხედენ, უფალო.

ოცნების თეთრი ხომალდი

(ვიქტორ გაბესკირიას ლექსების ალბომი)

ერთხელ ვაჟა-ფშაველას, რომლისთვისაც ერთ შეკრებაზე მადლობა გადაუხდიათ ლექსებისთვის, უთქვამს: მე რომ მწყუროდეს და წყალი დავლიო, რა სამადლობელიაო. როცა ლექსს ვწერ, არც მეტი არც ნაკლები, წყურვილს ვიკლავ და მადლობა რა საჭირო არისო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლექსის წერით იკლავდა წყურვილს დიდი ნიჭით დაჯილდოებული, ნათელი ინდივიდუალობის მქონე პოეტი ვიქტორ გაბესკირია.

„ინტელექტის" მიერ 2016 წელს დაბეჭდილი „ლექსების ალბომი" მეტად ორიგინალური გამოცემაა. ვიქტორ გაბესკირიას ცხოვრება მისი სულის ბიოგრაფიაა, რაც ჩაიწურა და ხელშესახებად გამოვლინდა მისსავე შემოქმედებაში.

საერთოდ, ბედნიერებაა (ერის ბედნიერება), როცა ღირსეულ ადამიანებს ასევე ღირსეული, მათი სულის ტოლი, მათი ნაფიქრის გამგები და დამფასებელი შვილები ჰყავთ (დიდი მამის სულიერი მეგობარი ქალიშვილი, გულქან რაზიკაშვილი მაგონდება უნებლიეთ. სხვებიც არაერთი). სანეტაროა, როცა შვილმა იცის, რას ემსახურებოდა, რას ქმნიდა, რაზე გაჩერდა მამა. ვიქტორ გაბესკირიასა და მისი ასულის, ქალბატონი ციცის ამ სულიერ ერთობას გვაგრძნობინებს „ლექსების ალბომი". საოცრად დიდი, საინტერესო მუშაობა გაუწევია ქალბატონ ციცის ლექსების შესაფერისი ნახატების მოსაძიებლად და შესანიშნავი შედეგიც მივიღეთ. ყოველი ნახატი ლექსის სულს ხსნის. მეტად მარჯვე მიგნებაა და ამდენად, სანიმუშო და მისაბაძი გამოცემა გახლავთ.

ვიქტორ გაბესკირიას პოეზია მრავალგზის არის საუკეთესოდ შეფასებული ცნობილ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ. სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, აკაკი გაწერელია, აკაკი ბაქრაძე, გიორგი ნატროშვილი და სხვები მოხიბლულნი იყვნენ გაბესკირიას შემოქმედებით. პირადად მცნობნი ახასიათებენ მას, როგორც თავმდაბალ, პატიოსან, წრფელ ადამიანს. ეს თვისებები ხელშესახებად ჩანს ნაწერებშიც. იგი ბუნებით ლირიკოსია და ამიტომ პოეტია არამარტო ლექსებში, არამედ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებშიც, პიესებშიც...

შესანიშნავი საქმე აღასრულა „ინტელექტმა" ჯერ მისი „100 ლექსის" და შემდეგ ამ კრებულის გამოცემით.

ვიქტორ გაბესკირია არ არის მთლად დავიწყებელი პოეტი, მაგრამ ჩრდილში მდგომი კი უთუოდაა. მისი სახელი არც ისე ისმის, როგორც იმსახურებს. რაც უნდა მდიდარი იყოს კაცი თვალ-მარგალიტით, ხომ ვერცერთ მათგანს დასაკარგავად ვერ გაიმეტებს, ასე დასაკარგავი არა გვყავს არცერთი ნამდვილი, მართალი მოღვაწე. ვიქტორ გაბესკირია კი ბუნებრივი და არა ნაძალადევი პოეტური განცდების მქონე შემოქმედია.

ერთ მეტად საინტერესო წერილში („რა აცოცხლებს ლექსს") იგი ხატოვნად წერს: „პოეტური განცდების გარეშე შექმნილი ლექსი ისეთ ბუხარს ჰგავს, რომელშიც ცეცხლი არ ანთია, ამგვარი ბუხრის გარშემო კი, რაგინდ ძვირფასი მასალისგან არ უნდა იყოს იგი აგებული, ადამიანები არ სხდებიან". ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიქტორ გაბესკირიას ლექსი ჰგავს იმ ბუხარს, რომელშიც ცეცხლი მიმზიდველად ანთია. ავტორს ლექსი თვითონ თხოვს, ემუდარება ამოთქმას. პოეტი „ღმერთთან მისთვის ლაპარაკობს", რომ თავისი წრფელი, სპეტაკი სული გადმოშალოს და ფიანდაზად დაუფინოს მკითხველს. ერთი სიტყვით, ავტორი ბუნებით პოეტია და წერს იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეუძლია.

ასეთი ლექსების შექმნას ნიჭთან ერთად ერუდიცია, ფაქიზი გემოვნება, ჰუმანიზმი და რაც მთავარია, მაღალი ზნეობა სჭირდება.

ვიქტორ გაბესკირიას ლექსები მოკლებულია ყალბ პათეტიკურობას. სტილი სადაა და გამჭვირვალე, ოღონდ უბრალოდ

გამოთქმულის მიღმა ხშირად დიდი ვნებათაღელვა იმალება. მათში დიდი სიდინჯეა და ამავე დროს შინაგანი მღელვარებითაა გადმოცემული ავტორის წმინდა და ნატიფი განცდები. ეს ლექსები არაა ხმამაღლა წასაკითხი, მაგრამ პოეტის მიერ ხმადაბლა, ჩურჩულით ნათქვამი ზოგჯერ (ხშირად) საკმაოდ ხმამაღლა ისმის და მკითხველთა გულებს ათრთოლებს. პოეტს ყოველთვის აქვს კონკრეტული სათქმელი, მოსაყოლი რაიმე კონკრეტული ამბავი და გადმოსაცემი საკუთარი ემოცია, გრძნობა, დამოკიდებულება. დიახ, საკუთარი, რადგან ეს ლექსები არ გახლავთ სხვისი აზრისა თუ განცდის გადამღერება. ავტორს გულში აქვს გამოტარებული ყოველი სახე და ამიტომაც გვესმის თითოეული ლექსიდან პოეტის გულის კვნესა. ეს ლექსები მრავალ საფიქრალს აღუძრავს მკითხველს, რადგან მრავალი სათქმელის გადმოსაცემად შექმნილან. ამ კრებულს შევყავართ ახალ სამყაროში, ძლიერ, მეტად შთამბეჭდავ სამყაროში, რომელშიც თავიანთ როლს თამაშობენ როგორც ნათქვამი, ისე უთქმელი სიტყვები. ნათქვამი და დაწერილი ისეთი ზემოქმედების მქონეა, რომ მკითხველს უთუოდ გულს აუდუღებს და შესაფერის განწყობილებას უქმნის. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეტექსტი, რომელსაც ყველა ჭეშმარიტი ლირიკული ნაწარმოები შეიცავს. ამ ლექსებშიც ავტორი ზოგჯერ იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე გამოხატულია სიტყვებით.

ვაჟა-ფშაველა წერს: „რას ჰქვია ენის ცოდნა? რასაკვირველია, არა კმარა, მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ, უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთანხმოთ ეს სიტყვები ერთი მეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ. ამისთვის საჭიროა ენის სულის და გულის შეგნება („ენა“). ვიქტორ გაბესკირია ის პოეტია, რომელიც სწორედ ენის სულსა და გულს ჩასწვდა.

პოეტის ფიქრები, განცდები უმეტესად მშობლიურ ადგილებს, ნაცნობ და საყვარელ გარემოს დასტრიალებს თავს. როგორც ყველა მოაზროვნეს, ყველა შემოქმედს, მასაც განსაკუთრებით უყვარს თავისი სამშობლო და ამ სიყვარულის მყვირალა ან ბრჭყვიალა ფრაზებით კი არ გამოხატავს, არამედ მოკრძალებულად, სადად, ფაქიზად, საკუთარი სათნო ბუნების შესაფერისად.

მიყვარხარ მართალ კაცის ოდავ, ეზოში მდელოვ,
და ზედაც მზეო, ზედაც წვიმავ მოულოდნელო.

ფრაზა ლაკონიურია, დინამიკური და მეტიც რომ არაფერი დაემატოს, ისედაც გასაგებია – ქართველ კაცს, საქართველოს მზეს ეფერება პოეტი. „მიყვარს სიტყვები „ჩემო კარგო“, „დაუვიწყარო“, — გრძელდება ლექსი და მისი შემქმნელის კეთილშობილ სულს დაგვანახებს. გასაგებია, რომ შემოქმედი ცხოვრობს ენაში და უყვარს ქართული სიტყვები, მაგრამ გამოარჩევს სინაზის, სიყვარულის, ერთგულების... გამომხატველ სიტყვებს. მიმართვამ: „ჩემო კარგო“ შეიძლება ალუზიით ილიას „ჩემო კარგო ქვეყანავ“ გაახსენოს ადამიანს... ლექსი რომ მარტო ერთ სოფელს არ გულისხმობს ან თუნდაც ერთ რომელიმე კუთხეს ჩვენი მშვენიერი ქვეყნისა, თავიდანვე, დასაწყისიდანვე საცნაურია. დასასრულს კი პირდაპირაა გაცხადებული:

საქართველოში ეს, რაცა ვთქვი, უხვად მეგულვის,
მაშ რატომ გიკვირს გამალებით რომ მიცემს გული?!

აქაც და სხვაგანაც პოეტი მარტო კი არ აღწერს, არამედ გვაგრძნობინებს იმას, რაც თვითონ განუცდია. ნებით თუ უნებლიეთ, საკუთარი სულიერი ცხოვრების, ნაგრძნობის, ნაფიქრის, შინაგანი სამყაროს შესახებ მოგვითხრობს.

ასეთივე გატაცებით ხატავს იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ულამაზეს სურათებს. აქვს ლექსები: „კახეთს“, „ბათუმი მთიდან დანახული“, „ბორჯომს“, „გურიის მთები დაუთოვია“, „ზამთრის დილა სამეგრელოში“, „სვანეთი“ და სხვა. ყველგან, ყველა ლექსში პოეტი ოსტატობას თავისი განცდის გასამხელად იყენებს.

ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებაში (და ამ კრებულშიც) შეიძლება ცალკე ციკლად გამოიყოს ლექსები, რომელშიც ზღვა ჩანს. ეს თემა — ზღვა — ქართველი პოეტისთვის უცხო არ არის. ვიქტორ გაბესკირიასთვის კი იგი არა მარტო ნაცნობი, არამედ ბუნებრივი, ორგანული, მშობლიურია. ყველა ეს ლექსი

ერთმანეთს თითქოს ჰგავს კიდეც და არცა ჰგავს. საერთო აქვთ განწყობილება, სულისკვეთება, ჩუმი და თითქოს უთქმელი სიხარული, განსხვავებულია ინდივიდუალური, ახალი სათქმელი. ნიმუშად ერთ უსათაურო პატარა ლექსს მთლიანად დავიმოწმებ:

აქ ეწერია, იქით ბაღი, აქ ბახვა სახლობს,
გული რად ტოკავს? — მიხარია, აქ ზღვაა ახლოს!
ნესტიანია, მძიმეაო, ნეტავ ვის უთქვამს?!
მე ხომ ამ ჰაერს სიხარულით და ხარბად ვსუნთქავ!
მივდივარ გზაზე, მზე კაშკაშებს და მაინც გრილა...
გული რად ტოკავს? — ჩემი კარგი სამეგრელოა!

ვფიქრობ, ლექსს საოცარ სითბოს, ინტიმს ჰმატებს კონტექსტის გარეშე სრულიად ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, არაფრისმთქმელი, პროზაული სტყვები: „აქ ბახვა სახლობს". ეს არის ნიმუში იმისა, როგორ შეიძლება პოეტმა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფრაზაც პოეტური შეგრძნების გამომხატველად აქციოს. ეს ტექსტი დიდბუნებოვანი ადამიანის მიერაა დაწერილი, რომელსაც კი არ ეთაკილება თავისი პატარა, თუნდაც ნესტიანი მშობლიური კუთხე, არამედ ეამაყება, ყოველთვის ენატრება, ოცნებით ხშირად წარმოიდგენს ხოლმე; სხვისთვის, უცხოსთვის მძიმე ჰაერი მისთვის მსუბუქი და მაცოცხლებელია. აქ თაკარა მზეშიც გრილა („ზამთარ-თბილი, ზაფხულ-გრილი" მხარეა), რადგან საკუთარია, მშობლიური და განუმეორებელია. პოეტს აქ გამოყენებული აქვს რითმები: სახლობს – ახლოს, უთქვამს – ვსუნთქავ, მაინც გრილა – სამეგრელოა (სხვათა შორის, გრილა – სამეგრელოა გამოყენებული აქვს გაბრიელ ჯაბუშანურსაც ოდნავ სახეცვლილი ფორმით: შენ კვლავ დაჯდები ტყემლის გრილოში, მე კვლავ ქარაფებს ავეტოტები, შენ დამელოდე სამეგრელოში, მე ხევსურეთში დაგელოდები). მაშ ლექსი ტრადიციული ფორმით არის დაწერილი და სწორედ ეს ფორმა უდიდეს გასაქანს აძლევს შემოქმედს საკუთარი, ინდივიდუალური განცდების გადმოსაცემად, საკუთარი ხელწერის, სტილის გამოსამჟღავნებლად.

აი, კიდევ ერთი ლექსი, რომელშიც ზღვა მხოლოდ ფონია, სათქმელი სხვაა. ეს ლექსი ჯვარედინი (ასევე ტრადიციული) რითმითაა დაწერილი, ოღონდ გამორჩეულია სწორედ მკაფიოდ აღბეჭდილი ინდივიდუალიზმით. აქ მხოლოდ დასაწყისს დავიმოწმებ: „აი ზღვის პირი! ნუ მაღლდებით, გხედავთ, ზვირთებო“.

საერთოდ, ფორმას შემოქმედს სათქმელი კარნახობს. ამ ლექსების კითხვისას ვგრძნობთ, რომ ავტორი საგანგებოდ კი არ ეძებს რითმებს, სიტყვით კი არ ჟონგლიორობს, არამედ სავსებით სადა ყალიბში მოაქცევს ხოლმე დიდ პოეტურ ამბავს, პოეტურ, ლირიკულ, შეიძლება ითქვას, რომანტიკულ, დიად განცდებს. დატეხილი სტრიქონი და საინტერესო რითმა (გოლიათს – მაგნოლიის) გვხვდება ლექსში „ზღვასთან“:

დადუმებულა სავანე ქართა –
ზღვა, ეგებება ის მზეს გოლიათს.
მე მივყრდნობივარ შენ თეთრ ჭიშკართან
ხეს მაგნოლიის.

მაგრამ მთავარი ღირსება ამ ლექსისა მის სათქმელშია. პოეტი ნაზ, მოკრძალებულ დამოკიდებულებას ავლენს ძველი, ბავშვობისდროინდელი მეგობრის წინაშე. ამხელს, როგორც ჩანს, გულში ნატარებს, გაუმჟღავნებელს. კეთილშობილ ვნებათა გამომხატველი ასეთი ლამაზი ლექსები სხვაც არაერთი გვხვდება ამ კრებულში.

შენ კი არ ჩანხარ, ნუთუ კვლავ გშვენის
ღიმილი, რატომ არ გხედავ გზაზე,
მე ის კაცი ვარ, ოდესღაც შენი
ჩრდილი ქვიშაზე რომ შემოვხაზე.
ვით ბავშვობაში, ახლაც სილაში
ხელებს თუ მალავ, როს მარტო რჩები?
კიდევ თუ მოჩანს წყლიან ქილაში
იმ დროს ნაპოვნი თეთრი კენჭები?!

ასეთი ღრმად ინტიმური, საკუთარი სულის გამაშიშვლებელი ლექსებით ავტორი საკუთარ თავს გვაცნობს, საკუთარ ბიოგრაფიას გვიყვება. მკითხველს თვალწინ გადაეშლება ლექსის ლირიკული პერსონაჟის მთელი ბავშვობა, რომელიც მას ზღვის პირას გაუტარებია. ძველ, კეთილ, სასურველ ნაცნობთან უეცარ შეხვედრასაც წარსული, ბავშვობა გაუხსენებია ავტორისათვის. საყურადღებოა, რომ პოეტი სულ სხვა ყალიბში, სხვა რიტმში აქცევს იმავე თემაზე დაწერილ სხვა ლექსს და არაფერს იმეორებს საკუთარი შემოქმედებიდან, არ ძარცვავს საკუთარ თავს. აი, „შეხვედრა“:

ეს ხომ ნაცნობი სიარულია?
ღიმილს რომ ბურავს – შენი თმებია,
მაგრამ ღიმილი გაბზარულა და
ეს თმებიც თითქოს გაგთეთრებია.
მახსოვს ბავშვობა: მინდორი, სურო,
შენი ღიმილი, მზეს შერეული,
შენი იების პატარა სურა,
წიგნი, რვეული...
თუმც ეს შეხვედრა მე არ მაღონებს,
მაგრამ მიმავალს ფიქრს რად გაგატან?
ან ცა იმ ღრუბლებს რად მომაგონებს,
მე ბავშვობაში რომ დამიხატავს?

ამ რიტორიკულ შეკითხვაში ჩაღვრილია მთელი სინაზე, მოწიწება, კდემა და წრფელი, ბავშვური, გულუბრყვილო, წმინდა გრძნობები... მშობლიური ქალაქის წვიმაც (და საერთოდ, ცუდი ამინდიც) ისევე შეიძლება მოენატროს სათუთი გულის ადამიანს, როგორც სხვა ნებისმიერი, სხვისთვის შეუმჩნეველი თუ უმნიშვნელო რამ, მითუმეტეს, თუ იმ წვიმას მზესავით ანათებს შორიდან ტრფობის მშვიდი, მაცოცხლებელი სხივი.

შავი ქოლგის ქვეშ ჩანდა შენი ლამაზი ხელი...
არა, ხელს არა! იგი მაშინ მზის შუქს ეჭირა.
(„იმ დღეთაგან“)

სხვაგან ნატრობს:

მოვივდეს წვიმა, და ისე, ვით ხეს,
მეც მასველებდეს.

(„საღამოვდება“)

ზღვაზე დაწერილ ლექსებზე მინდოდა მესაუბრა და ვხედავ, სატრფიალო პოეზიისკენ გადავუხვიე. ზღვის თემაზე ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებაში შეიძლება სხვა დროს ცალკე, საგანგებო წერილი დაიწეროს, ახლა კი დიდი სიყვარულისა და მონატრების დამადასტურებელ მხოლოდ ორ სტრიქონს გავიხსენებ:

შენგან შორსა ვარ, მაგრამ ისე მიახლოვდები,
რომ ზოგჯერ ტალღებს ალივლივებ ჩემს სასთუმალთან.

(„ისევ ზღვისადმი“)

არ დაიჯერებთ, მაგრამ ზღვის პირას დაბადებულ და გაზრდილ ხალხს ტალღების ხმა მართლა ესმის მაშინაც, როცა ზღვისაგან შორს არიან.

ვიქტორ გაბესკირიას ლექსები უმრავლესად სევდიანია. ეს გახლავთ ადამიანის ბედზე დაფიქრებული, მოაზროვნე კაცის ნაღველი, ამიტომ ამგვარი სევდა, წუხილი კი არ თრგუნავს, არამედ ამხნევებს და სულიერ ძალას ჰმატებს მკითხველს.

სულის ბიოგრაფია ვახსენეთ და მართლაც, ზოგ ლექსში მწერალი საკუთარ თავს გვიხატავს, ავტოპორტრეტს ქმნის. მკითხველისთვის საინტერესოა ლირიკისის სულის მოძრაობა — რას ანიჭებს იგი უპირატესობას? რა ახარებს, რა წყინს, ვის თანაუგრძნობს და სხვა. ცხადია, ყველა პოეტი ჰუმანისტი უნდა იყოს, წარმოუდგენელია კაცთმოძულე მწერალი. ჰუმანიზმი, დაჩაგრულის შებრალება, სუსტის გამხნევება საერთოდ დამახასიათებელია ქართველი კაცის ბუნებისთვის, ხოლო გაცილებით ხელშესახებად და ნათლად გამოვლენილია მწერალთა ნააზრევში. ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, როცა პოეტი, ვთქვათ,

ეკლის ბუჩქს თანაუგრძნობს, ან საზიდარში შებმულ ნაცნობ ცხენს, თუნდაც გამხმარ მუხას, მშიერ მგელს, ჩამოცვენილ ფოთლებსა და სხვა, მაგრამ არ მგონია, მთლად ჩვეულებრივი იყოს თანალმობა და თანაგანცდა, გამოთქმული მანეკენის მიმართ, ფიტულის ან ლარნაკზე გამოხატული ფრინველის მიმართ.

ყველაზე უჩვეულო და ორიგინალური მაინც ის განცდა მგონია, რომლითაც გამსჭვალულია ლექსი „მზის სხივი". იმის თქმა მინდა, რომ თუ საგანი ან მოვლენა თავისთავად შესაბრალისი, დაჩაგრულია, მწერლის მახვილი თვალი და თბილი გული, რასაკვირველია, ადვილად გამოარჩევს მას უთვალავფერიან სამყაროში და ჩვენც, მკითხველსაც დაგვანახებს და განგვაცდევინებს იმავეს, რაც თვითონ უგრძვნია. მაგრამ, ვფიქრობ, ძნელი წარმოსადგენია, ვინმეს მზე, მზის სხივი შეებრალოს. მზისგან ყველა თვით ელის შველას, სითბოს, წყალობასა და ნუგეშს. იქით ნუგეშის მიცემა შეიძლება ყალბი გამოვიდეს და ამდენად — სასაცილოც. ვიქტორ გაბესკირიას ხალასი გრძნობა კა ქმნის ამ ტიპის პაწაწინა ლექსს, რომელშიც გრამი სიყალბის ან პათეტიკურობისა ნასახიც არ ურევია, მოვუსმინოთ:

იქ, სადაც ჩანან ხეები მსხლისა, ხეები ვაშლის,
კიაფობ ქარში, მგონია რომ მტვერიც გაცვივა...
სხვის გასთბობად მოვლენილო, ამ თებერვალში,
ოი, მზის სხივო, ტყის ნაპირას, შენ თვით არ გცივა?!

როცა პოეტი მზერას წარსულს მიაპყრობს, ხედავს იმაზე მეტს, რისი დანახვაც, ჩვეულებრივ, შესაძლებელია. ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას შემდეგ არაგვზე ლექსის დაწერა, მეტი რომ არ ვთქვათ, საფრთხილოა. პოეტი არ უშინდება ამ სიძნელეს იმიტომ, რომ თავისი, განსხვავებული სათქმელი აქვს. საკუთარ თავს მლოცველს (საქართველოზე მლოცველს) უწოდებს: საქართველოში შემოჭრილო დიდო სინათლევ! — ასე მიმართავს მდინარეს, რომელიც სისპეტაკით თოვლის ბრწყინვას ეჯიბრება და ლექსს ასეთი თავმდაბლური თხოვნით ამთავრებს:

სამას არაგველთ დამლოცავო, გამცილებელო,
ეს ლექსი შენს ზვირთს შეუერთე, ვითა ფოთოლი!

ადამიანის, მოფიქრალი ადამიანის (განსაკუთრებით — შემოქმედის) გონებას ყველაფერი თუ არა, ბევრი (სხვისთვის შეუძლებელი) რამ ძალუძს. შეუძლია გააცოცხლოს წარსული, ნათლად წარმოიდგინოს რომელიმე ეპიზოდი და გამოაბრწყინოს, ასე ვთქვათ, რამე ნატეხი ჩვენი წარსულისა, რომლისთვისაც ჩვენ იქნებ ყურადღება არც მიგვიქცევია. ასეთი ჯადოსნობით მიანათა შუქი ერთ განდგომილ და ცივ სენაკს და დაგვანახა „ვეფხისტყაოსნის" გადამწერი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, განზოგადებული სახეა უანგარო და ქართული საქმისთვის თავდადებული მოღვაწისა. ავტორმა შექმნა შესანიშნავი მხატვრული სახეები. მათ შორის ასეთი:

სანამ ყუნწიან ასოებში ძაფს არ გააბამს
ვიწრო სარკმლიდან შემოსული სხივები დილის,
არ მოიღლება მოხუცი და გადასწერს ამბავს
ტარიელისა, ფრიდონისა და ავთანდილის.

წარსულისადმი გრძნობა-პატივი შესანიშნავ ენობრივ და პოეტურ ყალიბშია მოქცეული ლექსში „კახეთი". აი, ნაწყვეტი ლექსიდან:

...
ბევრჯერ ოცნების კარავი დავდგი
შენს ახლოს, წინათ, ჩემს ბავშვობაში.
...
ამოვდგომივარ ბრძოლაში გვერდით
უცხენო მხედარს, ლამაზ ბოსტაშვილს.
იმ დროს ალაზნის ველზე მეც ვმდგარვარ,
დავდევდი იმ ცხენს, ისე ვით ნიავს,
მე იმ ბრძოლაში თუ არ მოვმკვდარვარ,
მიყვირია და მიყიჟინია...

სხვა რიტმიკისაა „ქართლში ნაპოვნი ეპიტაფია“. საქართველოს სიყვარულში გალეული სიცოცხლის გამო სთხოვს უფალს შენდობას ერთი ქართველი:

დამილოცია ფრინველთა
გუნდები, მტკვარზე — ტივები,
სხვა საქმე თუ კი ვერ შევძელ,
უფალო, მაპატიევი!

საერთოდ, ვიქტორ გაბესკირიას ცოტა აქვს მიძღვნითი ლექსები. ერთს („ხე ნანგრევებში“) კი საგანგებოდ აწერია: „პავლე ინგოროყვას“. ეს მინაწერი ერთი მხრივ, გვაგრძნობინებს განსაკუთრებულ, გამორჩეულ პატივისცემას ადრესატისადმი, მისი ღვაწლისადმი, და მეორე მხრივ, გვიდასტურებს თვითონ ავტორის სულიერ თანაზიარობას დიდ ეროვნულ მოღვაწესთან:

ვფიქრობ: წუხილი წარსულზე თუ ამაო არის,
მე იმ ხისადმი სიყვარულით რად გავიმსჭვალე?!

დიდი ხნის წინათ მკვდარ, ხავსმოდებულ, ქვების გროვად ქცეულ ძველ ციხეს ნანგრევებს შორის ამოსული ერთადერთი ხე აცოცხლებს. ეს ხე, ცხადია, არაფერს ამბობს ციხის წარსულის შესახებ. სწორედ ასეთ, სხვისთვის უმნიშვნელო ცნობას ჩაეჭიდებოდა ხოლმე პავლე ინგოროყვა, იქიდან ამოართავდა და შორეულ წარსულამდე ისე გააბამდა ძაფს, რომ უწვრილმანეს დეტალებსაც კი გამოამზეურებდა. ამიტომაც არის ეს მიძღვნა ძალიან ლოგიკური და საგულისხმო.

ვიქტორ გაბესკირია ბუნების ხატვის დიდი ოსტატია. ტყუილად როდი ახსენებენ მის შემოქმედებაზე საუბრისას ხშირად: სურათებს, აკვარელს, მხატვრობას, ფერწერას, იმპრესიონიზმს, ილუსტრაციას... ისიც აღნიშნულია, რომ მისი ლექსები თვალით დასანახია, თუმცა იმას, რომ მის პოეზიაში „ხედვა სჭარბობს სმენას“, შეიძლება მთლიანად არ დავეთანხმოთ. ვფიქრობ, ხედვა და სმენა თანაბრად მონაწილეობს მისი შემოქმედების აღქმაში.

აქ რომ სათანადო ნიმუშების მოხმობა დავიწყო, მთელი წიგნის გადმოწერა მომიწევს, რასაც, ცხადია, ვერ ვიზამ. მე საგანგებოდ არ შევადარებ მის ლექსებს ვაჟა-ფშაველას ან რობერტ ბერნსის, ან რობერტ ფროსტისა თუ სხვათა – ბუნების დიდ მგოსანთა პოეზიას. იმიტომ, რომ ეს ლექსები თავისთავადი ღირებულებისაა (ყოველგვარი შედარების გარეშე).

ზემოთ რამდენიმე მეტაფორა გავიხსენეთ, ახლა საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ის მოხდენილი და ორიგინალური შედარებები, რომლებიც გამოყენებული აქვს პოეტს. მხოლოდ ზოგიერთს ამოვწერ:

ჩანან სახლები მრავალგვარნი, ვით სურათები
გაშლილ ალბომში უწესრიგოდ ჩაწყობილები.
...
შენდამი ტრფობა ზოგჯერ ისე გამოანათებს,
როგორც ღამეში დანახული წყლის ელვარება.
...
მაგრამ ფიქრები ჩვენი ისე, ვით იალქნები
ზოგჯერ ერთმანეთს შეხედავენ ცხოვრების გზაზე.
...
ის ხე, მდინარე, ყვავილები ისე მოსჩანან,
როგორც მხატვრობა გაცრეცილი ძველ გობელენზე.

ყველა ამ ლამაზ და ნატიფ შედარებას აქვს თავისი საფუძველი. ლოგიკურად გამომდინარეობს ნათქვამიდან. მაგალითად, გაცრეცილ, ძველ ტილოს ჰგავს გარემო, თუ იქ საყვარელ ადამიანს ველარ ხედავ (სხვანაირად ამ შედარებას მნიშვნელობა დააკლდებოდა). მას შემდეგ, რაც ქრესტომათიულად ვიცით, რომ ნისლი ფიქრია მთებისა (ვაჟა-ფშაველა), აღარც ასეთი შედარება გეუცხოვება:

მაგრამ ჩვენს ნაცვლად გამოდიან ჩვენი ფიქრები
და ამ მინდორზე დგებიან ვით ნისლის ქულები...

ან თოვლი, მისი სითეთრე ხომ სიმბოლოა განწმენდილი, ამაღლებული, სპეტაკი, დამამშვიდებელი ფიქრებისა. ამიტომ მოგვწონს ეს შედარება:

ვეტრფი ყველაფერს, რაც მახარებს, რასაც შევზრდივარ, თოვს და თოვაში, ვით დარბაზში, ისე შევდივარ.

„სურათში" ამბობს: ხესთან მზის შუქი იდგა, თითქოს მისი და იყოო. უკვე დახატულია მართლა სურათი – სწორი, ვთქვათ, ალვის ხე და ასევე სწორად ჩამოსული მზის შუქი. იქნებ გაიფიქროს ვინმემ: რატომ და და არა, დავუშვათ, ძმა. პასუხს იქვე შემდეგი სტრიქონები გაგვცემს. ხემ (ვაჟკაცმა) ბრძოლაში (წვიმაში) და დროებით მოიშორა, იქაურობას განარიდა. მარტო იბრძოდა, გამარჯვების შემდეგ კი (როცა გადაიღო), და (მზის სხივი) ძმასთან (ხესთან) ისევ მივიდა და კვლავ გვერდით დაუდგა.

ხანდახან მცირე ზომის ლირიკულ ლექსში ავტორი დიდ ამბავს გვიყვება. მკითხველი თავისი ფანტაზიით ავსებს წაკითხულს, სტრიქონებს შორის გულისხმობს ბობოქარ და ხმაურიან, დრამატულ მონაკვეთებს ცხოვრებისა. ასეთია „ამოგდებული ხომალდი", რომელშიც აღწერილია ანძაგადამტვრეული, ნაპირზე დაგდებული ხომალდი, რომლის ძირსაც ნიჟარები მიჰკვრია, ღუზა კი დაჟანგებულა, „მის ახლოს მჭკნარი გდია ფოთოლიო", თითქოს სასხვათაშორისოდაა ნათქვამი, მაგრამ, ცხადია, დამჭკნარ, უსიცოცხლო ფოთოლსა და გაუქმებულ ხომალდს შორის ხილულ თუ უხილავ კავშირს ეძებს და პოულობს მკითხველი.

თვითონ დიდი ზნეობის უნდა იყოს ადამიანი, რომ წლების წინათ მამის მიერ ყანჩის მოკვლა ცოდვად, დანაშაულად განიცადოს. ეს ყანჩა „ხშირად ფიქრების სიბნელიდან თავს გამოყოფს და შემეკითხება, რად მომკალითო". როგორი სუფთა, განსპეტაკებული უნდა ჰქონდეს სინდისი კაცს, რომ მოკლული ყანჩა თუ გვრიტები მუდამ უშფოთებდეს სულს და მოსვენებას არ აძლევდეს. თუმცა, თუ რობერტ ბერნსმა თაგვი შეგვაცოდა, რომლის სოროც მინდორში შემთხვევით სახნისმა დაანგრია, რატომ უფრო მეტ სადარდელად არ ექცევა ადამიანს ნადირობისას ფრინველისა თუ ცხოველის მოკვლა?!

საინტერესოა, რომ ვიქტორ გაბესკირიამ სინაზით აღსავსე ლექსები უძღვნა ადამიანთა მიერ ათვალწუნებულ ფრინველს – ყვავს. ფოლკლორშიც და სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც ყვავი, ყორანი, მოგეხსენებათ, უბედურების, ავის მაცნე და სიმბოლოა. ამ კრებულის ავტორს კი ყოველგვარი ეპატაჟისა და მოჩვენებითობის გარეშე, გულწრფელად შეუძლია დაიჩივლოს:

მომნატრებიხართ ქართული ლექსის
თეთრ თოვლში შავად მოფარფატენი!
(„ყვავები“)

ან შეიცოდოს დიდ ვაზაზე მიხატული ყვავი, თუ სულაც აუცილებელ, სურათის სრულყოფილებისთვის გარდაუვალ შტრიხად მიიჩნიოს ყვავის ხსენება:

ათოვს მთის ღელეს, ქარი ქრის ხევზე,
ათოვს ხეებზე ატანილ ჩალას;
მარტო ზის სოფლის ბოლოში ხეზე...
ყვავი-ყვანჩალა.
(„ზამთრის სურათი“)

ცოტაა იმის თქმა, რომ ვიქტორ გაბესკირიას ლექსებში არსად, არცერთ ფრაზაში არ იგრძნობა თვითკმაყოფილება. აი, გადაჭარბებულ თავმდაბლობას კი ხშირად ვაწყდებით. „თხმელის ხეებში“ ამბობს: „მეც თქვენი ჯიშის აღმოვჩნდი, ისე ვბერდები – ვერ გასახელეთ“. თითქოს გრძნობს საკუთარ გამოუმჟღავნებელ, პოტენციურ ძალას და სინანულიც იმისია, რომ ბოლომდე რეალიზება ვერ მოუხერხებია. ერთგვარი სასოწარკვეთა გამოსჭვივის ამ სტრიქონებიდან:

ზღვაში ჩაყრილო თეთრო ლოდებო,
მეგობრობისთვის კვლავ გეტყვით: გმადლობთ!
იქვე მიბმულო, ნუ მელოდები,
ჩემი ოცნების თეთრო ხომალდო.

„ტყის ღელეში“ კი აყვავებულ, მაგრამ ყველასაგან მივიწყებულ ყვავილებთან, მომეჩვენა, რომ საკუთარი შემოქმედებაც გააიგივა:

მის წყლის] ნაპირებზე ყვავილებიც ხშირად ყვავიან,
მაგრამ საკრეფად არავინ მოდის.

პოეტური იდუმალება, რაც ასე სამკაულივით უხდება ლირიკულ ლექსს, არ აკლია მის პოეზის. „და ახლა, როცა დღე დაილია, სად გადაფრინდა ეს ტყის ქათამი?!“ ჯერომ სელინჯერის ცნობილ შეკითხვას არ გვაგონებს: „სად მიდიან იხვები ზამთარში?“

თავის ლექსებს ჩიტების გუნდს ადარებს პოეტი. რომ გაფრინდება, მერე იმათ თავიანთი გზა აქვთ. მკითხველის გულამდე თვითონ უნდა გაიკვლიონ მისასვლელი, მერე ავტორი ვერაფერს შველის. მხოლოდ გულმხურვალე ლოცვა თუ შეუძლია („ლექსების წიგნი“). ეს ლექსი კრებულის დასაწყისშია დაბეჭდილი, ხოლო მთავრდება წიგნი ოთხსტრიქონიანი მიმართვით „ჩემს ლექსებს“:

რომ ყვავილნი ხართ მკრთალნი, ჩუმნი, ეს უთქვამთ ქებად,
სხვა რამეც ხართო? – ეს არ უთქვამთ,
ვერ გეტყვით ტყუილებს...
დე, ესე იყოს, სხვა ქონება მე ნუ მექნება,
მხოლოდ ჩემს შემდეგ არ დაჭკნებით? კვლავ იყვავილებთ?

ეს არ არის დაეჭვებული კაცის შეკითხვა. ეს უფრო სურვილია და ჩუმი იმედი იმისა, რომ არასოდეს დაჭკნებიან, ყავლი არასოდეს გაუვა მის მართალ და წრფელ სიტყვას. მისი ლექსები დღესაც განაგრძობენ მკითხველთან საუბარს სიყვარულისა და სიცოცხლის შესახებ და ასე გაგრძელდება შემდეგშიც, როცა მათთან გონიერი და მაღალი გრძნობის ადამიანი მივა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვიქტორ გაბესკირიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, აღბეჭდილი ღრმა ერუდიციითა და გემოვნებით. მათზე დაწვრილებით აქ ვერ ვისაუბრებ, ვიტ-

ყვი მხოლოდ, რომ ყოველი მათგანი ნოველასავით იკითხება, რადგან თითოეულს აქვს ნატიფი კომპოზიციური წყობა – სათქმელს მორგებული შესავალი, მთავარი სათქმელი და ლოგიკურად გამოტანილი დასკვნა.

ერთ წერილში („დიდი და პატარა მწერალი") ავტორი წერს: „ყველა ქვეყანაში, ყველა დროში იყვნენ და იქნებიან დიდი და პატარა მწერლები; ოღონდ ნამდვილად კი იყვნენ მწერლები და დიდ-პატარაობა ოდნავადაც ვერ შეუშლის ხელს, რომ ხალხი მათ სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდეს, არა მხოლოდ სიცოცხლეში, არამედ შემდეგაც... ჩვენ, წარსული დროის ყველა დიდ მწერალთან ერთად, პატარა მწერალიც ბედნიერ ადამიანად მიგვაჩნია"...

პირდაპირ არაა თქმული, მაგრამ თითქოს მინიშნებულია, რომ საკუთარ შემოქმედებაზეც არ იყო ძალიან მაღალი აზრისა, თავს პატარა მწერლად მიიჩნევდა. თუ ეს ასეა, ამაში კი ცდებოდა იგი. ვიქტორ გაბესკირიას დიდ პოეტად აღიარებენ ლექსის მცოდნე და დამფასებელი მკითხველები.

წიგნის გარეთა ყდაზე დაბეჭდილია „მაისში თქმული", მართალი გულიდან ამოსული მართალი სიტყვა. იქვე მოთავსებული ფოტოდან გვიმზერენ ალალი, ნათელი, წრფელი, სიყვარულით სავსე თვალები. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო შემდგენელ-გამომცემლის ციცი გაბესკირიას დახვეწილი, ინტელექტუალური მიგნება, ალღო (ყველაფერი სადად, ზუსტად თავის ადგილას, საჭიროებისამებრ არის განლაგებული) და ამისათვის დიდი მადლობა მოვახსენო მას.

არ არსებობს საიდუმლო...

(პიესა ივანე მაჩაბლის ტრაგიკულ აღსასრულზე)

როსტომ ჩხეიძის პიესას, „26 ივნისის საიდუმლო", წინ უძღვის ავტორის მოკლე წინათქმა და ავტორისავე ბოლოსიტყვაობასთან ერთად ვასილ კიკნაძის ბოლოთქმაც ერთვის. ცნობილი თეატრმცოდნე და კრიტიკოსი პოსტმოდერნისტულს უწოდებს როსტომ ჩხეიძის პიესებს და, მართლაც, შეიძლება ამ მოდური მიმდინარეობის ნიშნების შემჩნევა მათში. თუმცა ისიც გარკვევით უნდა ითქვას, რომ სამივე პიესა უმალ მხატვრულ-დოკუმენტურია, ვიდრე რომელიმე სხვა ჟანრისა. ეს კი თითქოს უნდა გამორიცხავდეს პოსტმოდერმიზმს, მაგრამ მისი ნიშნები, როგორც ვთქვით, ამ ნაწარმოებებშიც შესამჩნევია. „26 ივნისის საიდუმლოში", მართალია, მეტატექსტი არ ჩანს, მაგრამ მის ფუნქციას ზემოთ ნახსენები წინათქმა და ბოლოსიტყვაობა ასრულებს. ავტორი დაჟინებით გვთხოვს, ვისაც უნდა, მხოლოდ მხატვრულ სიმართლედ იწამოს თხზულებაში ამოხსნილი საიდუმლო და შანსს გვიტოვებს, უფლებას გვაძლევს, ვისაც უნდა — ისტორიულ სიმართლედაც. ოღონდ ეს ისეა ნათქვამი, რომ ჩანს, მწერალს სწორედ რეალურის, მართლა მომხდარის ამოცნობის პრეტენზია აქვს.

არ არის დრამაში არც დოკუმენტური მასალა ან ვრცელი დამოწმებები სხვა ტექსტებიდან. ასეთებად ვერ მივიჩნევთ თითოწინადადებიან ციტატებს საყოველთაოდ ცნობილი თხზულებებიდან (ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, შექსპირის... ნაწარმოებებიდან). პერსონაჟებად ისტორიული პირები გვევლინებიან და ზუსტად, უმეტნაკლებოდ, სარწმუნოდაა დახატული როგორც მათი ხასიათები, ასევე, აღდგენილია, როგორც იტყვიან, ეპოქის სული.

თუ ალუზიასა და რემინისცენციას მოვიძიებთ, ეს შეიძლება ისაკა ალხანიშვილისა და მისი დოსტების მუქარა იყოს: დედას გიტირებთ, ჭავჭავაძეო, რომ გაიძახიან და ძალაუნებურად ჯაყო ჯივაშვილს გვახსენებენ თავიანთი მუქარით, მეტყველების სტილითა და კილოთი. მართლაც, ინტელიგენტისა და ერის სულიერი სიმაღლის გამომხატველი სხვა ვინ შეიძლება იყოს, თუ არა ილია ჭავჭავაძე, ხოლო ყოველივე ეროვნულის მოძულე და დამსამარებელნი პიესაში ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და ძმანი მათნი არიან, რომელთა დავალების შესრულებასაც ცდილობს ისაკა.

თხრობის მანერა რეალისტურია, თუმცა მასშიც ურევია მისტიკური (თუ გნებავთ, ფანტასტიკური დავარქვათ) ამბავი. ილიასთან შეხვედრისას პატარავდება, თვალდათვალ დაბლდება, ჩიავდება ტანად ბრგე ისაკა (როგორც ვთქვით, ჯაყოს ერთგვარი ალუზია). შესანიშნავი მხატვრული ხერხია, რომელიც ერთდროულად ილია ჭავჭავაძესაც სახიერად ახასიათებს და მასთან მებრძოლებსაც (იქნებ მკითხველს გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად მშვილდ-ისრით ჩასაფრებული ლირბი კაციც გაახსენდეს). საოცარი კი ისაა, რომ თურმე მემუარისტული ლიტერატურა ამტკიცებს, ადასტურებს ამ მისტიკური (ფანტასტიკური) ეპიზოდების, არც მეტი, არც ნაკლები, რეალისტურობას. ილიას თანამედროვე ავტორები იგონებენ, რაც თავად უნახავთ, რასაც თვითონ შესწრებიან — როგორ პატარავდებოდნენ ილიას წინაშე მისი მოქიშპენი, მოწინააღმდეგენი, მტრები (ასეთი რამ დამართია, როგორც ამბობენ, მრისხანე ცენზორს, ლუკა ისარლიშვილს, რომელიც სხვებს თავზარსა სცემდა, ილიასთან კი თურმე ხმას ვერ იღებდა და იკუნტებოდა). აი, ასეთი მახვილი ინტუიცია აქვს მწერალს, რომლის მიერ გამოგონილი, ფანტაზიით შექმნილი ეპიზოდი ზუსტად, ერთი ერთში დაემთხვა ნამდვილ ამბავს. მოდი, და ამის შემდეგ, ნუ დაუჯერებ მის თუნდაც მიხვედრას, დაკვირვებასა და გუმანს.

როსტომ ჩხეიძემ ჯერ მხოლოდ ორ პიესაში გამოიყვანა ილია ჭავჭავაძე გამომძიებლად და ამით გვერდით ამოუყენა მსოფლიოში ცნობილ და მკითხველისთვის საყვარელ გამომძიებელ-

პერსონაჟებს, არაფერი რომ არ რჩებათ მიუკვლეველი და გამოუმჟღავნებელი. ამ ბედნიერ მიგნებას იქნებ ვერც მოვეშვაო, გვითხრა. ჩვენ კი მისი „იქნებ“ დაპირებად მივიჩნიეთ და სულმოუთქმელად ველით ამ ხაზის გაგრძელებას.

მაგრამ ამჯერად „26 ივნისის საიდუმლოზე“ ვსაუბრობთ.

პირველი მოქმედების დასაწყისი რემარკა უფრო საკითხავია, ვიდრე სცენაზე წარმოსადგენი. ციტატა: „აქამდე ასეთ განწყობილებას გამოიწვევდა სპექტაკლის „სამშობლო“ დადგმა, ირაკლი ბატონიშვილისა და ალექსანდრე ყაზბეგის დაკრძალვის ცერემონია, დიმიტრი ყიფიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტთა გადმოსვენება, ამჯერად კი გაურკვევლობას აუფორიაქებია ხალხი. მაჩაბელი არსად ჩანს“. ცხადია, ამ სახელების მოხმობა აქ შემთხვევითი ვერ იქნება. სამშობლოს განმადიდებელთა, სახელოვან ადამიანთა, განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებათა შორისაა, რა თქმა უნდა, ერთი უპირველესთაგანი, ივანე მაჩაბელიც.

რა ეხუმრებოდა და აკაკი წერეთელიც კი ხუმრობს, ხიდზე ილია დააყენეთ და ვანო თუ იქაა, მაშინვე წყლიდან ამოვაო.

ხუმრობა ხუმრობად, თუმცა სოციალ-დემოკრატებს სულაც არ ეხუმრებათ. ამ ამბის ილიას წინააღმდეგ გამოუყენებლობა მათ დანაშაულად მიაჩნიათ. ბაყბაყდევად მოიხსენიებენ მას, ოღონდ არა კეთილ, კარგ კონტექსტში (მარტო უზღვავი ენერგიისა და ძალის აღსანიშნავად), არამედ — უარყოფითი შეფერილობით (ყველაფრის დამგუბებელ-მიმთვისებლად, რომელიც ქვეყანას უნდა მოაშორონ). დემაგოგიურია მათ მიერ დაკარგული მაჩაბლის ქება, ცამდე აყვანა და მსმენელისთვის ინგლისური ანდაზის წარამარა შეხსენება. თავიანთი მიზნებისთვის რომ დასჭირვებოდათ, არც ილიას შექებას ითაკილებდნენ, ოღონდ კი ქართული საქმის წინააღმდეგ გამოეყენებინათ...

სხვათა შორის, საინტერესო მხატვრული ხერხია, როცა ფილიპე მახარაძე სიტყვასიტყვით იმეორებს ნოე ჟორდანიას ნათქვამს. მკითხველმა იცის, რომ ეს ორი ადამიანი მერე ერთმანეთსაც დაუპირისპირდა, მაგრამ კარგად ჩანს, რომ ილიას წინააღმდეგ (ერისა და ეროვნულის წინააღმდეგ) ისინი ყო-

ველთვის ერთად არიან, ერთ პოზიციაზე დგანან ურყევად. იქნებ ვინმესთვის მოულოდნელი აღმოჩნდეს კარლო ჩხეიძის განსხვავებული შეხედულება, მაგრამ ვინც მისი თვითმკვლელობის პერიპეტიები და გამომწვევი მიზეზები იცის, მას, ცხადია, ამ ზნეობის კაცისგან არ გაუკვირდება, ბოლომდე რომ არ ასდევს ჟორდანია-მახარაძეს.

მრავლისმთქმელი, აფორიზმივით ფრაზაა: კაცობაც ეგაა, ბუნების სიდიადეც ეგაა, ყოველთვის რომ ილიად რჩები, თორემ ხანდახან, ათასში ერთხელ, შესაძლოა თითოეული ჩვენგანიც დაემსგავსოს ილიას.

პიესაში ხან ეგრეთწოდებულ ორმაგ კოდირებასაც ვხვდებით. ნიმუშად შეიძლება, ერთი პერსონაჟის, დავით მესხის სიტყვები მოვიხმოთ: დანიას ელის რაღაც უბედურებაო, ჰამლეტი რომ სწუხს, საქართველოსაც რაღაც უბედურება ელის. ჰამლეტის ეს სიტყვები იმდენად განზოგადებულია, რომ მისი დამოწმება სხვადასხვა სიტუაციაშია შესაძლებელი (და ხშირად იმეორებენ ხოლმე). ამ შემთხვევაში კი ეს ფრაზა, ერთი მხრივ, მინიშნებაა იმ საფრთხეზე, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ქმნიდნენ საქართველოში საერთოდაც და, კერძოდ, მაჩაბლის საქმეში თავიანთი ჩარევით, ხოლო, მეორე მხრივ, არ გვავიწყდება, რომ საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარებული ადამიანი ერთი რიგითი ქართველი კი არ არის, არამედ შექსპირის უბადლო მთარგმნელია.

კაცობრიობის გასაფრთხილებლად

(ელგუჯა თავბერიძის მონოგრაფია ვარლამ შალამოვზე)

ელგუჯა თავბერიძის „კოლიმგრაფი" სულისშემძვრელი მოთხრობაა, ვარლამ შალამოვის ნაწერებით გამოწვეული.

ყველა წიგნს, ყველა ნაწერს ადამიანი ისე კითხულობს, როგორც თვითონ შეუძლია აღქმა. მეტიც, ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე ნაწერში სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეს ხედავს და ამოიკითხავს ხოლმე. კითხვა ხომ თანაშემოქმედებაა და მკითხველი წიგნიდანაც იღებს გამოცდილებას და საკუთარი გამოცდილებითაც ავსებს მას. ისეთი წიგნის წაკითხვას (და მითუმეტეს თარგმნას), როგორიც შალამოვის მოთხრობების კრებულია, განსაკუთრებული სულიერი დაძაბულობა სჭირდება, ალბათ. თამაზ ნატროშვილის მშვენიერმა თარგმანმა შვა, ასე ვთქვათ, ელგუჯა თავბერიძის ეს შესანიშნავი გამოკვლევა.

ძნელია და კიდევ კარგი, არ შეგვიძლია, საკუთარი გამოცდილება დავიხმაროთ შალამოვის ნაამბობის გასაგებად. კატა რომ ვერ გაივლიდა ლაგერში ან კოვზი რომ ვერ ექნებოდა პატიმარს, ასეთ დეტალებს ლაგერგამოვლილი მართალი კაცი თუ გვეტყოდა, თორემ ჩვენ, აბა, როგორ წარმოვიდგენდით.

შალამოვის მოთხრობები თავისუფლების ჰიმნია, თავისუფლებაზე ოცნებაა, თავისუფლების იდეით სუნთქავს. ქართული ლიტერატურისთვის ეს იდეა უცხო კი არა, სწორედაც რომ დამახასიათებელია. ქართველმა მწერლებმა კარგად იცოდნენ, „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი." მაგრამ რუსი მწერლის მოთხრობებში კიდევ სხვა ას-

პექტიც შეიძინა თავისუფლებამ. აქ ფიზიკური და სულიერი თავისუფლება ერთმანეთს გადაწვნია. თვითონ მწერლისთვის ყველაზე დიდი საწუხარი ის არის, რომ სიმართლის თქმა არ შეუძლია, მაგრამ მისი პერსონაჟებისთვის მთავარი კოლიმიდან გამოქცევაა, რაც, როგორც დავრწმუნდით, შეუძლებელი აღმოჩნდა (ერთი გამონაკლისის გარდა).

შალამოვს თურმე უკიჟინებდნენ, საბჭოთა ხელისუფლებას არ აკრიტიკებო. ელგუჯა თავბერიძის მართებული აზრით ეს ბრალდება აბსურდულია. მაშ ეს მოთხრობები სხვა რა არის, თუ არა საბჭოთა ხელისუფლებისა და სტალინური რეჟიმის კრიტიკა.

სხვათა შორის, შალამოვის ნაწარმოებებიდან და ელგუჯა თავბერიძის ამ წიგნიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ მთელი ქვეყანა ლაგერი იყო და შესაბამისად, ლაგერი — მთელი ქვეყნის მიკრომოდელი. თუნდ ბლატარების თემა გავიხსენოთ. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა ხელში გახლდათ განუზომელი ძალაუფლება, რა, ბლატარები არ იყვნენ?

„ბერდი ონჟეში" აღწერილი ამბავი საბჭოთა ეპოქის სახე არ არის განა? სრულიად უდანაშაულო ადამიანი მოხვდა საპყრობილეში და წლები გაატარა კოლიმაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსული არ იცოდა. თუმცა ვინც რუსული იცოდა (და კიდევ რამდენიმე ენაც), ის კი იყო დაცული? როგორ ჰგავს ეს ამბავი ოთარ ჩხეიძის „ბორიაყის" დასასრულს — ბადრაგებმა პატიმრები გადათვალეს, ერთი დააკლდათ და იქვე, გზაზე მომავალ მეურმეს სტაცეს ხელი. იმ ავბედით ეპოქაში მცხოვრები ყველა ადამიანის ხმად განზოგადდება მეურმის გაოგნება: მე რა დავაშავე, მე რაღათაო.

კოლიმაზე პატიმარი გრძნობდა, რომ თაგვია, რომელიც კატა-ბედისწერამ სათამაშოდ დროებით გამოუშვა კლანჭებიდანო, — წერდა შალამოვი და ისევ და ისევ გვიჩნდება განცდა — მთელ ქვეყანაშიც ასე იყო. ადამიანი ყველგან საცდელ თაგვად ექციათ და მხოლოდ ექსპერიმენტის ჩამტარებელი „ბლატარები" გრძნობდნენ თავს კარგად.

კოლიმური მოთხრობების მთავარ თემად შიმშილს ასახელებს ელგუჯა თავბერიძე. ნიკო ლორთქიფანიძის მინიატური-

დან („ტრაგედია უგმიროთ“) ქართველი მკითხველისთვის ნაცნობია შიმშილის მთელი საშინელება, მაგრამ ციმბირული შიმშილი სულ ახალ-ახალი ნიუანსების შემცველია... ჯერ მარტო იმის გაგება შეგზარავს ადამიანს, ციხიდან გაქცევას რომ აპირებდნენ, თურმე ერთ-ერთს გზაში შესაჭმელად შეიგულებდნენ და მხოლოდ ამ მიზნით შეიამხანაგებდნენ.

ბატონ ელგუჯას, რასაკვირველია, შალამოვის არც ქართველი პერსონაჟები დაუტოვებია უყურადღებოდ — მძღოლი, ექიმი... მათ შორის ერთი ქალიც (თუმცა კოლიმაზე ადამიანებს სქესი არც ჰქონიათ). ალექსანდრე ღოღობერიძეს ეხება ერთი მოთხრობა და „კოლიმგრაფის“ ავტორი მასზე მსჯელობას აქცევს ქართველთა ეროვნულ თვისებებზე საუბრის თემად, ღოღობერიძის რაინდულ ბუნებას საერთოდ, ქართველთა მახასიათებლად მიიჩნევს არცთუ უსაფუძვლოდ.

ბუნებრივია, რომ კოლიმაგამოვლილს ერთადერთი, მძაფრად გამოხატული ნატვრაღა შერჩენოდეს — სამაგიერო გადაუხადოს, სახეში შეაფურთხოს იმათ, ვინც ასე უღვთოდ აწამებს ადამიანებს.

ყოველგვარი ძალადობისთვის სახეში შეფურთხებაა ისეთი მართალი და გულწრფელი წიგნები, როგორიც შალამოვის მოთხრობები და მისით შთაგონებული ელგუჯა თავბერიძის ნარკვევია. ასეთი რამეები, ალბათ, დაფარულის სამზეოზე გამოსატანად, საზარელი წარსულის ნათლად წარმოსაჩენადაც იწერება და კაცობრიობის გასაფრთხილებლადაც.

„დედა-ენის“ დაბადება

(პიესა პოლიტიკური თეატრისათვის)

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ ახლახან დასტამბა როსტომ ჩხეიძის პიესა „იის სურნელი თოვლში“. ორი მოქმედებისა და ათი სურათისგან შემდგარ ნაწარმოებს ავტორი, თავმდაბლობით მონტაჟს უწოდებს, თუმცა მკიხველი გაცნობისთანავე დარწმუნდება, რომ ეს დასრულებული, ჟანრის კანონების დაცვით დაწერილი, თვითკმარი პიესაა. მთავარი მოქმედი პირი ნაწარმოებისა იაკობ გოგებაშვილი გახლავთ და მასთან ერთად დახატულნი არიან მისი თანამოაზრეები, ქვეყნის მომავალზე მოფიქრალი ადამიანები, გაცოცხლებულია მთელი ეპოქა. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა როსტომ ჩხეიძეს კარგახანია რომანადა აქვს შედგენილი და გამოცემული („ბურჯი ეროვნებისა“). პიესა კი რომანის ინსცენირება არ გახლავთ, არამედ დამოუკიდებელი თხზულებაა. ჩანს, ავტორს რაღაც დააკლდა, რომანით რაღაც ვერ გამოხატა — ძალიან ფაქიზი, მკითხველისთვის შეუმჩნეველი, მაგრამ ძალიან ძვირფასი და ვერშესალევი (იხილეთ წიგნის მინაწერი, სადაც თვითონ ავტორი საგანგებოდ გვიხსნის დრამის დაწერის მიზეზებსა და სხვა გარემოებებსაც).

პიესა მთლიანად პერსონაჟთა გრძნობების გადმოცემაზეა აგებული. პირველივე სურათი ილია ჭავჭავაძის გამოჩენით იწყება და ეს არ არის შემთხვევითი. ილია და იაკობი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, ერთი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი, ერთ ფიქრსა ფიქრობდნენ, ამიტომ მათი ერთობა არათუ გასაკვირი, არამედ სწორედაც რომ მოსალოდნელი, ყოვლად არგუმენტირებული, გამართლებული და დამაჯერებელია. ილი-

ასა და მისი ახლო მეგობრის, ნიკო ხიზანაშვილის სადარდელი ის არის, რომ თბილისი თბილისს აღარა ჰგავს. სადღაც გამქრალა ძველი, შეჩვეული, ნამდვილქართული ქალაქი და რაღაც უცხო, ნარევი, რუსულ-ევროპულ-აღმოსავლურ-ქართულის ნარევი შეგვრჩენია ხელთ (ხომ გვახსოვს გალაკტიონის წუხილი: „მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო“). ძველი და ნამდვილი საქართველოს გახსენება ბუნებრივად მოიყოლებს ალექსანდრე ორბელიანის სახელს, ვინც მთელი ცხოვრება ყოველივე ქართულს ედგა დარაჯად და წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასადაც იცავდა მას.

ეს ნაწარმოები, არსებითად, მხატვრულ-დოკუმენტურია. ავტორი ეყრდნობა ნერილობით წყაროებს — კერძო მიმოწერას, მოგონებებს, საჟურნალო თუ საგაზეთო სტატიებს და სხვა. გვხვდება ფანტაზიით შეთხზული პასაჟებიც, რომლებიც უთუოდ ამრავალფეროვნებს თხრობას. ოღონდ არც გამოგონილი ეპიზოდებია აცდენილი სინამდვილეს. როსტომ ჩხეიძეს იმდენად ღრმადა აქვს შესწავლილი და გათავისებული ის ეპოქა, რომელზედაც წერს, რომ ინტუიციაც მხოლოდ ისეთ რამეს კარნახობს, რაც სავსებით შესაძლებელია, სინამდვილეში მომხდარიყო. ასე რომ, ყოველი ფრაზა თუ გამონათქვამი მხატვრულ ნაწარმოებშიც კი დოკუმენტის ტოლფასია.

ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანაშვილი 1832 წლის შეთქმულებას, მის მეთაურებს იხსენებენ. ასე პირდაპირ არც ეს თარიღი და არც სიტყვა „შეთქმულება“ შეგხვდებათ პიესაში, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანთან ერთად სოლომონ დოდაშვილისა და ელიზბარ ერისთავის ხსენება სწორედ ამაზე მიგვანიშნებს, აქეთკენ წარმართავს მკითხველის ფიქრს. არც შემთხვევით. 1832 წელი სანიშანსვეტო მოვლენით აღინიშნა საქართველოს ცხოვრებაში და ჩვენმა 60-იანელებმა სიმართლე 30-იოდე წლის წინანდელ მოვლენებზე ალექსანდრე ორბელიანისგან შეიტყეს, მისი საიდუმლო საუბრების მეშვეობით, სიფრთხილით სანთლებსაც რომ აქრობდა და ღამის სიბნელეში, სრულ წყვდიადში თვითონ მოგონებებითღა იბრუნებდა სულს, სამაგიეროდ, ახალგაზრდებს მოუწოდებდა და აღანთებდა მამულის თავისუფლების, დამოუ-

კიდებლობისათვის საბრძოლველად. ილია, აკაკი... ალექსანდრეს სურვილთა და მისწრაფებათა აღმსრულებლებად წარმოდგებიან ჩვენ თვალში, პერსონაჟთა დიალოგის ლოგიკური ძაფი კი იმას გვიბეჭითებს, რომ იაკობ გოგებაშვილიც რუსეთის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების თაოსანთა სულიერი მემკვიდრეა. სხვანაირად ვერც იქნებოდა. გოგებაშვილიც ხომ ერთ-ერთი ბურჯია ჩვენი ეროვნების, ჩვენი ქართველობისა.

ემოციას ამძაფრებს ორი დინჯი ადამიანის საუბარში შემოჭრილი სემინარიელთა ყიჟინა. ამ ლიტერატურული ხერხისთვის, როცა პერსონაჟის გამოჩენამდე მისი სახელი გაისმის, არაერთხელ მიუმართავთ მწერლებს. ავტორი კარგად ნაცნობ ეფექტს მოხდენილად, სათანადოდ, ასე ვთქვათ, თავის ადგილას იყენებს. გოგებაშვილის ხსენება რაღაც დიდთან, სასიკეთოსთან, ძირეულ ცვლილებებთან, სიხარულთანაა დაკავშირებული. დრამაში ამ განცდას ბავშვების (სემინარიის მოწაფეების) თავშეუკავებელი კივილი, მოლოდინით აღგზნებული ყიჟინა გამოხატავს.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო ავტორისეული რემარკების სიზუსტე. მწერალი დაწვრილებით, საგულდაგულოდ აღწერს, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს დეტალებს — განათებას, მუსიკას, დეკორაციას, ჩაცმულობას. ისე სახიერად ხატავს გარემოს, რომ მკითხველი სცენაზე დაუდგმელადაც „ხედავს“ ყველაფერს.

დრამატურგიაში ბოლო დროს გაჩნდა ტენდენცია, რემარკების სრულიად ამოღების, არგამოყენებისა იმ მიზეზით, მოქმედება თვითონ გვიჩვენებს, ვინ შემოდის თუ გადის, როდის რომელი მუსიკა თუ როგორი განათება შეესაბამება სპექტაკლსო. ყველა ტიპის მოდერნისტულმა ლიტერატურამ თვითონ იცოდეს, რეალისტურ, ლამის დოკუმენტურ პიესას კი სწორედაც შეეფერება, ამშვენებს და კრავს, ჩვენ კი წარმოსახვას გვიადვილებს ასეთი რემარკები.

ნიმუშად ერთ ფრაგმენტს მოვიყვან; „სემინარია. სიბნელეში გაისმის მოწაფეთა ტირილი, სლუკუნი, ყვირილი, ბღავილი და მასწავლებელთა ბდღვინვა და მუქარა; ეგრე მოგიხდებათ!.. ახია თქვენზე!.. ჯერ სადა ხართ!..“

რამდენიმე სინონიმის გამოყენებით გაცოცხლდა ის სულისშემხუთველი ატმოსფერო, რომელიც სასწავლებელში იყო გამეფებული. გოგებაშვილის გამოჩენამ დაბადა იმედი, რომ უამრავი დამარცხებისა და კრახის შემდეგ სულიერ აღზევებას, იმპერიულ პოლიტიკაზე გამარჯვებას მოვესწრებოდით. წარსულის დიდებისგან მოქსოვილი ოცნებებისა და ზმანებების სამყარო სასტიკსა და ულმობელ ყოფას შეეცვალა და ახლა მხსნელად ქართულ სულს გოგებაშვილი მოვლენოდა. ხსნად კი, გარდა სასწავლებლებში როზგის აკრძალვისა, ცხადია, სკოლის გაქართულება, უპირველესი წიგნის, „დედაენის“ შექმნა ითქმის.

არაჩვეულებრივად ძერწავს ავტორი პერსონაჟთა ხასიათს. ფიზიკურად არცთუ ძლიერი იაკობ გოგებაშვილი სულიერად აღმოჩნდა სალ კლდეზე მტკიცე. ვაგლახად ვერავინ გაუბედავდა სიტყვის შებრუნებას. თუმცა პედაგოგებს, რომელთაც სწავლისა და როზგის ერთმანეთისგან დაშორება ვერ წარმოედგინათ, არ ეჭაშნიკებოდათ მის მიერ შემოღებული ახალი მეთოდები, მაგრამ თავისდაუნებურად ემორჩილებოდნენ, მის მომნუსხველ მზერას, დაჟინებულ მოთხოვნას, თუმცა წყნარად წრმოთქმულს, ვერ უძლებდნენ, ვერ ეწინააღმდეგებოდნენ. პიესაში ეს ასე შიშვლად, დეკლარაციულად კი არ არის ნათქვამი, არამედ მოქმედებაშია გამოხატული, შთაბეჭდილებას კი მკითხველი თვითონ იქმნის.

„იის სურნელი თოვლში“ როსტომ ჩხეიძის მეოთხე პიესაა და ჯაჭვის ერთ რგოლად გვევლინება საერთო სულისკვეთებით გამსჭვალულ ნაწარმოებთა ამ რკალში. ოთხივე თხზულება განსხვავდება ერთმანეთისგან და კიდეც ჰგავს ერთმანეთს. ზოგი პერსონაჟი თითქოს ერთი დრამიდან მეორეში გადადის. სამ მათგანში ილია ჭავჭავაძე მოქმედებს, ერთში („ჩემი გზა - ჩემი აკლდამა“) — როგორც გამომძიებელი, მეორეშიც („26 ივნისის საიდუმლო“) — დაფარულის ამომცნობი, აქ კი — როგორც ნათელმხილველი, წინასწარმეტყველი. ნაწარმოებს ქარგად უდევს ის ამბავი, თუ როგორ ეძებს გოგებაშვილი „დედაენის“ დასაწყისს. მან უნდა იპოვოს, უნდა მიაგნოს ჯადოსნურ, მომხიბლავ, მარტივ და ამავე დროს გენიალურ სიტყვებს. გაბრიელ

ქიქოძე და ილია ჭავჭავაძე დარწმუნებული არიან, რომ იაკობი ამას შეძლებს. გაბრიელს მიაჩნია, რომ ღმერთი უკარნახებს, ილია კი, როგორც ნათელმხილველი, წინასწარმეტყველებს, რომ ღმერთი ბავშვის პირით მოასმენინებს, რაც პიესის მიხედვით ახდება კიდეც.

დოკუმენტურად ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე იაკობ გოგებაშვილს „ბატონოთი" მიმართავდა, თავადი — მღვდლის შვილს. ამითაც გამოხატავდა თავის განსაკუთრებულ პატივისცემას, მოკრძალებასა და სიყვარულს იაკობის მიმართ. ამ რეალობას ხატავს პიესაც. ერთ საუბარში დიმიტრი ბაქრაძე ყვება, როგორ გაოგნდა, გრიგოლ ორბელიანისაგანაც რომ „ბატონო იაკობო" გაიგონა — წარმოსახვით შექმნილი უზუსტესი პასაჟი, თითქოს წვრილმანი, სინამდვილეში კი ეპოქის სულის გამხსნელი, მრავალი მინიშნების დამტევი...

დაუვიწყარია ვასილ ბარნოვის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ეპიზოდურად გადაელვებული ნიკო ლომოურის, სანდრო და ნიკო ცხვედაძეებისა და სხვათა სახეები. მეორე მოქმედების მეორე სურათში გაცოცხლებულია იოსებ მამაცაშვილის სალონი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას ხომ ამ სალონში ჩაეყარა საფუძველი. საზოგადოებისა, რომლის სახელთანაც მრავალი ეროვნული საქმის აღსრულებაა დაკავშირებული. მასპინძლისა და დიმიტრი ბაქრაძის გარდა, გეგე მაღალაშვილი, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ვახტანგ თულაშვილი (საზოგადოების დაარსების იდეის ავტორი) არიან თავყრილობის მონაწილენი და, რა თქმა უნდა, არაფერი გამოვა იაკობის გარეშე. ამ ეპიზოდში კარგად ჩანს, როგორი დამოკიდებულება აქვს დიდი მოღვაწის მიმართ საზოგადოებას, როგორა აქვთ თანამოაზრეებს გათვალისწინებული და აღიარებული იაკობის შესაძლებლობები. ასე რომ, საერთო სურათის ფონზე მართლად და უმეტნაკლებოდაა გამოკვეთილი გოგებაშვილის სახე — მისი უკომპრომისობა და შეუდრეკლობა იმპერიის წინაშე.

ძალიან ფაქიზად, უზუსტესი დეტალებით აღწერს ავტორი იაკობისა და დარო მამაცაშვილის ურთიერთობას, ქალის ტრფო-

ბას, მამაკაცის შიშსა და კრძალვას; სიცოცხლის მიმწუხრს გოგებაშვილის სინანულს, უოჯახოდ, უცოლ-შვილოდ რომ ტოვებდა სამზეოს.

პიესაში 25-ზე მეტი მოქმედი პირია. ავტორი ახერხებს, რომ ყველა მათგანი ინდივიდუალური ნიშნებით, საკუთარი ხასიათითა და ხმით წარმოგვიდგინოს. ყველა ეპიზოდი დასამახსოვრებელი, სცენიური, დინამიური, ემოციურია. კარგ მიგნებად მიმაჩნია იაკობ გოგებაშვილისა და დარო მამაცაშვილის სულთა შემოყვანა ნაწარმოებში.

მთავარი იდეა ნაწარმოებისა საქართველოს მომავალზე ზრუნვაა. სკოლის გაქართულება, ყმაწვილების ქართველებად აღზრდა თუ გააცოცხლებს მკვდარ მამულს. დიდ მოაზროვნეთა ღვაწლი ამაოდ ჩაივლიდა, თუ მომავალი თაობა არ აღიზრდებოდა ქართველად და საქართველოს ერთგულებით, ამიტომ უნდა შექმნილიყო დაწყებითი კლასების ქართული სახელმძღვანელო — ამ ჩანაფიქრის გამორჩეულობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა კარგად ესმოდათ იაკობის თანამოაზრეებს და უპირველესად, ცხადია, ილია ჭავჭავაძეს.

თხზულებაში გამოთქმულ აზრებს, გრძნობებს, განწყობილებებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, სულაც სიახლით ელავენ. ეს პიესა აუცილებლად უნდა დაიდგას სცენაზე, „ტაძარში“, როგორც ილია უწოდებდა თეატრს. აქ აზრის სიღრმე და ემოციური სცენები თანაარსებობს, ერთმანეთს მსჭვალავს. თუ თავის დროზე იაკობის გამოჩენამ მოიყოლა რუსიფიკატორული რეჟიმის სუსხში იის სურნელი, დღეს იქნებ ეს პიესა მოგვევლინოს იმავე სურნელად და საძირკვლად პოლიტიკური თეატრისა, რომლის შექმნის იდეაც უკვე მომწიფებულია.

„დაკარგული თაობა“ თანამედროვე რომანში

(კობა ცხაკაიას ნაწარმოების მაგალითზე)

ახლახან გამომცემლობა „საუნჯემ“ დაბეჭდა კობა ცხაკაიას რომანი „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“. ავტორს საზოგადოება იცნობს, როგორც რეჟისორს, დრამატურგს, მსახიობს, რომანისტს... ზემოდასახელებულ წიგნს თავისებური, ორიგინალური აგებულება აქვს. თხრობა თითქოს ფრაგმენტულია და მკითხველი შეიძლება დაიბნეს კიდეც, მაგრამ — მხოლოდ დროებით. საბოლოოდ ეს ფრაგმენტები მთლიანდება, ერთიანდება და ჩვენ წინაშე ცოცხლდება არამარტო ერთი ამბავი, ერთი სიუჟეტი, არამედ — მთელი ეპოქა — მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საზოგადოებრივ- პოლიტიკური გარემო.

ის რეალობა, რომელიც რომანშია აღწერილი, ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენი ყოველდღიურობა გახლდათ და ეს ჩვენს თაობას არამარტო ახსოვს, არამედ ღია ჭრილობადაც შემორჩა.

მკვდრებზე გადაბიჯება, მკვდრების დავიწყება წარსულის დავიწყებაა. ადამიანური ბუნებისთვის უცხო არაა სურვილი ტრაგიკული წარსულის დავიწყებისა, სამარცხვინო თავგადასავლების არგახსენებისა, ჩადენილი შეცდომების, დანაშაულის, უზნეო საქციელის მიჩუმათება-მიჩქმალვისა... წიგნის ყდაზე გამოსახული ამოკერილი პირიც ამას უნდა ნიშნავდეს: არ ვლაპარაკობთ, არ ვიხსენებთ... ან: სიმართლის თქმა შეუძლებელია — მარტო იმიტომ კი არა, რომ ამის გამო დავისჯებით, იმიტომაც (უფრო იმიტომ), რომ არ ვიცით, რომელია, სად არის, ვისკენაა, რაა სიმართლე.

არის რომანში ასეთი ცინიკური ფრაზა: მკვდრებზე არ ვინერვიულებ. „ჩემ მენშე ნაროდუ, ტემ ბოლშე კისლაროდუ“ — მალთუსის თეორიის გამოძახილი თანამედროვე ეპოქაში.

მკვდრების დავიწყება იქნებ კიდეც სურდეს ადამიანს, მაგრამ წარსული თვითონ არ გვანებებს თავს. ცხოვრების კანონზომიერება თავის თავში შეიცავს წარსულის გადავიწყების ფატალურ შეუძლებლობას. მომხდარი წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანთა გონებაზე, ფსიქიკაზე, ცნობიერსა თუ ქვეცნობიერზე... და ერთგვარად განსაზღვრავს მომავალს. ახლო წარსულის ყოველდღიურობა — ნარკოტიკები, მკვლელობა, ძარცვა, ადამიანთა გატაცება, დანაშაულებრივი დაჯგუფებები, მათთან შეკრული ან დაპირისპირებული, მაგრამ არანაკლებ დანაშაულებრივი პოლიცია... საბედნიეროდ, დღეს უკვე ჩავლილია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ უკვალოდ.

ცხოვრების მარადიული თანამდევია ადამიანთა ერთი ტიპი, ე.წ. „თხუნელა“. აი, როგორ ახასიათებს ამ ტიპს მწერალი: „ცხოვრებას გამუდმებით უპირისპირდები და ებრძვი. იბრძვი... უფრო ხშირად მარცხდები... ამ დროს კი შენნაირი გამოჩნდება. ის, ვინც სოროში ზის და ჩემნაირების სიკვდილს ელოდება, და ცდილობს შენი ადგილი დაიკავოს! შენს მონაპოვარს დაეუფლოს! თხუნელა!“ თხუნელებს შეუძლიათ სინდისის ქენჯნის გარეშე გადააბიჯონ მკვდრებსაც და... ცოცხლებსაც.

პერსონაჟები არეული, აჭრილი ენით საუბრობენ. ერთმანეთს ენაცვლება რუსულ-ინგლისური სიტყვები, ჟარგონი — მომეხაზა, სიფათი, დაბოლება, მანდრაჟი, ნაპარნიკი, ლუბოი მომენტი, სექენდ-ჰენდი და სხვა. ასეთი მეტყველება, ცხადია, არეული, აჭრილი დროის ანარეკლია. ლექსიკონა-ნოდარა ჟარგონის ლექსიკონს ადგენს. საინტერესო განმარტებებია. მაგალითად:

თრახუნი, ნიშნავს მოზარდების ან ბავშვების მსუბუქ ჩხუბს, ერთი-ორი გალაწუნებითა და ხმამაღალი ყვირილით.

დაბოლება — ესაა მოკლევადიანი სკლეროზი, გამოწვეული დაბნეულობით ან ნერვიულობით.

შიზდრიკი — იგივე გულუბრყვილო, სულელი, მიამიტი, ჭკუასუსტი.

ტოტა — ტანადი ქალის აღმნიშვნელი ფორმაა.

ეს ჩემისა — პირის აღმნიშვნელი ფორმა. იგივეა, რაც შენ, ის ან მას.

(საინტერესოა, როგორ არის ეს სიტყვები განმარტებული ან არის თუ არა საერთოდ ლევან ბრეგაძის მიერ შედგენილ „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“).

მწერლისთვის ნიშანდობლივია მსუბუქი იუმორი. ვთქვათ, ასეთი: ჰალსტუხი მხოლოდ მას ეკეთა და მონა-ლიზასავით იღიმებოდა. გვხვდება ე.წ. მეტყველი იუმორი, რომელსაც ავტორი მიზანმიმართულად იყენებს. უწიგნურ პოლიციელს სრულყოფილად ახასიათებს თავისივე შეკითხვა: ახლობელი გყავს სეპარატისტებთან ომში დაკარგული — სანჩო თუ პანსა?

რომანში ნაჩვენებია, რომ იარაღზე, ძალადობაზე დაფუძნებული ყოფა მძიმე დაღს ასვამს ადამიანთა ცხოვრებას. ვისაც იარაღი აქვს, სიმართლეც და სიმდიდრეც იმისია. იარაღად იგულისხმება თანამდებობაც, კაბინეტიც, გავლენიან პირთა ნაცნობობაც, საერთოდ ძალა, ნებისმიერი ძალაუფლება, გამოვლენილი სხვადასხვა ფორმით. „იარაღის სიმძიმე არამარტო ადამიანის მიხრა-მოხრაზე ტოვებს კვალს, არამედ სახეზეც“, — ამბობს ავტორი და გულისხმობს, ცხადია, ფსიქიკის, სულიერი წყობის, მენტალიტეტის ცვლილებას. შემთხვევითი არაა, რომ იარაღიან კაცთაგან ერთ-ერთი თავისი ულვაშებით ძალიან ჰგავს სტალინს. არამარტო ულვაშებით, ცხადია. ძალადობის სიმბოლოდ ქცეული ბელადის ასოციაცია პერსონაჟის ბუნებას ხსნის ძალდაუტანებლად... იარაღით მოპოვებული და იარაღზე დაფუძნებული ავტორიტეტი მთლიანად გამორიცხავს პიროვნების ღირსებას, შლის და ანადგურებს ინდივიდუალობას — ადამიანი, მისი ძალა, წონა, ფასი... უთანაბრდება იმ იარაღს, რომელსაც ატარებს. ამ აზრის სადემონსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მწერალი ადამიანებს ზოგჯერ სახელებით კი არ მოიხსენიებს, არამედ ასე: „კაბურებმა“ ანუ „იარაღის ბუდეებმა“ ერთმანეთს გადახედეს...

ბუნებრივია, რომ ყველა მოძალადე ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს. „ექვსი ერთნაირი სახე, გამოხედვა, პოზა,

ფიქრი. ექვსი ერთნაირი სტილის ჩაცმულობა. ექვსი წყვილი სევდით მონისლული თვალი. ბაზრის იუმორით და გამრავლების ტაბულასავით მარტივი, ამასთანავე ეშმაკური — გაიძვერა ტვინი".

არეულ, აბურდულ, ამოყირავებულ სამყაროში განათლება ცოდნა, ჭკუა უსინდისობას, ბოროტებას, ძარცვა-გლეჯას... ემსახურება. ძნელი კი არა, შეუძლებელი ხდება სულიერი სისუფთავის, სიფაქიზის დაცვა, შენარჩუნება, გადარჩენა. „ძნელად დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი", — დავით გურამიშვილის სიტყვები ყველა აჭრილ, აღრეულ დროს მიესადაგება.

ნაწარმოები გამოირჩევა შერქმეული სახელების სიმრავლით. თითქმის ყველა პერსონაჟს აქვს შერქმეული სახელი. ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, პროტაგონისტი ბერმუხაა. ოღონდ რას ნიშნავს ეს სიტყვა — ბებერ მუხას (ხეს) თუ ბებერ ბუზს (რუს. მუხა-ბუზი), ამბის გასრულებამდე ძნელად გასაგებია. რომანის ბოლომდე წაკითხვის შემდეგაც გაჭირდება ერთმნიშვნელოვანი პასუხი, უდავო, უთუმცაო შეფასება პერსონაჟისა — ე.წ. დადებითია თუ უარყოფითი? სინდისიანია თუ უსინდისო? ღვთისა და ქვეყნის წინაშე მართალია თუ შემცდარი ან დამნაშავე?

წარსულში დისიდენტი ყოფილა ბერმუხა. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ ექცეოდა საბჭოთა ხელისუფლება მტრად მიჩნეულ, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს. ბერმუხა ჯერ გადაუსახლებიათ, ხოლო შემდეგ, უკანმობრუნებული, უპატრონო ბავშვთა სახლში გაუმწესებიათ სამუშაოდ. სწორედ იქ გაიცნო და დაუმეგობრდა 12 წლით უმცროს მოსწავლეს, გოჩას, რომელსაც თვითონ სანჩო შეარქვა. დონ კიხოტის ერთგულ თანამგზავრს იმით ჰგავდა გოჩა, რომ შეეძლო აყოლა, შეთავაზებული იდეის გაზიარება და გათავისება, ოღონდ იდეის გასახორციელებლად გზას საკუთარს, გაკვალულისაგან განსხვავებულს, ეძებდა და პოულობდა.

ნაწარმოებში ნაჩვენებია გათიშული, გაყოფილი, დარღვეული საქართველო. ე.წ. „პუტჩისტები" და „ზვიადისტები", ომი თბილისში, შუა რუსთაველზე, მერე — აფხაზეთში, სამეგრელოს რბევა-აწიოკება... მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვენი უახ-

ლესი ისტორიის ამსახველი არაერთი მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა უკვე, მწერლისთვის და მკითხველისთვის თემას სადღეისო მნიშვნელობა არ დაუკარგავს. იმდენად მძაფრი და დრამატული გახლდათ ის ჟამი, ის ხანა, რომ მისი შესწავლა და კვლავ და კვლავ წარმოსახვა სხვადასხვა რაკურსით, განსხვავებულ ჭრილში არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი კობა ცხაკაიას რომანში ყოფილი მოსწავლისა და მასწავლებლის შეხვედრაა სენაკის საკონტროლო გამშვებ პუნქტში. მასწავლებელი შევარდნაძის (ე.ი. იოსელიან-კიტოვან-სიგუას) მთავრობის შეურიგებელი მოწინააღმდეგე, მოსწავლე — აფხაზეთის ომის მონაწილე . „[ამ ოთხეულს] ბოლომდე მივდევ და მაინც მოვსპობ," — მტკიცება მასწავლებლის გადაწყვეტილება. სანჩო კი: „მაპატიეთ, მასწ., მაგრამ თქვენ ქვეყანა კი არა, საკუთარი იდეა გიყვართ!"

თავისი პოზიცია მთავრობებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ალბათ, ყველა ადამიანს აქვს. ძნელია და არცა აქვს აზრი, ვინმეს გადარწმუნების ცდას, მაგრამ საჭირბოროტოა და დღემდე პასუხგაუცემელი კითხვა: რა ჯობდა 1992 წლის აგვისტოში — ადგილობრივ მოსახლეობას არ მოეკიდებინა ხელი იარაღისთვის, არ ებრძოლათ მეზობლების წინააღმდეგ და სამთავრობო ჯარებს ეკეთებინათ თავიანთი საქმე თუ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც მოიქცნენ — ჩართულიყვნენ ბრძოლებში, ამოდგომოდნენ ქართველ სამხედროებს გვერდით და ებრძოლათ მეზობლებისა და მეგობრების წინააღმდეგ სამშობლოს დასაცავად.

ნაწარმოებში გამოყვანილი ორივე მოქმედი პირი სიმპათიურად გამოიყურება. ერთსაც ქვეყნის გადარჩენა სურს და მეორესაც. ერთს — შინაური მტრისგან, მეორეს — გარეშე აგრესორისგან. დრამატიზმს ის ქმნის, რომ ერთიც მართალია და მეორეც. ერთმანეთი გულწრფელად უყვართ და სხვადასხვა შეხედულებების მიუხედავად, მარტო პატივს კი არ სცემენ, არამედ მეგობრობენ კიდეც ერთმანეთთან. სენაკის საკონტროლო გამშვები პუნქტი კი, რა თქმა უნდა, ცხოვრების ანაქრონიზმია და რეალობა რომ არ იყოს, სულაც გროტესკი ან აბსურდი ეგონებოდა მკითხველს.

კარგად გვახსოვს, „თეთრი მელა“ ვისაც შეარქვა ხალხმა. „სამშობლო და თეთრი მელა ერთია თუ ერთადერთია?“ — ამ ფრაზას სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. თუმცა თვითონ პიროვნება კარგახანია, ჩამოცილებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მთავრობის ხელმძღვანელის, ხელისუფლის (ვინც უნდა იყოს) გაიგივება ქვეყანასთან ზოგადად დამახასიათებელია ჩვენი ყოფისთვის და ამდენად არც მისი (იმავე ხელისუფლის) გაერთადერთებაა უცხო.

ვითომ სასხვათაშორისოდ, მაგრამ შესანიშნავადაა გამოკვეთილი ქართველთა ერთი თვისება, რომელიც ბევრჯერ გაგვხდომია სავალალოდ. „ღირსების ორდენი და დეპუტატის მანდატი [არ გინდა] ქართველი არა ხარ?“ — ირონიულად ეკითხება ერთი მეორეს. თითქმის ორი საუკუნის წინათ ორდენებსა და მედლებს დახარბებულ ქართველებს კიცხავდა ალექსანდრე ორბელიანი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ვორონცოვმა ჩვენი ამ თვისებით ისარგებლა მოხერხებულად და ქართველთა დამონებაში მეტ წარმატებას მიაღწია, ვიდრე იარაღით მებრძოლმა მთავარმართებლებმა.

რომანში ნაჩვენებია დამდაბლებული ადამიანური ღირსებები, დაცემული ზნეობა, გამქრალი სულიერება... თავისი მძიმე შედეგებით.

ადამიანი საერთოდ ორმოცი დოლარი ღირს, ამერიკელმა ქიმიკოსებმა დაიანგარიშეს, — ამბობს ერთი პერსონაჟი. აი ასე, ადამიანის ღირებულება მარტო მისი სისხლი და ხორცია, მარტო ქიმიური შემადგენლობა, ის „ცით მონაბერი სული“ კი არსად ჩანს, არც იგულისხმება. მთელი არსებით ეწინააღმდეგება მწერალი ასეთ შეფასებას და სურს დაგვიმტკიცოს, რომ ადამიანი რაღაც მაინც უფრო მეტია, ვიდრე მისი ქიმიური შემადგენლობა.

ერთგულება, მეგობრობა, სიყვარული, სამშობლო... ეს მარადიული ღირებულებები სრულიად გაუფასურებულა, მარტო ფული და ძალა (იარაღი, თანამდებობა) გამხდარა ადამიანის საზომი. ფაქტია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს დროდადრო შეიპყრობს ხოლმე სიხარბე, სიჩლუნგე, გაბოროტება... მიზეზი საძება-

რია, თუმცა იოლად მისაგნები და ასახსნელი — არა. მწერლის მოვალეობაა, შეულამაზებლად დაგვანახოს, დაგვაფიქროს საჭირბოროტო საკითხებზე, ცხადად თუ შეფარვით გამოსავალიც შემოგვთავაზოს, რათა მერე ერთად ვეძებოთ ხსნის გზა.

ადამიანთა სულიერ დეგრადაციას, ალბათ, მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები არ თუ ვერ განაპირობებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ცხოვრებისეულ, ე. წ. გარეშე ფაქტორებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ადამიანთა ფსიქიკაზე.

რომანის მიხედვით, აღსარება და ცოდვათა მონანიებაც გარემოებათა დამთხვევით უბედურებას დაკავშირებია. ბავშვობაში პუშკინამ და მისმა ძმამ დანაშაული რომ აღიარეს, მალე ბებოც მოკვდა და კიდევ ცოტა ხანში — მამაც. ამიტომ „ამის მერე აღარასოდეს მოგვინანიებია საკუთარი ცოდვები, რადგანაც მაშინაც გვეგონა და ახლაც გვგონია, რომ ჩადენილი ცოდვების აღიარებანი საყვარელ ადამიანებს კლავენ“, — ასეთია უღმერთო და უზნეო ადამიანების მორალი და ლოგიკა.

სხვადასხვა წარსულის მქონე ხალხი — „ეროვნული ფრონტის“ ყოფილი წევრები, ახლანდელი პოლიციელები, გაურკვეველი პროფესიის მქონენი თუ აშკარად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები – ყველანი ერთნაირად „ჭირისუფლობენ“ 9 აპრილის ტრაგედიას. ეკლესიაც, სანთლებიც, მიტინგიც ნებით თუ უნებლიეთ ყველას საფარველია — თავშესაფარიც და შინაგანი სიცარიელის (ან ხრწნის) დამმალავი.

არაფერი წმინდა, ხელშეუხებელი არ არსებობს სულიერ საზრდოს მოკლებული ადამიანებისათვის. რაც უნდ მნიშვნელოვან საკითხზე საუბრობდნენ — იქნება ეს ღმერთი თუ სამშობლო (თუმცა რამ გაყო ეს ორი რამ ერთმანეთისგან?), ყველაფერი მაინც „საჭმლის გადასამუშავებელი საუბარია,“ — როგორც თვითონვე უწოდებენ.

უკვირთ პერსონაჟებს და მათთან ერთად ავტორსაც: იმ გულუბრყვილო და მიამიტმა ხალხმა, რომელთაც ეკრანზე მატარებლის გამოჩენის ეშინოდა, მერე როგორ მოიფიქრა ამდენი საშინელება?

ერთი სუფრის წევრები, ერთ საქმეში „ჩაბმულნი“, ერთმანეთის „მეგობრები“ ერთმანეთს ჩუმად ფულსაც პარავენ და ამის გამო სინდისის ქენჯნას არ განიცდიან. ამ ადამიანებმა არ იციან, რა არის თანადგომა, სხვისთვის სიკეთის ქმნა, სხვისი სადარდელის გაზიარება... მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ წუთიერ სიამოვნებაზე ფიქრობენ. ამ ფონზე გასაკვირი სულაც არაა, მაგრამ თავზარდამცემი კია მორფინისტი პაპუნას სადიზმის გამომხატველი სიზმარი.

აბსურდული და ირონიულ-პაროდიულია „საჭმლის გადასამუშავებელი საუბარი ანგელოზებისა და კულტურის პრობლემებზე“.

— ღმერთო, მჯერა შენი და დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თუ არადა ღმერთო, შენი დედაც... — აი, ასეთია დამოკიდებულება უზენაესთან. ღმერთთან გარიგებაში არ შედიოდა ლუარსაბიც, პლატონ სამანიშვილიც? ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ტიპები ამ საკითხში (რწმენისა) ჰგვანან ერთმანეთს — ღმერთი სათავისოდ უნდათ და სჭირდებათ — ზოგჯერ გულუბრყვილო, ზოგჯერ ცხოვრებისეული წვრილმანებისა თუ ჭირვეულობის, ზოგჯერ შავბნელი საქმეების მოსაგვარებლად.

მე მჯერა კონსერვატორებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ადამიანები ბუნებრივად თავისუფალნი და კეთილნი არ იბადებიან. ადამიანის გამაკეთილშობილებელი ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი ეკლესია, რწმენაა. მხოლოდ რწმენით აღზრდილ ადამიანს შეუძლია თანალმობა, ერთგულება, ქველმოქმედება. კონსერვატორთა აზრით, საკუთრება ერის სამსახურში უნდა იდგეს. უწესოდ მოხვეჭილ, უფესვებო საკუთრებას არ შეუძლია კეთილი საქმეების კეთება და ადამიანებისთვის ბედნიერების მოტანა.

რომანში ოთხმოცი კილო ოქროს (მაღალი სინჯის ოქროს) ხელში ჩასაგდებად იბრძვიან ჯგუფებად გაერთიანებული ადამიანები. მოწინააღმდეგის თავიდან მოშორება ხომ უნდათ და უნდათ, არც ერთმანეთს ინდობენ და სხვაზე მეტის მოპოვებას (ან სულ დანარჩუნებას) ცდილობენ ბინძური, უკადრისი ხერხებით.

ამ წუმპეში უნდა გაიაროს ბერმუხამ, საკუთარი თავიც გადაირჩინოს და ტყვედ ჩავარდნილი მეგობარიც, სანჩო, გადაარჩინოს...

თხრობაში ძალიან ფაქიზად შემოდის ომის თემა. ომის დროს და ომის მერეც თაობები გაქრნენ უკვალოდ. ოცი წლის წინანდელი ტრაგედია თითქოს უკვე გადავიტანეთ (ცხოვრების აჩქარებულ ტემპში ოცი წელი ცოტა არაა), მაგრამ ისიც საკითხავია, გადავიტანეთ კი? თუ სულიერებაც დავკარგეთ, წარსულს თან გავაყოლეთ? ომის მსხვერპლად მხოლოდ ბრძოლებში დაღუპულები მიგვაჩნია, სინამდვილეში ყველა, ვისაც სასოწარკვეთილებისგან, უმწეობის შეგრძნებისგან, უპერსპექტივობის განცდისგან გული გაუსკდა, შიმშილით მოკვდა თუ დარდმა შეიწირა, ომის მსხვერპლია და ეს მსხვერპლი ჯერაც იზრდება.

ბევრს ახლაც არა აქვს გაცნობიერებული ის, რასაც რომანის ერთი პერსონაჟი ხვდება: „ეგ ფილმი არის ბიჭზე, რომელიც იმიტომ იბრძვის, რომ ირგვლივ ყველა იბრძვის... მერე ხვდება თავის მოგვარე მტერს და „აიასნებს", რომ სინამდვილეში თავის თავს ებრძვის..."

კი არ დავმარცხდით მარტო, არამედ ომში საკუთარი თავი, საკუთარი სული, საკუთარი ღირსება, სიამაყე... დავკარგეთ და წავაგეთ. ეს რეალობაა და კარგია, რომ ამას თვალს უსწორებენ რომანის პერსონაჟები — სანჩო და თინიკო (ე. ი. თვითონ ავტორი). „ვითომ მებრძოლებად" იქცნენ გულანთებული ბიჭები იმიტომ, რომ ომი სხვამ (მისმა წამომწყებმა) წააგო, მერე კი ყველაფერი მეომრებს გადააბრალა.

სანჩო, იგივე გოჩა, ინტერნატში გაზრდილი ბიჭი, გამუდმებით ფიქრობს ადამიანის სულზე. ნეტა რა ღირს ადამიანის (ჩვენი, სხვისი) სული? სად არის მეოთხე განზომილება, სადაც სულები ბინადრობენ? გვჭირდება თუ არა სიმართლე, რომელსაც არ მოაქვს ბედნიერება? ომში საკუთარი თავის გაწირვის ფასად სხვისი, მეგობრის გადარჩენა უფრო ადვილია თუ საკუთარი სულის?..

სამშობლო ისეთი მაგიური რამეა (ყოველგვარი მაღალფარდოვნების გარეშე ვამბობ), რომ მის დასაცავად ქურდი და ყაჩაღიც კი ხელს გამოიღებს ხოლმე. ვაგნერს, იმავე ჩორნას, ამავე

ვაჟას „გაგრის ბაღში სეპარატისტისათვის ყელში დანა დაურტყამს. ქართულ ენაზე ამბობდა, ძაღლების ენააო". ყველას კარგად გვახსოვს, ზუსტად ასე, ამ სიტყვებით იხსენიებდნენ აფხაზები ქართულს, იმ ენას, რომელზედაც, სხვათა შორის მათი უმრავლესობა ლაპარაკობდა კიდეც... ჩვენ კი „რა ვაკეთეთ, რას ვშვებოდით?" არა, იყო თითქოს პასუხის გაცემის ცდებიც, შეგონებისა და მშვიდობიანად მოლაპარაკების ცდებიც... მაგრამ როგორც ჩანს, ქართველთა ბიწიერება, ღვთის წინაშე ჩადენილი ცოდვა (ეგოიზმი, მცონარეობა, მომხვეჭელობა, სიხარბე, ამპარტავნობა და სხვა) იმდენად დიდი იყო, რომ „ღმერთმან მათ პასუხი უგო ცოდვისა".

სამწუხაროდ, შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთობლიობამ ისეთი კატაკლიზმები გამოიწვია ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც შეეწირა უამრავი წმინდა, სუფთა, ფაქიზი სული. ასეთია ნანარმოებში გოჩა (სანჩო). სიწმინდე-სისუფთავეს განასახიერებენ აგრეთვე თინიკო და მამამისი. მათ აიღეს საკუთარ თავზე ის პასუხისმგებლობა, რაც ჰოლდენ კოლფილდმა ჯერომ სელინჯერის რომანში „თამაში ჭვავის ყანაში". ასე მგონია, ამ რომანითაცაა შთაგონებული შემდეგი ეპიზოდი კობა ცხაკაიას წიგნში:

„ — წარმოიდგინე, აღელვებული ზღვა ლამობს ნაპირზე გადმოსვლას და ქალაქის განადგურებას. ხალხი დგას და შიშით შეჰყურებს ამ საშინელ სანახაობას. — სანჩოს თვალები პატარა ბავშვივით აენთო და გატაცებით გააგრძელა, — ზღვა ბორგავს, უზარმაზარი ტალღებით ასკდება ნაპირს, მაგრამ ქალაქს ვერაფერს უშვება. იცი, რატომ? იმიტომ, რომ წინ ჯებირი ხვდება და არ აძლევს ხალხის განადგურებისა და სახლების დანგრევის საშუალებას. ჩვენ ის ჯებირი ვართ, ისინი ვართ, ვინც, ყველაფრის მიუხედავად, იბრძვის!"

ამ თავგანწირვას სრულიად არ შეეფერება ბრძოლის შედეგი; დაბინძურებულქუჩებიანი ქალაქი, უიმედობისგან გაბოროტებული ადამიანები, ჩაბნელებული სახლები, უთვალავი მათხოვარი. ადამიანები, რომელთაც არ იციან, რას ნიშნავს სიტყვა „ნდობა."

„თათარ-მონღოლებმა“ (ე.ი. რუსებმა) ისე აურიეს თავგზა აფხაზებს, რომ მათ ქართველები ადამიანებად აღარ მიაჩნიათ. „სიმართლე წარსულშია და არა რომელიმეს მხარეს“, — ასეთია პერსონაჟის (და, მგონი, ავტორისაც) პოზიცია.

შესაძლებელია თუ არა სუფთა, უხინჯო ურთიერთობების, საერთო წარსულის დაბრუნება? ეს, ალბათ, ჩვენზე, ორივე ხალხზე იქნება დამოკიდებული, ჩვენს ზნეობაზე, იდეალებზე, ღირებულებებზე, ბოლოს და ბოლოს – მიზანზე. ნუთუ ბურთად ქცეული თავები უბრალოდ სალაქლაქო მასალა იყო? — გაოგნებულია გოჩა. ნუთუ ომზე საუბარი მხოლოდ ჭორაობაა და სხვა არაფერი? რისთვის დაგვსაჯა უფალმა ასე მწარედ?— ამაზე არ უნდა დაგვაფიქროს წარსულმა და აწმყომ? თუ სინანულით არა, როგორღა უნდა მოვახერხოთ განწმენდა და ამაღლება.

მხოლოდ ის ვიცი, რომ უკვე ლამის ნახევარი საუკუნის ვხდები და არაფერი მიკეთებია გარდა იმისა, რომ ვიბრძოდი, რაიმეს გაკეთების საშუალება რომ მქონოდა, — ამბობს პროტაგონისტი. ეს ის ფრაზაა, რომელიც სახიერად აირეკლავს ტრაგიკული ყოფის მთელ სიმძიმეს.

ჩვენ კი, მკითხველებს არ გვასვენებს შეკითხვა: გადავაბიჯოთ მკვდრებს გაბედულად?

უკეთეს დღეთათვის მებრძოლი

(ბიოგრაფიული რომანი დავით მიქელაძეზე)

დავით მიქელაძე (მეველე) XIX საუკუნის ცნობილი პუბლიცისტია, ერთ-ერთ- პირველი ქართველი პუბლიცისტი, ამ ჟანრის დამამკვიდრებელთაგანი ჩვენში. ქვეყნისა და ერის წინაშე მრავალი დამსახურების მიუხედავად, დღეს მისი სახელი ჩრდილშია მოქცეული. უფრო სწორად — სახელი ნაცნობია, საქმენი — ნაკლებად. სწორედ ამ მივიწყებული მოღვაწის, დავით მიქელაძის ცხოვრების ქრონიკა გახლავთ ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი „ნისლის ტიხარი". სათაური გვამცნობს ნისლში ჩაძირული კაცის, უფრო ლანდის, მირაჟის არსებობას. ავტორი შეეცადა, გადაეწმინდა ეს ნისლი და მკაფიოდ, გარჩევით წარმოედგინა ჩვენთვის, ერთი, დაუზარელი ეროვნული მოღვაწის სახება. ვფიქრობ, ჩანაფიქრი შესანიშნავად აღასრულა კიდეც.

რომ არა გროგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა", სადაც ახალთაობელთა განსაქიქებლად სხვა რამეებთან ერთად ესეც წერია:

ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები,
მესხი, მეველე, მელიქ აღები...

ალბათ, მეველის სახელიც მიბინარდებოდა შთამომავლობისთვის. ახლა კი მოწაფეობის წლებიდანვე გონებაში ღრმად ჩაბეჭდილი ეს სტრიქონები მეველის მთლიანად დავიწყების

შესაძლებლობას არ გვაძლევს, მაგრამ რა უკეთებია, რას გამოხმაურებია, რისთვის უბრძოლია და უღვაწია, რა შეუცვლია ან ვერ შეუცვლია? — ფაქტობრივად, არც ვიცით. ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემაა „ნისლის ტიხარი".

ელგუჯა თავბერიძე დათა მიქელაძის ღვაწლის წარმოსაჩენად შეისწავლის მისსავე პუბლიცისტურ სტატიებს, ორიგინალურ პიესასა და თარგმანს, XIX-XX საუკუნეთა მოღვაწეების კერძო მიმოწერას, საარქივო მასალებს, საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციებს... და ასე, დოკუმენტებზე დაყრდნობით ქმნის მართალ, სანდო, შეულამაზებელ სურათს ერთი პიროვნების ცხოვრებისა. ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ წიგნში აღდგენილია მთელი ეპოქა და ეს ფონი მეტად შთამბეჭდავია.

საყურადღებოა, რომ თხრობას ავტორი დავითის მამის, ალექსანდრე მიქელაძის გაცნობით იწყებს. ყურადღებას მიაქცევს, რომ მისთვის ზედმეტ სახელად „დიდი" შეურჩევიათ. ეს მეტსახელი უკვე რაღაცას გვეუბნება, მიგვანიშნებს მის პატრონზე. დიდი ალექსანდრე ერთი იმ კაცთაგანი ყოფილა, ვინც პიროვნული თვისებებით, მრავალი ღირსებით გამოირჩეოდა და ნაცნობ-უცნობთა პატივისცემას იმსახურებდა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული რუსეთის სიყვარულისგან არ განერჩეოდა. რუსეთს ემსახურებოდა ერთგულად, თავისი ქვეყნის საწინააღმდეგო, საზიანო საქმეებს აკეთებდა და ვერ ხვდებოდა, რა დანაშაულს ჩადიოდა ერის წინაშე. იბრძოდა თურმე გურულ აჯანყებულთა წინააღმდეგ, უბიხთა და ლეკთა დასამორჩილებლად, თავი გამოიჩინა ყირიმის ომში, წებელდაში რუსებთან ერთად ანადგურებდა აფხაზებს... ასე უმტკიცებდა იმპერიას ერთგულებას. გახლდათ ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლიც. ასეთი წარსულის მქონე ადამიანზე შეიძლებოდა სულაც არაფერი თქმულიყოო, — იქნებ გაიფიქროს მკითხველმა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ელგუჯა თავბერიძე მწერალია და მწერლისთვის ცხოვრება (მათ შორის — გარდასულიც) მარტო შავთეთრი როდია. ალექსანდრე მიქელაძეს თავის ცოდვებთან (შეცოდებებში სხვადასხვა დროს ოთხი ცოლის ყოლაცაა ნაგულისმევი) ერთად კარგი, კეთილი, საწინაო, საქვეყნო საქმეებიც

უკეთებია. მწერალი მოსაწონ-მისაბაძს როგორ გაემიჯნებოდა, მითუმეტეს, რომ წიგნის ავტორს მხარს უჭერს და ზურგს უმაგრებს თვით აკაკი წერეთელი.

ცნობილია აკაკის დაუმცხრალი, შეურიგებელი ბრძოლა-კამათი თადა აშორდიასა და ყველა იმ ვაი-პატრიოტთან, ვინც მეგრელების არაქართველობას ამტკიცებდა და ნებით თუ უნებლიეთ დამპყრობლის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამის გათვალისწინებით სავსებით გასაგები და ლოგიკურია, რომ ალექსანდრე მიქელაძის მიერ გამართულ ერთ-ერთ სადილს აღფრთოვანებული აკაკი გამოეხმაურა წერილით „სადილი გუბერნიის წინამძღოლთან" (დაიბეჭდა „დროებაში"). ამ სადილზე იმერელ თავადებთან ერთად სამეგრელოს თავადაზნაურობაც ყოფილა მიწვეული და საერთო-ეროვნულ საქმეებზე გამართულა სჯა-ბაასი. უნდა გენახათ მეგრელების მჭევრმეტყველება, „მათი გამტკიცული, გაწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით, აი, სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო", — წერდა ქართველთა ერთიანობის მქადაგებელი მგოსანი.

და, მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა, ალექსანდრე მიქელაძეს აფიქრებდა და აწუხებდა ქართველთა ყოფა, ცდილობდა გამჯობინებას, გაკეთილებას გარემოებისა, ისიც ცხადია, რომ სამშობლო რუსეთის გარეშე ვერ წარმოედგინა, არსებულის სამსახურში იდგა და კიდეც ერთგულებდა მას.

XIX საუკუნეში თითქოს ტრადიციად დამკვიდრებული შემთხვევების მსგავსად, მიქელაძეთა ოჯახშიც მამა-შვილს განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა. რუსეთუმე მამას ეროვნული იდეალებისათვის დაუღალავად მებრძოლი შვილი, დავით მიქელაძე ჰყავდა. სხვათა შორის, საქართველოში რუსეთის შემოსვლისა და დამკვიდრების მეტ-ნაკლებად მომხრენი გახლდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის, ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის... მამები.

დავით მიქელაძე (მეველე) „დროებისა" და „ივერიის" თანამშრომელი იყო, ეს უკანასკნელი ერთხანს სულაც მისი ფაქტობრივი რედაქტორობით გამოდიოდა. მანამდე კი, ნიკო ნიკოლაძესა

და პავლე იზმაილოვთან ერთად პარიზში გამოსცა ჟურნალი „დროშა“ (უცხოეთში გამომავალი პირველი ქართული გამოცემა. ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ამ ჟურნალის სულ 6 ნომერი შემოგვრჩა).

ელგუჯა თავბერიძე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ დავით მიქელაძე (მეველე) ყველგან და ყოველთვის ევროპული ყაიდის მოაზროვნედ, ევროპული ტიპის ჟურნალისტად წარმოგვიდგება (მიუხედავად იმისა, რომ მას გიმნაზია არ ჰქონდა დამთავრებული და მხოლოდ საოჯახო განათლება მიეღო).

ბიოგრაფიული რომანის ავტორი დასამახსოვრებლად მოგვითხრობს, როგორ ჰყავდა დავითს კულაშში, საკუთარ სახლში ერთი წლის განმავლობაში შეფარებული და ფრანგ მხატვრად გასაღებული ცნობილი ანარქისტი და ტერორისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ეტყობა, იმხანად ტერორისტებს თანაუგრძნობდაო, — დაასკვნის მთხრობელი. თანაუგრძნობდა, როგორც ჩანს, სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილის გამო (შემდეგ თავის სტატიებში არაერთხელ გაილაშქრა ტერორიზმის წინააღმდეგ). ვარლამის აზროვნების სტილი ხიბლავდა, მისი მიზანი — ხალხის ცხოვრების გამჯობინება — მეველისთვისაც უმთავრესი საფიქრალი გახლდათ, მისი (რაც უნდა გასაკვირი იყოს, ანარქისტ ვარლამიშვილის) ეროვნული იდეალები მეველის ცხოვრების დვრიტასაც შეადგენდა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რომანის ავტორი ფართო, გაშლილ თხრობას მიმართავს ჯუზეპე გარიბალდის პერსონაჟად შემოსაყვანად. დავით მიქელაძესა და იტალიის ეროვნულ გმირს არათუ მეგობრული ურთიერთობა, უბრალო ნაცნობობაც კი არ ჰქონიათ. ერთხელ პარიზში რამდენიმე წუთით მოუხდათ ერთმანეთის ნახვა ისე, რომ ქართველმა პუბლიცისტმა გვიანღა გაიგო უცხოელის ვინაობა. იმან კი, გარიბალდიმ დათას შესახებ სხვა ვერც ვერაფერი შეიტყო, გარდა იმისა, რომ ეს საუკეთესო მსროლელი (ტირში ვარჯიშობდა) ქართველი იყო. ეს წუთიერი შეხვედრა იქნებ არც გაეხადა ბიოგრაფოსს პატარა, ჩართული ნოველის ღირსად, რომ არა ჯუზეპე გარიბალდის პი-

როვნება და მის მიმართ ქართველთა (არამარტო მეველის) მიერ გამოვლენილი დიდი, განსაკუთრებული პატივისცემა, სიმპათია, სიყვარული. საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის ლირიკული შედევრი „მესმის, მესმის...", რომელიც სწორედ გარიბალდის მორიგი გამარჯვებით არის შთაგონებული. არც ის არის ახალი, ქართველი მოღვაწეები რომ ცდილობდნენ გარეგნობითაც გარიბალდის მიმსგავსებოდნენ (წვერით, ქუდით და სხვა). თედო სახოკია ერთ, იუმორით შეფერილ ამბავსაც მოგვითხრობს. როცა იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი გმირი გარდაიცვალა, ქართველმა ხალხოსნებმა გორიდან დეპეშა გაუგზავნეს ოჯახს და მიუსამძიმრეს. მადლობის სათქმელად იტალიიდან დეპეშა მოსკოვში ჩავიდა იმიტომ, რომ... იტალიელებმა გორი რუკაზე ეძებეს და ვერსად იპოვეს.

რა გასაკვირია, საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე პუბლიცისტს იტალიელი (და სხვა ქვეყნებისაც) ეროვნულ-გამათავისუფლებელი გმირების გულწრფელი პატივისცემა რომ ჰქონოდა.

დავით მიქელაძეს (მეველეს) ისეთ რამეებზეც უწერია, რაც იმ დროს გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული. მაგალითად: ქალთა უფლებებზე, სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე, პატრონყმობაზე, თეატრზე, უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებასა და სხვა მისთანებზე. საერთოდ, ელგუჯა თავბერიძის მიერ დახატული სარწმუნო პორტრეტით ჩანს, რომ მიქელაძე პირდაპირი, რისკიანი, ზოგჯერ თავზეხელაღებული კაციც ყოფილა. ძნელია ბიოგრაფიული რომანის შექმნა პუბლიცისტზე, უფრო ადვილია მხატვრული სიტყვის ოსტატის პორტრეტის დახატვა. პუბლიცისტიკა ნაკლებად ხსნის ავტორის ხასიათს, პიროვნულ თვისებებს. რასაც მხატვრული შემოქმედება სარკესავით აირეკლავს, იმას პუბლიცისტიკა მალავს, ფარავს, არ წარმოაჩენს. ბიოგრაფოსს კი აუცილებლად სჭირდება ცოცხალი ხასიათი. ელგუჯა თავბერიძე შესანიშნავად ახერხებს დავით მიქელაძის მართლაც რომ გაცოცხლებას. ამაში მას მეველის ნაწერებიც უწყობს ხელს, უსულგულო, მშრალი სტილის ნაცვლად სწორედ მხატვრული სახეებით რომ აღბეჭდილა და,

რასაკვირველია, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ, გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ დოკუმენტთა კარგად, ღრმად ცოდნა.

მეველის რისკიანობა-შეუპოვრობასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ წიგნის ერთი გამორჩეული თავი, დავით მიქელაძის დუელს რომ ეხება ალექსანდრე წულუკიძესთან, საერთოდ, ქართული დუელი, როგორც განსხვავებული ფენომენი, შეისწავლა და გამოიკვლია როსტომ ჩხეიძემ, და მის კვალზე — ზაზა აბზიანიძემ. „ნისლის ტიხარში“ აღწერილი ქუთაისური დუელიც იმის დასტურია, რომ ქართული დუელები სიკვდილით არ მთავრდება, თუმცა მისი მონაწილეებისთვის ბევრი უსიამოვნება მოაქვს იმ წუთშიც და მერეც.

ელგუჯა თავბერიძე რეალისტი მწერალია. მისი მიზანი წიგნის გმირის განდიდება, შესხმა, პანეგირიკი კი არა, მართალი ბიოგრაფიის აღდგენაა. ამიტომ არ ერიდება ავტორი მეველის შეცდომებზე საუბარსაც და რამდენჯერმე ხაზგასმით მიუთითებს, რა ვერ გაიგო, რაში შეცდა (იშვიათად, მაგრამ მაინც) ნიჭიერი, მრავალმხრივი პუბლიცისტი.

1893 წლის თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნების კურიოზული ამბავი ადრეც ვიცოდი — როგორ გავიდნენ საბჭოს წევრებად თითქმის მთლიანად სომხები. წიგნში კი ისე ხატოვნად, ისე ლამაზად, ისე სახიერადაა ეს ამბავი აღწერილი, რომ მართლაც ძნელად დაავიწყდება მკითხველს და მის ცნობიერებაში დარჩება გაფრთხილებად და მაგალითად. დავით მიქელაძისეულ შედარებას მოიხმობს ავტორი: როგორც ყანაში საჩრდილობლად დატოვებული ორიოდე ხე, ისე ერივნენ ქართველები სომხებშიო.

მსუბუქი იუმორი, ხალისი, სილაღე თან სდევს „ივერიის“ რედაქციაში ვაჟა-ფშაველასა და დავით მიქელაძის შეხვედრის სცენას. „გველისმჭამელის“ შემოქმედი ხუმრობს, რომ მან და მისმა პერსონაჟმა მინდიამ გველის ხორცი ჭამეს, მიქელაძეს ნაამბობი რეალურად მომხდარისგან ვერ განურჩევია და უწმინდურის ჭამისგან შეშინებული უკან იხევს, სულაც მეორე ოთახში გარბის... ვაჟას ხუმრობას ვერ იგებს.

ხდებოდა ასეც, მაგრამ, როგორც მოღვაწე და როგორც პიროვნება, თუ ოხუნჯობით ვერ, ზნეობით უთუოდ გამოირჩეოდა. მიაჩნდა, რომ ბოროტებით მომკილი სიკეთეც ბოროტებაა, ხოლო უზნეოთა მომრავლებას, თანამემამულეებში პირის წყლის წახდენას გაუნათლებლობას აბრალებდა. მისთვის არ არსებობდა წვრილმანი საკითხები. აღელვებდა ყველაფერი, რაც მის ქვეყანას პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდა. წყინდა, უხაროდა, ამუნათებდა, აქეზებდა, არწმუნებდა, თხოვდა, ბრალს დებდა... და ყოველთვის თვალწინ „ევროპულ რადიუსზე გამართული“, თავისუფალი საქართველო ედგა.

რომანში დასამახსოვრებელ პერსონაჟებად შემოდიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი შარვაშიძე... და იქმნება მთელი გალერეა ჩვენი სასიქადულო მოღვაწეებისა, რომელთა ფონზეც უფრო შთამბეჭდავად გამოიკვეთება დავით მიქელაძის, მეველის (როგორც თვითონ მიაჩნდა, საქართველოს ერთი რიგითი ჭირისუფლის და თვალყურმადევნებლის) მთელი ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე.

ელგუჯა თავბერიძე აცოცხლებს და უკვდავებას ანიჭებს საზოგადოებისათვის დღეს ნაკლებად ცნობილ პიროვნებებსაც. და კი არ გვიყვება მათ შესახებ, არამედ ხატავს, ძერწავს, ჩამოქნის ხასიათებსა და სიტუაციას. მწერლის ოსტატობის დასადასტურებლად მხოლოდ ერთ ნიმუშს მოვიხმობ.

დავით მიქელაძის სალონში: „პიპინია მიქელაძისა და სერგია ერისთავის ოხუნჯობებზე სიცილს ვერ იკავებდნენ, ჩაბჟირებამდე ხარხარებდნენ, ხარხარებდნენ გულიანად, მადიანად... ჩათავდებოდა სიტყვა-პასუხი და კოკინია მიქელაძე შემოსძახებდა პირველს: ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა, — მეორეს ბონდო მიქელაძე მიაგებებდა, მერე კოტატი შუბლაძე და მინა ბოლქვაძე გაუტევდნენ, გეგონებოდა სახლს ჭერი აეხდება, ცაში აიჭრება ამათი მღერითო“.

ეს ამონაწერი არც საუკეთესოა და არც განსაკუთრებული ამ წიგნში. ერთ-ერთია მრავალთა შორის. გვხვდება უფრო საგულისხმო ფრაზები თუ მთელი აბზაცები — მწერლის მაღალი გე-

მოვნების დამადასტურებელი. სიტყვის მცნობი, მოყვარული, მომფერებელი და დამგემოვნებელია ავტორი და მისი ეს თვისებაც ხდის რომანს მიმზიდველსა და იოლად გასაგებს.

მივიწყებული, ჩრდილში მდგომი მოღვაწის გახსენებას ერთი მხრივ, უთუოდ აქვს ის მნიშვნელობა, რომ ამით ავტორი აღადგენს ისტორიულ სამართლიანობას, სამზეოზე გამოაქვს მიჩქმალული თუ დღემდე უცნობი ფაქტები. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ წიგნი იწერება თანამედროვეთათვის, ამიტომ მას აქვს აგრეთვე მომავლის გარკვევის, სწორი გზის დასახვის ფუნქციაც.

ამ წიგნის ავტორი პროფესიონალი მწერალია. ბუნებრივია, მას კარგადაა აქვს გააზრებული, რას წერს და რისთვის წერს. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის ხაზგასმა იმისა, რომ დავით მიქელაძე ევროპული ტიპის მოაზროვნე გახლდათ. იგი იყო ევროპასთან დაახლოების მომხრე და მოწადინე, მაგრამ მიაჩნდა, რომ ყველაფერი განურჩევლად კი არ უნდა გადმოგველო ევროპული, არამედ მიგვებაძა მისაბაძისთვის ისე, რომ არ დაგვეკარგა საკუთარი.

სრულიად გამორჩეული საქციელი, გმირობის ტოლფასია დაპატიმრებული დავით მიქელაძის მიერ წერილობით მოთხოვნა ეკლესიის ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრივი ავტონომიისა. დიმიტრი ყიფიანის გმირობას გვაგონებს ერთგვარად და არ დაუვარდება მას. მეველემაც ფაქტობრივად თავი გასაწირად გაიმეტა. სხვა საქმეა, რუს მოხელეს ეყო ჭკუა, რომ გმირად არ ექცია ქართველი თავადი. თუმცა წიგნის ავტორისთვის და მკითხველისთვისაც ის მაინც გმირია, ილიას, აკაკის, იაკობის, სხვა ქართველ სამოციანელთა თანამოაზრე და მათსავით მოფიქრალი საქართველოს უკეთეს დღეთათვის.

გასროლამდე ატირებული სეკუნდანტი ანუ დუელი ქართულად

როსტომ ჩხეიძე თავის მხატვრულ თხზულებებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში ქართველთა ეროვნულ თვისებებს სწავლობს, ეძებს მათ წარმომავლობას, ცდილობს მიწვდეს და მოჩხრიკოს ფესვები, და აი, ამ ძიება-შესწავლის გზაზე კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია მცირე მონოგრაფია „ქართული დუელიანა.“ მსოფლიო დუელების ისტორიაში მისი ქართული ნაირსახეობა განსხვავებული ფენომენია, როგორც თავად ავტორი ამბობს ანოტაციაში, ცალკე რკალს ქმნის. გამორჩეულობას ქართულ დუელს ის გარემოება ანიჭებს, რომ თურმე არცერთი მათგანი მსხვერპლით არ დასრულებულა. ასეთი რამ კიდეც რომ აღმოჩნდეს შემდეგი კვლევისას, ის იქნება გამონაკლისი და კიდევ ერთხელ დაადასტურებს კანონზომიერებას. წიგნში აღწერილი 25 შემთხვევიდან არცერთს არ ჰქონია ტრაგიკული დასასრული. სწორედ ამის წყალობით წიგნი სახალისო საკითხავია.

ეტყობა, ქართველის არტისტული ბუნება დუელსაც თეატრალურ სანახაობად აღიქვამსო, — ფიქრობს ავტორი. ალბათ, ოღონდ მიბჯენით შუბლში სროლა, წინასწარგანზრახული მკვლელობა (და არა დუელი) მთლად უცხო არ უნდა იყოს ქართველისათვის. რვა თუ ცხრა დუელი ჰქონია ილია ჭავჭავაძეს, წიწამურთან კი ყოველგვარი სეკუნდანტებისა და ბარიერთან დგომის გარეშე გამოვასალმეთ სიცოცხლეს და ესეც ქართულია (რუსის და რუსული იდეოლოგიის ჩარევის მიუხედავად)...

საინტერესოა მიზეზი, რის გამო იწვევდნენ ქართველები დუელში შეურაცხმყოფელს, რა მიაჩნდათ ღირსების შელახვად. წიგნში აღწერილი 25 შემთხვევიდან უმრავლესობა საზოგადო-

ებრივ საქმეს — ქვეყნის, ერის დაცვას შეეხება და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში (დაახლოებით ხუთიოდე) მიზეზი ქალია. ერთ-ერთი ასეთი დუელი ქუთაისის ბულვარში მომხდარა დავით მიქელაძესა და ალექსანდრე წულუკიძეს შორის. ამ შეტაკების პერიპეტიები ელგუჯა თავბერიძეს აქვს აღწერილი ბიოგრაფიულ რომანში „ნისლის ტიხარი," როსტომ ჩხეიძე კი, რა თქმა უნდა, წყაროს მითითებით, იყენებს ამ მონათხრობს და საინტერესო კომენტარებსაც გვთავაზობს.

საერთოდ, ავტორისეული კომენტარები და შეფასებები მეტად საყურადღებო გახლავთ ამ წიგნში. მაგალითად, როცა როსტომ ჩხეიძე ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის გამართულ დუელს იხსენებს, გვიამბობს, რომ ორთაბრძოლის დაწყებამდე სეკუნდანტი, სიმბორსკი ატირებულა (არც ერთი არ ემეტებოდა სასიკვდილოდ) და დუელიანტებიც შერიგებულან. ავტორი იქვე შენიშნავს, კიდევ კარგი, გასროლამდე ატირდა სიმბორსკი და არა გასროლის შემდეგო. ასეთი რემარკები ერთ რამედ ღირს. შერვაშიძის ქალის გამო მოსვლიათ დუელი დავით ერისთავსა და ზაქარია ატამანის შვილს. მათი მამები 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი გახლდნენ და მტრის სისხლის დასაღვრელად ემზადებოდნენ, შვილებს კი ქალის გამო ერთმანეთის სისხლი დაუღვრიათ კინაღამო, — გვეუბნება ავტორი და ამით ბევრ რამეზე ჩაგვაფიქრებს (კი ღირდა ის ქალი, როგორც ჩანს, დუელად და სისხლისღვრად, მაგრამ მაინც...).

არის აქ რამდენიმე გამორჩეული, დაუვიწყარი დუელში გამოწვევა: დავით კლდიაშვილის მიერ პალმისა, ანდრია დადიანის მიერ დუზ-ხოტიმირსკისა, ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ლეობენელი ლექტორისა, ნიკო ნიკოლაძის მიერ დავით ფურცელაძისა... სხვებიც. ყველა, ოცდახუთივე უაღრესად საინტერესოა, ყველა შემთხვევაში საქმე ბოდიშით გათავებულა. ანდრია დადიანს ბოდიში წერილობითი ფორმით მოუთხოვია და მიუღია კიდეც ცნობილი მოჭადრაკისგან. მობოდიშების ეს ბარათი, დუზ-ხოტიმირსკის მიერ ანდრია დადიანთან გაგზავნილი, თენგიზ გიორგაძემ იპოვა დადიანის არქივში და ბატონმა როსტომმა, ცხადია, გამოიყენა და სათანადოდ შეაფასა კიდეც ის.

ბოლო დუელი — მიხაკო-რევაზი — შიო არაგვისპირელის პერსონაჟთა დუელია, ისიც ქართული დუელიანის სრულუფლებიანი წევრი და მონაწილე. ტრაგიკულად კი დასრულდა დუელიანტთა ცხოვრება, მაგრამ დუელი მაინც არ შედგა, სხვანაირად როგორ? ისინიც ხომ ქართველები იყვნენ.

საყურადღებო დასკვნები გამოიტანა ამ წიგნიდან შესანიშნავი ბოლოსიტყვაობის ავტორმა ივანე ამირხანაშვილმა. სხვამ შეიძლება კიდევ სხვა რამეც ამოიკითხოს აქ. „ქართულ დუელიანას" მოჰყვა ზაზა აბზიანიძის შესანიშნავი გამოხმაურება (თუ გამოკვლევა) — „სადუელო პარადოქსები".

მოსალოდნელია, რომ ავტორმა კიდევ შეავსოს თხრობა მაგალითებით (თუკი შემთხვევით გამორჩა რამე, უთუოდ თვითონვე მოიძიებს და შეავსებს), მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არ შეიცვლება სულისკვეთება. დაიხატება ღირსების დასაცავად შემართული ქართველი, რომელიც თავისი მზადყოფნით თავგანწირვისთვის, შეუპოვრობით, სიმართლის დაცვის სურვილით მოწინააღმდეგეს იარაღის გარეშე ახევინებს უკან. დამნაშავე კი ბოდიშს იხდის და საქმე დუელამდე არ მიდის... ისე, ასეთი გამოცდილება სჯობსო, — გვარწმუნებს ავტორი და ჩვენც ვეთანხმებით.

დუელის ხანა კი დასრულდა, თუმცა ღირსების დაცვა, სულიერი თავისუფლებისკენ სწრაფვა იმდენად ადამიანურია, რომ ის, ალბათ, არასოდეს მოიშლება და „ქართული დუელიანას" დროც სულ იქნება.

ხანი უნდობარი

(XX საუკუნის საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური სურათი)

ლიტერატურულ-რელიგიური ცდა — ასე განსაზღვრა წიგნის „ხანი უნდობარი“ ჟანრი თავად ავტორმა, როსტომ ჩხეიძემ. ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდა დამპყრობელი ერი ჩვენს სარწმუნოებას, ეკლესიას, სამღვდელოებას და საბოლოოდ, მთელს ქვეყანას.

შესავალშივე („წინათქმის მაგიერ“), სადაც მწერალი ამბროსი ხელაიას გატარებას ხატავს „ალაიაში“, სიყვარულითა და მადლიერებით არიან მოხსენიებულნი ის სასულიერო პირები, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ შეგუებიან, მონობის უღლის გადასაგდებად თვითონაც არ ერიდებოდნენ ჯანყს და სხვებსაც იარაღისკენ მოუწოდებდნენ. 1812 წლის კახეთის აჯანყების, იმერეთის აჯანყების, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მღვდლების შესახებ შთამომავლობამ უფრო მეტი უნდა იცოდეს და თუ სრულად ვერ აღვადგენთ მათ ბიოგრაფიებს, გვარ-სახელები მაინც არ უნდა დავივიწყოთ და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის სამაგალითოდ გავიხადოთ.

სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილებაო, — სასამართლოზე უთქვამს კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსი ხელაიას. მის მთელ სიტყვას ამბიონიდან ქადაგებას შეადარებს, შეუფარდებს წიგნის ავტორი. ჩემი 87 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლასო, — განაგრძობდა მოწამე და არ მალავდა, რომ სწორედ იმას საქმიანობდა, რისთვისაც ისჯებოდა. მსოფლიოს უნდა გაეგო საქართველოს ტრაგედია და ამადაც მიმართა წერილით გენუის კონფერენციას.

„ჩვენში სასულიერო პირი უფრო ტრაგიკული გახლდა, ვიდრე კომიკური" — ეს ისეთი ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანს გიკვირს, ნუთუ ოთარ ჩხეიძემდე არავის შეუმჩნევია და გამოუთქვამს ეს აზრი? ამ სიცხადისა და ჭეშმარიტების დანახვას, აღქმასა და შემდეგ ფორმულასავით ჩამოქნას დიდი მწერლის თვალი და ენა მოერია.

და დღეს, როცა უკვე ნათქვამია, თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან გადმოცემულ უცილობელ დებულებას ვიმეორებთ: უფრო ტრაგიკული, ვიდრე კომიკური. სხვა რომ არ იყოს, მარტო „შუშანიკის წამებისა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" შემქმნელ, თევდორე მღვდლისა და სულხან-საბას... მშობელი ერი საკამათოდ ვერასოდეს გახდის სასულიერო პირთა ტრაგიკულ ყოფას, ღვაწლსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე.

მართლისა და ჭეშმარიტის არყოფნა ხელოვნებაში, თვით ხელოვნების არყოფნაა, — წერდა შარლ ბოდლერი. როსტომ ჩხეიძის ეს წიგნი სიმართლით სუნთქავს და აქ არ ვგულისხმობ ოდენ ფაქტების უხვად და ზუსტად გახსენებას, არამედ — უპირველესად — შეფასებას. დღესაც არ არის ამოშლილი საზოგადოებრივი ცნობიერებიდან კლიშედ დამკვიდრებული შეხედულება დანიელ ჭონქაძისა და მისი „სურამის ციხის" შესახებ — თითქოს ამ მოთხრობით მწერალმა ამხილა ჩვენი ცხოვრების მანკიერებანი.

როსტომ ჩხეიძე ცრუსა და პროპაგანდისტულს უწოდებს ამ ნაწარმოებს და მხატვრული ღირსებების მიუხედავად (რაც თავის დროზე ალექსანდრე ორბელიანმაც შენიშნა) გადაჭრით უარყოფითად აფასებს მას. აკი სადაც მართალი და ჭეშმარიტი არაა, იქ არც ხელოვნებააო — ბოდლერს მაინც დავუჯეროთ.

თმას ყალყზე დაუყენებს ადამიანს ლენინის უსასტიკესი ბრძანება სამღვდელოთა განადგურებისა და ეკლესიათა ძარცვის შესახებ, აი, პატრიარქ ტიხონის მიერ ქართული ეკლესიის მადლმოკლებულად გამოცხადება კი მართლაც ტრაგიკომიკურია. იქით ხელისუფლება ებრძვის რუს პატრიარქს, აქეთ თვითონ (ხელისუფლებასთან ერთად) ებრძვის ქართულ ეკლესიას.

წიგნში დამოწმებულია ამბროსი ხელაიას მიერ სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვის ფინალი. ჰეროიზმი, ოპტიმიზმი, სი-

ნანული, ღრმა განათლება, პატრიოტიზმი — ყველაფერი იგრძნობა ამ სიტყვებში. „ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, — იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი — იყოს ნება ღვთისა“...

ვუსმენთ მე-20 საუკუნის მოწამეს და თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან იოანე საბანიძის ხმა ჩაგვესმის ყურში: “რომელნიესე ვართ მორწმუნენი... ქრისტეის სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღვთისასა“.

ერთნაირი შედეგები მოჰყოლია არაბთა ბატონობას (XIII ს-ში) და რუსთა ძალმომრეობას (XX ს-ში): ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა გასულ საუკუნეშიც ეროვნების, სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას გაუგივდა ისევე, როგორც გარდასულ ხანაში, საქართველოს ისტორიის ქრისტიანული პერიოდის მთელ მანძილზე და პირიქით, რწმენისა და ეკლესიის დაცვა სამშობლოს, ქართველობის დაცვასა და მისთვის თავგანწირვას ნიშნავდა.

ქრისტეს მაგალითით, ყველა მოწამე სიხარულის დასაბამად მიიჩნევს წამების, დასჯის დასაწყისს. „ასულნო იერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა“, — მაცხოვრის ამ სიტყვებით ემშვიდობებიან ხოლმე წმინდა მოწამენი ამა სოფელს, ამ მიმართვით დაუმთავრებია თავისი გამოსვლა სასამართლოზე კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისაც. ზეპირგადმოცემა კი მასვე მიაწერდა აფორიზმივით ჩამოქნილ და შემდგომში დიდად პოპულარულ ფრაზას: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული — საქართველოს, გვამს კი, რაც გნებავთ, ის უყავით“.

როსტომ ჩხეიძე ის მოღვაწეა, რომელსაც მუდამ ახსოვს ილიას სიტყვები: „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“. და არამარტო ახსოვს, არამედ პრაქ-

ტიკულადაც იღვწის წარსულ გმირთა ზნეობრივი მაგალითის წარმოსაჩენად, მიჩქმალულ თუ მივიწყებულ გმირთა ქომაგად გვევლინება. მისი ბიოგრაფიული რომანები ზემოთქმულის ნათელი დასტურია.

არაერთი თვალს მიფარებული მოღვაწეა გახსენებული „ხანი უნდობარშიც". მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული უთუოდ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარ ლეჟავა გახლავთ. აანალიზებს რა აკაკი გაწერელიას მოთხრობას „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა", მწერალი საგულისხმო დაკვირვებების გვთავაზობს, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ (თუ სულ უცნობ არა) ინფორმაციას გვაწვდის და ხელისგულზე გადაგვიშლის წამებული ნაზარის ზნეობრივი საქციელის მთელ სულიერ სილამაზესა და სიმაღლეს.

უაღრესად ფასეულია საბჭოთა კინომატოგრაფიის შეფასება ამ ჭრილში — როგორ წარმოსახავდა კინო სასულიერო მოღვაწეთა სახეებს. სხვათა შორის, როცა ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვრის" ეკრანიზაციაზე საუბრობს ავტორი, იმასაც გაიხსენებს, რომ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელს, შალვა დადიანს, დიდად არ ეჭაშნიკებოდა, რომ სცენარში მოძღვრის ის ბიოგრაფიაც შეითხზა, რომელიც ნაწარმოებში მინიშნებულიც ყოფილა. თუმცა როსტომ ჩხეიძის შეფასებით, „მოძღვარი" იმ გამონაკლისად დარჩება საბჭოთა ეპოქის ქართულ კინემატოგრაფში, სადაც სასულიერო პირი მთელი თავისი ღირსებით წარმოსდგება და იმ მონუმენტურ ხასიათად იკვეთება, იდეალს რომ უახლოვდება".

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა ონოფრესა და ილიას „გლახის ნაამბობის" პერსონაჟი მღვდლის მსგავსება. კიტა აბაშიძემ მიიჩნია, რომ მოძღვარი ონოფრე სულაც ილიას მღვდლის გავლენით იყო შექმნილი. ცხადია, ილიამაც, ალექსანდრე ყაზბეგმაც, სხვა მოღვაწეებმაც კარგად იცოდნენ, რომ „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს".

ონოფრეს პროტოტიპად ზოგი მიიჩნევს ბესარიონ ფავლენიშვილს (ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის მკვიდრს). მან განათლება მიიღო თბილისში, ანჩისხატის მონასტერთან არსე-

ბულ სასულიერო სემინარიაში, შემდეგ მოღვაწეობდა მთაში (ხევ-მთიულეთში). სადგომად (საყუდლად) აირჩია მყინვარწვერი, სადაც თვითონ გამოკვეთა სენაკი. 1824 წ. ბოროტმოქმედნი დაესხნენ თავს და მოკლეს მშობლიურ სოფელ ერედვში.

ვახტანგ სიდამონიძის აზრით, იგივე ბესარიონი არის ილიას განდეგილის პროტოტიპიც („ვინ იყო ილიას „განდეგილის" განდეგილი?" — „სოფლის ცხოვრება", 1982 წ. №62).

არსებობს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონის (გიორგი საძაგლიშვილის) მონოგრაფია — „იერომონახი მისიონერი ბესარიონ ფავლენიშვილი" (რუსულ ენაზე).

ცხადია, შესაძლებელია, რომ ორი, სხვადასხვა მწერლის მიერ შექმნილ პერსონაჟს ჰყავდეს ერთი საერთო პროტოტიპი, მაგრამ ამჯერად უფრო საყურადღებო ის გახლავთ, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ონოფრეს ილიას „გლახის ნაამბობის" მღვდელი უფრო ემსგავსება, ვიდრე განდეგილი.

და თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ „გლახის ნაამბობის" ეკრანიზაციის დროსაც სასულიერო პირი იმ მადლითა და ღირსებით წარმოჩენილიყო, რომელიც ამ წოდებას შეეფერებოდა და რომლითაც იგი მოთხრობის ავტორმა, ილია ჭავჭავაძემ წარმოსახა, მაგრამ... უღმერთო საუკუნეში მღვდელი საერთოდ გაქრა სცენარიდან, იგი მასწავლებლით ჩაანაცვლეს. დასამარდა, დაიკარგა არამარტო გულწრფელობა, არამედ — სიმართლე და მიუკერძოებლობა.

მთელი ჩვენი ისტორია და ლიტერატურა ადასტურებს სასულიერო წოდების ღვაწლს არამარტო სულიერი სიმაღლისა და ზნეობრივი ორიენტირების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებაში, არამედ ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც. თავიანთი სისხლით არაერთგზის დაუმოწმებიათ ჩაგრულთა მფარველობის, ქვეყნისა და მოყვასისათვის თავგასაწირად მზადყოფნა.

„ახალმა მოწესეებმა" სასულიერო წოდება ხალხის მტრად გამოაცხადეს. უღვთოდ აირია საზომები, ორიენტირები, დაიშალა, დაირღვა აამიანის შინაგანი სამყარო — არსად ნუგეში, არსად სულის ნავსაყუდელი. თაობებმა იცხოვრეს გახლეჩილი, შერყვნილი ცნობიერებით, რამაც მძიმე დაღი დააჩნია მათ არსებობას.

ევროპული განათლებისა და რანგის მწერალი, ნიკო ლორთქიფანიძე არ მორიდებია მღვდლებთან გახუმრებას. მისი „ეპისკოპოსი ნადირობაზე“ გროტესკულად წარმოგვისახავს კურდღელზე მონადირე, ნადირობის მოტრფიალე სასულიერო პირს. „სოფლის აშიკშიც“ იუმორისტულადაა დახატული მღვდელი. საგანგებოდ დაკვირვებია ამ გარემოებას მონოგრაფიის ავტორი და სავსებით ლოგიკური დასკვნა გამოუტანია — უცხოური ლიტერატურის გავლენა და მწერლის სულიერი რყევა (რეჟიმისთვის დათმობა, კომპრომისი) ერთად იგრძნობა ამ თხზულებებში და განაპირობებს კიდეც თხრობის იუმორისტულ მანერას. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს განწყობა ვერ იქნებოდა ქართველი მწერლისთვის ორგანული. სამღვდელოთა უსასტიკესი რბევის ჟამს ხუმრობა, თუნდ მსუბუქი იუმორი სრულიად არ შეეფერება ჩვენს ტრაგიკულ სინამდვილეს და ნიკო ლორთქიფანიძეც სხვა მინიატურებისა თუ ესკიზების მიხედვით („საშობაო მინიატურები“, „ქრისტე“, „რეკა“ და სხვა) წარმოგვიდგება, როგორც უაღრესად რელიგიური და უდიდესი სულიერების მქონე მწერალი.

კონსტანტინე გამსახურდიას „გაორებაც“ არაერთგზის აღბეჭდილა მის ნაწარმოებებში და ცხადია, მკითხველისთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. თუმცა ისეთი სწორი, მართებული ახსნა ამ მოვლენისა, როგორსაც როსტომ ჩხეიძე გვთავაზობს, სხვასთან იშვიათად შეგვხვედრია. „ნაცვლად რელიგიურისა, პოლიტიკური მოტივი კი არ არის, რომ საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ, 117-წლოვანი მონობა და ლამის ამოშლა ჩვენი ქვეყნისა კაცობრიობის ცხოვრებიდან ქრისტიანული რელიგიური დროშითაა და საბურველით მოხდა“, — წერს როსტომ ჩხეიძე.

რუსული უღელი რომ ქრისტიანულ საბურველს შემოჰყვა, ეს თვალსაზრისი მსჭვალავს კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ვასილ ბარნოვის... თხზულებებს. თუ გამსახურდიას შემოქმედება ამ ასპექტით აქამდეც საფუძვლიანად იყო შესწავლილი და დამუშავებული (აკაკი ბაქრაძე, სოსო სიგუა, ზვიად გამსახურდია...), მიხეილ ჯავახიშვილის ნაწერებს ამ თვალთახედვით პირველად როსტომ ჩხეიძე დააკვირდა და ზუს-

ტად იგივე მიზეზი ამოიცნო უტყუარად. ქრისტიანობასთან მიმართებაში ერთგვარი წინააღმდეგობა აქაც მხოლოდ პოლიტიკური მოტივით აიხსნება.

ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ მიგვიძღვება წიგნის ავტორი რთულ ლაბირინთში, აქამდე უნებლიეთ დაფარულს ან საგანგებოდ მიჩქმალულსა და უკუღმართად ახსნილს უბრუნებს თავის პირვანდელ სახეს, სრულად შეგვაგრძნებინებს ეპოქის საშინელებასაც და ქართველ მწერალთა სულიერ შფოთსა და ჯანყსაც. ემოციური თხრობა და ლოგიკური, დასაბუთებული, წყაროებზე დაყრდნობილი მსჯელობა ერთმანეთს ერწყმის და ქმნის სასურველ ჰარმონიას, იმ სამყაროს, რომელიც რწმენისა და იმედის გადარჩენისა და განმტკიცებას ემსახურება.

ჩანაწერები „ჩანაწერების“ შესახებ

გამომცემლობა „ინტელექტმა“ ბოლო წლებში ბევრი საინტერესო და წარმატებული პროექტი განახორციელა. სერიებმა „პოეტის 100 ლექსი“, „ნობელის პრემიის ლაურეატები“, „ერთი ლექსის ყველა ქართული თარგმანი“ და სხვამ ქართველი მკითხველის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო და თანდათან საყვარელ წიგნებად იქცა.

ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ და მნიშვნელოვან სერიად მწერალთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა „ჩანაწერები“ წარმოგვიდგება უთუოდ. მწერალთა „უბის წიგნაკებიდან“ უფრო ადრე ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა. იმ რამდენიმე წიგნის გამოსვლა უთუოდ ანგარიშგასაწევი მოვლენა გახლდათ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. ახლა კი უკვე საშუალება გვაქვს, უფრო შევსებულსა და გამრავალფეროვნებულს, უფრო ბევრი ავტორის „ჩანაწერს“ გავეცნოთ. პროექტის ავტორია მწერალი ზვიად კვარაცხელია, რომლის თავისებურმა, ორიგინალურმა ხმამ ლიტერატურაში უკვე ბევრი საგულისხმო, ძირითადად მოწონებისა და აღფრთოვანების გამომხატველი შეფასება მიიღო. მისი საზოგადო საქმიანობის ერთი მხარე გამომცემლობაა და ამ სფეროში მიღწეული წარმატებაც ახალგაზრდა კაცის ნიჭის, ალღოს, გემოვნების, მოვალეობის გრძნობისა და ქვეყნის სიყვარულის დასტურია.

„ჩანაწერებს“ ქართულ პრესასა და ტელევიზიაში მაშინვე მოჰყვა რამდენიმე პროფესიული გამოხმაურება (რაც არცთუ ისე ხშირი მოვლენაა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში). „24 საათში“ გამოქვეყნდა თამარ კიკნაველიძის სტატია, რომელიც ზვიად კვარაცხელიასთან ინტერვიუსაც შეიცავს. მალხაზ ხარბედია

რამდენიმე საინტერესო წერილით გამოეხმაურა ცალკეულ ნიმუშებს, არაერთგზის შეეხო ამ სერიის გამოცემებს როსტომ ჩხეიძე საპატრიარქოს არხ „ერთსულოვნების“ დილის ეთერში, იბეჭდება სხვადასხვა ავტორის შეხმიანებები ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“, სოხუმის უნივერსიტეტში სტუდენტებმა მიიწვიეს ზვიად კვარაცხელია, შეხვედრის თემა სწორედ „ჩანაწერები“ გახლდათ.

ჩანაწერებში, ისევე როგორც ნებისმიერ ნაწერში, მთელი სამყაროა არეკლილი, გარეთა, ხილული, მრავალფეროვანი სამყაროც და მწერლის შიგა, სულიერი, ასევე და კიდევ უფრო მეტადაც მრავალფერი და ნაირგვარი სამყარო. ასე ერთად, ერთ სერიაში თავმოყრილი წიგნები ზემოთქმულს უფრო ნათელყოფს და ხელშესახებად გამოკვეთს. ყველა დღიური, ყველა უბის წიგნაკი ერთმანეთისაგან განსხვავდება თემატიკითაც (ინტერესთა სფეროთი) და, რა თქმა უნდა, სტილისტიკითაც. აქ შეხვდებით ყოველდღიური ამბების აღწერასაც, საოჯახო ქრონიკასაც, ფილოსოფიურ მსჯელობებსაც, ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასებასაც, სიტყვათა თამაშსაც, იუმორისტულ პასაჟებსაც, შეიცნობთ ეპოქას, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებასაც გაადევნებთ თვალს, ჩაიხედავთ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაშიც... და არაიშვიათად წერის იმპულსსაც სწორედ აქედან მიიღებთ...

ზოგი ავტორი კომპოზიციურად ისე კრავს სათქმელს, რომ ნოველებს ამსგავსებს, ზოგი დაფანტულად, ქაოტურად, ზოგჯერ ჩვენთვის სრულიად გაუგებარ სიტყვას ან გამოთქმას ინიშნავს. ეს სხვას, გარედან შეჭრილ მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს გაუგებარი, ალოგიკური ან აზრობრივად ამოვარდნილი კონტექსტიდან და სხვა ნაწერთან დაუკავშირებელი, თორემ ხომ იოლად წარმოსადგენია, რა განუზომელი მნიშვნელობის შეიძლება ყოფილიყო თითოეული ასეთი ფრაგმენტი თავად შემოქმედისათვის. იგი ხომ წერდა და ინიშნავდა თავისთვის და არა საზოგადოებისთვის. და მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ საინტერესოა მკითხველისთვისაც. მოულოდნელად-მეთქი ვთქვი, იმიტომ, რომ ეს ჟანრი აქამდე ჩვენში მაინცდამაინც პოპულა-

რული არ ყოფილა, ამ ბოლო დროს კი მის მიმართ ინტერესი საგრძნობლად იზრდება და მგონი, სხვა ჟანრები დაჩრდილოს კიდეც...

ყოველ მათგანს ამშვენებს სიბრძნე, გამოცდილება, გულწრფელობა. ასე განსხვავებულნი, თან თითქოს ერთმანეთს ავსებენ, ებმიან, ერთს მეორე აგრძელებს და ამთავრებს.

მე არ ვიცი, ჰქონდა თუ არა რედაქციას რაიმე პრინციპი, რომლითაც განსაზღვრავდა გამოსაცემ წიგნთა თანმიმდევრობას (არადა, წინასწარი პროექტი, მონახაზი უთუოდ ექნებოდა). ამ შემთხვევაში რედაქციის ჩანაფიქრი ზედაპირზე არ დევს (მოღვაწეთა უფროს-უმცროსობა ან რაიმე სხვა ქრონოლოგიური დრო მხედველობაში მიღებული არ არის). ამიტომ „ჩანაწერების" მიმოხილვას იმ თანმიმდევრობით მივყვები, რა რიგითაც ეს წიგნები ჩემს საწერ მაგიდაზე დევს (შემთხვევით, ყოველგვარი განსაზღვრული სისტემის გარეშე).

ბაჩანა ბრეგვაძის „ბოლო დროის ჩანაწერები" ინტელექტუალური ხასიათისაა (შესანიშნავად გამოეხმაურა მას როსტომ ჩხეიძე ჟურნალში „ჩვენი მწერლობა"). ჩვენი დროის თვალსაჩინო მთარგმნელი, მეცნიერი, მოღვაწე, თავისუფალ დროს, ფიქრებში წასული, თურმე ზოგჯერ თავისთვის მახვილგონივრულ პარადოქსებსაც ინიშნავს ხოლმე. მაგალითად, ასეთს: „თავისუფლება სხვა არა არის რა, თუ არა პატიმრის გადაყვანა ვიწრო საკნიდან ცოტა უფრო ფართო საკანში", ან: „მხოლოდ მკვდრები არიან უკვდავნი" და სხვა.

მსგავსი ამ წიგნში უამრავია. რაზეც უნდა ფიქრობდეს და წერდეს მკვლევარი — პასკალსა თუ კანტზე, მარკუს ავრელიუსსა თუ არისტოტელეზე, ხეებსა თუ ცხოველებზე, წარსულსა თუ მომავალზე, მუდამ თავისი სამშობლოს, საქართველოს აწმყო წარმოუდგება თვალწინ.

მთელი წიგნი აღბეჭდილია ღვთის ძიებითა და რწმენით. ხან ლოგიკური, შეურყეველი, მეცნიერულად დასაბუთებული, ხან იუმორისტული, სალაღობო, ხან მოულოდნელი, პარადოქსული და ხანაც საყოველთაოდ ცნობილი არგუმენტების მოხმობა იმის

დასამტკიცებლად, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს, ადასტურებს ავტორის მიერ უზენაესის არამარტო ქვეცნობიერ, არამედ სავსებით გააზრებულ რწმენას.

„სამყაროს ყველაზე მნათი სხეულები, შესაძლოა, სწორედ მათი სიდიდის გამო უხილავნი რჩებიან ჩვენთვის", — ვკითხულობთ ერთგან. სხვაგან ნათქვამია, რომ მაღალი კულტურისა და სულიერი არისტოკრატიზმის „დანახვა" იწვევს უბადრუკობისა და უღიმღამობის ჯანყს მის მიმართ ანუ „მასების ამბოხს".

მომხიბლავია აზრის ხვეულებში ბატონ ბაჩანასთან ერთად ხეტიალი, გამოუცნობი ბნელი ქიმერების გამოცნობა. „ჩანაწერების" ავტორის „ცოდნის წრე" ფრიად ფართოა, მრავალმხრივი ცოდნით შორს საზღვრებგადგმული, მაგრამ სინანული მაინც იმისია, რაც იმ წრის გარეთაა და ალბათ, კაცობრიობისთვის საერთოდ მიუწვდომელი. საგანგებოდ ჩაუნიშნავს ფრიდრიხ შლეგელის გამონათქვამი: „ცოდნასთან ერთად იზრდება არცოდნაც, ანუ არცოდნის ცოდნაო". ძალიან ბევრი უნდა იცოდეს ადამიანმა, რომ მიხვდეს არცოდნაც რა უსაზღვროა!

თუმცა თვითონ ძალზე თავმდაბლურად შენიშნავს, მხოლოდ ხანდახან ვაზროვნებო. ამ სალაღობო სიტყვებს თუმცა ხალისით ვკითხულობთ და მათში სიმართლის მარცვალსაც ვხედავთ, მაინც არ გვჯერა, რომ ეს წიგნი „ხანდახან მოაზროვნის" მიერაა დაწერილი. ფიქრი, განსჯა, აზროვნება ადამიანის ცხოვრების წესია და როცა ასეთი ადამიანები ისვენებენ, ერთი შეხედვით არაფერს აკეთებენ, აი, სწორედ მაშინ ქმნიან ისეთ საინტერესო და სასარგებლო წიგნებს, როგორიც ბაჩანა ბრეგვაძის „ჩანაწერებია".

„რაც გავიგე, დიდებულია, ხოლო რაც ვერ გავიგე, ალბათ, კიდევ უფრო დიდებული იქნებაო", — თუ თავხედობად არ ჩამომართმევთ, ამჯერად მეც სოკრატეს სიტყვებს გავიმეორებ, ერთი თხზულების წაკითხვის შემდეგ რომ დასცდენია.

ტარიელ ჭანტურიას „დინოზავრიდან დიზაინამდე" ჯერ კიდევ წლების წინათ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ახლა კი, უფრო შევსებული და გამრავალფეროვნებული, „ჩანაწერების"

სერიაში წარმოგვიდგა, და როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი ხალისიც მოიყოლა, საკამათოც შემოგვთავაზა და საფიქრალიც.

ტარიელ ჭანტურია ლექსის აღიარებული რეფორმატორია. მისი ახალი რითმები — სახუმაროც და სერიოზულიც — საყურადღებო მოვლენა გახლავთ ლიტერატურაში და თავის დროზე კიდეც განსაზღვრა ზოგადად ქართული ლექსის განვითარების ტენდენციები. მისი ჩანაწერებიც, ბუნებრივია, ხშირად ირონიულია (ეს სტილი ავტორისთვის დამახასიათებელია და ჩანს, ყველაზე უკეთ გამოხატავს მის შინაგან სამყაროს), მაგრამ — არა ყოველთვის. მწერლობა მისთვის ზოგადსაკაცობრიო ინტრიგაა, განსაკუთრებით ძლიერი კი ამ თვალსაზრისით — მემუარი. ალბათ, არანაკლებ — ჩანაწერებიც. უბის წიგნაკს ხომ ადამიანი ყველაზე დაფარულს, გულის ყველაზე ბნელ კუნჭულში შენახულს ანდობს. ყველა დახვეწილ, დამუშავებულ და მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილ ნაწერშიც ავტორის გაშიშვლებული სული ჩანს, ცხადია, მაგრამ ასე ვთქვათ, ნედლ ნაწერს თავისი ხიბლიც აქვს და დანიშნულებაც. შეიძლება რამდენიმე კრიტიკული წერილით ვერ თქვა ადამიანმა ის, რაც ამ მოკლე ფრაზაშია ჩატეული; „ილიას ძაგებით ილია ვერ გახდები. სხვათა შორის, ვერც ილიას ქებით გახდები ილია“.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია რამდენიმე ჩანაწერმა, რომლებიც მკითხველის აპოლოგიად შეიძლება მივიჩნიოთ. ცნობილი ჭეშმარიტებაა, მკითხველის გარეშე მწერლობაც რომ არ არსებობს. ბევრი კი არა, ზოგჯერ მარტო ერთი, ნამდვილი, გემოვნებიანი მკითხველიც სანატრელია. კი, მკითხველის საქებარი ესეებიც დაწერილა, მსოფლიოს გამოჩენილ მწერლებს შეუმკიათ მისი უდიდებულესობა. ე.წ. „ძნელად საკითხავი“ მწერლების გულისტკივილი სავსებით გასაგები და ადვილად ასახსნელია. მაგრამ ისეთი პოპულარული მწერლისგან, როგორიც ტარიელ ჭანტურიაა, მაინც გამაოცა ერთადერთმა სურვილმა — ამ წიგნს — მკითხველის წიგნს — მკითხველი დაურჩეს. არადა, რა მტკიცება უნდა, ტარიელ ჭანტურიას საქართველოში მკითხველი მუდამ ეყოლება, „ჩანაწერებს“ კი, დარწმუნებული ვარ — განსაკუთრებით ბევრი და გულისყურიანი მკითხველი.

ვახტანგ ჯავახაძე, მიუხედავად იმისა, რომ უპირველესად პოეტია, კარგი პოეტი, ერთი წინასწარმეტყველების მიხედვით, მკითხველისთვის მაინც „უცნობის“ ავტორად იქცა. თუმცა მისი პოეტობა სულაც არ დაგვიწყებია. დიახაც გვახსოვს, მოგვწონს და არ გვწყინდება ლაღი, მსუბუქი, ჰაეროვანი, ძალდაუტანებლად მორაკრაკე სტრიქონების კითხვა. აი, რას წერს პოეტი „ლექსიდან ლექსამდე“, ე. წ. თავისუფალ დროს, უფრო სწორად კი, საკუთარ თავთან მოსაუბრე, რაზე ფიქრობს, რაზე ოხუნჯობს, რა მოსწონს, რა — არა და კიდევ ათას საინტერესო კითხვას მისივე „ჩანაწერები“ უპასუხებს.

რა გასაკვირია, რომ ვახტანგ ჯავახაძესაც უძებნია, უკვლევია ქართველთა ეროვნული თვისებები და ერთ-ერთ უპირველესად ლუარსაბობა მიუჩნევია. მისი დაკვირვებით, ჭამა-სმის სიყვარული იმდენად მკვეთრადაა გამოხატული ჩვენში, რომ ყველა სხვა (კარგ თუ ცუდ) თვისებას აჭარბებს. აკი თვით ილიამაც საკუთარი თავიც მოიაზრა ლუარსაბში (ტარიელ ჭანტურიამ ჰეროსტრატეს შთამომავლებად მიგვიჩნია). არ არის ეს, ცხადია, თანამემამულეთა სიძულვილი. უფრო ტკივილს იმარხავს ასეთი დახასიათებანი, ვიდრე ნიშნის მიგებას ან თუნდაც ინდიფერენტიზმს.

შეუძლებელია, მკითხველი არ შეძრას იმ სითბომ და სიყვარულმა, რომელსაც მწერალი თავისი მასწავლებლების მიმართ ამჟღავნებს. სკოლის მერეც გაგრძელებული გულთბილი ურთიერთობა, ცხადია, მოსწავლის გამორჩეულობაზეც მეტყველებს და მასწავლებლისაც (უნებურად გაგახსენდება კაცს, სოკრატე რომ არ ყოფილიყო, პლატონიც არ იქნებოდაო).

გასაკვირი არაა, რომ მთელ „ჩანაწერებს“ გალაკტიონი მსჭვალავს. წიგნის ერთი ნაწილი გალაკტიონს ეძღვნება, მაგრამ სხვა თემებთან დაკავშირებითაც ხშირად ახსენებს მას ავტორი. სადაც არ ახსენებს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, იქაც კი გულისხმობს. გალაკტიონის ლანდი უჩინრად მუდამ თან სდევს და სინათლისა და ჭეშმარიტებისკენ მიუძღვის.

საკუთარ თავზე თუ ვერ ვიტყვი სიმართლეს, სხვებზე ხომ მაინც ვიტყვი სრულ სიმართლესო,— თავს იცავს უჩინარი მოპა-

ექრისგან ბატონი ვახტანგი. სხვებზე — ანა კალანდაძეზე, მურმან ლებანიძეზე, გურამ ასათიანზე, გურამ დოჩანაშვილზე... უცხოელ მწერლებზეც და არამწერლებზეც მართლაც ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ. უფრო ფასეული კი სწორედ ისაა, რომ ამ „ჩანაწერებმა" სწორედ ავტორი გაგვაცნო. გარდა იმისა, რასაც მკითხველი თავად მიხვდება და იგრძნობს (გიორგი ლიონიძეს უთქვამს, წიგნი პოეტის აბანოაო), მწერალი ასე სცემს პასუხს შეკითხვაზე: „ვინ ვარ მე?" — პოეტი, რომელიც ყოველთვის ეძებს და ხანდახან პოულობს, ხოლო თუ ვერ პოულობს, მაინც ეძებს.. საუკეთესო თვითდახასიათებაა.

ლევან ბრეგაძის „მარგინალიებში" ჩანაწერები თემატურადაა დალაგებული, რაც კიდევ უფრო საინტერესოდ და იოლად აღსაქმელად აქცევს მათ. გაფანტულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ, სპონტანურად ჩაწერილ ფიქრებსა და განაზრებებს თავისი ხიბლი აქვთ, მოწესრიგებულს, სისტემატიზირებულს, თემატურ ყალიბში მოქცეულს — თავისი.

მწერლის თვალი, როგორც ხშირად ხდება, ხედავს და აღბეჭდავს მეტს და სხვანაირად, ვიდრე სხვებისა. ვთქვათ, პიროვნების დასახასიათებლად, ალბათ, მწერალი თუ მიაქცევს ყურადღებას ასეთ დეტალს: გიორგი ახვლედიანს უთქვამს მაგალი თოდუასთვის, აკაკის „ჩემ თავგადასავალს" ვერ ვკითხულობ, მეტირება და წნევა მიწევსო.

თვითირონიის კარგი ნიმუშია, როცა ბატონი ლევანი იხსენებს, როგორ დაიწყო ეპიგრამების თარგმნა მას შემდეგ, რაც ალმანახ „კრიტიკის" პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობიდან მოხსნეს. ამის გამო ჯარჯი ფხოველს უთქვამს: „სულ ვიძახი კაცი უსაქმოდ არ უნდა დატოვო, თორემ ლექსების წერას დაიწყებს-მეთქი".

სხვაგან კი ავტორი მსუბუქი იუმორით, მაგრამ მაინც საკმაოდ კრიტიკულად მოიხსენიებს ერთ ადრინდელ საკუთარ თარგმანს და ასეთ კომენტარს ურთავს: „ამ თარგმნის ავტორს სამი საგნიდან (არითმეტიკა, გეოგრაფია, უცხო ენა) ერთ-ერთი მაინც რომ უკეთ სცოდნოდა, ასეთი რამ არ დაემართებოდა!" დაშ-

ვებული შეცდომის შემჩნევა და ასე ლამაზად აღიარება მხოლოდ დიდი ბუნების, უაღრესად ერუდირებულ, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ, გემოვნებიან ადამიანს შეუძლია.

„მარგინალიების" ყოველი თავი (თუ კარი) თავისებურად მიმზიდველი და მომხიბვლელია, ხოლო რამდენიმე (მაგალითად, „თარგმანი, თარგმანი!") პირდაპირ სახელმძღვანელოდაც გამოადგება დაინტერესებულ ადამიანს.

წერა, მოგეხსენებათ, საზოგადოდ მასტიკურობასთანაა წილნაყარი, მითუმეტეს, მწერლის მიერ თავისთვის ჩანიშნული სიტყვა თუ ფრაზა შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს ბუნდოვანი, გაუგებარი. ლევან ბრეგაძის ეს ჩანაწერები, როგორც ჩანს, საგანგებოდაა გამოსაქვეყნებლად მომზადებული, რედაქტირებული. ალბათ, ამიტომაც ყოველი „ამბავი" ნათელია, დასრულებული, შეკრული — ზოგი გასართობი, ზოგი ჩასაფიქრებელი, ზოგი სავსებით მისაღები, ზოგიც საკამათო, მაგრამ ყველა ჭკვიანური, კარგად გააზრებული.

ოთარ ჭილაძის ჩანაწერები „ცა მიწიდან იწყება" ჯერ მარტო გარეგნულად იპყრობს ყურადღებას იმით, რომ მასში ავტორისავე ნახატებია გამოყენებული. გალაკტიონის ასოციაციას აღძრავს უნებურად (არამარტო ნახატების გამო, ცხადია. არის მათ შორის უფრო ღრმა სულიერი მსგავსება). წიგნს თამაზ ჭილაძის შესანიშნავი წინათქმა უძღვის, როგორც კარი დიდ, იდუმალ, უაღრესად ტევად სამყაროში შესასვლელად.

ოთარ ჭილაძე ქართველმა მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა, როგორც პოეტი, ხოლო მისი რომანები სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად იქცა. წინათქმიდან ვიგებთ, რომ ეს ჩანაწერები მწერლის რომანებზე ადრინდელია. მაშ საშუალება გვაქვს, თვალი გავადევნოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის აზრთა მდინარებას, მის ზიგზაგებს მანამ, სანამ რომანად იქცევა. ეს კი, დამეთანხმებით, დიდი ფუფუნებაა. არ არის ეს ნაწერები თავიდანვე მკითხველისთვის განკუთვნილი. ამიტომ, ბუნებრივია, არ ჩანს აქ მისი პროზისთვის დამახასიათებელი

სტილი. ჯერ არ გამოკვეთილა, ან იქნებ ნაფიქრის სასწრაფოდ ქაღალდზე გადატანას სწორედ ეს მარტივი, მხატვრულობისგან განძარცვული მეტყველება შეესაბამება.

თვით ისეთი მარადიული (ზოგჯერ მოდად ქცეული და ზოგჯერ მთლიანად უარყოფილი) თემაც, როგორიც სამშობლოს სიყვარულია, მოკლე წინადადებებით, მშვიდი ინტონაციით, „უბრალოდაა" გამოხატული. „ჯვარზე ვიყავით. ტაძრის ეზოში ნახირი ძოვდა. მზე ჩადიოდა მეწამული სხვები თვალისმომჭრელად იჩეხებოდნენ არაგვისა და მტკვრის ხეობაში". ამ ფრაზის სილამაზეს, გამომსახველობასა და ემოციურობას, ცხადია, ის ორიოდე ეპითეტი კი არ ქმნის, რომლებიც გამოყენებულია მასში, არამედ ღრმა, შინაგანი მუხტი, სიწრფელე, უშუალობა და ის მოუხელთებელი იდუმალება, რომელიც ქმნის კიდეც ნამდვილ მწერლობას.

მთელი ეს წიგნი რაღაცნაირად უფრო ინტიმურ გარემოში გვაცნობს მწერალს, თითქოს თავისუფალ დროს ყველა სხვა საზრუნავისაგან მოცლილი, მარტო შენ გიზის და ნება-ნება, სვენებ-სვენებით, აუჩქარებლად გესაუბრება — პირდაპირ, მართლად, შეულამაზებლად. და რაც უნდა თქვას, საითაც უნდა გადაიხაროს მსჯელობა, ბოლოს სათქმელი მაინც ერთგან იკვრის, ყველაფერს გვირგვინად ერთი აზრი, ერთი გრძნობა, ერთი ფიქრი ადგას: „არაფერია ამ ქვეყანაზე სამშობლოზე დიადი და საყვარელი..."

როსტომ ჩხეიძე არ არის ის კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარს, იგი მთლიანად შედგება ლიტერატურისაგან, — თვითონაც არაერთხელ აღუნიშნავს და სხვებსაც გაუმეორებიათ ფრანგ კაფკას ცნობილი გამოთქმის ეს პერიფრაზი. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს მისი „გამოსვლები უეკრანოდ" — ყოველდღიური ჩანიშვნა მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი, ემოციური ამბებისა, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს აზრის გამოთქმას, მსჯელობას, შეფასებას მხატვრული ნაწარმოებისა.

მკითხველს ახსოვს ბატონი როსტომის გამოსვლები პირველი არხის დილის პროგრამაში („ალიონი") და ახლაც გაუნელე-

ბელი ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს მის მიერ ახალი წიგნების მიმოხილვას საპატრიარქოს არხის გადაცემაში („განთიადი"). იმ საუბრების ერთი ნაწილის წიგნად გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ავტორი, როგორც ჩვევია, ყოველთვის პირუთვნელია. მისი ღრმა განსწავლულობა, უცდომელი გემოვნება, სამშობლოს სიყვარული განაპირობებს ამ შეხედულება-შეფასებათა სანდოობას. გარკვეულწილად ეს წიგნი კომპასივითაა გაშლილ ზღვაში (ან ტყეში) მოხვედრილი გამოუცდელი მოგზაურისათვის. გაგაოცებთ ჯერ მარტო სიმრავლე ავტორებისა, მერე მწერლის უნარი, მოკლე ჩანაწერით არსებითად დაახასიათოს ავტორიც, ნაწარმოებიც და ეპოქაც. ეს არ არის ერთხელ წასაკითხი წიგნი, რომლისგანაც მიიღებ ღრმა შთაბეჭდილებას, შეივსები, ისწავლი და გვერდზე გადადებ. ინფორმაციის მოცულობა და ანალიზის სიღრმე არ გაძლევს იმის უფლებას, ერთხელ წაკითხვა იკმარო. მას უნდა მიუბრუნდე. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ ჩახედო, დაინტერესდე შენთვის ჯერ კიდევ უცნობი ავტორითა და წიგნით, გაგიჩნდეს ნაცნობის სხვა თვალით წაკითხვის სურვილი.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ ჩანაწერები ხელუხლებელია და ავტორს ზედმეტად მიუჩნევია მათი გადამუშავება წიგნის გამოსვლის წინ, ასე უფრო მომხიბლავიცაა, რადგან მწერლის განწყობის გარდა, ქვეტექსტიც უფრო გამჭვირვალედ იკითხება. ისე, რომც მოენდომებინა, ბევრს, ალბათ, არას შეცვლიდა იმიტომ, რომ დრომ კი არ გაახუნა, მეტადაც კი წარმოაჩინა ამ ჩანაწერების სიმართლე და გულწრფელობა — როგორც ნამდვილ ფასეულობას შეეფერება.

ოთარ ჩხეიძის „დროდადრო" წმინდად დღიურია, ოცდაათწლიანი მონაკვეთის (1965-1995 წლების) მართალი და უტყუარი ქრონიკა. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს მხოლოდ ნაწილია იმ ჩანაწერებისა, რომლებიც თავისი ხელხვავიანობით ცნობილი მწერლის არქივში აღმოჩნდა. ნაწერები შიგნიდან, ახლოდან, ნათლად დაგანახებთ იმას, რასაც თვით თანამედროვეთა უმრავლესობაც კი გარედან, შელამაზებულ-შეფერადე-

ბულს ხედავდა. საოცარია, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ჩანაწერი ავტორს გამოსაქვეყნებლად არ შეუქმნია, ყველა, უკლებლივ ყველა შეკრულია კომპოზიციურად, დასრულებულ ნოველას ჰგავს (ეს ფაქტი, ალბათ, ფსიქოლოგებს კარგ მასალას მისცემს ოთარ ჩხეიძის პიროვნული თვისებების საკვლევად).

უმძიმეს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ რეალობას ხატავს ავტორი. კაცს ჟრჟოლა მოუვლის იმ უმსგავსობის შემხედვარეს, რის შესახებაც გვესაუბრება მწერალი. ოღონდ იმასაც აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას, რომ ტოტალური სიცრუის, ძალადობის, სიყალბის მსხვერპლი არც იუმორის გრძნობას კარგავს, არც სხვისი თანაგრძნობისა და რაც მთავარია, ყოველი ფრაზიდან ადამიანის სიყვარული გამოსჭვივის — მაშინაც, როცა მეგობრებს გვაცნობს, და მაშინაც, როცა მტრებზე გვიყვება. იუმორს არ კარგავს-მეთქი... კარგავს კი არა, ზოგი პასაჟი ისე გულიანად აცინებს მკითხველს, თითქოს იუმორისტულ ნაწარმოებს (ნიჭიერად დაწერილს) ან აბსურდისტულ თხზულებას კითხულობდეს. თუმცა მხატვრული გამონაგონი ვითომ რით არის ცხოვრებისეულ რეალობაზე ნაკლები და უმნიშვნელო? ესეცაა, იქნებ ახლა გვეჩვენება ის მოვლენები და სიტუაციები აბსურდად და სასაცილოდ, თორემ თავის დროზე, ვინ იცის, როგორ უყინავდა სულს ადამიანს.

ოთარ ჩხეიძის იდეალი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო იყო. სახელმწიფოს მთავარ საძირკვლად კი, თავისი დიდი წინაპრების მსგავსად, ენა და სარწმუნოება მიაჩნდა. მრავლისმთქმელია წიგნის გარეკანზე გატანილი ჩანაწერი: „საკვირველი მაინც ისაა, ისევ ეკლესიას რომ ვეჭიდებით ამ ურწმუნოების საუკუნეში, ისევ ეკლესიას რომ ვაფარებთ ენასა ჩვენსა, ისევ ეკლესიით რომ უნდა გამოვიხსნათ ენაი ჩვენი ანუ ერი ჩვენი...“

ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესთვისო, — ანდერძად იბარებდა V ს-ის დიდი მეფე, „თავის გაწირვა თუ შეგიძლიან, უბედურიც აღარ უნდა გეთქმოდეს ამა ამაო წუთისოფელში“ — მეოცე საუკუნიდან ეხმიანება დიდი მწერალი. სავალალო ის გახლდათ, გმირულად თავის გაწირვის საშუალებასაც რომ არ ტოვებდა ტრაგიკული თუ ტრაგიკომიკური ყოფა.

უამრავ საფიქრალს აღძრავს **მიხეილ ჯავახიშვილის** „უბის წიგნაკიდან“, რომელიც რამდენიმე წლის წინათ უკვე გამოსცა ლიტერატურის მუზეუმმა. დიდი მწერლის თითოეული სიტყვის მიღმა მთელი სამყარო დგას და მკითხველის გემოვნებასა და გუმანზეღა ჰკიდია, რას იგულისხმებს უთქმელში. ტრაგიკული ბედის შემოქმედს ბევრი ჩანაფიქრის ხორცშესხმა არ დასცალდა. ამიტომ, ბუნებრივია, დაუწერელ ნაწარმოებთა სევდა მსჭვალავს მისი უბის წიგნაკის მკითხველებსაც.

ჩანაწერთა გამომზეურების ერთი თვალსაჩინო მნიშვნელობა ისიცაა, რომ შესაძლოა, უხილავი ხიდი გაიდოს გარდაცვლილსა და ცოცხლებს შორის, ერთის ნაფიქრმა და ნააზრევმა სხვებს მისცეს ბიძგი სამეცნიერო ნარკვევებისა თუ მხატვრული თხზულებების შეაქმნელად.

მონათესავე სულთა სივრცეებში ასეთი შეხვედრის დასტურად ისიც იკმარებს, რომ როსტომ ჩხეიძის ექვსი თხზულება (მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და ალექსანდრე ბატონიშვილზე შექმნილი ბიოგრაფიული რომანებიც) სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკიდან“ ამოიზარდა.

ვინ იცის, კიდევ ვის და რას შთააგონებს ზენა ამ წიგნის მეშვეობით!

იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერებს ფრიად ორიგინალური სათაური აქვს: „არ ეწყინება ყოვლადძლიერსო“... ვითომ ერთგვარად ბოდიშის მოხდაა, შიშია, იმით, რაც დავწერე, უფალი არ გავანაწყენოო თუ სწორედ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული კაცის უკომპრომისობაა? ორსავე შემთხვევაში ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი და საინტერესოა. და რა? ჩანაწერებში კალამმომარჯვებული მწერალი და ჟურნალისტი კი არა, ხმალგაშიშვლებული მეომარი გვხვდება. ყოველ კულტურულ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ყოფით, ლიტერატურულ თუ სხვა რიგის მოვლენაზე ავტორს საკუთარი აზრი, საკუთარი პოზიცია, საკუთარი არგუმენტები აქვს. ეს აზრი ზოგჯერ ემთხვევა საზოგადოებაში გავრცელებულსა და დამკვიდრებულ შეხედულებებს, ზოგჯერ მკვეთრად განსხვავდება მათგან. მკითხველიც ხან თუ სრულად

იზიარებს ავტორის განწყობას, ხან, შესაძლოა, რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეს ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენისადმი, მაგრამ არასდროს არცერთ შემთხვევაში, გულგრილი არ რჩება წაკითხულის მიმართ.

„იოსებ ჭუმბურიძე ჩანაწერებისთვის კი არ წერს, არამედ ამ ჩანაწერებით საქმეს აკეთებსო", — სავსებით მართებულად შენიშნა გიორგი გოგოლაშვილმა თავის ჩინებულ გამოხმაურებაში და ამის დასადასტურებლად რამდენიმე მეტყველი ნიმუში მოიყვანა. ჭეშმარიტად, და ვგონებ, იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები ილიას სიტყვებსაც მოიხდენს: „მისი სიტყვაც თვითონ საქმეაო".

საინტერესოა, რომ წიგნს უძღვის ამონარიდები ექვსი მოღვაწის პუბლიკაციებიდან და ექვსივე როგორც ერთი, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს ავტორის სტილზე. მართლაც თვალშისაცემია: წიგნში აზრები არამარტო მართლად, საქმის ღრმა ცოდნით, არამედ ლამაზად, მიმზიდველადაა მოწოდებული, გადმოცემული.

გურამ ბათიაშვილის „სახეები და სიტუაციები" ნაწილობრივ დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა" და იმთავითვე გამოიწვია მკითხველის ინტერესი. ავტორი, ტომით ებრაელი, ქართველი მწერალია და ორივე სამშობლოს, ორივე ერს ერთნაირი თავდადებით ემსახურება. აქ სიტყვას არ განვაგრძობთ ქართველ-ებრაელთა მრავალსაუკუნოვან გამორჩეულ ურთიერთობაზე. ეს ისედაც საყოველთაოდაა ცნობილი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბატონი გურამი თითქოს სიმბოლოა, ცოცხალი განსახიერებაა ამ, ორივე ერისთვის თავმოსაწონებელი, ურთიერთობისა.

წიგნში პირველივე ჩანაწერი სიტყვის აპოლოგიაა. ასეცაა დასათაურებული – „სიტყვა" და მე მიხარია და მეამაყება, რომ გურამ ბათიაშვილი სიტყვას — დაწერილს, სცენაზე წარმოთქმულსა თუ სულაც ნაფიქრს — ასხამს ქებათა ქებას.

არ არის გასაკვირი, რომ წიგნის დიდი ნაწილი უჭირავს თეატრთან დაკავშირებულ ფიქრს, განსჯას, მოგონებებს. მწერლის განმარტებით, მისი სამგანზომილებიანი ცხოვრების ერთი

ნაკადი ხომ ქართული თეატრია. ბევრის მნახველი, ბევრის განმცდელი, გონებისა და გულის თვალით მხედველი მწერალი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას, იმწამიერ გრძნობებსა და განცდებს, როცა „ცხელ გულზე" ინიშნავს მათ ქაღალდზე. მკითხველისთვის დიდი ფუფუნებაა ამდენ ადამიანითან საუბარი, ამდენ ქვეყანაში მოგზაურობა, ამდენი კულტურის გაცნობა. ამ ფუფუნებას უშურველად იმეტებს ჩვენთვის მწერალი, ეგ კია, ალბათ, ეჭვი ეპარება პოეტის სიტყვების სიმართლეში: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა". თურმე შეიძლება ორი სამშობლო ჰქონდეს ადამიანს და ორივე ერთნაირად გულწრფელად, ცხელი გულით უყვარდეს...

ერთ წიგნში თავი მოიყარა მე-19 საუკუნის ოთხი ქართველი მწერლის დღიურებმა. **თეიმურაზ ბაგრატიონის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის** ჩანაწერები ერთმანეთისგან განსხვავებულია, როგორც საერთოდ ყველა დღიური და ამავე დროს, თითქოს რაღაცით ერთმანეთის მსგავსიც. მაინც რა აერთიანებს, რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან? გარდა ეპოქისა, რა თქმა უნდა, სხვის მიერ დაპყრობილი სამშობლოს ბედი თუ უბედობა. მათი ნაწარმოებებიდან ხან ცხადად მოისმის, ხანაც სტიქონებს შორის შეფარულად იკითხება კვნესა-გოდება, იკვეთება ზოგჯერ უაღრესად პესიმისტური განწყობა, არაიშვიათად კი — საკუთარი ღირსების შეგრძნებით განმტკიცებული ოპტიმიზმი. ყოფით დეტალებში საზოგადოებრივი ცხოვრება ჩანს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სანდო და მეცნიერულად შედგენილი შენიშვნებითა და კომენტარებით წიგნი სპეციალისტებისთვისაც ფასდაუდებელია.

თამაზ ჭილაძის „ოწინარი" 1948 წლიდან 2011 წლის ბოლომდე პერიოდულად იწერებოდა. მასში არეკლილია ავტორის განწყობილებათა ცვლა, საინტერესოდაა აღწერილი ოჯახური, ყოფითი გარემოც და საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებაც. ყურადღებას იქცევს მოკლე, მოკვეთილი

აფორისტული ფრაზები, ორიგინალური შედარებები, სამყაროს თავისებური ჭვრეტა. წიგნიდან მშვიდი, ფიქრიანი, ტკივილიანი მწერალი გვესაუბრება, რომლის ნააზრევი სხვებს, გონებით მხედველთ, შესაძლოა, გზად და ხიდად გამოადგეს.

უაღრესად საინტერესოა **გურამ რჩეულიშვილის** ჩანაწერები. თავისი ხანმოკლე ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე მხატვრული ნაწარმოებების გარდა უბის წიგნაკის პანორამასაც ქმნიდა — ხან ყოველდღიურ ამბებსა და მოვლენებს ინიშნავდა, ხან საკუთარ გრძნობებსა და განცდებს აღწერდა, ხან ფილოსოფიურ ფიქრებს ანდობდა ფურცელს, ფიქრებს, სამყაროს მრავალფეროვნებას რომ აირეკლავს, მომავალსაც წარმოიდგენდა, აწმყოს ხომ ყოველმხრივ უტრიალებდა, განსჯიდა, სულის ნებისმიერ მოძრაობას აკვირდებოდა, სწავლობდა ისე, როგორც ალბათ, ჩვეულებრივ იქცევიან ხოლმე მწერლები.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ნაწერები მწერლობისთვის მომზადებაა, უფრო — უკვე მხატვრულ სიტყვაში გაცხადებული აზრია. ამ თვალსაზრისით, გურამ რჩეულიშვილის „ჩანაწერები", როგორც კარგად არის აღნიშნული წინასიტყვაობაში, მისივე შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. ზოგჯერ დაუხვეწავი ფრაზაც შეგვხვდება, მაგრამ ამასთან ერთად დაკვირვებულ თვალთან, საკუთარ შემოქმედებით პრიზმაში გატარებულ ყოფასა და გულწრფელობასთან ერთად უკვე დიდი ოსტატობაც ჩანს და ისევ და ისევ ავტორის უსაზომო ნიჭიერებასა და შესაძლებლობებს ადასტურებს.

სხვათა შორის, საგანგებოდ უნდა ავღნიშნო, რომ ერთი სიამოვნებაა ამ სერიით გამოცემული წიგნების მცირე თუ შედარებით ვრცელი წინასიტყვაობების კითხვა (რომლებსაც კი ის უძღვის). ყველა რედაქტორი, ყველა შემდგენელი, წინასიტყვაობის ყველა ავტორი არამარტო პასუხისმგებლობითა და საქმის ცოდნით ასრულებს თავის მოვალეობას — ეს თავისთავად, — არამედ იმ მწერლისა თუ მოღვაწის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემითაც, რომლის „ჩანაწერებსაც" ამზადებს გამოსაცემად.

კატო ჯავახიშვილი, ივანე ამირხანაშვილი, როსტომ ჩხეიძე, ნინო სადღობელაშვილი, თამაზ ჯოლოგუა, გიორგი გოგოლაშვილი, ზვიად კვარაცხელია, თამაზ ჭილაძე... მათ შორის ზოგი რამდენიმე წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორიცაა.

ივანე ამირხანაშვილს ქართველი მკითხველი იცნობს, როგორც ჩვენ სინამდვილეში ერთ გამორჩეულ პუბლიცისტსა და მკვლევარს. მისი „თავისუფლების პარადოქსები" ჩვენი უკანასკნელი ოცწლეულის სარკეა. ოღონდ შემთხვევითი პიროვნების კი არა, ღრმა ანალიზის უნარის მქონე, მოვლენათა გულისგულში მწვდომი ადამიანის მიერ მოტანილი სარკე. მასში არეკლილი ჩვენი ცხოვრება უთუოდ უკეთესის დანახვის სურვილს გააჩენს. ავტორს კი, ილიას კონცეფციის მიმდევარს, ამით ჩვენი გაბრაზება კი არ უნდა, მომავლის კონტურების წარმოჩენა სურს, როგორიც გვინდა მომავალი, ისეთი საფუძველი უნდა შევუმზადოთ დღეს.

უაღრესად განათლებულმა, მსოფლიო ლიტერატურისა და ისტორიის მცოდნე კაცმა უამრავი მაგალითის, ნიმუშის მოხმობით სცადა დავერწმუნებინეთ, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლაშიც და თავისუფლების მოპოვების შემდეგაც ეროვნული იდეოლოგია უნდა წარმართავდეს სახელმწიფოს ყველა ნაბიჯს, ყველა ქმედებას, თუ არა და, თავისუფლებამაც იცის პარადოქსები—ვისთვის სასაცილო, ვისთვის ტრაგიკული.

თითოეული კრებული, ბუნებრივია, მის ავტორს გვაცნობს. ვის შემოქმედებასაც კარგად იცნობს მკითხველი, „ჩანაწერებს" მის ბიოგრაფიაშიც, მისი პიროვნების ჩვეულ აღქმაშიც რაღაც ახალი შტრიხი, მანამდე უცნობი თუ შეუნიშნავი სხივი შეაქვს ხოლმე. სხვაა, როცა ავტორი თითქმის სრულიად უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. მასთან შეხვედრა, პირველი და წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენა სწორედ ამ კრებულს ეკისრება. **ზურაბ ცხონდიას** „რაც უნდა დუმილით — მეთქვა" შესანიშნავი სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა ამ არაჩვეულებრივად მომხიბლავი ადამიანის გასაცნობად. მითუმეტეს,

რომ წიგნს უძღვის რედაქტორის, როსტომ ჩხეიძის ღრმად გააზრებული, ტევადი, ემოციური, ეფექტური წინასიტყვაობა. „ზუგდიდი ზურაბ ცხონდიაცაა, თავისი ქალაქის საუკეთესო თვისებათა შემკრები და გამამთლიანებელი საკუთარ არსებაში, არტისტული მგზნებარებით რომ მოაქვს სიტყვის მადლი და ძალა მსმენელამდე" (ციტატა წინასიტყვაობიდან).

იცის ზურაბ ცხონდიამ, რომ „დუმილი ოქროა რჩეული", მაგრამ ისიც არ ავიწყდება, რომ სოფლისა და ზესთასოფლის დამაკავშირებელი, სამყაროს არსისა და საიდუმლოს დამმარხველი, ადამიანის ადამიანობის დამადასტურებელი... მხოლოდ სიტყვაა, ამიტომ მოაქვს ესოდენ დიდი სიხარული მის მართალ, ძლიერ, სიცოცხლის სიყვარულით სავსე სიტყვას.

ლადო ასათიანის „ჩანაწერებს" ადრეც იცნობდა მკითხველი, ახლა კი მან ამ სერიის წიგნებიც დაამშვენა. ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პოეტის ნაფიქრი, ზოგჯერ გულუბრყვილო, უმეტესად კი ღრმა და ამაღლებული ნააზრევი ღვთიური ნიჭით არის აღბეჭდილი. როგორ ეფერება პოეტი ქართულ სიტყვას — როგორ ეძებს ხალხურ მეტყველებაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, ტოპონიმებსა თუ ანთროპონიმებში... ეძებს, პოულობს და კიდეც აქცევს ცოცხალ მარგალიტად. არ დასცალდა, როგორც თავად იტყოდა, წელიწადივით მწველი წადილის ბოლომდე ასრულებდა, თუმცა ულექსოდ ერთი დღეც არ უცოცხლია, თვით სიკვდილიც ლექსად გარდაქმნა და დაგვიტოვა ნათელი, სადა, ყველასათვის გასაგები და საყვარელი, თუმცა როგორც ივანე ამირხანაშვილი წერს, ჯერაც ბოლომდე აუხსნელი და შეუცნობი შემოქმედება.

ესმა ონიანის „ძველი რვეულებიდან". რატომ წერთ, რა სარგებლობა მოაქვს თქვენს შემოქმედებას? – კითხულობს მწერალი ქალი და კიდევ ერთხელ უტრიალებს ათასგზის ვერგადაწყვეტილ საკითხს. რა სარგებლობა მოაქვს ვისთვის? მწერლისთვის თუ მკითხველისთვის? თუ ორივესთვის? შესაძლო პასუხთა მთელი ამპლიტუდა ამ ორ პასუხს შორის მერყეობს: ან ყველაფერი

(უზარმაზარი, აუწონელ-გაუზომავი), ან – არაფერი. ესმა ონიანის განსაზღვრებით, წერს იმისთვის, რათა „არ ვაძლევდე მის [ადამიანის] სულს პირველადის, ბედნიერის, კეთილის დავიწყების საშუალებას," — ერთი საუკეთესო (ლამაზი და ჭეშმარიტი) ახსნა აუხსნელისა. ასეთი ამ წიგნში უამრავია.

ყველა ჩანაწერი (ზოგი ნოველადაც წარმოგვიდგება), სალაღობოცა და სავსებით სერიოზულიც, გვაახლოებს მწერალ ესმა ონიანთან, მხატვარ ესმა ონიანთან...

მინაწერი:

ამ ჩანაწერების მერე ამ სერიის კიდევ ბევრი წიგნი გამოვიდა. ყველა საყურადღებო, ყველა მნიშვნელოვანი. რაღა თქმა უნდა, მათაც არაერთი საინტერესო გამოხმაურება მოჰყვება, ხოლო „ჩანაწერებით" დასნეულებული მკითხველი კვლავ და კვლავ ელის ახალ გამოცემებს.

ნარმართი კოლხის შთამომავალი

(არჩილ ფირცხალავას ასლექსიანი კრებული)

დიდიხანია, კაცობრიობა დარწმუნდა, რომ ადამიანთა მოდგმაზე უფრო ძველი სამყაროს შესაცნობად, ჭეშმარიტების გასაგებად, სრული ჰარმონიის მისაღწევად არ არის, არა, საკმარისი აზროვნება. როგორი პერიფრაზითაც უნდა გამოვიყენოთ რენე დეკარტეს ცნობილი სიტყვები: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ", ყოველთვის მაინც კნინ, არასრულყოფილ განმარტებას მივიღებთ ადამიანის არსებობისა. ცხადია, არც მარტო გრძნობადი შემეცნება, არც გრძნობისა და გონების შერწყმა-შეერთება არ განაპირობებს, არ განსაზღვრავს უცნაურისა და უთქმელის წვდომას. რაღაც უფრო მეტი, უფრო სხვა, უფრო იდუმალია საჭირო.

სამყაროს სულის შესაგრძნობად, უფალთან კავშირის დასამყარებლად ღმერთს სიტყვა გაუჩენია. „პირველითგან იყო სიტყუაი". სიტყვა, რომლის შინაარსიც მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ შემოიფარგლება. ჯადოსნური სიტყვა, თავის თავზე აღმატებული, სიტყვა სიყვარულისა და რწმენისა — საკრალური, მოკლედ, პოეტური სიტყვა. მხოლოდ პოეტი ჭვრეტს კაცთაგან დაფარულს, პოეტი გვაახლოებს სიმართლესთან, პოეტს აქვს ძალა და შესაძლებლობა საგანთა და მოვლენათა სულის გახსნისა. პოეტის სიტყვას და სიტყვის იქით ნაგულისხმევს შეუძლია შეგვაგრძნობინოს ეჭვიც, ნუგეშიც, მარცხიც, გამარჯვებაც, სიმწარეც და სიხარულიც... პოეტი მიეზადება ჩვენს სულს „ცად მაღლად", ჩვენზე უფრო ნათელის,

ჩვენზე უფრო სრულქმნილისკენ, რომლის სახედ და ხატად ვართ გაჩენილნი და ურომლისოდაც არ გაგვეძლება.

ამ უცნაური და ამაღლებული სიტყვის, ნამდვილი, წრფელი პოეზიის მადლს აზიარებს მკითხველს არჩილ ფირცხალავას ლექსები. გამომცემლობა „ინტელექტმა" სერიით „100 ლექსი" მისი რჩეული ლექსებიც დაბეჭდა. კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი ლევან ბრეგაძე საინტერესოს, უცნაურს, შთამბეჭდავს... უწოდებს პოეტის შემოქმედებას, ხოლო თავად ავტორს ასე მეტყველად ახასიათებს: „სხვა კაცი იყო".

ვარსკვლავიან ცასა და თვალწინ დაფენილ ქვეყანას გადაშლილი წიგნივით კითხულობდა და სული წმიდის მადლით შექმნა სიზმარივით მშვენიერი და მოუხელთებელი სტრიქონები. ყოველდღიური ყოფის პატარ-პატარა წუხილთა თუ მოკრძალებულ სიამეთა ტვირთს ლექსთან, სიტყვასთან პირისპირ, მარტო დარჩენილი იხსნიდა ხოლმე უსაზღვრო ტკივილის ფასად, გაშიშვლებული ნერვებითა და სულით სხვას, მკითხველს უქმნიდა სევდიან და ამაღლებულ სამყაროს.

არჩილ ფირცხალავასთვის ახლობელია, „მოშინაურებულია" ყველა ადამიანის ფიქრი, ფიქრი საერთოდ. ფიქრი, რომელიც ადამიანს აამაღლებს, განწმედს, გაამშვენიერებს. სახრიანი სოფლელი ბიჭის ფიქრები, პოეზიად გარდაქმნილი თავისთავად მშვენიერია და უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს სურათი თან მოიყოლებს ფიქრებს გაუქმებულ სამრეკლოებზე. პოეტი, რა თქმა უნდა, თავისი დროის შვილია. ოღონდ უღმერთო საზოგადოებაში მცხოვრები, გრძნობს პასუხისმგებლობას წარსულის ლანდებისა და მომავლის წინაშე. მაშინ, როცა ადამიანებზე ღვთიური მადლი აღარ გადმოდიოდა, პოეტი წერდა:

გაუქმებული სამრეკლოები
თავს მახსენებენ
და ვით მეგობარს
მეფერებიან მუქი ჩრდილებით.

არჩილ ფირცხალავა ლექსით და ლექსში ცხოვრობდა. ყოველდღიურ რეალობას ლექსად გარდათქვამდა, მისთვის „ერთ

დროს ცას ლექსებად ეკიდნენ ჩიტები", მაგრამ ავმა, საზარელმა, მუხთალმა სენმა თითქოს შეჯიბრში გამოიწვია, თითქოს გაუქრო ხალისი, ნება და უნარი ლექსის წერისა, თუმცა პოეტი სიკვდილს როდის შეშინებია! ლადო ასათიანივით შეუდრეკელი, თავის საკრალურ მისიაში დარწმუნებული საკუთარ თავსაც და ყველა პოეტსაც ამხნევებდა:

იარე!
იარე!
თამამად იარე!
დიდ ბოდიშს მოვიხდით ყოველგვარ
სნებასთან,
ტკივილს რა ხელი აქვს პოეტის
ნებასთან,
პოეტი ათასებს უკურნებს იარებს,
იარე!

და რაც უნდა გტანჯოს წუთისოფელმა, რაც უნდა მახე დაგიგოს და გათრიოს, „სიყვარულს მაინც არ განერიდოო", — გვირჩევს თავად ამქვეყნად სიყვარულისთვის მოვლენილი ადამიანი. მან იცის, რომ სიცოცხლით ტკბობა ცოტა რამეა, რომ „უფრო მეტია მარადისობით ტკბობა". ამ კრებულში შესულ ლექსებს სიკვდილის აჩრდილი თან დაჰყვება. და ისიც იგრძნობა, რომ პოეტმა იცის საკუთარი თავის ფასი, იცის ნათქვამი სიტყვის ღირსება და თვისება. იცის, რომ ხალხში, ერში „გადაგდებული" სიტყვა არ იკარგება, არ ქრება, ავტორისგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას და მარად მოჰფენს „ზეციური რწმენის მადლს".

არჩილ ფირცხალავას რჩეულ ას ლექსში რამდენიმე თემის, ვარიაციის, ციკლის გამოყოფა შეიძლება. ერთი გამოკვეთილი თემაა დედის სახე, დედის არამარტო ყოფით, რეალისტურ პლანში, არამედ სიმბოლურ ასპექტში გააზრება. პოეტის „სანთელივით სპეტაკ დედას" მარიამი ჰქვია. ავტორი არ კეკლუცობს, არ აჭარბებს, არ აიგივებს დედა მარიამს ღვთისმშობელთან, თუმცა კარგადაა აქვს გააზრებული მისი და საერთოდ, ყველა დედის

დიდი მისია, „დანიშნულება და საღმრთო ვალი“. და მაინც, სხვათაგან განსხვავებული, უფრო მძიმე, უფრო ძნელია ჯვარცმული, ტანჯული კაცის — პოეტის დედობა:

დედაჩემი არაა მარიამ ღვთისმშობელი,
მაგრამ დედაჩემი პოეტის დედაა.

დედა ამ ლექსებში ხან დიდი ხნის უნახავი შვილის მოლოდინში გათეთრებული და ამ ჩუმი, უთქმელი სევდით განსპეტაკებულია, ხან ავადმყოფი შვილის საწოლთან მდგარი „დაისივით წყნარია“ და ირგვლივ სიმშვიდეს ჰფენს, მწუხარებაში ამაღლებული სხვასაც უმსუბუქებს მძიმე ტვირთს... პოეტს ეჩვენება, „სიზმარეთიდან გამოვიდა იმედი — დედა“, და თითქოს შავი გზა ნათდება, ასხივოსნდება, „ვარდისფერ გზად“ იქცევა. გულწრფელ სამადლობელს აღუვლენს ზეციერს:

მადლობა უფალს, თუ მოვკვდები დედის ხელებში,
თუ დედის ცრემლი ავგაროზად დამეკიდება.

ლექსი „კიდევ ცოტა ხანს“ ავტორის აღსარებაა, თვითგვემაა, მონანიებაა. „ეკლიანი“, „ღორღიანი“, „ჯავრიანი“ შვილი დედის წინაშე თავს დამნაშავედ, შემცოდედ გრძნობს. ამ უნებლიე ცოდვისგან არავინ არის დაზღვეული და თავისუფალი ამქვეყნად, მაგრამ პოეტი თავისი გაშიშვლებული, ფაქიზი, სუფთა სულით სხვაზე მძაფრად, სხვაზე მტკივნეულად, სხვაზე მომეტებულად წითლდება სირცხვილისაგან და თანაც „მზეს — როგორც დედის კალთას“ ეფარება. ლოცვას აღუვლენს შვილი დედას, რომლის სახებაც ლექსის ბოლოს ღვთისმშობლის სახებად მაღლდება. სტრიქონებს შორის ვხედავთ ლოცვად დამდგარ, თვალცრემლიან მგოსანს, გვესმის მისი ღაღადისი, რწმენითა და სიყვარულით გაჯერებული:

დამიცავ მოყვრის ღალატისგან,
კიდევ ცოტახანს

მტრებისაგან დამიცავ, დედი,
ნუ, სახიერო
ნუ, კეთილო,
ნუ, სასოებავ,
ნუ დაიღლები სიყვარულით.

პოეტს აქვს ყველაზე ძვირფასი და მშვენიერი საუნჯე — ფიქრის უფლება და ნაგრძნობის სტრიქონებად გადმოცემის უნარი.

მარტოოდენ შენ შეგიძლია,
შენ — ადამიანს შეგიძლია
ჯვარს დაემსგავსო, —

თავისუფალი ნების გამოხატვაცაა, ღრმად ნაგრძნობის „მოკლედ თქმაც“ და თუ გნებავთ, მოწოდებაც.

მთელი წიგნი თითქოს გამოთხოვებაა სიცოცხლესთან, მაგრამ არსად ისმის სულმოკლე ადამიანის წუწუნი, მხოლოდ ბუნებრივი სევდა, სიცოცხლის სხვა ფორმით გაგრძელებისთვის მზადება, უზენაესის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა მსჭვალავს თითოეულ ლექსს.

შენთან მე მაინც ვარ ვალდებული
მშვიდობით ჩემო ლამაზო სახლო,
მიცდის შავეთი განათებული
და მარადისი დუმილის ახო.

სახლი კი პოეტს, პირველ რიგში, ხალხის გულში აქვს. წინაპართა მძლავრ ნაკვალევზე ააგო თვითონაც ახალი შენობა, თავისი კვალიც ღრმად აღბეჭდა პოეზიაში. ენანებოდა თბილისი, სადაც „ფინაგენტებს ეჯიჯღინებოდა“, „სახლმმართველობას გულს უწვრილებდა“, პოეტებთან და ლოთებთან მეგობრობდა და ლექსით იწვოდა. ენანებოდა მშობლიური სოფელიც, რომელიც მუდამ თან სდევდა, სადაც უნდა ყოფილიყო, და ენანებოდა დიდი სოფელი — წუთისოფელი, რომელში ცხოვრების

შესაძლებლობა ერთხელ ეძლევა ადამიანს. თვითონ მიაჩნდა, რომ ეს შანსი ბოლომდე ვერ გამოიყენა. რა უბრალო და სევდიანად ლამაზია ეს სტრიქონები:

არ გაუგიათ აქ ჩემი მოსვლა
და ვერც წასვლას გაიგებს ვინმე.

სილამაზის ტრფიალი და ჩვეულებრივში უჩვეულოს დამნახავი და აღმომჩენი იყო არჩილ ფირცხალავა. აბა, ნახეთ როგორაა ამაღლებული ყოფითი მოვლენა ამ სტრიქონებში:

ასე მგონია — ლოცვას აპირებს
გლეხკაცი —
ხნულში რომ ჩამდგარა შიშველ ფეხებით —
ქუდს მოიშვლიპავს,
ცას ახედავს,
შუბლს მოიმშრალებს.

ენატრებოდა გარდასული, ეძვირფასებოდა ზღაპრებად და ლეგენდებად მოღწეული, ვინ იცის, როდინდელი ფესვები. ტყაშმაფები თუ როკაპები მისთვის რეალური არსებები იყვნენ, ცრემლით დასტიროდა მაფშალიას სიკვდილს, ავადმყოფობა რა მოსანატრებელია და ენატრებოდა ჩვენებური, ძველებური, ტრადიციული „ბატონები"... თავისკენ ეზიდებოდა ძირი, ლიბო, მიწის ყივილი,

და ქვითინებდა ჯიში წარმართის
წართმეული ცის უხმო სისველეს.

როგორც თვითონ წერს ერთ ლექსში, იგი არ ყოფილა მოზეიმე პოეტი, უფრო ცრემლიანი და დარდიანი მელექსე გახლდათ. აზიმზიმებული ბრბოსგან ისედაც განზე გამდგარს

ესიზმრებოდა სადღაც ხშირ ტყეში
განმარტოებით ჩამდგარი სახლი.

ეს არც ხალხისგან გაქცევას ნიშნავს, არც საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობათა ვერდაფასებას, მითუმეტეს, არ ნიშნავს მარადიული ღირებულებებისთვის ზურგის შექცევას. საკუთარი თავისკენ ჯიუტად და მტკიცე ნაბიჯით მიმავალ პოეტს სამშობლო არასოდეს დავიწყებია. ან დავიწყება რა სათქმელია – საქართველოთი ცხოვრობდა, საქართველოთი სუნთქავდა. წარსულში ეძებდა ძალას და რწმენას, მომავალს შეჰხაროდა, აწმყო ხომ თითქმის არც არსებობს პოეტებისთვის. სამშობლოს ყველა კუთხეს ეტრფოდა, ერთნაირად ეფერებოდა მთას და ბარს. ნიკო ლორთქიფანიძის ერთი მინიატურის პერსონაჟივით მასაც სურათი თუ რუკა „ახსენებდა, აძალებდა, ატკიებდა რაღაცას“ და იყო

მაინც ყოველთვის ქართველი
დარდით, ოცნებით, ღვიძილით.

სიამაყეს ვერ ფარავდა ცაიშის დანახვისას:

აქ შოთას მზე-წიგნს თარგმნიდა კოლხი
ფრანგთა ენაზე.

ვაჟას ნაფეხურში ჩამდგარს აღსარებასავით დასცდება:

განა სამეგრელო მეცოტავა,
განა „სისა-ტურა” დავივიწყე.

გრანელის ლანდი არ ასვენებს:

დავდივარ როგორც გრანელის ლანდი
და თბილისიდან გაქცევას ვლამობ.

სიმონ ჩიქოვანის გახსენებისას ნატრობს:

ახლა სადმე, სოფლად, მამა-პაპურად
ერთად ვიდგეთ ღვთისმშობელის წინაშე.

ყველაფერს, რაც ამქვეყნად ხდება, ღვთის ნება, უზენაესის მარადიული მზერა განსაზღვრავს, ღვთის მიწიერი გამოხატულება, მზე, საკრალური, მითიური, ყოვლისმომცველია ამ ლექსებში. ძველი, წარმართი კოლხების შთამომავალი პოეტი თავადაც ლოცვას აღუვლენს მზეს — სულივით თავისუფალს. მისი ძალისა და გავლენის სიტყვით გამოთქმა ძნელია, მაგრამ ავტორი სასწაულს ახდენს. თავადაც ძველ კოლხად გარდაიქმნება, ღვთის წინაშე მიწას რომ იყრიდნენ თავზე, ვითომ ცოცხლად იმარხებოდნენ. სათხოვარი, სახვეწარი, სანატრელი და საოცნებო კი ერთი აქვთ იმათაც და ჩვენც:

გინდა ვედრებად ჩაგვითვალე,
გინდა შეკედლებად ჩაგვითვალე,
გინდა განდგომად ჩაგვითვალე
ჩვენ სხვა ანდერძნამაგს არვის ვუბარებთ,
ვივლით საფლავებად, მუხად და ძელქვად,
ოღონდაც ყველა ქართველს ქართველი ერქვას,
ქართველი ერქვას – თავისუფალი!

მამული მისთვის სიგრძივ კი არა, სიმაღლით იზომება, ამიტომ სულერთია, ხარს რა ერქმევა – ლომა თუ ჩელა, ან ქალაქში მყოფს რა მოენატრება – ოდოჟღერი ყანა, ხარი თუ ვენახი, მთავარია, შენი სოფლის, მამულის, სამშობლოს ცა ნამუსის ქუდად გეხუროს კაცს საქვეყნო გზებზე.

გულწრფელად სურს პოეტს სამას არაგველს სამასმეერთედ მიემატოს და საოცარ პირობას, ფიცს დებს ღვთისა და ქვეყნის წინაშე:

მერე კი...
მერე,
როცა წავალ, ჩავიღვენთები,
მოვალ ბალახად,
ცხენის საძოვ ბალახად მოვალ
და
ისევ შენთვის გავაგრძელებ ყოფას,
მამულო.

მითოსი და რეალობა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა

(როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „შავი ჩოხა“)

ღმერთი თვითონ ირჩევს მოწამეს, თავის რჩეულს. საკუთარ ბედისწერას ვერავინ წაუვა. თუნდაც კაცის ცხოვრება გარეგნულად არაფრით ჰგავდეს საგმირო საქმეებისთვის სამზადისს, განგების ნებით, ერთი ხელის მოსმით, უცებ, ერთბაშად დაივიწყებს ყველა ამქვეყნიურ სიამეს, ახალგაზრდულ გართობა-შექცევას და საღვთო ვალის შესასრულებლად გადადებს თავს. ამგვარი მაგალითები იცის ისტორიამ.

გამოეცხადება ადამიანს უხილავი ხილულად, აბსტრაქტული კონკრეტულად, უხორცო ხორცშესხმულად, გამოეცხადება თავისი ჯადოთი და დაუძლეველი ხიბლით წაუძღვება ჯერ შეუცნობელი, მაგრამ ამავე დროს ნაცნობი გზებით დიად საქმეთა აღსასრულებლად. სამშობლოს ძახილი, მიწის ყივილი, სხვადასხვა სახით წარმომდგარა ლიტერატურაში – ხან ქალია (ახალგაზრდა ან მოხუცი), ხან ღმერთი, ანგელოზი, წმინდა გიორგი... სულაც უცნობი, საიდუმლო ხმა, რომელსაც ვერსად დაემალება მოკვდავი. ოღონდ ამ ხმის მოსასმენად და შესაცნობად ღვთის რჩეული უნდა იყოს კაცი, რაღაც შინაგანი თვისებებით, მაღალი სულიერებით მზადმყოფი უფლის სიტყვის მისაღებად...

ნაწყვეტი უოლტ უიტმენის ლექსიდან ეპიგრაფად უძღვის როსტომ ჩხეიძის რომანს „შავი ჩოხა“. მედგარ ძახილს ადევნებული კაცის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ხატავს უიტმენი მოკლედ, მაგრამ დასამახსოვრებლად. ეს ხმა ჩასძახის და არ ასვენებს რომანის ავტორსაც. „სულ ერთსა უწვრთის გულის ჭი-

რად" — ერის სულის შესაცნობად, სამშობლოს ბედის საძიებლად დაუღალავ ცდას და შრომას.

ამ გზაზე ერთი გამორჩეული წიგნთაგანია „შავი ჩოხა". მიხეილ ჯავახიშვილის დაუწერელი რომანის სათაური – რა უძირო სევდის აღმძვრელია სიტყვათშეთანხმება — დაუწერელი რომანი. ყველა აღუსრულებელი დიდი ჩანაფიქრი იწვევს ტკივილს და სინანულს, მაგრამ ვის ძალუძს სხვისი მოვალეობის აღსრულება? ყველას თავისი მისია აქვს განსაზღვრული ამქვეყნად, ამიტომ რომც არ არსებულიყო გასულ საუკუნეში დაუწერელი რომანი „შავი ჩოხა", ის ჩვენს დროში მაინც უნდა დაწერილიყო აუცილებლად როსტომ ჩხეიძის მიერ და ზუსტად იმ ფორმით, როგორითაც შეიქმნა.

დამარცხებული გმირები არ არსებობენ. მტრისგან ძლეული გმირი მაინც გმირია, სულიერად გამტკიცებულ-გაკაჟებული. მათი ბრძოლა, მიწყდომ-მოწყდომა არ მთავრდება, მათი სწრაფვა მარადიულია, მუდმივია, ამიტომაც არ კვდებიან გმირები. უფლის ხელდასხმულნი ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობენ, ოღონდ კაცი გვინდა, რომ მათი ნათელი სახე დაგვანახოს, მათი ხმა გაგვაგონოს.

„დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ", — წერდა ილია ჭავჭავაძე. „მაინცდამაინც ნუ დაიტირებთ, როცა საფლავებს გათხრიან ხვალ...

ისინი ეხსომებათ მარადიულად,
ისინი იცოცხლებენ მარადიულად,
ისინი ილაპარაკებენ მარადიულად,
მათ ხალხი მოუსმენს მარადიულად".

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახება არ არის დასავიწყებლად ან გასაფერმკრთალდებლად გასამეტებელი. „ჩვენამდე ზღაპრად მოსულიყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი და მისით ვითქვამდით სულს 70-წლიანი პყრობილობის ჟამს". თითქოს მისმა მონუმენტურმა ფიგურამ შეაკრთო ქართული მწერლობა.

როსტომ ჩხეიძის წიგნის გარეკანზე აღბეჭდილი შავჩოხიანი ვაჟკაცი უნებურად იწვევს თრთოლვასა და კრთომას. მისი გარეგ-

ნულად მშვიდი პოზა უაღრეს დაძაბულობას ფარავს, გლოვის სიმბოლო –შავი ფერი დარდსა და წუხილს აღძრავს, ვაჟკაცურ სახესა და მოელვარე თვალებში კი იმხელა რწმენა, ნებისყოფა და ურყევობა ჩანს, რომ ძრწოლას იმედი ენაცვლება.

„...აგვისტო-სექტემბრის მიჯნა კი კვლავაც თავბრუდამხვევად ტრიალებს და თავის წიაღში გვითრევს, და ის სისხლიც კვლავაც ისევე იხილვება, ვითარცა ახალდაღვრილი.

გადმოფენილა შავი ჩოხაც, დაკარგული კვლავ ამოჩენილა და ლანდიც ამოსდევს...

გლოვად... იმედად... იმედად... გლოვად... “.

როგორც დამახასიათებელია საერთოდ მხატვრულ-დოკუმენტური პროზისთვის და ნიშანდობლივია ამ რომანის ავტორისთვის, წიგნში ყველა ცნობა, ინფორმაცია, ამბავი, მოვლენა დოკუმენტური სიზუსტითაა გადმოცემული და უაღრესად სანდოა. მწერალი სხვადასხვა წყაროში – ისტორიულში, ლიტერატურულში, მემუარულში მოძიებულ მასალას ალაგებს, ამთლიანებს და ისე მოგვითხრობს არამარტო ერთი ადამიანის თავგადასავალს, არამედ ხატავს მთელ ეპოქასაც. არსებითად, ეს წიგნი არის ისტორიული გამოკვლევაც, ლიტერატურული ძიებაც და მხატვრული ნაწარმოებიც თავისი პერსონაჟებით, საზოგადოებრივი ცხოვრების ფონით, ფილოსოფიურ-ესთეტიკური განაზრებებით, კომპოზიციით... მხატვრულ ეფექტს ავტორი აქაც, ისევე როგორც სხვა რომანებში, იმითაც აღწევს, რომ არ მიჰყვება პერსონაჟის ბიოგრაფიას თავიდან ბოლომდე, დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ყოველი თავი (სულ ოცდაოთხი – სიმბოლურია?) დასათაურებულია მოხდენილად, შესაფერისად, რაც მკითხველს უადვილებს რთულ ლაბირინთში გარკვევას და მწერლის მხარდამხარ სიარულს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნებისადმი ჩვენი საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, თუმცა ცნობები ამ ეროვნული გმირის ცხოვრების შესახებ, სამწუხაროდ, ყველასთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა. ბუნებრივია, როცა რეალური პიროვნება მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟად იქცევა და ემპირიულ სინამდვილის გარდა მხატვრული სინამდვილის ქარგაშიც მოექცევა, მისი ცხოვრება მთელი სა-

ზოგადოებისთვის ნათელი, ახლობელი, გასაგები ხდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელისგულზე გადაიშლება. ამ რომანით როსტომ ჩხეიძემ საზოგადოებას, ქართველ მკითხველს დაუბრუნა და ახლოდან დაანახა თავისი საყვარელი გმირი – ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

დარდიმანდ, მოქეიფე ყმაწვილად იცნობდნენ თურმე ქაქუცას. იდუმალმა ხმამ, ღვთიურმა მოწოდებამ, სამშობლოს ძახილმა განაცდევინა მეორედ შობის მისტერია და უდარდელი ახალგაზრდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ალექსანდრე ბატონიშვილის მსგავსად, მისი სახელიც გაუიგივდა წინააღმდეგობის, რაინდობის, გმირობის სულს და, როგორც მოსალოდნელი იყო, ლეგენდითაც შეიმოსა.

მოხდენილი, მიმზიდველი თხრობა შიგადაშიგ დაძაბული და ამაღე;ლვებელი რომ ხდება, გვაცნობს ურთულეს ეპოქას თავისი წინააღმდეგობებით და ტრაგიზმით.

მაშინ, როცა ქართველები „ირყეოდნენ ვითარცა ლერწამი...", ქაქუცა ჩოლოყაშვილმა მტკიცედ გაუიგივა თავისუფლებისათვის ბრძოლა საღვთო ომს და ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია. ჯერ მარტო სიტყვითაც ხიბლავდა და აღანთებდა მსმენელს. კახეთის ერთ-ერთ სოფელში წარმოთქმული სიტყვა სოლომონ დოდაშვილის სიტყვა-მოწოდებისდარი ექსპრესიითა და ძლიერებითაა აღბეჭდილი.

ალექსანდრე სულხანიშვილის, დავით ვაჩნაძის, სოფიო ჩაჯავაძის... სხვათა ჩანაწერებს, მოგონებებს, გამოკვლევებს კრებს, ადარებს, სწავლობს, დაფარულსა და ნაგულისხმევსაც კითხულობს მწერალი და სრულ თავგადასავალს აღადგენს იმ კაცისა, რომელიც აქამდე თითქოს მხოლოდ ლეგენდის ნისლით იყო შემოსილი. ბელეტრისტულ თხრობას არაიშვიათად მეცნიერის ხელი ენაცვლება — ვის და რომელ ნაწარმოებში აისახა 24 წლის აგვისტოს ტრაგედია? სად, რომელ პერსონაჟში შეიძლება ვიგულისხმოთ ქაქუცა და მისი რაზმი? ვის შემოქმედებას მსჭვალავს გმირის ძიების მოტივი, სად არის მისი ფესვები? რომელია პირველი ქართული დოკუმენტური ნოველა? ამ და სხვა საკვლევი მასალის ჩართვა და მასზე მსჯელობა კი არ ამძიმებს რომანს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, უფრო ახალისებს, მუხტავს,

მკითხველის ფანტაზიას, წარმოსახავს ფრთებს ასხამს და ვინ იცის, გამოკვეთილი პრობლემის შესასწავლადაც აგულიანებს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ბოლშევიკების თვალში ჯერ მარტო თავისი წარმომავლობის გამო იყო დამნაშავე. თავადობა მძარცველის, მჩაგვრელის, საზოგადოების მტრის სახელთან გაიგივებულიყო. ამიტომ იოლად გავრცელდა ჭორი, თითქოს ქაქუცა თავისი კლასის უპირატესობის აღსადგენად იბრძოდა, რათა გლეხობა კვლავ ძველებურად ეძარცვათ და დაემონებინათ. მაგრამ ხალხი ადვილად როდი ტყუვდება. ხალხმა იგრძნო და დაინახა ქაქუცას ანთებული გული, მისი ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის ნამდვილი მიზანი: სამშობლო — უპირველეს ყოვლისა.

ქვეყნის თავისუფლება, დამოუკიდებლობა ის უმაღლესი იდეალი იყო, რომელთან შედარებითაც ყველაფერი პირადული ფერმკრთალდებოდა და უკვალოდ ქრებოდა. ამიტომაც აღიარეს შეფიცულთა რაზმის მეთაურად, მას გადასცეს დროშა, მისგან ელოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის საქმის გაგრძელებას. უაღრესად ექსპრესიულად არის აღწერილი ტყეში რაზმელების შეკრება, დასაბუთებულია, რომ სწორედ ქაქუცაა არსენა ოძელაშვილის პროტოტიპი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „არსენა მარაბდელი", ზოგან მოულოდნელი პარალელი გვხიბლავს. ავტორს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ძმობის წევრების შერჩევა გრიგოლ ხანძთერლის მიერ თავისი ძმობის წევრების შერჩევას ახსენებს, დროშის ჩაბარება მეთაურისთვის „არსენა მარაბდელის" ერთ ეპიზოდს ამოატივტივებს. სხვათა შორის, როცა დავით ერისთავის „სამშობლო" დაიდგა, რუსი კორესპონდენტი ყველაზე მეტად სცენაზე ქართული დროშების გამოჩენამ აღაშფოთა...

მწერალი ქმნის ალექსანდრე სულხანიშვილის, დავით ვაჩნაძის, შალვა ამირეჯიბის, სპირიდონ კედიას, სხვათა ცოცხალ, დასამახსოვრებელ პორტრეტებს. წვდება და ხსნის მათი ხასიათის არსს, პიროვნულ თვისებათაგან სწორედ არსებითს მიაქცევს ყურადღებას და მკითხველს ასე, სწორად დანახულსა და შეცნობილს უხატავს.

* * *

გმირი უთუოდ ლეგენდით უნდა შეიმოსოს. ლეგენდა თითქოს უფრო მეტად ინახავს მის ნამდვილ სახეს, ვიდრე რეალობა. ლე-

გენდის მიხედვით, ალექსანდრე ბატონიშვილს მფრინავი ცხენი ჰყავდა, ლეგენდამ უკვდავად წარმოსახა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. სიმონ ბერეჟიანი საერთო-სახალხო განწყობილებას გამოხატავდა, როცა წერდა: „მალე ზარს დაგცემთ თეთრ ტაიჭზე მჯდარი მხედარი; ცივ სამარიდგან ამოსული ჩვენი ქაქუცა “. მაგრამ ლეგენდით არამარტო სიკვდილის შემდეგ, არამედ სიცოცხლეშიც შეიმოსებოდა ქაქუცას სახელი.

რომანის ერთ თავს „მზექალას ლეგენდა და სინამდვილე" ჰქვია. აქ დიდი ოსტატობითაა მოთხრობილი, როგორ იქცა ნამდვილი ამბავი ლეგენდად. ციებისაგან დაუძლურებულ გმირს როგორ მოევლინა მეფის ნათლული ქალი, როგორ გაუძღვა წინ და შეუძლებელი შეაძლებინა. ისე როგორ იქნებოდა, რომ ეს ეპიზოდი დოკუმენტურ ნოველასაც არ დადებოდა საფუძვლად, თურმე ფრანგი მწერალიც მოხიბლულა ამ ამბით და ქართველი მზექალა სხვა ვისთვის? რა თქმა უნდა, ჟანა დ'არკისთვის შეუდარებია, მაგრამ შალვა ამირეჯიბის ის ნოველაც, ლუი ფორესტის ესკიზიც, ალექსანდრე სულხანიშვილის ჩანაწერებში გაელვებული მზექალაც ნებით თუ უნებლიეთ თვალს მიეფარა და ახლა როსტომ ჩხეიძემ გამოაბრწყინა მთელი თავისი დიდებულებით. მწერალმა მოულოდნელად შალვა ამირეჯიბის ნოველა ამირანისა და ფარნავაზის ეპიკურ თქმულებათა თარგზე მოჭრილად მიიჩნია, ქალის სახელი — მზის სიმბოლოდ... ამით მკითხველის გული და გონება კიდევ ერთხელ მძლავრად მისწიმოსწია, დამშვიდების უფლება არ მისცა, შეძრა, ააფორიაქა.

მსგავს რამეს თუ გულისხმობდა ილია, როცა აზრისა და გონების ფეხის ადგმაზე საუბრობდა.

სხვაც ბევრი რამეა ამ რომანში არამარტო თვალისა და საჩინო ყურისათვის საამო და სასიამოვნო, არამედ გულის ყურისა და გონების გამწვრთნელი, საკვები, მასაზრდოებელი.

ჯერ ისედაც ვერ ეგუებოდა ქართველი ქაქუცას უკვალოდ გაქრობას. ლეგენდაში გადასული გმირი ხომ უკვდავების შარავანდედითაა შემკული. ამ წიგნით კი როსტომ ჩხეიძემ სხვა თვალით გაგვახედა წარსულისკენ, სხვანაირად დაგვანახა აწმყოც და მყარი ხიდი გადო მომავლისკენ. ჩვენდა ნუგეშად ხმამაღლა, თამამად, სხვა მადლით ისმის: „მალე ზარს დაგცემსთ თეთრ ტაიჭზე მჯდარი მხედარი“...

საბაბად: ქართულ-აფხაზური ალბომი

სადაც ეშობილვარ, გავზრდილვარ...
...ჩემი სამშობლო ის არი.
რაფიელ ერისთავი

აი, მიზეზი აღტაცების,
აი, მიზეზი.
გალაკტიონი

2008 წელს პაატა ქურდოვანიძემ გამოსცა ქართულ-აფხაზური ალბომი (რედაქტორ-შემდგენელი — ხათუნა ჭურღულია). ამჟამად ჩემი სევდიანი სიხარულისა თუ სიხარულიანი სევდის მიზეზი სწორედ ეს წიგნია. ალექსი კახნიაშვილისა და ლუარსაბ ტოგონიძის მიერ აღდგენილი ფოტოები და სოფიო კინწურაშვილის დიზაინითა და გაფორმებით შედგენილი ალბომი კარგად გამოხატავს აწმყოსა და წარსულს შორის ბოლო დრომდე რუდუნებით მოტანილ კავშირს.

უყურებ ამ ფოტოებს და ასე გგონია, მაშინ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ადამიანები ქუდით ხელში, მოწიწებით, ფეხის წვერებზე დადიოდნენ. ესმოდათ ერთმანეთის ფასი, იცოდნენ ერთმანეთის გაფრთხილება... არის ამ სურათებში რაღაც არაამქვეყნიური, ჩუმი, ამაღლებული, სტატიკურად მშვენიერი, მაგრამ ამავე დროს ყველაფერი ცოცხალია, მოძრაობს, ფიქრობს, გეძახის, გეჩურჩულება, რაღაცას გკარნახობს. არ შეიძლება, ამ ალბომის მნახველს განსაკუთრებული გრძნობა არ გაუჩნდეს წინაპრებისადმი, აი ისეთი, წმინდა საიდუმლოს წინაშე რომ განიცდის მორწმუნე.

ეს ადამიანები — შარვაშიძეები, დადიანები, ემხვარები, დადეშქელიანები და სხვანი — ეროვნებით ერთმანეთისგან არ გა-

ნარჩევდნენ თავს. ეთნიკური წარმოშობით აფხაზები ქართველები იყვნენ და ორიოდე საუკუნის წინათ ეს ბუნებრივი, ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. თავიანთი სამკვიდროდან მოძალადის მიერ განდევნილი აფხაზი მთავრები ქუთაისში დამკვიდრების უფლებას ითხოვდნენ რუსეთის ხელისუფლებისაგან. ქუთაისიც მათი სამშობლო, საქართველო იყო, აქ არ იგრძნობდნენ თავს „უცხოობაში“.

ისევ ფოტოალბომს ვათვალიერებ. თვალშისაცემია — პატარა, უასაკო ბავშვები ზედმიწევნით ჰგვანან უფროსებს, თავიანთ დედ-მამასა თუ ბებია-ბაბუებს. მარტო სახის ნაკვთებს არ ვგულისხმობ, არც მარტო ჩაცმულობას. არის მათ მზერაში მოუხელთებელი, იდუმალი სხივი, რომელიც ერთნაირად მსჭვალავს უფროსებსა და უმცროსებს და დაურღვეველ დროთა კავშირს, მარადიულობას შეგვაგრძნობინებს. ყოველ ნივთში, ავეჯში, ჩასაცმელში, დეტალში, პოზაში ჩანს იმდროინდელი საზოგადოების დარბაისლური, სულიერად ამაღლებული ყოფა. აუხსნელი სასწაულით ეს ფოტოები წარსულს აწმყოდ აქცევენ და აწმყოს წარსულად. ალბომიდან მაცქერალი ადამიანების მშვიდი, მაგრამ მკაცრი მზერა გვაფიქრებინებს, რომ ისინი ტრადიციების მიმდევარი, ქვეყნისა და საქმის ერთგული, პასუხისმგებლობით აღსავსე, თავიანთი გენის ღირსეული მატარებლები იყვნენ.

ნივთების ხუჭუჭა ორნამენტები, ვარაყი, სევადი — თანამედროვე ცხოვრებისთვის ანაქრონიზმი თუ არა, ოდნავ ძველმოდური მაინც — გარდასულის ხსოვნას ინახავს და სევდით ავსებს გულს დროებით დაკარგულისა თუ დავიწყებულის გამო.

ლანდშაფტს, პეიზაჟს დიდი ადგილი არ უჭირავს სურათების გალერეაში, თუმცა მათი ერთობლიობა საუკეთესო ფონს ქმნის პორტრეტების „წასაკითხად“ და ეპოქის შესახებაც „მოგვითხრობს“.

ამაღლებული განწყობა, დიდებულების განცდა შემოაქვს გელათის, ბედიის, ლიხნის, ბიჭვინთის, ახალი ათონის, მარტვილის, დრანდის, სხვა ტაძართა ხედებს, სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა დროს გადაღებულ ფოტოებს. მათი ზემოქმედებით

ჩვენი სულიც „მიიზიდება ცად მაღლად“. ეკლესიები თავისთავად იწვევს რელიგიური მოწიწების გრძნობას.

„სულის აღმაფრენას ამაღლებული თაღები უნდოდა, ამაღლებული, ატაცებული, გუმბათებიც ატაცებული, სად აღვლენილი ალილუია ისეთ იდუმალ, ისეთ შემპყრობ ხმას გამოსცემდა, თითქოს თვით ღმერთი, მართლა ღმერთი გვეპასუხებაო, თითქოს ანგელოზები ფრთებს მოაშრიალებენ და სადაც არის, ძე ღვთისა გადმოდგება გუმბათზე. გადმოდგება და დიად მომავალს აუწყებს კაცთა“ (ოთარ ჩხეიძე, „ვასილ ბარნოვი“).

დღეს, სამწუხაროდ, გაუქმებულ ტაძართა, დაქვრივებულ ეკლესიათა ნაღველი და დარდი აწევს გულს.

არანაკლებ თვალწარმტაცია ბუნების სხვა ნატეხებიც. დროჟამის გამაუქმებელ, წარმავალობის შემაჩერებელ წამში არეკლილა ტყით დაფარული მთებიც და მოტიტვლებული კლდეებიც, ბობოქარი ზღვაც და მყუდრო ნავსადგურიც, ტბაც, მდინარეც, მარადმწვანე პალმებიც, დინჯი მდინარეც და ანკარა წყაროებიც. გოლიათი, უზარმაზარი ხეები თუ პატარა ბუჩქები და აყვავებული ველები მრავალფეროვან, ცვალებად, უცნაურ, შეიძლება ითქვას, სიზმარეულ ყოფას გვაზიარებს. აქ თითქოს ყველაფერი სიმბოლოა, ყველაფერი მეტაფორაა, მხოლოდ თვალი, ყური და გული უნდა ადამიანს, რომ დაინახოს, გაიგონოს და გაიგოს...

უნებურად მახსენდება: „ყველაფერი ჩვეულებრივია ქალაქ №-ში, არაჩვეულებრივია აქ მხოლოდ ზღვა, შავი ზღვა.

მე ყოველთვის სიზმარი მეგონა შავი ზღვა №-ს განაპირას. სიზმარი მგონია ახლაც... დიდებული რამ არის ის აქ, როცა გადაყრის აქეთ-იქით თავის ფაფარს, გაწვება გულაღმა და სპეტაკ ტალღებში სხივებს ათამაშებს, შეუდარებელი რამ არის ის თავისი მრავალფეროვნებით... მე ყოველთვის სიზმარი მეგონა ის აქ, №-ის განაპირას, მოჩვენება, ოცნება მეგონა და მგონია ეხლაც...

შემოდგომაზე სულ სხვა რიგათ იცვლება ის. შავი ზღვა ეხვევა ნაცრისფერ ტანთსაცმელში, არაჩვეულებრივი კვნესითა და ქშენით გორაობს ის ბუდეში და ოხრავს, თითქოს გვერდები სტკიოდეს... ხან კი ღამით ატეხს ღმუილს, ღმუის ხმამაღლა, გულდათუთქული, ღმუის, თითქოს ოციათასი მხეცი ერთად

შეყრილიყოს და ღმერთს შესჩივოდეს — მხეცათ რათ გაგვაჩინეო...“ (ჭოლა ლომთათიძე, „საპყრობილეში“).

ან: „თბილი დღე იყო და მზიანი, — იშვიათი ამ მზითა და სითბოთი განებივრებულ მხარისათვისაც ზამთარში. დაწყნარებული ზღვის მოალერსე, მშვიდი კამკამი დაუჯერებელს ხდიდა ხმად დარხეულ ამბავს.

ჰორიზონტი ნათელი იყო.“ (ლეო ქიაჩელი, „ჰაკი აძბა“).

თუნდაც სოხუმის საცურაო გურამ რჩეულიშვილის „ნელი ტანგოდან“ და სხვა.

და მაინც ბუნება მთელი თავისი დიდებულებისა და მშვენიერების მიუხედავად, მკვდარი იქნებოდა, მას რომ ადამიანთა პორტრეტები არ აცოცხლებდეს.

ამ კარგ წიგნში სურათებს თავიანთი შესაფერისი ტექსტი ახლავს, სადა და დინჯი სტილის მიღმა უდიდესი ვნებანი და მღელვარებანი რომ იფარება. თუმცა ამბავს, თუ გნებავთ, რომანს, სიუჟეტს, ხასიათებს მაინც სურათები თუ ნახატები ქმნის. ეს წიგნი ამართლებს იმ შეხედულებას, რომ „დიდი ხელოვნება მოწყალების გაღებაა სულიერად“ (მაკა ჯოხაძე).

ალბომი გიორგი შარვაშიძის პორტრეტით იხსნება. პოეტის ცხოვრების ამსახველ ფოტომასალას ამდიდრებს აქვე დაბეჭდილი მისივე ლექსები და შესანიშნავი ნარკვევი (აფხაზურად თარგმნა ესმა კოკოსკერიამ). წიგნის შემდგენელთა ჩანაფიქრი სავსებით გასაგებია. ყოველი ნამდვილი აფხაზის შესახებ შეიძლება იგივე სიტყვები გავიმეოროთ, რომლებიც გერონტი ქიქოძემ გიორგი შარვაშიძის შესახებ თქვა: „როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გიორგი შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც, რომელმაც შობა და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოჰკვება“.

სწორედაც უპრიანი იქნებოდა იმავეს გამეორება გიორგის ბიძის, 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, კონსტანტინე შარვაშიძის მიმართაც. არ არის ალბომში კონსტანტინე შარვაშიძის სურათი. ალბათ, ულმობელ დრო-ჟამს არ შემოუნახავს ჩვენთვის მისი სახე (იქნებ შვილის, ცნობილი მხატვრის, ალექსანდრე შარვაშიძის, ნაკლებად შესწავლილ პირად არქივში მოიძებნოს

მამის პორტრეტი). არადა, გულს აკლია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის, უმცროსი ძმის, კონსტანტინეს მოუხსენიებლობა სულიერებით გამორჩეულ აფხაზთა შორის.

მგონია, რომ უკეთესი მომავლისთვის ჩვენს ცნობიერებაში მუდამ უნდა ინახებოდეს კონსტანტინე შარვაშიძის ხსოვნა, არ უნდა უნდა წაიშალოს მისი ხატი, მისი სახება, როგორც სანიშნე სვეტისა, როგორც სიმბოლოსი ქართველ-აფხაზთა ერთიანობისა, საქართველოსა და აფხაზეთის განუყოფლობისა.

1832 წლის შეთქმულება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის თავგანწირული ბრძოლა შთამომავალთა აღფრთოვანებასა და პატივისცემას იმსახურებს ყოველთვის. პატარა ქვეყნის პირისპირ უზარმაზარი იმპერია იდგა. ბედის საზღვრის გადასალახად ნაბიჯის გადადგმას ქვეყნის ისეთი სიყვარული სჭირდება, ჭკვიანნი რომ ვერ მიხვდებიან. ასეთი ფანატიკოსები იყვნენ 1832 წლის შეთქმულები. ოღონდ მათ მოქმედებას მხოლოდ ცხელი გრძნობა როდი ედო საფუძვლად. მათ სწორედ გონებით, რაციონალურად, საშინაო და საგარეო მდგომარეობის გათვალისწინებით ჰქონდათ გამოთვლილი, გაზომილ-აწონილი, მოფიქრებულ-გააზრებული ყველა არსებული და შესაძლო გარემოება. და ვინ იცის, რომ არა ღალატი და გაცემა, როგორ წარიმართებოდა საქართველოს შემდგომი პოლიტიკური ცხოვრება. გამარჯვების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა — მთელი ქვეყნის გაერთიანება, აჯანყებაში მთელი საქართველოს მონაწილეობა — შეთქმულებს არათუ არ გამორჩენიათ, მეტიც, მთავარ სამოქმედო პროგრამად ჰქონდათ ქცეული. მეთაურები და ძირითადი ბირთვი შეთქმულებისა თბილისში იყო, ხოლო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ ე.წ. ემისრები, წარმომადგენლები ჰყავდათ. ემისრებს ევალებოდათ ამა თუ იმ კუთხის, რეგიონის მოსახლეობის იდეოლოგიური შემზადება მომავალი ბრძოლისთვის. აჯანყების დღეს ემისრებს უნდა ჩამოეყვანათ მებრძოლები თბილისში. ფაქტობრივად, ადგილებზე სწორედ ემისრები იყვნენ შეთქმულების მეთაურები.

ალექსანდრე ორბელიანს, ელიზბარ ერისთავს, სოლომონ დოდაშვილს დიდი ნდობა გამოუცხადებიათ თავიანთი მეგობრისთვის, კონსტანტინე შარვაშიძისთვის და აფხაზეთი მისთვის „ჩაუბარებიათ".

აფხაზეთის მფლობელის საფარბეი (გიორგი) შარვაშიძის მეუღლე, თამარი, კაცია დადიანის ასული იყო (იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის ცოლის, მარიამ დადიანის და). მათ სამი ვაჟი — დიმიტრი, მიხეილი და კონსტანტინე ჰყავდათ. ასე რომ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, მიხეილი კონსტანტინეს უფროსი ძმაა, ხოლო ცნობილი ქართველი პოეტი, გიორგი შარვაშიძე — მისი ძმისშვილი.

კონსტანტინემ, ისევე როგორც იმდროინდელ ქართველ და აფხაზ არისტოკრატთა უმრავლესობამ, რუსული სამხედრო განათლება მიიღო. 1831 წელს, პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, კონსტანტინე პრაპორშჩიკად მსახურობს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში და მონაწილეობს ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ამ მშრალი ბიოგრაფიული ცნობების მიღმა ჩვენს წინაშე დგას სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანი. მისთვის აფხაზეთი და საქართველო განუყოფელი ცნებებია. მან კარგად იცის, რომ აფხაზეთი საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია, ისევე, როგორც საქართველო აფხაზეთის გარეშე. ამიტომ ისწრაფის აჯანყებისკენ, ამადაც სურს, შეაგულიანოს, წააქეზოს აფხაზები, თავად ჩაუდგეს სათავეში, თავად იბრძოლოს საქართველოს და აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის. 1832 წლის 20 დეკემბრისთვის თბილისში გასაგზავნად 300 (ზოგი ვერსიით — 500, ან სულაც 2000) კაცს ამზადებდა და რა იმედით ელოდა რუსთაგან გათავისუფლებას!..

იმედის სანაცვლოდ — ჯერ ავლაბრის ყაზარმები, ხოლო შემდეგ — ვიურტემბერგის ჰუსართა რაზმი კავკასიაში დაბრუნების უფლების გარეშე.

ჩევკინის შეკითხვებზე, როგორც სხვა შეთქმულები, დაპატიმრებული კონსტანტინე შარვაშიძეც ვითომ გულუბრყვილოდ პასუხობდა, ყველა ბრალდებას უარყოფდა და ზოგჯერ ასევე

ვითომ გულწრფელი გაოცებითა და აღშფოთებითაც კი კითხულობდა, საქართველოს გათავისუფლება მე რატომ უნდა მდომოდაო. „მე არ შემეძლო გამომეყვანა ორი ათასი აბხაზი და ან განა შემეძლო ორი ათასი აბხაზით თბილისამდე მოვსულიყავ და მითუმეტეს გამენთავისუფლებინა საქართველო რუსებისგან; რა სარგებლობა უნდა მქონოდა მე ამისგან, როდესაც არც მე და არც ჩემს სახლს არ შეგვიძლიან აფხაზეთში არსებობა რუსეთის მთავრობის გარეშე" (გიორგი გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება", ტ. II).

ამავე დროს ვერ უარყოფს, რომ: „მე მართლაც ვიცნობდი სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, რომელიც გავიცანი ჩემი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ და ვიცნობდი ელიზბარ ერისთოვსაც...", თუმცა რაიმე შეთქმულებაში მონაწილეობას, ცხადია, არ აღიარებს. არადა, უფრო სარწმუნო ინფორმაციას იმავე დაკითხვის მასალებში ამის თაობაზე ვახტანგ ორბელიანი გვაძლევს: „ჩვენ ერთი მეორეს ხშირად ვნახულობდით... თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა. იცი თუ არა, მითხრა თავადმა შერვაშიძემ, რომ მე თქვენს განზრახულობას დიდი სარგებლობა შემიძლია მოვუტანოო; მე შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყოო; ...თავად შერვაშიძეს ჩვენს განზრახვაზე ელაპარაკა ჩემი ძმა ალექსანდრე და მგონია, ელიზბარ ერისთოვიც..." ახლა გასაგებია, რა საერთო უნდა ჰქონოდათ ამ „მამულის კაცებს" ერთმანეთთან და მოკლეხნიანი ნაცნობობის მიზეზიც და მიზანიც ნათელია.

ცბიერ ჩევკინს არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ კონსტანტინე შარვაშიძე იცნობდა ქართველ ბატონიშვილებს და ხშირი ურთიერთობა ჰქონდა მათთან. პეტერბურგში ბატონიშვილებთან სტუმრობა ხომ დანაშაულად ჩაუთვალეს და ბრალდებად წაუყენეს გრიგოლ ორბელიანსაც. „ყველა ესენი ჩემი ახლო ნათესავები არიანო", — თავს იმართლებდა და ვერც იმართლებდა გამოძიების წინაშე პოეტი. კონსტანტინე შარვაშიძესაც იგივე ხერხი მოუმარჯვებია, ნათესაური გრძნობების მოძალება-მოჭარბებისთვის მიუწერია ბატონიშვილებთან დაახლოება, მითუმეტეს, რომ რეალობა ამის სრულ საფუძველს

იძლეოდა. „დედოფალი მარიამი, რომელიც პეტერბურგში იმყოფება, ჩემი ალალი დეიდაა. ამიტომ მე ვიცნობდი იმ ბატონიშვილებს, რომლებიც მასთან სახლში დაიარებოდნენ. როგორც: ბატონიშვილი ირაკლი, ბატონიშვილი დიმიტრი, ბატონიშვილი ლუარსაბი, ბატონიშვილები თამარი და სალომე."

კონსტანტინეს დეიდა, დედოფალი მარიამი, იმერეთის უკანასკნელი მეფის, თავისუფლებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი სოლომონ II-ის მეუღლე იყო. მარიამ დადიანი გამოირჩეოდა თავისი გონიერებით, სათნოებითა და ვაჟკაცური შემართებით, სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით. იგი მხარში ედგა მეუღლეს და მარტო სიტყვით კი არ თანაუგრძნობდა, არამედ პრაქტიკულადაც ეხმარებოდა, „ერთი ადგილიდან მეორეში დაჰქროდა და საყვარელ მეფის და სამშობლოს დახმარებას ითხოვდა" (თამარ პაპავა). სოლომონის იმერეთიდან განდევნის შემდეგ „დედოფალი მარიამი მაინც არ სცხრებოდა, ყველას აგულიანებდა, ამხნევებდა, სწერდა და მოუწოდებდა..."

როგორც ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლების — დარეჯანისა და მარიამის — საქართველოში ყოფნა აშინებდა რუსეთის ხელისუფლებას, ასევე აშფოთებდა და საგონებელში აგდებდა იმერეთის დედოფლის ყოფნა სამშობლოში. იძულებითა და მოტყუებით მიაღწიეს რუსმა მოხელეებმა მიზანს, მარიამი რუსეთში გადაასახლეს. დედოფალმა თითქმის 25 წელი გაატარა პეტერბურგში, სადაც ის „მუდამ ეჭვისა და ზვერვის ქვეშ იმყოფებოდა."

1841 წლის 18 მარტს გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია იქვე, ნევის საკრებულოს ტაძარში.

ნაკლებად არის ცნობილი მარიამის საქმიანობა პეტერბურგში ცხოვრების დროს, თუმცა მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ მის ბინაში ხვდებოდა კონსტანტინე შარვაშიძე ქართველ ბატონიშვილებს და, სავარაუდოდ, მათგან იგებდა შეთქმულების ამბებს.

შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ საგამომძიებლო კომისიამ კონსტანტინე შარვაშიძე VIII კატეგორიის დამნაშავედ ცნო, ე.ი. იმ პირად, ვინც იცოდა შეთქმულების არსებობა და ვისზედაც

შეიძლება მიტანილ იქნეს ეჭვი, რომ თანაუგრძნობდა ამ შეთქმულებას...

თანაუგრძნობდა, გულით ეწადა, აქტიურად მონაწილეობდა, სხვასაც შთააგონებდა, გავლენას ახდენდა, უხსნიდა, ასწავლიდა. მართალია, შეთქმულებიდან არა გამოვიდა რა, უღვთოდ ჩაინაცრა დიდებული განზრახვა, მაგრამ უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია, მთლად არ დაკარგულა. დარჩა თავისუფლებაზე ოცნება და მებრძოლი სული, რომელიც შეურყვნელად გადაეცა შთამომავლობას. ბიძის ცხოვრების წესმა, მისმა მისწრაფებებმა უთუოდ ძმისშვილის, გიორგი შარვაშიძის მსოფლმხედველობაზეც იქონია სასიკეთო გავლენა. ასე ხელშესახებად გამოვლინდა ეროვნული ძარღვის უწყვეტობა, ყოველ შემთხვევაში მანამ მაინც, სანამ ბორბალი უკუღმა დატრიალდებოდა, თვალი ჩაიშლებოდა და ჯაჭვიც დაირღვეოდა... იმედი ვიქონიოთ, რომ დროებით, დროთა კავშირის კვლავ აღდგენამდე...

მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით, 1870 წლიდან კონსტანტინე შარვაშიძე მოსკოვში დასახლდა, სადაც 1883 წლის 18 ნოემბერს გარდაიცვალა. სიკვდილამდე ორი დღით ადრე იმპერატორისთვის უთხოვია, დამმარხეთ ჩემს დედ-მამასთან აფხაზეთშიო. სამშობლოს მონატრება უსერავდა გულს სიცოცხლეში. მოსკოვში ცხოვრება ოფიციალურად არ მიუსჯიათ მისთვის. მაგრამ ხელისუფლებისთვის საშიშ პიროვნებას ყოველ ნაბიჯზე აგრძნობინებდნენ, რომ „მისთვის ასე ჯობდა“, არაოფიციალურად აიძულებდნენ, მოშორებოდა, დაევიწყებინა მშობლიური, საკუთარი, თავისი... სიკვდილის მერე მაინცო, ივედრებოდა გულდამწვარი. კონსტანტინე შარვაშიძე დროებით დაკრძალეს მოსკოვის პოკროვის მონასტრის ეზოში. „მოსკოვსკი ლისტოკის“ ცნობით, იმპერატორმა შარვაშიძის თხოვნა შეიწყნარა და მას მალე გადაასვენებენ სამშობლოშიო. გარდაცვლილისა აღარ ეშინოდა მის უდიდებულესობას და ასე უშურველად ამჟღავნებდა თავის კეთილშობილებას.

არ არის კონსტანტინე შარვაშიძის სურათი ქართულ-აფხაზურ ალბომში. გასაკვირი არ იქნება, რომ დრო-ჟამს არ შემოენახოს ჩვენთვის ლეგენდად ქცეული კაცის ფოტო. მაგრამ

გულით მხედველი კაცის თვალი მაინც არჩევს მის სილუეტს წიგნის დასაწყისშიც, შუა ნაწილშიც და ბოლოშიც. ალბომის სპეციფიკა ისეთია, რომ მკითხველს ნებისმიერად შეუძლია შეავსოს იგი. წიგნი ღიაა, თავისუფალია ფანტაზიისთვის, ოცნებისთვის.

რა დიდი მიხვედრა და მტკიცება უნდა, რომ ეს ალბომიც და კონსტანტინე შარვაშიძეც ამჯერად საბაბი აღმოჩნდა ჩემთვის საკუთარი დარდის გამოსათქმელად. სხვას ვახსენებ და ჩემს გასაჭირს მოვთქვამ, სხვაზე ვსაუბრობ და ჩემსას ვგულისხმობ, სხვისი ბედით ვიწყებ და ჩემით ვამთავრებ.

ღიაა ოცნებისთვის-მეთქი და ოცნებაც ხომ იმისია, რომ ერთხელაც უნდა ახდეს...

მართალი პოეზია

(ლაშა გახარიას ასლექსიანი კრებული)

გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიით „პოეტის ასი ლექსი“ ლაშა გახარიას კრებულიც დასტამბა. შემდგენელი პოეტის მეუღლე — ნატიფი გემოვნების ქალბატონი, როზა ბერიკაშვილია, შესანიშნავი წინასიტყვაობის ავტორი კი — ერეკლე საღლიანი. კახმეგ კუდავას ამ წამოწყებამ დიდი ხანია მიიპყრო მკითხველის ყურადღება და აღიარება დაიმსახურა. მჯერა არც ეს კრებული დატოვებს გულგრილს პოეზიის მოყვარულთ.

პოეტი უფლის მოციქულია დედამიწაზე, საგანგებო დავალებით გამოგზავნილი. ყველანი უფლის წინაშე ვაგებთ პასუხს, მაგრამ რჩეულს პასუხისმგებლობაც მეტი აქვს ხოლმე... ეს პასუხისმგებლობა კარგადა აქვს გაცნობიერებული ლაშა გახარიას, რომელიც აქ წერდა, მაგრამ ცაში კითხულობდა. იგი შორიდან შეჰყურებდა საკუთარ შემოქმედებას და დიდი სამზერიდან მკაცრად აფასებდა. „ვით შემოგკადროთ ეს ნასუფრალი?“ — უკვნესდა გული პოეტს, თუმცა სულ ამაოდ.

ლაშა გახარიასთვის ენა ყველაფერია, ენა თავად ღმერთია. პოეტი ეფერება, ესათუთება ქართულ ასოებს, ქართულ სიტყვას, ქართულს საერთოდ. იაკობ ხუცესის, რუსთაველის, საბას... ქართულის მემკვიდრედ ყოფნა ადვილი არ არის, კაცი თავისი სურვილით ძნელად აიღებს ამოდენა ტვირთს, მაგრამ როცა ბედისწერას თავიდანვე ასე განუსაზღვრავს, სხვა რა გზა რჩება — უნდა ზიდოს მტანჯველი და თან საპატიო და სასიამოვნო ჭაპანი. ლაშა გახარია ღირსეული პატრონია ქართული ენისა. აღსანიშნავია, რომ პოეტს ძალიან ფრთხილად, ფაქიზად, ზომიერად

შემოჰყავს მეგრულძირიანი სიტყვები და ამით ამდიდრებს, ალამაზებს, აკეთილშობილებს ლექსსა და ენას. ურშვინა, კურცხე, თანაფა, ოხვამური... ქართულისთვის ახალი კი არა, დიდი ხნის დავიწყებული ძველია და დასაკარგავად ვერგასამეტებელი.

პოეტმა იცის, რომ ლექსის ერთი სტრიქონიც შეიძლება მთელ ცხოვრებას უდრიდეს — ერთი, გულისგულში გამოტარებული, მართალი, ცრემლიანი სტრიქონი. ხომ ყველას გახსოვთ ლადო ასათიანი:

რადგან ამქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო,
რადგან სხვა რამე, ლექსების გარდა,
ახლაც ვერ შველის ტკივილებს ჩემსას,
მჯერა, ამ დიად ბუნების კართან
მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად.

ახლა ლაშა გახარიას მოუსმინეთ:

რადგან მე ლექსით ვცოცხლობ და ვსუნთქავ,
რადგან მე ლექსის საფლავს მოველი...

ეს არ არის არც გავლენა, არც რემინესცენცია, ეს მონათესავე სულების შეხვედრაა.

ლაშა გახარიას ლექსების თემატიკა ტრადიციულ-ქართულია. დიდი ქართველების მსგავსად, მასაც სამივე დრო — წარსული, აწმყო და მომავალი — ერთიან განცდაში აქვს მოცემული. დიდგორი ამიტომ წარსული არ არის, ხოლო სამშობლოსთვის თავდადებულთ სანთელს კი არა, თითო ტაძარს უნდა ვუნთებდეთ. რომ არ დავლაჩრდეთ, რომ არ ჩავქრეთ, რომ არ მოვისრათ, მხნეობა, მაგალითი, ორიენტირი არ უნდა დავკარგოთ.

სიკეთისა და ბოროტების, სიკვდილ-სიცოცხლის, ღალატისა და ერთგულების მარადიულ საკაცობრიო წყვილებს პოეტის მზერაც მისწვდენია და ისე სულშიჩამწვდომად, სადად და უბრალოდ განუმარტავს, რომ დავიწყება შეუძლებელია..

ლადო ასათიანის „ბარდნალას“ თამამად უდგას გვერდით ლაშა გახარიას „მუხური“:

ხემარდიანში ნანათა,
მუხებით გადამუხლული,
მთაზე მიწნული კალათა —
ჩემი ლახარა მუხური...

სამშობლოს სიყვარული საკუთარი სოფლის, ორღობის, ოჯახის სიყვარულით იწყება. „წერილი დედას“ ერთგვარად პაოლო იაშვილს გვაგონებს. ჩამოდი, — ეხვეწება დედა, ჩამოვალ, — ირწმუნება პოეტი. დედაშვილური სიყვარული სოფლის იდილიის ფონზე სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, ზოგადდება და სამშობლოს განცდას უიგივდება. ხოლო „მუხურის მთვარეში“ ლამაზი მეტაფორა შემოგვანათებს: „მზემ თოთო თუთა ამოიყვანა და შეამშრალა სველ ცას ხელები“, და გამჭვირვალე ციდან უფლის ყოვლისმხედველი თვალი დაგვყურებს და გვანუგეშებს.

ალიტერაცია არ ქმნის ლექსს, მაგრამ ლექსის სამკაული, დამამშვენებელია. „ატენს ირთვება ატამი — შინდისელ შინდზე თხოვდება“, „ბონდზე ბოდავს აბლაბუდა ნისლი“, „წყალგამშრალი ბღავის ხობისწყალი“ და მრავალი კიდევ სხვა ისეთი ალიტერაციებია, რომლებიც მარტო გარეგნულ ეფექტს არ ქმნის. ყოველი მათგანი შინაარსის გახსნას, სათქმელის ზუსტად გადმოცემას, ნაფიქრ-ნააზრევისა და ნანახ-განცდილის მკითხველის გულამდე მიტანას ემსახურება. ამიტომაცაა ყოველი მხატვრული საშუალება, პოეტის მიერ გამოყენებული, ასე მნიშვნელოვანი და ღრმა დატვირთვის მქონე.

ამ პატარა წიგნში საკაცობრიო საფიქრალი ეროვნულს შეთანადებია, მოყმის დედისა და ვეფხვის დედის დარდს გაუსენავს სტრიქონები.

აქ სამყაროს ჰარმონია ირეკლება. სიცოცხლე თავისი მრავალფეროვნებით უფლის საჩუქარია, ამიტომ უნდა ძალ-ღონე მის ღირსეულად ტარებას. ქართველობა კი საამაყოცაა და საშიშიც ერთსა და იმავე დროს. იმიტომ, რომ იცი: „ნისლზე მჩატეა

ქუდი სვანისა, მაგრამ... მძიმეა მისი ტარება". იმიტომ, რომ კითხულობ: „მართლა ოთხია კვლა სახარება, თუ ერთით მეტი — „ვეფხისტყაოსნით!" იმიტომ, რომ ნატრობ: „ნეტავ, ამ თვალებს ჩაექცეთ ფსკერი, რომ ჩაიტიონ ეს სილამაზე"... და ასე დაუსრულებლად.

პოეტს შეუძლია ყოველდღიური ყოფის ნაცრისფერობა გაგვიფერადოს, პოეზიად აქციოს სრულიად არაპოეტური, მიწიერი, წვრილმანი მოვლენები; პოეტს შეუძლია ჩვენივე ტკივილები ხელისგულზე დაგვიდოს და სახიერად შეგვგრძნობინოს. ყველა ქართველის სატკივარი ასე გადმოგვცეს:

და მენანება სხვის თითზე რიწა —
გაწბილებული სასძლო ბეჭედი.

და თუმცა იქ ისევ წვიმს ან ქარია, დღე დღეს მიჰყვება, წელი წელს. მაგრამ... დრო დგას, დრო არ მიდის, დრო გაყინულა. ყველას თავისი დრო აქვს ამქვეყნად — დიდი საქმეებისთვის მცირე, წვრილმანებისთვის თავზე საყრელი (ბესიკ ხარანაული). ვისთვის რა არის დროის ათვლის წერტილი და საზომი, ლაშა გახარიასთვის კი თამარის მერე დრო სულ დგას, ამიტომ სვამს პოეტი ლექსის ბოლოს ცრემლის წერტილებს და ბოლოს და ბოლოს პოეტობაც ხომ სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ:

პოეტი... ერთი სანთლით მეტია,
ერთი საფლავით სხვაზე ნაკლები.

„ნურც სველ ლექსებზე დამემდურები, სულ წვიმდა... სული სადღა გამეშრო!" — მოგვმართავს მკითხველს და თავის გაშიშვლებულ, სათუთ, სველ სულს განძად და სახსოვრად გვიძღვნის.

მთავარია, სიყვარულისა გვჯეროდეს

(თამაზ ბაძაღუას სამი პიესა)

მრავალი სასიკეთო საქმის თაოსანმა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, როსტომ ჩხეიძისა და მალხაზ ბაძაღუას თაოსნობით, 2017 წელს თამაზ ბაძაღუას დრამატურგიული თხზულებების კიდევ ერთი კრებული გამოსცა — „ფარდის დაშვებამდე და სხვა პიესები", რომელშიც შვიდი თხზულება შევიდა. წიგნი საუკეთესო შენაძენია ჩვენი ლიტერატურისთვის და იმედი მაქვს, თეატრისთვისაც. ბაძაღუას დრამატურგია იმსახურებს, რომ ავტორის სიტყვა უფრო ხშირად ისმოდეს სცენიდან.

სხვისი ნაწერის ინტერპრეტაცია ავტორის პიროვნულობის გაგებას, შეგრძნებას გულისხმობს, რადგან მწერალი, ჩვეულებრივ, აღსარებას ამბობს ხოლმე საზოგადოების წინაშე. ეს კი მეტად ფაქიზი საქმეა.

წიგნში შესული პიესები ხასიათების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პერსონაჟები და სიტუაციები დახატულია ცოცხლად, დასამახსოვრებლად. პიესაში **„რექვიემი ვერცხლის ქორწილისათვის"** პერსონაჟთა ხასიათები მარტო ნაჩვენები კი არ არის, არამედ მისი გამომწვევი მიზეზიცაა ახსნილი. ოჯახის მამა, მირიანი, ამ დაუნდობელ სამყაროში მარტო გაზრდილა, უმეგობროდ, უნათესავოდ, უმამოდ, უფულოდ და უსახლოდ. იმ ცრემლებს, გრძელი და უძილო ღამეების ხსოვნას ისე ინახავს, როგორც მორწმუნე სასთუმალთან დაკიდებულ მაცხოვრის ხატს.

ახლა კი, როცა შექმნა, მოაწყო, მოამყუდროვა ცხოვრება, უნდა, ქალიშვილი, თეონა „კარგად" გაათხოვოს ანუ ქარხნის დირექტორის მოადგილის ვაჟს შერთოს ცოლად. კარგია საბურთალოზე

სამოთახიანი ბინა — საკუთარი წარსულის კომპენსაციას ამ ქორწინებაში ხედავს მირიანი. უფროსთან ქედმოხრილია, ცოლ-შვილთან — მბრძანებელი, წარსულს, როგორც ჩანს, საგანგებოდაც ივიწყებს. სოფელში, დედის საფლავზე, რახანია არ ყოფილა, ბიძაშვილის სახელს ვერ იხსენებს. ცოლის ბიცოლას იმ ოთახში არ უშვებს, რომელშიც სტუმრები სხედან, არაფრად ეპიტნავება ვერცხლის ქორწილში სიდედრის ჩამოსვლა, საერთოდ, ეს ვერცხლის ქორწილიც არაფრად უღირს. მარტო იმიტომ აწყობს წვეულებას, რომ ბატონი დავითი და, თუ იკადრებს, მისი ვაჟი დაპატიჟოს.

ავტორი შესანიშნავად ახერხებს, თავიდანვე გამოხატოს ამ პერსონაჟის ხასიათი და კონკრეტული მიზანი. როცა ცოლ-ქმარი მაგიდის გადაადგილებას ცდილობს, ჩვეულებრივად საუბრობენ, ოღონდ მაგიდის თაობაზე დაწყებულ წინადადებას მირიანი დავითის ხსენებით ამთავრებს ხოლმე და ამით ამჟღავნებს, რომ სხვა საფიქრალი და საქმე არა აქვს. მარტო სტუმარზე, მის ვაჟსა და საკუთარი ქალიშვილის გათხოვებაზე ფიქრობს.

სხვათა შორის, მაგიდის შესანიშნავი ჩუქურთმები საბურთალოს სამოთახიან ბინასთანაა დაპირისპირებული ქვეტექსტით. ტასოს, მეზობელს, ერთი მოსწონს, მირიანს — მეორე. მისთვის იდეალადაა ქცეული ვინმე ვახტანგ პეტროვიჩი, რომელმაც მძახალი საწყობის გამგედ დანიშნა, შინ ორი მოსამსახურე ჰყავს, რძალი არსად მუშაობს, მაგრამ ყოველ წელს საზღვარგარეთ დასეირნობს (ამას თამაზი მაშინ წერს, როცა საზღვარგარეთ წასვლა უმრავლესობისთვის მიუღწეველი ოცნება იყო, თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ სნობურ წრეებში ახლაც იზომება ადამიანის კეთილდღეობა იმით, რამდენჯერ დასეირნობს საზღვარგარეთ).

მირიანის ცხოვრების კრედოა: მიიკერონ შუბლზე თავიანთი სიკეთეები, თავიანთი ბოროტებები, თავიანთი სიყვარულები, მეგობრობები. მე ეგენი არ მჭირდება... თეონა უნდა მიხვდეს, რა არის ცხოვრება.

მთელი მარილი კი (როგორც იტყვიან, ინტრიგა) ისაა, რომ მირიანი სულაც არაა ერთი ხელის მოსმით უარსაყოფი კაცი - არც უნიჭოა და არც უგულო. ხის ფიგურებს თლის და ქრისტეს ჯვარცმაც აქვს შექმნილი. აბსურდის ნიმუშია ბატონი დავითის

ფრაზა: ქრისტე მარტო სურათებში მყავს ნანახი და ვერ შეგეკამათებიო. მირიანს კი მაინც მასთან დამოყვრება სურს და ამით ბედნიერების მიღწევა... აქაც და სხვა პიესებშიც ხშირად ისმის შეკითხვა: რა არის ბედნიერება? როგორც ჩანს, ავტორი გამუდმებით ფიქრობდა ამაზე. ანკი ვის არ უფიქრია და ვის გაუცია ამომწურავი პასუხი?!

მეუღლე, ნესტანი, ყველაფრით ქმარზე დამოკიდებული, მშიშარა, სუსტი ნებისყოფის ქალია. კი თანაუგრძნობს სიყვარულს, მაგრამ საკუთარი აზრის დაცვას ვერ ბედავს.

ამ მოჩვენებით სიამტკბილობას უპირისპირდება ახალგაზრდა თეონა. გახრწნილ ბედნიერებას უწოდებს მშობლების უსინდისო და უგულო ყოფას. უაზრობად და სიცარიელედ მიაჩნია უღირსად მიღწეული მატერიალური კეთილდღეობა. პიესაში ყველაფერი ბუნებრივია, რეალისტური და ისე ჩანს, თითქოს უფრო დღეისთვის იყოს დაწერილი, ვიდრე თავისი თანადროულობისთვის.

ამ — სიყვარულისთვის დახშული — სამყაროს გარდაქმნა, ჩაკეტილი კარის გაღება რომ ეჩვენებინა მწერალს, ეს ნაწარმოებს გაარომანტიკულებდა და ფანტაზიად აღვიქვამდით. არა, ასე არ ხდება პიესაში. ჯანყის მიუხედავად, თეონა მშობლებს ემორჩილება... ნათელ წერტილად კი ნაწარმოების ბოლოს კვლავ გამოჩნდება მაცხოვრის გამოსახულება.

ოსტატურად არიან დახატულნი ეგრეთწოდებული მეორეხარისხოვანი პერსონაჟები: პოეტური, მაღალი სულიერების მქონე, ახლა გალოთებული ბესო, რომელსაც ადრე ნესტანი ყვარებია, ახლაც არ არის მის მიმართ გულგრილი და ახალგაზრდებს მხოლოდ ერთს უსურვებს: გიყვარდეთ ერთმანეთი! დასამახსოვრებელია ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოებით განთქმული გულბაათი, დიდ მამულიშვილად, დიდ ქართველად სახელდებული თანამესუფრეთაგან. აქვეა სათნო, თბილი,ჭკვიანი, გამოცდილი ქალბატონი მარიამი, სიდედრი მირიანისა (სახელი, მგონი, შემთხვევით არ უნდა იყოს შერჩეული).

ამ დაძაბულ ურთიერთობებში მწერლის ჩუმი, ხალასი იუმორი გაკრთება ხოლმე. მაგალითად, გულბაათს ეკითხებიან: ეკ-

ლესიასტე თუ წაგიკითხავსო? — და ის პასუხობს, არ მახსოვს, ახალგაზრდობაში ბევრს ვკითხულობდი და მერე ერთმანეთში ამერიაო.

თამაზ ბაძაღუა მარადიული ღირებულებების - ერთგულების, სიყვარულის, სილამაზის — მეხოტბეა. ამიტომაა მისი პიესები მაღალი სულიერებით გამორჩეული. მათი სიცოცხლისუნარიანობა იმითაცაა გაპირობებული, რომ ავტორმა მიაგნო ადამიანის ხასიათში იმას, რაც მყარია, არ იცვლება, ნაკლებადაა დამოკიდებული პოლიტიკურ თუ სოციალურ ვითარებაზე. პიესაში **„როიალთან მხოლოდ ბავშვები მიდიან“** ბავშვი სიწმინდის, გულწრფელობის, უცოდველობის სიმბოლოა. ვაჩესა და ციცინოს ურთიერთობა ბავშვობასავით ამაღლებული, სუფთა, სათუთი, ნაზია. აქაც, როგორც სხვა პიესებში, მკითხველი უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რა არის ბედნიერება; საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს: ვინ ვარ მე? შემიძლია თუ არა წარსულის დავიწყება? როგორი ურთიერთმიმართებაა წარმოსახვასა და რეალობას შორის? რა არის სიმართლე, სიმარტოვე, სიჩუმე? ეს მარადიული საფიქრალია კაცობრიობისა და მოაზროვნე ადამიანები მუდმივად სხვადასხვა ჭრილში ხედავენ და გაიაზრებენ საკითხს.

ნაწარმოები ერთმოქმედებიანი, თუმცა მრავალშრიანია. აქ აღზრდის პრობლემაც იკითხება, მარტოდდარჩენილი ქალის ფსიქოლოგიაც ჩანს, არცთუ ზნეობრივი ქალის ქცევის სარჩული თუ საფუძველიც საინტერესოდაა გახსნილი და სხვა.

თამაზ ბაძაღუას ნიჭიერებას ისიც ათვალსაჩინოებს, რომ სხვადასხვა სიტუაციაში დასმული ერთი და იგივე საკითხი სულაც არ ხდება მკითხველისთვის მოსაწყენი. მაგალითად, სოფელში უპატრონოდ დარჩენილი მშობლების (ან მათი საფლავების) თემა გადადის პიესიდან პიესაში, მაგრამ ერთ შემთხვევაში ვხედავთ პერსონაჟის სინანულს: ახლა, ალბათ, მათ საფლავებს ათოვს... სხვაგან გულგრილობას: წავალთ, ჰო, ახლა მთავარია, დავითს დავხვდეთ კარგად; კიდევ სხვაგან — გულწრფელი : ისინიც მისახედები არიან! ან ფარისევლური: რას იტყვის ხალხი!

პიესაში ისმის რიტორიკული, მაგრამ დამაფიქრებელი შეკითხვები: რატომ ისწრაფის ადამიანი სულ ბედნიერებისაკენ,

სულ უზრუნველობისა და სიხარულისაკენ? ვინ შთააგონა, რომ რადაც უნდა დაუჯდეს, ბედნიერი გახდეს... ყველას ის უნდა, რომ არაფერმა აღაშფოთოს, არაფერმა ააფორიაქოს. არადა, აუცილებელია თუნდ ერთი წუთის თავისუფლება, რომ სხვანაირად შეხედონ ერთმანეთს და სამყაროს. თვითონ ავტორი უყურებს სამყაროს სხვანაირად — მისთვის ნამდვილი (ნამდვილი და არა ყალბი) ცხოვრება სიყვარულია. პიესის სათქმელს ვაჩეს სიტყვები გამოხატავს: ვიღაცას ვჭირდები. ხომ მშვენიერია. ვიღაცას უყვარხარ. არავინ ავალდებულებს, რომ უყვარდე, მაგრამ მაინც უყვარხარ.

დამახასიათებელია მისი სიტყვები ამხანაგურ სასამართლოზე, სადაც ფსიქოლოგიური გადაღლა სამსახურიდან წასვლი მიზეზად არ მიიჩნევა; პერსონაჟი ხმამაღლა და უშიშრად ამბობს: მე თავისუფალი ვარ. თქვენ ვერასოდეს გაიგებთ. მე ის მიყვარს.

პიროვნული თავისუფლების ქადაგებაა თამაზ ბაძაღუას ყველა თხზულების არსი. მის შესახებ ან პირდაპირაა ხოლმე საუბარი, ან მოქმედებაშია შეფარვით გამჟღავნებული.

პიესაში ყურადღებას იქცევს ეპიზოდი, როცა რომანტიკულ-სევდიან განწყობას კარნავალური მხიარულება ჩაანაცვლებს. საერთოდ, ეს ნაწარმოებები ფიქრის, განსჯის პიესებია და არა კარნავალური (მითუმეტეს, პანტომიმური). მწერლის ყურადღება ფსიქოლოგიური დეტალებისკენაა მიპყრობილი და არა გარეგნული ეფექტებისკენ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ამასაც მოხდენილად იყენებს. მეტყველებით პერსონაჟთა დახასიათება ახალი არ გახლავთ ლიტერატურაში. საცნაურია, რომ ამ ხერხს კარგად ფლობს წიგნის ავტორი.

„სახრჩობელაც" სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, სიკეთის ცნებებზე დაგვაფიქრებს, სხვა კუთხიდან შეგვახედებს ცხოვრებას. თავიდან მოქმედება ერთგვარ იდუმალებაშია გახვეული. ძნელი გასაგებია, ვინ არის ეს მისტიკური შავსათვალიანი, რა აწუხებთ, რატომ არიან ერთმანეთისგან გაუცხოებულნი პერსონაჟები... ეს ძაბავს მკითხველის (მაყურებლის) წარმოსახვას, ამძაფრებს მოლოდინს. აქ გახრწნილი გვამის სული ტრიალებს, „ადამიანების სული ყარს (როგორც უილიამ შექსპირთან

ან მიხეილ ჯავახიშვილთან დამპალი, აყროლებული სუნითაა გამოხატული გახრწნილი ყოფა, ურთიერთობები, სოციალური წყობა თუ სხვა). პირდაპირ ამ სამ პიესაში არსადაა გაკრიტიკებული სოციალისტური სისტემა (ნახსენებიც არაა), თუმცა ქვეტექსტებით, მინიშნებებით, ხაზგასმულად თავისუფლებაზე საუბრით, ჯვარცმის, სახარების ხსენებით, საფიქრებელია, რომ დრამატურგი სწორედ თავის თანამედროვე სახელმწიფოებრივ წყობას უპირისპირდება.

ყველა პიესა ავტორის ფიქრისა და განცდის გამომხატველია. მწერალი თვითონაა გარდასახული პერსონაჟებად (დადებითადაც და უარყოფითადაც). მისი პიესები არ გვმოძღვრავს, თუმცა უთუოდ გვიჩენს განცდას, რომ მთავარია, სიყვარულისა გვჯეროდეს, სიკეთისა და ერთგულების გვჯეროდეს, გვჯეროდეს მთელი არსებით, თავდავიწყებით, როგორც მორწმუნეს სახარება... და ეს ყველაფერი თეატრისა და ცხოვრების ფარდის დაშვებამდე უნდა მოვასწროთ.

მართალია, რომ მართალია

(ნათია ჭელიძის ბელეტრისტული დებიუტი)

ყოველი ახალი ნაწარმოები ახალი სამყაროა — ახალი ნაფიქრი, ახალი განცდილი. მოძველებულ და მრავალგზის აღწერილ-დამუშავებულ თემასა თუ საკითხსაც ახალ ჭრილში მოაქცევს შემოქმედი, ახალ კალაპოტს მისცემს ხოლმე ავტორი, საკუთარი შესაძლებლობების კვალობაზე. 20 წლის სტუდენტის დაწერილი მოთხრობისგან, უკეთეს შემთხვევაში, მომავლის პერსპექტივას თუ ელოდება მკითხველი. დავუშვათ, ვირწმუნოთ, რომ სიჭაბუკე და ლექსი ერთია, პროზას მაინც სჭირდება გამოცდილება, დაღვინება, ჭაბუკისთვის მიუწვდომელი სამზერიდან გადმოხედვა. თუმცა ხომ ყოველგვარ თეორიულ მსჯელობას აქარწყლებს ან ადასტურებს რეალობა. რეალობა კი ისაა, რომ ჟურნალ „მწვანეყვავილას" 2018 წლის №3-ში გამოქვეყნებული ღრმააზროვანი მოთხრობის — „ტყუილია, რომ მართალია" — ავტორი ნათია ჭელიძე 20 წლისაა, სტუდენტი.

მოქმედება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიმდინარეობს. ამას პირველივე წინადადებებიდან ვიგებთ. რამდენი ტანჯული სული მოხვედრილა იქ! რამდენჯერ აღწერილა იქაურობა ხელოვნებაში (ნაუცბათევი ასოციაციები: „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"; ნაზი შამანაურის დღიურები; ნაწყვეტი ალექსანდრე ყაზბეგის ერთ-ერთი ბოლო წერილიდან: „შემოიარე და დაარწმუნე ესენი, რომ მე კი არა ვარ გიჟი, არამედ ესენი გაგიჟებულან, რომლებიც მე გიჟად მხედავენ"... და, საერთოდაც, თუ ნოდარ დუმბაძეს დავუჯერებთ, მსოფლიოში ხელოვანთაგან მხოლოდ კრილოვი მოკვდა ბლინების ჭამით). ასე რომ, თხზულების დასაწყისი ბევრს არას

გვპირდება, თუმცა იმთავითვე ჩანს, რომ ავტორი განათლებული, გემოვნებიანი, პერსპექტიული, ნიჭიერი ყმაწვილქალია.

მოთხრობა მთლიანად სამკურნალოს ბინადარი კაცის დღიურია (ნაცადი ფორმა შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობის მტკივნეულ დეტალებამდე გასაშიშვლებლად). ერთადერთი მონათესავე სული კი მთელ დაწესებულებაში (ვიგულისხმოთ — მთელ ქვეყანაზე) 12 წლის, დიდი, შავი, მეტყველთვალებიანი, დაჭორფლილსახიანი ბიჭია.

ნათიას ნებით, საავადმყოფოს სრულ სითეთრეს შიგადაშიგ არანაკლებ ამაზრზენი ცხოვრებისეული სიჭრელე ენაცვლება. დროდადრო ჩვენც მოქმედ პირებთან ერთად მეტროს ვაგონებში ვხვდებით და ვეცნობით ჭუჭყიან, პატარა მათხოვარ გოგოს, რომელიც „ჩემს ძმას შიას" ძახილით ითხოვს მოწყალებას, იქცევს კეთილი მგზავრების ყურადღებას და ცოტაოდენ ფულსაც აგროვებს. ასე სარკისებურად აირეკლა ყოფა შემოქმედებაში. რთული კომპოზიციის მოთხრობაში კარგა ხნის განმავლობაში ეს ორი სიუჟეტური ხაზი ვითარდება — ფსიაქიატრიული კლინიკა და მათხოვარი მეტროში, მერე ვიგებთ, რა ამთლიანებს მათ... ჯერ კი აღმოჩნდა, რომ ის მშიერი პაწია ამ გოგოს ძმა კი არა, შვილი ყოფილა, ხოლო ფულს პირწმინდად ითვისებს უგუნლო, უგრძნობი შემკვეთი (უფროსი, ბოსი — ერთგვარად ჯაყოს რომ გვაგონებს). ბავშვის მამაც, სავარაუდოდ, იგია. თითქმის ნატურალისტურად, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დამაჯერებლად არის აღწერილი ავხორცი მამაკაცის ვნებები და ჯერ კიდევ უმწიფარი (მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ჰყავს) და უსუსური გოგოს მძიმე განცდები, როდესაც მასზე ძალადობენ.

ყოფის აუტანელი სიმძიმე, მოთხრობაში გაცოცხლებული, თვალის მოხუჭვის საშუალებას არ გვაძლევს. ავტორის მიზანი თითქოს უკვე მიღწეულია. ნაამბობმა შეგვძრა და აგვაფორიაქა. მაგრამ ეს ჯერ თხზულების რამდენიმე გვერდია. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის ის, რამაც დამზაფრა კიდეც, გამაოგნა კიდეც, გამახარა კიდეც და გამოხმაურებაც გადამაწყვეტინა.

აქ ზედმეტი არ იქნება, თუ ნათია ჭელიძის მწერლური ოსტატობის ნიმუშად მცირე ციტატას დავიმოწმებ:

„მტკვარში კი იქ, სადაც ერთ დროს მხოლოდ სევდიანი ფიქრები დაფარფატებდნენ, ახლა მდორედ ცურავდა ვარდისფერი პარკი, რომელშიც ორი მოხეტიალე არსების, ვინ იცის, იქნებ რამდენიმე დღის სამყოფი საჭმელიც კი იყო გახვეული“.

პოლიციელის, რომელმაც პარკი წყალში გადაუგდო, უგუნლობა უგულობად და ეს „იქ, სადაც ერთ დროს მხოლოდ სევდიანი ფიქრები დაფარფატებდნენ“ ერთ რამედ ღირს.

იმას, რომ ამბავი განზოგადებულია და არა კონკრეტული, ისედაც ვგრძნობთ და ეს ჩანაწერი კიდევაც გვიდასტურებს: „11 დეკემბერი იყო, ან 12, შეიძლება სულაც იანვრის 11 იყო, ანდა თებერვლის 24, 2005 წელი, ან 2006, იქნებ 2001?“ არა აქვს თარიღს მნიშვნელობა, ისიც იყო, ისიც და ისიც. ოღონდ ციოდა და ამ სიცივის, სულიერ სიცივესთან გადაჯაჭვულის, მნიშვნელობა საგანგებო ახსნას სულაც არ მოითხოვს, ყურადღებას — კი.

საერთოდ, თხზულებაში ერთმანეთს უპირისპირდება სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება, სინაზე და გულქვაობა, შინ და გარეთ, მაგრამ სტერეოტიპულად კი არა, ჩარჩოში ჩასმულ-გაქვავებულ-სტატიკურად კი არა, არამედ დელიკატურად, თითქმის შეუმჩნევლად, მწერლური სიფაქიზით. სხვათა შორის, მადლი, შუქი, სიხარული... წერასთანაა დაკავშირებული. ფურცელი და კალამი დაუშრეტელი გრძნობებისა და ბედნიერების წყაროს წარმოადგენს მთხრობელისთვისაც და მის ბედში მყოფი, თანაკლინიკელი მოხუცისთვისაც.

12 წლის ბიჭი ეხმარება პროტაგონისტს იმის გაცნობიერებაში, რომ ფსიქიატრიულ სამკურნალოში ყოფნა ჯობია გარეთ ცხოვრებას იმიტომ, რომ იქ უმწეობა, უსუსურობა, ბოროტება და კიდევ საშინელი, ყოვლისმომცველი სიცარიელე სუფევს, რომ მათნაირებისთვის იქ ადგილი არაა, რომ ღმერთი სიყვარულია და ბოროტებასაც აქვს რაღაც კეთილი, რომ ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება და სხვა.

პატარა პაციენტის ერთგვარად გაღიზიანებული და გამაღიზიანებელი საუბარი იმის შესახებ, რომ ღვთისა არ სწამს (თუ არსებობს, „ამაყია, პატივმოყვარე და შურისმაძიებელი?“), მკითხველზე სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ახ-

დენს. ამ თითისტოლა ბავშვმა იცის, რომ ადამიანს ჭირდება რწმენა იმისა, რომ ცხოვრება ერთი, თუნდაც ერთი არსებისთვის მაინც არის მშვენიერი; მას შეუძლია, მოხუცის თვალებში გამკრთალი სხივი სიყვარულად შეაფასოს და აღიქვას; მან იცის, რომ ყველა ადამიანი რაიმე გრძნობას განასახიერებს და ისიც მოეხსენება, რომ ადამიანს საკუთარი თავის შეცნობა ყველაზე მეტად უჭირს; მას ძალუძს ჩიტების ჭიკჭიკის კი არა, საუბრის მოსმენა და სიამოვნებს აყვავებული ხის ქვეშ ჩრდილში წამოწოლა და ღრუბლების ყურება...

საავადმყოფოდან გამოშვებული კაცის განწყობის გადმოსაცემად, ფსიქიკაში მიმდინარე უხილავი პროცესების შესაგრძნობად და გასათვალსაჩინოებლად ავტორი ფროიდს მიმართავს. გვიჩვენებს, როგორ გადაექცა მთხრობელს ქვეცნობიერი ცნობიერად. თუ აქამდე რთული და დახლართული გზით გვატარა მწერალმა, სწორედ აქ, ბოლოს დაგვიბეჯითა, რომ საკუთარ თავგადასავალს ჩვენი ნაცნობი მათხოვრის შვილი გვიყვება. ვიგებთ დედის ტრაგიკული აღსასრულის შესახებაც. დედა არ არის მეორეხარისხოვანი პერსონაჟი და არც დედაშვილობის თემაა უმნიშვნელო. და... თითქოს კიდევ რა? მეტი რაღა უნდა გვითხრას მწერალმა?

აი, აქ კი, ფინალში თხრობა მისტიკურ იერს იღებს. ყველაფერი ამოტრიალდა, გაცდა ყოველდღიურობის, ჩვეულებრიობის ფარგლებს და ტრანსცენდენტურის საზღვრებში, ირეალობაში შეიჭრა. ამ არაორდილარული ფინალისთვის ღირდა დაწერაც და წაკითხვაც.

თურმე ის 12 წლის ბიჭი თვითონ მთხრობელია. დღიურებს, როგორც ღმერთი, საკუთარი სული ანუ წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნე პატარა ბიჭი კარნახობს. უფალი ბავშვად, საკუთარი სულის განაყოფად მოევლინა. ეგებ მოხუცი პაციენტის თვალებში არეკლილი სხივიც უფლისმიერი სათნოების გამოვლინება იყოს.

დაავადებულნი ამ სპეციფიკური კლინიკიდან გარეთ ვერ გადიან? ამ შემთხვევაში გამონაკლისი მოხდა. მთხრობელი გამოუშვეს. მაგრამ ეს თითისტოლა ბავშვი როგორ მოხვდა გარეთ?

თურმე — არც როგორ. ორივე იქაა, სამკურნალოში. გარეთ ყოფნა ილუზიაა და აღარ იცი კაცმა, რომელია ილუზია — საავადმყოფო თუ თავისუფლება? ან არის კი განსხვავება მათ შორის?

ცემენტის დახორკლილ კედლებზე ამოჭრილი პატარა სარკმლიდანაც მოჩანს საყვარელი ხე, მის თავზე ღრუბლები და ხის ტოტზე ჩიტი, ლამაზი, პატარა ჩიტი... თავისუფლების, სილაღის, შემოქმედების, სილამაზის, ღმერთთან კავშირის, სულიერი ამაღლების, სამყაროს ჰარმონიის სიმბოლო. მთავარია, ადამიანს დანახვა შეეძლოს.

ჩიტის მზისკენ გაფრენა ხორცისა და სულის გაყრის მაუწყებელია? ტანჯული, ლამაზი სულის ბორკილებისგან გათავისუფლების მიმანიშნებელია? მთავარია, რომ მზე მაინც კიაფობს და მისი სხივები ანათებს და ათბობს მოთხრობის დასასრულსაც, მთავარ პერსონაჟსაც და მკითხველის გულსაც.

არ დაიჯეროთ, რომ მართალი ამბავი გიამბეთო, — გვეუბნება ნათია სათაურით — ტყუილია, რომ მართალიაო.

მოთხრობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს სამწერლო სივრცეში გამოჩნდა ღრმა გრძნობების, დიდი ანალიტიკური უნარისა და ძლიერი კალმის მქონე მწერალი. ეს კი მართალია, რომ მართალია.

ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის სათავეებთან

(სოლომონ დოდაშვილი)

მწერლობის, როგორც პროფესიის, სათავის ძებნა გაცილებით ახლო წარსულიდანაა შესაძლებელი, ვიდრე საერთოდ ლიტერატურის არსებობას ავითვლიდეთ. ფართო გაგებით, პროფესიონალ მწერლად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული ლიტერატურის ყველა სახელოვანი წარმომადგენელი – ჩვენამდე მოღწეული პირველი მხატვრული ნაწარმოების, „შუშანიკის წამების" ავტორიდან, იაკობ ხუცესიდან დაწყებული დღემდე. მაგრამ ვიწრო გაგებით, სიტყვა „პროფესიონალი" მწერლობაში გულისხმობს რამდენიმე რამეს. როგორც უილიამ ტოდი განმარტავს წერილში „დოსტოევსკი, როგორც პროფესიონალი მწერალი", უპირველესად „პროფესია" გულისხმობს „მოწოდებას". სწორედ ამ ნიშნით (ერთადერთი ნიშნით) მივიჩნიეთ პროფესიონალებად ყველა ქართველი მწერალი, რადგან მწერლობა მათი უდავო მოწოდება გახლავთ. ეს ის საქმიანობაა, რომელსაც ცხოვრების გარეგნული მდინარება კი არ მოითხოვდა მათგან, არამედ – სულის შინაგანი მდგომარეობა. უფრო მნიშვნელოვანი და ამავე დროს აუცილებელი ასპექტი მწერლის პროფესიონალად მისაჩნევად ის გარემოება გახლავთ, რომ სამწერლო საქმიანობა უნდა იყოს ავტორის შემოსავლის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) წყარო, არსებობის, ცხოვრების ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) საშუალება. ამ მეორე ნიშნის მიხედვით, დამეთანხმებით, პროფესიონალ მწერლებად ვერ მივიჩნევთ ძველი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებს, რაოდენ უცნაურადაც უნდა ისმოდეს, თვით რუსთაველსაც – ვერა.

ერთ-ერთ პროფესიონალ მწერლად ჩვენში მიჩნეულია აკაკი წერეთელი. ნონა კუპრეიშვილს აქვს მრავალმხრივ საყურადღებო წერილი: „აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი“ [კუპრეიშვილი 2016], რომელმაც დიდად შემიწყო ხელი კვლევაში.

სათავე მწერლობის პროფესიონალიზაციისა კი გაცილებით უფრო ადრეა საგულვებელი, ვიდრე აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ხანაა.

საქმე ისაა, რომ მწერალს თავისი საქმიანობით მატერიალური სახსრების მოპოვებისთვის აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტი – გამომცემელი, გამავრცელებელი, პრესა თუ სხვა. რადგან ეს ინსტიტუციები ჩვენში გვიან (XIX საუკუნის მეორე ნახევარში) ჩამოყალიბდა, ამიტომ, ერთი შეხედვით, გამოირიცხა პროფესიონალი მწერლის არსებობა მანამდე. და ეს მართლაც ასეა, თუმცა ჩანასახი მწერლობის პროფესიად ქცევისა XIX საუკუნის დასაწყისშივე შეინიშნება. ეს კი პრესის დაარსებასა და განვითარებას უკავშირდება. ერთ-ერთი სახეობა პროფესიული მწერლობისა სწორედ ჟურნალისტიკაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენში მწერლობის პროფესიონალიზაციის დაწყება პრესის გაჩენასთან, ჟურნალისტური საქმიანობის დაწყებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

პირველი ქართული გაზეთი, მოგეხსენებათ, 1819 წლის 8 მარტს გამოიცა თბილისში, მაგრამ რადგან არც რედაქტორი ჰყავდა და არც ჩვენი ხალხის ცხოვრებას ასახავდა, ცხადია, ამ გაზეთს ვერავინ გაიხდიდა ლიტერატურული შრომით მიღებული შემოსავლის წყაროდ. „საქართველოს გაზეთის“ (იმავე „ქართული გაზეთის“) შესახებ აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით, მისი დეტალური განხილვა არ გახლავთ ჩვენი მიზანი. 1828 წლიდან გამოსვლას იწყებს „ტფილისის უწყებანი“ სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით და 1832 წელს გამოდის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ იმავე სოლომონ დოდაშვილის თაოსნობითა და რედაქტორობით. თუ გაზეთი მაინც რუსული დედნის არსებითად მთლიანად თარგმანი იყო და ამდენად დიდად ზღუდავდა რედაქტორის საქმიანობას, პირდაპირ ხელ-

ფეხს უბორკავდა მას და, ცხადია, სხვა ავტორებსაც, ჟურნალი იძლეოდა საშუალებას, სრულად გამოვლენილიყო სარედაქციო პოლიტიკა. კაცმა რომ თქვას, ერთი პიროვნების, სოლომონ დოდაშვილის ნება, გემოვნება, მიზანი, გამოცდილება... განაპირობებდა ჟურნალის მთელ შინაარსს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილი უკვე გვევლინება პროფესიონალ რედაქტორადა და მწერლად.

უკვე ვთქვი, რომ „სალიტერატურონი ნაწილნის" საქმიანობას მთლიანად წარმართავდა მისი რედაქტორი. მართალია, ჟურნალის გამოცემის იდეა მისთვის ელიზბარ ერისთავსა და ალექსანდრე ორბელიანს შთაუგონებიათ, მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ეს ადამიანები მერე ან შედგენაში, ან მასალების მოძიებაში, ან გავრცელებაში ეხმარებოდნენ. თუმცა გამორიცხული არ არის, მცირე წვლილი მათაც მიუძღოდეთ თუნდაც წვრილმანი საქმეების მოწესრიგებაში. ძირითადად კი მაინც მარტო რედაქტორს უწევდა ჟურნალის იერსახის განსაზღვრა, განყოფილებების შემოღება, მასალების შერჩევა-მოძიება, ყველა ფინანსური საკითხის გადაწყვეტა. ზუსტად არ ვიცით, რა შემოსავალს აძლევდა ჟურნალი გამომცემელს. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ბევრს - არა. მეტიც, ფინანსური პრობლემები (ხელისმომწერთა სიმცირე) აღმოჩნდა საბოლოოდ ის მთავარი მიზეზი, რომელმაც ჟურნალის დახურვა გამოიწვია. თუმცა ის ხუთი ნომერი, რომელიც გამოვიდა, ჩანს, როგორც იტყვიან, საკუთარ ხარჯებს ინაზღაურებდა. ეს დაბრკოლება (ხელის მომწერთა სიმცირე) ვერც დოდაშვილმა გადალახა ისე, როგორც ვერც შემდგომი დროის რედაქტორებმა XIXს-ის 60-70-იან წლებამდე. რატომ, რა მიზნით ისურვა და მოკიდა ხელი დოდაშვილმა ჟურნალის გამოცემას? პასუხი თითქოს ნათელია: ჟურნალს უნდა მოემზადებინა საზოგადოებრივი აზრი მომავალი აჯანყებისთვის. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, ამჟამად ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი. საქმე ისაა, რომ თავის ერთ-ერთ ჩვენებაში სოლომონ დოდაშვილი აღნიშნავს: ჟურნალის გამოცემა სასარგებლოდ მიმაჩნდა... „იმიტომ, რომ ვფიქ-

რობდი გამოვასწორებდი ჩემს უმწეო მდგომარეობას, რადგან ჩემს ჯამაგირს მუდამ წინასწარ ვართმევდი ოჯახის გამოსაკვებად" . მართალია, დაკითხვაზე გაცემული პასუხები, გასაგები მიზეზის გამო, ხშირად სანდო არ არის ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში არ გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ შეთქმულთა მეთაურის გულწრფელობაში.

დოდაშვილი არ გახლდათ არისტოკრატიული წრიდან, არც მამულები გააჩნდა და არც მემკვიდრეობით მიღებული სხვა რამ ქონება, რომ საარსებო სახსრით უზრუნველყოფილად ეგრძნო თავი. მიუხედავად ამისა, ლიტერატურისა და მეცნიერების სიყვარულმა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიყვანა. იქ, პეტერბურგში, მფარველად, შემწედ, დამხმარედ გამოუჩნდა ცნობილი ქართველი მოღვაწე იონა ხელაშვილი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მამობრივი მზრუნველობა გაუწია ახალგაზრდა სოლომონს. მატერიალური შეჭირვება იმდენად საგრძნობი იყო, რომ სტუდენტი დოდაშვილი, მიუხედავად ჯანმრთელობის კატასტროფულად გაუარესებისა, იძულებულია, კერძო მასწავლებლად იმუშაოს და ისე ირჩინოს თავი (იონა ხელაშვილის რეკომენდაციით, ზრდიდა ბაგრატ ბატონიშვილის სამ შვილს).

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გაითქვა სახელი, როგორც მეცნიერ-ფილოსოფოსმა. სადიპლომო ნაშრომად დაწერილმა და გამოცემულმა მისმა „ლოგიკამ" მაშინვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება, კრიტიკოსთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და დამტკიცდა კიდეც სახელმძღვანელოდ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის. ამ წიგნმა გაუთქვა სახელი მის ავტორს საქართველოშიც. პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებულ 24 წლის ყმაწვილს ფეხზე დაუდგა მთელი ქალაქი. გამარჯვებული მთავარსარდლის დაბრუნებას შეადარა სოლომონ დოდაშვილის საქართველოში ჩამოსვლა როსტომ ჩხეიძემ. ფაქტობრივად, ამ წიგნით უკვე მოიხვეჭა ის სახელი და ხალხის ისეთი სიყვარული, როგორიც აკაკი წერეთელს ჰქონდა 40-45 წლისას. ასე რომ, სოლომონ დოდაშვილს უკვე ჰქონდა დამწყები პროფესიონალი მწერლისთვის საჭირო ყველა ნიშანი: ნიჭი, განათლება, მოწოდება და ჯერჯერობით იონა ხელაშვილის ფინანსური დახ-

მარება. ეს კულტურული და მატერიალური კაპიტალი კი საკმარისი აღმოჩნდა პროფესიონალი მწერლის კარიერის დასაწყებად.

სხვათა შორის, სწორედ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ესწრაფვოდა სოლომონ დოდაშვილი, როცა თავისი დაწერილი სახელმძღვანელოები გიმნაზიელებს შეაძენინა. ცნობილია, რომ დოდაშვილი გიმნაზიაში რამდენიმე საგანს ასწავლიდა. თვალნათლივ დაინახა სახელმძღვანელოების სიმწირე და ზოგჯერ სულაც არარსებობა, გაიცნობიერა სწავლებისა და მოსწავლეთა მხრიდან საგნის ათვისების მთელი სირთულე სახელმძღვანელოს გარეშე და ამიტომ ყველა საგნის (რომელსაც თვითონ ასწავლიდა) სახელმძღვანელო დაწერა. მთავარი მიზანი ამ წიგნების შექმნისა, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო გახლდათ. ამით მასწავლებელმა გაუადვილა მოსწავლეებს სხვადასხვა მეცნიერების შესწავლა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ რუსული და ევროპული ცხოვრების მცოდნე დოდაშვილმა ეს წიგნები შემოსავლის წყაროდაც გაიხადა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ მწერლობას დოდაშვილი უყურებდა, როგორც პროფესიას და ამ ფაქტს ვერ გააბათილებს ის, რომ იგი გიმნაზიის მასწავლებლად მუშაობდა. სხვათა შორის, შემოსავლის წყაროს, რომელიც მუდამ აკლდა, იგი სხვა რამეშიც ეძებდა. იონა ხელაშვილს უზიარებდა, რომ სიღნაღში კარგი იქნებოდა დუქნის (დუქნების) შეძენა და ზედ სასტუმროს დაშენება, რომ საკუთარი ეტლი დაუზოგავდა ფულსა და დროს და სხვა. და საწყისი თანხა რომ ჰქონოდა, ვინ იცის, დიდი კომერციული საქმიანობაც გაეშალა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკითხველთა აუდიტორია მრავალრიცხოვანი არ იყო, თუმცა, როგორც თამაზ ჯოლოგუა აღნიშნავს, „სალიტერატურო ნაწილის"... გავრცელების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართო იყო. დოკუმენტურად დასტურდება, რომ, გარდა თბილისისა, ჟურნალს იწერდნენ და კითხულობდნენ მოსკოვში, პეტერბურგში, გორში, მუხრანში, ქვათახევში, შუამთაში..." დავძენ, რომ „ლოგიკის" გავრცელების არეალი კიდევ უფრო ფართო გახლდათ, (მთელი რუსეთის იმპერია), ხოლო სახელმძღვანელოების მკითხველები, ძირითადად, გიმნაზიელები იყვნენ.

ამასთანავე, სოლომონ დოდაშვილი, ამჟღავნებდა პროფესიონალიზმის მესამე ნიშანსაც – როგორც რედაქტორი, ხაზგასმულ პატივისცემას ავტორის ტექსტისადმი და როგორც კრიტიკოსი, პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე. ჟურნალში დაბეჭდილი არცერთი მასალა არ შეუცვლია, არ გადაუკეთებია საკუთარი შეხედულებისა და გემოვნებისამებრ. რადგან ჟურნალის იდეოლოგია იმთავითვე მტკიცედ (მყარად) იყო განსაზღვრული, ბუნებრივია, რედაქტორი გამოსაქვეყნებლად არჩევდა ეროვნული იდეოლოგიის გამომხატველ ნაწარმოებებს. ამით იყო განპირობებული თუნდაც ის ფაქტი, რომ დაიბეჭდა გიორგი ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობის" მარტო პირველი, ისტორიული ნაწილი. რედაქტორი არსად, არასდროს ჩარეულა ავტორის ნაწერში (როგორც ამას სჩადიოდა ზოგი რუსი რედაქტორი, მაგალითად, სენკოვსკი, რომელიც სარედაქციო პოლოტიკის შესაბამისად ამატებდა, აკლებდა, ცვლიდა მხატვრულ ნაწარმოებებს, სამეცნიერო გამოკვლევებსა თუ პუბლიცისტურ წერილებს).

„სალიტერატურონი ნაწილნის"... გამოცემამდე საქართველოში არავითარი ასპარეზი არ არსებობდა საჯარო კრიტიკისა და პოლემიკისა („საქართველოს (იგივე ქართული) გაზეთი" და „ტფილისის უწყებანი" ამის საშუალებას არ იძლეოდა). სოლომონ დოდაშვილმა თავის ჟურნალში პოლემიკა გაუმართა „ტიფლისსკიე ვედომოსტის" რედაქტორ გრიგოლ გორდეევს. ეს იყო საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა, რომელიც შემდეგ ღირსეულად განაგრძეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა. სოლომონ დოდაშვილის პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წერილი მკითხველთა ფართო მასისთვის იყო განკუთვნილი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით დაწერილი. მიუხედავად მწიგნობრული სტილისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს, ასე ვთქვათ, სახალხო წერილი გახლდათ. საქმე ისაა, რომ, როგორც პროფესიონალი, სოლომონ დოდაშვილი, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ ჟურნალი (და, საერთოდ, ლიტერატურა) მარტო სავაჭრო, გასაყიდი საქონელი კი არაა, არამედ უდიდესი, საზოგადოებრივი

მნიშვნელობის საქმეა. ნებისმიერ პუბლიკაციას მკითხველზე სათანადო ესთეტიკური და იდეური გავლენა უნდა მოეხდინა, მოემზადებინა მომავალი აჯანყებისათვის – ეს გახლდათ რედაქტორის უპირველესი მიზანი და ამ მიზანს კიდეც ასრულებდა წარმატებით. ამას მოწმობს ბოლო, მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული ლექსი თადეოზ გურამიშვილისა, რომელიც ეხმიანება სოლომონ დოდაშვილის ზემოდასახელებულ წერილს და სიამოვნებასა და სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ უპასუხოდ არ დარჩა რუსი პუბლიცისტის სიყალბის შემცველი სტატია. თადეოზ გურამიშვილის ხმა ამ შემთხვევაში შეგვიძლია ხალხის ხმად მივიჩნიოთ.

სოლომონ დოდაშვილი ინტერესდებოდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებით, სწავლობდა, აკვირდებოდა და მწერლის თვალთახედვით გაიაზრებდა ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტს. სწორედ მწერლის ნიჭი, ალღო და ევროპული განათლება ეხმარებოდა მას, რომ გაერჩია და დაელაგებინა მეორეხარისხოვანი და უპირველესი. ათას წვრილმანში, მოგეხსენებათ, მხოლოდ მწერალს აქვს უნარი, შეამჩნიოს ტენდენციის ამრეკლავი დეტალი და თავის მხრივ ან მხარი დაუჭიროს, ან სრულიად გაემიჯნოს ამა თუ იმ მოვლენას. ამ მსჯელობას ადასტურებს თუნდაც ძმასთან, სტეფანესთან მიმოწერა, რომელიც „სალიტერატურო ნაწილში“ გამოქვეყნდა. როსტომ ჩხეიძე ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული, ლიტერატურულ მისტიფიკაციასთან გვქონდეს საქმე და სტეფანეს წერილიცა და საკუთარი პასუხიც სოლომონის შეთხზული იყოს. ასეთ შემთხვევაშიც (ამ შემთხვევაში უფრო) თვალსაჩინოდ იკვეთება სოლომონ დოდაშვილის, როგორც პროფესიონალი მწერლის თვისებები.

და შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. მისი სახელით სულ ორიოდე მოთხრობაა ჩვენამდე მოღწეული. ორივე ჟურნალში გამოქვეყნდა (გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიძლება „ჟინევრა“ ნათარგმნი იყოს). ორივე მხატვრულ ნაწარმოებს – მოთხრობებს „ჟინევრა“ და „ელენა“ – ატყვია პროფესიონალი ავტორის ხელი. „ჟინევრა“ აშკარად ამჟღავნებს მისტიფიკაციით, ფანტაზიით, ლიტერატურული

თამაშით გატაცებას. „ელენაში" კი დასმულია XIX საუკუნის ქართული (და არა მარტო ქართული) მწერლობისთვის საყურადღებო თემა ქალთა ემანსიპაციისა, ქალის უფლებებისა. მაშასადამე, სოლომონ დოდაშვილი, XIX საუკუნის ჩვენს მწერლობაში პირველია, ვინც ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს მიაქცია ყურადღება (იმაზე, თუ როგორ უნდა თხოვდებოდეს ქალი – საკუთარი თუ მშობლის სურვილით, ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის" ავტორი დაგვაფიქრებს. თუმცა იქ მარტო სამეფო ოჯახზეა საუბარი და ამიტომ საზოგადოდ ყველა ქალის მდგომარეობას, იქნებ, არც ასახავდეს).

აშკარაა, რომ დოდაშვილი ამჟღავნებს პროფესიონალი მწერლის ყველა ნიშანს, ოღონდ – სრულყოფილად ვერა. ამის შემდეგ (1832 წლის შემდეგ) ქართული კულტურის (ლიტერატურის) განვითარებაში ხანგრძლივი წყვეტა გვაქვს. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მწერლობა, როგორც პროფესია, უკვე არსებობს და ვითარდება ჩვენში. თუმცა ის ჩანასახი უკვალოდ არ დაკარგულა და მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი კვლავ გაგრძელდა ოცი წლის შემდეგ. თუ ამ პერიოდის ჩვენი ყოფის თავისებურებებს გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ სრულყოფილად ეს მოვლენა ამ დროსაც ვერ გამოვლინდა. მეტიც, ფაქტობრივად, ხელახლა დაიწყო და სოლომონ დოდაშვილის გავლილი გზა მხოლოდ მორალურ დახმარებას თუ გაუწევდა 50-იანი წლების მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწეს. რასაკვირველია, არც ესაა უმნიშვნელო და ამიტომაც მოხდა ისე, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში მწერლობის პროფესიონალიზაციის ხელახლა დაწყება დაკავშირებულია დოდაშვილის ყოფილ მოსწავლეებთან, დოდაშვილის ინტელექტუალური და მორალური საგანძურის მემკვიდრეებთან. აქ, უპირველესად, გიორგი ერისთავი უნდა ვახსენოთ და მისი დიდი ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში. თუმცა გიორგი ერისთავი უშუალოდ სოლომონ დოდაშვილის მოსწავლე არ ყოფილა გიმნაზიაში, მაგრამ, 32-ის სამზადისში მასთან დაახლოებულა (ერთად მონაწილეობდნენ 32 წლის შეთქმულებაში) მისი სასიკეთო გავლენაც განუცდია.

ორი წლის განმავლობაში (1852-54 წლებში) ედგა სათავეში და გამოსცემდა ჟურნალ „ცისკარს“ გიორგი ერისთავი. მასაც მოუხდა იმ წინააღმდეგობების გადალახვა, რომელთა დაძლევისთვის ენერგიას არ იშურებდა პირველი ქართველი რედაქტორი. „ცისკრის“ რედაქტორსაც უამრავი საქმე აწვა კისერზე და მათ შორის, ფინანსური პრობლემების მოგვარებაც – ხელისმომწერთა მოძიება, ჟურნალის ფასის განსაზღვრა დედაქალაქსა და რეგიონებში და სხვა. საბოლოოდ ეს ჟურნალიც უსახსრობამ შეინირა.

თავისი შემოქმედებითი შრომის, ინტელექტუალური პროდუქტის მატერიალურად გარდაქმნა სცადა ზურაბ ანტონოვმა. გიორგი ერისთავის სკოლის წარმომადგენელი ანტონოვი დღეს ნაკლებად დაფასებულია ჩვენში, ვიდრე იმსახურებს. იგი, რა თქმა უნდა, არ გახლდათ პროფესიონალი მწერალი ამ ტერმინის სრული (სამივე) მნიშვნელობით. ვერც იქნებოდა. იმდროინდელი საზოგადოებრივი ყოფა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მწერლობა ცალკე პროფესიად ჩამოყალიბებულიყო. თუმცა ფაქტია, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად, ანტონოვმა ხელი შეუწყო ამ პროცესს.

ვაჭრის ოჯახში გაზრდილმა დრამატურგმა ახალგაზრდობაშივე სცადა ვაჭრობა, მაგრამ ამ საქმეში ხელი მოეცარა. სამაგიეროდ, დიდი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა და წარმატებასაც მიაღწია, როგორც დრამატურგმა. ხალხს მისი პიესები მოსწონდა (უნდა ითქვას, რომ უმრავლესობა, მასა პიესას სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლის მიხედვით აფასებდა).

ზურაბ ანტონოვი ზრუნავდა საკუთარი ნაწარმოებების წიგნებად გამოსაცემად. ფიქრობდა, რომ წიგნების გაყიდვა გაეხადა შემოსავლის წყაროდ. სხვა საქმეა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს სრულად ვერ შეძლო, მაგრამ თვით ფაქტი მეტად საინტერესოა და ვფიქრობ, ყურადღებას იმსახურებს. აი, რას იგონებს ივანე კერესელიძე: როცა „ანტონოვს ფრთები შეეკვეცა, ცხოვრების საღსარი აღარ ჰქონდა ის შეუდგა ეხლა თავის თხზულებების ბეჭდვასა. აგროვებდა მცნობებში ფულსა (და ვინ არ იცნობდა იმასა, მეტადრე მედუქნეები). ბეჭდავდა თავის

თხზულებებსა, ამოიჩლიავებდა რამდენსამეს იღლიაში, დადიოდა მიგლეჯილ-მოგლეჯილი ბულვარზედ და მცნობებს ეხვეწებოდა, ვინც გზაზედ შეხვდებოდა, ეყიდნათ თითო-ოროლა წიგნი." როცა მომაკვდავი ანტონოვი შინ შეიყვანეს, იქ თურმე ქვის იატაკზე ეწყო „თავისგან გამოცემული წიგნები, რის გაყიდვა ვერ მოუსწვრია" (კერესელიძე 1893: 17) ვხედავთ, რომ ზურაბ ანტონოვს არც გამომცემელი ჰყავდა, არც რეალიზატორი, ყველაფერს თვითონ აკეთებდა ნაჩუქარი თუ ნასესხები თანხებით, მაგრამ ეიმედებოდა, რომ ასე ცხოვრების სახსარს გაიჩენდა. ასე რომ ანტონოვი, გარდა იმისა, რომ მოწოდებით მწერალია (სიახლეები შემოიტანა მწერლობაში, მის ზოგიერთ პიესას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და წარმატებით იდგმება ქართულ სცენაზე), ცდილობს, ლიტერატურული საქმიანობა გაიხადოს სტაბილური ფინანსური შემოსავლისა და არსებობის ძირითად წყაროდ. თუმცა ამას გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებს, ერთ-ერთი საფუძვლის დამდები მაინც არის მწერლობის პროფესიონალიზაციისა.

სისხლმოჭარბებული სახელმწიფო

(ამერიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში)

ვრცელი ნარკვევის, „ცხოვრება და კანონის“, მეოთხე წერილში ილია ჭავჭავაძე თვითმმართველობის საჭიროებაზე, მის არსსა და დანიშნულებაზე საუბრობს. ცდილობს, ახსნას თვითმმართველობის შემოღების აუცილებლობა, ჩამოთვლის ასეთი მმართველობის უპირატესობას ყველა სხვა წყობასთან შედარებით. ილია წერს: „ამგვარი მმართველობა... ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს“. თუ სხვაგან და სხვა დროს ერის ფხიზელი დარაჯი წუხდა იმის გამო, რომ ჩვენში „მე“ ხშირია და „ჩვენ“ – იშვიათი, ამ წერილში საშუალება მიეცა ექადაგნა საზოგადოებრივი საქმისთვის ზრუნვის როლი თვითგამორკვევისა და თვითდადგინების საქმეში. როგორც კარგმა პოლიტიკოსმა და უცხოეთის ცხოვრებაში ჩახედულმა კრიტიკოსმა, ავტორმა მაგალითები სხვა ქვეყნებისა მოიყვანა: თვითმმართველობა „საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა (არისტოკრატიაა) ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვაკუთხედად“. ამ სიტყვების მთქმელმა კარგად იცის ამერიკის სახელმწიფო წყობა და ერთგვარ სიმპატიასაც გამოხატავს მის მიმართ.

ამერიკის ცხოვრების ესა თუ ის მხარე ხშირად ექცევა ილიას თვალთახედვის არეში და უმრავლეს შემთხვევაში – როგორც წარ-

მატებული, სამაგალითო საქმიანობის ნიმუში, მისაბაძი მაგალითი. საყოველთაოდ ცნობილია ილიას განსაკუთრებული ინტერესი ეკონომიკის მიმართ. 1882 წლის „შინაურ მიმოხილვაში" იგი სოფლის მეურნეობის განვითარების გზებზე საუბრობს და ამ მხრივ წარმატებულ ქვეყნად, ბელგიასა და ინგლისთან ერთად, ამერიკის ჩრდილოეთ შტატებსაც ასახელებს. მიწის მოსავლიანობის გაზრდა რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით – აი, რის პროპაგანდას ეწევა ამ სტატიით ავტორი, ხოლო მაგალითად, როგორც ვთქვით, რაციონალურად წარმართული მეურნეობისა ამერიკაც ესახება.

ილია მუდამ გულისყურით ეცნობოდა სხვა ქვეყნების სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებას. ერთი მხრივ, აინტერესებდა ე.წ. პატარა და დაჩაგრული ერების ყოფა, მათი ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, მეორე მხრივ – ხიბლავდა და მოსწონდა დიდი და განვითარებული სახელმწიფოების ცხოვრება, წინსვლა. ცდილობდა, გაეგო და თავისი ხალხისთვისაც გაეზიარებინა მათი (თავისუფალი ქვეყნების) წარმატებათა საიდუმლოებანი. 1886 წელს დაწერილ წერილში „მოუსავლიანობა ირლანდიაში" ილია მიწის საკუთრების პრინციპს იცავს. სადაც მიწა გლეხს არ ეკუთვნის, იქ მოუსავლიანობა და შიმშილი გარდაუვალიაო, ამტკიცებს.

ირლანდიიდან უმიწობის გამო ამერიკაში გაქცეული ხალხი ამერიკამ სიხარულით მიიღო, რადგან უზარმაზარ ტრამალებს პატრონი გაუჩნდებოდა და მართლაც ამერიკაში გახიზნული ირლანდიელები, გახდნენ რა მიწის პატრონები, გამდიდრდნენ, ქონება დააგროვეს, თავის სამშობლოში დარჩენილ ნათესავებს იქიდან ეხმარებოდნენ. ე.ი. ირლანდიის უბედურება თვით ირლანდიელის დაცემულმა ხასიათმა, უსაქმურობამ, ლოთობამ, ბედოვლათობამ და უმეცრებამ კი არ განაპირობა, არამედ იმან, რომ თვით ხალხი არ იყო მიწის პატრონი. ხოლო მიზეზი და საფუძველი ამერიკაში გადახვეწილთა ქონებრივი სიძლერისა, როგორც ჩანს, ამერიკის ხელისუფლების სწორი მიდგომა, მათ მიმართ განხორციელებული სწორი პოლიტიკა აღმოჩნდა.

ილიას არაიშვიათად მოჰყავს ამერიკის მაგალითი, ჩვენი ეკონომიკის ამა თუ იმ კუთხით გაშუქების დროს. ეს ფაქტი კიდევ

ერთხელ ადასტურებს ზემონათქვამს. ილია ყურადღებით ეცნობოდა სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს. წყაროდ, ძირითადად, როგორც ჩანს, რუსეთში გამოცემულ წიგნებს იყენებდა. ერთგან ასახელებს კიდეც პეტერბურგიდან მიღებულ დაბეჭდილ წიგნს, რომელსაც სათაურად აქვს „1886 წელიწადი, როგორც სასოფლო –სამეურნეო წელიწადი“. აღსანიშნავია, რომ წერილი „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“, რომელშიც ეს რუსული წიგნია ნახსენები, სწორედ 1886 წელსაა დაწერილი. რაც იმას ნიშნავს, რომ ილია გვიან კი არ მისდევს მოვლენებს და კუდში მიჩანჩალებს, არამედ კვალდაკვალ ეცნობა, ასე ვთქვათ, ცხელ ინფორმაციას და ქართველებსაც ცოცხალ, მიმდინარე პროცესებზე ესაუბრება. ავტორი კარგად არის გარკვეული იმაში, რომ „უწინ თითქმის მარტო რუსეთი იყო ბოღაზი საქვეყნო ბაზრისა და ახლა კი ამერიკამ, ინდოეთმა და ავსტრალიამ ცილობა გაუწია“. პურით ვაჭრობის შესახებ ილიას რამდენიმე წერილი აქვს და წერილი და გასაკვირი არაა, რომ მათში ამერიკულ გამოცდილებასაც თავისი, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. მართალია, ამ დროს (მე-19 ს-ის 80-იან წლებში) საქართველოს სახელმწიფო არ არსებობს, მაგრამ ილიას ვირტუალურად აქვს აღდგენილი დამოუკიდებელი ქვეყანა და როცა პურის მოსავალსა და პურით ვაჭრობაზე საუბრობს, სიტყვა „ჩვენში“ რუსეთს კი გულისხმობს, შეფარვით უფრო საქართველოს მოიაზრებს. ქართველებს კი ამერიკულ მიწათმოქმედთა მიბაძვას, ცოდნის შეძენას, უახლესი ტექნიკის გამოყენებას ურჩევს და დანანებით ამბობს, რომ ამერიკაში სახელმწიფო იაფი კრედიტით ხელს უწყობს მიწათმოქმედების განვითარებას, იგულისხმება, რომ ჩვენში ეს ჯერ მიუწვდომელი ფუფუნებაა. 1887 წლის 7 იანვრის წერილში ავტორი ერთმანეთს ადარებს ვაჭრობას ამერიკასა და ჩვენში, ამერიკელ და ჩვენს ვაჭარს. დიდი განსხვავებას ხედავს მათში, სანიმუშოდ, რასაკვირველია, ამერიკელი მიაჩნია. „დიდს აღებამიცემობაში საზოგადოდ და პურისაში საკუთრივ, პატიოსნებაც და ნამუსიც დიდ საქონლად მიაჩნიათ ამერიკაში. ჩვენებური ვაჭარი ისე თითქმის არას გაჰყიდის, რომ მუშტარი არ მოატყუოს... ამერიკელი ვაჭარი ცოტა სარგებელსაც სჯერ-

დება..." ასე რომ, ილია წესიერი, პატიოსანი ვაჭრობის მომხრე და პროპაგანდისტია. საქართველოში ვაჭრობის ნაკლოვან მხარეებზე უამრავი მხატვრული თხზულება დაწერილა, ამ საკითხზე მსჯელობას აქ აღარ განვაგრძობთ. აქვე ილია ყურადღებას მიაქცევს იმასაც, რომ ამერიკაში პური ნავსადგურამდე რკინიგზით მიაქვთ და ეს გადატანა შეუფერხებლად ხორციელდება, რაც მსოფლიო ბაზარზე ამერიკულ პურს უფრო დიდ ადგილს მოუპოვებს, ვიდრე – ჩვენსას. იმავე წლის 8 იანვრის სტატიაში „ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი" ილია როგორც ფაქტს, აღიარებს, რომ მთელი მსოფლიო ბამბით ამერიკიდან მარაგდება და მხოლოდ რამდენიმეწლიანმა ომმა შეაფერხა იქ ეს საქმიანობა, რითაც ისარგებლა თურმე იმერეთმა და ბამბის მოყვანითა და გაყიდვით დიდი სარგებელი ნახა. თუ ბამბის მოყვანაში ამერიკას ვერანაირად ვერ გაგეჯიბრებით, - ფიქრობს ილია, — არის დარგები, რომლებშიც არც უნდა ჩამოვრჩეთ. დავუშვათ — ნავთობის მოპოვება. „მთელს ქვეყანაზე ყველაზედ გამოჩენილი ადგილები ნავთისა სულ ორია: ერთი ამერიკა და მეორე ჩვენი კავკასია", — წერს ილია. მიმომხილველის სწორი დაკვირვებით, კავკასიის ანუ ბაქოს ნავთი ამერიკულზე უფრო იოლად მოსაპოვებელიცაა, უფრო ბევრი და მდიდარიც, გასაღების ბაზარი (ევროპა) ბაქოსთვის უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკისათვის და მიუხედავად ამისა, ევროპა მთლიანად ამერიკას უპყრია, ის 9-ჯერ უფრო მეტ ნავთს ყიდის, ვიდრე ბაქო. რა არის ამ გარემოების მიზეზი, თქვენ გამოიცანითო, მკითხველს მიანდობს ილია და სარკასტულად დასძენს: „ღმერთს მოუცია ასეთი ძვირფასი სიმდიდრე და ჩვენ კი ჭირად გადგვქცევია. მახლას!"

ორიოდე დღის შემდეგ კი გარკვევით წერს, რომ ბაქოს მენავთობეებს ცოდნა აკლიათ, ტექნიკაც. ბევრ ნავთს იმეტებენ გადასაყრელად, რადგან სათანადოდ ვერ ამუშავებენ. ამერიკელები კი ბევრად მცირე ნედლეულის ამომღებ ჭებს ისე ოსტატურად მოიხმარენ, რომ დიდ გამორჩენას ხედავენ. ამიტომაა, რომ „ჭა, რომელიც ამერიკაში სიმდიდრის წყაროდ ითვლება, ჩვენში სიღარიბის მიზეზად შერიცხულია". საერთოდ, ილიას ჩვენი სიღ-

არიბის მიზეზად ბუნების სიმწირე კი არ მიაჩნდა, არამედ ჩვენი უცოდინრობა, გაუნათლებლობა. ხოლო ცოდნითა და ხერხით გამდიდრების ნიმუშად, როგორც ვხედავთ, არაერთხელ დაუსახავს ამერიკის ხელისუფლება და ამერიკელი ხალხი.

17 იანვარს წამოწყებულ ამ მსჯელობას კი 12 თებერვალს სხვა წერილში განაგრძობს. აქ ავტორი ააშკარავებს ჩვენში მოსაქმე მდიდართა ნამდვილ განზრახვას, როცა ისინი მთავრობისაგან ნავთზე ბაჟის დადებას მოითხოვდნენ ვითომდა სახელმწიფო ხაზინის შევსების საბაბით. დაკვირვებული პუბლიცისტი კარგად ხედავს, რომ ამით მდიდრებს ამერიკის კონკურენციის ჩამოშორებაც უნდათ და ადგილობრივი წვრილი მწარმოებლებისაც, რათა გასაღების ბაზარი მთლიანად დაისაკუთრონ.

ილია ჭავჭავაძის ყურადღება მიუპყრია ისეთ თემასაც, როგორიცაა ჭარბწარმოება. წერილში „ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაგროვილი ჭარბი სიმდიდრე“ განიხილავს რესპუბლიკელების წარმომადგენლის, ბლენის და პრეზიდენტ კლიველანდის პროგრამებს, რომლებიც ამ საკითხის მოსაგვარებლად შეუმუშავებიათ. ქართველ პუბლიცისტს, ეტყობა, უფრო პრეზიდენტის პროგრამა მოსწონს, როგორც, სხვათა შორის, თურმე – ამერიკელებსაც. თუმცა იმასაც გვამცნობს, რომ კლიველანდის განზრახვამ ძალიან შეაფუცხუნა ამერიკელი კაპიტალისტებიო. ეს კი, ავტორის აზრით, „დიდად დააბრკოლებს კლიველანდის პროგრამის განხორციელებას, რადგან კაპიტალისტების დასი ამერიკაში მეტად ძლიერი და გავლენიანია“.

1888 და 1889 წლებში დაწერილ ორ სტატიაში („მედიატორთა სამუდამო სასამართლოს დაწესება ჩრდილო-ამერიკაში“ და „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“) ილია საუბრობს მსოფლიოში მშვიდობის დამყარების აუცილებლობაზე. პაციფიზმის საკითხებში იგი მებაირახტრის როლს ამერიკას განუსაზღვრავს. ალბათ, უფრო სასურველს წარმოგვიდგენს, ვიდრე – რეალურს, თუმცა მსჯელობისას, ცხადია, აანალიზებს მიმდინარე მოვლენებს, ამჟღავნებს ფაქტების ცოდნას, ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩება თანამედროვეობას. ავტორი მხოლოდ

ფაქტების აღნუსხვას არ სჯერდება, აზოგადებს სათქმელს, ხან პირდაპირ, ხანაც შეფარვით თავისი სამშობლოს ბედს გამოახვევს ხოლმე ამერიკაზე საუბარში, ამერიკის საბაბით საქართველოს აწმყოსა და მომავლაზე დააფიქრებს მკითხველს.

სიხარულს ვერ მალავს ილია გაზეთებიდან გაგებული იმ ახალი ინფორმაციის გამო, რომ აშშ-ს ინიციატივით უნდა დაწესდეს მედიატორთა სამუდამო სასამართლო, რომელმაც ყველა სადავო საკითხი უნდა განიხილოს ამერიკას, ინგლისსა და საფრანგეთს შორის და ეს სამი სახელმწიფო მოარიგოს ერთმანეთთან უომრად. მშვიდობის, სიყვარულისა და სამართლიანობის იდეამ, ევროპაში გაჩენილ-დაბადებულმა, ამერიკაში იხეირაო, - წერს ავტორი. დიდი ხანია, რაც კაცობრიობის გულშემატკივარმა კაცებმა უმოძღვრეს ქვეყანას, „რომ ომი, სისხლისღვრა და ერთმანეთის ჟლეტა სამარცხვინო რამ არის იმ სულიერისათვის, რომელიც ღვთის სახით და მგზავსებით მოვლენილია ქვეყანაზედაო" (ჭავჭავაძე, 2007: 181). ადამიანს, რომელსაც აქვს უნარი სიყვარულისა და სიბრალულისა, ერთმანეთის ჟლეტა არ ეპატიებაო... დიდი ხანია, კაცობრიობამ იწამა, რომ შესაძლებელია სახელმწიფოთა მორიგება უომრად, მშვიდობიანად, თუმცა პრაქტიკული ნაბიჯი საამისოდ ვერა და ვერ გადაიდგა და დღეს ამერიკა გამოდის მშვიდობის თაოსნადო. ცხადია, მაშინ, XIX საუკუნის ბოლოს ძნელი და შეუძლებელიც იყო ქართველი პუბლიცისტისთვის იმის განჭვრეტა, რა იქნებოდა და როგორ შეიცვლებოდა საქმე XX – XXI საკუნეებში. თუმცა ერთი რამ მაინც იწინასწარმეტყველა სწორად და შეუმცდარად: „... რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიკურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა".

საყურადღებოა ის გარემოება, რომ როცა ილია ჭავჭავაძე ამერიკასა თუ ევროპის რომელიმე ქვეყანაში მომხდარ ამბავსა თუ მოვლენაზე გვესაუბრება, აუცილებლად გვაცნობს საკითხს სიღრმისეულად. თუ დეტალურად არა, არსში მაინც უსათუოდ გაგვარკვევს ხოლმე თუნდ ორიოდე მაგალითით. ეს გასაკვირიც

არ გახლავთ. პუბლიცისტიკის რაობის, მიზნის, დანიშნულების კარგად ცოდნასა და შეგნებას ზედ ერთვის გამოცდილება და საკუთარი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება და ამიტომაც, რაზეც უნდა წერდეს ილია, მისი არცერთი სიტყვა არაა ჰაიჰარად, სასხვათაშორისოდ ნათქვამი, შემთხვევით წამოსროლილი.

ერთი შეხედვით, სადღეისო თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ქალთა ემანსიპაცია, რომელიც მთელი სიმწვავით იდგა მსოფლიოს (და მათ შორის საქართველოს) წინაშე XIX საუკუნეში. მაგრამ, თუ დავაკვირდებით, როგორ, რა კუთხით განიხილავს თემას ილია, დავრწმუნდებით, მის ნააზრევს ძალა და მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

პუბლიცისტი საზოგადოებას (ქართველ მკითხველს) განუმარტავს, რომ ემანსიპაცია არ ნიშნავს მხოლოდ უფლების მოპოვებას. არსად ქვეყნად უფლება მოვალეობის გარეშე არ არსებობს. ამიტომაც მოსწონს ამერიკელ ქალთა საქციელი, რომლებიც თურმე „იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ... ჩვენც შეგვიძლან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძღვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუვარდებითო“.

ილიასთვის არავითარ ეჭვს არ იწვევს, საკამათო არაა, რომ ქალებს უფლება უნდა ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობისა. იმხანად ამერიკაში ამ უფლებებისთვის მედგრად იბრძოდნენ. ქალთა ემანსიპაციას მომხრეებიცა ჰყავდა და მოწინააღმდეგეებიც. თუმცა სამართლიანი მოძრაობა სულ უფრო და უფრო წარმატებით იკვლევდა გზას ამერიკაშიც და ევროპაშიც. უძველესი სახელმწიფოს შვილის, ჯერ კიდევ XII საუკუნეში გამეფებული ქალის, თამარის, შთამომავალი, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ უჭერს მხარს ქალთა უფლებების მოპოვებასა და დაცვას და სრულიად დარწმუნებულია, რომ აუცილებლად „შეიცვლებიან ის კანონები და დედათა საქმე წარიმატებს“.

პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი აკაკი წერეთლისა

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოში მთელი სისრულითა და ძალით გაიშალა XIX საუკუნის 80- იან წლებში. ამ პერიოდიდან რუსეთის ხელისუფლება იწყებს სხვადასხვა კუთხის ქართველთა ტომობრივი დამოუკიდებლობის ქადაგებას (კატკოვის „მოსკოვის უწყებები“, ადგილობრივი „კავკაზი“ და სხვა პერიოდული ორგანოები. მათ აქტიურად ეხმარება კავკასიის მთიელ ტომთა ეთნოგრაფიის შემსწავლელი საზოგადოება“ და იქ მოღვაწე ზოგი ვაი-მეცნიერი). იწერება „ლინგვისტური“ გამოკვლევები, სადაც იმის მტკიცებაა, რომ მეგრული და სვანური დამოუკიდებელი ენებია, რომ მეგრელები, სვანები, ფშავლები, ხევსურები, თუშები, ჯავახები, აჭარლები, ინგილოები და სხვები არ არიან ქართველები, არამედ ცალ-ცალკე ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ (რუსეთი ახორციელებდა „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას).

1885 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში ქართული ენის (და ქართულ ენაზე) სწავლება. ამ წელს გამოიცა რუსული შრიფტით შედგენილი მეგრული ანბანი, 1888 წელს ამავე პრინციპით შედგა სვანური ანბანი (რედაქტორი გახლდათ ბარონი უსლარი. მეგრულ ენაზე ითარგმნა სახარების ზოგიერთი თავი. სხვათა შორის, უსლარის შეულამაზებელი, ნამდვილი სახე კარგად ჩანს თემურ ამყოლაძის წიგნში „დადეშქელიანების ამბავი“. დაიბეჭდა ქუთაისში, 2014 წელს). ამ დროს რუსები საქართველოს ცენტრში, დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში ქართულ ენას კრძალავდნენ და პერიფერიებში თითქოს მეგრულისა და სვანურის გადასარჩენად იბრძოდნენ. ეს იყო კარგად შენიღბული ვერაგული ჩანაფიქრი,

რომელიც, საბედნიეროდ, ვერ განახორციელეს. მეგრელებსა და სვანებში ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია (განსაკუთრებით — სვანებში). ხალხი აჯანყდა და ხელისუფლებაც იძულებული გახდა, ამ წამოწყებისთვის თავი დაენებებინა (თუმცა განზრახვაზე მთლად ხელი არ აუღია და სამეგრელოსა და სვანეთში ქართულ ენაზე სწავლება კიდევ დიდხანს იყო აკრძალული).

არსებითად იგივე ხდებოდა აჭარაში, ახალციხესა და საინგილოში. თვითმპყრობელობა ამ მხარეებში ატარებდა არამარტო ანტიქართულ, ანტიქრისტიანულ პოლიტიკასაც. მთავრობა წინ აღუდგა ინგილოების სურვილს, მიეღოთ ქრისტიანობა (აიკრძალა ინგილოების ქრისტიანულად მონათვლა, აქაოდა, ეს მთის მაჰმადიანი ხალხის აღშფოთებას გამოიწვევსო). იგივე ხდებოდა აჭარაშიც.

ასე ესობოდათ გულზე დამპყრობლებს ქართული ენა და გასაგებიცაა: XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის მთლიანობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან ქართულ სალიტერატურო ენას. ის იყო, უპირველესად, ეროვნული მთლიანობის დუღაბი. ეს კარგად ესმოდათ ქართველ მოღვაწეებს, მაგრამ, ამავე დროს, ცხადია, მოეხსენებოდა მტერსაც.

ქართველ სამოციანელებს, მათ შორის აკაკი წერეთელსაც, მარტო პასიურად კი არ უყვარდათ ქვეყანა, არამედ იბრძოდნენ მის გადასარჩენად, მისი კეთილდღეობისთვის და მზად იყვნენ, თავიც შეეწირათ სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

აკაკი, ცხადია, ერთიან, მთლიან საქართველოს შეჰხაროდა და შენატროდა. ეს იყო მისი ოცნებისა და ფიქრის საგანი. ქვეყნის მთლიანობა XIX საუკუნეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ხდება. საქართველოს მთლიანობას ქადაგებდა ყველა გონიერი ადამიანი ადრეც (გავიხსენოთ, თუნდაც, გურამიშვილი. XIX საუკუნეში კი ეს პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგება).

რუსიფიკატორული რეჟიმი ცდილობდა საქართველოს ეროვნული სხეულის დასუსტებას. უნდოდათ, ჩამოეშორებინათ ქვეყნისთვის მისი ცალკეული კუთხეები (სამეგრელო, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი...). ამტკიცებდნენ მეგრელების, სვანების... არაქართველობას. დასუსტებული, დაქუცმაცებული ქვეყნის მოსპობა ადვილი იყო. აკაკი აქტიურად ებრძოდა ამ განზრახვის

აღსრულებას საქმით თუ სიტყვით (თადა აშორდიასთან, რომელიც მეგრელების არაქართველობის თეორის უჭერდა მხარს და ხალხის ნაწილსაც აჯერებდა ამაში, აკაკი წერეთელს შეტაკებაც ჰქონია...). რუსეთის ამ მზაკვრული პოლიტიკის პასუხია დუტუ მეგრელის ცნობილი ლექსი, „პატარა ქართველი".

აკაკიმ საქართველო შეადარა ჩონგურს, ხოლო მისი ცალკეული კუთხეები — სიმებს... „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის მცხოვრები, ოდელა-დელა-დელაო... ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო" (პოემა „ნათელა"). ამასვე ამბობს პუბლიცისტურ სტატიებშიც. „ლექციებში ვეფხისტყასანზე" ვკითხულობთ: „როგორც ჩანგურს სიმები, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეები აქვს მობმული: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, ლაზისტანი და ა. შ. კერძოდ, ცალ-ცალკე ძალასა და მნიშვნელობას მოკლებული არიან, მაგრამ შეერთებულად კი შეადგენენ ძლიერსა და ვრცელ საქართველოს". თუ გურამიშვილი ჩიოდა: „ქართველების წაღმა ხნული კახელებმა დაღმა ფარცხესო", ეს საწუხარი აკაკი წერეთლისთვისაც აქტუალურია: „მამა-პაპის წაღმა ხნული შვილიშვილთა დაღმა ფარცხეს და ამერეთ-იმერეთმაც ერთმანეთი დაამარცხეს". ადვილი შესამჩნევია, რომ მგოსანი აქ წინამორბედი პოეტის სიტყვიერ მასალას საგანგებოდ, თვალშისაცემად იმეორებს იმის დასტურად და ხაზგასასმელად, რომ თვითონაც იმავე ცეცხლით იწვის, იმავ ჭირითაა სნეული და თავის მხრივ კიდევ ერთ შტრიხს — თაობათა შორის განხეთქილებასაც ამატებს.

დაყოფა-დაქუცმაცების წინააღმდეგი და გაერთიანების მქადაგებელია პოემა „კიკოლას ნაამბობშიც":

მას შემდეგ, რაც საქართველო ორ ნაწილად გაყოფილა,
მშვიდობა და მოსვენება აღარც ერთში არ ყოფილა.

საქართველოს ერთიანობა მიაჩნია იდეალად „ბაში-აჩუკშიც", რასაც თვალნათლივ ადასტურებს კახეთის აჯანყების ერთ მთავარ მონაწილედ იმერეთის მკვიდრის გამოყვანა.

აკაკის პატრიოტიზმი შორსაა ნაციონალიზმისა და შოვინიზმისაგან. მას სტატია ამ სათაურით — „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ — არ დაუწერია, თუმცა მთელი შემოქმედება დადასტურებაა იმისა, რომ თვითონაც სწორედ ისე ესმის ეს ცნებები, როგორც ვაჟა-ფშაველას (ფარული შინაგანი პოლემიკის მიუხედავად, ცხადია, აკაკიცა და ვაჟაც ერთ საქმეს ემსახურებოდნენ და მსოფლმხედველობაც ერთმანეთის მსგავსი ჰქონდათ). საკუთარი სამშობლოს სიყვარული არ ეწინააღმდეგება და ხელს არ უშლის სხვა ხალხების სიყვარულს, პირიქით, ხელს უწყობს და აუცილებელიცაა. ადამიანს, უპირველესად, სამშობლო უნდა უყვარდეს, რათა სხვათა დაფასება და პატივისცემა შეძლოს, — ასეთია აკაკის შეხედულება. „ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება“. ეს სიტყვა აკაკიმ წარმოთქვა 1913 წლის 13 იანვარს, მოსკოვში, მის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე. ესწრებოდა 200-მდე კაცი, ქართველები და რუსები. მათ შორის: ნემიროვიჩ-დანჩენკო, სტანისლავსკი და სხვა. თამადა ყოფილა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი).

კაცობრიობა ხომ ერებისგან შედგება. ასე რომ, საკუთარი სამშობლოს სიყვარული და სხვა ხალხების პატივისცემა ბუნებრივად ერწყმის და ეხამება ერთმანეთს. ქართველი მოღვაწეების ნატვრა ფორმულაში ასე ჩამოასხა გრიგოლ ორბელიანმა: „...დავდგეთ ერად სხვა ერთა შორის“. აკაკიმ იგივე აზრი სხვა ფორმულირებით შემოგვთავაზა: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა“ (და ვაქციეთ კიდეც ჰიმნად).

XIX საუკუნის 90-იან წლებში სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ ეროვნების საჭიროებასა და აუცილებლობას. სხვაც ბევრი აიყოლიეს და პატრიოტიზმი ჩამორჩენილობად, პროვინციალიზმად გამოაცხადეს. „მტერი იძახის, ვინ გაიგონა ახლანდელ დროში ეროვნებაო?“ — წერდა აკაკი ლექსში „ჩემი ჭმუნვა“. არადა, მგოსანმა კარგად უწყოდა და სხვებსაც შეაგონებდა: „ეროვნებავ, ღვთის ნიჭი ხარ, არც საპოვნი, ვერც სასყიდი“ („საქართველოს დღევანდელი სახე“). სხვაგან: „ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ, მერე თუ

გინდა, სხვაგვარი ისტი" („გამოტეხილი სიტყვა"). ვისაც საკუთარი სამშობლო არ უყვარს, ბუნებრივია, სხვისას ვერ შეიყვარებს.

ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,
ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?
ვისაც სძულს თავის სახლი და კარი,
ვინღა გაუღებს სამოყვროდ კარებს?
(„თორნიკე ერისთავი")

პოეტს სრულიად ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ეროვნების უარყოფა მხოლოდ საკუთარი ვიწრო ინტერესებით იყო ნაკარნახევი და გაპირობებული. ასეთთა მიმართ სატირას იმარჯვებდა ხოლმე და მიზანსაც არ აცდენდა. მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს სატირული ლექსებიდან.: „მეც ის მინდა, მეც იქ შევალ, — სადაც ტკბილა, სადაც თბილა! თორემ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა!" („დიდი ვინმე"), ან: „თვალ-ტანადად ქართველი ხარ, მაგრამ გულით კი სხვა სჯულის; ღმერთად არ გწამს არავინ სხვა, გარდა კუჭის, გარდა ფულის!" („თანამედროვე გმირი"), ან: „უმეცრებამ სძლია ცოდნას, დაიმონა კუჭმა გული, ფარისევლის ლოცვად გახდა „სამშობლო" და „სიყვარული" („ბოდვა"), თუნდაც ეს: „ეჰ, ქართველო, აბა, მითხარ, ვინა ხარ? მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზედ წინა ხარ" („ეჰ, ქართველო"), ესეც: „აქ მონება ჭკუა არის, ორპირობა — სიბრძნე დიდი, და მას რჩება მოედანი, ვინც კი არის მეტად ფლიდი! („ახალი გზა"), ესეც და ვიკმაროთ: „თუ გსურთ, რომ დავრჩე ქართველად, ვიხდიდე მშობლურ ვალებსა, ნუ გამომილევთ ღვინოსა, ცხელ მწვადს და ლამაზ ქალებსა" („ქართული პატრიოტობა").

შეუძლებელია, ამ პატარა წერილში სრულად ამოწურო სათქმელი. აკაკის უკიდეგანო შემოქმედება კიდევ ბევრ საინტერესო და საყურადღებო რამეს ინახავს ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ მხოლოდ ძირითად ტენდენციას შევეხეთ. დავამთავრებთ კი კვლავ მწერლის ციტირებით: „სულითა და გულით ქართველი ვარ, პატრიოტი. სამშობლოს კეთილწარმატება მიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან მსოფლიოს". როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ქალი — მამულისა და ენის მცველი

(აკაკი წერეთლის შემოქმედების მიხედვით)

„სულითა და გულით ქართველი ვარ, პატრიოტი. სამშობლოს კეთილწარმატება მიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან მსოფლიოს. სიტყვა „პატრიოტი" დღეს ზოგიერთებისაგან საკიცხავ სიტყვად არის გადაქცეული. იმათ პატრიოტობა შოვინიზმი ჰგონიათ... ქრისტემ ბრძანა: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისიო" და ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს თავის თავზე უფრო არავინ უყვარს და ვინც თავზე ხელაღებულია, ის ვერც სხვას შეიყვარებს... ვისაც სამშობლო არა სწამს, ვისაც მშობელი, ნაშობი, თანშობილი არ უყვარს და თავს მით მართლულობს, რომ მე გაურჩევლად მთელი მსოფლიო მწამს და მთელი კაცობრიობა განურჩევლად მიყვარსო, ის შემცდარია!" აკაკის წერილიდან ვრცელი ციტატა იმად დავიდასტურეთ, რათა კიდევ ერთხელ და უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვედგინა ქართველი მგოსნის აზროვნების სიღრმე, სიზუსტე და სადღეისო მნიშვნელობა.

ქართველ სამოციანელთა და მათ შორის, ცხადია, აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც სამშობლოს სიყვარული ხშირად გამოხატულია დედაენის სიყვარულით. აკაკი ქართული ენის დიდი ქომაგი და მფარველია (ისევე, როგორც ილია, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი და საერთოდ, ყველა პატრიოტი. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ყოფილიყო. მათ ხმალამოღებულთ უწევდათ დგომა ქართული ენის დაცვის სადარაჯოზე). გასაგებიცაა. ენა ხომ ერის არსებობის უპირველესი ნიშანია. ისაა ყველაფრის საფუძველი, საძირკველი, ბალავარი, რომელ-

საც უნდა დაეშენოს ეროვნების კედელი (ხოლო „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია" — გიორგი ჭალადიდელი, „დედის დარიგება"). ენის სიყვარულს დაბადებისთანავე ეზიარება და ითავისებს ყრმა. ენის უარყოფა ეროვნების უარყოფაა („ენისა მტრობა არს მტრობა ქვეყნის"—ილია), გადაგვარებაა, ხოლო „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია". მშობლიური ენის დამგმობს ის დაემართება, რაც აკაკის ლექსში ემართება ღამურას. ცნობილია, რომ გიორგი მუხრანბატონი (ვინც ღამურაში იგულისხმება) ამტკიცებდა პატარა ერებისა და პატარა ენების დიდ ერებსა და დიდ ენებში ათქვეფის, ასიმილაციის, შერწყმის აუცილებლობას. ამის შესახებ მან ბროშურაც გამოსცა, მაგრამ თავის აზრებს უფრო ადრე ზეპირად ავრცელებდა საზოგადოებაში. ბევრს არ მოსწონდა მისი მსჯელობა, თუმცა შეკამათებას და საწინააღმდეგოს თქმას ვერავინ უბედავდა. და აი, ერთადერთი ადამიანი შებმია პოლემიკაში აშკარად. ამ ამბავს აკაკი წერეთელს ალექსანდრე ორბელიანი უყვება, თავადაც ყველაფერ ქართულის მოტრფიალე და მაღმერთებელი. მუხრანბატონთან მოპაექრე ქალი აღმოჩნდა, კერძოდ, ბარბარე ჯორჯაძისა, რომლის გრძნობა-გონებას აღტაცებაში მოუყვანია მთხრობელი. მცირე წერილში „გახსენება" გვიამბობს ამას აკაკი. თქვენ „არა გნებავთ, რომ გაოდრუგელდეთო", — უკითხავს ბარბარეს მუხრანბატონისთვის, იმას პასუხად: „მე მოგახსენებთ პოეტებზედ და მწერლობაზედ. პატარა ხალხს რომ დიდი პოეტი ჰყვანდეს და დიდი მწერალი, შეუძლებელიაო". არ შეუდრკა თურმე ქალი და სიტყვა ასე მოუჭრა: „პატარა ბულბული მშვენივრად გალობს და დიდი მამალი ყიყლიყოს მეტს ვერას ახერხებსო". არ არის შემთხვევითი, ერისა და ენის დამცველი ქალის საქციელით რომაა აღფრთოვანებული პოეტი. არაერთხელ სხვაგანაც — მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ სტატიებში — აღუბეჭდავს მას თავისი მაღალი აზრი ქართველი ქალის ღირსების შესახებ.

ფორმულად (თუ აფორიზმად) გაისმის აკაკის სტრიქონები იმავე „ღამურადან":

კრულია მისი სახელი, ვინც დაგმობს დედაენასა,
თვისტომს ღალატობს და მითი თვით ჰფიქრობს
მაღლა ფრენასა.

რუსეთის ხელისუფლებამ, რომლის მიზანიც ქართულ სხეულში რუსული სულის ჩანერგვა იყო, პირველ რიგში იერიში სწორედ დედაენის წინააღმდეგ მიიტანა. შორსგამიზნული გეგმით, ეს ვერაგული ჩანაფიქრი უნდა განეხორციელებინა სკოლას — ქართველი ბავშვებისათვის წაერთმიათ მშობლიური და მის მაგივრად მიეცათ უცხო (რუსული) ენა, რაც, ბუნებრივია, ქართველის გარუსებას ნიშნავდა. თუ ამას მიაღწევდნენ, ალბათ, ორიოდე თაობის შემდეგ ქართველისა და ქართულის სახსენებელი გაწყდებოდა, მაგრამ ამ განზრახვის აღსრულებას წინ აღუდგნენ ჩვენი დიდი მოღვაწეები. ასე იქცა იმდროინდელი სკოლა ბრძოლის ასპარეზად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად უბნად. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ენაზე შეტევამ 80-იანი წლებიდან მიიღო. სკოლას, როგორც ყმაწვილების აღზრდის ძირითად კერას, უნდა გადაეწყვიტა, ვის დარჩებოდა გამარჯვება, ბურთი და მოედანი. ასე რომ, სკოლა აქ ვიწრო პედაგოგიურ ფარგლებს სცილდებოდა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი ხდებოდა. ამ ბრძოლაში აქტიურად გახლდათ ჩაბმული აკაკი წერეთელი. იგი, ილია ჭავჭავაძესთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად, შეურიგებლად ილაშქრებდა კირილე იანოვსკის (კავკასიის საწავლო ოლქის მზრუნველის), დეკანოზ ივანე ვოსტორგოვისა და სხვათა წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებას. ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი აკაკის კრიტიკულ-პუბლიცისტური თუ მხატვრული ნაწარმოებები. მას არასოდეს არავითარი კომპრომისი არ დაუშვია, ყოველთვის შეუპოვრად იცავდა მშობლიურ ენას. გულისტკივილითა და აღშფოთებით წერდა, რომ „სასწავლებელში ყველგან საერთოდ მოსპობილია ენა ქართული“, რომ „შკოლებში მოსწავლეებსა უსპობენ დედა-ენასა“. „ჩემ თავგადასავალში“ აკაკი მოგვითხრობს, რომ გიმნაზიაში აკრძალული

იყო ქართულად ლაპარაკი (შემოღებული იყო თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მას მიაჩეჩებდნენ, თან სახაზავს დაჰკრავდნენ ხელისგულზე). ამიტომ, ვინც რუსული არ იცოდა, მთელი დღე ხმას ვერ იღებდა და მუნჯად იყო... საყურადღებოა, რომ მწერალი სხვის ნაამბობს, სხვისგან გაგონილს, ყურმოკრულ ამბებს კი არ გვიყვება, არამედ — საკუთრად განცდილს. რუსიფიკატორულ რეჟიმს მოჰქონდა საშინელი შედეგი — იწვევდა საერთოდ დამუნჯებას, გონების დაჩლუნგებას (ვინაიდან აზროვნება ენასთანაა დაკავშირებული). ქუთაისის გიმნაზია გამონაკლისი სულაც არ გახლდათ. ასე ხდებოდა ყველგან, ყველა სასწავლებელში. თაობათა ბრძოლის დროს უპირველესი მნიშვნელობა ენის საითხებზე კამათს უჭირავს. ილია და აკაკი, ფაქტობრივად, ახალი სალიტერატურო ენის, ხალხისთვის გასაგები, სადა სტილის დამამკვიდრებლები გახდნენ ჩვენში. აკაკი იზიარებდა იმ სწორ შეხედულებას, რომ ბავშვმა სწავლა უნდა დაიწყოს მშობლიურ ენაზე და შემდეგ მის საფუძველზე შეძლებს უცხო ენების შესწავლასაც. რუსეთის ხელისუფლებამ კი ქართველებში გაავრცელა საშინელი სენი, გარყვნა, გადააგვარა საზოგადოების ერთი ნაწილი. ყმაწვილებმა ჯერ ქართული არ იცოდნენ, რომ უკვე რუსულს ედებოდნენ. „ჯერ ქართულიც არ იცი, უცხოს რაღად ედები?“ პოეტი კიცხავს იმ მშობლებს, რომლებიც:

ქართულ ენას არად ხდიან, შვილებს რუსულათა ზრდიან,
ტრედიაკოვსკის აქებენ და რუსთველს კი დასცინიან.
(„ახირებული ფურცელი“)

ასეთ ვითარებაში დიდი, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნას, სკოლის გაქართულებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არცერთ წიგნს არ უთამაშია XIX საუკუნის ქართველთა ცხოვრებაში ისეთი დიდი როლი, როგორიც იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ შეასრულა. ბუნებრივია, რომ ილია და აკაკი მუდამ გვერდით ედგ-

ნენ გოგებაშვილს, ამხნევებდნენ, ეხმარებოდნენ. განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად ილია ჭავჭავაძე (თავადი) მას (მღვდლის შვილს) „ბატონოთი“ მიმართავდა. გოგებაშვილი ფიზიკურად სუსტი, მაგრამ სულიერად ძლიერი კაცი აღმოჩნდა. იგი მარტო დაუპირისპირდა მთელ იმპერიას და გადამწყვეტ ბრძოლაში მიაღწია კიდეც წარმატებას — გააქართულა სკოლა და აკრძალა როზგი და ცემა-ტყეპა სასწავლებლებში (ვრცლად ამის შესახებ იხ. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ და მისივე პიესა „იის სურნელი თოვლში“).

ლექსში „წერილი პატარა მეგობრებს“ აკაკი ასე მიმართავს, ეევედრება მოზარდებს:

ნუ გადასცვლით უცხოზე ქართულ დედაენასა...

აფრთხილებს:

ვინც დაჰკარგავს, გახდება წერა სხვისი მონების...

და ბოლოს გამოთქვამს იმედს, რომ **რუსთველის მშობელ ერს ენა არ შესძულდება.** ცნობილია, რომ მამაკაცის გადარჯულება იმდენს ვერაფერს დააკლებს, ქვეყანას, რამდენსაც ქალის, დედის გაუცხოება. ამიტომ აკაკი განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებს თვალს ქალების მეტყველებას (აქ უთუოდ გალაკტიონი გაგვახსენდება: ილაპარაკეთ, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთო, რომ მიმართავდა თანამოსაუბრე მანდილოსანს). აკაკი წერს, ერთი ქალი **„სხვა ენით ამიჟღურტულდა, ეზარებოდა ქართული!“... „მომწონს კალინა, მალინა, მძულს ვარდები და იაო, სამშობლო რასა მიქვიან, მეწყერსაც წაუღიაო!“** (1880 წელს დაწერილი უსათაურო ლექსი). ეს იმ დედების შთამომავალია, რომელთაც „ქარმან ჩრდილოსმან“ ყველაზე უწინ გარდაუცვალა გული ცხოველი (ბარათაშვილი), ამიტომ არ ერიდება პოეტი ასეთი ქალის სატირული პორტრეტის წარმოსახვას. სხვაგან კი (წერილში „ფიქრები ბუხრის წინ“) სანიმუშოდ და მისაბაძად გვიხატავს ქართველ ქალს, რომელიც

შეგნებულად და პრინციპულად ამბობს უარს უცხო ენით საუბარზე. ადვილი წარმოსადგენია, აკაკის აღტაცება ამ, იმდროისთვის უჩვეულო საქციელით. „არიან დღეს ჩვენში ზოგიერთი ახალ-გაზდები, რომელნიც თუ არ გაუჭირველათ, ისე უცხო ენაზე ხმას არ იღებენ და დედა ენაზე საუბრობენ. აგრეთვე ვიცნობ ერთ ქალსაც, დიახ ჭკვიანს და პატიოსანს, რომელიც უცხო ენას უარს ჰყოფს. ადვილი მისახვედრია ეს კერპობა!.. იმ წრეში სადაცა ის არის, მისი მშობლიური ენა პატივ ახდილია და დავიწყებული! მას უნდა, რომ წინააღმდეგი ქცევით, საპირდაპირო უკიდურესობით შეურაცხყოფა ააშოროს დაჩაგრულსა და დევნილს!.. ეს გრძნობა და მოქმედება ერთი შეხედვით ახირებულია, მაგრამ, თუ კარგად დაუკვირდებით, წმინდაა და პატივსაცემი". ასე, ორივე იარაღით — დასაგმობის დაგმობითა და საქებარის ქებით შთააგონებდა დიდი პოეტი თანამემამულეებს სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს. განსაკუთრებით მაინც ქალისგან მოელოდა საქვეყნო საქმეების გულშემატკივრობას და სწორედ მათგან წყინდა გადაჭარბებული „ლოტოთი ლოთობა", დაუნდობლად ამხელდა და ებრძოდა ამ სენს (თავბერიძე, 2012). მეორე მხრივ, უშურველად აქებს სოფიო წულუკიძეს, ალმასხან ნიჟარაძის ასულს, კონსტანტინე წულუკიძის მეუღლეს, რომელსაც ბოლოს ხონში შეხვედრია. ყველა მაქებარი არ ჰყავდა სოფიოს, მაგრამ, აკაკიმ, იცის რა, რომ ქალი საპირადო ინტერესებით კი არა, საზოგადოთი ხელმძღვანელობს თავის ყოველ მოქმედებაში, კმაყოფილების გამომხატველ სიტყვებს არ იშურებს მის მიმართ.

„აკაკის შემოქმედებაში სატრფო — სამშობლოს მყარ ალეგორიულ ხატად იქცა", — მიუთითებს ჯული გაბოძე. მკვლევარი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ აკაკი არ გახლავთ ამ ალეგორიის პირველშემომტანი ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ დამამკვიდრებელი უთუოდ არის და რაც ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, სწორედ ქალია (მზეთუნახავია) მისთვის სამშობლოს სახე. ასე რომ, რეალური ქალი და ალეგორიული ქალი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში სამშობლოს უკავშირდება — ერთი — როგორც სიწმინდის მცველი, მეორე კი — თვითონ დასაცავი სიწმინდე.

ნიკო ნიკოლაძის მონუმენტური სახება

ნიკო ნიკოლაძე არ არის ქართველი საზოგადოებისთვის უცნობი პიროვნება, შეიძლება ითქვას, კარგად ნაცნობიც კია. მის შესახებ არაერთი წიგნი, წერილი, გამოკვლევა, ნაშრომია გამოქვეყნებული. ცხადია, ასეთ მოღვაწეზე წერა რთულია, რადგან ყოველთვის ახლის თქმა ვერ ხერხდება, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ჯეროვნად კიდევ არ არის შეფასებული, დაფასებული და წარმოჩენილი, ასეთი წიგნის დაწერა არა მარტო საჭირო, საშურიც კი იყო. ვაჟა შუბითიძის წიგნზე მოგახსენებთ — „ნიკო ნიკოლაძე — კაცი-სახელმწიფო" (თბილისი, 2013, რედაქტორი — ზურაბ გამეზარდაშვილი).

მაინც რით იქცევს წიგნი ყურადღებას?

აქ თემატურადაა დალაგებული ყველა ის საჭირბოროტო საკითხი, რომელთა შესახებაც აზრი გამოუთქვამს მე-19 საუკუნის დიდ პუბლიცისტს. ავტორს მოუძიებია ახალი მასალები და, ამასთან, უკვე გამოქვეყნებულებიც ისეა მოწოდებული, რომ უფრო თვალსაჩინოდ და ხელშესახებად ჩანს ის ფართო მასშტაბი, თემატური მრავალფეროვნება, მოღვაწეობის განსხვავებული სფეროები, აზროვნების სიღრმე და სინათლე, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს ახასიათებდა. მართლაც ზედგამოჭრილია და ძალიან მომწონს სათაური „კაცი-სახელმწიფო", რადგან ნიკო ნიკოლაძე არ არის ერთი რიგითი მოღვაწე ან რაღაცით სხვებზე აღმატებული, იგი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანი მეჩვენება, არის ის, რომ ავტორი ყოველ ფაქტს, ყოველ მოვლენას მე-19 საუკუნისას, ადარებს ხოლმე თანამედროვეობას, 21-ე საუკუნის პროცესებს და ასე გამოაქვს დასკვნები, ზოგჯერ გამაოგნებელიც კი იმით,

რომ ისევ იქ ვტრიალებთ და იგივე პრობლემები დღესაც მწვავე და აქტუალურია.

არადა, ჩიხიდან გამოსავალი მოძებნილია და ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობაში ინახება.

ეს წიგნი სახელმძღვანელოდ გამოადგებათ ყველა დროის, მათ შორის დღევანდელ ხელისუფალთა და პოლიტიკოსებს, ნიკო ნიკოლაძის ვრცელ მემკვიდრეობაში გასარკვევად კი საუკეთესო გზამკვლევი იქნება ვაჟა შუბითიძის ეს წიგნი.

XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეებს არ ჰქონდათ ის ფუფუნება, რომ მხოლოდ ლიტერატურული საქმიანობით შემოფარგლულიყვნენ. აკაკი წერეთელიც კი, რომელიც ილიასავით ღმერთს ესაუბრებოდა და ცასა და მიწას შორის შუამავალი იყო, წუხდა: ღმერთმა ბულბულად გამაჩინა, მაგრამ ცხოვრება არ მაძლევს საამოდ სტვენის ფუფუნებას და იძულებული ვარ, ყორანივითაც ვიჩხავლოო. მითუმეტეს ეს ითქმის პუბლიცისტზე, ვისი პირდაპირი მოვალეობაცაა, დაინახოს ცხოვრებისეული, ყოველდღიური მოვლენები, შეაფასოს, წარმოაჩინოს და კრიტიკასთან ერთად განვითარების პოზიტიური გზაც აჩვენოს.

ნიკო ნიკოლაძეს მომადლებული ჰქონდა ბობოქარი ბუნებაც, წყნარი დაკვირვებისა და ჭვრეტის უნარიც, აზროვნების სიმკვირცხლეც და ყველაფერი ეს, ნიჭთან ერთად, განაპირობებს, რომ ურთულეს საკითხებზე მსჯელობისას იგი ახერხებდა გამოეტანა მარტივი და ადვილად მისახვედრი დასკვნები.

ვაჟა შუბითიძე შესავალში ჩამოთვლის იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც წამოჭრა და გადაწყვიტა ნიკო ნიკოლაძემ და მისი მასშტაბისა და ღვაწლის გამოსაკვეთად ასეთ, ჩემი აზრით, საკამათო დასკვნას გვთავაზობს:

იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავის თანამედროვეებზე, მათ შორის ილიაზე, აკაკიზე, არჩილ ჯორჯაძესა და სხვებზეო. თუმცა იქვე, იმავე გვერდზე, მომდევნო აბზაცში წერია, რომ მისი ადგილი უეჭველად არის ილიას გვერდით და არა მის შემდგომ ან სხვა ჩამონათვალში.

აქვე გამოთქმულია იმედი, რომ ნიკო ნიკოლაძეს წმინდანად შერაცხავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ისევე

როგორც ივანე ჯავახიშვილს, ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთელსო, — წერს ბატონი ვაჟა. ეს საკითხიც, ჩემი მცირე კომპეტენტურობის გამო, ცხადია, ჩემი (და, საერთოდ, ერთი ადამიანის) შესაფასებელი და გადასაწყვეტი არ არის, თუმცა მე საკამათოდ მეჩვენება.

წიგნში ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფია ისეა გადმოცემული — დაწურულად, ზუსტად გამახვილებული ადგილებით — რომ ნაცნობი და მრავალჯერ წაკითხული ეპიზოდებიც კი საინტერესოდ იკითხება.

„ნიკო ნიკოლაძე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“ — ასეა დასათაურებული პირველი პარაგრაფი. სხვათა შორის, ყოველ თავს ეპიგრაფად უძღვის ნიკო ნიკოლაძის სიტყვები, ძალიან ზუსტად შერჩეული. ვაჟა შუბითიძე პუბლიცისტს მოხდენილად ადარებს კარგ ექიმს, რომელიც ჯერ სწორ დიაგნოზს დასვამს და მერე სათანადო მკურნალობასაც დანიშნავს. საყურადღებოა, რომ ავტორი გვაცნობს თანამედროვე მართვის პრინციპებს აშშ-ში — კერძოდ, აპპლეს დამფუძნებლის სტივენ ჯობსის პრინციპებს — და გამოთქვამს გაოცებას, რომ მაშინ, როდესაც ასე ნათლად არის ჩამოყალიბებული ეს ყველაფერი, რითიც წარმატება მიიღწევა, რატომ იმართება ქართული ბიზნესი მაინც განსხვავებულად.

ამ ჭრილში საყურადღებოა ნიკო ნიკოლაძის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოთქმული შეხედულებები, რომლებიც დღესაც თანამედროვედ ჟღერს და ალბათ არც მომავალში დაკარგავს თავის მნიშვნელობას. კერძოდ, პუბლიცისტს წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნია მემკვიდრეობითობის არარსებობა.

„ყველა დიქტატორი ისტორიას თავიდან იწყებს. მიაჩნია, რომ ყველაფერი მისგან იღებს სათავეს“, — წერს იგი და ბატონი ვაჟა იქვე აკეთებს კომენტარს, რომ საქართველოს პრეზიდენტი 2004-13 წლებში, მიხეილ სააკაშვილი, ამის ნათელი მაგალითია.

დესპოტურ-დიქტატორულ მმართველობას ნიკო ნიკოლაძე ბიზანტიურს, ამ შემთხვევაში აზიურს უწოდებს, გადაჭრით

უარყოფს მას და მოგვიწოდებს მმართველობის ევროპული ფორმისაკენ, როცა ყოველი მომდევნო თაობა ითვალისწინებს წინას მიღწევებს, ტრადიციებს, წესს, ეყრდნობა მას და ისე ამკვიდრებს ახალს. ილია ისტორიის როლსა და დანიშნულებას სწორედ ამ თვალსაზრისით აფასებდა — ამბობდა, უნდა ვიცოდეთ ჩვენი ეროვნული შენობის საძირკველში რა მკვიდრი ქვა ჩაუდევთ წინაპრებს და რა შეცდომა დაუშვიათ, ცუდიც რა გაუკეთებიათ, რათა ეს ყველაფერი გავითვალისწინოთ. უკან მიმავალი წინ მიმავალს იმისთვის უყურებს, რომ ვინიცობაა წინამ ფეხი წამოკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და შორს მოუაროსო.

სხვათა შორის, ასე ერთად თავმოყრილი ციტატები, სხვადასხვა დროს გამოთქმული ნიკო ნიკოლაძის მიერ, გვარწმუნებს, რომ იგი უფრო კონსერვატორია, ვიდრე ლიბერალი და დემოკრატი, როგორც უწოდებდა საკუთარ თავს.

ვაჟა შუბითიძეს შეუმჩნეველი როგორ დარჩებოდა, რომ ნიკო ნიკოლაძე უპირატესობას ანიჭებდა საზოგადოებრივი განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას. შემაფერხებლად ამ გზაზე ეროვნული ნიჰილიზმი მიაჩნდა. ნიჰილიზმი და საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, ბუნებრივია, ყოველთვის უკან სწევს და აკნინებს როგორც ადამიანს, კერძო კაცს, ასევე მთელ ერს. ეს კარგად იცოდნენ წინა საუკუნეების მოღვაწეებმაც და, ვთქვათ, როცა ერეკლე მეფის მიერ გადახდილ პირველ ბრძოლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამ თემაზე იწერებოდა ნაწარმოებები, არა იმიტომ, რომ თვითონ ამ ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებას რამე განსაკუთრებული შედეგი ჰქონდა საქართველოსათვის, არამედ იმის გამო, რომ გაქრა ეჭვი და ერი დარწმუნდა თავის შესაძლებლობებში.

ასევე ცდილობდა ილია ჭავჭავაძე, რომ იმედი გაეღვივებინა ბედს მინდობილ თანამემამულეებში. ბატონი ვაჟა ამ კონტექსტში გიორგი მუხრან-ბატონის იმ ცნობილ ბროშურასაც ახსენებს მცირე და დიდი ერებისა და ენების შესახებ, ივანე ჯაბადარის წერილებსაც, სოციალ-დემოკრატთა შეხედულებებსაც, საგანგებოდ ჩერდება ნიკოლო მიწიშვილის იმ წერილზე, სკეპსისი

ძალიან რომ არის გამოხატული და რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილმა გასცა შესანიშნავი პასუხი თავისი ნარკვევით. ნიკო ნიკოლაძესაც მართებულად მიაჩნდა, რომ თაობათა ბრძოლა, მომდევნოს მიერ წინას მონაგარის უარყოფა, უცხო ქვეყნებისადმი გარეგნული, როგორც თვითონ წერს, მაიმუნური წაბაძვის წადილი სწორედ ნიჰილიზმს შეუწყობდა ხელს და არა გამოფხიზლებას, ნიჭის გამოვლენას, მომავლისთვის შრომასა და ბრძოლას.

სტრიქონებს შორის აშკარად იკითხება მთავარი მიზეზი ჩვენი დაბეჩავებული მდგომარეობისა — დაკარგული სახელმწიფოებრიობა, რომლის ამოგებაც გახდებოდა წინასვლისა და განვითარების საფუძველი, ოღონდ ნიკო ნიკოლაძე ზომიერების, განსჯის, აწონ-დაწონვის მომხრეა და წინააღმდეგია წინასწარ დასამარცხებლად განწირული ბრძოლის წამოწყებისა. უკიდურესობა, მცირე ძალებით გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან უაზრო შებმა მას უგნურებად მიაჩნია. ქართველ ხალხს ნიმუშად და მაგალითად უნგრეთის განმათავისუფლებლის ლაიოშ კოშუტის ბრძოლას კი არ უსახავდა, არამედ ფერენც დეაკის ზომიერ ტაქტიკას — მარტო კანონების გზით ვეცადოთ ჩვენი უფლებების აღდგენასო. საერთოდ ნიკო ნიკოლაძე ყველა სფეროში განვითარების ევოლუციურ გზას ანიჭებდა უპირატესობას და ყოველგვარი რევოლუციის წინააღმდეგი იყო: უცხოეთის და უცხო ერის უპირატესობის აღიარებამ, მის წინაშე შიშმა და მორჩილებამ, საკუთარი რწმუნების დაკარგვამ დაგვცა, სიამაყე დაგვაკარგვინა და მონებად გვაქცია, გამოსავალი კი ის არის, რომ უცხოურ ტექნიკას, მათ მიღწევებს, მეცნიერულ სიახლეებს გავეცნოთ და დავეუფლოთო. ამას შეგვაგონებდა ილიაც, როცა ამბობდა: ახლა თოფის კი არა, სწავლისა და შრომის დროაო. ილიას მსგავსადვე ნიკო ნიკოლაძეც მომხრე იყო წოდებათა შორის მოწესრიგებული ურთიერთობისა („თხისა და მგლის თეორია"). როგორც არაერთი სხვა შეგონება, ძალზე თანამედროვედ ჟღერს ესეც: „დროა თვალი გავახილოთ და დარწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს გველირსება. ნუ ვიქნებით სხვის იმედად, არამედ საკუთარ თავს მივხედოთ".

ნიკო ნიკოლაძე ქადაგებს ეროვნული იდეოლოგიის აუცილებლობას — ცალ-ცალკე უამრავი ქართველია ნიჭიერი, სხვადასხვა სფეროში, დარგში, მაგრამ ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის ვერაფერს აკეთებენო. სხვისი ნიჭის ჩაქოლვასა დაიგნორირებაში გამამაცებულ ქართველებსაც ხედავს და მწარედ ამუნათებს მათ, მაგრამ ნიჭიერი ადამიანების დაცალკევების მთავარ მიზეზად მაინც ეროვნული იდეოლოგიის უქონლობას მიიჩნევს. ისევ ილია გვახსენდება, ვინც ცდილობდა, ეს ნაპერწკალი შეეერთებინა თავისი ქვეყნის დაცემული გულის გასათბობად... წუხდა იმის გამო, რომ „მე" ყველგან არის და „ჩვენ" არსადო.

ვაჟა შუბითიძე ყურადღებას ამახვილებს დღეისათვის არანაკლებ მწვავე პრობლემაზე — დილეტანტიზმსა და თანამდებობაზე შესაფერისი განათლების არმქონე ადამიანების დანიშვნაზე. საუკუნე-ნახევრის წინათაც ასეთი აღმაშფოთებელი ვითარება ყოფილა — „ყოველი ჩვენგანი გამალებული ისწრაფის მოკალათდეს რაიმე თანამდებობაზე და არავის ადარდებს ის, მზად არის თუ არა ამ საქმისათვის, აქვს თუ არა ნიჭი და ღონე მის გასაძღოლად. ჩვენ ყველგან მივძვრებით, საქმე კი ოდნავადაც არ გვაღელვებს", — წერს ნიკო ნიკოლაძე.

წიგნის ავტორს კარგად აქვს შენიშნული, რომ ამ მხრივ საქმე არათუ არ გამოსწორებულა, უფრო გაუარესდა კიდეც და დღეს ასეთი ადამიანები იკავებენ პროფესორების, რექტორების ადგილს თუ სხვა თანამდებობებს.

ნიკო ნიკოლაძე მხარში ედგა ილია ჭავჭავაძეს სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლაში. იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. ყოველთვის, როცა საკითხი ასე დგება — „სამშობლო თუ ჭეშმარიტება" — მერაბ მამარდაშვილის ცნობილი გამონათქვამი გვახსენდება და აი, ბატონ ვაჟას შეგნებულად და ძალიან მოხდენილად მოჰყავს ნიკოლო მაკიაველის შეგონება: „როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი შეიკავეთ იმაზე მსჯელობისგან, სამართლიანია ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერია თუ სასტიკი, საქებია თუ საძრახისი", ანუ ყველაფერი უნდა გაკეთდეს სწორედ სამშობლოს წინსვლისა და განვითარებისათვის.

ნიკო ნიკოლაძე აუცილებლად მიიჩნევდა ხალხის ჩართვას მმართველობაში, თუმცა ამის განხორციელებამდე, მისი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელმძღვანელს. ახლა, გაქანებული დემოკრატიზმის ხანაში ჩვენც გვინდა ნიკოლაძეს მივაწეროთ, მის ნააზრევში დავინახოთ დემოკრატიზმი და ლიბერალიზმი, მაგრამ როცა მის მსჯელობას ვეცნობით ქვეყნის მეთაურის შესახებ, შეიძლება ამაში (ნიკოლაძის დემოკრატობაში) ეჭვი შეგვეპაროს. სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ გამოჩენილი პუბლიცისტი აკრიტიკებდა სოციალ-ფედერალისტთა შეხედულებებს, იცავდა მართლის თქმის პრინციპს ანუ ნაკლზე მითითება მიაჩნდა წინსვლის აუცილებელ პირობად. საინტერესოდ მსჯელობს ნიკო ნიკოლაძე იმის შესახებ, რომ კონტროლი არ არის საკმარისი ქვეყნის წინსვლისათვის. იგი ამბობს, რომ გაკონტროლება, შემოწმება შესაძლებელია იმისა, როგორ გაკეთდა ის, რაც გაკეთდა, თორემ რაც უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა, ამის შემოწმება ყოვლად შეუძლებელიაო. ისევ ილია გვახსენდება, ლუარსაბს რომ მიმართავს: „რაც არ უნდა გაგეკეთებინა, არ გაგიკეთებია და ეს კარგია, მაგრამ რაც უნდა გაგეკეთებინა, ის კი გაგიკეთებია?" ნიკო ნიკოლაძეს კარგად აქვს შეგნებული ის, რაც არც მაშინ და არც ახლა ბევრს არ აქვს გაცნობიერებული: „ადამიანის თავმოყვარეობა მდგომარეობს სამშობლოსათვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანაში". ამაში იგულისხმება კულტურულ-ეკონომიკურ-სოციალური თუ სამხედრო ძლიერება ანუ მთელი კომპლექსი, რაც საბოლოოდ სახელმწიფოს საფუძველს შეადგენს.

ნიკო ნიკოლაძეს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა ვაჭრობის განვითარება. არ ასდევდა XIX საუკუნეში დამკვიდრებულ შეხედულებას ვაჭრობის, როგორც სამარცხვინო საქმიანობის შესახებ (ამ შეხედულების დამკვიდრება-დანერგვაში, სამწუხაროდ, ქართულ მწერლობასაც მიუძღვის წვლილი).

— ნიკო ნიკოლაძე პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ვაჭრობა, აღებ-მიცემობის, ცივილიზებული ბიზნესის წარმოების არგუმენტირებული და სერიოზული პროპაგანდა დაიწყო საქართველოში, — წერს ვაჟა შუბითიძე და დაასკვნის: ქვეყნის

დაქუცმაცებულობის მოსპობის და მისი გაერთიანების ერთერთი მძლავრი ხელშემწყობი სწორედ ეკონომიკაა.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაზე დაყრდნობით, ვაჟა შუბითიძე იმდენ საინტერესო საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობს, რომ ერთად ყველა მათგანის საფუძვლიანი ანალიზი შეუძლებელია და არც არის ახლა ჩვენი მიზანი. წიგნის ყოველ გვერდზე ახალი თემა ჩნდება, ახალი აზრი იბადება. საკითხთა წყება ისეა ჩარიგებული, რომ თითოეულს ღრმა ჩაფიქრება, მთელი სიგრძესიგანით გაზომვა, ნიკო ნიკოლაძის მიერ მოწოდებულ მზა და სწორ დასკვნებს კი გათვალისწინება სჭირდება.

ზემოთაც ვთქვი და კიდევ უნდა გავიმეორო, რომ XIX საუკუნის მოღვაწისა და მოაზროვნის მემკვიდრეობიდან ამოკრებილი ერთად თავმოყრილი, თემატურად დალაგებული, ახალი მასალებით შევსებული და კარგად გააზრებული ეს წიგნი სახელმძღვანელოდ გამოადგება ყველა პოლიტიკოსს. 21-ე საუკუნეშიც თანადროულია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი პარტიებსა და ლიდერებზე. მაგალითად, „ჩვენში ზოგიერთ ყმაწვილთაგანს ჰგონია, რომ ისტორია მისით იწყება და მისით დამთავრდება".

ან:

„ხელისუფლების ხანგრძლივი და სრული წარმატებული ჭერა ხელში ქმნის სახელს, მაშინ, როდესაც ევროპაში პირიქით ხდება — ჯერ ძალიან ძნელად სახელი უნდა მოიპოვოს ადამიანმა და მხოლოდ მერე შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას".

ნიკო ნიკოლაძეს 130 წლის წინათ კარგად ჰქონდა შეცნობილი ნაფიც მსაჯულთა უპირატესობა. ცხადია, აქ იმ საჯარო ლექციებს არ განვიხილავ, რომლითაც ნიკო ნიკოლაძე ეკამათებოდა ცნობილ ავსტრიელ მეცნიერს, უბრალოდ დავეთანხმები წიგნის ავტორს, რომ აუცილებელია ამ მონაპოვრის — ნაფიც მსაჯულთა და მომრიგებელი სასამართლოს სრულმასშტაბიანი და დაუყოვნებლივი დანერგვა საქართველოს სასამართლო სისტემებში.

რა გასაკვირია, რომ ნიკო ნიკოლაძე გახლავთ ცოდნის, განათლების დაუღალავი პროპაგანდისტი. საქმითაც ხელს უწყობდა ამას — გახსნა სასწავლებლები დიდ ჯიხაიშში, ქალთა ჯგუფი

გაგზავნა ევროპაში სასწავლებლად და სხვა. მას მიაჩნდა, რომ ცოდნა და შრომა აუცილებლად ზნეობრიობასთანაც უნდა ყოფილიყო შეერთებული, უწმინდური ხერხით წმინდა რამ თავის დღეში არ გაკეთებულაო, — წერდა იგი. ზნეობის მნიშვნელობა მის წინამორბედთაც კარგად ესმოდათ. აგერ ალექსანდრე ორბელიანი წერდა: ჟურნალ-გაზეთების გამოცემა იმისთვის არის საჭირო, რომ ზნეობრივად განწმინდოს ხალხიო. გრიგოლ ორბელიანი სახელმწიფო საფუძვლებს რომ ჩამოთვლის, ერთერთ პუნქტად სწორედ ერის ზნეობას განსაზღვრავს.

ნიკოლაძეს სურდა, თანამედროვეებისთვის შეეგონებინა, რომ სამშობლოსა და სახელმწიფოსათვის თავდაუზოგავი შრომა და ბრძოლა ადამიანს უდიდეს ნეტარებას ანიჭებს. თუ ილია და აკაკი სასურველად და აუცილებლადაც სახავდნენ ქართველი მოღვაწის საქართველოში ცხოვრებასა და საქმიანობას, ნიკო ნიკოლაძე მიიჩნევდა რომ სხვაგან, საზღვარგარეთაც შეიძლებოდა ქართული საქმის კეთება და სამშობლოს სამსახური. ამ გადასახედიდან ან ერთ მოსაზრებას დაუჭერს მხარს ადამიანი, ან მეორეს, მაგრამ არგუმენტების გათვალისწინება კი ერთისაც მოუწევს და მეორისაც.

საერთოდ, ქართველი სამოციანელები ბევრს ფიქრობდნენ და წერდნენ აღზრდის საკითხებზე და ეს ბუნებრივია, რადგან ისინი თავისუფალ საქართველოზე ოცნებობდნენ, რისი ახდენაც მომავალში დღევანდელ ბავშვს მოუწევდა; რასაც დღეს შთააგონებდნენ მას, როგორი იდეალითაც გაზრდიდნენ, მომავალიც ისეთი იქნებოდა, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოზარდის აღზრდას, რაც, დავეთანხმები ბატონ ვაჟას, დღესაც ასეთივე სერიოზული პრობლემაა.

ერთი თავი ამ წიგნიდან — როგორ დაუპირისპირდა ნიკო ნიკოლაძე ძმებ ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიას — ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზეც დაიბეჭდა. ჩემთვის აქ მარტო ის კი არ აღმოჩნდა საგულისხმო, როგორი გონიერი და გამბედავი გახლდათ ქართველი პუბლიცისტი, არამედ უფრო ის, რომ ნიკო ნიკოლაძის ბრძოლამ შედეგი გამოიღო. მან შეძლო დაერღვია ნობელების ეს მონოპოლია.

ბევრი ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი დაწერილა ქართულ ენაზე, მაგრამ ასეთი კონკრეტული შედეგი ცოტას თუ გამოუღია. ნიკო ნიკოლაძის ეს გამარჯვება მართლაც გამორჩეული და საამაყოა.

საყოველთაოდ ცნობილია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ფოთის ქალაქად ჩამოყალიბებაში. ავტორი დანვრილებით გვიყვება ამის შესახებ და არც ის ავიწყდება, ქართველ მოღვაწეებს რომ არ ემეტებოდათ თავიანთი მეგობარი ამ ერთი შეხედვით უშედეგო საქმისთვის და ურჩევდნენ, გამოსცლოდა დაჭაობებულ ფოთს.

ნიკო ნიკოლაძეზე საუბრისას არაერთხელ ვახსენეთ ილია ჭავჭავაძე. ზოგჯერ ისინი კამათობდნენ, არ ერიდებოდნენ თავიანთი აზრის ხმამაღლა გამოთქმას; თუმცა ძალიან აფასებდნენ ერთმანეთს, დუელს მაინც ვერ ასცდნენ. მათ სეკუნდანტს, სიმბორსკის, თურმე დუელის წინ ცრემლები წასკდა: რომელიმე რომ შეეწიროს, რა გვეშველებაო. როგორც ყველა ქართულ დუელში, აქაც საქმე შერიგებით დამთავრებულა.

— კიდევ კარგი, რომ დუელამდე იტირა და არა შემდეგო, — შეფარული იუმორით ამბობს როსტომ ჩხეიძე თავის წიგნში „ქართული დუელიანა“, ხოლო ვაჟა შუბითიძე გვიბეჯითებს:

— ნიკო ნიკოლაძე, კაცი-სახელმწიფო უნდა ვიგულოთ ილიას გვერდით და არა მის შემდეგ, ან რომელიმე სხვა ჩამონათვალშიო.

იაკობ გოგებაშვილი — პროფესიონალი მწერალი

ვინ უნდა მივიჩნიოთ პროფესიონალ მწერლად? რას ნიშნავს მწერლობა, როგორც პროფესია? სად არის საგულვებელი მწერლობის პროფესიონალიზაციის დასაწყისი, სათავე? ვინ არიან ჩვენში პროფესიონალი მწერლები და ეკუთვნის თუ არა მათ რიცხვს იაკობ გოგებაშვილი? — აი, ამ კითხვებზე პასუხის მოკრძალებული ცდაა ჩვენი წერილი.

ტერმინი „პროფესიონალი მწერალი", ალბათ, ორი — ვიწრო და ფართო მნიშვნელობით გაიგება. ფართო მნიშვნელობით, პროფესიონალია ყველა მოწოდებით მწერალი. ქართულ ლიტერატურას, მოგეხსენებათ, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს და პირველივე ძეგლიდან (ავტორიდან) მოკიდებული დღემდე ყველა ის მწერალი, რომელთა ნაწარმოებები დარჩა ჩვენი ლიტერატურის და კულტურის ისტორიაში, პროფესიონალია. საუბარი შეიძლება და სავსებით მართებულად და ლოგიკურად, იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის, მერჩულისა და სხვათა პროფესიონალიზმზე, როგორც მწერლურ ოსტატობაზე. როცა დავით გურამიშვილი ყმაწვილებს სხვადასხვა პროფესიას აცნობს, სულ ათ ხელობას ჩამოთვლის და მათ შორის - პროფესიით ბრძენსაც (ბრძენ-მსიტყველს). სხვებთან შედარებით უპირატესობას სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებს:

აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია
ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;
ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგო ქცევითა ბაძით წახდების ერია.

(გურამიშვილი 1989:356)

რუსთაველის მიხედვით, პოეზიაა სიბრძნისაა ერთი დარგი, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გურამიშვილისეული ბრძენ-მეტყველი მწერალია.

თუმცა პროფესიების წარმოქმნა რადგან ბურჟუაზიულ ეპოქას უკავშირდება, ამიტომ, ცხადია, მწერლობა, როგორც პროფესია, დამახასიათებელი არ გახლავთ ძველი სამყაროსთვის (თუმცა პარადოქსული აზროვნების ოსტატი ემილ მიშელ ჩორანი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: „პროფესიონალი მწერალი — ბურჟუაზიული ეპოქის გამომგონებელი" („საგურამო": 172). აქ ჩვენ უკვე ვსაუბრობთ მწერლობის პროფესიონალიზაციის ვიწრო მნიშვნელობაზე.

მწერლობის, როგორც პროფესიის გაჩენამ, რათქმაუნდა, შეცვალა, გადაასხვაფერა თავად მწერლობისა და მწერლის ფუნქცია, მნიშვნელობა. მწერლობის პროფესიონალიზაცია ჯერ ევროპაში, ცოტა უფრო გვიან კი (კერძოდ, XIX საუკუნეში) რუსეთსა და საქართველოშიც იწყება. ჩვენი პროფესიონალი მწერლები აქტიურად მონაწილეობენ მწერლობისა და კულტურის განახლება — გარდაქმნაში, თვისობრივი ხასიათის სიახლეები შემოაქვთ პროფესიაში. მწერლობის პროფესიონალიზება ზემოთქმულს აუცილებლად გულისხმობს.

ახლა ვნახოთ, როგორ არის განსაზღვრული ტერმინი „პროფესიონალიზმი" იმ მკვლევართა მიერ, რომლებიც ეკონომიკურ კრიტიკასა და ლიტერატურულ კვლევებს წარმატებით აკავშირებენ ერთმანეთთან. როგორც უილიამ ტოდი წერს თავის გახმაურებულ წერილში „დოსტოევსკი, როგორც პროფესიონალი მწერალი", მწერლობა, როგორც პროფესია, გულისხმობს სამ აუცილებელ რამეს: 1. ავტორისთვის წერა უნდა იყოს „მოწოდება", 2. ფინანსურად სტაბილური საქმიანობა და არსებობის ძირითადი საშუალება. 3. უნდა იკვეთებოდეს ავტორის ხაზგასმული პატივისცემა სიტყვისადმი და როგორც კრიტიკოსის პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე .

მწერლობის და კომერციის ურთიერთობით მრავალი მკვლევარი გახლდათ დაინტერესებული. ზოგი მათგანი (მაგალითად, შევიროვი) ლიტერატურული შრომის ფულად ანაზღაურებაში

მწერლობის განვითარების პერსპექტივას ვერ ხედავდა. მიაჩნდა, რომ ავტორები შეგნებულად გახდებოდნენ მრავალსიტყვიანნი და საერთოდ, ვაჭრობა (ფულადი ანაზღაურება) დაღუპავდა გემოვნებას, აზრს, მორალს, დახვეწილობას, მართალ კრიტიკას. მსჯელობა თითქოს ლოგიკურიცაა, მაგრამ სინამდვილეში ეს ეხება მხოლოდ ლიტერატურასთან შემთხვევით და არა მოწოდებით დაკავშირებულ ადამიანებს.

მარტო პირველი ნიშნით, როგორც ვთქვით, ძალიან ბევრი ავტორი გახლავთ პროფესიონალი მწერალი, მაგრამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობა სწორედ სამივე ნიშნის ერთიანობას გულისხმობს. ინდივიდუალურად თითოეულ შემთხვევაში შესაძლებელია კიდევ სხვა ნიშნების გამოყოფაც.

ამ სამივე ნიშნის გათვალისწინებით პირველ პროფესიონალ მწერლად საქართველოში, ვფიქრობ, სოლომონ დოდაშვილი უნდა მივიჩნიოთ.

სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობის შემდეგ ჩვენში ხდება სერიოზული კულტურული წყვეტა. ამიტომ, როგორც სწორად აღნიშნავს მკვლევარი ნონა კუპრეიშვილი (წერილში: აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი"): „საკმაოდ რთულია საუბარი მწერლობის პროფესიონალიზების პროცესის თანმიმდევრობასა და ლოგიკურობაზე". დოდაშვილის უშუალო გამრძელებლად გვევლინებიან „სალიტერატურონი ნაწილნის" გამოცემიდან (1832 წ.) ოცი წლის შემდეგ (1852 წ.) დაარსებული ჟურნალის „ცისკარის" რედაქტორი გიორგი ერისთავი და მისივე თანამედროვე ზურაბ ანტონოვი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხი კი ამჟამად ისაა, შეიძლება თუ არა პროფესიონალი მწერალი ეწოდოს იაკობ გოგებაშვილს და თუ კი, როგორ, რაში ავლენს იგი ამ პროფესიონალიზმს.

ზემოდასახელებული სამი ნიშნიდან პირველი, „მოწოდება" რომ ზუსტად შეესაბამება იაკობ გოგებაშვილს, ეჭვს არ იწვევს. გოგებაშვილი, გარდა იმისა, რომ მოწოდებით პედაგოგი იყო, გახლდათ აგრეთვე მოწოდებით მწერალი. ცხადია, არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ იგი საბავშვო მწერალია. ბავშვებისთვის ხომ ისევე უნდა იწერებოდეს, როგორც დიდებისთვის,

ოღონდ ოდნავ უკეთ. გოგებაშვილი ავტორია 150-მდე პატარა თუ დიდი, შესანიშნავი საბავშვო მოთხრობისა. მათგან ერთი, „იავნანამ რა ჰქმნა?!" განსაკუთრებით პოპულარული იყო და არის დღესაც მოზარდებშიცა და მოზრდილებშიც.

ბელეტრიზებულია მისი ისტორიული თხზულებებიც, რომლებიც სამართლიანადაა მიჩნეული ნოველებად. გოგებაშვილის ამ ციკლის ნაწარმოებები როსტომ ჩხეიძემ ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიას" შეადარა. ბიოგრაფიულ რომანში „ბურჯი ეროვნებისა" რ. ჩხეიძე წერს: „შუაგულში აქაც მთხრობელი იდგებოდა თავისი მიმზიდველი ხელოვნებით, ქრონოლოგია სადღაც შორს დარჩებოდა და ერთი-ერთმანეთზე უფრო გულისშემძვრელი ეპიზოდები მოიტანდა ბავშვის გულსა და გონებამდე ისტორიის სულს, ხელშესახებად განაცდევინებდა ეპოქათა დაუსრულებლობასა და შინაგან რიტმს, და იმ უშორეს ხანამდე გადაწვდებოდა, ინგლისის ისტორიის გარიჟრაჟი ლამის ყურისძირში გამოჩნდებოდა". საგულისხმოა მწერლის იდეა, საერთო სახელწოდებად გოგებაშვილის ამ თხზულებებს, დიკენსის კვალობაზე, ვუწოდოთ „საქართველოს საყმაწვილო ისტორია (ფრაგმენტები)".

როსტომ ჩხეიძემ იაკობის მოღვაწეობასა და ცხოვრების სტილს ფრანც კაფკას ფორმულა მიუსადაგა, მე არა მაქვს ლიტერატურული ინტერესები, მე შევდგები ლიტერატურისაგანო. ეს იმიტომ, რომ თანამედროვენი მას იგონებენ, როგორც ადამიანს, რომელსაც პირადი ცხოვრება არ ჰქონდა. მთელი მისი ცხოვრება, სიმდიდრე და სიღარიბე, ცოლ-შვილიც, ოჯახიც, გართობაც იყო სწავლა-განათლება, დედა ენა, სამშობლოს სიყვარული „ლაპარაკი, მსჯელობა, აზროვნება მხოლოდ ამ საგნებზე ეხერხებოდა სიყვარულით, ხალისითა და გატაცებით" (გოგიჩაშივილი).

იაკობი ხალხში არანაკლები სიყვარულით სარგებლობდა, ვიდრე ილია და აკაკი. ეს გარემოება კი იმის დასტურად გამოდგება, რომ მწერლობას მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. უნდა დავეთანხმოთ დემნა შენგელაიას, რომელიც წერს: „თუ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ილიასთან და აკაკისთან ერთად იბრძოდა ვინმე ასეთი უანგარო თავდადებით, ასე უშიშრად და ზნე-

ობრივად იყო უმწიკვლო, პირველ რიგში ეს იაკობ გოგებაშვილია".

ხალხის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა იაკობმა სიცოცხლეშივე ისევე, როგორც ილიამ და აკაკიმ. სიცოცხლის მიმწუხრს უთქვამს კიდეც: ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო.

კიდევ უფრო მეტად ესადაგება გოგებაშვილს პროფესიონალი მწერლის სხვა ნიშანი - წერა, როგორც ფინანსურად სტაბილური საქმიანობა და არსებობის ძირითადი საშუალება.

ახალგაზრდობის (1874 წლის) შემდეგ იაკობ გოგებაშვილს არსად უმსახურია. მან უარი თქვა სახელმწიფო სამსახურზე. დაწვა, გაანადგურა ყველა მოწმობა, დიპლომი, ატესტატი თუ სხვა დოკუმენტი. ამ დროიდან იგი მხოლოდ ჰონორარებით ცხოვრობდა.

1865 წელს შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელო „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი", რომელიც 1876 წლამდე გამოდიოდა. სულ 60000 ეგზემპლარი დაიბეჭდა. თუმცა მარტო ამ წიგნით მიღებული შემოსავალი მცირე იყო. 1876 წელს, როცა იაკობმა პატარა ბინა დაიქირავა ვერაზე, თურმე იგი ძალიან ხელმოკლედ იყო, რასაც ვერ ვიტყვით შემდგომ წლებზე. 1876 წელს გამოიცა პირველი „დედა ენა". მისი შემოსავლის ძირითადი წყარო სწორედ ეს წიგნი გახლდათ კიდევ ორ სახელმძღვანელოსთან („ბუნების კარი" და „რუსკოე სლოვო") ერთად. შემოსავალი არ იყო ძალიან დიდი, რადგან იაკობი არ თანხმდებოდა სახელმძღვანელოების ოდნავ გაძვირებაზეც კი. „დედა-ენაშივე" შეიტანა თავისი „ქართული ენის ანბანი", წიგნი კი, მიუხედავად იმისა, რომ მალე საღდებოდა, არ გაუძვირებია. ამას იმით ხსნიდა, რომ ჩვენი ღარიბი ხალხისთვის წიგნში ძვირის გადახდა სამძიმო იქნებაო.

იაკობ ბოცვაძის თქმით, იაკობს წელიწადში ცხრაას თუმნამდე ჰქონდა შემოსავალი, ფილიპე გოგიჩაიშვილის გამოთვლით — ექვსასზე მეტი არ უნდა ჰქონოდა. ოღონდ ყველა შემთხვევაში ერთი ცხადია — მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო გამოცემული წიგნები იყო. საინტერესოა, როგორ ანაწ-

ილებდა ამ ფულს გოგებაშვილი. როგორც გადმოგვცემენ - უმეტესად საქველმოქმედო საქმეებზე. ხელმოკლე ახალგაზრდებს შეეწეოდა. აი, რას წერს ამის შესახებ ფილიპე გოგიჩაიშვილი: „იშვიათად გამოზრდილა იმ დროში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ისეთი ხელმოკლე ახალგაზრდა ქართველი, რომელსაც თავის მიმართ, ამა თუ იმ გზით, ყურადღება დაემსახურებინოს და რომლისთვისაც ი. გოგებაშვილს, აშკარად ან ფარულად, ერთდროულად ან სისტემატურად, დახმარება არ მიეცეს". ანდერძად დაიბარა, აკაკისთვის ყოველ წელიწადს 100 მან. გადაეხადათ იმ ლექსების ჰონორარად, რომლებიც თავის სახელმძღვანელოებში ჰქონდა მოთავსებული.

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის დრო დაემთხვა იმ ხანას, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება გამოვიდა ლიტერატურული სალონებიდან და უფრო ფართო ხასიათი მიიღო. 1859 წელს რუსეთში შეიქმნა ლიტერატურული ფონდი (მსგავსი ორგანიზაციები ევროპაში მანამდეც არსებობდა, რუსეთში კი ასეთი ფონდების დაარსება აკრძალული იყო). ეს ფონდი შემოწირულობებით არსებობდა და ეხმარებოდა მწერლებს, მეცნიერებს და მათ ოჯახებს. ჩვენთან მსგავსი ორგანიზაციები გვიან ჩამოყალიბდა. 1879 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" და 1890 წელს „წიგნის გამომცემელთა ქართველთა ამხანაგობა". ამათგან პირველის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იაკობ გოგებაშვილი იყო.

იაკობი დაახლოებული გახლდათ იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონთან, სადაც იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწეები: დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, გეგე მაღალაშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვანი. აქ მსჯელობდნენ საქართველოს ბედზე, არჩევდნენ სხვადასხვა სტატიასა თუ წიგნს, კითხულობდნენ რეფერატებს, იმართებოდა დებატები. სწორედ აქ ჩამოაყალიბდა აზრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა. თავმჯდომარედ პირველად დიმიტრი ყიფიანი აირჩიეს. შეიმუშავეს წესდება. იაკობის კატეგორიული მოთხოვნით წესდებაში შეიტანეს მუხლი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლე-

ბში სწავლება ქართულად უნდა ყოფილიყო. საყოველთაო განათლება ერთი ძირითადი საკითხია, რომელიც ხელს უწყობს მწერლობის პროფესიად გადაქცევას. საყოველთაო განათლების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჩვენს მოღვაწეებს. ილია ჭავჭავაძე თვითონ იყო ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი და დამცველი. გასაკვირი არ არის, რომ ილიამ სათავადაზნაურო ბანკს გადააადებინა საზოგადოების სასარგებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი და ამით დიდად შეეწია მას სასიკეთო საქმეების აღსრულებაში. იაკობის რჩევით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შემოიღო მასწავლებელთა დაჯილდოების პრაქტიკა. პირველი შენატანი ფონდში, 150 მანეთი, იაკობისა იყო. 1900 წლიდან წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა უფლება „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ გამოცემა-გავრცელებისა. უფრო ადრე (50-იანი წლებიდან) კერძო გამომცემელ-გამავრცელებელნი, შემდეგ კი მათთან ერთად ფონდები თუ ორგანიზაციები ხელს უწყობდნენ მწერლობის პროფესიად გადაქცევას.

პროფესიული მწერლობის კიდევ ერთი ნიშანი თუ სახეობა გახლავთ ჟურნალისტიკა, რომლის გარეშე თითქმის შეუძლებელია მკითხველთა აუდიტორიის შექმნა.

იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა პრესის მნიშვნელობა და აქტიურად თანამშრომლობდა რედაქციებთან. 1863 წელს კიევიდან საქართველოში მისი დაბრუნება, გართულებული ავადმყოფობის გარდა, ერთგვარად განაპირობა იმანაც, რომ ამ წელს დაიწყო ილია ჭაჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობის დროს იაკობმა მოსწავლეთათვის დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. ამ ჟურნალში მოსწავლეები ათავსებდნენ თავიანთ წერილებს, ამავე ჟურნალისთვის წერდა თვით იაკობიც. ეს იყო ერთადერთი ჟურნალი, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი რედაქტორობდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შორს იდგა ბეჭდური მედიისგან. სულაც პირიქით, იგი თანამშრომლობდა მაშინ გამომავალ თითქმის ყველა ჟურნალთან და გაზეთთან. აქვეყნებდა „დროებაში“, „ივერიაში“,

„მოამბეში“, „მეურნეში“, „კვალში“, „ცნობის ფურცელში“, „სახალხო გაზეთში“, „ნაკადულში“, „განათლებაში“ და სხვაგან. მისი უშუალო დახმარებით დაარსდა 1883 წელს პირველი საბავშვო ჟურნალი „ნობათი“. ჟურნალის გამოცემის შესახებ ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა მან გაზეთ „დროებაში“. მიესალმა და გამოეხმაურა აგრეთვე საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემის გადაწყვეტილებას 1889 წელს. რეცენზია ამ ჟურნალის შესახებ დაიბეჭდა „ივერიაში“.

ნიკოლოზ კანდელაკი წერილში „იაკობ გოგებაშვილი“ წერს: „ილიას მოუცლელობის, ავადმყოფობის ან სამშობლოში არყოფნის დროს გოგებაშვილი წერდა „ივერიისთვის“ მოწინავე სტატიებს, სარედაქციო წერილებს და „შინაურ მიმოხილვებს“.

ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად იაკობი რედაქტორობს „ივერიის“ იმ ნომრებს, ასე ვთქვათ, ცვლის ილიას. ერთი მხრივ, ხელშესახებად ჩანს ილიას სრული ნდობა, დაფასება და განსაკუთრებული პატივისცემა იაკობისა, მეორე მხრივ კი, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იაკობ გოგებაშვილზე, როგორც რედაქტორზე. იგი, ცხადია, „ივერიის“, ესე იგი ილია ჭავჭავაძის სარედაქციო პოლიტიკას აგრძელებს და მთავარი ძარღვი, რომელზეც აგებს ამა თუ იმ ნომერს, რათქმაუნდა განათლება, მამულიშვილობა და სხვა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ნაკლებადაა მოსალოდნელი მწერლობის პროფესიად ქცევა არისტოკრატიული წარმომავლობის შემოქმედთაგან. მათ მემკვიდრეობითა აქვთ მიღებული საარსებო წყარო, როგორც წესი, არ უწევთ ზრუნვა ფინანსების მოსაძიებლად, ყოველ შემთხვევაში, მწერლობა უფრო საკრალურ მოვალეობადა და ხელობად მიაჩნიათ და მას არ განიხილავენ, როგორც შემოსავლების წყაროს. იაკობ გოგებაშვილი (ისევე, როგორც სოლომონ დოდაშვილი) არ გახლდათ მაღალი სოციალური წრიდან. მამამისსს, სოფლის მღვდელს, არ დაუტოვებია შვილებისთვის დიდი ქონება. მიუხედავად ნივთიერი შეჭირვებისა, სწავლის დიდმა სურვილმა, და ბუნებითმა ნიჭიერებამ წაიყვანა იაკობი კიევში განათლების შესავსებად. ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს გამორ-

იცხული იყოს თავადის მწერლური პროფესიონალიზმი. სრულიადაც არა და ამის ნათელ მაგალითად ჩვენში სხვა რომ არა იყოს რა, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი წარმოდგებიან.

შევეცადე, დამესაბუთებინა, რომ იაკობ გოგებაშვილი ნამდვილი პროფესიონალი მწერალია. აქვე დავამატებ— ეკონომიკური სტაბილურობა არ გახლდათ ის ძირითადი ფაქტორი, რის გამოც უარი თქვა იაკობმა სახელმწიფო სამსახურზე. იგი ამ ჟესტით მთელ იმპერიას დაუპირისპირდა, პროტესტი გამოხატა საქართველოს უუფლებო მდგომარეობის გამო. ცნობილია, რომ ისტორიასაც ამ ჭრილში - მხოლოდ ეროვნული სამზერიდან განიხილავდა (ამ ნიადაგზე კამათიც ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან, რომელმაც მოგვიანებით აღიარა იაკობ გოგებაშვილის პოზიციის მართებულობა). ამ პოზიციამ განაპირობა გარკვეულწილად მისი პროფესიული ცხოვრებაც.

ბიოგრაფია ეპოქის კონტექსტში

(რომანი ვაჟა-ფშაველაზე)

ბიოგრაფიულ რომანს (ისევე, როგორც ყველა ჟანრს) თავისი სპეციფიკა აქვს. მხატვრულ, ემოციურ თხრობასთან ერთად აქ უმნიშვნელოვანესია ფაქტების სიზუსტე. მწერალს უხდება საარქივო მასალის, პირადი მიმოწერის, მოგონებების, სხვა ჩანაწერების შესწავლა. ხშირად სტერეოტიპი მიეკერება ხოლმე ამა თუ იმ მოღვაწეს და რეალურის მაგიერ მის დამახინჯებულ სახეს ვიღებთ. როსტომ ჩხეიძე ის მწერალია, რომელიც ყოველთვის უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალებს, ახალი კუთხით დაგვანახებს მის პორტრეტს. ბიოგრაფოსი ეპოქის კონტექსტში კითხულობს ადამიანის თავგადასავალს, უამრავ ყოფით ამბავში გამოარჩევს ზოგადსა და დამახასიათებელს, ღრმად წვდება მოვლენის არსს, გულისგულს და ყოველთვის ეს სიღრმე აინტერესებს და არა ფასადი თუ ზედაპირი.

„დევების სტუმარი" ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკაა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ანგრევს მრავალ ცრუმითს და ამკვიდრებს პოეტის მონუმენტურ და ნამდვილ სახეს.

ერთ დროს საკმაოდ გავრცელებული და ჭეშმარიტებისგან ყველაზე დაშორებულია შეხედულება ვაჟას გაუნათლებლობის შესახებ. რადგან ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში არ უსწავლია და ძირითადად ფშავში ცხოვრობდა და ქმნიდა, თითქოს მხოლოდ ღმერთთან საუბრით იყო შესაძლებელი (განათლების, წიგნიერების გარეშე) იმ განსაკუთრებული, ღრმა და მნიშვნელოვანი, საკრალური სამყაროს შექმნა, კაცობრიობის საგანძურს რომ შეჰმატა.

ვაჟას წიგნიერებაზე, სხვა რომ არაფერი იყოს, თუნდაც მარტო ის ფაქტი მეტყველებს, როგორ სიღრმისეულად იცნობდა მაშინაც და მერეც ძალზე პოპულარულ მწერალს, ფრიდრიჰ ნიცშეს. არ ეთანხმებოდა დამკვიდრებულ შეხედულებას, თამამად და, რაც მთავარია, ცოდნით გამოთქვამდა საკუთარ შეხედულებას. იქნებ, პოლემიკური გადაჭარბებაცაა, მაგრამ ქართველი მწერლის აზრით, ჩვენი მოხევე და მთიელი უფრო რაინდია, ვიდრე ნიცშეს ზარატუსტრა. ჩანს, რომ დეტალურად, გამოწვლილვით, ნიუანსობრივად იცის გერმანელი ფილოსოფოსის ნაწერები. ეს ფაქტი ვაჟასა და „ზარატუსტრას“ ავტორის მსოფლმხედველობრივ განსხვავებაზე კი არ მიუთითებს, არამედ — ქართველი პოეტის საფუძვლიან განათლებაზე, აზროვნების ორიგინალურობასა და გამბედაობაზე. თორემ მკვლევარები სავსებით არაორაზროვნად ამჩნევენ ნიცშესა და ვაჟა-ფშაველას შორის არსებულ ბევრ საერთოს. ახალგაზრდა მთარგმნელმა გიორგი მესხმა ნიცშემდელი ნიცშეც კი უწოდა ვაჟას.

„ვაჟა რომ ამ ვეება ქმნილებასა ძერწავდა, ეპოსი უკვე დიდიხნის გამოტირებულად, დიდი ხნის მიცვალებულად ითვლებოდა, ისე დიდიხნისა, რომ თვით გოეთემ „ფაუსტს“ ტრაგედია დააწერა... მით უფრო სიფრთხილე მართებდა ვაჟასა... ეპიკა, სხვა რომ არა იყოს რა, ჩამორჩენილობადღა ითქმოდა. ვაჟას მიმართ ამიტომაც წამოსცდათ კრიტიკოსებს, ჩამორჩენილიაო“, — წერს ოთარ ჩხეიძე ვასილ ბარნოვის ცხოვრების ამსახველ რომანში და უამრავ სხვა მოღვაწესთან ერთად, ვაჟა-ფშაველას დასამახსოვრებელ, მართალ პორტრეტსაც ქმნის. ეპოსს მითოლოგიური აზროვნების ნაყოფად განმარტავს მწერალი, ვაჟას შემოქმედებას კი – სხვადასხვა პოემისაგან შემდგარ ერთ ეპოსად. რა კვებავდა, რა ასაზრდოებდა ვაჟას წარმოსახვებს? – მითოსი, ხალხური პოეზია, „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკები და ყველა ამ წყაროდან, როგორც ოთარ ჩხეიძე აღნიშნავს, ვაჟას სულ მცირე მასალა დასჭირდა, მცირე მასალა, რათა შეექმნა საკუთარი – დიდი და დიადი – სამყარო. ამ შესანიშნავ სილუეტში ავტორის ერთგვარი სევდა თუ სინანულიც იგრძნობა. ძლიერი და თავისუფალი ქვეყნის შვილი რომ ყოფილიყო, ვაჟას

შემოქმედებაში, იქნებ, სხვაგვარად განვითარებულიყო საყოველთაო სიყვარულის იდეაო. და ნათლად წარმოაჩენს დიდი პოეტის მსოფლმხედველობის არსს, საფუძველს: „ეროვნული გადარჩენის არსი საყოველთაო სიყვარულის რწმენამდის აიტანა, ეროვნული თავისუფლების წყურვილი მარადიული ბრძოლისა და დაუნდობლობის გარდუვალობას გადააწნა“.

როსტომ ჩხეიძეც თავისი ბიოგრაფიული რომანის წინასიტყვაობაშივე გამოკვეთს სახეს იმ პიროვნებისა, რომელიც ერთდროულად ცხოვრობდა მითოსსა და რეალობაში, იყო არქაული მთის შვილიცა და ევროპულად განსწავლული, ცივილიზებული ქართველიც, გახლდათ გულჩვილი და მგრძნობიარე, ოღონდ სიცილი არ იცოდა. თითქოს მითოსიდან გადმოსული იმედა რაზიკაულის შთამომავალი, ანდრეზული დროის მკვიდრი, ლუკა რაზიკაშვილი უზარმაზარ ძალას, ღვთიურ მადლს გრძნობდა საკუთარ თავში, წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოვებულს, მომავალში დევების სათარეშოდ ქცეული ქვეყანა ედგა თვალწინ და ჰომეროსული ძალით ცდილობდა უმზეო და უმთავრო სამშობლოსათვის დევთა ღრეობა აეცილებინა, რათა იგი მარტო ჩვენ კი არ გვჩვენებოდა მზიანად, არამედ — მთელ მსოფლიოსაც.

ღვთიური მადლის ძალაზე, „ნაწილიანობაზე“ საგანგებოდ მსჯელობს როსტომ ჩხეიძე. ვაჟას სამყაროში შესაღწევად წინამორბედ მკვლევართა ნააზრევს ეყრდნობა (გრიგოლ კიკნაძის, თამაზ ჩხენკელის, თამაზ ბიბილურის, ზურაბ კიკნაძის, ამირან არაბულისა და სხვათა) და სახელდებით მოიხსენიებს მათ. ტარიელივით „მზის წილი“, ნაწილიანი ყოფილა ვაჟაც და „საკრამენტოს“ შეძახებაც უყვარდა თურმე. ამ საკრამენტოთი ლამის ჯეკ ლონდონის პერსონაჟებთან გავაიგივოთ ოქროს ძიების წყურვილით ანთებული მწერალი, აქ კი რომანის ავტორი წარმართავს ჩვენს ფიქრებს სწორი მიმართულებით, გაგვიმარტავს რა განძსაც მიაკვლია ვაჟა-ფშაველამ, ოქროს მეტაფურულად გაიაზრებს და ამ საუნჯის თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის უანგაროდ შემწირველად გვიხატავს.

„დევების სტუმარი“ როსტომ ჩხეიძის სხვა ბიოგრაფიული რომანებისაგან განსხვავებით, სულ ოთხ ნაწილადაა დაყოფილი,

წინასიტყვაობითა და ეპილოგით. ეს გარემოება, ერთი მხრივ, აადვილებს შინაარსის აღქმას, მეორე მხრივ, თავისებურად ართულებს კიდეც. თავების ხშირი მონაცვლეობა ერთგვარად დასვენების, ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს მკითხველს, რასაც მოკლებულია ამ ვრცელი, ერთიანი, მონუმენტური ნაწილების კითხვისას. „დაკარგული სამყაროს ბილიკებზე" (პირველი ნაწილი) ერთ-ერთი ყველაზე ემოციური და გულის მომკვლელი ეპიზოდით იწყება — სამხედრო ლაზარეთში სამკურნალოდ მყოფი პოეტის კვნესა-ვედრება მეორდება რამდენჯერმე:

— რად მკლავთ, რატომ არ წამიყვანთ ჩარგალში?

თითქოს მთა მოარჩედა, მთა, სადაც თანამედროვე კი არა, ძველი მითოსური დრო-ჟამი იდგა და ვაჟაც იმ სამყაროს განუყოფელ შვილად გრძნობდა თავს.

როგორც ორთქმავლისათვის ორთქლი, ისევე აუცილებელია მწერლისთვის პატრიოტიზმიო, — წერდა „ბახტრიონის" ავტორი და თავისი შემოქმედებით ამ მრწამსს გამოხატავდა. როსტომ ჩხეიძეს ამასთან ერთად მზის სინათლეზე გამოაქვს აქამდე თითქმის სრულიად მივიწყებულ-მიჩქმალული ბიოგრაფიული ფაქტი პოეტის ცხოვრებიდან — ჩვენ წინაშე დგას ეროვნული აჯანყების მეთაური ვაჟა-ფშაველა (ამ რომანის ერთი უმთავრესი ღირსება, სხვა მრავალთან ერთად, ესეცაა). 32-იანელთა სულით გამსჭვალულიყოო, — შენიშნავს ავტორი და იქვე დასძენს, ბარემ მწერალს გადმოებარებინა მწერლებისავე წამოწყებული დიადი ზრახვა, რომელიც გაქრობით თურმე მართლაც არსად გამქრალიყო. თავისუფლებისათვის ბრძოლად ითქმოდა კალმით ბრძოლაც, რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საძნელო იარაღით ომზე. აგერ „ბახტრიონიც" ცხადად და ხელშესახებად ხატავდა მომავლის სურათებს, მაგრამ ამჯერად ვაჟას სახელთან დაკავშირებული მომავალი აჯანყება სწორედ იარაღით გამოსვლას გულისხმობს. თავისი ემისრები ჰყავდა, როგორც ჩანს, მეთაურს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ საფუძვლიანად მოამზადებდა ამბოხს, თვითონ მთას აამღელვარებდა, სხვები – სანდო და თავგანწირული ხალხი სხვა მხარეებს წამოშლიდნენ. მეთაურის დაძახებისთანავე თბილის-

ში უნდა შეკრებილიყვნენ და აჯანყებაც უნდა დაეწყოთ. ვაჟას გეგმა ჰქონია შემუშავებული და ამ გეგმის ღერძი კი იმაზე გახლდათ აგებული, რომ რევოლუციური მოძრაობა ქართველებს სათავისოდ, ეროვნული ბრძოლისთვის გამოეყენებინათ. ერთერთ ემისრად სანდრო შანშიაშვილი ჰყავდა შეგულებული.

— საქართველოს მტერი ჩემი მტერია!

— ახლა ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ დამონებული ერი! — დოკუმენტურ რომანში სანდრო შანშიაშვილს ეუბნება ამ სიტყვებს ვაჟა და მას ავალებს, კახეთში ათი სანდრო კაცი შეიგულოს. საბოლოოდ კი ხუთი ათასი თავგანწირული მეომრის შეკრებას ვარაუდობს.

ხუთი ათასი თავგანწირული ქართველი ცოტა ხომ არ გგონიაო? დროულად ახსენდება ბატონ როსტომს – „ბაში-აჩუკი“.

ვაჟა რწმენას და იმედს, ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, ისიც ასაზრდოებდა, იაპონიასთან ომში რომ მარცხდებოდა უზარმაზარი იმპერია. იაპონელ ოიამას არ შეხჰაროდა აკაკი წერეთელიც, ერთ ლექსში ასეთ ზმას რომ იყენებს, ვითომ დედა შვილს დამღერს: „ოი ამას ვენაცვალეო“.

ვაჟას თავზეხელაღებულობა, მუშტი-კრივში სიმარჯვე და შეუპოვრობა აქამდეც კარგად იყო ცნობილი ქართველი მკითხველისთვის. თანამედროვეთა მოგონებები გადავსებულა მონადირე, მოთევზავე, მოჭიდავე... ლუკა რაზიკაშვილის სახებით. მაგრამ საზოგადოებისაგან საგულდაგულოდ გახლდათ დამალულ-დაფარული მთავარი – როგორ იყენებდა ვაჟა თავის ძალას არა მარტო პირად ცხოვრებაში, ან თუნდ უსამართლობის ხილვის ცალკეულ შემთხვევებში, არამედ – მიზანმიმართულად, შეგნებულად, გააზრებულად – ერის დასაცავად, ქართველის ღირსების წარმოსაჩენად და შესანარჩუნებლად, თავისუფლების აღსადგენად...

თუნდ დიდთონეთში ოფიცრების ცემა საქართველოს უდიერად მოხსენიების გამო, თუნდ რუსთა ცრუგმირის, აშინოვის „დროების“ კიბეებიდან დაგორება, თუნდ ბოქაულ ოზიევისთვის სილის გაწვნა... და რაც მთავარია, ეროვნული აჯანყებისათვის მზადების მეთაურობა (ფაქტობრივად, მთავარსარდლობა) – აი, ვაჟა-ფშაველას ნამდვილი, უჩრდილო, ჭეშმარიტი სახე, რომე-

ლიც ამ წიგნიდან შემოგანათებთ და სამუდამოდ აღიბეჭდება გონებაში. შემთხვევითი არაა, რომ ავტორს ხშირად აგონდება 1832 წლის შეთქმულება და პარალელს მასთან ავლებს, როგორც საზომთან, ეტალონთან. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ XX საუკუნის დასაწყისში ვაჟამ რამდენიმე ადამიანის საქმე მარტომ იტვირთა. ის, რაც 32-ში სხვადასხვა მოღვაწეს ჰქონდა გადანაწილებული — საზოგადოების იდეოლოგიური შემზადება მომავალი აჯანყებისათვის, წესდების, ფიცის ტექსტის შედგენა, ეროვნული დროშებისა და ორდენების მომზადება და სხვა – ახლა ყველაფრისთვის ერთბაშად ერთ კაცს ჰქონდა მოხვეული ხელი და თავისი გოლიათური ძალის შესაფერისად, ეზიდებოდა კიდეც.

— ან თავისუფალი საქართველო და ან ჩვენი გაწყვეტა! — აი, შეფიცულთა დევიზი. ფიცის ტექსტიც და საბრძოლო სიმღერაც ვაჟას დაუწერია.

* * *

ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის ირგვლივ შემოქსოვილ თხრობას ავტორი მარჯვედ იყენებს, რათა სახიერად დაგვიხატოს გარემო, იმდროინდელი საზოგადოებრივი ყოფა, გამოკვეთს სხვა მოღვაწეთა დასამახსოვრებელ პორტრეტებს – განსაკუთრებით მაინც — აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძისა. აკაკი „თორნიკე ერისთავში" რომ გამარჯვებულ ჯარს ამღერებს: „მოვა დრო და თავს აიშვებს" მიჯაჭვული ამირანიო, ეს ანაქრონიზმი თუმცა ძალიან თვალშისაცემი არ არის, მაგრამ დაკვირვებულ მკითხველს, რა თქმა უნდა, შემჩნეული ჰქონდა. და აგერ სრულიად ლოგიკური, დასაბუთებული და ზუსტი ახსნა: აკაკის, ცხადია მომავალი ბრძოლა ჰქონდა ნაგულისხმევი და არა წარსული. „წარსულის სურათებში ჩაეწნა მომავლის ხილვა". მომავალი თავისუფლების დასაბრუნებლად აღმდგარი ხალხისა გახლდათ... ვაჟასაც ამ მიზნით შეექმნა სიმღერა, ხოლო ამ სიმღერისა თუ სხვა, აჯანყების მზადების დამადასტურებელი საბუთის საძებრად მთაში მომრავლებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების შესახებ მეტად შთამბეჭდავად, დამაჯერებლად, თან სახალისოდ გვიამბობს რომანის ავტორი.

და მაინც, რატომ იქცა აჯანყების მოწყობა პოეტის უმთავრეს მიზნად? უკვე მთელი საუკუნე იყო გასული, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. აკი ზოგი თავიდანვე „ოქროს ჯაჭვს" ხედავდა ამ დაპყრობაში, თუმცა ზოგი – „დაუანგებულ ბორკილს". კამათი და განსჯა, რა სჯობდა – რუსეთთან თუ ურუსეთოდ — მთელი XIX საუკუნის განმავლობაშიც მძაფრი გახლდათ და XX საუკუნის დასაწყისშიც არ იყო განელებული. ერეკლე მეფე და სოლომონ მსაჯული, გრიგოლ ორბელიანი და ივანე აფხაზი, ილია ჭავჭავაძე და მოხევე ლელთ ღუნია, ალექსანდრე ბატონიშვილი და სვიმონ ჩოფიკაშვილი ამაზე დავობდნენ, ამ საკითხს უტრიალებდნენ, ყველა მხრიდან განიხილავდნენ. ილიას სულიერ მემკვიდრეს, ვაჟა-ფშაველას, არ ეეჭვებოდა, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად აუცილებელი იყო იარაღის აღება. ილიასაც, აკაკისაც, თუ სოციალური საკითხის გადაჭრა მშვიდობიანად ერჩიენათ, ეროვნული თავისუფლების მოპოვება ბრძოლის გარეშე (მთელი კავკასიის ერთიანი ბრძოლის გარეშე) ვერ წარმოედგინათ. ძველის, მკვიდრის, გარდასულის, დანგრეულის აღსადგენად ბრძოლა იყო საჭირო. აქ ვრცელი ციტატა უნდა დავიმოწმო რომანიდან: „გარშემო ყველაფერს ნანგრევებად აღიქვამდა ვაჟა-ფშაველა.

ამ ნანგრევთა შორის იდგა და ყოველ მხრივ აწყდებოდა, რათა ნანგრევთა რღვევა მაინც როგორმე შეეჩერებინა... იშლებოდა, იფხვნებოდა ის სამყარო, რომელსაც აქამდე მოეტანა რაღაც უძველესი და უშინაგანესი, რაღაც მთლიანი და გაუბზარავი... მთა ხომ მაინც ინარჩუნებდა იმ მადლსა და ნიშატს, რაც მოულოდნელად ატორტმანებულიყო, ამ ტორტმანს კი ვაითუ გადაეყოლებინა ეს სამყარო, რის მხსნელადაც ესახებოდა ვაჟას თავი ჯერ კიდევ ლუკა რაზიკაშვილობისას, და ახლა ხომ არამცთუ ენერგია, სისხლი და ხორცი, სულიც კი ემეტებოდა რღვევის შესაჩერებლად, იმ თავისებურებათა გამოსარჩევად და სახსნელად, საერთო ქართული სახელმწიფოს საძირკვლად რომ ეგულებოდა.

ოდესღაც არსებულის.

მომავალში საგულვებელის.

ამიტომაც იკითხება ვაჟას არამცთუ მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ ეთნოგრაფიულ ნაწერებშიც კი მიზანმიმართული პოლიტიკური აგიტაცია.

როსტომ ჩხეიძეს შენიშნული აქვს ირლანდიელ შემოქმედთა: სვიფტის, პარნელის, ჯოისის, იეიტსის მსგავსება ვაჟა-ფშაველასთან; საკუთარი შვილების მთქვლეფავ დედა-ღორთან, ირლანდიასთან XIX საუკუნის საქართველოს ბედის სიახლოვე. თუ იეიტსს მითოსური ფესვების ძიებითა და ლეგენდების გაცოცხლებით ჰგავს, სვიფტს იმ დიდი ავტორიტეტითაც, თანამოძმეებში რომ ჰქონდა. როგორც სვიფტის ერთ სიტყვას შეეძლო თანამოძმეთა დარაზმვა, ისე ვერც ვაჟას გაუბედავდა ხელისუფლება დაპატიმრებას, რადგან მთიელთ იგი თავიანთ წინამძღოლად, მეტიც, ღვთისკაცად მიაჩნდათ.

ვაჟა, მისდა გასაოცრად, თავხევისბრად აურჩევიათ მთაში. „ბახტრიონის" ლუხუმივით ისიც ცალ ხელში ჯვრითა და მეორეში ხმლით აპირებდა მტერთან ბრძოლას; ხმლით, იარაღით ბრძოლის აუცილებლობას გრძნობდა, ოღონდ მხოლოდ ეროვნული თავისუფლებისათვის (და არამც და არამც სოციალური უსამართლობის მოსაგვარებლად) და მისგან კიბეებზე დაგორებული აშინოვივით აპირებდა ჩვენი ქვეყნიდან უზარმაზარი იმპერიის განდევნას. ჯერჯერობით კი კალამი ასრულებდა ხმლის მაგივრობას. ბატონ როსტომს შესანიშნავად აქვს ახსნილი ვაჟას ბალადის „ბაყაყთა აჯანყების" მეტაფორისტიკა. არჩეული აქვს უზუსტესი გზა ბალადის შინაარსის, იდეის, სულისკვეთების გადმოსაცემად – ესაა ბუკვალური, იმავე მეტაფორებით და არა „უბრალო ენით" მოყოლა ტექსტისა და ეს განაპირობებს სწორედ იმას, რომ მკითხველიც თითქოს მხოლოდ პერსონაჟთა წერილს კი არ ეცნობა, არამედ — ქართველი ხალხის ოფიციალურ, პოლიტიკურ მიმართვას ხელისუფალთა გასაფრთხილებლად.

ილიას მსგავსად, ვაჟაც, ერთი მხრივ, მტრის სიყვარულის ქრისტიანული მოწოდების დამცველი და მიმდევარი გახლდათ, და ეს აისახა მის პოეზიაში, განსაკუთრებით ხელშესახებად – პოემებში: „ალუდა ქეთალაურსა" და „სტუმარ-მასპინძელში". თუმცა რეალობა იმ ფაქტის წინაშე გვაყენებდა, რომ შერიგება

და სიყვარული მხოლოდ პირადი მტრისა შეიძლება, ხოლო სამშობლოს მტრის, დამპყრობლის – არავითარ შემთხვევაში. სამშობლოს დასაცავად თუ გასათავისუფლებლად სწორედ იარაღის გამოყენების გარდაუვალობა სწამდათ ილიასაც, აკაკისაც, ვაჟასაც, ამიტომ სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე თითქმის სრულიად მიჩქმალული ფაქტი — ვაჟა — ეროვნული აჯანყების სათავეში, ქაქუცა ჩოლოყაშვილი — ვაჟას ჩანაფიქრის აღმსრულებელი.

სრული მოულოდნელობა ყველასთვის ის გახდა, რომ თავისსავე წამოწყებულ საქმეზე ვაჟამ ერთბაშად ხელი აიღო. უარი თქვა აჯანყებაზე და უკეთესი დროის მოლოდინში გადადო იგი. სანდრო შანშიაშვილს კარგად მოეხსენებოდა მისი თავზეხელაღებულობა და ამ უკანდახევის ვერაფერი გაეგო. ძმა, ბაჩანა ლექსით შეახსენებდა, რომ ბრძოლის დრო დამდგრიყო. ვაჟა კი სოციალ-დემოკრეტების მიერ ილიას მიკვლით თვალახელილი, თვალნათლივ ხედავდა შემზარავ მომავალს, ხედავდა, რომ აღვირახსნილ ბოროტებას უზენაესი სიკეთის და სამართლიანობის აღსასრულებლად ვერ გამოიყენებდა, ამიტომ რადიკალურად უნდა გამიჯვნოდა მას. წიგნში სკრუპულოზურადაა განხილული ძმების პოეტური გაპაექრება და დეტალურადაა განხილული იდეა და შინაარსი ვაჟას ლექსისა — „მთამ სრულიად სხვა თქვა“. წიწამურში დაღვრილი სისხლი ცაში ადიოდა და ვაჟას საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა, ებრძოლა ილიას იდეების უკვადავებისთვის. მტკიცედ სწამდა, რომ ილია „ვერ მოჰკლეს“, რადგან იმედს არჩილ ჯორჯაძის სიცოცხლეც აძლევდა. არჩილის გარდაცვალების შემდეგ კი უფრო გაუმძაფრდა გრძნობა იმისა, რომ დევების ქორწილში — მათ ღრეობაში, მეჯლისში მოხვდა მთელი ქვეყანა. ერთხელ გალაკტიონს თანამოსაუბრისთვის უკითხავს, მტკვარში ვერაფერს ხედავ უჩვეულოსო? და თვითონ აუხსნია — სისხლი, სისხლით შეღებილი მტკვარი მომეჩვენაო. აქვთ გენიოსებს მომავლის შეუმცდარი ხილვები. ვაჟას თვალწინაც უფრო დიდი განსაცდელი — დევების ქორწილი იყო გადაშლილი.

უკვე ვთქვი და გავიმეორებ, რომ როსტომ ჩხეიძე, როგორც წესი, არამარტო მოიხსენიებს წინამორბედ მკვლევართა ღვაწლს,

არამედ მათ ეყრდნობა, ითვალისწინებს და მათ ნააზრევზე აგებს, უკვე ნათქვამს შეჰმატებს ხოლმე ახალ თვალთახედვას. ეს წიგნიც არაა გამონაკლისი. გრიგოლ კიკნაძე, თამაზ ჩხენკელი, ამირან არაბული, ზურაბ კიკნაძე, გრიგოლ რობაქიძე, პავლე ინგოროყვა — არასრული სიაა იმ მეცნიერთა, რომელთა პატივისცემას დაუფარავად გამოხატავს რომანის ავტორი. თვითონ კი ვაჟას ნააზრევში უფრო მომავლის სურათებს ხედავს, ვიდრე მითოსური წარსულის.

როსტომ ჩხეიძე სავსებით ეთანხმება ზურაბ კიკნაძეს, რომ ვაჟასთან მთაში საფლავი სიკვდილს კი არ ნიშნავს, არამედ — უკვდავებას, სამოთხეს, სადაც სიკვდილი არ არსებობს. თავის მხრივ მსჯელობასაც ავსებს და ვაჟას პოეზიიდან ამონარიდებსაც იშველიებს ავტორი, რათა მკითხველისთვის ცხადი გახადოს, რომ საფლავი მთაში იგივეა, რაც წინაპართა ქვეყანა ანუ ნამდვილი საქართველო (როგორც ილიას „ბაზალეთის ტბაში" ტბის ძირას მუდამ გაზაფხული მინიშნებაა უკვდავ, უხრწნელ მარადიულ დრო-სივრცეზე). „იქ არა მარტო მიდიან, არამედ იქედან გარდაუვალი გამთლიანების მოლოდინში მუდმივად გვაკვირდებიან... გვაფასებენ, გვეგებებიან, მფარველობას გვიცხადებენ და ასე შემდეგ" (ნონა კუპრეიშვილი, „ვაჟას სულეთი, როგორც ცირკულარული დროის ტოპოსი" — ლიტ. ინსტ. V საერთაშორისო სიმპოზიუმი, ეძღვნება ვაჟა ფშაველას დაბ. 150-ე წლისთავს). ვაჟასეულ სამოთხის შუა გულში, ბუნებრივია, თამარი ბრწყინავს, როგორც სიმბოლი ძლიერი, ვრცელი, გაერთიანებული, დამოუკიდებელი საქართველოსი. ზურაბ კიკნაძის კვალზე როსტომ ჩხეიძეც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ მარადიული საქართველოს ბინადართ მარტო ვაჟა კი არ ხედავს, არამედ ისინიც ამჩნევენ და თავიანთ გვერდითაც უმკვიდრებენ ადგილს — (სულ გარს მარტყია გმირები იმ გარდასული ჟამისა). „კაი ყმაშიც" ხომ თამარი და ერეკლე გამოეგებებიან თემის გამორჩეულ შვილს, ხელსაც მოხვევენ და ისე შეუშვებენ სამოთხეში. ვაჟა თვითონაა საკუთარი ლექსების ლირიკული გმირი, კაი ყმაც თვითონაა, ამაღორძინებლად, სიკვდილის გამაწბილებლად არსებობის მსურველიც.

ხორცისა და სულისგან შემდგარ ადამიანში მარადიულობას, მაშასადამე, ადამიანობას, სული განაპირობებს და ამ ქრისტიანულ მოძღვრებას ყველა ქართველი მწერალი იზიარებს, ოღონდ ზოგი, მათ შორის, ვაჟაც, საგანგებოდ გამოჰკვეთს სულის ამ უპირატესობას. ქრისტიანული რწმენით აღვსილი, იგი ოცნებობს ამ დროზე, რომ „არცა ვისა შიოდეს და არცა ვისა სციოდეს," რომ გაქრეს მტრობა და საყოველთაო სიყვარული და ჰარმონია დამყარდეს. „ბახტრიონის" დასასრული ამ თვალით აქვს განჭვრეტილი მწერალს. ბიოგრაფიული რომანის ავტორის აზრით, ლაშარის ველზე შედგომა მარტო ქვეყნის ხსნა კი არ არის, არამედ ყოველგვარი მტრობის გაქრობა და... ისტორიის დასასრულიც. თავისუფლების ზეიმი, მწერლის დაკვირვებით, იქ დამთავრდა, ბორბალაზე რომ გადმოდგა თავისუფლების მთვარეა. შემდეგ კი „იტყვიან მაღლის მთის ძირსა"... — იწყება ესქატოლოგიური ლეგენდა. „ამიერიდან ლუხუმი აღარ ეკუთვნოდა ბახტრიონის გმირთ, თუნდაც გამარჯვებულთა წრეს, არც მათ ეპოქას, იგი კაცობრიობის მომავალში უნდა გადასროლილიყო". როგორც ანდრეზსა თუ სიმღერში, პოემის ამ ბოლო თავში მართლაც ყველაფერი სიმბოლურ-ალეგორიულია: მთაც, ლუხუმიც, გველიც... ყველას და ყველაფერს დაკარგვია მხოლოდ ეროვნული ნიშნები და საკაცობრიოდ ქცეულან. არადა გარკვევით, ცხადად, შეფარვით თუ ხელშესახებად ის აზრიც იკითხება, ერთმა უსწავლელმა ფშაველმა პოემის ფინალში საქართველოს ბედი რომ ამოიკითხა. და აი, კიდევ ერთი, თვალნათლივი დასტური იმისა, რომ ეროვნული და კოსმოპოლიტური ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მეტიც, ეროვნულ ფესვზე ამოზრდილი იქცევა კოსმოპოლიტურად და საკაცობრიოდ. საერთოდ, როსტომ ჩხეიძის თხრობაც იმავე ძარღვზეა აგებული, რომელზეც ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი."

ბუნებრივია, ვერ გავიზიარებთ ბოლო დროს გამოთქმულ შეხედულებას, რომ თითქოს „ალუდა ქეთელაურის" შემდეგ „ბახტრიონი" დაღმასვლაა, რადგან პოეტი საკაცობრო იდეებიდან ეროვნულ-პატრიოტულამდე დაეშვა.

გრიგოლ რობაქიძე „ფშაველი ჯარისკაცის წერილის“ კითხვისას ტიროდა თურმე: — მთელ საქართველოს ვგრძნობ ვითარ ცოცხალ არსსო. ვაჟას მიერ საქართველოს სულის სხეულებრივ განცდას სწორედ რობაქიძემ მიაქცია ყურადღება.

ვაჟა თავის მხრივ თვალნათლივ ხედავდა, გრძნობდა თამარ მეფეს, წმინდა გიორგის, კოპალას თუ სხვა მითიურ პერსონაჟებს. სხვის ომში მებრძოლი ფშაველი ჯარისკაცებიც ცხადად ხედავდნენ, როგორ მიუძღოდათ წინ ნათელი, რომელიც ლაშარის ჯვრად იცნეს. არ არის შემთხვევითი, რომ „ბახტრიონშიც“ ფშავ-ხევსურთა ლაშქარს წმინდა გიორგი მიუძღვის და ლურჯ ცხენზე ამხედრებულ, ტურფა იერის მქონე წმინდანს მთელი ლაშქარი ხედავს. ბიოგრაფიული რომანის ავტორი პარალელს ავლებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან, „ძლევაი საკვირველის“ გადმოცემისას იმავე რეალიას, წმ. გიორგის მიერ ქართველთა ჯარის „განცხადებულად და სახილველად“ დახმარებას რომ მოიშველიებს. ხოლო ვაჟას პოემის შესაბამის ეპიზოდს მომავალი დიდგორის განზოგადებად მიიჩნევს. ეს თავისებურება ვაჟას აზროვნებისა, როგორც როსტომ ჩხეიძე წერს, იმ გარემოთია ნასაზრდოები, „სადაც მითოსი და ყოფითი რეალობა ჯერაც ერთმანეთს შერწყმოდა, შეზავებოდა და ყოფით გარემოში მოქმედი ადამიანები მითოსურ საბურველში გახვეული პერსონაჟების გვერდიგვერდ ისე ტრიალებდნენ, ერთიბეწო უხერხულობასაც კი არ გრძნობდნენ“.

როსტომ ჩხეიძეს მთელი ეპოქა აქვს დახასიათებული, მისი ტრაგიზმი და აბსურდულობა (რომ გაღმა გასვლისა მსურველთ უკუღმა მიგვყავდა ბორანი) და ამ ფონზეა გამოკვეთილი ღვთისშვილ ვაჟა-ფშაველას დაპირისპირება კაცობრიობის მტერთან, დევებთან.

თუ ილიას მკვლელობამდე ვაჟას ვიზიონებში მომავალი გამარჯვებები იხატებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობა მოჩანდა, ილიას მკვლელობის შემდეგ ძალიან გაუმძაფრდა დევების ღრეობის ხილვა. გამოცდილება და ინტუიცია წინასწარჭვრეტის უნარად ექცა და ამიტომაც თქვა უარი თითქმის მომზადებულ აჯანყებაზე. მოცდა, ვითარების მომწიფება, მოვლენათა ევოლუციური განვითარება ირჩია, რადგან ნათელ ხილვებში ჭვრეტდა, როგორ წვავდა მამა ვაჟს მწვადად და დედა პატარა ქალასა.

შიო არაგვისპირელის ეტიუდები

შიო არაგვისპირელი, როგორც ცნობილია, მცირე ფორმის პროზის ოსტატია. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არაერთი ნოველა, მინიატურა, ეტიუდი თუ ესკიზია. სალიტერატურო ასპარეზზე შიო არაგვისპირელის გამოჩენას თვით აკაკი წერეთელი შეხვდა აღფრთოვანებით. მან განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ეტიუდები მოიწონა. „ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვისპირელი მისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით... მან თავისი ზეგავლენით, მიმბაძველობით ბევრი გამოიწვია, თავისი სკოლა შექმნა“ .

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მკაფიო განმარტება მინიატურის, ეტიუდის, ესკიზისა არ მოგვეპოვება. სიძნელე მათი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნისა სხვადასხვა გარემოებით არის გამოწვეული „[სხვა] ჟანრობრივ სახეობათა თავისებურების შესახებ არსებობს მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც, აზრთა ზოგიერთი სხვადასხვაობის მიუხედავად, ძირითადად მიღწეულია გარკვეული თანხმობა და ერთიანი თვალსაზრისი. მაგრამ იგივე არ ითქმის მინიატურის, ეტიუდის, ესკიზის თაობაზე“, - ადასტურებს ქეთევან გაფრინდაშვილი.

„ქართული მინიატურული პროზის“ შესავალ წერილში როსტომ ჩხეიძე წერს: „ცალკეულ შემთხვევათა გარდა აღარ უზრუნიათ, ჟანრობრივად განესხვავებინათ მოთხრობისა და ნოველისაგან ეტიუდი, ესკიზი, მინიატურა, ჩანახატი..“

მიუხედავად იმისა, რომ მწერლებიც ზოგჯერ არაზუსტ ჟანრულ კლასიფიკაცის გვთავაზობენ საკუთარი ნაწარმოებებისა, ჩვენ ამჟამად საანალიზოდ შევარჩიეთ შიო არაგვისპირელის ის ნაწარმოებები, რომლებიც თვითონ ავტორმა განსაზღვრა, რო-

გორც „ეტიუდი“ (ნიმუშად რამდენიმე გამოვყავით, აქვე განვიხილეთ რამდენიმე „სურათი“).

მწერალი მცირე ფორმის თხზულებებშიც შესანიშნავად ხატავს როგორც გეოგრაფიულ, ისე საზოგადოებრივ გარემოს, ფონს. ზუსტად მითითებული, სახელდებული ადგილები, ან ზოგადად ქალაქის, დუქნის თუ სხვათა რეალისტური, ზოგჯერ ნატურალისტური აღწერაც მეტ დამაჯერებლობასა და ეფექტურობას ჰმატებს თხრობას. „... ბავშვობის გარემოს გარდა, საარაგვისპიროსი, სხვაც ბევრი ადგილი გამოჰხატა ჩვენი ქვეყნისა, ბევრი და თითქმის ყოველი კუთხე აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად, უმთავრესად და უპირველესად თბილისი ბრუნავს იმის საუკეთესო და ჭეშმარიტად დიდებულ ნოველებში...“ (ოთარ ჩხეიძე)

ამის დასტურია თუნდაც **„ესაა ჩვენი ცხოვრება!..“ (სურათი)**

აქ დუქანი და მასში მომხდარი სცენა ისე მოხდენილადაა აღწერილი, რომ თვალწინ აცოცხლებს ქალაქს და გლეხების იმდღევანდელ ვაჭრობას ქალაქში. მედუქნე ტიპია, რომელიც ყველა სხვა მედუქნეს ჰგავს და კიდეც განსხვავდება მათგან. შაქრო და გლეხები ერთმანეთს იცნობენ. ჩანს, პირველად არ არიან ამ დუქანში ქალაქიდან შინ მიმავალი მეურმეები. მედუქნე მათი ყოფითაც ინტერესდება, შეშის მაზანდით, იქ დარჩენას და ღამის გასათევს სთავაზობს... შემდეგ პატიოსნად იღებს და ინახავს დახლის უჯრაში კუთვნილ შაურიანებს, რომლებსაც გლეხებმა წუთის წინ „დახლზედ რახარუხი აუყენეს“. ასეთი დეტალების, „წვრილმანების“ უბადლო მხატვარია შიო არაგვისპირელი.

ნაწარმოების მთავარ სათქმელთან თითქოს პირდაპირი კავშირი არცა აქვს სხვების უბოროტო შეხუმრებას ილიკოსთან, მაგრამ ეს დეტალიც მკითხველს ცოცხლად წარმოუსახავს თვალწინ და დაანახებს განსხვავებული ხასიათების მქონე, მაგრამ ამჯერად ერთი სურვილით გაერთიანებულ გლეხებს. ეს ერთი სურვილი კი – მცირე საჩუქრებით ახლობლების გახარებაა. სხვისი სიხარულით სიამოვნების მიღება ხომ ალალი, გულწრფელი, უხინჯო ადამიანების თვისებაა.

არაგვისპირელის პროზას და მათ შორის ამ სურათსაც თავისებურ ხიბლს, მიმზიდველობას მატებს რეალური ადგილების, ბუნების სურათების რეალისტური აღწერა. ნარეკვავის თავდაღმართი, საგურამოს ტყეები, საწილკნო და სამუხრანო ჭალა-მინდორი... მისტიკური და წარმოსახვითი სივრცის ნაცვლად ხელშესახებ, ნატურალისტურ გეოგრაფიულ მდებარეობას წარმოგვიდგენს და ამბავსაც დამაჯერებლობასა და ნამდვილობას ანიჭებს.

არაერთგზის აღნიშნულა შიო არაგვისპირელის სკეპსისამდე მისული პესიმიზმი. დღესასწაულის წინ, სიხარულის მოლოდინში სრულიად ალოგიკური გახლდათ ახალგაზრდა სიმნოს უეცარი უჩინარი სიკვდილი. მაგრამ „ესაა ჩვენი ცხოვრება", ადამიანი მატლი, მღილი, მწერია სამყაროში და სხვა არაფერი. ასეთია მწერლის განწყობა, რომელსაც ძალდაუტანებლად გადასდებს მკითხველს. კავკავიდან მომავალი ეტლის გაგრიალება, ცხადია, მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშას" მსგავს ეპიზოდს მოგაგონებს. სავარაუდოდ, ორივე მწერალმა რეალისტური სურათი გამოიყენა და ეპიზოდებიც ამიტომ დაემსგავსა ერთმანეთს.

„მომილოცნია ახალი წელი!" ... (ფსიქოლოგიური ეტიუდი)

ცხოვრებისაგან ნატანჯ, გალახულ ადამიანს, საზოგადოებისაგან გარიყულს ყველაზე და ყველაფერზე შურისძიების გრძნობაღა შერჩენია. მისთვის არც ღმერთი არსებობს, არც-კაცი. ახალი წელი, ზეიმი, სიხარული უნდა ჩაამწაროს მთელ ქვეყანას. ამისთვის ერთ სახლს, საიდანაც მუსიკის ხმა მოისმის, წაუკიდებს ცეცხლს და თვითონაც შიგ ჩაიბუგება. განაჩენი აღსრულებულია. სამაგიეროს გადახდის სურვილი რომ ერთი დაუოკებელი გრძნობაა ადამიანში, ამას ცხოვრებისეული თუ ლიტერატურული ბევრი ფაქტი ადასტურებს. აქ ვარლამ შალამოვი მინდა დავიმოწმო, რომელიც წერს, რომ კოლიმის ჯოჯოხეთგამოვლილს ერთადერთი სურვილი შერჩება ხოლმე, თვალებში შეაფურთხოს მათ, ვინც ეს უბედურება განუმზადა და აწვნევინა...

ყველაზე დაცემულ და განადგურებულ ადამიანსაც კი აქვს სულის ნათელი წერტილი, ოღონდ იმ სანთლის ჩაბღაუჭება, ინ-

სტინქტისადმი წინააღმდეგობის გაწევა, საკუთარი თავის გარდაქმნა მხოლოდ რჩეულთ, გამონაკლისებს თუ უხერხდებათ. ამ ეტიუდშიც დედაკაცი თითქოს წამით ღვთიურ ნაპერწკალს გრძნობს, თუმცა იქვე დაუნანებლად გაცვლის მას შურისძიებაზე. საკუთარი ძლიერების დასამტკიცებლად მთელ საზოგადოებას გამოიწვევს და მტრის, მჩაგვრელის სახეს ერთ სახლში, ერთ ოჯახში განაზოგადებს და გადაწვავს კიდეც მას.

მწერალი არ კიცხავს, არ კილავს, არ ასამართლებს პერსონაჟს. სევდით, ნაღვლით აღვსებული გვიხატავს, გვიჩვენებს ადამიანური ყოფის, ცხოვრების ერთ ნამტვრევს და გაბოროტებული ადამიანისადმი თანაგრძნობით, თანალმობით განმსჭვალავს მკითხველს.

„არ გვინდა არა!“ (სურათი)

განზოგადოებულია ერთი კონკრეტული ამბავი. სოფელი უარს ამბობს სკოლის გახსნაზე. განათლებისთვის დახარჯული ფული გადაყრილად მიაჩნიათ. ძალადობით დანერგილი ნებისმიერი სიახლე, თვით მოსახლეობისთვის სასარგებლოც, აუცილებლად წინააღმდეგობას აწყდება ახლაც.

ფსიქოლოგიურად სავსებით დამაჯერებელია, რომ საწინააღმდეგო შეხედულებას ჯერ მხოლოდ ერთი გლეხი გამოთქვამს, მთელი რისხვაც მას ატყდება თავს და როცა სკოლის გახსნის თაოსანთ საქმე შემობრუნებული ჰგონიათ, მთელი სოფელი ერთხმად გაჰყვირის: „არ გვინდა, არა“. „შიო არაგვისპირელის პერსონაჟის დაღვრემილი, განრისხებული თუ კმაყოფილი, თუ მიმქრალი თვალები, ხელის ჩაქნევა თუ თავის ჩაქინდვრა ხშირად გაცილებით მეტს და უკეთ გვეუბნება, ვიდრე ვრცელი აღწერა“ (თეა კალანდია).

„მამას მიწა მივაყალეთ!...“ (სურათი)

გულისმომკვლელი სურათია დახატული. ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, სხვათა მიერაც არაერთგზის არის აღწერილი მხატვრულ ნაწარმოებებში ხორველის (ქოლერის) სოფელში გავრცელების შემთხვევები და მასთან დაკავშირებული ტრაგიკული ამბები. არაგვისპირელის ამ ნოველაში ტრაგიზმს აძლიერებს ოთხი წლის ბავშვის თვალით დანახული და

აღქმული რეალობა. „მამას მიწა მივაყალეთო“, — ეუბნება იგი ავადმყოფობის შიშით ოჯახიდან ადრევე აყრილ ბიძას. მკითხველი ხედვას, რომ მამის ბედი მოელის სოსიკას ერთგულ მეუღლესაც და ვინ იცის, მათ ერთადერთ გოგონასაც, რომლის ბავშვური გულუბრყვილობით წარმოთქმული სიტყვები იმარხავს მთელ ტრაგიზმს ყოფისა. ერთი ციდა კონკრეტული სურათით ავტორმა ზოგადი და ფართო პანორამა მოგვცა მთელი ყოფისა სოფელში (წუთისოფელშიც).

„და-ძმა“

თავის შესანიშნავ წერილში „სამყარო შიო არაგვისპირელისა“ ოთარ ჩხეიძე საგანგებოდ აღნიშნავს ნოველისტის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მზესთან. გარდა რეალისტური პლანისა, მის შემოქმედებაში სიმბოლური დატვირთვაც აქვს მზეს. საყურადღებოა მხატვრული ძალმოსილება ასეთი ეპიზოდებისა და მათი მკითხველზე ზემოქმედების უნარი. ორიდე მაგალითს დავიდასტურებთ:

„თითქოს ამ კალეიდოსკოპს დავიწყებოდა საზოგადოებრივი და წოდებრივი განსხვავება და განეზრახა ერთ რიგში მოთავსებულიყო... დავიწყებოდა თავისი შური, ჯიბრი, ძარცვა-გლეჯა, ბეზღობა, სიმუხთლე და ერთს რაღაც გამოურკვეველ სიხარულს მისცემოდა და თვალის ჩაბჟუტვით შესცქეროდა ძალაგამოცლილ მზეს, რომელიც მოწყენით დასცქეროდა ზევიდან ჯურღმულს და თითქოს ჩამოსძახოდა: თქვენ ამ ძალა-გამოცლილ სხივების ღირსნიც არა ხართ...“ (შიო არაგვისპირელი).

„მზე ნახევრად მოჰფარებოდა მთაწმინდას და თავის ბოლონა სხივები სულ ერთად შეეკრიბნა და მთაწმინდის წვერის ერთ წერტილისათვის მიეშუქებინა, რის გამოც ლაპლაპი და შვიდფრად ბრჭყვიალი გაჰქონდა...“ (შიო არაგვისპირელი).

„ქარი – კი ამ დროს ზმუოდა, კვნესოდა და გმინავდა“ (ფსიქოლოგიური ეტიუდი)

მოღალატე ქალია „და-ძმაშიც“, აქაც, ეტიუდში „მხრები-ღა ავიჩეჩე...“, „...სულ ერთიაშიც...“, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“... ქალები, საერთოდ, მრავალფეროვანნი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათისანი არიან. განსხვავდებიან ისინი ქართულ

ლიტერატურაში დამკვიდრებული ქალის ტიპისაგან. ჩვენ უმეტესად ვიცნობთ პატრიოტ, ერთგულ, თავგანწირულ, ღირსეულ ქალებს. შიო არაგვისპირელი კი გვიხატავს მატყუარა, მოღალატე, ეგოისტ, ცრუდმოფიცარ, უსამშობლო... ქალებს. არცერთი მწერალი, ცხადია, სიამოვნებას არ განიცდის უზნეო, უღირსებო ადამიანების ხატვისას. ხასიათის ნაკლოვანობებზე, უარყოფით თვისებებზე ყურადღების გამახვილება ნიშნავს, რომ ავტორი ოცნებობს მარადიული ღირებულებების-სამშობლოს, ოჯახის, სიყვარულის, ერთგულების, რწმენის და სხვათა – ზეობაზე.

ამის შესახებ მარტინ ვალზერი – ესეში „რატომ კითხულობენ წიგნებ“: წერს: „ერთი წიგნიც არ მეგულება, რომელშიც უბედური დასასრულის გამო სიხარული იყოს გამოხატული. რომელშიც მწერალი ბედნიერი ჩანდეს იმ უბედური დასასრულით, რომლითაც მისი შეთხზული ამბავი მთავრდება ვითარებათა გამოისობით“.

„... მხრები-ღა ავიჩეჩე...“ (ეტიუდი)

გადმოცემულია მთხრობელის განცდები, ერთი სიყვარულის ისტორია, დახატულია გათხოვებაზე „მონადირე“ უზნეო ქალი და სხვა. სიუჟეტი არ მოითხოვს რაიმე საზოგადოებრივი საქმიანობის თუ უბრალოდ, რეალური, ისტორიული მოვლენის ხსენებას. მაგრამ ეტიუდის პერსონაჟი მეგობრისთვის მიწერილ წერილში ახსენებს სწორედ კონკრეტულ ფაქტს და ამით მთელი ამბავი ნამდვილობის, რეალისტურობის განცდას იწვევს. „ვის რად ესიამოვნება ეხალ ჩემი, ვიღაც მოხელის, კერძო ტანჯვა მოისმინოს, როდესაც ყველა, თითქმის მთელი საქართველო გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ბანკის საქმეს, ადევნებს კი არა, მხურვალე მონაწილეობას იღებს ჭავჭავაძისა და მაჩაბლის ერთმანეთთან დავაში“ ასე მოკლედ, ერთი წინადადებით აღდგენილია ფონი, გარემო, სურათი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. და იქვე ზუსტი ფსიქოლოგიური დაკვირვება, უტყუარად დანახული შინაგანი ბუნება ადამიანისა: „... რანაირი დროც უნდა იყოს, თუ გატაცებული ხარ ერთი საგნით, შენი არსება შეუპყრია ამ საგანს, ლურსმანივით ტანში ჩაგსმია და ყოველ წუთს თავის არსებობას გაგრძნობინებს, მერწმუნე,

მაშინ ჭავჭავაძისა და მაჩაბლის მჭერმეტყველება კი არა, ქვეყანაც რომ ინგრეოდეს, თავს არ მოგაფხანინებს".

გვახსენდება ლეონიდ ანდრეევის ბენ-ტოვიტი (ამავე სახელწოდების ნოველიდან), რომელსაც საკუთარი კბილის ტკივილი უფრო მნიშვნელოვან ამბად მიაჩნია, ვიდრე იესო ქრისტეს ჯვარცმა...

„ჭავჭავაძისტები" და „მაჩაბლისტები" არიან მოხსენიებულნი ეტიუდშიც „... სულ ერთია!..." აქაც, ცხადია, საზოგადოებრივი ცხოვრების ფონი იხატება. ნაჩვენებია დაპირისპირებულ მხარეთა მომხრეების კამათი და ხელშესახებადაა დახატული ის დიდი ვნებათაღელვა, რომელსაც იწვევდა ე.წ. „ბანკობიადა".

* * *

ისეთი ღრმად პესიმისტი, სკეპტიკოსი მწერლისთვის, როგორიც შიო არაგვისპირელია, დამახასიათებელი სულაც არ გახლავთ იუმორი, სახალისო ეპიზოდები და დეტალები, თუმცა მსუბუქი იუმორის რამდენიმე ნიმუშის მოხმობა შეიძლება მისი თხზულებებიდან. ეს იუმორი, გარდა ამისა, რომ თბილი და უწყინარია, ერთობ დახვეწილიც გახლავთ და ნაწარმოებში ემსახურება გარემოს უფრო სრულყოფილად წარმოჩენას ან პერსონაჟის ხასიათის გამოკვეთას. დავიდასტურებთ ორიოდე მაგალითს. ეტიუდში: „მხრები-ღა ავიჩეჩე..." აღწერილია ბულვარში ქუთაისის ინტელიგენციის თავშეყრა. „ძნელად ასაწერია, რა ცხარე ბაასს მართავენ, რა აღგზნებით შლიან და იქნევენ ხელებს, თვალებს აკვესებენ და იმათ ბაგეთაგან გადმოსჩქეფს, გადმოხუის სიტყვები, რა სიძლიერით ესვრიან ერთმანეთს დანა-ჩანგალს და ჭურჭელს კი არა, ბოკლსა, დარვინსა, სპენსერსა, კარლ მარქსსა და სხვ. და ამგვარ მსოფლიო კითხვებს არჩევენ, სახელმწიფოებს ერთმანეთს ახლიან და...

კმაყოფილნი თავიანთი თავისა ემშვიდობებიან ერთმანეთს და ისვენებენ იმისათვის, რომ – ხა-ხა-ხა! – მეორე დღესაც შეიყარნენ და კიდევ დარვინი, ბოკლი, სპენსერი, კარლ მარქსი უფრო ძლიერად ესროლონ ერთმანეთს" .

სხვაგან, ნოველაში **„ადამიანი!..."**, ერთი პერსონაჟი, თედო, ტახტის ქვეშ ამოდებულ წიგნებს ასწორებს და ასე ესაუბრება:

„– მობრძანდით! შენ საფუძვლად დაგდე, ხომ თითქმის შენზეა დამყარებული ეხლანდელი მეცნიერება, ახლა შენ ვინ დაგადო ზევიდან, რომ ჩხუბი არ მოგვიდეს?! აბა შენ ვინა ხარ?... ჰო შენა?! არა, შენ სულ არ ჩაგრთავ აქ, თორემ არავის მოუსვენებ და ჩემს კოჭლ ტახტს ისევ ეშმაკს შეუსვამ... ისევ შენ მოდი, ჩემო ჭკვიანო, შენ უწყინარი რამა ხარ...ახლა? ეჰ, ვინც უნდა იყოს! თქვენ ფილოსოფოსი – მეცნიერები ხართ, ჩხუბი არ უნდა მოგვიდეთ, თუ აზრებში არ ეთანხმებით ერთანეთს, ისე უტოკველად, ტანის შეურხევლად იკამათეთ და დაარღვიეთ ერთმანეთის აზრი... რა არის, თქვე დალოცვილებო, მთელი ქვეყნის გასწორებას, შეცვლას ლამობდით და ეს ჩემი მინგრეული ტახტი კი ვერ დაგიმაგრებიათ!... ამის შემდეგ რას უნდა მოველოდე თქვენგან?!“

ციტატები ვრცლად დავიმოწმე, რათა თვალსაჩინო გამეხადა მწერლის იუმორის გამორჩეულობა, ორიგინალობა, დანიშნულება...

მიხედავად იმისა, რომ შიო არაგვისპირელის შემოქმედებას მსჭვალავს შეხედულება ადამიანის არაფრობისა, რომ ჩვენ ვართ „რაღაც მღილი, რაღაც მატლი, რომელსაც ადამიანი ეწოდება...“ რამდენიმე თხზულება მაინც ადასტურებს მწერლის მაღალ წარმოდგენას ღვთის მიერ შექმნილ ადამიანზე. მაგალითისთვის თუნდაც ორიოდე ეტიუდს დავასახელებ – „ადე, ჩამოვიდა!“ და „ჭეშმარიტად“.

სააღდგომო ეტიუდში **„ჭეშმარიტად“** აღწერილია ის რთული, ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები, რომლებსაც პეტრე მოციქული განიცდის იესოს ჯვარცმის შემდეგ. ახდა მოძღვრის წინასწარმეტყველება, უკვე სამჯერ უარი თქვა ქრისტეს მოწაფეობაზე. საკუთარი საქციელით გაოგნებული და თავზარდაცემული მამლებს ეჩხუბება, რომ არ იყივლონ... ხვდება, რომ თვითონაც ბევრით არ განსხვავდება იუდასაგან, გამცემ-მოღალატისგან. იმითაც გაკვირვებულია, რომ ძე ღვთისას წამების შემდეგ სამყარო ისევ თავის ადგილზეა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ხანგრძლივი და დაძაბული ფიქრის შედეგად რწმენა ხან შეერყევა, ხან ისევ იმძლავრებს მასში. კულმინაცია კი მცირე ეტიუდისა მარიამ მაგდალინელისა და პეტრე მოციქულის

გასაუბრებაა. ქრისტე აღსდგა! – ახარებს მარიამი პეტრეს და ისიც დაუფიქრებლად, უყოყმანოდ უპასუხებს: ჭეშმარიტად! უკვირს მარიამს ასეთი სწრაფი პასუხი. „განა იცოდი ქრისტეს აღდგომა, რომ „ჭეშმარიტად" მიპასუხე?" – ეკითხება მარიამ მაგდალინელი. „– არა! მაგრამ ის ხომ ღმერთია, ღმერთი ჭეშმარიტი და უეჭველად უნდა ამდგარიყო! – უპასუხა პეტრე მოციქულმა და ქრისტეს საფლავისკენ გაეშურა, რომ დათრგუნვილი საფლავის გვერდით თაყვანი ეცა მაცხოვრისათვის". ესეც თხზულების დასასრული – მოხდენილი, ეფექტური, რწმენით გაჯერებული. უაღრესი დაცემის გზაზე შემდგარი ადამიანიც კი ადამიანია და გულის სიღრმეში – ღვთისმოშიში და ღვთისნიერი.

ამასვე გვიდასტურებს ფსიქოლოგიური ეტიუდი **„ადე, ჩამოვიდა!..."** შიმშილის ზემოქმედების დაუძლეველი ძალის კლასიკური ნიმუშია ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაა „ტრაგედია უგმიროთ". ძალზე ახლობელი და ხელშესახები გახდა ეს განცდა ჩვენთვის ვარლამ შალამოვის კოლიმური მოთხრობების თამაზ ნატროშვილისეული თარგმანის წყალობით. შიო არაგვისპირელის ეტიუდში ნაჩვენებია, რა მდგომარეობამდე მიიყვანა გოგია მეწისქვილე შიმშილმა. ჯერ ხორბლის პატრონისთვის უნდოდა ცოტა ფქვილი ეთხოვნა, ის რომ ჩაძინებული დაინახა, მოპარვა უფრო ეიოლა. მერე იფიქრა, ეს რას მეყოფაო და მთელი ფქვილის დასაკუთრება მოუნდა. ეს ხომ სულ ადვილი იყო! ნაჯახით თავს გააგდებინებდა ჩაძინებულ პატრონს ხორბლისას და... მაგრამ ფინალი სულ სხვანაირია და ფსიქოლოგიურად სავსებით გამართლებული. „აბა, შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ ცოლ-შვილი შიმშილით მიწივის", - როგორც კი მძინარის სიტყვები მოაგონდა, გოგიას მკლავი მოუდუნდა. ეშმაკი და ღმერთი ებრძოდნენ მასში ერთმანეთს და თუმცა მაცხოვარი ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები, მაინც ჩანს, რომ კაცში რწმენამ, ღვთის იმედმა, სასოებამ იმარჯვა და მოკვლის ნაცვლად ფეხის წაკვრით გააღვიძა ხორბლის პატრონი: „ადე, ჩამოვიდა!.." თვითონ კი ვერც ფქვილის ყურებას გაუძლო, ვერც წუთის წინანდელი საკუთარი სურვილის გახსენებას და „საჩქაროდ გარეთ გავარდა..."

აღნიშნავს რა ამ უმწვავესი წუთების მხატვრულ შთამბეჭდაობასა და ეთიკურ ღირებულებას, როსტომ ჩხეიძე მას ფაუსტურ ვარიაციებსაც უკავშირებს და საკვლევ თემასაც გვთავაზობს: „ევროპელი მკვლევარები და კრიტიკოსები ხელიდან როგორ გაუშვებდნენ ამ ნოველას, მათ წრეში რომ შექმნილიყო, ალფონს დოდეს ნოველასაც გააჯიბრებდნენ და ხელშესახებად გამოჰკვეთდნენ მის მხატვრულ უპირატესობას თუნდ „მეწისქვილე კორნილის საიდუმლოებასთან“ შედარებით“. ეს ეტიუდი ოთარ ჩხეიძეს თურმე კლასიკურ ნოველად მიაჩნია უპირველესად მისი მოულოდნელი ფინალის გამო და მართლაც, საგულისხმო, სწორი და ვფიქრობ, გასათვალისწინებელი დაკვირვებაა.

დავით ლეონიძის ისტორიული დრამა

დავით ივანეს ძე ლეონიძე მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. ის არის შვილიშვილი ცნობილი სოლომონ ანდრიას ძის ლეონიძისა, ჯერ ერეკლე II-ისა და მერე სოლომონ II-ის მსაჯულისა. დავით ლეონიძე წერდა ლექსებს, პოემებს, დრამებს, კორესპონდენციებს და აქვეყნებდა იმდროინდელ პერიოდულ პრესაში („დროება", „ივერია"...), თუმცა მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი არასოდეს დაბეჭდილა. ბუნებრივია, რომ დღეს დავით ლეონიძე და მისი შემოქმედება თითქმის უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის. კონსტანტინე მეძვილიას აქვს მცირე, მაგრამ საყურადღებო ნაშრომი „დავით ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება," საიდანაც მრავალ საინტერესო რამეს ვიგებთ. პოეტის შთამომავლობა სათუთად ინახავს წინაპრის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. პოეტის შვილს, სოლომონ (ბებე) ლეონიძეს მამამისის ლირიკული ლექსები, პოემა „ელიავა" და ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა" თავის დროზე გადაუცია მკვლევარისათვის (კონსტანტინე მეძველიასთვის), ხოლო ბებეს ასულის, ქალბატონი ლამარას (ლალა) მეშვეობით ყველა ზემოდასახელებული თხზულების ხელნაწერმა ჩვენამდეც მოაღწია.

დავით ლეონიძის დრამის „სოლომონ მეორე მეფე იმერეთისა" ჟანრი შეიძლება ასეც განვსაზღვროთ — მხატვრულ-დოკუმენტური. მოკლე წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „მე ვიხელმძღვანელე, როგორც ზეპირი გადმოცემით მომსწრე პირთა, ეგრეთვე იმ წყაროებით, რომელნიც დაბეჭდილნი არიან ცალკე წიგნებად ანუ არიან გაბნეულნი სხვადასხვა პერიოდულ გამო-

ცემებში". მისივე თქმით, არც ხასიათი, არც სახელები რეალური პირებისა არ შეუცვლია შეძლებისდაგვარად.

საინტერესოდ, მთელი სისრულით არის წარმოდგენილი პრესაში მოღალატე თავადის, ზურაბ წერეთლის პორტრეტი. ამ პერსონაჟის სახე მკაფიოდ, ძლიერად, დამაჯერებლად არის დახატული.

მეფის სახლთუხუცესი, ზურაბ წერეთელი ანგარებიანი, ეგოისტი, შურიანი, ბოროტი კაცია. მას დიდი გავლენა აქვს სამეფოში, მეფე სოლომონ II მის რჩევას უგდებს ხოლმე ყურს, დიდად აფასებს და უმეტესად ითვალისწინებს. გაამაყებული ზურაბი თავის წარჩინებულ მდგომარეობას მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოსაწყობად იყენებს, მეფეს შეგნებულად ატყუებს და მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობს.

ეს ის ზურაბ წერეთელია, რომელიც მოქმედ პირად ჰყავს გამოყვანილი აკაკი წერეთელს პოემაში „კიკოლას ნაამბობი".

დავით ლეონიძის პიესა ზურაბ წერეთლის გამოჩენით იწყება და თავიდანვე ვხედავთ მის ნამდვილ, შეუნიღბავ სახეს. დაკლა ძროხა მზარეულმა, ბიჭო? — ეს შეკითხვა ლუარსაბ თათქარიძის ასოციაციას იწვევს, თუმცა შეცდომით. ის კურთხეული ლუარსაბი ანგელოზად მოჩანს ზურაბთან შედარებით. ირკვევა, რომ ძროხა ზურაბის ყმის, გოგია ჩაჩანიძის დანარბევია და მკითხველის თვალწინ ის ზოგადი სურათიც იხატება, რომ დარბევა, აკლება, წართმევა და მისთანანი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების წესია ამ ფეოდალისა. ეპიზოდურად გაელვებული მოსამსახურე, ხოსიკა, ასწრებს, გამოამჟღავნოს თავისი მლიქვნელური ბუნება. იგი ბატონს თვალ-წარბში შესციცინებს, ძალადობაშიც ხელს უწყობს, ოღონდ თვითონ იყოს რისხვისგან დაცული და მატერიალურად უზრუნველყოფილი. მლიქვნელობა და მოჩვენებითი ერთგულება ხომ ნაცადი გზაა კეთილდღეობის მოსაპოვებლად. ჭეშმარიტად, ერთმანეთის შესაფერის პატრონ-ყმას ერთმანეთთან აახლოებს არა წარმომავლობა, არამედ ხასიათი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ყველაფრიდან ჩანს, რომ პიესის ავტორი ძალზე მაღალი შეხედულებისაა ქართველ არისტოკრა-

ტიაზე. მოქმედება იმერეთის მეფის კარზე ხდება და ბუნებრივია, ამ გარემოში ძირითადად, მაღალი წრის წარმომადგენლებს ვხედავთ. მათი უმრავლესობა დახატულია სიყვარულით და რაც მთავარია, სიმართლით. ზურაბ წერეთელი ერთი გამონაკლისია, ვინც პირად ინტერესებს სახელმწიფოებრივზე მაღლა აყენებს, სარგებლობს ძალაუფლებით და შეგნებულად აჩქარებს და ხელს უწყობს მტრის მიერ საკუთარი ქვეყნის დაკაბალებას. ატყუებს მეფესა და დიდებულებს, ხლართავს ინტრიგებს, ფიზიკურად ანადგურებს მათ, ვინც გზაზე გადაეღობება. ყველაფერი ეს კი გამოწვეულია შურითა და თვისტომის მტრობით. კერძოდ, სოლომონ ლეონიძის მეფესთან დაახლოება ვერ აუტანია სახლთუხუცესს.

არ ალამაზებს ავტორი ისტორიას. შური, ლალვა და მტრობა ქართველთა დამახასიათებელ ერთ-ერთ თვისებად მიაჩნდა არჩილ მეფესაც, ალექსანდრე ორბელიანსაც, ილია ჭავჭავაძესაც...

იმერეთის მეფემ რუსეთის იმპერატორის კარზე საგანგებო დავალებით სოლომონ ლეონიძე გააგზავნა. ისტორიულად ცნობილია, რომ სოლომონ II პრაქტიკულად 1783 წლის ტრაქტატის პირობების აღდგენას მოითხოვდა. იგი „გულწრფელად ცდილობდა რუსეთის მფარველობის მეღებას იმ ძირითადი პირობით, რომ საშინაო დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა და რუსეთის მთავრობა, მის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა". ზურაბი გაშმაგებულია, წონასწორობადაკარგული. პირად შეურაცხყოფად აღიქვამს ლეონიძის ელჩობას. „მომიხერხე სოლომონ მსაჯულო, რომ მეფემ მე დამტოვა და შენ გაგაგზავნა რუსის იმპერატორთან. მაგრამ მეც კარგი მოგიხერხე ეს საქმე. ვნახოთ, როგორი გამარჯვებული დაბრუნდები!" — მუქარას არ ფარავს წერეთელი. მსაჯულის გამარჯვებით დაბრუნება მეფისა და ქვეყნის გამარჯვება იქნება, მაგრამ ზურაბისთვის — პირადი მარცხი. ღვარძლით დაბმავებული სახლთუხუცესი ყალბ წერილს გზავნის საქართველოს მთავარმართებელთან, რომლის მიხედვით იმერეთის მეფე ოსმალეთის ხონთქარს ჰპირდება თავის სამეფოს. თითქოს სოლომონ აშორდიას ან იასე ფალავანდიშვილის თავგადასავალს ვეცნობოდეთ. ცნობილ თაღ-

ლითებსა და ავანტიურისტებს ხომ არაერთხელ გამოუყენებიათ ეს ხერხი წყლის ასამღვრევად. სხვა საქმეა, რამდენად მოსალოდელი იყო, რომ სოლომონის ელჩობა წარმატებით დაგვირგვინდებოდა. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო უკვე მოქცეულია სასტიკი კაბალის ქვეშ, წარმოუდგენელია, რომ იმერეთის სამეფოს დაეღწია თავი იმავე ხვედრისთვის. ჭკვიანური პოლიტიკის წყალობით მხოლოდ რამდენიმე ხნით გადანევა თუ მოხერხდებოდა გარდაუვალი ბედისწერისა. პიესის შემდეგი მოქმედებებიდან ირკვევა, რომ იმერეთს ქართლ-კახეთთან გაერთიანებისა და აჯანყების იმედი ჰქონდა, ხოლო ელჩობით, როგორც ჩანს, მცირე ხნით მაინც გარეგნული მშვიდობისა და უშფოთველობის შენარჩუნებას და დროის მოგებას ცდილობდნენ.

სავსებით დამაჯერებელი და სარწმუნოა, რომ ზურაბ წერეთელი მარტო არ არის. მისი უპირველესი თანამდგომი, წამქეზებელი და დამხმარე სამეფოსთვის ძირის გამოთხრაში მისივე უმცროსი ვაჟი, გრიგოლია.

რუსეთი საქართველოში შემოსვლისთანავე ახორციელებდა „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკას. საქართველოს ერთიანობის ქადაგება აუცილებელი გახდა ამ პერიოდში. სიტყვამ მოიტანა და, აკაკი საქართველოს ერთიანობას ქადაგებს პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში. „ბაში-აჩუკში“ მთავარ მოქმედ პირად იმერეთის მკვიდრის გამოყვანა სწორედ ამ იდეის გამოხატულებაა, „კიკოლას ნაამბობში“ ტყუპ ძმებადაა მოხსენიებული ამერ-იმერეთი. ხოლო „ნათელაში“ ნამღერი „ჩონგური საქართველოა“ ლამის მთელი მისი შემოქმედების ეპიგრაფადაც გამოდგეს. საქართველოს ერთიანობას ელტვოდა და შენატროდა ვაჟა-ფშაველაც. მათ იდეურ მემკვიდრედ მოჩანს დავით ლეონიძეც. იყო დრო, როცა თბილისიდან ქუთაისში ილია ჭავჭავაძის ჩასვლამ გაანაწყენა ადგილობრივები. „ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ყრიან, ეს ვიღა გადამთიელი მოთრეულაო“ (ილიას კერძო წერილიდან). ახლა სახლთუხუცეს ზურაბს მოვუსმინოთ: „რა დროს მოვესწარი!.. საქართველოდან გადმოვარდნილი კაცი უნდა ატრიალებდეს იმერეთის სამეფოს და მეფეს და მე – მე სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს აღარაფერი უნდა მეკითხებოდეს?!“

თავის ჯამში მაცქერალი ზურაბი დიდ ჯილდოს და ტემლაკებს გამოელის საქართველოს მთავარმართებლისგან. ზურაბ წერეთელი მოხიბლულია იმ უხვი დაპირებებით, რუსეთის მთავრობა რომ აძლევს, გაბრუებული-ეგოიზმითა და პატივმოყვარეობით და ვერ ხედავს ან ხედავს და არად აგდებს სამშობლოს დაღუპვასა და განადგურებას. მთავარმართებელი კი გზავნის საჩუქრად ას ოქროს, მაგრამ ქართველ თავადს როგორც ჩანს, ჰგონია, რომ გაცილებით მეტს იმსახურებს და თავის უკმაყოფილებას ასე გამოთქვამს: „როგორ წვრილ-წვრილად მიგზავნიან! არ იქნა ერთბაშად, ბლომად არ გამომიგზავნეს!" რომ გაეთვალისწინებინა ზურაბს, რით ჯილდოვდებიან ხოლმე მოღალატეები იუდადან დაწყებული არსენას ნათლიმამით, ფარსადანით დამთავრებული...

ზურაბისა და თბილისიდან ახალდაბრუნებული მისი ერთგული ყმის, ოტია კურცხალიას საუბარში ერთი ასეთი საყურადღებო თემაა წამოჭრილი-თბილისი უწინ ჯობდა თუ ახლა? წინათ და ახლა — ასე აქვთ გაყოფილი საქართველოს ისტორია ალექსანდრე ორბელიანსაც, ილია ჭავჭავაძესაც... წინათ ნიშნავს დროს ჩვენში რუსების შემოსვლამდე და გაბატონებამდე, ახლა კი — დროს რუსობის შემდეგ. ზურაბისა და ოტიას საუბარშიც „უწინ" და „ახლა" ზუსტად იმავე მიჯნას გულისხმობს. ოტიას აზრით, თბილისი ახლა უფრო დამშვენებულია, მაგრამ რაღაც სხვა ფერი ადევს და ჰაერშიც სხვა სუნი დგას: „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ქუთაისში და იმერეთშიაც მისთანა დიდება და წესი შემოსულიყოს..."— გულწრფელად ამბობს გლეხი, რომელიც მზადაა თავისი ბატონის ყველა შეხედულება უყოყმანოდ გაიზიაროს, მაგრამ შინაგანი სიწმინდე და სიმართლე უფლებას არ აძლევს, დამონებული თბილისი მოიწონოს. გარეგნულად გალამაზებულ-გაშენებულ ქალაქს რაღაც საზარელი ფერი დასდებია, რომელიც სულს უტანჯავს მნახველს.

ილია განწმენდილი მზერით რომ ჭვრეტდა თბილისს, გულისტკივილით შენიშნავდა:

აქ არვის — დიდსა თუ პატარასა
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული...

შორს არის ამ ამაღლებული განცდისგან ოტია, მაგრამ მძიმე ბორკილს ისე შეუცვლია ქალაქი, რომ იმ უსიამოვნო სუნსა და სახეს ზურაბ წერეთლის ყმაც ამჩნევს, სხვაც ბევრი.

რა ჯობია: სუფთა ჰაერი, სიწმინდით ცხოვრება და ცარიელი სტომაქი თუ უზნეობის ლაფში და ლექში გამძღარი ყოფნა? – ერთგვარად ილიასა და ლელთ ღუნიას საუბარსაც გვაგონებს თბილისის ოტიასეული შეფასება. მძიმედ დააწვა რუსეთის მიერ დადგმული უღელი ქართველობას. შიშობდა ბარათაშვილის პოემის პერსონაჟი, სოლომონ მსაჯული:

ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა.

მთავარი არგუმენტი, რომელსაც ეყრდნობა პოემაში სოლომონ ლეონიძე, ერეკლე მეფესთან დაპირისპირების დროს, ორი ერის მენტალურ განსხვავებას შეეხება. ბარათაშვილის აზრით, მარტო სარწმუნოების ერთობა არ არის საკმარისი ხალხთა დასაახლოებლად, დასამეგობრებლად. „სახემწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს“. გიორგი გაჩეჩილაძემ თავის უაღრესად საყურადღებო გამოკვლევაში „თოკზე საუბარი ჩამოხრჩობილის სახლში“ ცხადყო, მაგალითებით დაადასტურა, რომ ყაზბეგის კავკასიურ საგაში ინდივიდუალური კონფლიქტის პრობლემა კი არ დგას, არამედ კულტურათა კონფლიქტისა. მის ნაწარმოებებში „ერთმანეთს უპირისპირდება ქართულ-კავკასიური მენტალობა და რუსული მენტალობა“. კულტურათა ამ განსხვავებას ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება. „სიტყვა-ლაქათნი, ცხოვრებნა-ცუდნი, გულით მრუდნი, ეშმაკთ სადგურნი,“ – ასე დაახასიათა ის ხალხი, ვინც სამკვიდრო წაგვართვა ძალით და რომელთა ცხოვრების წესსა და ნირს მიზეზთა გამო თავად კარგად იცნობდა.

რუსეთის საქართველოში შემოსვლისა და დამკვიდრებისთანავე იჩინა თავი ამ წინააღმდეგობამ. ბუნებრივია, რომ თავი-

სუფლების ასე ერთბაშად დაკარგვას ვერ შეეგუა ქართველი. დღეს აღარავისთვისაა სადავო და საკამათო, რომ სახელმწიფოებრიობის გაქრობამ ერთნაირად შეაწუხა და აღაშფოთა მთელი საზოგადოება — არისტოკრატია, გლეხობა, სასულიერო წრე თუ სხვა.

XIX საუკუნის დასაწყისი ამიტომ აღინიშნა უამრავი აჯანყებით, საბჭოთა ისტორიოგრაფია გლეხთა ამბოხებებად რომ ნათლავდა, სინამდვილეში კი ყველა ეროვნული აჯანყება იყო, რომლებსაც სათავაში, როგორც წესი, ბატონიშვილები ედგნენ და რუსების განდევნას და საქართველოს დამოუკიდებელი სახელწიფოს აღდგენას ისახავდნენ მიზნად.

დავით ლეონიძის ნაწილობრივ დოკუმენტურ პიესაშიც აისხა ეს ისტორიული რეალობა, მოკლედ, მაგრამ — დასამახსოვრებლად. პიესის ავტორს არ გაუყვია, არ დაუნაწილებია ამბოხება-შეთქმულებანი და მათი განმასხვავებელი ნიშნები არ უძებნია. სავსებით სამართლიანად ერთად მოუყრია თავი, ერთად შეუკრებია და საზოგადო განწყობა და წინააღმდეგობის სული წარმოუსახავს.

ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი იმთავითვე გაუიგავდა წინააღმდეგობას, თავისუფლებისათვის ბრძოლას. სადაც კი მის სახელს მოკრავდნენ ყურს, ყველამ იცოდა, რომ იქ ბრძოლის ცეცხლი დაინთებოდა. არაერთგზის სცადა რუსეთის მთავრობამ ამ უჩი და ამაყი ბატონიშვილის ხელში ჩაგდება, მისი მოკვლისთვის ჯილდოც არაერთგზის დააწესა. მაგრამ თითქოს უჩინარი ყოფილიყოს, ისე შემოვიდოდა ხოლმე რუსთა მიერ საიმედოდ შეკრულ გზებზე, აჯანყების შეაგულშიც ტრიალებდა და ისევე უკვალოდ გაქრებოდა, რომ ობობას ქსელივით მოდებული აგენტების მიუხედავად, რუსებმა ვერა და ვერ მოიხელთეს, მისი გზა-კვალიც ვერაფრით გაიგეს. საქართველოდან გადახვეწილი იულონ, ფარნაოზ, ალექსანდრე ბატონიშვილები „იქიდან უთვალთვალებდნენ ქართლში დატრიალებულ მოვლენებსა, ქართული ტრადიციული მართვა-გამგებლობის მოშლისა და ახალმმართველობის დამყარების წინააღმდეგობასა... თბილისსა და ერევანს შორის ალექსანდრე ბატონიშვილი აღი-

მართა გაუვალ კლდედ... ეს იყო მხოლოდ ღერძი, რომლის გარშემო უნდა დატრიალებულიყო მღელვარება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და აღმოსავლეთ საქართველოსი, თუ მთელი კავკასიის ხალხთა აყოლიება არ მოხერხდებოდა...“ (ოთარ ჩხეიძე). ალექსანდრე ბატონიშვილი ლეგენდად იქცა, კავკასიის საერთო გმირს ხალხი განსაკუთრებულ პატივს სცემდა და ისიც სჯეროდათ, რომ ბატონიშვილს მფრინავი მერანი ჰყავდა, რომლის წყალობითაც აღწევდა ხოლმე თავს ყოველ ნაბიჯზე დაგებულ მახეს და ახლა, პიესაში ამ კაცის მოკვლისთვის დაწესებულ ჯილდოზე ოცნებობს ზურაბ წერეთელი. მკითხველის ზიზღი მის მიმართ უფრო ღრმავდება, უკიდურეს სიმძეფრეს აღწევს. ეს ხომ მარტო ერთი ადამიანის პიროვნული თვისება არ არის, ზოგადად სამშობლოს მოღალატის სახეა დახატული. მისი დანაშაული კი, როგორც ვაჟა ამბობდა, „აწეულია ცამდინა“.

უნდა გარკვევით ითქვას, რომ პიესის მიხედვით ზურაბ წერეთელი ორიოდე მხარდამჭერით გამონაკლისია. მეფე, მსაჯული, მათ გარშემო მყოფი პირნი, თვით ზურაბის ოჯახის წევრები — უფროსი ვაჟი სვიმონ, და რძალი მზეხათუნი ქვეყნისა და მეფის ერთგულნი, მაღალი სულიერი ღირსებებით არიან შემკულნი.

სვიმონი, ზურაბის უფროსი ვაჟი, ნაწარმოებშო მოქმედ პირად არ არის გამოყვანილი, მასზე მხოლოდ ორიოდე ეპიზოდშია საუბარი და იქიდან ვიგებთ, რომ ის ეწინააღმდეგება მამისა და ძმის ქცევას, არ იზიარებს მათ აზრებს. მამა გულდაწყვეტილია იმით, რომ შვილი ვერ მიიმხრო, ვერ მოიხმარა თავის ბნელ სქმეებში. მზეხათუნი, სოლომონ მეფის ძმიშვილი სვიმონის მეუღლეა და თუმცა მედგარ, შეუპოვარ, გადამწყვეტ წინააღმდეგობას ვერ უწევს მამამთილს, მისი პირველივე გამოჩენა თხზულებაში წარმოაჩენს მას, როგორც კეთილ, სათნო, ჰუმანისტ, მაღალი ზნეობის ქალს. ნიშანდობლივია, რომ ზურაბის ყმის სასტიკად დასჯის დროს მზეხათუნს გული მისდის. ასე პასიურად, მაგრამ ძალზე ბუნებრივად გამოხატავს პროტესტს ძალადობისა და შეუბრალებლობის წინააღმდეგ. დავით ლეონიძე ქართული მწერლობის ტრადიციების გამგრძელებელია. ქართველი მანდილოსანი მისი წარმოდგენით, ოჯახის ერთგული,

მამულის მოყვარული, სათნო და სპეტაკი, საკუთარი ღირსების დამცველი და კიდევ მრავალი სათნოებით შემკულა საზოგადოდ. XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ ქალს უდიდესი მისია დააკისრა-ეროვნული სულის შენარჩუნება, დარღვეული ქართველობის აღდგენა-განმტკიცება. მარად ნეტარ ქართველ დედებს შეჰხაროდა ბარათაშვილი და კიცხავდა თანამედროვეთ: „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე უწინ გარდაუცვალა მათ გული ცხოველო". აკაკიმაც მწარედ გაკილა გადარჯულებული ქალი. ქართველ მეშანკას (ძველ დროში რომ მარიამი ერქმეოდა) ათქმევინა: „მიყვარს კალინა-მალინა, მძულს ვარდები და იაო, სამშობლო რასა მიქვიან, ეშმაკსაც წაუღიაო".

ცნობილია, მამაკაცის გადარჯულება იმდენს ვერას აკლებს ქვეყანას, რამდენსაც ქალის, დედის, შვილების აღმზრდელის. აკი დედას ავალებდა ილია, ღირსეული, სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი შვილის აღზრდას, გმირად მიაჩნდა შვილის ლამაზად გამზრდელი დედა ვაჟას.

სოლომონ ლეონიძის მეუღლე სოფიო განასახიერებს ბარათაშვილის პოემაში კათილშობილ, მაღალი ზნეობის, მტკიცე სულის პატრიოტ ქალს. იგი თავისი მეუღლის სულის ტოლია.

მაინცდამაინც ამ პოემის გავლენა არ უნდა იყოს, რომ დავით ლეონიძეს პიესაში ასევე მტკიცე ხასიათის., ქვეყნის ერთგულ ქალად გამოჰყავს სოლომონ მსაჯულის საცოლე დარეჯანი. თუმცა დარეჯანი ახალგაზრდაა და მისი საქმრო კი შუა ასაკისა, იგი ისეა მოხიბლული სოლომონის ადამიანური თვისებებით, სიყვარული მის გულში ისე ღრმად ჩანერგილა, რომ არავის შეუძლია, აზრი შეაცვლევინოს, ქორწინება გადააფიქრებინოს. დარეჯანის მტკიცე ნებისყოფის, ერთგულების, სიწმინდისა და პატიოსნების დასახატად მწერალს საქართველოს ისტორია, ქართული მწერლობა და ზეპირსიტყვიერება, ქართველი ქალის შესახებ ტრადიციებით განმტკიცებული შეხედულება უბიძგებდა დარეჯანი ჭკვიანი და დაკვირვებული ადამიანია.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბოროტებამ ახლაც გაიმარჯვა, ზურაბმა და მისმა ვაჟმა, გრიგოლმა, მოახერხეს სოლომონ მსაჯულის საცოლის-დარეჯანის მოწამვლა. სიკვდილის წინ

დარეჯანი უკანასნელ ღონეს მოიკრებს, იმერეთის მეფეს ურჩევს, არ მოიშოროს გვერდიდან ერთგული მსაჯული და ყველაფერი მას დაუჯეროს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იმერეთს დაღუპავს. ეს სულით მაღალი ქალი ღვთის ნებად მიიჩნევს თავს დატეხილ უბედურებას, არავის ადანაშაულებს, ყველას ლოცავს, პირველ რიგში კი საყვარელ სოლომონ მსაჯულს და ღმერთს თხოვს, ასრულდეს სოლომონის განზრახვა — იმერეთის და მთელი საქართველოს გათავისუფლება. „საფლავშიც კი ვიგრძნობ ამას და გავიხარებო," — ამ სიტყვებით ემშვიდობება სიცოცხლეს ეს ღირსეული, სათნო, ქვეყნის მოყვარე ქალი. აქ უნებურად გვახსენდება ალექსანდრე ორბელიანის ანდერძი-საქართველო რომ გათავისუფლდება, საფლავში ჩამომძახეთო, დაიბარა იმის ღრმა რწმენით, რომ იქაც გაიგებდა და გაიხარებდა.

საერთოდ, ამ პიესის პერსონაჟი ქალები და გამორჩევით, დარეჯანი, განასახიერებენ ქართველი ქალის საუკეთესო თვისებებს.

ცნობილია, რომ საქართველოში ოდითგანვე ქალის კულტი არსებობდა. ჩვენი მწერლები შემთხვევით როდი ასხამდნენ ხოტბას ქართველ ქალს. XIX საუკუნის ქართველი მწერლობა განადიდებს, დითირამბს აღუვლენს და ამავე დროს მისტირის კიდეც ძველ დიდებას, ძველ ყოფას, ძველ ცხოვრებას. კაცს „დღეს... სიტყვა „ისტორიული ქართველი ქალი" ზღაპრული ოცნება, ან სამარადისოდ გადასული და გამქრალი სახელი ეგონება, მაგრამ შესცდება", — წერდა აკაკი. სხვაგან კი გულისტკივილს გამოთქვამდა: „ის სოფიოები, რომლებზედაც გულდაწყვეტით ქვითინებს ბარათაშვილი, დღეს არსად არიან".

ალექსანდრე ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთლელი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა ერთმანეთს ეთანხმებიან, თითქოს ერთმანეთის აზრს აგრძელებენ, ერთხმად ღაღადებენ ქალის საგმირო საქმეების, ქალის განსაკუთრებული, გამორჩეული როლის შესახებ ისტორიაში. „ისტორიული ქართველი ქალის" სულიერი მემკვიდრე, მათი ტოლი და ფარდია დარეჯან ბატონ-

იშვილიც, მეათერთმეტე ჟამის მუშაკივით თავმდაბალი, მოკრძალებული, მაღალ იდეალებსა და ჭეშმარიტ სიყვარულს ზიარებული.

იმერეთის არისტოკრატია, მეფის მრჩევლები და მასთან ახლოს მდგომი პირები პიესის მიხედვით მეფისა და ქვეყნის ერთგულნი, საღად მოაზროვნე ადამიანები არიან. ქაიხოსრო წერეთელი, ხუტუ მიქელაძე, ლევან აბაშიძე, დავით აგიაშვილი, სარდლები თავს ქვეყნის პატრონად გრძნობენ. ხვდებიან, რომ საქართველოს გამგის (მთავარმართებლის) ელჩი ატყუებს მეფეს — რუსის ჯარის იმერეთში შემოსვლისა და მუდმივად დამკვიდრების უფლებას ითხოვს ვითომ იმერეთის დასაცავად. რა საბაბითაც შემოვიდა რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც მაშინ მოირგო მფარველისა და მცველის ნიღაბი, რა გასაკვირია, რომ იგივე ხერხი, უკვე წარმატებით ნაცადი, მოიმარჯვა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, იმერეთის სამეფოს დასაპყრობადაც. ერთმა თავგასულმა კაცმა, ზურაბ წერეთელმა შეძლო მეფისა და მთელი დარბაზის გადმობირება და კინაღამ გადაწყვიტა იმერეთის ბედი. ხომ არ აზვიადებს ავტორი სახლთუხუცესის შესაძლებლობებს, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს, ვისი უსინდისობის ამბავიც, არავისთვის დამალული არ ყოფილა, საზოგადოებრივი აზრის თავის სასარგებლოდ მომართვა? რა ითქმის! გავიხსენოთ, ბარათაშვილის „ბედი ქართლისას" მიხედვით კრწანისის ომის ბედი მხოლოდ ერთმა კაცმა, მოღალატემ გადაწყვიტა, ზურაბ წერეთელს კი გულუბრყვილო თუ შეგნებული მომხრეებიც ჰყავს.

ამ ამბიციურ, უგუნურ, პატივმოყვარე და რუსების სამსახურში ჩამდგარ კაცს პიესაში უპირისპირდება ჭკვიანი, წინდახედული, თავმდაბალი და მეფის ერთგული სოლომონ ლეონიძე.

თითქოს ბარათაშვილის პოემის პერსონაჟი გადმოსულა პიესაშიც. სოლომონის საფიქრალ-სადარდელი არის ერის რღვევა, დაშლა, სახელმწიფოს გაქრობა, თუმცა იმედს არ კარგავს და ეძებს გადარჩენისა და განმტკიცების გზას.

პოემაში მეფე თავისუფლების სანაცვლოდ მიღებულ მშვიდობას ახსენებს.

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა“, — ასეთია მისი რწმენა. თუმცა 60-იან წლებში ილიას ლელთ ღუნიამ, უბრალო მოხევემ, ეჭვი შეიტანა ამ ფორმულის (მშვიდობა თავისუფლების სანაცვლოდ) სისწორეში და მოურიდებელი, უბოდიშო პირდაპირობით თქვა: „ცარიელ მშვიდობა მიწაშიც გვეყოფა“. თითქოს ამ სიტყვების გამოძახილია სოლომონ II-სთან თათბირზე ერთ-ერთი დიდებულის ნათქვამი: „როდესაც კაცი გადაიცვლება, სამუდამოდ განისვენებს და აღარაფერი მას აღარ შეაწუხებს, მაგრამ ამისთანა განსვენება არავისთვის არის მგონი სანატრელი?!“

ისტორიულად სოლომონ ლეონიძე მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და სანდო პირი ყოფილა ერეკლე მეფისა.

დავით ლეონიძის პიესაში იმერეთის მეფესა და მის მსაჯულს ერეკლე II-ის სიყვარულიც და პატივისცემაც აერთიანებთ და აკავშირებთ. მარტო საქართველოს კი არა, მთელი კავკასიის თავისუფლებაზე ოცნებობს სოლომონ ლეონიძე და მისი შთამომავალიც, პიესის ავტორი, დავით ლეონიძე. საერთო მტრის წინააღმდეგ მთელი კავკასიის გაერთიანების იდეა ჰქონდათ 32 წლის შეთქმულებსაც. ასეთი, სახელმწიფოებრივად სწორი მიდგომა აქვს ამ საკითხის მიმართ სოლომონ ლეონიძესაც.

მაგრამ პიესაში სოლომონი მარტო სახელმწიფო მოღვაწე როდია. იგი ნაზი მიჯნური, ზნეკეთილი ადამიანი, ევროპული ცხოვრების მცოდნე და მისი მხურვალე მქადაგებელია.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ტყვეობიდან გაქცეულ სოლომონ II-ს ფარ-ხმალი არ დაუყრია. ირან-ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდა, ჩაგრულ ერთა ქომაგად მიჩნეულ საფრანგეთის იმპერატორს, ნაპოლეონს ევედრებოდა შველას. მისი მიწყდომ-მოწყდომა, ყველა ცდა კი იმით დამთავრდა, რომ 1815 წელს გახდა ავად და გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 37 წლისა, ტრაპიზონში...

„კაცის ცხოვრება ძლიერ მოკლე არის და მისი კეთილი საქმეები კი უკვდავია და უკვდავად ხდის მისს სახელს!“ — სახარებისეულ ზნეობას ქადაგებს სოლომონი.

კაცს მის მეტი არა აქვს რა სიკვდილს უკან თან საბარგი
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი—ავსა ავი, კარგსა კარგი.
(დავით გურამიშვილი)

...„ ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, იგინი შეურჩენელი არიან“ *(ნიკოლოზ ბარათაშვილი)*

„კაცო, წარმავალო, ნურარაითა ნუ გაამაყდები. სიმდიდრე, პატივი და დიდება ყოველი სიკვდილთანავე ჩაგივლის ამაოდ...“ *(ალექსანდრე ორბელიანი)*

დავით ლეონიძის პიესაში ხშირად ვხვდებით ილიას, აკაკის, ბარათაშვილის რემინესცენციებს. რამდენიმე ზევით ვახსენეთ.

* * *

ცნობილია, რომ სოლომონ ლეონიძე მეგობრობდა ალექსანდრე ბატონიშვილთან. ზაქარია ჭიჭინაძე ერთგან წერს: სოლომონ ლეონიძე „ამბობენ, ლეონ ბატონიშვილის კარგი მეგობარი იყოვო. ჯერეთ ახალგაზრდას დიდათ უგლოვნია ლეონის მოწამვლა... ლეონის სიკვდილის შემდეგ კი უფრო ალექსანდრე ბატონიშვილს ჰმეგობრობდა“. ისინი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში თანამოაზრეები იყვნენ, დავით ლეონიძე არც ამ შემთხვევაში ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს. პიესაში სოლომონი თავის შვილს, ივანეს თხოვს ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის მიწერას, ატყობინებს ნამდვილ ვითარებას და თუ რუსები იმერეთსაც დაიკავებენ, მზად არის, ფარ-ხმალი კი არ დაყაროს, არამედ ბატონიშვილთან გადაიჭრას და მერე იქიდან კვლავ იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ეს მხნე, ამაყი, დაუმორჩილებელი სული ზნეობრივადაც სრულყოფილია.

ახალციხეში გაქცეული სოლომონ ლეონიძე ელჩის აზრით, ძლიერ საშიშია რუსეთისათვის, რადგან იქაც ბრძოლას არ მოიშლის, ახალციხის ფაშას მიიმხრობს და რუსებს სიმშვიდეს ახლა იქიდან დაურღვევს. სხვათა შორის, ელჩს მეტად საშიშად და სახიფათოდ ეჩვენება დედოფლის იმერეთში დატოვებაც. კვლავ ზურაბს თხოვს დახმარებას დედოფლის დაპატიმრებასა და მოტყუებით იმერეთიდან წარგზავნაში. ამ დეტალშიც ავტორი ისტორიულ სიმართლეს იცავს. ცნობილია, როგორ ცდილობდა რუსეთის მთავრობა დარეჯან და მარიამ დედოფლების

გადასახლებას. იმპერატორისადმი მიწერილ საიდუმლო ბარათებში საქართველოს მთავარმართებლები ატყობინებდნენ მას, რომ თუ სასწრაფოდ არ მოაშორებდნენ დედოფლებს ქვეყანას, ახალდაპყრობილ გუბერნიაში სიმშვიდე და მოსვენება არ იქნებოდა. რადგან ჭკვიანი და თავიანთი ხალხის მოყვარული დედოფლები ნამდვილ წარმმართველებად, მეფეთა მოვალეობის აღმსრულებლად გვევლინებიანო. ცხადია, ეს შიშის ზარს სცემდა დაპყრობლებს. მსგავსი ვითარება იყო, რასაკვირველია, იმერეთშიც. ამიტომ სოლომონ II-ის მოტყუებით დაპატიმრებას აუცილებლად, გარდაუვლად უნდა მოჰყოლოდა დედოფლის იმერეთიდან გამოტყუება და დაპატიმრებაც.

ბოლო, მეხუთე მოქმედებაში დატყვევებულ მეფეს მეტეხის ციხეში ვხედავთ. გვიანღა მიხვდა იგი სიმართლეს. დილაადრიან პეტერბურგში უპირებენ გაგზავნას. როგორც ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის, მისთვისაც გაუსაძლისია სამშობლოსგან სამუდამოდ მოშორება. მისი წუხილი და ვალალი უძლურებისა და სასონარკვეთილებისაა, თუმცა ერთხელ კიდევ მიეცა საშუალება მეფური, გმირული, შეუდრეკელი ბუნება გამოემჟღავნებინა, ამაყად და ღირსეულად მოქცეულიყო და თავი არ მოედრიკა და დაემცირებინა მტრის წინაშე. ეს შანსი მეფემ დიდებულად გამოიყენა. რუსი ჯარისკაცი თხოვს იმ ქაღალდზე მოუწეროს ხელი, რომელზეც წერია, რომ მეფე თავისი ნებითა და სურვილით თმობს იმერეთის სამეფოს და რუსეთის იმპერატორს ევედრება, მფარველობა გაუწიოს მას. აქ კი ვაჟკაცურ წინააღმდეგობას უწევს სოლომონ II მოძალადეს. მისი მართებული აზრით, თუნდ მოკლან, სიკვდილი არ იქნება იმაზე ძნელი, ვიდრე მისი დამცირებული ყოფაა. პეტრეს ქალაქში დიდკაცურად სიცოცლეს, ბარათაშვილის სოფიოსი არ იყოს, მასაც თავის მამულში თავისუფლება ურჩევნია. თუ ტყვე ველარაფერს გააწყობს მტერთან, ამ საბუთზე ხელის მოწერით მაინც არ გაახარებს, მთელი მსოფლიოს წინაშე ტყუილს მართლად არ გაასაღებინებს, მეფობაზე ნებაყოფლობით უარს არ იტყვის.

საგანგებოდ უნდა ვახსენოთ ერთი პერსონაჟი პიესისა, რომელიც აქამდე არ გვიხსენებია. იგი მეხუთე მოქმედებაში ჩნდება.

ეს არის მეფის მხლებელი გლეხი კიკოლა სარალიძე. კიკოლა მეფის მოყვარული და ერთგულია. მისთვის მეფე და იმერეთი ერთი და იგივეა. ამიტომ იგი მზადაა, რომ შეეწიროს მეფეს, მაშასადამე, სახელმწიფოს. მეფის ერთგულ ყმებს — სარდალ ქაიხოსრო წერეთელს, სიძეს სვიმონ წერეთელს და აზნაურ ივანე მესხს გადაუწყვეტიათ მეფის გადარჩენა. უფრო ადრე ქაიხოსრო წერეთელი რუსის ჯარს გადადგომია იმერეთის მისადგომებთან და თავგანწირული ბრძოლით დაუცავს მამული. ახლა ამ სამთ გადაუწყვეტიათ მეფის გამოპარება საპყრობილიდან და თუ ეს ვერ მოახერხეს, არც პირდაპირ თავდასხმას მოერიდებიან. მეფის უიმედობას კიკოლა სარალიძის ოპტიმიზმი და ღვთის სასოება უპირისპირდება. მისი მოხერხებით (ტანსაცმელი გაუცვალა) სოლომონ II გაიქცა. ეს ისტორიულად მართალი ამბავი პიესაში მხატვრული შთამბეჭდაობითაა გადმოცემული. საქართველოს ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის გლეხის მიერ მეფისთვის თავდადებისა. ასე რომ, კიკოლა სარალიძემ გაიმეორა ზედგინიძის, გლეხი ბოსტაშვილისა თუ სხვათა გმირობა, რომელთა სახელები შემოგვინახა თუ არ შემოგვინახა ისტორიამ.

კიკოლას მაცდურ წინადადებას სთავაზობს რუსის ჯარის უფროსი. როგორც ყველა დროის დამპყრობი, მუხანათურად ცდილობს მოტყუებას — პირდება ცოლ-შვილთან დაბრუნებასა და ჯილდოდ მრავალ განძს, ქონებას, თუ სამაგიეროდ კიკოლა თავს იდებს ისევ მეფესთან მისვლას და მის მოკვლას. თქმაც კი არ არის საჭირო, რომ ღვთისმოშიში კიკოლა ამაზე დათანხმებას სიკვდილს ამჯობინებს.

ტყვეობაში შეიტყო მეფემ სოლომონ ლეონიძის მწარე ბედის შესახებ. ის კაცი, ვისაც ახლა გულწრფელად მისტირის და ვის არდაჯერებასაც გუილით ინანიებს და სასტიკად ზღავს მეფე, სწორედ ის, მისი ბრძენი, ჭკვიანი, გამოცდილი და ერთგული მრჩეველი ახალციხეში მოუკლავთ ზურაბ წერეთლის ბრძანებით.

ერთი შეხედვით, ნაწარმოები პესიმისტურად მთავრდება — მეფე დატყვევებულია, სოლომონ ლეონიძე აღარ არის, იმერეთი, ალბათ, თავს ვერ დაიცავს რუსეთის უზრმაზარი ჯარისგან. ერთგული გლეხი კიკოლა დაიღუპა... მაგრამ სწორედ ეს თავგა-

ნწირვა ბადებს ოპტიმიზმს და აჩენს რწმენას იმისა, რომ სანამ იარსებებენ კიკოლასნაირი თავგანწირული ადამიანები, მანამ იარსებებს საქართველოც. ციხიდან გაქცეული (გაპარული) მეფის, აზნაურთა და უაზნოთა ერთობლივი ბრძოლა უნდა გახდეს სახლმწიფოებრიობის აღდგენის გარანტი.

ზურაბ წერეთლის ზეობა კი მხოლოდ დროებითია, რადგან ვეფხისტყაოსნისეული „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" შეუძლებელია, უცხო იყოს პიესის ავტორისთვისაც.

მინაწერი:

აკაკი წერეთლის პოემაში „კიკოლას ნაამბობი", პროზაულ ნაწერში „კიკოლას აამბობიდან" და სხვა ჩანაწერებშიც არაერთხელ ჰყავს ნახსენები გლეხი კიკოლა კალმახელიძე, რომელსაც აკაკი კარგად იცნობდა, მეგობრობდა მასთან და ხშირად საუბრობდა საქართველოს წარსულზე, აწმყოსა თუ მომავალზე. დავით ლეონიძის კიკოლა და აკაკის კიკოლა, როგორც ჩანს, ერთი და იგივე პირი არ არის, მაგრამ საინტერესოა, დავით ლეონიძემ აკაკის გავლენით ხომ არ დაარქვა გლეხს ეს სახელი, თუ მართლაც არსებობდა რეალური კიკოლა სარალიძე? ამის გარკვევით, ცხადია, პერსონაჟს არც არაფერი შეემატება და არც დააკლდება. ეს მხოლოდ ჩვენთვის იქნება, როგორც იტყვიან, კიდევ ერთი დეტალის დაზუსტება.

ქალი ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში

ქართული ლიტერატურის პირველივე ძეგლის (ჩვენამდე მოღწეულის) მთავარი მოქმედი პირი ქალია, განმანათლებელი — ქალი, მითად ქცეული მეფე — ქალი, ქვეყანა ღვთისმშობლს წილხვდომილია. ამ მაგალითებითაც ცხადია, ქალის როლი, ფუნქცია ქვეყნის კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში განუზომლად დიდია. ასეა ისტორიულად. ბუნებრივია, რომ პატივისცემა და თაყვანება ქალისა ლიტერატურაშიც, სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც თვალსაჩინოდ აისახა.

ქალი ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში, ძირითადად, წარმოსახულია, როგორც პატრიოტი — ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული ან სხვისთვის (მამაკაცისთვის) გმირობის შთამაგონებელი (ამ უკანასკნელში ვგულისხმობ შვილის მეომრად და პატრიოტად აღზრდასაც). XIX საუკუნეში გაჩნდა მტრის წინააღმდეგ იარაღით მებრძოლი ქალიც, ქმრისა და ოჯახის მოღალატე ქალიც, ცუდი აღმზრდელი დედაც, ცბიერი, გამორჩენას დახარბებული ქალიც, სიყვარულისთვის წამებული და სხვა. ქალის სახე შეუდარებლად გამრავალეროვნდა (თუნდაც უარყოფითი თვისებების ხარჯზე) და ერთსა და იმავე ყალიბში ჩამოსხმულს აღარ ჰგავდა. ამიერიდან ტრადიციულთან ერთად და მის პარალელურად ქალის პიროვნება ორიგინალურად, განსხვავებულადაც გაიაზრებოდა. ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, ლავრენტი არდაზიანი, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი... ქალთა გარეგნული პორტრეტებისა და ხასიათების საინტერესო პალიტრას ქმნიან.

მრავალფეროვანია ქალი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაშიც. წერის იმპრესიონისტული მანერა, მოკლე, მოკვეცილი წინადადებები, მცირე მოცულობის ნაწარმოებები (ესკიზი, მინიატურა, ჩანახატი, ნოველა...) თითქოს არც იძლევა საშუალებას დასამახსოვრებელი, გამოკვეთილი, სრულყოფილი სახის შექმნისა. სწორედ მინიატურაში მონუმენტური ხასიათის ხატვა მიაჩნია ოთარ ჩხეიძეს ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების მხატვრულ თავისებურებად. „ეს გამოარჩევს და დაუმკვიდრებს თავის ადგილსა ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში“. ეს სიტყვები ერთი მინიატურის („ტრაგედია უგმიროთ“) შესახებ ითქვა, თუმცა ძალდაუტანებლად შეიძლება განზოგადდეს და გავრცელდეს მთელ შემოქმედებაზე.

ტრაგიკულია და უნაპირო სევდით აღსავსე ნიკო ლორთქიფანიძის პროზა (მცირე მოცულობისაც და რომანებიც). ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები ერთნაირად გამსჭვალულია დარდით, ვარამით, ჩუმი ნაღველით.

„რა საგანსაც არ უნდა შეხებოდა ნიკო ლორთქიფანიძის მზერა — წარსულ დღეთა დიდებას თუ აწმყოს ყოველდღიურ ერთფეროვნებას, ომს თუ მშვიდობიან ცხოვრებას, სოფლური ყოფის რუტინას თუ ურბანიზებული სინამდვილის შეუჩერებელ ორომტრიალს, მისი შემოქმედების მთავარი თემა მაინც ერთი იყო — ადამიანის სულის ისტორია“, — წერდა გურამ ასათიანი.

კრიტიკოსები არაერთგზის მიუთითებენ, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს წარსული ნაკლებად აინტერესებს, როგორც ნიმუში, როგორც ხატი და მაგალითი, რომელიც მომავალშიც უნდა განმეორდეს და რომელსაც უნდა მიბაძონ თანამედროვეებმა. მწერალი უფრო ისტორიის სულს ძერწავს და პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს ქმნის.

მკითხველის სევდას კი ის გადაგვარებული, სულიერებისაგან დაცლილი, ორიენტირებაღრეული გარემო და ყოფა იწვევს, რომელშიც ხდება მოქმედება. ამ თხზულებებში ქალებიც ისეთივე დამცირებულ-დაკნინებულად წარმოგვიდგებიან თავიანთ საამაყო წინაპრებთან შედარებით, როგორადაც — მამაკაცები.

„რაინდებში" უაზრო შინაომია აღწერილი. დასვლეთ საქართველოს კუთხეები ებრძვიან ერთმანეთს. მეფე-მთავრებს კერძო, პირადული ინტერესები ამოძრავებთ და ის დაუყენებიათ მამულის ტრფობაზე მაღლა. უფრო სწორად, სამშობლო, მამული, თავისი პირველადი და წმინდა მნიშვნელობით აღარც ახსოვთ და მხოლოდ მიწის ის ნაჭერი ჰგონიათ, რომელსაც თვითონ ფლობენ, რომელზედაც თვითონ ბატონობენ.

არაერთხელ მომხდარა საქართველოს ისტორიაში, შემცდარი, გზასაცდენილი, პირად კეთილდღეობას გამოდევნებული მამაკაცი ქალს შემოუბრუნებია და სწორი გზა უჩვენებია მისთვის. სხვათა შორის, მეომართა გმირობის, თავდადების ერთი უპირველესი წყარო სწორედ ქალის (დედის, დის, მეუღლის, სატრფოს...) შეფასება-დამოკიდებულება და მოლოდინია. საზოგადოებრივ აზრს, ღირებულებათა სისტემას ხშირ შემთხვევაში ქალი აყალიბებს. მამაკაცი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქალს (საერთოდ, საზოგადოებას) თავი მოაწონოს, ღირსეულად წარმოჩნდეს, დასაცინ-გასაკიცხი არ გახდეს. ხოლო თუ რას მოიწონებს, რას მიუთვლის ღირსებად საზოგადოება — ეს მეტწილად ქალზეა დამოკიდებული.

„რაინდების" ქალები არაფრით განსხვავდებიან კაცი-პერსონაჟებისგან. ამათაც „ჩვენ" დავიწყებიათ და მარტო „მე" ახსოვთ (ილიას სიტყვებია). ვინ იცის, სულაც მათ განაპირობეს ძველი რაინდების ასე ჩამოქვეითება? არის „რაინდებში" ასეთი ეპიზოდი: იმერეთის მეფე მცირე ჯარით ეახლა ოდიშის მთავარს დასახმარებლად. სამეგრელოს დედოფალი ტუჩაბზუებით, დაცინვით ამბობს: „— აი დახმარება თუ გინდა სიძე-ბატონისაგან, ამას ჰქვია!.. თითქოს სანადიროდ მოსულიყოს! სასაცილოდ აგვიგდო!.. თუ გავიმარჯვეთ, სახელი მისია, თუ დავმარცხდით — ჩვენ აგვიანცებენ.." დიდი ძალა და გავლენა აქვს დედოფლის სარკაზმს. ასე გამანადგურებლად ვერ იმოქმედებდა ვერანაირი ულტიმატუმი, მოთხოვნა თუ დასაბუთებული საყვედური. „დამორჩილებული" მეფე იმერეთისა მაშინვე თმობს საკუთარ სამფლობელოს. „თუ გაწყრა ღმერთი და დამამარცხეს, ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმია – მოგახმაროთ ღმერთმა!.." როგორ შეცვლილა უწინ-

დელ რაინდთა, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა იდეალები. იქ ქალის ერთი სიტყვა, მითითება, სურვილის მინიშნება საკმარისია, სატრფო-რაინდმა სახელმწიფოს გაძლიერებისათვის იბრძოლოს, აქ — XX საუკუნის მწერალთან — სახელმწიფო და მისთვის ზრუნვა არც მოიაზრება, არც არავის ახსოვს, არც იდეალად სახავს არავინ, ქალიც — არა, დედოფალიც — არა.

ერთი შეხედვით პასიურ მჭვრეტელად, არააქტიურ მოქმედ პირად მოჩანს ლევანის დედა „მრისხანე ბატონში“. თუმცა გადამწყვეტ წამს სწორედ იგი შთააგონებს უგულო შვილს მონანიების აუცილებლობას. მართალია, ოცი წლის წყრომით ვერაფერი გააგებინა, ვერაფერი შეცვალა სასტიკი და კერპი შვილის ხასიათში დიდმა ქალბატონმა, მაგრამ ბატონის უკუდურესი სისასტიკის შემსწრემ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, გასცლოდა სახლს. მისი ეს შეუვალობა, სიავესთან შერიგება-შეგუების შეუძლებლობა გარდაქმნის ლევანსაც. ზოგ კრიტიკოსს (მაგალითად, როსტომ ბეჟანიშვილს) ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებლად და შეუძლებლად ეჩვენება პერსონაჟის ასეთი რადიკალური ცვლილება, თუმცა სხვები (ე. აბრამიშვილი, ვ. ცისკარიძე...) თანხმდებიან და ჩვენც გვგონია, რომ ნაწარმოების ფინალი სავსებით დამაჯერებელია, სწორედაც კარგადაა მოტივირებული ლევანის ბერად შედგომა. გვიან, მაგრამ მაინც დაანახა დედამ, რომ „სახლი ბოროტებითაა სავსე“ და რომ ღმერთი მოწყალეა და ყველა გულწრფელ მონანიებას შეიწირავს.

არაისტორიული ამბავიო, — ასეთი მინაწერია სათაურის ქვეშ. ზოგი მეცნიერი არ ეთანხმება მწერლის ამ განმარტებას და ნაწარმოებში მაინც ისტორიის სულს ხედავს. არადა, არ არის გამორიცხული, ავტორი აქ თანამედროვე ეპოქის სისასტიკესა და უკუღმართობას გულისხმობდეს. ვის შეუძლია, მონანიების სურვილი აღძრას გამხეცებულ ადამიანში და ამით მისი სულიც იხსნას და მთელი ქვეყანაც? მხოლოდ ქალს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი — დედის მოსიყვარულე და შემბრალე გულს.

დედაა დახატული „ჟამთა სიავეშიც“. გაიანე სრულიად განსხვავებული ხასიათია, ვიდრე ქართული ლიტერატურისთვის

ტრადიციული დედა. ეს მკაცრი, თავისნათქვამა ქალი დიდ პრინციპულობას იჩენს, როცა საქმე საკუთარ ჟინს, სურვილს, სიამოვნებას შეეხება. თითქოს ისიც სხვა ქალებივით შვილისთვის, მისი კეთილდღეობისთვის ცხოვრობდა და ზრუნავდა, მაგრამ როცა შვილი ეურჩა, მანაც არად ჩააგდო ვაჟის, იულონის, თავმოყვარეობა და მთელი ძალით გადაჰკრა აღვირი.

„ამგვარ ატმესფეროში, ცხადია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით აზროვნება დანაშაულია. დანაშაულია იმიტომ, რომ წინ ეღობება დაკნინებულ ადამიანთა სურვილების განხორციელებას, მათ ციდამტკავლურ გეგმებს", — დაასკვნის აკაკი ბაქრაძე.

„საგულისხმოა, რო აქაც, ამ გარდაუვალ განწირულობაშიცა და საერთოდ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში, ქალი უფრო მოქმედია, უფრო მხნეა და იმედოვანი, ვიდრე მამაკაცი; ქალებია, რო მაინცა ცდილობენ, რაც შეუძლიანთ, სესხულობენ თუ თხოულობენ, ევედრებიან და ნუგეშს ეძიებენ, მკურნალს ეძიებენ, წამალს ეძიებენ, ავადმყოფი რომ გამოამჯობინონ, ეძიებენ და სული არა შურთ, საკუთარი სული, რაღა თქმა უნდა; ცდილობენ და იმედოვნებენ, გაჭირვებაში რო ჩავარდებიან..." — წერს ოთარ ჩხეიძე და ამ ციტატით გახსნილია უმთავრესი ძარღვი ქალის მხატვრული სახის თავისებურებისა. ამ დებულების საილუსტრაციოდ მხოლოდ მაგალითების მოხმობაა საჭირო მწერლის შემოქმედებიდან. ნიმუშები კი მართლაც უხვადაა. პირველ ყოვლისა მკითხველს, ალბათ, „თავსაფრიანი დედაკაცის" გმირი, უბრალო და დიდებული ადამიანი გაახსენდება. არაერთგზის შეუდარებიათ სამი ობლის გამზრდელი ეს დედაკაცი ილიას ოთარაანთ ქვრივისთვის. საერთოც ბევრი აღმოჩენილა მათ შორის და განმსხვავებელიც. აქ, რა თქმა უნდა, არ გავყვებით და არ ჩავუღრმავდებით ამ ორი პერსონაჟის შედარებით დახასიათებას. თავსაფრიანი დედაკაცი მხოლოდ ნიმუშად მოგვყავს მტკიცე, შეუდრეკელი ქალის მონუმენტური სახისა.

„სათაური, — „თავსაფრიანი დედაკაცი" გულისხმობს სინდის-ნამუსით, პატიოსნებით, კდემით, ღირსებებით აღჭურვილ მანდილოსანს. ქალს, რომელიც ერთი უკანასკნელი მო-

ჰიკანთაგანია ძველ, „ტკბილ-სახსოვარ“ დედათა გალერეიდან“ (ნ. გრიგალაშვილი).

ახალ დროში ძველი ღირსებების ყავლგასულობას, უზნეობის გარემოცვაში მოხვედრილ ზნეობას მიიჩნევს კრიტიკოსი დედაკაცის ტრაგედიის მიზეზად.

ღირსეული დედის სიმტკიცე, ძალა, ენერგია, მიზანდასახულობა ხომ ისედაც თვალნათლივ იკითხება ნოველაში. დიდი ძებნა და სტრიქონებშორის ამოკითხვა არ სჭირდება იმის დანახვას, როგორ თავდადებულად, ერთგულად, იმედიანად ირჯება ახალგაზრდა ქვრივი. მაგრამ ყველაზე სახიერად, სრულყოფილად მისი დაუმორჩილებელი, მამაცი, გამბედავი, შეუდრეკელი სული მაინც ბოლო საქციელში მჟღავნდება. მარტო, შვილებისაგან მოშორებით ცხოვრების არც სურვილი აქვს და არც შესაძლებლობა. და მაინც, ზედმეტ ტვირთად არავის დააწვა თავმოყვარე ადამიანი. მასთან შესცოდეს, მის წინაშე დააშავეს, ის შეურაცხყვეს. თვითონ ცამდე მართალია და შეუძლია, სინდისის ქენჯნის გარეშე განაგრძოს თავის სახლში, თავის სოფელში ცხოვრება. ადამიანთა უფლებების თანამედროვე დამცველებს რომ ჰკითხოთ, ალბათ, უმადური და ტუტუცი შვილისთვის სასამართლოში უნდა ეჩივლა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სახლიდან გაპარვასა და მაინც შვილებზე ზრუნვაში სრულყოფილად გამომჟღავნდა ამ პერსონაჟის მხნეობა, ერთიანი, გაუბზარავი სული. თითქოს მთელი განვლილი ცხოვრება, გადატანილი განსაცდელი მზადება ყოფილიყო ამ უცნაურად დიდებული ნაბიჯისთვის.

სულით ძლიერია ბავშვების დედა მინიატურაში „ტრაგედია უგმიროთ“. თუმცა დედა აქ პერსონაჟი სულაც არ არის, მას მხოლოდ მამა იხსენიებს ერთი წინადადებით, მაგრამ ამ გახსენებით უამრავ რამეს ამბობს. ნიკო ლირთქიფანიძესთან ყველგან და კერძოდ, ამ მინიატურაშიც თითოეული წინადადება, თითოეული ფრაზა, ზოგჯერ სიტყვაც კი უაღრესად ტევადია, დამუხტულია, ბევრისმეტყველია. „დედა ხომ არ იზმადა!..“ — ფიქრობს უკიდურესად სასოწარკვეთილი მამა. ესაა და ეს, დედის შესახებ მეტი არც არაფერია ნათქვამი, თუმცა ჩვენ მაინც ვხედავთ ადამიანს, ქალს, რომელიც ტანჯვაშიც ამაყი,

ჩუმად, პანიკის გარეშე, ისე, რომ არავინ შეუწუხებია, გაეცალა ამ წუთისოფელს. მანამდე კი თავისი მხნეობით, გამრჯეობით, შეუძლებლის შეძლებით... უვლიდა, ინახავდა ოჯახს. „მწუხარებაში ნიკო ლორთქიფანიძისა არის რაღაც ღრმა, რაღაც მწვავე, რაღაც დამცინავი, დამცინავი ადამიანური სისუსტისა, როცა სურვილი და ნებისყოფა უპირისპირება ერთიმეორესა, როცა სურვილი მძაფრია და ნებისყოფა დამთმობი, როცა ითიშება პიროვნება, როცა იბურება საზოგადოებრივი, საქვეყნო, ეროვნული, იბურება და იფერფლება..." არც დედის სიცოცხლეში ულხინდა ოჯახს, ცხადია. საყოველთაო შიმშილის, სიღატაკის სასტიკი ხანაა აღწერილი თხზულებაში (ნოდარ გრიგალაშვილის დაკვირვებით, ეს ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლები, 1921-22, ე.წ. „ნეპის" პერიოდია). არ ვიცით, არ წერია, მაგრამ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ვიგრძნოთ, თითოეული პატარის დაბადებისას რა სიხარულისა და შიშის წუთებს გამოცდიდნენ მშობლები. ფიზიკურად სუსტი, ოღონდ სულით ძლიერი დედის სიმტკიცე, შეუპოვრობა, ბრძოლა, იმედი, ცდა, მიწყდომ-მოწყდომა აძლებინებდა ოჯახს. დედა ედგა ბურჯად, დედა ხელმძღვანელობდა... დედა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამას ხომ არ იზამდა და არა. იქნებ, აქამდეც არ მისულიყო საქმე. კეთილი ნათლიის მსგავსად ისიც საიდანმე, როგორმე, რაღაც ღონით და ხერხით ერთ მუჭ ფქვილს იშოვიდა და გაანაწილებდა... მშიერ ბავშვებსაც ზრუნვით, ალერსით, სიმშვიდით ტკივილს გაუყუჩებდა. თუმცა ვინ იცის, მოახერხებდა თუ არა მათ საბოლოლოდ ხსნას, გადარჩენას?

„ბედნიერებაში" შიმშილით მისავათებულ, ავადმყოფ ბავშვს დედა ზღაპარს უყვება. სულის რა სიძლიერე ჭირდება მომაკვდავი შვილის საწოლთან მყოფ დედას, რომ უკანასკნელი ზღაპარი უამბოს, რათა ბავშვმა, რაც შეიძლება წყნარად, მშვიდად, უდრტვინველად, პურზე ფიქრის გარეშე დალიოს სული. დედის საცოდაობა შეძრავს მკითხველს, მაგრამ ისეთი ვითარებაა, თანაგრძნობასაც რომ ვერ კადრებ. უმაღლესი კეთილშობილების, უფაქიზესი სულისა და უძლიერესი ნებისყოფის წინაშე მხოლოდ ქედის მოხრაღა შეგვიძლია.

ასეთივე ძლიერნი და საკუთარ თავში დარწმუნებულნი არიან ნიკო ლორქიფანიძესთან არა მარტო დედები, არამედ მეუღლეები,შეყვარებულნი, მაცდური ქალებიც. ითვალისწინებს და მისდევს რა რუსთაველის პრინციპს: „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა," XX საუკუნის ავტორიც გარეგნულად ლამაზ. მიმზიდველ, მშვენიერ ქალებს ხატავს. შეყვარებულ ქალს მასთან შეუძლია წინ აღუდგეს მთელ სამყაროს, არ გაითვალისწინოს არც მამის სურვილი, არც სხვა ახლობლების რჩევა, ყურადღება არ მიაქციოს მეზობელ-ნაცნობების დაცინვასა და ქირქილს, მოიქცეს საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ესკიზი „ბედის ვარსკვლავი". როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე, აქაც ულამაზესმა მეფის ასულმა უნდა აირჩიოს საქმრო, უამრავ ხელისმთხოვნელთაგან — ერთი. სალამურის ტკბილი ხმით მოხიბლული ასული მწყემსს ირჩევს მომავალ მეუღლედ. იმდენად მტკიცე და ძლიერია მისი ნება, რომ მამა იძულებულია, დაუთმოს შვილს. საკუთარ გულისთქმას მინდობილი ახალგაზრდა ქალი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას და ვეღარავინ ვეღარ გადაათქმევინებს. ამ ესკიზში შეყვარებული ადამიანის ფსიქიკას, მის სულიერ განწყობას გვიხატავს მწერალი ზუსტი, დამაჯერებელი შტრიხებით. მართლდება ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დამკვიდრებული შეხედულება იმის შესახებ, რომ სიყვარული ბრმაა. თუმცა, ნაწარმოების მიხედვით, თვალის ახელაც მალე მოჰყვა შეუფერებელ ქორწინებას, მაგრამ ეს უკვე სხვა მსჯელობის თემაა და ამას აღარ გავყვებით. აქ მხოლოდ ქალის ძლიერი ნების ჩვენება და დადასტურება გვინდოდა.

საინტერესო მხატვრული სახეა ციცინო „მრისხანე ბატონში". მისი ტრაგედიის მიზეზი შეიძლება, სხვადასხვანაირად აიხსნას. ერთი მხრივ, ცხოვრების უზნეო წესის გამო სჯის მას ღმერთი და ამდენად, ლევანის მიერ მოწყობილი სისხლიანი შურისძიება ლოგიკური შედეგია ქალის მიერ განვლილი გზისა, ღვთის განაჩენია. მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ მკითხველის მთელი თანაგრძნობა ციცინოს (და ვახტანგის) მხარესაა. მკ-

ითხველი არ უხდის სამაგიეროს, მკითხველს არ გამოაქვს განაჩენი ცოდვილი ქალისთვის. ეს პერსონაჟი ჩვენს სიბრალულს იმსახურებს და საამისო მიზეზიც გვაქვს . როგორც შალვა აფხაიძე შენიშნავდა, მწერალი „პერსონაჟთა ხასიათების გაშლით, მათი პლასტიკური სახეების მოხაზვით შესანიშნავად გადმოგვცემს... იმ მოვლენებს, რომლებიც ამ სინამდვილის თავისებურებას წარმოადგენდა". ციცინოს ხასიათიც არ არის გამონაკლისი. თუმცა თავიდან ის მხოლოდ ერთი შტრიხით, საყვარელთა სიმრავლით წარმოგვიდგება და გვამახსოვრებს თავს, მაგრამ შემდეგ თანდათან იკვეთება ხასიათის სხვა ნიშნებიც — ადამიანურობა, გულწრფელობა, სიწმინდისა და უმანკო სიყვარულის სურვილი. „ლევანის ანალოგიურადვეა დახატული ციცინოს სახეც. ნაწარმოების ფინალში ორივე ეს გმირი სულიერად მაღლდება და იხვეწება" (ელისო აბრამიშვილი). როსტომ ბეჟანიშვილი კი ციცინოს სისუფთავესა და სიფაქიზეს მიაქცევს ყურადღებას. „ეს ადამიანურობა კეთილშობილებას და სიფაქიზეს უდრის იმ საზოგადოებაში, სადაც ლევანისთანა ბატონები არიან. სადაც ყველა გამღლეტი, წამგლეჯი, ცბიერი და უპიროა, სადაც ბატონებიც და ქალბატონებიც, მოურავებიც და გლეხებიც, მოახლეებიც და გამდელებიც, მოსამსახურე გოგონებიც და შინაყმებიც ყველანი უზნეონი და წაბილწულნი არიან" (რ. ბეჟანიშვილი). მწერლის თანამედროვე, მორალურად დაკნინებულ საზოგადოებაში, ალბათ, ძნელი კი არა, შეუძლებელი გახლდათ „უცოდველად" ყოფნა. ციცინოს ძალა და ენერგია თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ოცნებობს ამ სიბინძურიდან და ჭაობიდან გაქცევაზე, ოცნებობს პატიოსან, შეურყვნელ ცხოვრებაზე. იგი გულწრფელია ლევანთან უკანასკნელი საუბრის დროსაც და ვახტანგთან დადებული ფიცის დროსაც. ამ გულწრფელობასა და სინანულშია მისი ძალა.

ერთი გამორჩეული ქალია ელი გორდელიანი მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი". აქ ელი უფრო სუსტია, ბედს დამორჩილებული, ვიდრე მებრძოლი ან შემტევი. პირველი ორი ქორწინება (რომლებშიც ავტორის მხატვრული ჩანაფიქრია გამოხატული) თითქოს თავისთავად, ელის ჩაურევლად, მისი

აქტიურობისა და ლამის სურვილის გარეშეც კი ხდება. ორივე ხანმოკლე აღმოჩნდა. ამასთან ბორენკოვთან კავშირის გაწყვეტა თვით ელიმ მოახერხა (სხვათა შორის, არაჩვეულებრივი ნებისყოფითა და შინაგანი რწმენით), ხოლო მეორე ქმარი (შვინდაძე) თვითონვე დაიკარგა. ჰექსლეისთან ურთიერთობაშიც ელი პასიურია, ელი მჭვრეტელია. იგი ბრმად ემორჩილება და მისდევს მოვლენებს, ტკბება სიმდიდრით, უცხოობით და იმ გარემოთი, რაც ბედმა შეუქმნა. დედური ინსტინქტიც (რომ არ ვთქვა, სიყვარული) ჩაყუჩებული აქვს. მისთვის, მის დასაუფლებლად მიმდინარეობს მამაკაცებს შორის ფარული ბრძოლა. თვითონ არც აქეზებს, არც იშორებს, არც ამყარებს, არც წყვეტს კავშირს. და რომ არა დასასრული, ავტორის დეკლარაციულ განცხადებად დარჩებოდა ნაწარმოების დასაწყისში ნათქვამი, ელი დაიბადა, როგორც რჩეული არსება.

სამშობლოს მონატრებამ, ქვეყნის სიყვარულის მძაფრმა გრძნობამ, მისი კვლავ ნახვის დაუოკებელმა სურვილმა აქცია ელი ელიდ, ისეთად, როგორადაც ავტორს ჰყავდა თავიდანვე ჩაფიქრებული. გადამწყვეტ, საბედისწერო წუთებში გამოიჩინა ქალმა თავმოყვარეობა და სიამაყე (უნდა დაიმსახუროს, უნდა მოიპოვოს საქართველოში დაბრუნების უფლება და შესაძლებლობა), სიმამაცე და გამბედაობა (გველებთან უნდა იცეკვოს) და გაამჟღავნა (როსკანის შელოცვა მოითხოვა) ის ღრმად ინტიმური, გულისგულში გამოტარებული და იქვე დამარხული განსაკუთრებული, დაუძლეველი სიყვარული თავისი ქვეყნისა (ბავშვობის, ენის, წინაპრების, ძიძის, მამის, შვილის, წარსულის, მომავლის... — ყველასი და ყველაფრის ერთად და თითოეულისა ცალ-ცალკე), რომლის ენით გამოთქმა ძნელია და რომელსაც პოეტმა „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ უწოდა.

შეუდარებელია გველებთან მოცეკვავე ელი. ქალი მხოლოდ ამ შეგრძნებას მიეცა, მთლიანად გაითქვიფა მასში. იმ წუთში სხვა არავიზე და არაფერზე ფიქრობდა. ამ ცეკვაში იპოვა თითქოს გაწბილებული სიყვარულის სამაგიერო. თითქოს იმისთვის გაჩნდა ამქვეყნად, რომ ამ წამს განეცადა ერთადერთი, ნამდვილი, წრფელი, თავდავიწყებამდე მისული სურვილი.

ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ბრწყინვალე ოსტატობით აღწერილი ეს სცენა მკითხველის ცნობიერებას შემორჩება, როგორც უმაღლესი და უმშვენიერესი გამოვლენა ქალის მტკიცე ნებისა.

სამწუხაროდ, ამ ერთ სტატიაში ვერ შევძლებთ ყველა ქალი-პერსონაჟის დახასიათებას (მოხსენიებასაც კი), მაგრამ ვერ გამოვტოვებთ თბილი იუმორით გაჯერებულ მოთხრობას „სოფლის აშიკი“ და მის საინტერესო მოქმედ პირებს — პასიკოსა და ანეტას. იმოდენა ნამდვილობაა მოთხრობაში, ისეთი რეალისტური სურათები (რაც იმპრესიონიზმისთვის ზოგადად უცხოც კია), რომ ნებისმიერი მკითხველი მოიხიბლება. წყაროს ფეხზე ქალების შეკრება და საუბარი ხომ ლამის ნატურალისტურადაა აღწერილი. და მაინც, პასიკო — მაცდური, მომხიბლავი ქალია ნაწარმოების მთავარი ფიგურა, მწერლის და მკითხველის ინტერესის საგანი, ოჯახშიც, მეზობელ ლევანასთანაც, სასამართლოშიც... სიტუაციის წარმმართველი.

როგორ ქალსაც უნდა ხატავდეს ნიკო ლორთქიფანიძე — ახალგაზრდას თუ ხანდაზმულს, დრამატული (ან სულაც ტრაგიკული) ბედისას, გაჭირვებულს თუ დალხინებულს, ერთგულს თუ მოღალატეს, უკარებას თუ მსუბუქი ყოფაქცევისას... ყველგან და ყოველთვის ჩანს, იგრძნობა — როგორ კარგად იცნობს მწერალი ქალის შინაგან სამყაროს, როგორ უყვარს თავისი პერსონაჟები და სურს, მკითხველსაც შეაყვაროს ისინი.

ლევან გოთუას ერთი ნოველის შესახებ

(„ყინცვისის ანგელოსი“)

ჩვენი წარსული ერთდროულად არის ბრძოლისა და შენების ისტორია, რაც აისახა კიდეც როგორც ისტორიულ ქრონიკებში, ასევე მხატვრულ ნაწარმოებებში (ნიმუშისთვის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენისა“ თუ გრიგოლ აბაშიძის „ცოტნეს“ დასახელებაც იკმარებს. ამასვე ადასტურებს დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათში, სადაც დიდ მეფეს არა ხმალი, არამედ ტაძრის მაკეტი უჭირავს ხელში).

ჩვენი ტაძრების დიდებულება და ფრესკათა მრავალფეროვნება ყველა შემოსეულს აღიზიანებდა (განსაკუთრებით – XIX საუკუნეში შემოსულ ერთმორწმუნე დამპყრობელს). ბევრი ფრესკა ვერ გადაურჩა შავ დროთა ძალას, ხოლო რაც შემოგვრჩა, ჩვენდა ნუგეშად, მუდამ იწვევდა და კვლავაც გამოიწვევს მწერალთა, მესიტყვეთა შთაგონებას. ბეთანიის ეკლესიის კედელზე აღბეჭდილ თამარს შეჰხაროდა გრიგოლ ორბელიანი და მას თხოვდა დახმარებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, რათა დამდგარიყო ჩვენი სამშობლო „ერად სხვა ერთა შორის“. იგივე სახება წვავდა ლადო ასათიანის წარმოსახვებს.

ლევან გოთუამ კი ერთი ნოველა მთლიანად უძღვნა ყინწვისის კედელხატულობასა და მის უცნობ ავტორს. ფანტაზიით შეიჭრა საუკუნეების სიღრმეში. საოცარი ინტუიციითა და შთაგონებით გააცოცხლა ცისფერი ანგელოზის დახატვის სცენა, მომხატავისა და პროტოტიპის სახეები, გრძნობები, ხასიათები.

შალვა ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ წერს: „ფიგურებისა და პოზების კეთილშობილური ხასიათი და

სტილიზაცია, ფსიქოლოგიური განწყობის მეტყველი ხასიათი, წინ უსწრებს იტალიელი მხატვრობის სიენის სკოლის მიღწევებს".

სწორედ ფსიქოლოგიური ხასიათის გახსნით იქცევს მკითხველის ყურადღებას „ყინცვისის ანგელოსი".

ვლადიმერ ნორაკიძის მიერ შექმნილი ფსიქოლოგიური პორტრეტი მწერლისა საგანგებოდ იხსენიება აკაკი ბაქრაძისა და ოთარ ჩხეიძის წერილებში ლევან გოთუას შესახებ.

„ვლადიმერ ნორაკიძის წიგნი, ფსიქოლოგიური პორტრეტის ჩარჩოსა სცილდება და კრიტიკულ-სალიტერატურო ნარკვევადაც გვევლინება ლევან გოთუას შემოქმედებისაო", — წერს ოთარ ჩხეიძე და ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგი მწერლისთვის ნიშნეულს, მისი ხასიათის თვისებებს ეძებს მისსავე გმირებში და აღმოაჩენს კიდეც საგმირო-რომანტიკულ, ჰეროიკულ-მონუმენტურ საწყისებს.

ოთარ ჩხეიძის დაკვირვებით, ლევან გოთუა ხშირად მიმართავს გმირთა იდეალიზებას, შესაძლებლობათა გაზვიადებას. ეს გახლავთ „გაზვიადებაი თავდავიწყებითი, გაზვიადებაი უსაზღვროდა და უკიდეგანოდა, რასაც თუ წარმოისახავს უმდიდრესი ფანტაზიითა"... ამ გარემოებას მიიჩნევს კრიტიკოსი მწერლის სტილის საფუძვლად, ოღონდ მხოლოდ ენობრივი კი არა, უფრო მხატვრული პოზიციის, სამწერლო სტილისა.

მწერლის მხატვრული პოზიცია კი სხვა არა არის რა, თუ არა აპოლოგია ყოველივე ქართულისა, საქართველოს ერთიანობის, დამოუკიდებლობის. ლევან გოთუას გმირებს ფანატიკურად უყვართ სამშობლო, საკუთარი საქმე, ოჯახი, ქალი... მწერალი ღირსეულ, თავისუფალი საქართველოს შესაფერის ხასიათებს ხატავს, რათა არ გაქრეს, არ წაიშალოს მათი შთამომავლობა. ბევრი რამ მემკვიდრეობით გადმოგვეცემა ჩვენი წინაპრებისგან, მაგრამ ყველაფერი – არა. სიმამაცეს, ღირსებას, სიყვარულს, ერთგულებას სწავლა უნდა, მორალურ-ზნეობრივ ფასეულობებს – საკუთარ თავში აღზრდა, სხვისას – პატივისცემა. მხოლოდ ასე აღზრდილ – განსწავლულ ერს შეუძლია საქვეყნო, საკაცობრიო საქმეების კეთება და უკვდავი ღირებულებების შექმნა.

„ყინცვისის ანგელოსში“ მხატვარი მუნჯია. მას დაკარგული აქვს სმენითა და მატყუელებით აღსაქმელი სამყარო და მუდმივად ფერებისა და ხაზების გარემოცვაშია. ეს შტრიხი მხატვარს ერთგავარად ამსგავსებს და აახლოვებს წმინდა და კეთილშობილ სალოსებთან, რომლებიც ძალით იხშობენ მეტყუელების უნარს, აღქმას დებენ, რომ სიცოცხლეში ხმას არ ამოიღებენ და მხოლოდ ღვთის ხმას უსმენენ და ემორჩილებიან. სულიერად ამაღლებულთ თითქოს არც ჭირდებათ სიტყვებით აზრის გამოთქმა, უსიტყვოდაც გაერთიანებულნი არიან ღვთის მიერ შექმნილ სამყაროსთან და დუმილით უფრო მეტს ამბობენ, ვიდრე სხვანი – ენით („დუმილი ოქროა რჩეული“...) ბორხესი ესეიში „სიბრმავე“ წერს: „ეს გვეძლევა, რათა გარდავისახოთ, საკუთარი ცხოვრების უბედური გარემოებებისაგან შევქმნათ რამე მარადიული, ან ის, რაც ეჭიდება მარადისობას“. მწერალი აქ სიბრმავეზე საუბრობს, მაგრამ რატომ არ შეიძლება იმავეს გამეორება სიმუნჯეზე?!

ლევან გოთუას ნოველაში მხატვრის სიმუნჯეს კონცეფტუალური მნიშვნელობა აქვს და არა შემთხვევითი. შიო ფანასკერტელის სიბრაზე: ენას ამოვართმევ, დავამუნჯებ... დავაყრუებ ვისმე! – კიდეც რომ განხორციელებულიყო რეალობაში, ეს არ იქნებოდა ოსტატის ანდერძის აღსრულება. დასჯილი მხატვარი ვერ მიაღწევდა სულის იმ სიფაქიზეს, სინაზეს, სიმაღლეს, რომელიც თავისუფალი ქვეყნის შვილსა და თავისუფალი ნების მხატვარს უნდა გამოესახა, ოღონდ უტყვს, რადგან მას სიტყვები უბრალოდ არ სჭირდება, მისთვის სიტყვა ფუჭია, უქმია (როგორც ბარათაშვილთან ვერ გამოხატავს სიტყვა სულის წადილს – ნუთუ ამ სულის წადილსაც ვრქვა სიყვარული სხვათაებრ?!).

საგულისხმოა ოსტატისა და შეგირდის სულიერი ერთობაც. მასწავლებელმა იცის, ვინ მიუხვდება, ვინ გაუგებს ჩანაფიქრს, ვინ შეცვლის ისე, რომ კედელხატულის საერთო ველი არ დაირღვეს. მოსწავლე მაშინვე აუღებს ალღოს და ცარიელ კედელზე წარმოსახვით ხედავს ანგელოზს – აღდგომის, განახლების მაცნეს. ოსტატ-შეგირდის ასეთი ერთიანობის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის შენება, თავისუფლების მოპოვება და შენარჩუნება.

ლევან გოთუას გმირები ამ შეგნებას ამკვიდრებენ, ამ სულისკვეთებას აყალიბებენ მკითხველში.

ყინწვისის ცისფერი ანგელოზი ქართველი ქალის კდემამოსილების სიმბოლოდ მიიჩნია აკაკი ბაქრაძემ. ცის მთელი სიმბოლიკაა მართლაც შერწყმული ამ ფრესკაში. ბარათაშვილისეული „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს“ მოაგონებდა კაცს უნებურად.

იდეალური ქალის წარმოდგენა ლევან გოთუასთვის საკუთარი დედის მიერ შექმნილ სახებას უკავშირდებაო, - ფიქრობს აკაკი ბაქრაძე. ოთარ ჩხეიძე კი, აღნიშნავს რა ლევან გოთუას ქალების რომანტიკულ ბუნებას, წერს: „წმინდა ნინოს სახებაა თითქოს ყველაშიო“ და განაგრძობს: „ოღონდ მთავარი აქ მაინც ისაა, თვითონვე რო გახლდათ რომანტიკული ბუნებისა“.

წმინდა ნინო წიგნით ხელში მართლაც არის გამოსახული ტაძრის ერთ-ერთ კედელზე. ხოლო ანგელოზის სახეში მწერალი ერთდროულად ხედავს მინიერსაც და ზეციურსაც, ლამაზსა და მშვენიერს, კეკლუცსა და დინჯს, თავნებასა და სევდიანს, ხორციელსაც და უხორცოსაც...

ეს ნოველა არის აპოლოგია ყველა იმ მხატვრის, ხუროთმოძღვრის, მწერლისა, რომელთა სახელებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

გარდა ამისა, მწერალს ლელა ფანასკერტელისა და უტყვი იოვანეს მხატვრული სახეები უცოცხლებდნენ დროის არმურში ჩაკარგულ მხატვრებსა და მათ მუზებს. „ყინცვისის ანგელოსი“ იმათი გახსენებაც არის, ვინც მომეტებული თავმდაბლობის გამო უკვალოდ გაქრა საუკუნეთა ბნელეთში“.

საინტერესო პერსონაჟია ნოველაში ბერდა გვარელიც (მრავლისმეტყველი გვარია) – თვით თამარ მეფის მიერ შერჩეული ღირსეული სასიძო ფანასკერტელისა. სულ რამდენიმე შტრიხით არის დახატული იგი. უფლისწულის ტოლი და მასთან თანშეზრდილი, ქორწილის მერე მეფის ლაშქარს უნდა დაეწიოს, ლაშქრობით უნდა ემსახუროს სამშობლოს. უნებლიეთ წააქცია გზად მიმავალმა იოანე მხატვარი, მაგრამ როდი ითაკილა დიდგვაროვანმა მისი წამოყენება, უსიტყვოდ მიუხვდა სათქმელს და ნახატი გამოართვა, რათა საცოლისთვის მიერთმია. ჩანს ამ საქ-

ციელში კეთილშობილური ბუნების გამოვლენა. ბერდა რაინდია, ფიზიკური ძალისა და სიქველის განსახიერება. უნდა ვიფიქროთ, რომ არც განათლება-წიგნიერება აკლდა და არც სულიერება. იოვანე მხატვარია, ხელოვანი, აღნაგობითაც სასიამოვნო, მაგრამ მთავარი ღირსება მისი სულიერებაა და ღვთიური მადლი. ორივეს ფანატიკურად უყვარს ქვეყანა. ორივეს უყვარს ერთი ქალი, ორივეს – თავისებურად. არ არის, ალბათ, შემთხვევითი, რომ თითოეული მათგანის შეხება ქალთან ასე განსხვავებულია.

„მაშინ იოვანემ მეტად რბილად, მოკრძალებით ხელი ჩაჰკიდა მაჯაში და წინ, ხარაჩოსკენ, წარსდგა ბიჯი". ბერდასთან განმარტოება კი ასეა აღწერილი: „უეცრივ ვაჟის მძიმე, მაგარი ხელი დაედო მაჯაზე, სიცარიელისაკენ მიჰზიდა. ლელაიმ თვალი დახუჭა. არა, ეს – რბილი, მოკრძალებული ხელი აღარ იყო, შინაგანი თრთოლვით შეძრული ხელი – შემოქმედი, ხარაჩოსაკენ რომ მიჰზიდა ყინცვისში. არამედ – მძიმე, მაგარი, ნებამტკიცე. ცოტა უტიფარი, ვაჟური ხელი იყო, და თითქოს ყოველივე ამის გამო უფლებამოსილიც" (გოთუა 1987: 34). ფიზიკური და სულიერი ღონის, ძალის ერთობა უნდა დაედოს დვრიტად ქვეყნის ძლიერებას, მაგრამ მხოლოდ სულის სიმაღლემ შეძლო საკუთარი თავის უარყოფა, მსხვერპლად მიტანა საკურთხეველზე, ულამაზესი ასომთავრულით აღბეჭდილი საკუთარი გვარ-სახელის წაშლა ფრესკის კიდეში და მარადისობისთვის მხოლოდ ქალის ხატების დატოვება.

მეტყველია მხატვრის მიერ გრაგნილზე გამოსახული სურათი: ყინწვისის ანგელოზის ფერხთით მუხლმორთხმული მლოცველი, კელაპტრით ხელში. სხივი მხოლოდ გაფითრებულ შუბლსა და ზომიერ შავ წვერ-ულვაშს უჩენდა.

მწერლის მიერ აღწერილი მხატვრის სახე ჰგავს ფრესკებზე აღბეჭდილი წმინდანების სახეს – დეტალების გარეშე: შუბლი, სხივით განათებული კონტური სახისა.

წმინდანები, ანგელოზები შინაგანი ნათლით ბრწყინავენ, ამიტომ ქრისტიანულ ხატწერასა და კედლის მხატვრობაში ჩრდილი არ გამოიყენება. არც ყინწვისის ანგელოზს აქვს ჩრდილი. მხოლოდ

უიღბლო მხატვარი ფრთების გასწვრივ ჩამოაყოლებს შავ ზოლებს, თითქოს ჩარჩოში ჩასვა ნახატი, რათა უფრო გამოეკვეთა მისი სევდიანი და უსაშველოდ მომხიბვლელი იერი. სინამდვილეში, ვინ იცის, იმ სიშავეს, დიდ, პირღია, ცარიელ ნიჟარას შეაფარა თავისი აუხდენელი ოცნებები.

ლელაის მოეჩვენა, რომ ანგელოზი მხოლოდ შემქმნელის, შემოქმედისა იყო, მაგრამ არა, ცისფერი ანგელოზი ამიერიდან, როგორც განძი, როგორც სიმდიდრე, მთელი ხალხის, ერის კუთვნილება გახდა.

მხატვარი კი: „ფეხი წარსდგა შავმა მაყარმა გალავნის მიღმა – სივრცეში გადააბიჯა. სულ უბრალოდ, აი ისე – კიბეზე რომ ჩადიან ხოლმე, სპილენძისფერ სივრცეში, ჰაერში ნავიდა“ და ასე შეერთო მარადისობას. ასე ჩაენაცვლა მწერალი ჟამთა აღმწერელს. ჩაენაცვლა თავისი ორიგინალური ენითა და სტილით, რომელიც ცალკე, საგანგებოდ შესწავლის საგანია.

პავლე ინგოროყვას ერთი მოსაზრების კვალდაკვალ

(ცოტნე დადიანი — შოთა რუსთველის სიძე)

უამრავი ისტორიული წყაროს, ლიტერატურული ძეგლის, ხელოვნების ნიმუშის, არქეოლოგიური მონაპოვრის, სამეცნიერო გამოკვლევისა თუ სხვა მონაცემთა შესწავლა და შეჯერება უდევს საფუძვლად პავლე ინგოროყვას გასაოცარ აღმოჩენებს. მკვლევარმა თითქმის დეტალურად აღადგინა შოთა რუსთაველის ბიოგრაფია და მართლად წარმოგვისახა XII-XIII საუკუნეების საზოგადოებრივ-კულტურული გარემო. შეიძლება მეცნიერის ზოგი მოსაზრება საკამათოდ აღძრავდეს მკითხველს, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის უბიძგებს ახალი ვარაუდებისა თუ მიგნებებისკენ.

„ვეფხისტყაოსნის" პროლოგის სიტყვები: „თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა" — რუსთველოლოგიაში სხვადასხვანაირადაა ახსნილი და გაგებული. სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელსაც ნოდარ ნათაძის კომენტარები ახლავს, წერია: „ეს ტაეპი შეიძლება კითხვადაც გავიგოთ... (ამ მეტაფორის აზრია: განა თამარის შვენებისაგან გონდაკარგული კაცი კვლავ გონზე მოსვლას ინატრებს?). აქ შორეული გამოძახილია ფსევდოდიონისე არეოპაგელის მოძღვრებისა ღვთის შეუცნობლობის და, ამ აზრით, მისი ბნელით მოცულობის შესახებ..."

პავლე ინგოროყვას არ ეეჭვება, რომ ეს სტრიქონი აირეკლავს შოთას ბიოგრაფიის ერთ მონაკვეთს, როცა იგი (ალბათ, იძულებით) დაშორებული იყო საქართველოს სამეფო კარს და, რა თქმა უნდა, თვით მეფეს — თამარს. ეს „არის პოეტის დიდი პირადი ტრაგედიის ნაჩრდილი", — წერს მკვლევარი (ინგოროყვა 2016:

193). ზემომოყვანილ სტრიქონს პავლე ინგოროყვა ასე კითხულობს: „ჩემს თვალებს, რომელთაც აღარ უნათებს [მზე-თამარ], ვით არ მოენატროს მისი ახლად ხილვა“. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღად მკვლევარს მიაჩნია 1196 - 1207 წლები და ამ და სხვა სტროფებზე დაყრდნობით დამაჯერებლად არკვევს, რომ პოემა ავტორს განდევნილობაში, თამარისაგან შორს მყოფს დაუწერია. სამეფო კარისგან შორს ყოფნისა და პოემის დაწერის წლები დაახლოებით ემთხვევა ერთმანეთს. ისეთი დაკვირვებული, ერუდირებული და ღრმა ანალიზის უნარის მქონე მეცნიერისთვისაც კი, როგორიც პავლე ინგოროყვაა, შეუძლებელი აღმოჩნდა ან განდევნის მიზეზების, ან ლტოლვილობის ადგილის დადგენა. ამდენი საუკუნის წინანდელი ამბები თუმცა ნისლს მოუცავს, მაგრამ პავლე ინგოროყვამ ბევრი რამ ამოიკითხა და ნათლად დაგვანახა. სხვადასხვა ისტორიული წყაროს მონაცემები, თავისი თანამედროვე თუ ძველი გამოკვლევები ერთმანეთს შეუდარა, ერთმანეთით შეავსო და თითქმის მთლიანად აღადგინა მე-11 - მე-13 საუკუნეების საქართველოს ყოფა და რაც ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა, თვალწინ გადაგვიშალა შოთა რუსთაველის ბიოგრაფია.

ხობის მონასტერში დაცულ სიწმინდეთაგან გამოირჩევა თამარის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც მეცნიერთა (ექვთიმე თაყაიშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. კონდაკოვი, პავლე ინგოროყვა) აზრით, შერგილ დადიანის ოჯახში მოხვდა თამარის გარდაცვალების შემდეგ, მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში. არ ვიცით, რა გზით და რა ვითარებაში.

მხოლოდ ვკითხულობ: შეიძლებოდა თუ არა, სამეფო კარიდან განდევნილ შოთა რუსთაველს დროებით დასავლეთ საქართველოში, დადიანების სამფლობელოში შეეფარებინა თავი (ასეთი რამ ხომ ხდებოდა ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე). შეიძლებოდა თუ არა, რომ თამარის ჯვარი მეფესთან დაახლოებული ოჯახის, რუსთაველთა საგვარეულო განძი ან უშუალოდ შოთას საკუთრება ყოფილიყო. თუ ზემოთქმულს დავუშვებთ (ან დავამტკიცებთ), მაშინ გასაგები გახდება ამ ჯვრის დადიანთა მონასტერში მოხვედრის პერიპეტიები.

პავლე ინგოროყვა ხობის მონასტერში დაცულ კიდევ ერთ ძეგლს მიაქცევს ყურადღებას და უაღრესად საინტერესო და ჩვენი ისტორიისა და კულტურისათვის მნიშვნელოვან და ძვირფას დასკვნას გვთავაზობს.

საუბარია გიორგი მთავარმოწამის ხატზე, რომელიც ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახს ეკუთვნოდა და რომელზეც შოთას ძმის, ტბელი გრიგოლის ძის წარწერაა (ხატის ორი — შავ-თეთრი და ფერადი ფოტო — მოთავსებულია პავლე ინგოროყვას რუსთაველოლოგიური თხზულებების II ტომში, რომელიც „ჩვენმა მწერლობამ“ გამოსცა 2016 წელს). როგორც უტყუარად აქვს დადგენილი პავლე ინგოროყვას, ტბელი მონაპირე სპასპეტი (მხედარმთავარი) ყოფილა თამარ მეფის დროს. მკვლევარი საგანგებოდ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ ამ ძვირფას, ოქროქანდაკებულ ხატზე შესრულებულია არა ჩვეულებრივი წარწერა (როგორიც, ვთქვათ, ანჩისხატზე), არამედ როგორც მხატვრული ნაწარმოები. იქვე დაბეჭდილია წარწერის ტექსტი მხედრული ასოებით. ნაშრომში სავსებით სწორადაა შენიშნული: „თვით ტექსტი წარწერისა ხელოვნების ნამდვილი ძეგლია, მხატვრული სრულყოფით აღბეჭდილი. შესრულებულია იგი ბრწყინვალე ძველ-ქართულით“.

ჩემი ყურადღება მიიპყრო წარწერის დასაწყისმა. გიორგი მთავარმოწამისადმი მიმართვის შემდეგ წერია: რომელმან მოიგე გვირგვინი უხრწნელობისაი...

„ვეფხისტყაოსანიც“ ხომ ზუსტად ასე, ამავე სიტყვით იწყება: „რომელმან“.

ეს დასაწყისი შეიძლება ნიშნავდეს შოთას გავლენას ძმაზე, შეიძლება იყოს ეპოქისთვის დამახასიათებელი კლიშე ან იქნებ, სულაც რუსთაველის დაწერილი იყოს ეს არტისტული სტილით შესრულებული წარწერა. ეს, მით უფრო არაა გამორიცხული, რომ ხატი ჰერეთის ბაგრატიონთა საოჯახო რელიკვია იყო, შეკვეთილი უთუოდ ტბელი გრიგოლის ძის მიერ.

დეტექტივის ინტერესით, ალღოთი და ჟინით იკვლევს პავლე ინგოროყვა გზას, რომლითაც შეიძლება ხატი ჰერეთიდან ხობში მოხვედრილიყო. სავსებით სწორად ვარაუდობს, რომ უთუოდ

ჰერეთელი ბაგრატიონის ქალის მზითვის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. რადგან დედა ცოტნესი, შერგილის მეუღლე, ნათელი, ბაგრატიონი არ ყოფილა, როგორც ჩანს, ხატიც და, სავარაუდოდ, ზემოთ ნახსენები ჯვარიც ცოტნეს მეუღლისა უნდა ყოფილიყო. ხოლო ვინ იყო ცოტნეს მეუღლე? ამაზე მეცნიერი ერთმნიშვნელოვნად და შეუვალად პასუხობს. ორენა, ასული ტბელისა (ძმისწული შოთასი). და ამ დასკვნის გასამყარებლად ერთადერთი საბუთი მოაქვს — ტბელი გრიგოლის ძის ბრძანებით დამზადებული და მისივე წარწერიანი ხატი. მაგრამ, არ ვიცი, არ შეიძლება, რომ ცოტნეს მეუღლე შოთას ასული ყოფილიყო და არა ძმიშვილი (იმავე მზითვით)? ნუთუ მარტო ის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ავტორის უიმედო სიყვარული ჩანს თამარისადმი, გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ რუსთაველს ოჯახი არ ჰყოლია? ნეტა, სად გაიცნეს ერთმანეთი ცოტნე დადიანმა და ჰერეთიც ბაგრატიონის ასულმა? ბავშვობაში ხომ არა, როცა, სავარაუდოდ, შოთა სამეფო კარიდან განდევნილი იყო და იქნებ, ოჯახთან ერთად დადიანების სამფლობელოს აფარებდა თავს?...

მეუღლე ცოტნესი, ბორენა, სწორედ ის პოეტი ქალია, რომლის წარწერიანი ხატი სვანეთში, ლენჯერის მონასტერში იყო დაცული. ბორენა რომ მე-13 საუკუნის მოღვაწეა და არა მე-11-ისა, როგორც ამას ალ. ხახანაშვილი და კ. კეკელიძე ფიქრობდნენ, ეჭვშეუვალი საბუთებით დაამტკიცა პავლე ინგოროყვამ. მანვე აღმოაჩინა ბორენას პოეტურ ხერხებსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის მრავალი უეჭველი მსგავსება: რითმათა, სიტყვათწარმოებისა, ერთნაირი დასაწყისისა „რომელმან“, რიტმისა და შინაგანი რითმის გამოყენებისა და სხვა.

შოთასთან ბორენას პოეტური აზროვნების სიახლოვე და ამ ორი პოეტის შეხვედრები სრულიად თვალსაჩინოა, სრულიად ნათელია. მკვლევარი ასკვნის: „პოეტი ქალი ბორენა, ასული ტბელისა, შთაგონებულია შოთას პოეზიით.“ არაფერი მეთქმის. რატომაც არ შეიძლება ძმიშვილი შთაგონებული იყოს ბიძის პოეზიით, მაგრამ ისევ ვკითხულობ: განა უფრო ლოგიკური არ იქნება, ვიფიქროთ, შვილი იყო მამის პოეზიის მემკვიდრე?!

ბორენას ლექსის ერთი ეპითეტი, „ჭირ-მრავალი" პავლე ინგოროყვას, მიმაჩნია, სავსებით სამართლიანად, აფიქრებინებს, რომ პოეტი ქალი რაღაც კონკრეტულ ჭირს, გასაჭირს გულისხმობს, „ეს ლექსი, მისი სული, ასე გვეჩვენება, შთაგონებულია ცოტნეს და შოთას თავდადებით, როდესაც გმირულმა თავგანწირვამ დაამარცხა ძალი ბოროტისა", — ვკითხულობთ ნაშრომში და ავტორი გულისხმობს შოთა რუსთაველისა და ცოტნე დადიანის მონაწილეობას კოხტისთავის შეთქმულებაში. აჯანყების მზადების შესახებ უთუოდ ეცოდინებოდა ბორენასაც, მისი მეუღლის თავდადება მერე ყველა ქართველისთვის გახდა ცნობილი და დღესაც სამაგალითოა. ცოტნეც შოთას ნააზრევზე ჩანს გაზრდილი. „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრებ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად," — როგორც ჩანს, მისი ცხოვრების წარმმართველი სიტყვები გახლდათ. ბორენას წინასწარ რომც არაფერი სცოდნოდა აჯანყების მზადების შესახებ, მაინც შეიძლება საკუთარი თავისთვის „ჭირ-მრავალი" ეწოდებინა. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ შოთას ოჯახში გაზრდილი, საქართველოს ერთიანობის იდეით ანთებული ერთმეფობისა და გამარჯვებული და გალაღებული სამშობლოს მომსწრე მამა-ბიძათაგან შთაგონებული, თვითონაც განდობილი ყოფილიყო (თუ მონაწილე არა) აჯანყებისთვის მზადებაში. ასე რომ, მრავალი ჭირი აქ ნათესავ-ახლობელთა მწარე ბედს კი არ უნდა ნიშნავდეს მარტო, არამედ, უპირველესად, საქართველოს უბედობას. აკაკი წერეთელსაც ხომ პოემა „ნათელას" შექმნისას ცოტნეს მეუღლის სახე აღაფრთოვანებდა — ზეპირი გადმოცემებიც მოესმინა მის შესახებ. თუმცა სახელად სხვას (ცოტნეს დედის სახელს) არქმევს, მაგრამ, როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა გადმოცემები ცოტნეს მეუღლის გმირული სულის, არისტოკრატიული სულიერი წყობის, ერთიანი საქართველოს ტრფიალებისა და რომანტიკული განწყობის შესახებ.

რაც შეეხება შეთქმულებაში შოთას მონაწილეობას. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ ვინაა ეს შოთა კუპრი (კუპარი), კოხტისთავის შეთქმულების

მონაწილე. ზოგს მიაჩნია, რომ კუპრი (კუპარი) ეწოდა სახის მუქი ფერის გამო, ზოგი ფიქრობს, რომ შესაძლოა, მის სამფლობელოში კუპრი მოიპოვებოდა, პავლე ინგოროყვას ახსნით, კუპარი ქრისტიანობისაგან გადახვევას, მანის მიმდევრობას უნდა გულისხმობდეს. ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული. თუმცა რასაც უნდა ნიშნავდეს „კუპრი", ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ისაა, თუ ვინ, რომელი შოთაა იგი და აი, იმავე პავლე ინგოროყვას დაბეჭითებული მტკიცებით, რომელსაც სავსებით ვეთანხმები, ეს ხანდაზმული შოთა რუსთაველია. ოღონდ საინტერესოა, რატომ არ იღებს აქ მონაწილეობას მისი ძმა, ტბელი, სპასპეტი? იქნებ, უკვე აღარცაა ცოცხალი. თუმცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, საეგებოდ (როგორც პავლე ინგოროყვა წერს) გამოვთქვამ ვარაუდს: იქნებ უფრო ლოგიკურია, რომ სიძე-სიმამრს ერთად მიეღო შეთქმულებაში მონაწილეობა.

და კიდევ ერთი საკითხი, კვლავ პავლე ინგოროყვას მიერ შესწავლილი და ჩვენთვის გაზიარებული.

აღმოჩნდა, რომ იერუსალიმში ჯვრის ქართული მონასტრის განახლებაში 1245-50 წლებში ერთად მონაწილეობდნენ შოთა რუსთაველი და ცოტნე დადიანი. მათი წარმომადგენლები ყოფილან ანტონ ალავერდელი და გრიგოლ დრანდელი. ამიტომ რუსთაველის ფრესკასთან ერთად, საგულვებელია, რომ იმავე სვეტზე გამოსახული ყოფილიყო ცოტნე დადიანის პორტრეტიც. ისევ ერთად ორი სახელი და ისევ ლოგიკის თუ ინტუიციის მინიშნებით – უფრო სიძე და სიმამრი, ვიდრე სიძე და ცოლის ბიძა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან არ მინდა, ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს პავლე ინგოროყვას ვეკამათები ან მის რაიმე მოსაზრებას არ ვიზიარებ. მეცნიერის ყველა მოსაზრება დასაბუთებულია, არგუმენტირებული და წყაროებით გამყარებული. ძნელია, თუნდაც წვრილმანში არ დაეთანხმო მას. სწორედ მის მოსაზრებებზე დაყრდნობით ვბედავ გამოვთქვა ოდნავ განსხვავებული ვარაუდი. არ უარვყოფ იმის შესაძლებლობასაც, რომ ცოტნეს მეუღლე, ბორენა, ტბელი გრიგოლის ძის ასული ყოფილიყო, მაგრამ შოთასა და ცოტნეს სულიერი სიახლოვე, პოლიტიკურ თუ კულტურელ ასპარეზზე ერთო-

ბლივი მოღვაწეობა, ცოტნესგან „ვეფხისტყაოსანის“ არა მარტო ცოდნა, არამედ გათავისება, შინაგანად განცდა და ამ იდეათა პრაქტიკულად აღსრულება და სხვა გარემოებები მიბიძგებს დავუშვა, რომ ბორენა, ძმიშვილი კი არა, შესაძლებელია, შვილი ყოფილიყო რუსთაველისა.

ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ ყოველდღიურ ცხოვრებას განრიდებული პოემაა და არც მისი ავტორი ასახავს უშუალოდ საქართველოს ცხოვრებას. ასეთი რამ მხოლოდ სტრიქონებს შორის უნდა ამოვიკითხოთ. ცნობილი მკვლევარი ვიკტორ ნოზაძე წერს: „თუ დიდი იტალიელი დანტე (1265-1321) თავის უკვდავ თხზულებაში იტალიის რაობას გვიჩვენებს და მასთან დაკავშირებით იტალიის ისტორიასა და კულტურას გვაცნობს, დაწვრილებითაც აგვიწერს, — შოთა რუსთაველი, მისი უფროსი თაობის ძე, მეტად განყენებულად მოჩანს (ნოზაძე 1958: 3). თუმცა სრულიად საპირისპირო ვარაუდებიც არსებობს და მათ შორის პავლე ინგოროყვასი. სხვათა შორის, ერთგან დავით წერედიანი, რომელიც თავს რუსთველოლოგად არ მიიჩნევს, წერს: „რუსთაველის ენა აკი თითქმის ყველა ქართული კუთხის კილოკავს მოიცავს, რაც საეჭვოა, მწიგნობრული გზით ჰქონოდა შეთვისებული. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს ბევრ კუთხეში კარგახნობით უცხოვრია, ახლოს იცნობდა მათ ყოველდღიურ ყოფას, რა უჭირდათ და რა ულხინდათ“ (წერედიანი 2005: 9). დიახ, როგორც ჩანს, გარკვეული დროის განმავლობაში სწორედ ცხოვრობდა (და არა მოგზაურობდა) დასავლეთ საქართველოში რუსთაველი. ცხადია, დადიანისა და ჰერეთელი ბაგრატიონის დაქორწინება პოლიტიკურ ნიშანსაც ატარებს, საქართველოს ერთიანობის იდეით აღბეჭდილს, მაგრამ ამ პოლიტიკურ ქორწინებას საფუძველს ხომ არ უმაგრებდა სიძე-პატარძლის ბავშვობისდელი მეგობრობა?

ყოველივე ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ ცოტნე დადიანი და შოთა რუსთაველი, ორი ერისკაცი, სიძე-სიმამრი უნდა ყოფილიყვნენ, არამარტო ნათესაურად შეკავშირებულნი, არამედ უფრო სულიერად დანათესავებულნი ერთმანეთთან.

ვაჭრის სახე ნიკოლოზ გაბაონის რომანში „აივნიანი ქალაქი“

ნიკოლოზ გაბაონის (ვალერიან გაბაშვილის) „აივნიანი ქალაქი“ კლასიკური რეალისტური რომანია. რომანი თითქოს უფრო რაინდთა ცხოვრებას შეეფერება და ნაკლებად— ვაჭრებისას. ამ რომანში კი სწორედ ვაჭრის თავგადასავალია მოთხრობილი და ამ თავგადასავალს არ აკლია არც დრამატიზმი, არც სატრფიალო-რომანტიკული ეპიზოდები, არც მოგზაურობა, არც ფარული ბრძოლები, არც სოციალური ფონი თუ საზოგადოებრივი ყოფის ასახვა, არც ოპტიმისტური დასასრული. ერთი სიტყვით, რომანის ჟანრის კანონების სრული დაცვით დაწერილი ნაწარმოებია.

ეს უზარმაზარი რომანი სიმბოლურ–ალეგორიული სურათით იწყება. მაღალ გორაკზე აღმართული საყდარი სიწმინდის, სინათლის, სიკეთის, უფალთან სიახლოვის გამოხატულებაა. გაერანებული, ფრესკებგადაფხეკილი, ჩამუქებული ეკლესია ცხოვრების უკუღმართობას აირეკლავს აშკარად, გარეთ გაძლიერებული ავდარი მკითხველს ავის მოლოდინში ამყოფებს.

მექორწილეთა ტრაგედია გამოწვეულია იმ ავადსახსენებელი „პირველი ღამის უფლებით“, რომლით სარგებლობასაც რომანში თავადი გერმანოზიშვილი აპირებს. თითქოს ილიას „გლახის ნაამბობის“ ერთგვარი გამოძახილიც ისმის და საერთოდაც, ბატონობისა და ყმების დაპირისპირების ასახვაში ერთგვარად იგრძნობა საბჭოური პროპაგანდის გავლენა. კატეგორიულად არ ვიჩემებ. მომეჩვენა – მეთქი. იქნებ გავლენაც არ იყოს და გამიზნულ კონიუნქტურას მიმართავდეს ავტორი, ვინ იცის?!

ფანდურაანთ იოსებამ, სასიძომ, მოკლა თავადი, თავი მოიკლა საპატარძლომაც და ამის შემდეგ ახალგაზრდა გლეხის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა.

პირველივე თავში აღნიშნულია, რომ ეს ამბავი 1832 წელს მოხდა და ბუნებრივია, მაშინვე ვეძებდი და ველოდი ამ თემის გაგრძელებას, მით უმეტეს ისტორიკოსი ავტორისაგან. 32 წელი მაშინვე არა, მაგრამ ერთ-ერთ თემად მერე შემოდის რომანში. რამდენიმე მინიშნება (მეტს, როგორც ჩანს, ცენზურა არ დაანებებდა) ისე საგულისხმოდ ხატავს საიდუმლო სამზადისის არსებით შტრიხებს, რომ საკითხში სულ ოდნავ მაინც გარკვეულ მკითხველს შეთქმულების მასშტაბურ პანორამას გადაუშლის თვალწინ. ერთი შეხედვით, სიუჟეტი არც მოითხოვს ალექსანდრე ბატონიშვილის ხსენებას, თუმცა როგორც კი ჯერ მასთან სპარსეთში გაქცეულ და მერე ისევ უკან დაბრუნებულ პერსონაჟს, ახალგაზრდა დავით გერმანოზიშვილს ვეცნობით, თვალწინ სწორედ ის მოძრაობა დაგვიდგება, ალექსანდრე ბატონიშვილთან გაქცევას რომ ცდილობდა ლამის მთელი საქართველო, ყოველ შემთხვევაში – თავისუფლების სურვილით ანთებული ნაწილი ქართველებისა. ალექსანდრე ჭავჭავაძე იმპერატორისთვის მისართმევ ნარკვევში თავისებურად ხსნიდა, ცდილობდა, გაუსაძლისი სოციალური ყოფისთვის გადაებრალებინა სპარსეთში თავშეფარებული ბატონიშვილის ესოდენი პოპულარობა. გასაგებია, ნარკვევს საგანგებოდ იმისთვის ქმნიდა, რათა იმპერატორს წაეკითხა და ცხადია, სრულ გულწრფელობას ვერ გამოავლენდა. „აივნიან ქალაქში" მხოლოდ ეპიზოდურად გაიელვებს კავკასიის გმირის სახელი, მაგრამ ნიშანდობლივია ერთი დეტალი: „პირველი ღამის განკარგულების" მომლოდინე თავადები ანუ შეთქმულები ერიდებიან, ზურგს აქცევენ დავითს, როგორც მოღალატეს. მისი ღალატის დამადასტურებელი სხვა რამ ფაქტი კი რომანში არ არის. როგორც ჩანს ღალატად სწორედ ეს ეთვლება – ალექსანდრე ბატონიშვილის მიტოვება და, მაშასადამე, ეროვნული იდეალების გაწირვა. იმ ალექსანდრესი, რომელიც შეთქმულთ გამარჯვების შემდეგ მეფედ ჰყავდათ ნავარაუდევი და ესე იგი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზით ძველ საქართველოსთან, უპირველესად კი, მამამისთან, ერეკლე მეორესთან ხიდის გამდებად ეგულებოდათ. დავითს ავტორი ხშირად მოიხსენიებს, როგორც

ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილ ემისარს და ამით ბატონიშვილს მიაგებს პატივს.

რუსეთის მთავრობამ ალექსანდრე ატონიშვილის ყოფილი ემისრის თბილისში დატოვება მაინც არ მიიჩნია მიზანშეწონილად და დავითი მთიელების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს. ასე ეშინოდა ხელისუფლებას უკვე მომხდარისა და უფრო მეტად — მომავლის.

პერსონაჟებად კავკასიელი მთიელებიც შემოდიან. ნაჩვენებია ეპიზოდები შამილის წინააღმდეგ ბრძოლებისა. ახსენებია ჰაჯი-მურატი. იკითხება კავკასიური მთლიანობის იდეა. ერთგან ვაჭარი სიხარულით ფიქრობს და ელოდება დღეს, როცა მთიელებს ამოწყვეტენ, შამილს ძელზე ჩამოკიდებენ და მშვიდობა დამყარდება. ასეთი განწყობა ასახულია XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პრესაშიც (რა კარგია, რომ შამილი საბოლოოდ დაამარცხეს და ომი აღარ იქნება). ეს არ ნიშნავს, თითქოს ქართველებს შამილი სძულდათ, ეს იმას მოწმობს, ქართველებს ვაჭრობის განვითარება სურდათ, ამისთვის კი აუცილებელი იყო უსაფრთხო მიმოსვლა.

მხოლოდ გაიელვებენ ლეტელიე, ზავილეისკი (შეთქმულბის უცხოელი მონაწილენი) და მკითხველის ცნობიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდებიან.

ნიკოლოზ გაბაონი საგანგებოდ ქმნის სიტუაციებს, რათა 32 წლის შეთქმულნი ახსენოს. მერე რა სიყვარულსა და გემოს ატანს მათ დასახელებას: „პოეტი და მთარგმნელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიპლომატი სოლომონ რაზმაძე, ჟურნალისტი და ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი, მასწავლებელი ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი და პოეტი თუმანიშვილი“... გინდა, რომ არ გაჩერდეს, მიყვეს და ყველა გაიხსენოს.

საერთოდ, რომანში ისტორიული ფონი რეალისტურია და ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ მხოლოდ დეტალების სიზუსტეს, არამედ ზოგადად, ერთიანობაში, ასე ვთქვათ „ისტორიის სულსაც“ – ტენდენციებს, ხასიათებს, ინტერესებს, დამოკიდებულებებს, სიახლეებს, ღირებულებებსა და სხვა.

ეს ის დროა, როცა თბილისში ეტლი ჯერ კიდევ იშვიათი იყო, ქუჩები – მოუვლელი და წვიმისაგან ატალახებული, მთავარ-

მართებლებთან კი სადილები უკვე იმართებოდა და იმ წვეულებებზე დასწრება უმრავლესობისთვის ძლიერ სასურველი გახლდათ. ნელ-ნელა შემოდიოდა და ფეხს იკიდებდა ევროპულად ჩაცმის კულტურა. მხრებმოშიშვლებული და ღრმად გულამოღებული კაბები ქართველ ქალებს არანაკლებ შვენოდათ, ვიდრე – ევროპელებს.

ლიტერატურათმცოდნეობაში გამოიყენება ტერმინები: „ქალაქური ლიტერატურა“ და „სოფლის ლიტერატურა“. ყველა არ მიიჩნევს სწორად ასეთ დეფინიციას, ოღონდ ამჯერად მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ, ცხადია, ამ ცნებებში იგულისხმება ქალაქის ყოფის ამსახველი და სოფლის ყოფის ამსახველი ნაწარმოებები. „აივნიანი ქალაქი“ მარჯვედ შერჩეული სათაურია. რომანი კი მთლიანად ქალაქის, ჩვენი მთავარი ქალაქის, თბილისის ყოფას ასახავს. აივნები ხომ ძველი თბილისის სავიზიტო ბარათია — ღია, გახსნილი. თავისუფლების სული თითქოს გარეგნულად ამ აივნებით გამოიხატებოდა. თბილისელები არც საკუთარ ცხოვრებას მალავდნენ სხვებისგან, ნაჭუჭში არ იკეტებოდნენ და მზად იყვნენ, უცხო, უჩვეულოც დიდი დავიდარების გარეშე მიეღოთ, შეეთვისებინათ, გაეშინაურებინათ. ევროპული კულტურის ნაყოფი, მინის შენობები, სულ ცოტა ხნის წინ რომ ღიაობის სიმბოლოდ დაგვისახეს, სწორედ რომ დახშულობის, ჩაკეტილობის, სხვისი მიუღებლობის სიმბოლოა და ერთგვარად ცხოვრების ცივი, გულგრილი, ეგოისტური სტილის გამოძახილიცაა (უმთავრესად, ცხადია, ბუნებრივი პირობებითაა შთაგონებული).

რომანის მთავარი პერსონაჟი უცხო ქვეყნებში მოგზაურობის დროს სულ აივნებს დაეძებს და ვერსად პოულობს. სწორედ ეს აივანია ქართულის, ეროვნულის, თბილისურის სიმბოლო და ამით უპირისპირდება აივნიანი ქალაქი უაივნო მეგაპოლისებს.

სინანული, რომ ქართულ ენაზე „ქალაქური პროზა“ ნაკლებად იწერება, იქნებ, რაღაცით გამართლებულიცაა, მაგრამ კატეგორიულად მტკიცება, რომ ქალაქის ყოფის ამსახველი პროზა საერთოდ არა გვაქვს (როგორც ვიეთნი ამბობენ), შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ტყუილია. ქალაქი თავიანთ შე-

მოქმედებაში ასახული აქვთ შიო არაგვისპირელს, ლავრენტი არდაზიანს, გრიგოლ რჩეულიშვილს, თანამედროვე მწერლებიდან ზაალ სამადაშვილი, ლაშა იმედაშვილი და აკა მორჩილაძე აღიარებულნი არიან, როგორც ქალაქური პროზის შემქმნელნი. ნიკოლოზ გაბაონის რომანში მთლიანად ქალაქია სამოქმედო ადგილი. (ვფიქრობ ამ წიგნის ფამუქის „სტამბოლთან" შედარება არ იქნება მართებული იმიტომ, რომ თურქი მწერლის მიზანი სხვაა, მასთან ქალაქი მთავარი პერსონაჟია, ქართველ მწერალთან კი — სამოქმედო ადგილი, რომელიც მკვეთრი, გამორჩეული, ორიგინალური სახით ფონსაც ქმნის და თავის როლსაც თამაშობს სიუჟეტში).

ქართულ ლიტერატურაში მკვეთრი დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის არცა ვაქვს. იმ ნაწარმოებებშიც, რომლებშიც მოქმედება სოფლად ვითარდება, ასახულია ზოგადადამიანური, წუთისოფლის ვნებანი და არა მხოლოდ კონკრეტული სოფლის. თუმცა ერთგვარი განსხვავება მაინც არის. პაოლო იაშვილთან სოფელი სიწმინდის, ზნეობის სიმბოლოა, ქალაქი — უზნეობის, ურწმუნოების, ქაოსის. გალაკტიონთან „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი" – სოფელი, როგორც ჩანს, უმტვეროა. თვით XIX საუკუნეშიც ბარათაშვილისთვის ქალაქი ჭირის და ჭორის ბუდეა. „აივნიან ქალაქში" იოსებს ჯერ სოფელში ვეცნობით და მერე ქალაქში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ან ის სოფელი იყოს მთლიანად სინათლის საუფლო, ან ქალაქი – სრულიად სიბნელით მოცული.

მთელ ნაწარმოებში იგრძნობა ძველი თბილისის სიყვარული, გარდასულის ნოსტალგია. XX საუკუნეში თითქოს საგანგებოდ იმიტომაც იწერება, რათა ავტორმა მკვეთრად პირი იბრუნოს თანამედროვეობისაგან და მშობლიურ გარემოში, XIX საუკუნეში აღმოჩნდეს. ეს არის ერთგვარი პროტესტი თანამედროვეობის მიმართ.

ეს საუკუნე კი მისთვის მართლაც მშობლიური და ძვირფასია, ყველაფერს აზის როგორც სიყვარულის, ისე ცოდნის, საგულდაგულოდ შესწავლილი არქივების ტვიფარი.

ჩვენში კაპიტალიზმის შემოსვლისა და დამკვიდრების ეტაპები მაშინვე აისახა ლიტერატურაში (გიორგი ერისთავის, ზურაბ

ანტონოვის, ლავრენტი არდაზიანის, გიორგი წერეთლის შემოქმედებაში).

ჩვენში კაპიტალიზმის შემოსვლისა და დამკვიდრების ეტაპები მაშინვე აისახა ლიტერატურაში (გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტინოვის, ლავრენტი არდაზიანის, გიორგი წერეთლის შემოქმედებაში). ამ მწერლებმა ვაჭრები გროტესკულად დაგვიხატეს. მათ წარმოსაჩენად სატირა და იუმორი არ დაიშურეს. ვაჭართა კლასის წარმომადგენლები თავიანთი თვისებებით აშკარად დაუპირისპირეს თავადებს. ამ რომანის მთავარი მოქმედი პირი, სოფლიდან ქალაქში გამოქცეული იოსები გარემოებათა დამთხვევის წყალობით მთხოვარა გლახაკიდან ვაჭრად იქცა – ჯერ გიგა ზანდროვად და შემდეგ – გრიგოლად. ეს გარდასახვა არ მომხდარა ადვილად. აქაც ჩანს განსხვავება ვაჭრის უზნეობასა და გლეხის ზნეობას შორის, ოღონდ ვაჭარი რომანში გაცილებით სიმპათიურადაა დახატული, ვიდრე ზემოდასახელებული ავტორების თხზულებებში. გიგას მამობილი, ფირუზა, გატაცებით საუბრობს ფულზე, ვაჭრობის მნიშვნელობაზე, ოქროს ძალაზე. ვაჭრობაში ფირუზას პირველი ნაბიჯები ძალიან ჰგავს სოლომონ ისაკიჩის, მიკირტუმის, კარაპეტას თუ სხვათა საქმიანობას – ფულის საშოვნელად ყველაფერს იკადრებს, თავმოყვარეობა არაფერს დაუშლის, ცოლს აშიმშილებს და სხვა. ფირუზა ზანდარაშვილია, ე.ი. ქართველი. ისიც გიგასავით სოფლიდან გამოქცეულა. მაშასადამე, ქართველებიც იწყებენ ვაჭრობას, ოღონდ საგულისხმო ისაა, რომ ფირუზას სომხობა ურჩევნია, რადგან იმხანად საქართველოში უფრო სომხები და ფრანგები ვაჭრობდნენ. ფირუზა სომხურ ეკლესიაშიც მოინათლა და კათოლიკურშიც, რაც, რათქმაუნდა, იმას ნიშნავს, რომ არცერთი სარწმუნოების მიმდევარი არ არის, ყველასგან გამორჩენას ელის, როგორც მისი ცოლი ამბობს, „ღმერთით ვაჭრობს“.

ამ მრავალთავიან რომანში ყოველი თავი დასათაურებულია და აქვს ეპიგრაფი სათანადოდ შერჩეული და გააზრებული. იმ თავებს, სადაც ვაჭრობაზეა საუბარი, არაა გასაკვირი, რომ გიორგი ერისთავისა და ლავრენტი არდაზიანის ნაწარმოებებიდან ამოღებული ციტატები უძღვის.

ფირუზა ავკაცობის მასწავლებლად მოევლინა შვილობილს. ვერაგობას, ორგულობას, თაღლითობას შეეძლო, მისი თქმით, ღარიბის გამდიდრება. ამ წრეში გავრცელებულია ორპირობა, უსირცხვილობა, თავხედობა, ფიცის გატეხვა, სიხარბე და გაუმაძღრობა. ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან" მოყოლებული ლიტერატურული ტრადიციაც ადასტურებს ვაჭართა ამ თვისებებს, ოღონდ არა მგონია XIX-XX საუკუნის მწერლები ტრადიციის გავლენის ქვეშ იყვნენ. უფრო, როგორც ჩანს, რეალობა აძლევდათ ვაჭრის ასე ხატვის საფუძველს.

ფირუზა მართლაც, ნელ-ნელა მდიდრდება. ჯერ თავზე შემოდგმული თახჩით მწვანილს და ხილს ყიდდა, მერე საწვრილმანო გახსნა, შემდეგ – მის ადგილას დუქანი და ბოლოს მსხვილ კომერსანტად მოგვევლინა.

ამ რომანში ასახულია უკვე საერთაშორისო ვაჭრობა, რაც მეწვრილმანეობისგან განსხვავებით, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს და ავკაცობა აქ კაცს წარმატებისთვის არ გამოადგება.

ავტორი გვაცნობს არწრუნის, სარქისოვის, სედინოვების, ბებუთოვების, სარაჯევის, მელიქოვის, შიოევის, მირიმანოვის, ზუბალოვისა და სხვა ქარვასლებს, რომლებშიც ვაჭრობა დუღდა და გადმოდუღდა. თანამედროვე მკითხველისთვის ზემოჩამოთვლილ გვართაგან რამდენიმე კარგად ნაცნობია და თუ რომელიმე არ გვაგონდება, ეს ჩვენი უინტერესობის და მოკლე მეხსიერების ბრალია. სხვათა შორის ერთ პერსონაჟს ავტორი გამოათქმევინებს მაშინაც და ახლაც გავრცელებულ მცდარ შეხედულებას, თითქოს ქართველებმა ვაჭრობა არ იციან. თვითონ აშკარად არ იზიარებს ამ აზრს და მოპასუხეს ჩამოათვლევინებს ვაჭრობით გამდიდრებულ ქართველებს: ნიკოლაძეს, ზუბალაშვილს, სარაჯიშვილს, ქართველიშვილსა და კიდევ რამდენიმეს. აი, სწორედ ამ ქარვასლებში ვაჭრობდნენ ფრანგების, გერმანელების, ინგლისელების, რუსების, სომხების, ებრაელების, თურქების, სპარსელების, ჩინელების, ავღანელების, ინდოელების ჩამოტანილი საქონლით. საქონელი შემოდიოდა აზიიდანაც, ევროპიდანაც, რათქმაუნდა, — რუსეთიდან. როგორც გულანშაროში, აქაც ჭკვიანი ღარიბი მალე გამდიდრდე-

ბოდა. სოვდაგრის ბაასი სავაჭრო წიგნი და ბუღალტერიის ლექცია იყო, ქარვასლა კი — ნამდვილი კომერციული სასწავლებელიო, — შემთხვევით არ ახსენებს ავტორიწიგნს, ლექციას და სასწავლებელს. ფართო ხასიათის ვაჭრობა აუცილებლად მოითხოვს სპეციალურ განათლებას, რომელსაც თბილისელები ბუნებრივი ნიჭის, ალღოს და სხვა პიროვნული თვისებების წყალობით პრაქტიკულ საქმიანობაშივე იძენდნენ.

თუმცა, მერე გამდიდრებულნი სოლოლაკის ბაღებს უწყალოდ ჩეხდნენ და მრავალსართულიან სახლებს აშენებდნენ თურმე. როგორ ჰგავს ორი საუკუნის წინანდელი მდიდარი სოვდაგარი დღევანდელ ზოგიერთ უგულო ბიზნესმენს.

მიუხედავად ბევრი უარყოფითი თვისებისა, ვაჭრები არ არიან ლოთები და ყომარბაზები და არც უნდათ, რაიმე საერთო ჰქონდეთ ამ ხალხთან. აი, ოჯახური ღალატი კი მათი ცხოვრების წესი გამხდარა (ასე არ არის „ვეფხისტყაოსანშიც“?!). ვაჭრები ერთმანეთს მახეს უგებენ, თუმცა საქმიანი საუბრები აქვთ, გარკვეულნი არიან მაზანდასა და ანგარიშის ნუსხებში. ყოველდღიურად სწავლობენ ბაზარზე ტენდენციებს და ეუფლებიან, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, მარკეტინგის სპეციალობას. ავტორი რუსეთსა და ევროპაშიც ამოგზაურებს გიგა ზანდაროვს. აი, აქ გამოიჩინა ქართველმა სოვდაგარმა ნიჭი, უნარი, მხნეობა, გამძლეობა, ალღო... მიხვდა, რომ უცხო ენების ცოდნა აუცილებელია. საფრანგეთში ფრანგულიც ისწავლა. უცნობ ქვეყნებში ადამიანებს და მათ ცხოვრებას ყურადღებით აკვირდებოდა და ერთგვარ ფსიქოლოგადაც მოგვევლინა, რაც ყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევა დღეს. მოგზაურობისას დარწმუნდა, ვაჭრობა მხოლოდ ღონიერი, მხნე, უშიშარი, გამძლე და ამტანი ადამიანების საქმე იყო. ეს, ცხადია, ავტორის პოზიციაა, რომელსაც პერსონაჟს მიაწერს. ზანდაროვი ევროპის დიდ ქალაქებში თავს ხალვათად და თავისუფლად გრძნობდა, ყველაფერს ადვილად ითვისებდა, იმახსოვრებდა და იმეორებდა. სწორედ იქ ისწავლა ფულის ხარჯვა. თუ მანამდე ფულის მხოლოდ დაგროვება იცოდა, იქ დახარჯვაც დაიწყო, რითაც გაანაწყენა კიდეც მამობილი. ეს

დეტალიც ავტორის რეალისტობაზე მეტყველებს. გიორგი ერისთავის კომედიებშიც იწყებენ ახალგაზრდა ვაჭრები ფულის სათავისოდ გამოყენებას, რითიც სხვა, ძველი ვაჭრების დაცინვასაც და გაკიცხვასაც იმსახურებენ.

ვახტანგ ტაშირელს, განათლებულ ქართველ თავადს ათქმევინებს ავტორი, რომ კომერციულ ალღოსა და უნარს არ შეიძლება, რაიმე საერთო ჰქონდეს ქურდობასთან და უსინდისო ვაჭრობასთან. ტაშირელი თავისი სულიერი მისწრაფებებით ერთგვარად საპირწონეა ზანდაროვისა, რომელსაც მხოლოდ მატერიალისტური მიზნები აქვს და ვერ გაუგია, რას ნიშნავს ადამიანობის ფასი. ისევე, როგორც ერთ-ერთი თავადი მისტირის დაკარგულ ვეფხისტყაოსანს იმის გამო, რომ მარგალიტებით მოოჭვილი ყდა ჰქონდა , თავად ხელნაწერის ფასი კი, მარი ბროსეს რომ ყველა მარგალიტზე ძვირფასად მიაჩნია, მას ვერ გაუგია. ოღონდ როცა ტაშირელი საქართველოს მომავალზე ფიქრობს, ქვეყნის აღორძინებას ყოველთვის ზანდაროვს უკავშირებს. დღევანდელი სოვდაგარი ხვალინდელ მეფაბრიკედ წარმოუდგება და, რაც მთავარია, თეატრის დაარსებაცა და ჟურნალის გამოცემაც ფულს, ვაჭრების მიერ მოგებულ ფულს ითხოვდა. ტაშირელი, რომელიც ძველი, შეურყვნელი ქართულით მეტყველებს (რომელიც, სხვათა შორის, თითქმის გაუგებარია ვაჭრებისთვის), რწმუნდება, რომ ემიგრაციის მოღვაწენი ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ტრაქტატებს შემთხვევით კი არ თარგმნიდნენ, არამედ მიზანმიმართულად. ამით თავიანთი სამშობლოს აღორძინებაზე ფიქრობდნენ. ტაშირელი დარწმუნდა, რომ წიგნები რუსეთში ქართველების მიერ მოწყენილობის გასაქარვებლად და თავის გასართობად არ იწერებოდა. ამ საქმიანობას გარკვეული მიზანი ჰქონდა. ქართველი ხალხის გაევროპელება, საქართველოს განათლებულ ევროპასთან დაკავშირება. რადგან ტაშირელის მეტყველებას შევეხე – იგი სრულიად განსაკუთრებული – თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის შვილის – ენით მეტყველებს, თუმცა არც ვაჭრები საუბრობენ ისეთი შერეული და შემღვრეული ლექსიკით, როგორითაც ადრეული კომედიოგრაფების მევახშე-

ები. ამ რომანში გვხვდება XIX საუკუნის ჟარგონიც და სალიტერატურო სიტყვებიც, რომლებიც თანამედროვე მკითხველისთვის გაუგებარია და კარგია, რომ ახლავს ლექსიკონი, რომელიც, როგორც მთელი რომანი, წარსულის ნოსტალგიითაა განმსჭვალული და იოსებ გრიშაშვილის შესანიშნავი ნარკვევს, „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემას“ გვახსენებს.

რომანის ერთი თავი ასეა დასათაურებული: „ო, ეს სევდიანი XIX საუკუნე“ – სიმბოლური სათაურია (ბარემ აქვე ვიტყვი – ამ შესანიშნავ გამოცემას ერთი დეტაილ, მგონი, აკლია – სარჩევი არა აქვს).

ისტორიული ფონის მართალი ფერები ზევითაც ვახსენე. რომანი, ფაქტობრივად, ორ ათეულ წელს ასახავს – 30-50-იან წლებს. ამ პერიოდში მკვეთრი ცვლილებები ხდება ჩვენში, შეიძლება ითქვას, ეპოქალური მოვლენები, რომლებსაც დეტალურად, ასე ვთქვათ, შიგნიდან იცნობს ავტორი და ამიტომაა მის მიერ შექმნილ ისტორიულ პირთა პორტრეტები ესოდენ მრავალფეროვანი, თითოეული ინდივიდუალობით აღბეჭდილი და დასამახსოვრებელი.

ზანდაროვი თბილისში ფეხსაცმლის ფაბრიკის გახსნას გეგმავს, იქვე ნახსენებია კასტელას ფაბრიკა, რომელიც XIX საუკუნეში მართლაც არსებობდა ჩვენში; მადამ ლაბიელი (დედა დელფინა ლაბიელისა, რომელსაც ლექსები უძღვნა ბარათაშვილმა – „ჩემს ვარსკვლავს“ და „ასტრა“. ეს უკანასკნელი დაკარგულია). ეპიზოდურად, მაგრამ მართლად არის წარმოდგენილი მირზაჯანა მადათოვის შეულამაზებელი, ნამდვილი სახე. ძველი თბილისის სრულყოფილად მცოდნე ალექსანდრე ორბელიანიც ასეთ – ორპირ, უზნეო, მთავრობის ხელის ბიჭს, მირზაჯანას გვაცნობს. სულ ერთხელ, მაგრამ მაინც ვხედავთ დუელსაც, რომელიც აგრეთვე დამახასიათებელი მოვლენა გახლდათ XIX საუკუნისა და ამ დუელშიც, ლოგიკურია, არავინ კვდება. თანხმობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სახელმწიფოზე მსჯელობისას ავტორი პერსონაჟებს კვლავ 32 წელთან მიაბრუნებს და იმაზე დააფიქრებს, როგორ აპირებდნენ საქართველოს უკეთესნი შვილნი რესპუბლიკისა და მონარქიის მოგვარებას. არ არის შემთხვევითი ევროპელი ეკონომისტების, სენ სიმონის, ოუენის, ფურიეს ხსენება. ცნობილია, რომ ქართული პრესა

ცოტა მოგვიანებით, 60-იანი წლებიდან სისხლხორცეულადაა დანტერესებული ევროპული ეკონომიკური მოძღვრების პროპაგანდით, რაც ნათლად აისახა ილიას „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკრის“ დამატება „გუთნის დედაში“. ქართველი თავადები ბანკის წინამორბედს, „პრიკაზს“ ქართველების დასაღუპად შექმნილ დაწესებულებად მიიჩნევენ რომანში. აქვე, ბუნებრივია, გამოჩნდა სალონები, რომლებიც ერთ დროს ლიტერატურულ გემოვნებას წარმართავდნენ ჩვენში. ვხედავთ გრიგოლ ორბელიანს, რომელსაც ახლობლები კურკა პოეტად მოიხსენიებენ, უნიჭიერეს ყმაწვილს ტატო ბარათაშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალებს – ნინოს და ეკატერინეს, პეტერბურგიდან ისპაანამდის რომ გადარეული ჰყავდათ ხალხი. უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში სრულ ჰარმონიაში თანაარსებობენ ისტორიული და გამოგონილი პერსონაჟები და ამის გამო არავითარი უხერხულობა არ ექმნება მკითხველს. ავტორის ოსტატობა, ენის სიღრმისეული ცოდნა, ეროვნული სული, მწერლის ნიჭი ზედ ატყვია მთელ რომანს.

ნიკოლოზ გაბაონი თვითონ ხომ ცხოვრობს XIX საუკუნეში, ჩვენც იმ ეპოქაში გვაცხოვრებს და მოვლენათა და ამბავთა თვითმხილველად გვხდის. შეუძლებელია აქ დეტალურად გადმოცემა იმ ამბებისა, წინააღმდეგობისა თუ მხარდაჭერისა, რომელიც დაკავშირებულია გიორგი ერისთავის (გლუხარიჩის) „ცისკრის“ გამოცემასთან, მის მიერვე პროფესიული ქართული თეატრის შექმნასთან, იტალიურ ოპერასთან, ვორონცოვისა და მისი მეუღლის აქ ყოფნის პერიოდთან... რომანში ვორონცოვის პიროვნება შეფასებულია ისე, როგორც ეს თანამედროვე ისტორიოგრაფიაშია მიღებული. ნათქვამია, რომ ვორონცოვს ქართველები მამას ეძახდნენ, მაგრამ იგი უფრო მამინაცვლობას გვიწევდა. აღნიშნულია, როგორც ფაქტი, რომ მეფისნაცვალი მფარველობდა სომეხ ვაჭრებს და ხუმრობით ოქროს თუმნიანის ჩუქებას პირდებოდა იმ ქართველს, რომელიც ვაჭრობას მოკიდებდა ხელს. ესე იგი აქეზებდა ამ საქმისკენ (სომხებს „ფულით სავსე ქისას“ აძლევდა და ქართველებს — ჩინ-მედლებსო, — წერს ალექსანდრე ორბელიანი). ვორონცოვი

ზრუნავდა გზების მოსაწესრიგებლად, რათა მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა გაადვილებულიყო.

აქ ვხედავთ ვორონცოვის მეუღლეს, ელიზავეტა ქსავერევნას, პუშკინი რომ ეტრფოდა. ამ ქალს შეხვდა ოდესაში აკაკი წერეთელი, რომელიც პეტერბურგში მიემგზავრებოდა (ხომ გახსოვთ, ეპიზოდი „ჩემი თავგადასავლიდან“). ეს ქალი ძალიან ქომაგობდა იტალიელ საოპერო მომღერლებს, თბილისში რომ მღეროდნენ.

პლატონ ფილოსოფოსი თუმცა ლანძღავს გლუხარიჩის კომედიანტებს, მაგრამ თურმე თვითონაც აპირებს სცენაზე თამაშს. „გლუხარიჩი ვის არ გააგიჟებს“,— ამ ერთი წინადადებით დახატულია ხასიათი მოუსვენარი, მოძრავი, მებრძოლი ადამიანისა, რომელიც არაფერს არ უშინდება, არავითარი დაბრკოლების წინაშე უკან არ იხევს.

ყოველი პერსონაჟის გამოძერწვისას თუ ეპიზოდის თხრობისას იგრძნობა, რომ ავტორმა გაცილებით მეტი იცის ამ ამბის შესახებ. მაგალითად, პლატონ იოსელიანს რომ ეკითხებიან, ბაკენბარდებზე კატა ხომ არ დაგწოლიაო, ეს ბარათაშვილის ხუმრობის გამოძახილია.

ერთგან ქართული თეატრის მსახიობების ქართლურ სიდინჯეს ახსენებს და მკითხველს თვალწინ დაუდგება გორის სოფლებში მსახიობების მოსაზიდად მოსიარულე გიორგი ერისთავი.

„ცისკრის“ კორექტურას ასწორებს ვინმე ცალქალამანიძე. და აქ გრიგოლ ორბელიანის ნათქვამი მოგვაგონდება, მე და ცალქალამანიძეს თანაბარი ხმის უფლება რატომ უნდა გვქონდესო.

ჰაინე, რემბრანდტი, ლუკა კრანახი... სხვები გაუშინაურებია XIX საუკუნის თბილისს. თბილისი, ევროპა-აზიის საზღვარზე მყოფი ქალაქი, იერს და ელფერს იცვლიდა და ევროპას ემსგავსებოდა.საქართველო ევროპაა თუ აზიაა? ამ საკითხზე მრავალს უფიქრია, წერილები და წიგნები უწერიათ და სხვადასხვანაირად გადაუწყვეტიათ, ვალერიან გაბაშვილი აშკარად ჩვენი ევროპელობისკენ იხრება. ევროპა ამკვიდრებს ჩვენში ერთი მხრივ, ნამდვილ ფასეულობებსა და ღირებულებებს და მეორე მხრივ, შემოაქვს უსულგულო, მხოლოდ საჭიროებებზე დაფუძნებული ცხოვრების წესი, როცა ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობას ინტერესების გამო ამყარებენ და არა — გულით.

ის დროა, როცა ჯერ კიდევ ორბელიანები ზემოდან და ამრეზით უყურებენ ცალქალამანიძეებს, ვაჭრები კი საცოლეებს თავადებში ეძებენ (ცხადია, არა სიყვარულით, არამედ — ანგარიშით).

ნაწარმოები მთავრდება სიმბოლურად დასათაურებული თავით — „განთიადი". ტკვარზე გადაკიდებული მზით აელვარებული აივნების ხილვით, რაც ააშკარავებს მწერლის სურვილებს, იმედებს, მოლოდინს, რომ შეეძლოთ ჩვენი სახის შენარჩუნება, ჩვენი გამორჩეულობისა და თავისებურების დაცვა. არ გავითქვიფოთ, არ გავქრეთ არც აზიასა და არც ევროპაში, არ ვიქცეთ ხიდად.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო ავტორის მიერ ხასიათების ხატვის ხელოვნებას. სხვა რომ არა იყოს რა, ერთი პერსონაჟის სახელი, შავგვრემანი ქალისთვის შერქმეული „თეთრი ლიზაც" მრავლისმეტყველია. როგორც ბოლოსიტყვაობაშია აღნიშნული, ეროსი მანჯგალაძეს შეუნიშნავს ფირუზა ზანდაროვის ბოლო წლების ტრაგიკულობა. ეს შესანიშნავი ნაკითხვაა თხზულებისა.

ავტორი მოხდენილი შედარებების ოსტატია და თუმცა ხშირად არ მიმართავს მხატვრულ საშუალებებს (თვითონ ამბავია ექსპრესიული) ერთი ნიმუშიც ადასტურებს მწერლურ უნარს:

„ტოტებდალეწილი თუთა, ფშატი, უნაბი და ბროწეული გაძარცული მგზავრებივით იდგნენ". დამეთანხმებით, მოხდენილი შედარებაა.

არც ანდაზების სიუხვით გამოირჩევა თხრობა, თუმცა თავის ადგილას გამოყენებული თუნდაც ეს: ქაჩლის თავზე დალაქობას ვერ ისწავლი, მწერლის პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

და ბოლოს:

წიგნი შესანიშნავადაა გამოცემული, ერთვის ძველი თბილისისა და მის მკვიდრთა ფოტოები თუ ნახატები, რაც შთამბეჭდავია უთუოდ და ბოლოსიტყვად — მანანა გაბაშვილის მიერ ორიგინალურად და საინტერესოდ დაწერილი ბიოგრაფია მამისა. ეს ბიოგრაფია აღიქმება როგორც ტექსტის ნაწილი და რომანის შემდგომი გამოცემები უკვე მის გარეშე წარმოუდგენელია.

თავისუფლება – ზნეობრივი ორიენტირი

(ოთარ ჩხეიძის პიესის „სოლომონ ანუ მსაჯული მეფისა“ მიხედვით)

„ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებელსა და ჩვენი დროის მემატიანეს წარსულის ერთი ეპიზოდი აუღია პიესის „სოლომონ ანუ მსაჯული მეფისა“ საფუძვლად და სიუჟეტიც მთლიანად მასზე აუგია. ხანგრძლივობით ძლიერ მცირე მონაკვეთი, თუმცა მნიშვნელობით — უდიდესი და ამასთანავე ტრაგიკული. საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XIII-ის (თუ XII-ის, ჯერაც ვერ გაურკვევიათ ისტორიკოსებსო, — თავისებური სარკაზმით შენიშნავს მწერალი) გარდაცვალებიდან მის დაკრძალვამდე, ეს პერიოდი რამდენიმე თვე რომ გაგრძელებულა.

სიონის ზარების რეკვით იწყება პიესა. რა თქმა უნდა, სამგლოვიარო, ავის მაუწყებელი რეკვით. „რეკავს ზარები სიონისა, დაბალ ხმაზედა, ხანგამოშვებითა; რეკავს გლოვისასა, რეკავს და რეკავს, რეკავს გაბმითა, ისე გაბმითა, თითქოს გამოძახილია შორეული ბედისწერისაო, გამოძახილიცაა და აღსრულებაც ახლოვდება თითქოსაო“. თმაგაშლილი ჭირისუფლის სასოწარკვეთილი ტირილი წარმოუდგება კაცს თვალწინ, არაქათგამოცლილი, უკიდურეს შეჭირვებაში მყოფი ჭირისუფლისა, ერთადერთი ნუგეში და სულისდგმა რომ დაჰკარგვია, აღარც არაფრის იმედი აქვს, არც ტირილის ღონე შერჩენია, არც – გაჩუმებისა. ეს რემარკა (სხვებიც) დამოუკიდებელი ლიტერატურული მნიშვნელობის, მხატვრული ღირებულების მქონე ჩანართია ნაწარმოებში.

„პოსტმოდერნისტულ დრამატურგიაში ქმედების ეს ნიშნები, მითითებული ავტორების მიერ, საერთოდ გაქრა“, — წერს ჟუ-

რნალში „ჩვენს მწერლობა“ („დაიდგას მაშინ, როცა დაიწრა“, №13, 2013 წ.) გიორგი ყაჯრიშვილი და გულისხმობს ისეთი ტიპის მითითებებს (რემარკებს), როგორებიცაა: „გაიხედა“, „გაინია“, „გაიცინა“ და სხვ. ამ თვალსაზრისით უაღრესად თანამედროვე და მოდერნისტულია ოთარ ჩხეიძის ეს პიესა. მოვუსმინოთ ავტორს: „არ მინდა დავუმატო აქვე და არც მერე, როდის თუ ვინ შემოვა, როდის თუ ვინ გავა, — თუ გავა ცხადია, — ან თუ რა ხდება, დიალოგებში გაირკვევა თავისთავად“. და მართლაც, არსად, არც ერთ ეპიზოდში მსგავსი რემარკა არ გვხვდება, სამაგიეროდ რამდენიმე ადგილას ხაზგასმით, თითქმის მონოტონურად, ერთი და იმავე, შიშისმომგვრელი კილოთი მეორდება თითქმის სიტყვასიტყვით, (ხან ვარიაციებითაც) ერთი და იგივე: „შორიდან ხმა მოისმის ლაშქრის ნაბიჯისა, შორიდან, შორიდან მოისმის“. სხვაგან: „ლაშქრის ნაბიჯი შეაზანზარებს სიონის კედლებსა ჯერ რო ერთ მხარეს მიადგება, შემოერტყმის მერე ირგვლივა, შემოერტყმის და ბაგუნობს, ბაგუნობს, ეუფლება იქაობასა. ქანაობს სანთლები სიონისა. ლამისთუ ჩაჰქრეს, აიწევს ისევა, ისევ დაიწევს და ისევ და ისევა. ზარი კვლავ კვნესის თუ ვეღარც კვნესის, ყველაფერს ის ხმა ეუფლება, ლაშქრის ფეხის ხმა, დიდი ლაშქრისა“. კიდევ რამდენჯერმე ისმის „ლაშქრის ფეხის ხმა“ პიესაში, ბოლოს ამ ხმას რუსი გენერალიც შემოჰყვება. მაგრამ იქამდეც, სულ თავიდანვეც არავითარ ბუნდოვანებას და ეჭვს არ იწვევს, რომ ხმა დამპყრობელი ლაშქრისაა, სხვისი დაცვის საბურველით, სიკეთის ნიღბით შემოსული დამპყრობლისა.

პიესის მიხედვით ბატონიშვილებს შორის აშკარა, შეუფარავი ბრძოლა მიმდინარეობს ტახტის დაუფლებისათვის. პირობითად ორ, ურთიერთმოწინააღმდეგე ბატონიშვილს ხატავს ავტორი, თავთავიანთი დასით, ამალით. პირობითად იმიტომ, რომ ისტორიიდან ცნობილია, კიდევ სხვა ბატონიშვილებიც მიიწევდნენ ტახტისკენ. „მე შენ გეტყვი, ცოტანი იყვნენო“, — ირონია შეერევა თხრობას, მაგრამ იცის მწერალმა: „ეს უკვე ფარსისკენ გვიბიძგებდა (სხვათა გამოჩენაც) და არ შეიძლება ფარსად წარმოისახოს უმწარესი გაკვეთილები ისტორიისა“.

ღამით, სხვათაგან მალულად ცდილობს ორივე ჯგუფი მეფის ცხედრის დაუფლებასა და დაკრძალვას, რაც საქართველოს დაუფლების საწინდარი გახდება (ღამეა ბოროტების სათავეო, — გვახსენდება ილია). ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი განდგომილები შეუდრეკლობასაც იჩენენ, გულადობასაც, მახვილი სიტყვითაც უსწორდებიან ერთმანეთს და არც ხმლის გამოყენებაზე დაიხევენ უკან: ვაი, რომ — მხოლოდ ერთმანეთის წინააღმდეგ. „გარეთ მხდალი, შინ ძლიერი" ბატონიშვილები მაშინ ერთიანდებიან, როცა ერთგულ ღამისმთეველებს (ანუ ხალხს) უპირისპირდებიან. „როს გარდასულა ერთიანად დიდი-პატარა, თქვენ როგორ დარჩით ერთგულებად მოვალეობის?!" – ამ გაოცებით კარგადაა დახასიათებული მაშინდელი საზოგადოებრივი ყოფა, შექსპირის 66-ე სონეტში დახატული ვითარების ანალოგი, როცა „სიცრუე ერთგულების გახდა თვისება", უზნეობა გამეფებულა ყველგან და ყველაფერში. სავალალო გარემოებაა, თუმცა საიმედო მხოლოდ ისაა, რომ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც ზნეობა ყველაფერზე მაღლა დაუყენებიათ. „სიკვდილი გვიჯობს შერცხვენას და თავლაფისდასხმას", — აცხადებენ ღამისმთევლები და ზნეობისაკენ, ერთგულებისაკენ, წესიერებისაკენ მოგვიწოდებენ: „წესი წესია, უწესობა გაგვანიორწყლებს". მწერლის მიერ ტრადიციების დაცვის, ზნეობრიობის ქადაგებას (თითქმის ყველა ნაწარმოებში) ერთი აზრი, ერთი მიზანი აქვს – განამტკიცოს ქვეყნის, სახელმწიფოს სიყვარული, „ის ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება თითოეული ქართველის გულში არ ღვიოდეს" (ილია), კიდევ უფრო გამოაბრწყინოს და აანთოს.

განდგომილ ბატონიშვილთა ურთიერთკამათში ირონიასაც გამოურევს ავტორი. საერთოდ, ოთარ ჩხეიძეს კარგად მოუმარჯვებია ირონია პერსონაჟთა თუ სიტუაციის ხატვისთვის. მწარედ გააცინებს მკითხველს ძმათა შელაპარაკება. ცხადია, არ არის და არც მოუხდებოდა ამ ვითარებას ლაღი, შემპყრობი, გადამდები ხალისი. არა, სიცილიც მწარეა, როგორც ბედი ქვეყნისა. ნიმუშისათვის:

— მამა გიცხონდა!..

— ერთი გვყავდა მამა ორივეს.

— შენი წილი მამა გიცხონდა!..

გამემეტება ჩემი წილიც, თუ არ გეყოფა.

ან: — ერთი ძმა მეორის მოკვლას აპირებს ზედ მამის ცხედართან და:

ბარემ ორივეს ერთად დავმარხავ,

რაღას გადავდო, ესეც გაჰყვეს, ხარჯი ხარჯია.

უღვთოდ, უნუგეშოდ არეულა საზომები, ზნეობრივი ორიენტირები:

— ეს ძმათა სისხლი უფრო მეტი ცოფით აღგვავსებს

და ურდოს მტრისას მეტ სიშმაგით გარდავერევით, — როგორც ჩანს, გულწრფელად ასე სწამთ, ასე სჯერათ და იმას კი ვერ ხვდებიან, ამით „თავის თავსა“ რომ იცემენ ხრმალს.

მხოლოდ ღამისმთეველნი, ხალხი, მკითხველი გრძნობს და ცხადად ხედავს უბედურების მომასწავებელ ნიშნებს. მისტიკური თუ ფანტასტიკური სცენები სწორედ იმისთვის სჭირდება მწერალს, რათა გაამძაფროს ქვეყნის მომავალი ტრაგედიის წინასწარჭვრეტა. ისეთი რამე კვდება, იგუდება, რასაც აქამდე არ შეხებია სიკვდილი. „რაღაც ისეთი ცოდო დგება, გაუგონარი“ (შდრ.: „რაღაც დალპა დანიაში“).

ვერ ისვენებს, ბორგავს ცხედარი... და დაკრძალვითაც ვერავინ კრძალავს. „— თითქოს ისეა, თავი ჩვენი უნდა დავკრძალოთ“. თუ მეფემ არ დაკრძალა, მაშ მეფობა მოსპობილა, სახელმწიფოც გაუქმებულა, „მეფე, მეფემ უნდა დაკრძალოს“. ამიტომაა გიორგი მეფის დაკრძალვა საქართველოს დაკრძალვასთან შედარებული. უფრო ადრე გრიგოლ ორბელიანს წარმოუდგა თვალწინ სვეტიცხოვლის ტაძარში ერეკლე მეფის გვერდით დამარხული საქართველო. „სადღეგრძელოში“ პოეტურად ასე გამოითქვა ეს გრძნობა: „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“. აქ კი, ოთარ ჩხეიძის პიესაში დაბნეულა ქართველობა. თითქოს ჰყავს მეფეს მემკვიდრე და საკითხავიც არ უნდა იყოს, ვინ გამეფდეს, გარდაცვლილს ვინ მოეპატრონოს, ქვეყანას ვინ მიხედოს და მოუაროს, მაგრამ მაინც... „— ვიღა წარმართავს – გეგულება ან წარმმართველი, რო იყოს ვინმე, ამ ყოფაში ვიქნებით განა?!“ შიგადაშიგ კვნესა მოისმის

(შდრ. ილია: „ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა“). ვაი, რომ ეს კვნესა ჯერაც არ დასრულებულა. როცა მწერალი პიესას წერდა, უფლებააყრილი, წახდენილი, შეგინებულ-შეურაცხყოფილი გახლდათ ჩვენი ერი, სახელმწიფო ხომ კარგა ხნის გაუქმებული. და მწერალმა საკუთარი კვნესა, თანამედროვე ეპოქის სადარდო და სანაღვლო გამოათქმევინა მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართველთ, პიესის გმირებს: „ჩვენ რომ ჩვენ ვართ, ჯერ ესეც რო ვერ გაგვიგია“... „— დავიტიროთ მერე რო-დემდის?.. გაუთავებლად.“ ტირილის უფლებაღა შერჩენიათ, ისიც იმათ, ვისაც გაუგია, რომ სატირლად გახდომიათ საქმე (როგორც გივი გეგეჭკორი ამბობს ლექსში „თევდორე“: „ხალხმა არ იცის, საქართველო რომ იღუპება, რომ მტერი უკვე ოჯახში უზით...“).

ოთარ ჩხეიძე ამბობდა, მხატვრულ ნაწარმოებში ხასიათია მთავარიო, პერსონაჟთა ხასიათი. სხვა ყველაფერი ამის შემდეგაა საძიებელი თუ დასაკვირვებელიო. თვითონ ხასიათის ხატვის დიდოსტატი გახლდათ და ამის კიდევ ერთი დასტურია სოლომონ ლიონიძის სახე პიესაში. უფრო ადრე აღვნიშნეთ, რემარკებს ერიდება მწერალიო, ოღონდ მთლიანად უარიც არ უთქვამს მათზე. აი, როგორი დახასიათებით შემოჰყავს მთავარი მოქმედი პირი: „დინჯია და ფიცხელიცაა, ასაკი არ ეტყობა აგრერიგადა, — გამოცდილებით ხანდაზმულია, ოღონდ ჭარმაგი, ხმაში რიხი აქვს, სითბოც გადაჰკრავს; ერთგულია თავისი რწმენისა, სამშობლოსი თავისი, რწმენა ესაა, რწმენა სამშობლოა, ერთგული და თავდადებული, — მეფე მისთვის სახელმწიფოა, სახელმწიფო სამშობლო გახლავთ. ამისთვისაა თავდადებული“. თვითონაც მეფური თვისებებით შემკული მსაჯული დავითის გამეფებისთვის ზრუნავს და იბრძვის, რადგან წინამორბედთა დარად მწერალსაც მტკიცედ სწამს, მეფე – ეს სახელმწიფოა (აქ შეიძლებოდა გიორგი მერჩულის, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, გოგებაშვილს... სხვათა დამოწმება, რაც მგონი, ზედმეტია). სოლომონი წარსდგება დადებულთა წინაშე და თხზულებაში გამოჩენისთანავე მისი პირველი სიტყვები ეს არის:

მეფის დამარხვით საქართველო დაიმარხება,
თუ არ ეკურთხა ამასთანავე ახალი მეფე;
მეფეა იგი, საქართველო, მხოლოდ მეფეა,
მეფეა იგი, ენა ჩვენი, მხოლოდ მეფეა,
მეფეა იგი, რწმენა ჩვენი, მხოლოდ მეფეა,
მეფეა იგი, ისტორია, მხოლოდ მეფეა,
მეფეა იგი, მომავალი, მხოლოდ მეფეა.
მეფის დამარხვით მომავალიც დაიმარხება.

ილიასეული ტრიადა — მამული, ენა, სარწმუნოება — უკავშირდება აქ მეფეს და რა თქმა უნდა — წარსულიცა და მომავალიც. ეს დაჟინებული განმეორება — მეფეა იგი, ... მხოლოდ მეფეა — სიმტკიცეს, ურყევობას, ძალას გამოხატავს მთქმელისა, ხოლო მხატვრული თვალსაზრისით იმდენად ეფექტურია, რომ მკითხველსაც შეაგონებს, ზრდის, ასწავლის, არწმუნებს. ცნობილია ოთარ ჩხეიძის მონარქისტული შეხედულებანი, რომლებიც ყველაზე სრულად გამოხატულია წერილში: „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის".

აიეტის დროიდან მოითვლება ჩვენში მეფობის ისტორია. სოლომონი იმისთვის იბრძვის, რომ არ შეწყდეს, კვლავაც გაგრძელდეს სახელმწიფოს ბუნებრივი არსებობა, არ დაირღვეს წესი, გამეფდეს უფლისწული, ტახტის მემკვიდრე. „უმეფობაა აღზევება დანაშაულის, ჩვენი დაცემა საქართველოს დაყოფას მოჰყვა, — ბევრის მეფობას ერთი ციცქნა მიწანყალზედა", — თხოვნა, აჯა, შეგონება, რჩევა, ბრძანება... ერთად მოისმის მსაჯულის მტკიცე ხმაში.

სოლომონ ლიონიძე ქართველ მკითხველს ბარათაშვილის პოემიდან ახსოვს უპირველესად. ამ პიესის სოლომონი არ ეწინააღმდეგება „ბედი ქართლისას" პერსონაჟს. ბევრი აქვთ მათ საერთო და ეს ბუნებრივიცაა, ორივე მწერალს ისტორიული, რეალური სოლომონ ლიონიძე შთააგონებდა. ორივეგან დამოუკიდებლობის, თავისუფლების დამცველად და მქადაგებლად გვევლინება ბრძენი მსაჯული. თუმცა განსხვავებაც არის პოემისა და პიესის პერსონაჟებს შორის, ცხადია. ბარათაშვილთან დიალ-

ოგის წარმმართველი, მთავარი ფიგურა — ბრძენიც, ერთგულიც, ღვთიური მადლით ცხებული — მეფეა. პიესაში: სწორედ სოლომონს მიეწერება ის მეფური თვისებები, რაც მოჰკლებიათ უფლისწულსაც და სხვა ბატონიშვილებსაც. აქ მტკიცეა, უდრეკია, შეუვალია, დარწმუნებულია საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში და სხვასაც არწმუნებს სოლომონი. ხელისგულზე გადაშლილივით ხედავს მომავალს. ზუსტად იცის, რაც მოჰყვება ერთმორწმუნე რუსეთისაგან ნებართვის ლოდინს. უეჭველად, უთუმცაოდ გარკვეული აქვს — სხვის ხელდასხმას არ უნდა დაველოდოთ, ხელმწიფე თუ სხვას დაემორჩილა, მას ვიღა გაუგონებს? რაღა ხელმწიფე იქნება? „დაეხსენ ყოყმანს, ადი ტახტზე და დამთავრდება/შფოთი ესდენი, მტერნიც შენნი შეიცვლებიან“, — მიმართავს დავითს.

დავითი კი, რუსეთში გაზრდილი, უკვე რუსთა ერთგული ყმა, რუსეთის ხელისუფლებისაგან ელის ხელშეკრულების პირობების შესრულებას. აქ სულერთია გეორგიევსკის ტრაქტატი იგულისხმება თუ რომელიმე სხვა (მრავალი დებულება, უწყება, თანხმობა თუ სხვა რიგის დოკუმენტი შეიქმნა მაშინ, ყველა დამპყრობლის ნამდვილ მიზანს რომ ფარავდა და ალამაზებდა). დავითის გულუბრყვილო იმედი ქართველთა ერთი ნაწილის დაბნეულობის განზოგადებულად გამომხატველია, ერეკლეს გადაწყვეტილების ერთგულებით გამართლებული. „ტახტს ვინ წაგვართმევს?! რასა ბრძანებ, რა სათქმელია!.. უფლებებს ჩვენსას გვიმტკიცებდნენ ყიზილბაშებიც, ერთმორწმუნენი გაგვწირავენ?! როგორ იქნება?!“ — ასე ფიქრობს უფლისწული.

განა არა, დავითსაც უყვარს თავისი ქვეყანა, იოანესაც, იულონსაც, ფარნაოზსაც... ტახტის სხვა პრეტენდენტთაც. მომავალი განვითარების გეგმებს სახავენ. განათლების, ევროპასთან დაახლოების გარანტად ეჩვენებათ (თუ მიაჩნიათ) რუსეთი. „ტიკებს ალბობდნენ, ღვინო თურმე არ იყო არსად“, — ამ ანდაზით გამოხატავს ავტორი ვითარების ნამდვილ არსს. რუსეთთან დადებული ხელშეკრულებების ერთგულებით (ყალბად გაგებული ერთგულებით), სიფრთხილით (ზედმეტი მოზომვით) ხსნის დავითი საკუთარ გაუბედაობას. მთავარს ვერ ხედავს

სოლომონის გარდა ვერავინ. „შენ დროს ნუ ჰკარგავ, გამოფხიზლდი, ეკურთხე მეფედ, მეფედ-მეთქი, მეფედ ეკურთხე!“ დაჟინებით, მონოტონურად, მუდმივად ერთსა და იმავეს ათქმევინებს მწერალი მსაჯულს. ამ დრამატულ ეპიზოდს ღიმილიც შემოერევა. დავითის გულგრილ განსჯას — ტახტზე ასვლა ძნელი არ არის, ავალ, ჩამოვალ, რამდენჯერაც გენებოსო. — სოლომონი მოუთმენლად შეაგებებს: „შენ ასვლა ბრძანე, ჩამოსვლას ნუ დაეშურები“. აქვე სიტყვა „ხელშეკრულების“ სახალისო და ამავე დროს შემაგონებელი ახსნა: „კარგი რომ იყოს, არ ერქმევა ხელშეკრულება, — უარჰყვე ყველა, რაც არ მოგწონს, რაც ხელებს გიკრავს“.

ყველაფერს აკეთებს სოლომონი, რათა თვალებიდან ბინდი ჩამოწმინდოს „რუსეთის სიკეთის“ მომლოდინე უფლისწულს. სადღეისო საწუხარიც ისმის მის სიტყვებში:

გაგვაჩანაგა მიყრდნობებმა, მინდობამ სხვათა,
ამ ფერაობამ, ამ ლოდინმა გაგვაჩანაგა;
იმედი გვქონდა შემატების, მხოლოდ გავრთმევდნენ.

სადღეისო შემთხვევით არ მიხსენებია. მე-20 საუკუნის სარკედ წარმოგვიდგება არაერთი ეპიზოდი პიესაში, არაერთი — ნათელხილვის ნიმუშადაც გვევლინება. მაკა ჯოხაძემ მიაქცია ყურადღება ოთარ ჩხეიძის ამ უნარს, ამ თვისებას — წინასწარ ჭვრეტას მომავლისა.

სხვა რა შეიძლება დაერქვას 90-იანი წლების საქართველოს ყოფის ზუსტ აღწერას უფრო ადრე შექმნილ თხზულებაში?! სრული ანარქია, ქაოსი, გაურკვევლობა... ყველას საკუთარი სიმართლე სჯერა და სწამს. სხვისი მოსმენა, სხვისი ნაფიქრის განსჯა არავის მიაჩნია საჭიროდ.

გიჯობს მისმინო, დაიჯერო მე რაცა მჯერა,
რადგან რაც მჯერა, ის ისეა, არა სხვაგვარად!..
რამეთუ ვფიცე,თავს მოვკვეთავ ჩემს წინაღმდგომელს...

ერთნაირი სიმართლით ასახავს XIX ს-ის დასაწყისისა და XX ს-ის დასასრულის საქართველოს ცხოვრებას. თუ ბატონიშვილებმა მაინც არ თუ ვერ აუსრულეს ერთმანეთს დანამუქრები, ახლო წარსულში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში კიდეც დაიღვარა სისხლი და წინასწარმეტყველებაც გამართლდა, ცოცხლებს, მმართველებს, ძალაუფლების მქონეთ გარდაცვლილისა რომ ეშინოდათ (თუ ეშინიათ დღესაც). „ზოგი მკვდარია ცოცხალზედა უფრო საშიში". (ოთარ ჩხეიძე)

ახლა სოლომონის რჩევა ნახეთ:

შევდგეთ ერთპირზე, შევაფურთხოთ ეშმაკს და დუშმანს,
და ამოვუდგეთ მხარში იმას, ვისაც ეკუთვნის
წესით, ადათით, კანონითა და სამართლით.

ან ეს:

— ნუ დაიბნევით, ნუ აჰყვებით მაღლა მყვირალთა,
— სიბრძნე ყვირილში არც ყოფილა და არც იქნება.

და თუ ზემომომხობილი ციტატები მარადიული სატკივარის გამოხატულებად მოგვეჩვენება და კონკრეტულად ვერც ერთ დროს ვერ მივუსადაგებთ, ამითაც, ცხადია, მათ არც მნიშვნელობა დააკლდება და არც აქტუალობა.

ხოლო მწერლის წინასწარმეტყველური უნარის დასამტკიცებლად კიდევ ერთ ადგილს მოვიხმობ პიესიდან. თავგზააბნეული დიდებულები ხან რომელ ბატონიშვილს რჩეობენ მეფედ, ხან — რომელს, ხან დედოფლებსაც გადაწვდებიან, ხან — ვის და ხან — ვის. აქ ეუბნება ხალხს სოლომონი ასეთ რამეს:

აშლილხართ ისე, ფარშევანგის ფიტულსაც ირჩევთ,
გაიბატონებთ სახედარსაც, ისე აშლილხართ,
მგელსაც და ბატსაც, ინდაურსაც გაიბატონებთ,
მელა ჰო, თვითონ, თავისთავად წამოგაჯდებათ.

ლოგიკურად აქ „მელას“ ნაცვლად „დათვი“ უფრო მოუხდებოდა და მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა — „დათვის“ სიმბოლიკას საგანგებო ახსნა არც სჭირდება. მაგრამ „მელა... თვითონ, თავისთავად წამოგაჯდებათ“ უნებურად ამ სახელით („თეთრი მელა“) ცნობილი პოლიტიკოსის ასოციაციას აღძრავს. ის დრო კი, თავისთავად რო წამოგვაჯდა, ჯერ არ დამდგარიყო, როცა ეს სიტყვები იწერებოდა.

და ამის შემდეგ მწარე მოთქმა:

„მკვდარი რა არის, ჩვენი მკვდარიც ვერ დაგვიმარხავს, ამის ნებართვაც სადღაც უნდა გამოვითხოვოთ“,

შეხსენება:

არ იცი განა, შენს საშველად არავინ მოვა,
ყველა თავისკენ მიიწევს და თავისთვის ირწყავს...

შეგონება:

„რაც რო გვაძრწუნებს, რო არც ვუწყით, სწორედ იქ რო ვართ“ და მისთანანი, რა თქმა უნდა, შეიძლება მარადიული, თანამდევი გასაჭირის გაცხადებად და ამდენად, გაფრთხილებად მივიჩნიოთ.

გადარჯულების გზაზე შემდგარი, ზნეობადაქვეითებული თანამემამულეების შემყურე კაცის მწარე ამონაკვნესია:

რას არ ჩავიდენთ, რო არ იყოს სიწმინდე ქვეყნად,
პატიოსნება სასაცილოდ რო გავიხადოთ,
და ამაღლებულს ზედ რო შევდგეთ, რას არ ჩავიდენთ.

საკუთარ სათქმელს მიაწერს მწერალი სოლომონ მსაჯულს, თავის ნაფიქრსა და ნააზრევს გამოათქმევინებს პიესის პერსონაჟს, თავად იტანჯება, სხვას გვიხატავს ტანჯულად. მაინც რას გულისხმობს სოლომონ ლიონიძე (ე.ი ავტორიც) სიწმინდეში, პატიოსნებასა და ამაღლებულ გრძნობაში? — ერთადერთს, ეროვნულ იდეალთა ერთგულებას, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ — სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სურვილს. ს არის მწერლისთვის უმაღლესი ზნეობრივი ღირებულება.

შეეგუა დავითი ზედმეტი დავიდარების გარეშე სხვის მბრძანებლობას, მზადაა, საკუთარ ქვეყანას, როგორც გამგებ (და არა როგორც მეფემ) მოუაროს; „სადღაც, ვიღაც უმეცარის შედგენილ სიტყვებს, მტრულს, გაუგებარს" დაემორჩილოს. იოანესაც ეს მიაჩნია საშველად, გამოსავლად. ვინ იცის, ევროპასთან დაახლოების (იქნებ ნატოში გაწევრიანებისაც) ნატვრა ასე უფრო მალე და იოლად ავისრულოთო. ქვეყნის პატრონნი, მმართველნი ეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას. რაღა ჰქნას ხალხმა? ნათელმხილველი თვალისთვის არაა დაფარული, რაც მოჰყვება უცხო ქვეყნის შემოსვლას ჩვენს მიწა-წყალზე:

სიონის ფრესკებს წაგვიშლიან, გაგვიდღაბავენ,
სვეტიცხოვლისაც, გელათისაც, წუღრუღაშენის,
რო დავივიწყოთ საამაყო დრონი წარსულის,
ვითომ ცხოვრება, ეს არის, რომ ახლა დავიწყეთ,
ვითომც არასდროს არც ვყოფილვართ, არც რა გვქონია.

რომანში „იტალიური დღიურები ბაირონისა" ოთარ ჩხეიძე ბაირონის გაბრაზებას საკუთარს ააყოლებს: „მხოლოდ იმის თქმა მინდა, ბედშერიგებული იტალია რომ აბრაზებს ბაირონსა, ადამიანი აბრაზებს ბედს შერიგებული, აბრაზებს ერი ბედსშერიგებული, ეს მხოლოდ ღირსების დამცირებად როდი, გადაგვარებად მიაჩნია ერისა" სხვაგან: „სრულფასოვნადაც არ ჩაითვლებოდა დამორჩილებული ერი, ხელიდან ხელში გადასული ერი, ხელიდან ხელში გაცვეთილი ერი..." იმავე რომანში ყველასთვის საგულისხმო და გასათვალისწინებელ გაფრთხილებად ისმის: „—თქვენი წარსული, ეგ დიადი თუ სატრაბახო წარსულიც იმათივე ისტორიის ნაწილადვე გამოცხადდება მთელი თავისი ავლადიდებითა, მხოლოდ ნაწილად გამოცხადდება და თავიანთ მოკლე ცხოვრებას მითების დრომდე დაიგრძელებენ"...

შემთხვევითი არ არის, დავით ბატონიშვილს დიდებულები დავით აღმაშენებლის სახელს და საქმეთ რომ ახსენებენ. აღმაშენებლობა უნდა შეძლოს ახლა ქვეყნის პატრონმა. „საქართ-

ველოს ცას სილა გააწნეს... ასე უაზროდ ვინა ჰკარგავს თავისუფლებას?...“, — ვერც სოლომონის მეტაფორები, ვერც არაორაზროვანი და პირდაპირი მოწოდებები მიზანს ვერ აღწევს: „ჩვენ მტერთა ჩვენთა ჩვენივ თავის რწმენა წაგვართვეს, და შთაგვაგონეს თავიანთი უძლეველობა“.

ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედების დაწყებისთანავე ისმის ლაშქრის ფეხის ხმა, რომელიც შიგადაშიგ რამდენჯერმე მეორდება. ფეხის ხმის გაძლიერება და ტაძარში მიმდინარე საუბრის სულ უფრო დამძიმება ერთდროულად მიმდინარეობს. იმპერატორის საბოლოო გადაწყვეტილების გამჟღავნებასა და ქართველთა დამორჩილებას კი მოჰყვება ლაშქრის სიონში შემობიჯება, თითქოს „ფეხქვეშ ამოდებულა ყველა და ყველაფერი“, რაც სიმბოლურად, ცხადია, მარტო სიონის კი არა, მთელი საქართველოს ფეხქვეშ გაქელვას ნიშნავს — ენის, რწმენის, ისტორიის, ტრადიციების, კულტურის, ზნეობის, წესის, სამართლის... — შეურაცხყოფას, აბუჩად აგდებას, გაარაფრებას. ამიერიდან ღირსებისთვის — „ჩვენის, ჩვენადის, ჩვენეულის, ჩვენს მიერის“ სიყვარულისთვის — დამპყრობთაგან შურისძიება მოელის ყველას, ხოლო უღირსობისთვის — ჯილდო და ტაში.

სინამდვილეში, ისტორიულად რამდენიმე წლის შემდეგ მომხდარი ამბები ნაწარმოებში მაშინვე, იქვე ხდება. ლოგიკურად მართლაც რუსეთის შემოსვლას მოჰყვა ბატონიშვილთა და დედოფლების გადასახლება. ამიტომ ეს პირობითობა პიესაში სავსებით გამართლებულია. სიონში გაისმის რუსი გენერლის როყიო ხმა: „ჩვენ სადაც მივალთ, აღარ წავალთ მერე იქიდან“, ხოლო როდესაც სოლომონი ზრდილობისკენ მოუწოდებს და ქართველი ერის უძველეს კულტურას შეახსენებს, პასუხად კვლავ მუქარა: „მოვიცლი შენთვის, დაგავიწყებ მაგ შენს ბიბლიას“.

მარიამ დედოფალმა ისტორიულადაც და პიესაშიც იარაღით (ხანჯლით) მოკლა რუსი გენერალი და ამით დაიცვა საკუთარი და ქვეყნის პატივი და ღირსება.

ამის შემდეგ შორდება მემატიანეებს ავტორი, რომელიც ყველა შესაძლო შემთხვევას თავისუფლების საქადაგებლად

იყენებს. სოლომონი ახლა მარიამს მოუწოდებს, შეკრას ერი და ჩაუდგეს სათავეში, თუმცა დედოფალი გრძნობს, რომ უკვე განწირულია.

პირობითობაა აგრეთვე უფრო შორეული მოვლენების, კერძოდ, რევოლუციის დაკავშირება ამ თემასთან, მაგრამ მხატვრული ლოგიკით ხომ სწორედ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, უმეფობა, უსჯულოებაა ყოველგვარი ანარქიისა და არეულობის საფუძველი.

საფრანგეთის რევოლუციის გამოძახილია სემინარიელთა მოწოდებები:

— დაგვიგვიანდა, ჩქარა, ჩქარა, რევოლუცია!...

— ვოლტერი გვინდა,

— ჟან-ჟაკ რუსო...

— რობესპიერი!..

— გილიოტინა!...

სხვათა შორის, რიტმულად ერთნაირად ჟღერს ის ეპიზოდები, როცა სხვადასხვა ბატონიშვილს ასახელებენ დიდებულები ტახტის მემკვიდრედ და სემინარიელთა რევოლუციური გამოსვლების ამსახველი ადგილები — ორივეს ნერვიული, დაძაბული, ურთიერთდაპირისპირებული, რაღაცნაირი სამტრო ტონალობა აქვს.

როცა უზნეობა, უნამუსობა, აღრეული საზომები გამეფდება, იქ დაკარგული სახელმწიფოს აღდგენა კი არა, არსებულის შენარჩუნებაც შეუძლებელია. „რო არ დავკარგოთ ერი ჩვენი, მითების დროის, სხვამ არ ნაგგვლიჯოს და თავისად არ გაიხადოს“, — სწორედ ამისთვის უნდა მიენიჭოს თავისუფლება პატიოსნებას, მკვლელსა და ჯალათს ტაშს არ უნდა ვუკრავდეთ, გამცემსა და მოღალატეს ძეგლს არ ვუდგამდეთ, სინდისს და ნამუსს არა ჰქონდეს შიში არაფრის, რაც მთავარია — გადამთიელი არ გარდგვექცეს განმკარგულებლად.

ოთარ ჩხეიძის მხატვრული ხელწერა სინონიმთა სიუხვითაც არის გამორჩეული და ერთი და იმავე სიტყვის რიტმული გამეორებითაც (სხვა ბევრი რამითაც, რასაკვირველია). მახვილი (თუ აქცენტი), ცხადია, იმ სიტყვაზე (სიტყვებზე) კეთდება, რომ-

ლის (რომელთა) დამახსოვრება, მკითხველის გულსა და გონებაში ღრმად, ამოუშლელად აღბეჭდვა სურს მწერალს. ამ პიესაში სხვადასხვა ადგილას მეორდება „მეფე“, „ჩვენი“, „სამშობლო“, „რწმენა“... ზერელე წაკითხვითაც ჩანს, რომ ეს სიტყვები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ეს ცნებები ერთმანეთს განაპირობებენ. ზემოთ განმეორების მაგალითებიც მოვიყვანე. აქ თავს ვერ ვიკავებ კიდევ ერთი ნიმუშის გადმოწერისაგან, მით უმეტეს, რომ ეს ციტატა სულაც რამდენიმე თვის წინ დაწერილს ჰგავს. როცა სოლომონი სხვათა ომებში დაღვრილ თუ დასაღვრელ ქართველთა სისხლზე საუბრობს, დაასკვნის:

წვეთი რა არის, არავისთვის გაიღონ წვეთი,—
სამშობლოსათვის, სამშობლოსათვის, სამშობლოსათვის,
სხვა არავისთვის, არავისთვის და არაფრისთვის.

ქვეყნისთვის საბედისწერო ჟამს ერთი, ერთადერთი ადამიანი, სოლომონ ლიონიძე დარჩენილა, ვისაც არ დაუკარგავს სიწრფელე, პატიოსნება, ერთგულება და კეთილშობილება. ახლა მას სთხოვენ პრეზიდენტობას, ახლა მის გარშემო შემოკრებილან და მას შეჰღაღადებენ, მაგრამ იგი წინასწარმეტყველური სიბრძნით უპასუხებს:

კერპად მაქცევთ, მერე დამამსხვრევთ,
ჩემს ნამსხვრევებს რო ზედ შედგებით, აქირქილდებით,
სასაცილოდაც არ გეყოფათ ჩემი კერპობა.

აკი, აუხდა კიდეც მწერალს ნათელხილვა გასული საუკუნის 90-იან წლებშიც, ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც...

XX საუკუნის ჩვენი ყოფის სარკეა „ვითომ, ვითომობაში“ ცხოვრება. ვინც მოჩვენებითობას, სიყალბეს არ ემორჩილება, ის მოღალატედ ან სულელად შეირაცხება. პიესის მიხედვით, დაპატიმრებულ სოლომონს გაქცევას სთავაზობენ, მან კი იცის, რომც გაშორდეს საპყრობილეს, მაინც ვერ იქნება თავისუფალი, რადგან „პატიოსნება ბორკილებში გამოჭედილა“.

მწარე მოთქმად გაისმის სოლომონის გამომშვიდობება თბილისთან, რაც მთელ ქვეყანასთან და საერთოდ, სიცოცხლესთან განშორებასაც გულისხმობს. ყველაზე დიდი დარდი ამ მამულის უკეთესი შვილისა ის გახლავთ, რომ აწი სამშობლოსთვის წამების, თავის დადების საშუალება აღარ ექნება.

ასე გულისმომწყვლელად მთავრდება პიესა, მაგრამ მკითხველს რჩება განცდა, ქვეყანას, სადაც თუნდაც ერთი ისეთი მტკიცე და თავგანწირული ადამიანი ცხოვრობს, როგორიც სოლომონ მსაჯულია, გადაშენება არ უწერია.

* * *

პიესა დაიდგა გორის თეატრის სცენაზე და რადიოსპექტაკლად საქართველოს რადიოში.

თუმცა, ალბათ, ეს საკმარისი არაა. ფორმითა და შინაარსით მუდამ თანამედროვე ეს პიესა ყოველთვის დაამშვენებს ნებისმიერი თეატრის სცენას.

ოთარ ჩხეიძის „ნაკრძალი“ — როგორც ფაუსტური პარადიგმა

„სადა ნაყოფიერებაი ბოროტთაი, მუნ უნაყოფობაი კეთილთაი“. იოვანეს ეს შეგონება ეპიგრაფად უძღვის ოთარ ჩხეიძის რომანს „ნაკრძალი“. მასში მოკლედ, ზუსტად, ფორმულასავით მოქნილადაა გამოხატული მთელი ნაწარმოების სათქმელი. ამქვეყნად ცარიელი სივრცე არ არსებობს. სადაც და რასაც ღვთიური ნათელი აკლდება, მის ადგილს ეშმაკი, ბოროტი იკავებს და პირიქით, სადაც ბოროტება და უზნეობაა გაბატონებული, იქ კეთილი ადგილს ვერ პოულობს.

სიკეთისა და ბოროტის ეს მარადიული (ფაუსტური) ბრძოლაა ასახული რომანში, რომელშიც მოქმედება კონკრეტულ ეპოქაში, საბჭოთა მმართველობის დროს იშლება. „ბოროტების იმპერიაში“ სხვადასხვა სახით მოვლენილი მავნე, ეშმაკი, მაცილი ხარობდა და გასაქანს არ აძლევდა ნიჭს, სათნოებას, ღირსებას, ერთგულებას... დაუსაბამო ქიშპობა ორი სულისა საბჭოთა ეპოქაში კიდევ უფრო მეტად გამკვეთრდა. ერთის ხმა: მე ვარ ნუგეში, მარადიული სიცხადე, სიმშვიდე... თითქმის მთლიანად მიიკარგა, მიყრუვდა, ხოლო მძლავრად გაისმოდა მეორე: მე ვარ ძილის მოგვრა, სიხარული, სიცოცხლე... საუკუნო ცხოვრების დამვიწყებელთ ეს უკანასკნელი მოუხმობდა, მოუწოდებდა, თავის ნებაზე დაატარებდა... ბოროტების ნაყოფიერების ჟამს უნაყოფოდ ჭკნებოდა კეთილი.

რომანში ამბავი ნაკრძალში (კერძოდ — ლაგოდეხის) იწყება. ყველასაგან განმარტოებული ქალ-ვაჟი, უფრო სწორად ახალგაზრდა ქალს ადევნებული ვაჟი, აფერადებული, მზით განათებული გარემო (თითქოს ყველაფერი ვნებით აშლილა, თითქოს ყველაფერი ცეკვავსო), მწერლის ლაღი, ხალისიანი სტილი მკითხველს თავიდან რომანტიკულ განწყობას უქმნის.

სანამ პერსონაჟებს ახლოს გავიცნობდეთ, მანამ ვხედავთ ქალს, რომელიც „ოდნავ იღიმოდა, არას შესძახოდა, არას ანიშნებდა, არც აქეზებდა, არც ნიშნს მიუგებდა. გარშემო შემოეჩრდილა მუხის ტოტებსა, ეს მზისად დაეტოვა, მზისადა, მზიგულადა, დაშვებულ მზიგულადა,—ამოეშუქებინა სიმწვანეშია". იქვეა ვაჟიც. „იმას ხელები აეწია და ქანაობდა, აქენჩრილი წყალი მიუთქრიალებდა ფეხქვეშა, აქენჩრილი, აქაფული, ჩქარი, ხმაურიანი". ამ სახიერი სურათის მიღმა, ამ მიჯრით მინყობილი ეპითეტების უკან თითქოს თვით ცხოვრება, ასეთივე აქაფებული მომავალი ილანდება პერსონაჟისა. ამ პლასტიკური სურათით შევყავართ მწერალს რომანის სამყაროში და თავიდან სწორედ ამ ორ ადამიანს — ლანა კორკოტაძესა და გიტო გორდაძეს — გვაცნობს. ქართველ მკითხველს ასოციაციურად ილიასეული გიტო გაახსენდება უთუოდ. მწერალი, როგორც ჩანს, არა ქვეცნობიერად, არამედ სრულიად შეგნებულად მოიხმობს ამ სახელს, რადგან გიტოები დღესაც მრავლად არიან ჩვენში.

საკუთარი კეთილდღეობის, მოსაპოვებელის გზაზე არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა გიტო. სხვაზე მალე და სხვაზე მარჯვედ იხვეჭდა „სულ სხვა ხერხებითა, არცთუ გამოსაჩენი და საამაყო ხერხებითა"... გიტო განზოგადებული სახეა მეფისტოფელური ბუნების ადამიანისა. პოლ ვალერის აზრით, ეშმაკი თვით ცხოვრებაში ხედავს მეტ საშინელებას, ვიდრე ჯოჯოხეთში. ამიტომაც ის იშორებს „კლასიკური დემონის" სახეს და სრულიად ახალი, „ცივილიზებული" ფორმით გვევლინება. ერთი იმათგანი, როგორც მწერალი ამბობს, „ერთი სატირთაგანია" გიტოც. ზოგადად ეპოქის, ნიშანდობლივ კი საბჭოური წყობის დახასიათებად ითქმის: „ჩაფიქრება თუ ანალიზი გამოცხადებულიყო მოძველებულადა, უვარგისადა, თითქმის სიავედ გამოცხადებულიყო, აღიარებულიყო შეუფერებლადა აჩქარებული დროისა. ტემპი ქცეულიყო მომხიბლაობადა, სიჩქარე კერპად აღმართულიყო, აღმართულიყო გულისა და სულის ნანგრევებზედა". ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობაში" აღწერილ ერთ ეპიზოდს მოგვაგონებს ოთარ ჩხეიძის დახატუ-

ლი როკვა სატირებისა კერპის წინაშე. კერძოდ, ლილიპუტების ქვეყანაში იმპერატორის საამებლად თოკზე ჯამბაზობას თანამდებობის მაძიებელთა და თვით მინისტრთა მიერ. ადამიანური ყოფის მარადიული პრობლემაა წარმოსახული ამ სურათში — კერპების წინაშე მროკავი სატირების სურვილია, თვითონაც იქცნენ პატარა კერპებად, კერპუნებად. თვითონვე შემოიხვიონ თავისი სატირნი, მაამებელნი, თავდავიწყებით მროკავნი. კაცობრიობისა და კონკრეტული ქვეყნისა და ეპოქის სატკივარს ერთდროულად გამოხატავს „ნაკრძალის“ ეს ეპიზოდი.

ფერდობზე ამავალ ბილიკს თუ ნაბილიკარს მიჰყვება ქალვაჟი. მაღლა ასვლის მისტერია ღვთის სახლს — ტაძარს ან მონასტერს — ისედაც გულისხმობს. მით უმეტეს, რომ ტაძრის ნანგრევები რეალურად ჩნდება რომანში. XIX საუკუნეში დანგრეული ტაძრით დაშლილი, განადგურებული საქართველო წარმოსახა გრიგოლ ორბელიანმა (ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“). ადამიანის დანგრეული, დამცრობილ-გაშიშვლებული სულის სიმბოლოდ წარმოჩნდება ნატაძრალი ოთარ ჩხეიძის რომანში. საოცარი ძალითაა აღწერილი მიწიერ არსებობაზე ამაღლებული ბუნების ეს საოცრება — ხელთუქმნელი ფრესკები — ღვთაებრივი სახე წმინდა ნინოსი, წმინდა თამარისა, წმინდა ქეთევანისა, წმინდა დავით აღმაშენებლისა... წარმოსახვის უნარი, რწმენა და ქვეყნის სიყვარული უნდა ჰქონდეს ადამიანს, ხავსმოდებული ლოდებიდან წინაპართა სახეებმა რომ შემოანათოს „აბიბინებულ ფრესკებად“. გიტოს არათუ ხავსი ხავსად მოეჩვენებოდა, თვით ნანგრევიც გამოეპარებოდა, არაფერს ეტყოდა, არაფერს ანიშნებდა ეშმაკეულ გზაზე მავალს. დიდი კონტრასტია მწერლის მიერ აღწერილ ბუნებასა და იქ გათამაშებულ დრამას შორის. გულისშემძვრელი სევდა იპყრობს კაცს ღვთის საუფლოში მეტისმეტად მიწიერი, რომანტიკულობისაგან დაცლილი, რუსთველის მიერ „სიძვად“ სახელდებული ურთიერთობის შემყურეს.

მიწიერი ვნების ამ ქარიშხალში მწერალს მოქმედ პირად სიკვდილი, უფრო ზუსტად, სასაფლაო შემოჰყავს. საკუთარ ჩონჩხს (ე.ი. სიკვდილს) ხომ ყოველთვის თან დაატარებს ადამიანი და

ვაი მას, ვისაც სასუფევლის იმედი, სულის უკვდავების რწმენა წართმევია. სიკვდილი მისთვის სამუდამო გაქრობა, გაცამტვერებაა. უზომო სინანულს იწვევს ყოფილი მონასტრის დედათა სასაფლაო, სადაც იშვიათად თუ განისვენებს ივ(16) წელს გადაცილებული მონაზონი.

ჩვენი დაკნინებისა და დაძაბუნების ნიშანია, ქალაქგარეთ გასეირნების მსურველთ ნაკრძალში ფეხის შედგმაც რომ ეზარებათ. ნამონასტრალსა და დიდი ხნის გარდასულთა საფლავების ნახვას ვინ ჩივის, იქვე, ნაკრძალის შესასვლელთან შეჩერებულან და მოსასვენებლად საზეიმო, აივნებიანი დარბაზები აურჩევიათ.

რომანის ერთი მთავარი მოქმედი პირი, სოფრომ ბროძელი, მხოლოდ მესამე თავში გამოჩნდება, ახალი კვანძი შეიკვრება და მოქმედებაც სხვა სადინარით წარიმართება.

გარეგნულად ერთი უჩინარი, თუმცა მღელვარე შინაგანი ბუნების პატრონი გახლდათ სოფრომ ბროძელი — საქმისათვის თავდადებული, წესიერი, პატიოსანი, კარგი მეცნიერი, თაობათა აღმზრდელი. თავის მოვალეობას ყოველთვის დროზე და რიგიანად ასრულებდა, ამიტომ შენიშვნას არასოდეს იწვევდა, ქებითაც არავინა ქებდა, რადგან ამას არ ითხოვდა.

პროტოტიპი რომანის მეცნიერისა ცნობილი ბუნებისმეტყველი თედო ჟორდანიაა. იგივეა პროტოტიპი ოთარ ჩხეიძის ნოველის („იშვიათი ნიმუში“) ერთი პერსონაჟისაც.

მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში „ჩემი სავანე“ არის ერთი ასეთი საინტერესო ეპიზოდი: უფლისციხეს ერთდროულად სტუდენტთა ორი ექსპედიცია სწავლობს. ერთსაც მათი პედაგოგი, პროფესორი ხელმძღვანელობს და მეორესაც, ოღონდ მათი ინტერესები სხვადასხვაა. ისტორიკოსი სერგი მაკალათია ახალგაზრდებს საქართველოს წარსულს ასწავლის და აყვარებს. ბუნებისმეტყველი თედო ჟორდანია ბუნების შვილთა — ჯოჯოების, ხვლიკების, გველების... გასაცნობადა და შესასწავლად მიუძღვის სტუდენტებს.

თითქოს მზა თემაა ნოველისთვის, მაგრამ მის შესაქმნელად ჯერ მწერლის თვალი, მერე მწერლის წარმოსახვა და ძლიერი კალამია საჭირო. რამდენ ასეთ მზა სიუჟეტს გვაძლევს ყოველდღიურობა მხატვრული ნაწარმოებისთვის, მაგრამ განა ყველას

შეუძლია მათი დანახვა, შემჩნევა, და, რაც მთავარია, მერე მოთხრობად ან ნოველად გარდასახვა?

სინამდვილეში არასოდეს შეხვედრიან თურმე ისინი უფლისციხის ექსპედიციების დროს ერთმანეთს, მაგრამ მწერალი ხომ მარტო იმას არ წერს, რაც მოხდა, არამედ იმასაც, რაც შესაძლოა მომხდარიყო და აი მწერლის წარმოსახვამ უფლისციხის თავზე შეყარა ერთად სტუდენტთა ორი ჯგუფი, ორი მეცნიერი...

„ოთარ ჩხეიძისებური დახვეწილი ხელოვნებით, რიტმის გამკვეთრებით შემოცურდებოდა ღრმა სიმბოლიკა ყოფით სურათთან ფონზე, გველეშაპის მიერ მზის შთანთქმის მითოსური ხატი, მისტიკურ იდუმალებასაც შეინარჩუნებდა და რეალისტურ თხრობაშიც ძალდაუტანებლად ჩაერთვოდა. ერის ბედისწერასთან გადაჯაჭვულიყო მითოსური ხატი, ეს გამჭვირვალე გაიგივება კი კიდევ უფრო მძაფრს გახდიდა მზის შთანთქმა-ამობრწყინების მისტერიას“, — წერს როსტომ ჩხეიძე წიგნში „ორი მდინარის შესაყარზე“. უკეთესად ვერ იტყვი.

ჯოჯოებით დატვირთული პერსონაჟი ნოველისა თბილი იუმორითაა შეფერილი, ამიტომაც იწვევს მკითხველის უნებურ ღიმილს და იმავე დროს სრულიად გააზრებულ პატივისცემასა და სიყვარულს. თავისი საქმისათვის თავდადებული, უანგარო პედაგოგია ნოველის ბუნებისმეტყველი. თავისი საქმის ფანატიკოსია „ნაკრძალის“ ბუნებისმეტყველიც. რომანში სოფრომ ბროძელის პირველ გამოჩენასაც ახლავს თან ერთგვარი ხალისი. მოხუცი, პენსიაზე გასული მეცნიერი, რომლის არსებობაც არავის ახსოვს დაწესებულებაში, სადაც ერთ დროს მუშაობდა, რაღაცით აღშფოთებულ-აღელვებული, ჯიქურ მოინდომებს დირექტორთან შესვლას — არც მდივანს მიხედავს, არც არაფერს იკითხავს — დაკეტილი კარიც ვერ შეაჩერებს, იმწუთას, სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ უნდა დაურეკოს, დაელაპარაკოს, მაგრამ, სად? — შინ? სამინისტროში? აკადემიაში? რედაქციაში?.. და როცა მიხვდა, ასე ადვილად ვერ მიაგნებდა, „მოეშვა უეცრადა, მოწყდა, ჩაიმტვრა, ჩაილეწა, ჩაიფშხვნა სკამზედა.“ სინონიმთა ეს რიგი რეალური ეპიზოდის გარდა, მკითხველს მეცნიერის მომავალ ბედზეც მიანიშნებს ერთგვარად, ომახია-

ნად წამოწყებულ ბრძოლაში მისივე დამარცხების სიმბოლოცაა. მაგრამ იქავე მოცემულია პორტრეტი გულად ქცეული კაცისა; ადამიანისა, რომლისთვისაც ამქვეყნიური ცხოვრება ამაოებად ქცეულა, ვისთვისაც მატერიალურს ფასი დაუკარგავს და ვის მოქმედებასაც მხოლოდ გრძნობა, მხოლოდ სულიერი ღირებულებები წარმართავს. ეს კი ფიზიკური მარცხის მიუხედავად სულიერ გამარჯვებას მოასწავებს უთუოდ. სხეულსაც შინ დატოვებდა, რადგან აღარას არგოდა, ასეთი რამ რომ შესაძლებელი იყოსო, — გვეუბნება ავტორი.გულზე მიხუტებული უამრავი საქაღალდე, ჟურნალი, გაზეთი, ნაწერი უფრო ეძვირფასებოდა, ვიდრე საკუთარი სხეული. „იყო გული, გული გულადი, გაკაჟებული“. სოფრომ ბროძელს სწორედ ეს სულიერი ფრთაგაშლილობა წარმოაჩენს თავიდანვე ფაუსტურ პერსონაჟად. ასეთი ტიპები ხომ მუდამ ჭეშმარიტების ძიებას ემსახურებიან.

აღმოჩნდა, რომ სოფრომის ნაშრომი ურცხვად, უტიფრად, უსინდისოდ მიიტაცა, მიითვისა გიტო გორდაძემ. „საქართველოს ნაკრძალები, თავი პირველი, ლაგოდეხის ნაკრძალი“, — ხანდაზმული მეცნიერის აქამდე გამოუქვეყნებელი ნაშრომი სიტყვასიტყვით, უმეტნაკლებოდ გადაუწერია ამ ახალგაზრდა, „იმედისმომცემ მკვლევარს“ და ჟურნალში საკუთარი სახელით გამოუქვეყნებია. ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს სიმართლე და სიცრუე, კეთილსინდისიერება და უზნეობა, პასუხისმგებლობა და საქმისადმი ზერელე, ჰაიჰარა დამოკიდებულება. თითქოს რა დამტკიცება უნდა ნათელს, ჭეშმარიტს, ყველასათვის იოლად დასანახს — აგერ ძველი, ჩაყვითლებული ხელნაწერი და აგერ ახალთახალი ჟურნალი. ოღონდ იმ სამყაროში, სადაც სიტყვას ფასი დაჰკარგვია, ნათქვამს არავის უჯერებენ, საზოგადოებაში ტყუილი, მლიქვნელობა და ძალადობაა გამეფებული, ცხადის დამტკიცებაც გაძნელებულა.

სულიერად ძლიერი პიროვნებაა სოფრომ ბროძელი. მას სწამს, რომ სიმართლეს ყველასათვის ნათელს გახდის. არასოდეს უბრძოლია ჯილდოებისთვის, დაწინაურებისთვის, ტაშისა და მადლობისთვის. მაგრამ მზადაა, იბრძოლოს სიმართლისთვის. თავიდანვე შეახსენეს და მისთვისაც ცხადი გახდა, რომ

არ იქნებოდა ბრძოლაში გამარჯვება იოლი, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ ყველას თუ ვერა, პატიოან ხალხს მაინც დაუმტკიცებდა სიმართლეს, მათ თვალში მაინც ჩამოგლეჯდა ნიღაბს უვიცობას, უტიფრობასა და უსინდისობას.

რომანის ამ ეპიზოდსაც რეალური ამბავი უდევს საფუძვლად. „ჩემ სავანეშია" მოთხრობილი ის კომიკური ამბავიც, შალვა რადიანმა სიტყვასიტყვით რომ გადაწერა იპოლიტე ვართაგავას ერთი ადრინდელი ნაშრომი რაფიელ ერისთავზე და თავისად გაასაღა. მხილების შემდეგ კი თავი იმართლა თურმე, ვფიცავ, ცოცხალი აღარ მეგონა და თუ ამდენ ხანს უცოცხლია, რა ჩემი ბრალიაო. თავის მართლებაც ასეთი უნდა! „ნაკრძალში" პირდაპირ გადმოვიდა ეს გულწრფელი აღირება. გიტო გორდაძის მეგობარი, რომელმაც მოუნახა და მიაწოდა მტვერწაყრილი გამოკვლევა, გულით წუხს: „— ეგ მე რა ვქნა, თუ აქამდის უცოცხლია მაგ ოჯახდასაქცევსა?! თავი მომიკვდეს, თუ ცოცხალი მგონებოდეს, თავი მომიკვდეს, რასაც გინდა, დავიფიცებ, არა, აღარ მეგონა ცოცხალი..." შემაშფოთებელი, სულისშემძვრელია სიბრიყვის ასე შიშვლად წარმოჩენა? მაგრამ... „კარგი გული კი მაშინვე გრძნობს ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია". ოთარ ჩხეიძეს ყველაზე უკეთ მისივე სიტყვები შეეფერება, ბერნარდ შოუს შესახებ რომ წერდა: „ის ხომ მხოლოდ მხატვარი იყო, ალალი, პირუთვნელი, მართალი მხატვარი. ის ხომ საღი თვალის ადამიანი იყო, იშვიათი გამონაკლისი ბუნებისა. საღი თვალი ჰქონდა და ყველაფერსა ჰხედავდა ნათლადა, მკაფიოდა, ჰხედავდა, ხატავდა რაც იყო, როგორც იყო, ჰხატავდა ისე, რომ უმწვავეს სურათებშიც აქსოვდა სიცილსა — და განა უგრძნობელს ძალა ეყოფოდა სიცილისთვისა, განა უზრუნველი ჩადრს ჩამოგლეჯდა ბოროტებასა და უბედურებას, განა უზრუნველი, მოძულე ადამიანისა ასე თავგამოდებით შეებრძოლებოდა თავგასულებსა, მატყუარებსა, მწამებლებსა, მკვლელებსა?"

თავად მწერალი გახლდათ ფაუსტური სულისა — ჭეშმარიტების, მშვენიერების, სიკეთის, ზნეობრიობის მაძიებელი და დამფასებელი. იგი ცდილობდა ბედით შემოფარგლული საზღვ-

რის გადალახვას, მუდამ ჯერაც შეუცნობის სფეროსკენ მიისწრაფოდა და დაუმცხრალად ცდილობდა შემეცნების ფარგლების გაფართოებას. ამასვე ასწავლიდა ახალგაზრდებს, თავის სტუდენტებს. მხოლოდ მოგონება (ემელიანე გოგინავას გადმოცემა) შემოგვრჩენია იმის შესახებ, როგორ საუბრობდა ლექტორი „ფაუსტზე", როგორ ახლებურად ახსნა მრავალგზის და თითქმის სრულყოფილად შესწავლილი ეს საკაცობრიო თხზულება. „არადა, აწუხებდა და ძალიანაც აწუხებდა ეს პოლემიკა — ფაუსტური ძიების ჟინი და მისი ათასგვარი ვარიაცია, გოეთეს ეპიკური ქმნილებით დაგვირგვინებული" (როსტომ ჩხეიძე).

ოთარ ჩხეიძეს მიაჩნდა, რომ ფასტური პრობლემა ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ხელშესახებად ვასილ ბარნოვის „მიმქრალ შარავანდედში" აისახებოდა და უკვირდა, რომ მიხეილ კვესელავას „ფაუსტურ პარადიგმებში", თავისთავად ძალიან კარგ წიგნში, ეს ნაწარმოები არც იხსენიებოდა. თვითონ კი ბიოგრაფიულ რომანში „ვასილ ბარნოვი" ერთი თავი მთლიანად უძღვნა „მიმქრალი შარავანდედის" დეტალურ განხილვას და სრულიად ახლებურად დაინახა და სავსებით სწორად ახსნა დედოფალ თინათინის გარდაცვალების ეპიზოდი.

ვნებას, მიწიერ დიდებას აყოლილი დედოფალი ღმერთთანაც თვალთმაქცობდა, ღმერთს თხოვდა დახმარებას აშმაკეულ საქმეში. ბოლოს სატანა გამოიხმო და პასუხი მოთხოვა აღთქმათა შეუსრულებლობისათვის. სწორედ ურთიერთბრალდებანი დედოფლისა და სატანისა დასახა ოთარ ჩხეიძემ ფაუსტისა და მეფისტოფელის კამათის დარად და ფარდად. არ დაუთმო ანგელოზმა აღსრულებული დედოფლის სული სატანას. არც ფაუსტის სული დაუთმეს ანგელოზებმა მეფისტოფელს და ზეცად აღამაღლეს ის. რაც მთავარია, ზუსტად ამოიცნო მწერალმა სხვა მწერლის ჩანაფიქრი, ნაწარმოების ძირითადი აზრი: „ესაა აზრი ეროვნული ერთიანობის აღდგენისა, ეროვნული აღორძინებისა, სიმტკიცისა, თავისუფლებისა... ზეცად აღიმაღლა ტანჯული სული, სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ტანჯული..."

ფაუსტური ძიება გარკვეულწილად სიგიჟეა. შექსპირი ამბობდა: „რა საჭიროა ბრძენის სიგიჟე?" ეს ის „შეპყრობილი" ძიე-

ბაა, ჭეშმარიტების ის სიყვარულია, რომლის შესახებაც რუსთველი ამბობდა, ჭკვიანნი ვერ მიხვდებიანო. ამ ძიებათა გზაზე პატიოსნება ხშირად განწირულია, დაჩაგრული, გვემულ-ტანჯული.

პატიოსნებას მრავალი იარაღით ებრძვის ძალა და გავლენა. „ისარს სხვა მომაკვდინებელი საშვალებანი შენაცვლებია, ბევრად ძლიერნი, გაუგონრად ძლიერნი“, — ოთარ ჩხეიძის მწუხარე და იმავე დროს რეალობის ზუსტად ამრეკლავი ფრაზაა.

მიხეილ კვესელავა „ფაუსტურ პარადიგმებში“ სხვა ნაწარმოებებთან ერთად გერმანელი მწერლის, მიულერის ორ თხზულებასაც განიხილავს, რომლებშიც ცხოვრება წარმოდგენილია, როგორც „პატიოსნების საპყრობილე“. ყველგან და ყველაფერში უსამართლობაა გამეფებული. პატიოსან კაცს ცხოვრება უჭირს. ვიგინდარები და გაიძვერები კი ფუფუნებაში იხრჩობიან...

„ნაკრძალში“ ცრუმეცნიერ გიტო გორდაძის წინაშე ყველა კარი გადახსნილია. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაც კი არა აქვს, რას აქვეყნებს, ძალა და გავლენა მასა აქვს და ამიტომ საზოგადოებაც მას უჭერს მხარს. გარდა იმისა, რომ სხვისი ნაშრომი მოიპარა, მიითვისა და მალე დისერტაციის დაცვასაც ამ გზებითა და ხერხებით აპირებს, კრებაზე წარმოთქმული სიტყვისას თანამშრომლებს ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მიმართავს: „სხვებრ, ათენელნოო...“ ვერ გრძნობს შეუსაბამობას თავის სიტყვასა და ათენელი ბრძენის სიტყვას შორის. თუმცა უფრო სამწუხარო და სავალალო ისაა, დამსწრეთაგან რომ არავის უთქვამს, ნეტა აქ ათენელს ვის გვხედავო. „სხვებრ, სამარყანდელნო“ რომ ეთქვა, იმასაც შეიფერებდნენო, — მწარე ირონია გაერევა თხრობას. ღირსების, სინდისის, პატიოსნების ქება ულირსობის, უსინდისობის, უპატიოსნობის გასამართლებლად გამოიყენა გიტომ — დემაგოგთა ცნობილი ხერხია. თუმცა ამ შემთხვევაში ტრაგიკომიკური ისიც არის, რომ ორატორს სიტყვა თავისი მეგობრის დაწერილი ჰგონია, ვერც კი წარმოუდგენია, ანტიკური ეპოქის მჭევრმეტყველების ნიმუში თუა. კი მიკვირდა, ათენელნოო, რომ ვკითხულობდიო, მაგრამ აბა, რას ვიფიქრებდი, თუ...— საყვედურით მიმართავს მეგობარს, გივის, ვინც მსგავს ვითარებაში გაჭირვების ტალკვესად

ევლინება ადამიანებს — მოძებნის ძველ, მივიწყებულ, ნაველწაყრილ ნაწერებს, აღლაღებული უვიცობის აზრით, ჩვენს დროში რომ აღარავის უნდა ახსოვდეს და საუკეთესო პასუხი ნებისმიერ ბრალდებაზე მზადაა. სწორედ ნებისმიერზე, რადგან უკვე „ყველაფერი თქმულა“. მთავარია, სხვათა ნათქვამ-ნააზრევი,სიბრძნით, გონიერებით, ზნეობრიობით და ორატორული ხელოვნებითაც გაბრწყინებული, თანამედროვე ყოფას მოარგო, მიუსადაგო, მაგრამ ან ეს მორგება-მისადაგება სადღაა? განა ადვილია გიტოსნაირი „მეცნიერებისთვის“ სხვის ნაწერში თუნდაც მიმართვის გამოტოვება ან შეცვლა? მე შენს ნაწერში სიტყვას როგორ წავშლიდიო,— იქით ამუნათებს სხვას ეს „პატიოსნებაზე თავდადებული“ ადამიანი. ის კი, ისიც თაღლითი და გაიძვერა, აქ იშვიათ გულწრფელობასა და გულღიაობას ამჟღავნებს : „მე მაგისი დამწერი ვარ, ბიჭო?! ერთი იყო და მოკვდა, მორჩა, მოთავდა, აღარ გამეორებულა მაგისი დამწერი... მე ჩემდათავად მაგეების გამკეთებელი არა ვარ. ეგ რომ შემეძლოს, ცხრა აკადემიის წევრი ვიქნებოდი აქამდისა. არც სხვისი შრომის მითვისება შემიძლიან, არც ჩემი შემწევს...“ არადა, რა ამათი ბრალი იყო, რომ აქამდე ეცოცხლა სოფრომ ბროძელს, თან ისე, რომ საღი აზროვნება შეენარჩუნებინა. მან, მხოლოდ მან ახადა ნიღაბი ფარსს და სიმართლე გაამჟღავნა — სოკრატეს აპოლოგიააო, — ბრძანა. სხვებს არა შეუმჩნევიათ, „სამარყანდელებსაც“ შეიფერებდნენ. განათლება, წიგნიერება, ცოდნა იოლად ჯაბნის, ამარცხებს ყეყეჩობას, უწიგნურობას. სოკრატეს აპოლოგიააო, — სოფრომმა და სამუდამოდ შერცხვენილ-დაღდასმული უნდა დარჩეს ურცხვი, მოძალადე; გამოჭერილია და ესაა, თავი სად გამოეყოფა... თუმცა უტიფრობის საპირწონედ მარტო სულიერება არა კმარა თურმე. შეცბუნებულ-შეშინებული კია გიტო, მაგრამ — არა დათრგუნული. ტყავში ძვრება, გამოსავალს ეძებს, კვლავ გივის იმედი აქვს. ახლა რომ მიატოვოს, ეს ხომ იმას ემგვანება, შუა ზღვაში რომ გაიყვანენ და გადააგდებენ... პოეტურია, მაგრამ ესეც ნათქვამია უკვეო, — ცივი წყალი გადაასხა მეგობარმა „ყველაფერი ნათქვამია, ეს ოხერი...“

გიტოს სულიერი სიცარიელის, ფშუტე თავის დასახასიათებლად უზუსტეს ხერხს მიმართავს მწერალი — პერსონაჟს პორტფელად მოიხსენიებს. მაგალითად, ასე: „მოელაქუცა გაფუყული პორტფელი", „უარესად გაიფუყა პორტფელი", „ამოიბუყბუყა პორტფელმა", „მკაფიოდ ამოვარდა პორტფელიდანა", „დაიფუკა პორტფელი", „გაიბერა პორტფელი" და სხვა. ასეთ და მსგავს შემთხვევებს თუ გულისხმობდა სულხან-საბა ორბელიანი, როცა წერდა: კაცმა უნდა „თავი იცნას, რომე იგი საჯდომი არს დიდი ჰუბუტი, თვარემ უმისოდ ყოველივე გარე შემოეძარცვება". პორტფელია გიტოს „ჰუბუტი", უმისოდ ადამიანურ ღირსებებს თითქმის მთლიანად მოკლებული კაცი ახლა ყველასგან პატივცემული და აღზევებულია.

თითქმის შეუძლებელს შეეჭიდა სოფრომ ბროძელი. მარტო ერთ ადამიანს კი არა, საერთოდ უპატიოსნებას და მის მფარველ წყობას აუმხედრდა. მას ამ გზაზე უკვე ველარაფერი შეაჩერებს. ის თავგანწირული ადაამიანია. მისი ძალაც ეს თავგანწირულობაა.

თვით მეგობარი აკადემიკოსიც თხოვს, აიძულებს, არწმუნებს, რომ ბრძოლის შეწყვეტა მისთვისვე ჯობია; რომ ვერაფერს მიაღწევს, ვერ დაამტკიცებს სიმართლეს. დასამტკიცებელი თითქოს რაა, როცა სხვისი სახელით გამოქვეყნებული გამოკვლევის ორიგინალი, უკვე დაძველებული და გაყვითლებული ხელნაწერი, ხანდაზმული მეცნიერის საქაღალდეშია.

ფაუსტისებურად შემწყნარებელიცაა სოფრომ ბროძელი. მისთვის მთავარი სიმართლის ყველასათვის დანახვებაა, თორემ შემდეგ გიტო გორდაძის წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებს, შეუნდობს, აპატიებს, არ გაუხენებს... თანამედროვე ეშმაკს გარეგნული სახე კი შეუცვლია, ამ რომანში სულაც მეცნიერად მოგვევლენია, მაგრამ მისი არსი არ შეცვლილა. „ოღონდ თვითონ დარჩეს მშრალზედა, სხვა თანაც გადაჰყოლიაო, ასეთია მისი მრწამსი და ზნეობა", — შენიშნავს ავტორი.

ეშმაკთან დადებული ხელშეკრულების მსგავსია მეცნიერის გაჩუმება, უკან დახევა იმ პირობით, რომ ყველა ხელნაწერს წიგნებად გამოუცემდნენ. დაეჭვება, სკეპტიციზმი, უკმაყოფილება საკუთარი ქცევით ამის შემდეგ თან სდევს მას.

როდესაც სახალხოდ წარმოთქმული „პასუხი“ მოისმინა მოკამათისა, ვერაფერი თქვა, ხმა ვერ ამოიღო, თითქოს დამუნჯდა, ურცხვმა ქებამ გააოგნა, მლიქვნელობა მალამოდ მოეცხო გულზე. ძლიერი სულის კაცია სოფრომ ბროძელი (შემთხვევით კი არ ეშლება მისი გვარი ერთ პერსონაჟს ბაგრატიონში), ძლიერი, მაგრამ არა — სრულყოფილი, არამედ სულიერი სრულყოფილებისკენ მიმსწრაფი.

ციტატა უკომენტაროდ:

„და იდგა სული შიშველი, სული უსხეულო, სული უსახო, სული უფერული, სული უხილავი და მკაფიო, კანთიელი, სული გამჭვირვალე და მოქუფრული, სული ანთებული და ჩაფერფლილი, სული ადუღებული და გაყინული, სული მეჩხერი და უღრანი, სული მიმზიდველი და მიუკარები, იდგა, არც იდგა, ეკიდა, არც ეკიდა, იყო და არა იყო რაო, გარდა საოცრებისა, გარდა გაოგნებისა“ [უნებური ასოციაცია ბარათაშვილისა: „გინახავთ სული?..“].

უთანასწორო ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა ბოლოს თავისი და სხვათა სულების მჩხრეკელი. ნაშრომიც გიტოს შერჩა, სადოქტორო დისერტაციაც, კარიერაც, კეთილდღეობაც. მხარი მას დაუჭირა დიდმა და მცირემ — დირექტორიდან მოკიდებული უკანასკნელ თანამშრომლამდე. სოფრომს გადაუდგა ძველი მეგობარი აკადემიკოსიც. ამაოდ აწყდებოდა ნამდვილი ავტორი დაკეტილ კარებსა და ყრუ კედლებს.

ერთი შეხედვით, მშვიდად მიიცვალა სოფრომ ბროძელი, თავის სახლში, ღრმად მოხუცებული. სინამდვილეში მოკლეს „იმა უხილავი, იმა იდუმალი იარაღითა“, რომელიც კვალს არ ტოვებს. „ცივილიზებულ საზოგადოებაში არც არავინ დაატარებს იარაღსა, მაგრამ მაინც არიან მკვლელებიცა, დახოცილებიცა, არიან მსხვერპლნი, არიან შემწირველნი და შეწირულნი, მაშ იარაღიც არის რაღაც იდუმალი, ჭიპზე რომ არ ჩამოიკიდება ხანჯალივითა, ან თეძოზე დამბაჩასავითა, — რაღაც იდუმალი, თვალმიუვალი, ხელშეუხები, უსასტიკესი და უსაშველო“.

ფერი უცვლიათ მკვლელებს. ისინი ახლა ჯვრებს აღარ ამსხვრევდნენ ეკლესიებს, ჩუმჩუმად შვილებსაც ნათლავდნენ, მა-

გრამ ჯვრებს მაინც არ აღადგენდნენ. „მაინც იმათი წიბოსანნი ბრძანდებოდნენო," — ამბობს მწერალი. იმათი, მეფისტოფელეებისა, სხვადასხვა ფორმითა თუ სამოსით, სხვადასხვა სახით მოვლენილი მეფისტოფელებისა.

ბედმა ასე განაგო: მაინცდამაინც დიტოსა და ლანას საქორწინო, თეთრცხენებშებმულ ეტლს უნდა ჩაუაროს შავმა მანქანამ, სამგლოვიარო პროცესიამ. მიუხედავად სოფრომ ბროძელის დამარცხებისა, ფიზიკური განადგურებისა, მკითხველს არ ტოვებს განცდა, რომ დასასრულს შეიძლება დასაწყისიც მოჰყვეს, განახლების ცხოველმყოფელმა ძალამ შესაძლებელია გარდაცვალება, ფიზიკური აღსასრული სულიერი გამარჯვების საფუძვლად აქციოს.

შინაარსი

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვძვიან“
(მარსელ პრუსტის ანკეტა) 3

სიახლეთა კვალზე

სხვა სავანის მაძიებელი
(ედგარ კერეთის ორი ნოველა ქართულად) 6

„კარგ საძმეზედა მიბაძვა“
(კიდევ ერთი ბიოგრაფოსი — ზვიად კვარაცხელია) 10

დანაშაული — სულიერი თავისუფლება
(ლალი ჩხეიძის მთარგმნელობითი დებიუტი) 14

„პოეტს სიკვდილისა არ ეშინია“
(თამაზ ბაძაღუა) 19

სახელდახელო ჩანაწერები 22

„მაინც რა ფერავს საფერავს?
(მეცნიერის პოეტური დებიუტი) 34

ეს თეთრი ძაფი ყველას გვჭირდება
(ქარდა ქარდუხის პირველი რომანი) 38

ირლანდიური სამყაროს ანარეკლი
(„კელტური მიმწუხრის ქართული ვერსია) 44

ნეტა ყველა ინსტიტუტს თითო მემატიანე
(ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანე“) 50

გაწირვა — გედნიერებისა სახელით
(შირლი ჯეკსონის „ლატარია“ ქართულად) 57

ამიტომ ელოლიავები წარსულს
(კონსერვატიზმის ისტორია: ერთი თვალთახედვა, სამი ავტორი) 61

ეპოქის საფიქრალი
(ნიკოლოზ ჩუბინიძის მოთხრობების პირველი წიგნი) 72

მიუსაფარი სულის ღაღადი
(ირაკლი ქასრაშვილის მოთხრობების პირველი კრებული) 76

ხეტიალი საკუთარ სულში
(„ზეგზებიდან“ „რონინამდე“) 85

უფალი — უხილავ მესამედ
(კობა ცხაკაიას პიესა) 97
ფერისცვალება
(„შეკვეთილი წირვის“ ექო) 103
სილამაზე, როგორც ბედისწერა
(დაგნი იუელის მკვლელობა - კიდევ ერთი ლიტერატურული ვერსია) ... 108
წერით მოპოვებული არსებობის უფლება
(რეზო თაბუკაშვილის მოთხრობები) 115
ხიბლი თამაშისა
(ირაკლი ლომოურის „პარიზელი ქალი“) 121
ერთი მართალი კაცის მადლით
(ზურაბ კანდელაკი, როგორც რომანისტი) 128
ყოვლისმომცველი სიყვარულის აპოთეოზით
(თამაზ ბაძაღუას თანამედროვე დრამები) 132
კრიტიკის გზასავალი
(ჯონ ქროუ რენსომის რჩევები) 140
მომავალი მკითხველისათვის შეძმნილი
(ნონა კუპრეიშვილის კრიტიკულ-ესთეტიკური ძიებანი) 145
ალდი — დაბადება სიკვდილისათვის
(გიორგი არაბულის პოემა-გვრინი) 149
იოსებ ლაღიაშვილის დაკარგული დღიური
(ლაშა იმედაშვილის ბელეტრისტული დღიური) 160
რას ნიშნავს: „ლაპარაკი“
(ნინო ნადირაძის ლირიკული აბრისი) 169
ტრაგიკული ეპოქა — ზნეობრივ ძალთა გამოცდა
(გივი სომხიშვილის „სატანის ღიმილი“) 172
ბებია-ბაბუების აპოლოგია
(ინგა მორგოშიას მთარგმნელობითი დებიუტი) 177
ეს ფერადი, ჯადოსნური სამყარო
(გიორგი ლობჟანიძის მემუარული ჩანაწერები) 183
მოთხრობების კრებული თუ რომანი?
(გიორგი სოსიაშვილის კრებული „გამორთული მთვარე“) 189
ბიბლიური სამყაროს სუნთქვა
(ოლესია თავაძის მინიატურული პროზა) 197

განსაკუთრებული ინტუიციის მადლით
(„მზის რაინდის“ ჯერ მარტო ერთი თავი) 200

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში
(ანზორ ერქომაიშვილის ბიოგრაფიული რომანი) 210

მამა ანდრია და იური ანუა
(შორენა ლებანიძის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი) 215

სულიერი ავტოპორტრეტი
(ლიანა ელიავას მხატვრულ-დოკუმენტური პროზა) 220

დიღმის ჩეხოვი
(ნინო ნიკლაურის ნოველების პირველი კრებული) 226

ლექსები ფასკუნჯებად
(ნუკრი ბერეთელის პოეტური დებიუტი) 233

ნათლით გაბრწყინებული სევდიანი წიგნი
(მურიდ ალ ბარღუთის ავტობიოგრაფიული რომანი „მე ვნახე რამალა“) .. 241

რა ესიზმრებათ ღვთიურ გვირილებს
(თამაზ ხარაიშვილის არაორდინარული დებიუტი) 247

ოცნების თეთრი ხომალდი
(ვიქტორ გაბესკირიას ლექსების კრებული) 252

არ არსებობს საიდუმლო...
(პიესა ივანე მაჩაბლის ტრაგიკულ აღსასრულზე) 268

კაცობრიობის გასაფრთხილებლად
(ელგუჯა თავბერიძის მონოგრაფია ვარლამ შალამოვზე) 272

„დედა-ენის“ დაბადება
(პიესა პოლიტიკური თეატრისათვის) 275

„დაკარგული თაობა თანამედროვე რომანში“
(კობა ცხაკაიას ნაწარმოების მაგალითზე) 281

უკეთეს დღეთათვის მებრძოლი
(ბიოგრაფიული რომანი დავით მიქელაძეზე) 292

გასროლამდე ატირებული სეკუნდანტი
ანუ დუელი ქართულად 300

ხანი უნდობარი
(XX საუკუნის საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური სურათი) 303

ჩანაწერები „ჩანაწერების“ შესახებ 310

წარმართი კოლხის შთამომავალი
(არჩილ ფირცხალავას ასლექსიანი კრებული) 328

მითოსი და რეალობა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა
(როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „შავი ჩოხა“) 336
საბაბად: ქართულ-აფხაზური ალბომი 342
მართალი პოეზია
(ლაშა გახარიას ასლექსიანი კრებული) 352
მთავარია, სიყვარულისა გვჯეროდეს
(თამაზ ბაძაღუას სამი პიესა) 356
მართალია, რომ მართალია
(ნათია ჭელიძის ბელეტრისტული დებიუტი) 362

ძიებანი

ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის სათავეებთან
(სოლომონ დოდაშვილი) 367
სისხლმოჭარბებული სახელმწიფო
(ამერიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში) 377
პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი აკაკი წერეთლისა 384
ნიკო ნიკოლაძის მონუმენტური სახეება 395
იაკობ გოგებაშვილი — პროფესიონალი მწერალი 405
ბიოგრაფია ეპოქის კონტექსტში
(რომანი ვაჟა-ფშაველაზე) 414
შიო არაგვისპირელის ეტიუდები 426
დავით ლეონიძის ისტორიული დრამა 436
ქალი ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში 452
ლევან გოთუას ერთი ნოველის შესახებ
(„ყინცვისის ანგელოსი“) 463
პავლე ინგოროყვას ერთი მოსაზრების კვალდაკვალ
(ცოტნე დადიანი — შოთა რუსთველის სიძე) 469
ვაჭრის სახე ნიკოლოზ გაბაონის რომანში „აივნიანი ქალაქი“... 476
თავისუფლება — ზნეობრივი ორიენტირი
(ოთარ ჩხეიძის პიესის „სოლომონ ანუ მსაჯული მეფისა“ მიხედვით) 489
ოთარ ჩხეიძის „ნაკრძალი“ — როგორც ფაუსტური პარადიგმა .. 504